United Nations
Educational, Scientific and
Cultural Organization

გაერთიანებული
ერების განათლების,
მეცნიერებისა და
კულტურის ორგანიზაცია

100th anniversary of
the death of Akaki Tsereteli
Celebrated in association with UNESCO

აკაკი წერეთლის
გარდაცვალებიდან 100 წლისთავი
აღინიშნება UNESCO-ს მონაწილეობით

წიგნი გამოიცა საქართველოს კულტურისა და
ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივითა
და მხარდაჭერით

აკაკი წერეთლის გარდაცვალებიდან 100 წლისთავი



აკაკი წერეთელი

რჩეული თხზულებანი

ერთ ტომად

GCLAPress

თბილისი
2015

ერთტომეული მომზადდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში.

რედაქტორი
ირმა რატიანი

შემდგენლები:

ჯულიეტა გაბოძე
მაკა ელბაქიძე
ირმა რატიანი
ნანა ფრუიძე
როსტომ ჩხეიძე

ტექნიკური რედაქტორი
მირანდა ტყეშელაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
თინათინ დუგლაძე

მხატვარი
რევაზ მირიანაშვილი

რედაქტორისგან

წინამდებარე კრებული დიდი ხნის ჩანაფიქრისა და რჩევა-განსჯის შედეგია. აკაკი წერეთლის საიუბილეოდ (დაბადებიდან 175-ე და გარდაცვალებიდან მე-100 წლისთავი) თხზულებათა „რჩეულის“ გამოცემა ნამდვილად არ წარმოადგენდა ორიგინალურ იდეას, თუმცაღა ფორმატი – საგანგებო ყურადღებასა და ძალზე ფრთხილ მიდგომას საჭიროებდა: რთულია ერთ ტომზე დაიყვანო შემოქმედება პოეტისა, რომელმაც თავისი სიცოცხლე უშურველად მიუძღვნა ქართულ ლექსს, ქართულ სიტყვას, ქართულ კულტურას და „სახალხო პოეტის“ სრულიად დამსახურებული თიკუნიც მოიპოვა. აკაკი წერეთლის მოხსენიებისას ქართველნი საჭიროდ არ მიიჩნევენ გვარის დასახელებას, ის უბრალოდ „აკაკია“, ყველა ქართველის პოეტი, ყველა ქართული ოჯახის ისტორიის ნაწილი, ტკბილხმოვანი და გულში ჩამწვდომი ქართული სიმღერების ტექსტების ავტორი, ლირიკოსი, რომლის „მეფური ლანდიც“ არის ქართველთა კიდევ ერთი საშვი მსოფლიო კულტურის საგანძურში... ერთტომეულის სარედაქციო კოლეგია საკმაოდ რთული ამოცანის წინაშე იდგა: აკაკის მდიდარი მემკვიდრეობიდან მარტივი არ იყო „რჩეულის“ გამოხშირვა; როგორც ჩანს, სწორედ ეს გახლდათ მიზეზი იმისა, რომ აქამდე არასოდეს გამოცემულა აკაკი წერეთლის რჩეული თხზულებანი ერთ ტომად. მაგრამ ყოველ ექსპერიმენტს თავისი საფუძველი და მიზნები აქვს: სარედაქციო კოლეგიაც მიზნად ისახავდა ქართველი პოეტის პირველი „კომპაქტური“ გამოცემის განხორციელებას, რომელიც შეუძღვებოდა მკითხველს აკაკის მრავალფეროვან სამყაროში და საშუალებას მისცემდა მას, მაქსიმალურად კონცენტრირებულ ფორმატში, ერთიანად გაცნობოდა პოეტის შემოქმედების სხვადასხვა წახნაგს.

ერთტომეულის შედგენისას სახელმძღვანელო პრინციპად იმთვითვე ორი კრიტერიუმი შეირჩა: ა) კრებულს თავი უნდა მოეყარა პოეტის არამარტო კარგად ნაცნობი და საყოველთაოდ აღიარებული, არამედ – ნაკლებად ცნობილი და ზოგიერთი სრულიად ახლადმიკვლეული მასალისთვისაც (მთელი რიგი ლექსები, პოემა „ვორონცოვი“, ცალკეული პუბლისცისტური

წერილები); ბ) ტექსტების პუბლიკაციისას დაცული უნდა ყოფილიყო ავტორის ნება. ორივე ამ ამოცანის გადაჭრაში კრებულის შემდგენლებს დიდად შეუწყო ხელი აკაკი წერეთლის თხზულებათა ახალ აკადემიურ გამოცემაზე (ოცტომეულზე) მუშაობის გამოცდილებამ: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, ტექსტოლოგიის ცენტრის მეცნიერ–თანამშრომლების მიერ, 2009 წლიდან მუშავდება აკადემიური გამოცემის ტომები, რომელთა გამოსაცემად მომზადება ხორციელდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით, ხოლო ბეჭდვა – საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით.

წინამდებარე ერთტომეულის შედგენისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პუბლიცისტიკის ნაწილს. აკაკის აქტიურობა საზოგადოებრივ სარბიელზე ძალზედ თვალშისაცემია XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში: თითქმის არ იყო მოვლენა ქართულ საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში, რომელსაც აკაკი არ გამოხმაურებია და თავისი აზრი არ მოუწოდებია მის შესახებ. არანაკლებ ინტერესს იწვევდა პოეტის პირადი ცხოვრებაც და მასთან დაკავშირებული დეტალები... სარედაქციო კოლეგია შეეცადა ამოერჩია არამარტო პუბლიცისტური „მარგალიტები“ აკაკის შემოქმედებისა, არამედ – მკითხველის თვალწინ გადაეშალა აკაკის ხედვის სიფართოვე და პანორამულობა, წარმოეჩინა პოეტის ჩართულობა ქვეყნის როგორც ლიტერატურულ, ისე – პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და, რაც მთავარია, კულტურულ ცხოვრებაში.

აკაკი წერეთელი განსაკუთრებულად მნშვნელოვანი ფიგურაა ქართული კულტურის ისტორიაში. ის მუდამ იდგა ქართული ინტერესებისა და იდეის სადარაჯოზე: იდგა კალმით – პოეზიით, პროზით, პუბლიცისტიკით, და სულით – პოეტური იდუმალებითა და ამოუხსნელობით, ქვეყნიდან ზეცისაკენ მიპყრობლი მზერით. აკაკი იყო და არის საქართველოს ყველაზე დიადი „მეჩანგურე“, რენესანსული კარნავალურობის მატარებელი მოაზროვნე, კაცი და პოეტი.

იმედს ვიტოვებთ, რომ წინამდებარე „ერთტომეული“ შესაფერისი მიძღვნა იქნება მისდამი.

ირმა რატიანი

ლექსები

საიდუმლო ბარათი

საიდუმლო ბარათო!
გითხრეს: „ექმენ მარადო
სიხარულის მიმნიჭედ
და სევდისა ფარადო“.

მისთვის გიდებ უბეში,
გალბობ ცრემლის გუბეში,
ამისრულო, რაც გითხრეს,
თუ ხარ ჩემი ნუგეში!

ვერა მხედავ მდუმარეს,
ცრემლებს რომ ვღვრი მდუღარეს?
რად არ მეტყვი მის ამბავს,
ნუგეშს არ მცემ მწუხარეს?

როცა მისი მარჯვენა
გრძნობით გხატავდა შენა,
თვალს ცრემლი ვერ შენიშნე?
ვერც სახეზე მოწყენა?

როცა ამ სიტყვებს სწერდა,
გული ხშირად უძგერდა?
და თან ტკბილის გრძნობითა
სიყვარულსა დაგმღერდა?

ან, როს ფარულად მანა
შენ ჩემთან გამოგგზავნა,
ანგელოზი სუფევდა
მის გულში, თუ სატანა?

არა! ამ გრძნობას განა
მიჰბედავდა სატანა?!
მაშინ უკუღმა ბრუნვას
იწყებდა თვით ქვეყანა!

საიდუმლო ბარათო!
მექმენ... მექმენ მარადო
სიხარულის მომნიჭედ
და სევდისა ფარადო.

1859, 20 მკათათვე,
პეტერბურგი

შამილის სიზმარი

შუაღამეა, გავსილი მთვარე
დედამიწაზე სხივებს უხვად ჰფენს;
მთები, ტყეები, კლდე და მდინარე –
ყველა მდუმარებს და გრძნობით ისმენს:
ვით განსვენების ანგელოზნი ცით
გადმოეფინენ გუნდად ხმელეთად,
თვისის ნეტარის და მსუბუქის ფრთით
და მყუდროებას ჰგალობენ ერთხმად.
მაგრამ კავკაზსა ეს მყუდროება,
ცით მოვლენილი, არ ეყურება,
გაურჩეველი აქვს მას დროება,
მხოლოდ სხვა რამეს ემსახურება.
იმას ჰსურს სისხლი, ომი ფიცხელი,
მისთვის საღმრთო ხმას რათა ჰგალობენ?
სისხლს სთხოვენ მთები, კლდეები, ველი,
და მდინარენიც მას ჰღრიალებენ,
მხეცთა ღრიალი, ფრინველთ ჩხავილი,
ქართა ქრიალი, ზვავთა გრიალი –
ამას ნიშნავენ: „გვწყურიან სისხლი“ –
და თერგისაც ეს არის ღრიალი.
მათის სურვილის აღმსრულებელი,
მწუხარის სახით, დაფიქრებული,
ქვაზე ზის „ყურნის“ მადიდებელი

და მურიდნი ჰყავს შემოკრებული.
ზოგს დახმობია გულ-მკერდზე სისხლი
მისგან მოკლულის ჩხუბში გიაურის,
ზოგს ჩასწუწკურებს ისევ ახალი,
უმზერს კმაყოფით, უჭვრეტს, უხარის,
ამბობს ჰიმამი: „მართლმორწმუნენო!
ჩვენი გაკიცხვა მაჰმადს არა ჰსურს,
დროა გამხნევდეთ, ერთგულნო ძენო,
და თავს ნუ მივსცემთ მონად გიაურს,
„ხომ გახსოვთ ჩემი დარღოში ომი
და სხვანი კიდევ ბევრგან მრავალი?
მე არ გეგონოთ ცრუ მოწმის მდომი,
მოწმედ მეყოფა მიწა და ქვანი!
„დრო გადავიდა! – მოვხუცდი, ჰალლა!
მაჰმადო! ვატყობ, ღონე მაკლდება,
მაგრამ დღეს ჩემში ახლდება ძალა
და დამჭკნარ ძარღვში სისხლი სდუღდება.
„მართლმორწმუნენო! ჰა! წაიყვანეთ!
უკანასკნელად მსურს ვცადო ბედი,
წინ წაგიძღვებათ კაზი-მაჰომეტ,
მაგაზე დამრჩა მხოლოდ იმედი.
„თქვენ მიაშურეთ მარცხენა მხარეს,
სადაც განაგებს თვითონ კნიაზი!
მაჰმადის ძალით ნახავს სიმწარეს
და თქვენც თაყვანს გცემსთ მაშინ კავკაზი!
„და სიბერის ჟამს ამ შიშველის ხრმლით
მარჯვენა მხარეს მე შევეჭრები: –
დღეს უნდა გავსძღე გიაურის სისხლით,
მათ მჩქეფარე სისხლს მივეყურჭები“.
შეიქმნა ომი მეტად ფიცხელი,
საზარელი და ცუდ-სანახავი,
ლეკებმა სისხლით შეღებეს ხელი,
ველს ეფინება რუსების თავი!
ომიც გათავდა, მუნ კმაყოფილმა
ყურანს შესწირა გმირმა ნამაზი,

და იმავე დროს იმისმა შვილმა
ტყვედ მოუყვანა თვითონ კნიაზი.
მან ძვირფასი ტყვე, წარჩინებული,
მის წინ მოსული რომ დაინახა,
მსწრაფლ აუღელდა მრისხანე გული,
„თავი მოსჭერით!“ ჯარს მიაძახა.

[1859]

ძველ სამეფოს

სამეფოო ძველთა-ძველო,
დღეს სნეულო, გულის მწველო,
დაჭკნა შენი ძველი ქება,
ვით ზაფხულში მზისგან მდელო,
მაგრამ თუ დრო შეიცვალა,
გაცოცხლდები, საქართველო!

დავივიწყოთ ის „ნანინა“,
რამაც დღემდი დაგვაძინა!
სხვა კილოზე დავამღეროთ,
თუ რომ ბედმა გაგვიცინა!
ბერო ქართლო, გულს ნუ იტეხ,
კმარა, ცრემლი რაც გვედინა!

ამდენი ხნის მწუხარება,
ნახავ, მალე გაგეყრება!..
გაიღვიძე, დროს ნუ ჰკარგავ,
თუ რომ გინდა ნეტარება!..
თვით სიცოცხლეა სიფხიზლე,
გაიღვიძე, გვეჩქარება.
ნუთუ ჯერ ვერ შეგინიშნავს,

ის ვარსკვლავი როგორ ბრწყინავს?
შენი არის!... ბედს გექადის!
მიეგებე, ნუღა გძინავს!
მოემზადე, ახალი დრო
შესამკობლად გვირგვინს გიწნავს!

დიდებაო ძველის-ძველო,
დღეს სნეულო საეჭველო,
გულს ნუ იტეხ, წამოდექი,
ნეტარების მომლოდნელო!
მოგვასწარ, რომ ვიძახოდეთ:
„ვაშა, ვაშა საქართველო!“

[1863]

ციცინათელა

ჩემო ციცინათელა!
რად მიჰფრენ ნელა-ნელა?
შენმა შორით ნათებამ
დამწვა და დამანელა!

ანათებ და კარგი ხარ,
მე თუმც არას მარგიხარ!!
ჩემი იყო, ის მინდა,
შენ კი სხვისი ბარგი ხარ!..

აბრეშუმის პეპელა,
ფუტკარი და წურბელა,
შენზედ სარგებლიანი
შენ გენაცვალოს ყველა!..

წურბელა მკურნალია,
მაგრამ ცოტა მყრალია
მშიერი – სისხლის მტერი,
რომ გაძღება – მთვრალია!..

მაშ, რად მინდა წურბელა?
მან გული დამიბნელა!
ისევ შენ და ისევ შენ,
ჩემო ციცინათელა!..

მეორე თაფლს და სანთელს
გვიკეთებს და სარგებელს
მით გვაძლევს, მაგრამ კბენით
გვისივებს ცხვირ-პირს და ხელს!

მაშ, რად მინდა ფუტკარი,
მკბენარი, მოისარი?
ისევ ციცინათელა,
უწყინარი ის არი!

მესამე ტანს გვიმოსავს
წყნარია და არ იქმს ავს,
მაგრამ უგნურებითა
პარკში იღრჩობს თავის თავს!

მაშ, რად მინდა პეპელი,
უგნურად თავის მკვლელი,
და როგორ არ მერჩიოს
მასაც ციცინათელი?

ჩემო ციცინათელა,
საით ჰფრენ ნელა-ნელა?
მე ვარ შენი ერთგული,
სხვა მოგატყუებს ყველა.

მებრალები, კარგი ხარ!
და, ვაი! სხვის ბარგი ხარ!

სხვებს ბნელშიაც უნათებ,
მე კი დღეც არ მარგიხარ.
ნეტავ, რისა გაქვს რიდი?
ჩემსკენაც გამოფრინდი,
ნათელი მომაფინე,
მეც გამინათე ბინდი!

კმა, რაც დღემდის ვიწამე;
აწ საყვარლად მიწამე
და მაშინ შენს სიყვარულს
დამავიწყებს მიწა მე!..

ჩემო ციცინათელა,
სადღა ჰფრენ ნელა-ნელა?
შენმა შორ-შორ ნათებამ
უდროოდ დამანელა!..

1869 წ.

„ვარდის“ ხმაზედ

ვუძღვნი ან. მუსხელიშვილისას

მე ჩანგური მისთვის მინდა,
რომ სიმართლეს მსახურებდეს,
განამტკიცოს აზრი წმინდა,
გულს სიწმიდით ახურებდეს!

ერთი ჰქონდეს მას საგანი:
ჰარმონია მისი ხმების,
ცხოვრებაში იყოს ბანი
ხან ლხენის, ხან მწუხარების!

აღტაცებით სიმთა ჟღერა
გამოსცემდეს მაგნიტის ხმას
და მაზედაც ჩემი მღერა
ორხმოვანად გამოისმას,

რომ დაჩაგრულს იმ სიმღერით
თვალთ ცრემლები ეშრობოდეს
და მჩაგვრელს კი გულში ძგერით
ისარივით ესობოდეს!..

მაშინ მხოლოდ ამ ჩემს ჩანგურს
აშორდება უქმად გდება,
და, ვინც გრძნობით დაუგდებს ყურს,
ვჰფიცავ, არც ის მოსტყუვდება!

გამიქვავდეს მაშინ ენა,
თუ რომ ვისმეს მივეფერო
და გამიხმეს ეს მარჯვენა,
თუ სიმრუდით სიმთ ვაჟღერო!..

რაგინდ ბედით ვიყო კრული,
საშინელიც მექნეს ბოლო,
არ შედრკება ჩემი გული,
გინდა ქვითაც ჩავიქოლო!

სხვისი ლხენით ხომ ვიხარებ,
თუ რომ ჩემს თავს დავრჩი ავად,
და მაინც არ აღვიარებ
შავს თეთრად და თეთრსა შავად!..

მე ჩანგური მისთვის მინდა,
რომ სიმართლეს მსახურებდეს,
განამტკიცოს აზრი წმინდა
და გულს წრფელად ახურვებდეს!

[1871]

* * *

ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!
ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიჟღერია!
ჩემო გულო, ტკბილად არ გიძგერია,
რადგანც სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია!..
მით ჯოჯოხეთს მარად გულით ვატარებ!
თუ მარტო ვარ, თავს მომაკვდავს ვადარებ,
თუ ხალხში ვარ, ძალით ღრუბელს ვადარებ
და მოწყენით ჩემზედ მტერს არ ვახარებ,
რომ არა სთქვან ჩემზედ: „რა ოხერია!“

ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!
ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიჟღერია!
ჩემო გულო, ტკბილად არ გიძგერია,
რადგანც სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია!..

აღარა აქვს ბოლო ამ ჩემს სატანჯველს,
არვინ მაძლევს სანუგეშოდ ძმურად ხელს,
ჩემს შარბათში ნაღველს ვსჭვრეტ და ვარდში გველს.
მისთვის ვწყევლი და ვემდური ამ სოფელს,
რომლისგანაც მე გზები ამერია!..

ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!
ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიჟღერია!
ჩემო გულო, ტკბილად არ გიძგერია,
რადგანც სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია!

რაღას ველი, დრო არს გაჰქრეს იმედი;
გინდ მეწვიოს, ვერას მარგებს აწ ბედი,
დამწვარი ვარ ისე, როგორც აბედი!
აჰა, ღმერთო, რა უდროოდ დავბერდი:
საფლავისკენ ფეხი გამიშვერია!..

ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!
ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიჟღერია!

ჩემო გულო, ტკბილად არ გიძგერია,
რადგანც სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია!

დავუძლურდი, განჰქრა გიჟი ოცნება...
ნაღვლიანად ჩემს თავზედ მეცინება,
და ღმერთს ვვედრებ: „ღმერთო, მომეცი ნება,
რომ მეღირსოს საფლავში დაძინება!..
სჯობს, სულ განჰქრეს კაცი, რადგანც მტვერია!“

ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!
ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიჟღერია!
ჩემო გულო, ტკბილად არ გიძგერია,
რადგანც სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია!

[1871]

მუხამბაზი

ნახევარი ცხოვრების გზა გავლიე,
სიტკბოზედა მწარე მეტი დავლიე.

არ მშორდება მწუხარება და ჭირი,
მაგრამ მაინც სულ ვიცინი, არ ვსტირი.

რას მიქვიან პირადი მწუხარება?
მოკვდეს კაცი, თუ პირუტყვს ედარება!

ვიღას ახსოვს თავისი სატკივარი,
თუ სატრფოც ჰყავს იმ დროს მას ცოცხალ-მკვდარი?

მაგრამ იცით, ჩემი სატრფო ვინ არი?
– ძველი ტურფა, დღეს მკვდარივით მძინარი!

ფეხშიშველა და თავლეჩაქმოხდილი,
უგრძნობლათ ჰხდის საწყალს საღათას ძილი!

თავს ვადგივარ მისი ჭირისუფალი,
თუმცა გულს მწვავს მწუხარების მე ალი,

მაგრამ მაინც ვიცინი სხვანაირად
და მჭვრეტელთაც ესა აქვთ გასაკვირად:

„ჭირისუფალს მხოლოდ ცრემლი შვენისო!
ეს იცინის!.. როგორ არა რცხვენისო?!“

რა იციან, რომ ეს გული მკვდარია!
რომ სიცილი ბევრჯელ ცრემლზედ მწარია!

[1872 წ.]

* * *

აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა,
სერზედ შევდექ, ჭმუნვის ალი მენელა.

მზემან სხივი მომაფინა მაშინა,
სიცოცხლე ვგრძენ, სიკვდილმა ვერ მაშინა.

შემიდუღდა მაშინ სული და გული,
იმ ნადუღში თვით მე ვიყავ დაგული.

გულმა ძგერა, სულმა შფოთვა დამიწყო,
ჩანგმაც თვისი მე სიმები დამიწყო.

ხმა სიმართლის შეუპოვრად გაისმა,
აწ იგი ხმა ვერ ისმინოს გაისმა.

ცის მახლობლად ფეხქვეშ ვიგრძენ მიწა მე,
ვსთქვი: „ცხოვრებავ, მეც ერთ კაცად მიწამე!“

და ვიფიქრე: „ჩემი სატრფო სად არი?
ნისლი ჰბურავს თუ დღე უდგას სადარი?“

გადვიხედე, ვნახე, რომ სხვას ჰმონებდა!
გამიკვირდა! ვსთქვი: „მტერს როგორ მონებდა?

მოხიბლულა, შემცდარია, ის არი!..
ალერსით მთვრალს ვერ უხილავს ისარი!“

მივაძახე: ჭინჭარში ნუ ვარდები!..
ნუ გგონია იქ ია და ვარდები!

შეიბრალე თავი შენი, იცოდე!
მაგ შარბათში საწამლავს სვამ, იცოდე!“

არ მისმინა მწუხარებით დანაგულს,
მით დამასო საუკუნოდ დანა გულს!

აღმართ-აღმართ მივდიოდი ნეტა რად,
თუ ამ სერზედ თავს ვერ ვგრძნობდი ნეტარად?

ჩემო თავო! ვეღარ გკურნვენ წამალით!
დაღმართ-დაღმართ დაუყევი, წა მალით!

იქ ჩაბრძანდი, სად გელიან ლოდებით,
ბარით, ნიჩბით, კუბოთი და ლოდებით!

დაივიწყე, ვინც გახსოვდა მარად, ის!
ხელდაკრებით განისვენე მარადის!

[1875 წ., 7 სექტემბერი]

იმერული ლექსი

პატარა საყვარელო,
რისთვის მომიკალ გული?
გალიაში გაგზარდე,
ვით მაისის ბულბული.

შაქრით მყავდი გაზრდილი,
შენთვის ვლე კიდის-კიდე!
პატარა საყვარელო,
ცეცხლი რად მომიკიდე?

გული შენ მოგიძღვენი,
სულიც ხომ შემოგწირე!
პატარა საყვარელო,
შენ რაღად დამამცირე?

რომ დამგმე უმიზეზოდ
და გამცვალე სხვაშია,
მიჯობს დამწვა ცეცხლითა,
ან ჩამაგდო ზღვაშია!

პატარა საყვარელო,
ჩემო მკვლელო, უგულო,
გალიაში გაზრდილო,
გაზაფხულის ბულბულო!

[1876]

მუხამბაზი

რომ იცოდე ჩემი გულის დარდები,
გეფიცები, ტურფავ, შეგიყვარდები!
ცაზედ მზეა, ქვეყანაზედ შენა ხარ!
შეცდომით ძირს ჩამოსული ზენა ხარ.
შაქრის გულო, ბულბულისა ენა ხარ.
სიხარულო, ჩემის ცრემლის დენა ხარ!
ეკლით ნუ მჩხვლეტ... დამიბრუნე ვარდები!
  რომ იცოდე ჩემი გულის დარდები,
  გეფიცები, ისევ შეგიყვარდები!

სიყვარული ისა სჯობს, რაც ძველია:
საუკუნო მეგობრობის მცველია!
ახალი კი დროებითად მწველია
და ყმაწვილთა მხოლოდ სანატრელია.
შენ ერიდე!.. მოიფარე ფარდები!
  რომ იცოდე ჩემი გულის დარდები,
  გეფიცები, ქალო, შეგიყვარდები!

ჩემსავით რომ შეგიყვაროს, ვინ არი?
ვინ გაღმერთოს ციურად მომცინარი,
თუ არ მევე?.. გინდა ვიყო მძინარი,
შენი სახე მაინც ჩემ თვალთწინ არი,
თუ გამიქრა, კლდეზედ გადავვარდები!
  რომ იცოდე ჩემი გულის დარდები,
  გეფიცები, ისევ შეგიყვარდები!

აწ რაღა ვარ, შენგან ტრფობას ჩვეული?
ვეხეტები გზადაკვალდაბნეული!
ლხინს ვშორდები, ჭირისაგან წვეული!
გაყრის წამი ჩვენი იყოს წყეული!..
სჯობს, შევრიგდეთ! ფეხთქვეშ დაგივარდები!
  რომ იცოდე ჩემი გულის დარდები,
  გეფიცები, ისევ შეგიყვარდები!

[1876]

კინტოს სიმღერა

საყვარლისა ეშხზედა
ღვინო დამილევია,
მის ხსოვნა-სიყვარულში
სულიც დამილევია!..

მისმა შუქმა დამადნო,
სიცოცხლეც დამწვარია,
დღედღეობით მზე არის,
ღამღამობით მთვარეა!
მისი ცეცხლი ამ გულსა
აროდეს არ ნელდება:
თუ იმას არ ვუყურებ,
დღე ნათელი ბნელდება.

მაშინ ვკვდები სევდითა,
სისხლის ცრემლით ვსტირი მე,
სანამ არ მანუგეშებს,
იმისი კი ჭირიმე!..

საყვარლისა ეშხზედა
ღვინო დამილევია,
მის ხსოვნა-სიყვარულში
სულიც დამილევია!..

[1879]

ავადმყოფი

არ მომკვდარა!.. მხოლოდ სძინავს
და ისევე გაიღვიძებს!..
ვინც შენატრის იმის სიკვდილს,
უმალ მასვე დაამიწებს!

ბევრის ბრძოლით დაღალულსა
ეჭირვება მოსვენება!
შემცდარია, ვინც გულს იტეხს:
წესი არის და ბუნება!

ჩვენ კი ჩვენდათავად გეტყვით:
გულსა სწამს და ჭკუას სჯერა,
რომ ჯერ კიდევ არ გამქრალა
მომავალი ბედისწერა!
მისთვის, რომ დღეს ვეღარ გვარჩენს,
არ გვიმართებს ორგულობა!
ჩვენს წინაპრებს თუ ჰქონიათ,
ჩვენცა გვქონდეს დიდსულობა!

დეე, მისთვის გავღარიბდეთ,
ზურგს მოვიდვათ საწყლის გუდა:
პატიოსანს ღარიბს რით სჯობს
გამდიდრებული იუდა?

არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს
და როდესაც გაიღვიძებს,
მოიგონებს იმათ სახელს,
ვინც დღეს იმას არ ივიწყებს!..

[1880]

* * *

თვალს მიხვევენ, ენას მგლეჯენ
და მაგდებენ საკირეში!
ურცხვად შვიდ-შვიდ პარასკევსა
მითვლიან მე ერთ კვირეში!

მამა-პაპის სწორ გზაზედა
სიარულსაც კი მიშლიან,
მაგიერად მათ მრუდ გზაზედ
ფიანდაზებს ფეხთ მიშლიან!

ვერ დავაგდებ ძველსა გზასა,
გინდა იყოს ეკლიანი.
ვიცი, სხვებიც მომყვებიან
ჩემებრ შავბედ-ეტლიანი!

და თუ ვინმემ გადუხვია
და გადასდგა მრუდედ ფეხი,
გაუსქდეს მას დედამიწა
და დაეცეს თავზედ მეხი! [1880]

გაზაფხული

დღეს მერცხალი შემოფრინდა,
ჭიკჭიკითა გადმომძახა:
„გაზაფხული! გაზაფხული!“
გულს იმედი დამესახა.

მივდექ სარკმელს, გადვიხედე,
არემარე მესხვაფერა!
სასოებამ ფრთა გაშალა,
გულსა მკრა და ამიძგერა!

სუნი მეცა გაზაფხულის,
უცნაური ვიგრძენ ძალი...
ვსთქვი თუ: „გულსა რაღად ვიტეხ?
ახლოს არის მომავალი!

„მოვესწრები, რაც მინდოდა
ზამთრისაგან დაჩაგრულსა:
ვნახავ ქორწილს ბუნებისას,
გავიგონებ მის მაყრულსა.

„დავყნოს ვარდსა გადაშლილსა,
ვუჭვრეტ ნაზად დახრილ იას
და ბულბულიც გამაგონებს
მისებურად: „ტია-ტიას!“

[1881 წ., 1 მარტი.]

გამოფხიზლება

გავკაჟებივარ შავ-ბედსა,
დავდივარ შეუპოვარი!
ვერ შემაშინებს რისხვით ცა,
ჭირზედა ჭირის მთოვარი!

არ ვუღალატებ სინიდისს,
თავს შევინახავ წმინდადა
და ჩემს სიცოცხლეს ვიგულებ
ჩემის სამშობლოს წინდადა!

ოფლით მოვრეცხავ სამშობლოს,
იმ წმინდა სისხლით ღებულსა,

რომ შევეყარო პირნათლათ
იქ ჩვენს წინაპრებს ქებულსა.

და აქ კი შესანდობარსა
ჩავარაკრაკებ კულითა
და შემოვძახებ თამამად
გრძნობით აღვსილის გულითა:

„ჩონგურო, ჩემო დიდებავ,
და ძლიერებავ, კალამო,
ზოგჯერ ფინთიხო გულისა,
ზოგჯერ წყლულისა მალამო!

„ნუ გამომილევთ ძალ-ღონეს
საბრალოს მუშას — მთესველსა,
მებრძოლსა გულგაუტეხელს,
ბნელში იმედით მკვესელსა!“

[1881 წ.]

ყმაწვილ ქალს

ყოველ სნეულებაზედ
სიყვარული ძნელია,
შეყვარებულისათვის
ნათელიც კი ბნელია;

თვალით ვეღარას ხედავს,
ყურში არ ეყურება
და ყურმოჭრილ ყმასავით
მის კერპს ემსახურება.

რაც უნახავს საყვარლის,
ან რაც გაუგონია,
გინდ საძაგლობაც იყოს,
მაინც კარგი ჰგონია!

ეს ბუნების კანონი
ყველასათვის ვალია:
გაურჩევლად იმონებს,
კაცია თუ ქალია.

და შენც უნდა ელოდე.
რაც ვალი და წესია!..
თუმცა ტრფობას შენს გულზედ
ჯერ არ დაუკვესია,

მაგრამ ერთხელ უეცრად
დაგკრავს, მოგიდებს ალსა,
გაგრძნობინებს უცნაურს,
რაღაც ციურსა ძალსა.

ის ბიჯი მიითვალე
სიკვდილ-სიცოცხლის სწორად:
ან ავად და ან კარგად
გადაგქმნის ერთი-ორად.

მაშინ შენს სათაყვანოს
თუ შეხვდი ღირსეულსა,
გაგიმტკიცებს გონებას,
აგიმაღლებს მით სულსა.

რაც ბუნებითად კარგი
შენში კი იპოება,
აჰყვავდება, იხარებს,
ვითა უმანკოება.

მაგრამ თუ შეხვდი უღირსს,
ზნეობითად დაცემულს,
ვაი, შენს სიცოცხლესა,
საფლავამდე დაშხამულს!

დრო რომ გამოგაფხიზლებს,
ნახავ თავს მოტყუებულს,
მაშინ სულდაჩაგრული
ნაღვლით აივსებ მაგ გულს

და გაბოროტებული
აქეთ-იქით ეცემი;
მაგრამ საითაც წახვალ,
იქითვე დაეცემი.

აი, ამას უფრთხილდი,
ცუდად არ წაჰკრა ფეხი,
რომ თავზედ არ დაგატყდეს
ის სასიკვდინო მეხი!

ბევრი დაუჭერიათ,
ვით ჩიტები, მახითა.
არ მოსტყუვდე შენ მაინც
გარეგანის სახითა!

ნუ გაიჩენ ცუდს წრეში
შენ ტოლ-ამხანაგებსა,
და თავიდან აიცდენ
მახეს, შენთვის ნაგებსა.

ერიდე გარეგნობით,
შემთხვევით ამაღლებულს!
სხვა კანონი და გზა აქვს
მის სულს, ჭკუასა და გულს.

შავს ენას და შავსა გულს
აფარებენ თეთრს კბილებს.

არა! გიჯობს, რომ მიჰყვე
შენ იმ მამულიშვილებს,

ქვეყნისთვის რომ ყოველდღე
ოფლში იწურებიან
და, ვით ბნელში ვარსკვლავი,
ისე ჩუმად ჰქრებიან!..

1882 წ.

სიმართლე

ფუ, იმ მოედანს, სადაცა
ვირები ბედაურობენ!
შაბაშ იმ ერსა, რომელსაც
ულირსნი მეთაურობენ!..

და ვაი, იმ დროს, როდესაც
ველარ სჭრის ჭკუა-გონება,
და ყოველგვარი ღირსება
ვერცხლითა აიწონება!

როდესაც მონას უფალი
ზიზღითა თავზე აფურთხებს!..
მონა კი სამაგიეროდ
ფეხებს ულოკავს!.. აკურთხებს,
მაშინ აღარ ღირს სიცოცხლე,
სიკვდილი სანატრელია...
მაგრამ უძებრად შურისა,
ვაი, რომ ისიც ძნელია!..

[1884 წ. 3 ოქტომბერი]

პოეტი

ხან უგნური ვარ, ხან ბრძენი,
ხან არც ისა ვარ, არც ისა!
გარემოების საყვირი,
არც მიწისა ვარ, არც ცისა.

ნუ მკითხავ, მნახო უგნურად,
ნურც გაიკვირვებ ბრძნობასა:
სულ სხვა ჰყავს ხელისუფალი
ამ ჩემს გონება-გრძნობასა.

ეს გული, სარკედ ქცეული,
ბუნების ნათავხედია;
მხოლოდ მის სახეს გიჩვენებთ,
რასაც შიგ ჩაუხედია;

ენაც მას ამბობს, რაც სმენას
სხვისაგან გაუგონია,
ან თვალს უნახავს და ჭკუას
გაუზომ-აუწონია!

თქვენ რომ გგონიათ, ის არ ვარ,
სხვებს რომ ჰგონიათ, არც ისა!
შუაკაცი ვარ, უბრალო,
ხან მიწისა ვარ, ხან ცისა.

[1886]

ჭაღარა

ის აღარა ვარ, რაც ვიყავ,
ძნელი ყოფილა ჭაღარა...
ველარ გაჰკივის თამამად
ჩემი დაფი და ნაღარა.

გული არ იშლის გულობას,
მაგრამ ვერ მოსდევს ძალ-ღონე!..
ვარ ბევრი „ვაის“ მნახველი
და ბევრი „უის“ გამგონე.

ამევსო გული წვეთ-წვეთად
ნაღველითა და შხამითა,
ისე, ვით საუკუნენი –
სხვადასხვა მრავალ წამითა.

მაშ, რაღად მინდა სიცოცხლე
მე, აწმყო-გამწარებულსა,
თუ, ვისაც ვეტრფი, ვინც მიყვარს,
ვხედავ მას აოხრებულსა?

მაგრამ იმედი, ცის ნიჭი,
რომ გამიელვებს გლახგულსა,
თავი ტარიელ მგონია,
ოცნებით გარემოცულსა.

ვუხმობ ფრიდონს და ავთანდილს,
მხარი-მხარს მივსცეთ, ხელი-ხელს,
ნესტან-დარეჯან ქაჯებს ჰყავს,
მოელის ტურფა გამომხსნელს!

რა ვუყოთ, თეთრი მერიოს?!
სისხლით შევღებავ ჭაღარას
და სულ სხვა ხმაზე დავუკრავ
ამ ჩემს დაფსა და ნაღარას.

მაგრამ ვაიმე, რომ ეჭვი
მოუგზავნია ჯოჯოხეთს:
მაცდურ სარკეში მახედებს,
ოცნებას მიკლავს... გულს მიხეთქს!..

ამბობს: „ფრიდონ და ავთანდილ
ჯერ ვერ გადიხდის ომსაო!..
და შენც ტარიელს მოჰგავხარ
ისე, ვით კატა ლომსაო“.

მართალი არის, მაგრამ რა?
რისთვის დავჰკარგო იმედი?
გმირს წინა უძღვის ყოველთვის
უძლური წინამორბედი!..

არა! აყვავდეს იმედი!..
გულს ვერ გამიტეხს ჭაღარა!..
გმირებს უძახის... უყივის
ჩემი დაფი და ნაღარა!..

[1886 წ.]

* * *

იავ ნანა, ვარდო ნანა
იავ ნანი ნაო!
მაგრე ტკბილად, უდარდელად
რამ დაგაძინაო?

დედის მკერდში მიგიგნია
შენ ტკბილი ბინაო!
დაიძინე იავ ნანა,
ვარდო ნანი ნაო!..
–

დაიძინე გენაცვალოს შენი მშობელიო!
იავ ნანა, ვარდო ნანა
იავ ნანი ნაო!..
გაივსე და გაიზარდე
პატარა მთვარეო,
შეისწავლე და შეიტკბე
სამშობლო მხარეო.
ანუგეშე სადაც ნახო
მოძმე მწუხარეო,
შვილო, მამულის გულისთვის
სისხლი დაღვარეო.
იავ ნანა, ვარდო ნანა,
იავ ნანი ნაო!
–
პაწაწინა იადონო
და ვარდის კონაო,
ყური უგდე და ისწავლე
ჩემი ნანინაო!
თვალ ხილულად დაუკვირდი,
იცან ქვეყანაო,
რომ გაიგო ამ სოფლისა
ცრუ გამოცანაო,
მაგრამ ჯერ კი დაიძინე
ადრეა განაო,
იავ ნანა, ვარდო ნანა,
იავ ნანი ნაო!

[1888]

ნინოობას

იტირე, მიწავ, სამშობლოვ!
ზარი აუშვი, ზეცაო!
ისტორიულმა ღვთის რისხვამ
დღეს ჩვენთვის იორკეცაო!..

ენაც წაგვართვეს და რჯულიც,
ნათელი რამღა გვფინოსო?
„თამარ“ მონათლეს „თამარად“,
„ნინა“ დაარქვეს ნინოსო!

სად არის კუბო თამარის,
ქვეყნისა ნაამბორისა?
ვის ხელში არის საფლავი
ნინო მოციქულთ სწორისა?..

სადღაა ჯვარი ვაზისა,
შეკრული წმინდის თმებითა?
დასდუმდა მისი ტროპარიც,
ქართულის კილო-ხმებითა!

ქრისტეს სახელით ქრისტეს რჯულს
წვალება შემოერია
და ჩვენს ეროვნულ ფიცარზე
„ქართველი“ აღარ სწერია!

ვიტიროთ?!. არა! ვაჟკაცსა
არ შვენის ცრემლით გლოვანი!..
„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა
სიკვდილი სახელოვანი!“

[1891 წ.]

სატრფოს

მშვენიერო, შენ გეტრფი
შენი მონა, ერთგული!
შენთვის სულდგმულს, შენგანვე,
შენთვის მიძგერს ეს გული!

მეგულები ციხეში,
ცხრაკლიტულში მჯდომარე...
შეთვისებას გიპირებს
გაიძვერა მოყვარე!

ტკბილად გაჭმევს, ტკბილს გასმევს,
შეზავებულს ბანგითა,
დედის ხმაზედ გიმღერის
დედინაცვლის ჩანგითა.

გაუფრთხილდი! ნუ გჯერა
 მაგის ტკბილი ნანინა,
შენზე წინათ სხვაც ბევრი
მოხიბლა, შეაცდინა!

გაუმაგრდი განსაცდელს,
აიტანე ტყვეობა!
გშვენის ნესტან-დარეჯნის
მაგალითი... მზეობა.

ტარიელი დაგეძებს,
გავარდნილი დღეს ველად,
ავთანდილი ფრიდონით
მოდის გამოსახსნელად!..

რომ სისხლი და ცრემლები
მსხვერპლად შენ წინ დაღვაროს!..
აქ ცოცხლებს ჰსცეს ნუგეში
და იქ მკვდრები ახაროს.

[1892 წ.]

განთიადი

მთაწმინდა ჩაფიქრებულა,
შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა,
მნათობი სხივებს მაღლით ჰფენს
თავდადებულის საფლავსა.

დადუმებულა მთაწმინდა,
ისმენს დუდუნსა მტკვრისასა:
მდინარე ნანას უმღერის
რაინდსა, ურჩსა მტრისასა...

მთაწმინდა გულში იხუტებს
საშვილიშვილო სამარეს,
მამადავითსა ავედრებს,
აბარებს ქვეყნის მოყვარეს...

მგოსანი გრძნობამორევით
თვალს ავლებს არემარესა
და გულის პასუხს ნარნარად
უმღერის ტურფა მხარესა:

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დავბრუნებულვარ,
მკურნალად შემეყარეო!..

„ვერ ავიტანე ობლობა,
სისხლის ცრემლები ვღვარეო,
წამძლია სულმა და გულმა,
შენს ნახვას დავეჩქარეო.

„წინ მომეგებენ ღიმილით
შენი მზე, შენი მთვარეო,
გუნდი და გუნდი ვარსკვლავი,
მოკაშკაშ-მოელვარეო.

„გულში იფეთქა სიამემ,
სევდები უკუვყარეო,
ია და ვარდი დამჭკნარი
ხელახლად გამიხარეო!..

„ცა ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
სულის ჩამდგმელო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო!..

„ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს,
ზე კალთა დამაფარეო...
და, რომ მოვკვდები, გახსოვდეს.
ანდერძი დავიბარეო:

„დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ:
შენს მიწას მიმაბარეო,
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!“

[1892 წ.]

* * *

სანამ ვიყავ ახალგაზრდა,
და სიამით ძგერდა გული,
ვნატრობდი და არ მეღირსა
ბედუკულმართს სიყვარული.

როს დავბერდი, დავუძლურდი,
სახე დაჭკნა, დამეღარა, —
სიყვარული რაღათ მინდა,
გინდ იყოს და გინდა არა!

სიღარიბე კვალში მდევდა,
კარის-კარზე დამატარა,
აწ სიმდიდრე რაღად მინდა,
გინდ იყოს და გინდა არა!

ვინც მინდოდა სამეგობროდ,
ყველამ გვერდი ამიარა:
დღეის იქით მეგობარი
გინდ მყავდეს და გინდა არა!

უსამართლო დაცინებამ
ჩვენში ბევრჯერ გამამწარა,
ცხრა მთას იქით, რაღად მინდა,
გინდ მაქონ და გინდა არა!

ვისაც ვსთხოვდი შემწეობას,
ჩემთვის წყალიც არ დაღვარა,
რომ მოვკვდები, რაღად მინდა,
გინდ მიტირონ, გინდა არა!

სული კრული, გული წყლული,
სახე მჭკნარი, თმა ჭაღარა,
ამისთანა სიცოცხლეც კი
გინდ იყოს და გინდა არა!

[1893]

ხატის წინ

მიყვარს, როდესაც ხატის წინ
ანთია წმინდა სანთელი
და საიდუმლო პარპალით
ბნელს ფანტავს მისი ნათელი.

მყუდროდ, უხმოდ და უძრავად
დნება, ვით მსხვერპლი დიადი,
რომ მადლით გაასპეტაკოს
თვალუწდომელი წყვდიადი.

მივჩერებივარ ამ დიდ ძალს
მწარ-ტკბილად ჩაფიქრებული,
მეცა უსიტყვოდ, უძრავად,
ცის სვეტად გაქვავებული.

რაღაც უცნაურ ერთობას
ვხედავ სანთელს და ჩემს შუა,
მხოლოდ ვგრძნობ... თვარა ვერ წვდება
ჩემი გონება და ჭკუა.

სანთელი ჩემი ხორცია,
სიცოცხლე – მოკლე პატრუქი,
ნათელი – ჭკუა-გონება,
იმათგან გამონაშუქი.

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე – მთელი ქვეყანა,
და, რომ ვიწვოდე, ვდნებოდე,
არ შემიძლია მეც, განა?

კი... მაგრამ მნათე არსად სჩანს,
ჩემთან მომტანი ცეცხლისა...
ის მოციქული მომავლის,
მსგავსი ჭიკჭიკა მერცხლისა!..

[1894 წ.]

ზღვაო, აღელდი, აღელდი!

ზღვაო, აღელდი, აღელდი,
ქარტეხილს დაემორჩილე!
აამთაგორე ტალღები,
კიდეებს გადააცილე!

მარგალიტების სალარო
შენი უფსკრული გულია,
მყუდროების დროს ის განძი
ქვეყნისთვის დაფარულია.

მხოლოდ როდესაც მრისხანებ,
გულს უხსნი მზეს და მთვარესა,
იმ მარგალიტებს შესტყორცნი
შენს შემკვრელს არემარესა.

პოეტო! ნურც შენ ეკრძალვი
მრისხანე გულის ღელვასა!..
ძილის დროს ქუხილს ნუ მოშლი
და სიბნელის დროს ელვასა!

[1894 წ.]

სულიკო

საყვარლის საფლავს ვეძებდი,
ვერ ვნახე!.. დაკარგულიყო!..
გულამოსკვნილი ვჩიოდი:
„სადა ხარ, ჩემო სულიკო?!“

ეკალში ვარდი შევნიშნე,
ობლად რომ ამოსულიყო,

გულის ფანცქალით ვკითხავდი:
„შენ ხომ არა ხარ, სულიკო?!“

ნიშნად თანხმობის კოკობი
შეირხა... თავი დახარა,
ცვარ-მარგალიტი ციური
დაბლა ცრემლებათ დაჰყარა.

სულგანაბული ბულბული,
ფოთლებში მიმალულიყო,
მივეხმატკბილე ჩიტუნას:
„შენ ხომ არა ხარ სულიკო?!“

შეიფრთქიალა მგოსანმა,
ყვავილს ნისკარტი შეახო,
ჩაიკვნეს-ჩაიჭიკჭიკა,
თითქოს სთქვა: „დიახ, დიახო!“

დაგვქათქათებდა ვარსკვლავი,
სხივები გადმოსულიყო,
მას შევეკითხე შეფრქვევით:
„შენ ხომ არა ხარ სულიკო?!“

დასტური მომცა ციმციმით,
სხივები გადმომაყარა
და იმ დროს ყურში ჩურჩულით
ნიავმაც ასე მახარა:

„ეგ არის, რასაც ეძებდი,
მორჩი და მოისვენეო!
დღე დაიღამე აწ ტკბილად
და ღამე გაითენეო!

„სამად დაშლილა ის ერთი:
ვარსკვლავად, ბულბულ, ვარდათო,
თქვენ ერთმანეთი რადგანაც
ამქვეყნათ შეგიყვარდათო“.

მენიშნა!.. აღარ დავეძებ
საყვარლის კუბო-სამარეს,
აღარც შევჩივი ქვეყანას,
და არც ვღვრი ცრემლებს მდუღარეს!..

ბულბულს ყურს ვუგდებ, ვარდს ვყნოსავ,
ვარსკვლავს შევყურებ ლხენითა
და რასაცა ვგრძნობ მე იმ დროს,
ვერ გამომითქვამს ენითა!

ისევ გამეხსნა სიცოცხლე,
დღემდი რომ მწარეთ კრულ იყო,
ახლა კი ვიცი, სადაც ხარ:
სამგან გაქვს ბინა, სულიკო!..

[1895 წ.]

სიზმარი

ერთხელ მხოლოთ, ისიც ძილში,
ქართველ ქალთა ვნახე კრება;
გეფიცებით, მისი ნახვა
ახლაც ისევ მენატრება!

ტახტზე იჯდა თამარ მეფე,
მომხიბლავი, ეშხიანი!..
მარცხნივ უდგა თინათინი,
მარჯვნით – ნესტან-დარეჯანი.

გარს ეხვიენ სხვა ქალებიც,
როგორც მთვარეს ვარსკვლავთ კრება,
ცალ-ცალკე და ყველა ერთად
სიცოცხლე და ნეტარება!..

შემოვიდა რუსთაველი,
ის სულმნათი და მგოსანი,
ხელში ეპყრა მოწიწებით
მისი „ვეფხისტყაოსანი“.

თაყვანი სცა სწორუპოვარს,
მის წინ მუხლი მოიყარა...
გაიღიმა ტახტზე მჯდომმა
და ცრემლები გადმოღვარა!..

მზის ჭიატის დარი იყო
უცნაური ის ღიმილი,
და თვით გრძნობის ორჭოფობაც
ცრემლში იყო ჩალესილი;

მასაც მგოსნის თანაგრძნობა
გულში ედვა, როგორც ქალსა,
მაგრამ უნდა დაეჭირა
თავი, როგორც დედოფალსა!

ბრძანა: „გმადლობ, ვერ გადვიხდი,
როგორც მეფე, დღეს შენს ვალსა, –
უკვდავების მოსახვეჭად
მიგაპირებ მომავალსა!..“

მიუბრუნდა მერე იქ მდგომ
ნესტანსა და თინათინსა:
„თქვენ გილოცავთ ამქვეყნიურ
სიყვარულს და შვება-ლხინსა!

„გიანდერძებთ საქმროთ ყველას
ტარიელს და ავთანდილსა,
რომ ქართველი ქართველ გმირათ
გამოზრდიდეს შვილიშვილსა!“

ეს რომ ბრძანა, ნათლის სვეტათ
გადმოეშვა ცისარტყელა...
აიტაცა შუქმა შუქი
და მას გაჰყვა თანვე ყველა!..

მე კი დავრჩი... შემეშინდა!..
მიმოვავლე გარს თვალები,
და რა ვნახე იმათ ნაცვლათ?!
სხვა ხალხი და სხვა ქალები!

არც თამარი, არც თინათინ,
აღარც ნესტან-დარეჯანი!..
აღარც ერთს არ ეტყობოდა
ქართველობის რამ ნიშანი...

გული დამწყდა!.. გამეღვიძა,
ნაღვლიანათ გამეცინა!..
ვსთქვი: „ნეტავი არ მენახა,
საუკუნოთ დამეძინა!“

[1898 წ.]

* * *

რაც არ იწვის, არ ანათებს, –
უჩინარათ ლპება ნელა,
მოდი, დამწვი, სიყვარულო,
მიაშუქე, სადაც ბნელა!

ერთი წამიც კი სიცოცხლის,
თუ სხივების მომფენია,
უსინათლოს და უგრძნობელს
საუკუნოს მირჩევნია.

მართალია, მთას რომ დასთოვს,
თან სიგრილეც ბარში დაჰკრავს!
თავზე თეთრი, თმა ჭაღარა
გულს აგრილებს, გრძნობას ჩაგრავს;

მაგრამ ადგილს, ცეცხლის მფშვენელს,
სადაც დაგავს გეენია,
ეს კანონი საზოგადო
თავიდანვე ასცდენია.

პოეტის გულს, გახურვებულს,
სადაც ელავს, ღელავს გრძნობა,
რას მოუშლის თმას ჭაღარა?
რას დააკლებს ხნოვანობა?

მრწამს სიწმინდე სიყვარულის
ისევ ისე, როგორც ძველათ
და გულს ვუგებ საკურთხევლათ,
ზედ სიცოცხლის დასაწველათ!

თუმც ეს მსხვერპლი საიდუმლო
საიდუმლოთ იწვის, ჰქრება,
მაგრამ ზოგჯერ ჩუმ ტანჯვაშიც
არის დიდი ნეტარება...

[1898 წ.]

<ტასო მაჩაბლისას>

მთელი ჩემი სიცოცხლე
ტანჯვაა და ვაება,
ამირანის ჯაჭვებით
დაბმული უკვდავება!

ბედმა დამწვა, დამდაგა,
გადამასხა მდუღარე!..
მაგრამ გავუძლებ ტანჯვას,
შენ თუ მისხივცისკარე.

1904 წ., იანვრის 25-ს

თქვენი ჭირიმე

ამ დღეს ველოდი, მოვესწარ!
ვიცინი, აღარ ვსტირი მე!
ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ
გამოდით, თქვენი ჭირიმე!..

ბევრი რამ მითქვამს... რომ მეთქვა,
დავიმახინჯე პირი მე!..
ახლა არ გვგლეჯენ ენასა,
– სთქვით რამე, თქვენი ჭირიმე!

„ასჯერ გაზომეთ და ერთჯერ
გამოსჭერთ“, ახლაც ვყვირი მე,
ნუ აჩქარდებით! ნურც შიშობთ,
გამტკიცდით, თქვენი ჭირიმე!

ბევრი ვეცადე ძირმწარეს
ვერ გავუთხარე ძირი მე,

ახლა კი თქვენი ჯერია,
დაჰბარეთ, თქვენი ჭირიმე!

კუბოს კარამდე მისული,
რაღა ვარ, განაწირი მე?
მაგრამ თან თქვენი იმედი
მიმყვება, თქვენი ჭირიმე!

ნუ გამიმტყუნებთ იმედსა,
ხომ ხედავთ, აღარ ვსტირი მე!
დრო მოდის – ერთად ვიცინოთ!
ვიცინოთ, თქვენი ჭირიმე!

1905 წ., 6 მარტი, ტფილისი.

მოთქმა

ნუ ეხუმრებით ქართულ მიწა-წყალს
და ნუ ადგამთ ბიჯს ზედ წარამარად!
ის არის ჩვენთვის „წმინდა-წმინდათა“,
უნდა გვახსოვდეს მარად და მარად.

აბა, ერთ გოჯას თუ სადმე ნახავთ,
რომ ის არ იყოს სისხლით მორწყული!
იმის სიღრმეში ჩამარხულია
ჩვენი წინაპრის სული და გული!..

დიახ!.. თავს სდებდენ სამშობლოს მსხვერპლად,
ვერ აშინებდათ მათ ცეცხლის ალი,
ოღონდ კი ჩვენთვის მით გადმოეცათ
ეროვნებასთან მიწა და წყალი.

გადმოგვცეს კიდეც; კურთხეულ იყოს
სამარადისოდ მათი ხსენება!

და ვინც უმტყუნებს მათ წმინდა ანდერძს –
იმათ კი წყევლა და შეჩვენება!

რა უფლება აქვს ვისმეს გაჰყიდოს,
სისხლი და ძვალი მამაპაპური,
და მით პირადად რომ მოიპოვოს,
უძღებ შვილივით დღიური პური?

მაგრამ უფლებას დღეს ვინღა დასდევს?
განა „კაცობა“ ეთქმის დღეს ქართველს,
ნახევრად მძინარს, ყოვლად უგულოს
და ცხოვრებაში გამოურკვეველს?

ვაი, რომ არა! დიდი ხანია,
რაც გაარისხეს იმათ უფალი,
და გაატანეს მტერსა და ორგულს,
მამაპაპური მიწა და წყალი!..

ზოგი გაყიდვით, ზოგი წართმევით,
ზოგიც უფლების ჩამორთმევითა
და ყველამ კლიტე დაადვა ენას,
საუკუღმართო აღმა კმევითა!

ამას მოვსთქვამდი! ამას ვსტიროდი!..
ცრემლებმა სახე დაწვა-დაღარა,
და დღესაც მასვე ვსტირი და მოვსთქვამ...
ცრემლით სველდება ჩემი ჭაღარა.

[1905 წ.]

„დიდება მაღალთა შინა“

არც მყვარებია, არც მიყვარს,
არც მდომებია, არც მინდა,
არც მწამებია, არცა მრწამს
შენს გარდა კიდევ სხვა წმინდა!

რომ გკოცნი, დედა მგონიხარ...
გეხვევი – შვილი უმანკო,
„დიდება მაღალთა შინა“...
დიდება, ვინც შენ შეგამკო!

მე შენი მსგავსის ამ ქვეყნად –
დავბერდი – არ ვარ მნახველი!..
გამიძირტკბილე სიმწარე...
თაფლად მიქციე ნაღველი!

შენი ღიმილის ჭირიმე
და შენი ამოოხვრისა,
მაღლიდან ჩამოტანილის
ციური მიხვრა-მოხვრისა!

დედა ხარ!.. დედა ობოლი,
ქართველად მზდელი შვილისა,
სამშობლოსათვის სამსხვერპლოდ
შემომწირველი წვლილისა!

ამან გამსჭვალა მგოსნისაც
უბიწო გრძნობა-გონება
და მარად გულში ჩაუდვა,
თაყვანისცემით მონება.

მადლი შენს გამჩენს, ლამაზო!
„დიდება მაღალთა შინა“,
ვინც შენსა გრძნობა-გონებას
ქვეყნად ნათელი მოჰფინა!..

1906 წ., 10 ივლისი, საჩხერე.

გამოთხოვება

ჩემი სცენაზე გამოსვლის,
ღმერთმანი, დრო აღარ არი!..
თუ ზეთი გამოელია,
რას გაანათებს ლამპარი?

სიჭაბუკეა ლამპარი
და ზეთი სიყვარულია,
მე კი ორივე დავკარგე,
და მით სიცოცხლე კრულია!

ახლა სცენაზე გამოსვლის
დრო აღარ არის, აღარა!
და გეთხოვებათ ამიერ
ჩემი საბრალო ჭაღარა!

[1906 წ. 3 დეკემბრამდე].

ჩაფიძრება

მეც მივდივარ, შენც მიდიხარ,
გეთხოვები, საქართველო! —
მეც ვსჭკნები და შენცა სჭკნები,
როგორც ზამთრის პირად მდელო!

თვით ბუნების კანონია,
მე რომ დავსჭკნე ვით ფოთოლი,
სამერმისოდ სხვა გამოვა
ჩემი სწორი, ჩემი ტოლი!

მაგრამ შენ, ხევ ცხოვრებისა
და აკვანო მთელი ერის,
მომავალი შავბედითი
სიკვდილის ზარს რად გიმღერის?!

რაც კი გქონდა სისხლად, ხორცად,
შენაძენი ათასწლობით, –
მთლად მოგიკლა ასმა წელმა
თავალთმაქცურის საძაგლობით.

მოგიხიბლა თვალი, გული,
გიქარგავდა ზედაპირსა,
მაგრამ მითი, იმავე დროს,
როგორც ჩრჩილი, ხრწნიდა ძირსა!

და აღარ ხარ, რაც იყავი:
ჰხმები, სჭკნები ნელა-ნელა.
ათასის წლის ჭირნახული,
ასმა წელმა მოგინელა.

რაც რომ მტრობამ ვერ დაგაკლო,
ის მოყვარემ აგისრულა:
სულ ხელის სმით და „ნანინით“,
შენი ძირი გამოხრულა.

შენს წაქცევას და დამხობას,
„ასი წელი“ შემოჰყურებს.
შენ წახვალ და სხვა შემოვა,
შენს ნადგომზე ისადგურებს.

მე ის მტანჯავს, ის მაწუხებს
და ის მიხეთქს ასე გულსა,
რომ აღარვინ არ გიყურებს,
მოსარჩენსა ვით სნეულსა!

და, პირიქით, ხელს უწყობენ,
მაგ შენს მალე წამოქცევას,
ჰგმობენ წარსულს და ერთპირად,
უგზავნიან კრულვა-წყევას.

ამნაირად ჩაიდენენ,
მხოლოდ მტრების ხელსაყრელსა,
თავი მოაქვსთ მშრომელ მუშად,
სამშობლოს რომ სჭრიან ყელსა!

რაღა გვეთქმის? რომ კიდეც ვსთქვათ,
სადღა არის, ვინ, გამგონე?
ბრძოლა! ბრძოლა! მაგრამ, ვაი!
მიხდილი მაქვს დამჭკნარს ღონე.

და მიტომაც გეთხოვები,
შავბედითო საქართველო!..
მაგრამ შენ კი მაინც სინჯე,
ეგებ მითი თავს უშველო!

გაახილე თვალი! ნუ გრწამს
გარეშემო ვარდი, ია!..
სანამ გულში უჩინარად
ჩაგჯდომია ჩრჩილი... ჭია!

[1907-1908 წ. წ.]

ანდერძი ჩემს შვილს

გულს ნუ გაიტეხ, იყავ მხნე,
რაც უნდა ჭირში ჩავარდე,
ცხოვრების დახლართული გზა
უშიშრად გაინავარდე!

ყველა გიყვარდეს და ცოდვაც,
შეუნდვე წრფელის გულითა!
მით ამაღლდება მდაბალი,
სხვებისგანც სიყვარულითა.

მარტო შენს თავზე ნუ ზრუნავ,
სხვებიც გახსოვდეს მარადა,
შრომა აიღე მახვილად
და მოთმინება ფარადა!

აი, ეს არის ამქვეყნად,
შვება და ბედნიერება
და უკვდავების მარადი,
უჭკნობი მშვენიერება!

1909-სა წ., 1 ივნისი

გლოვა

სად არის კუბო თამარის
ქვეყნისგან ნაამბორისა?
ვის ხელში არის საფლავი,
ნინო მოციქულთ სწორისა?

სადღაა ჯვარი ვაზისა,
შეკრული წმინდის თმებითა?
დასდუმდა მისი ტროპარიც,
ქართულის კილო-ხმებითა!

ქრისტეს სახელით, ქრისტეს სჯულს,
წვალება შემოერია
და ჩვენ ეროვნულ შტოებზე,
„ქართველი“ აღარ სწერია.

ვიტიროთ? არა! ვაჟკაცსა,
არ ჰშვენის ცრემლით გლოვანი!..
„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა
სიკვდილი სახელოვანი“.

[1910 წ.]

ნატვრა

როდშილდის ქონება მე,
შექსპირის გონება მე,
ყველაზედ უფროსობა,
შენი კი მონება მე.

შევარდნისა ფრენა მე,
ბულბულისა ენა მე,
და შენ გამო, შენგან მე
ტკბილი ცრემლის დენა მე.

სხვა ვინატრო რაღა მე?
რაღა დღე და რა ღამე?
როცა შენმა სიშორემ
გული დამიდაღა მე!

უკანასკნელი ლექსი

აღარ გსურს ჩემი ანთება,
მნათე ხარ სხვისი ლამპრისა!..
დამწუნებელო ბულბულის,
გიყვარს კაჭკაჭი სხვა მხრისა!..

უშენოდ ვეღარ ჭიკჭიკობს,
ენა ჩავარდა ბულბულსა,
მოუახლოვდა სიკვდილი,
შხამი აპკურა მის გულსა.

მაგრამ ეს შენთვის ერთია:
ცოცხალი ვიყო, გინდ მკვდარი!..
აღარ აენთვის აწ სხვისგან,
ჩემი დამქრალი ლამპარი!

ჩემი სიმღერა

ტიალმა წუთისოფელმა
ნაღველი დამალევია,
არც მომკლა, არც დამარჩინა,
არც სული დამალევია.

გაჩენის დღესა ვიწყევლი,
სიცოცხლის წამსა ვაჩვენებ;
მატყუარ სოფელს ვატყუებ:
რასაც ვგრძნობ, მას არ ვაჩვენებ!

ცრემლი რომ მაღრჩობს, ვიცინი...
ჩემი პირბადე ის არი!..
სხვას ხელთ რად მივსცე ჯირითად
მე ჩემი გულის ისარი?!

ჩემი ეკალი სხვებისთვის
იაა, ზამბახ-ვარდები.
თავო, ნუ ეძებ თანამგრძნობს, –
სისულელეში ვარდები!

სჯობს, ისევ მწარე სოფელმა
ნაღველი დამალევიოს,
არც მომკლას, არც დამარჩინოს,
არც სული დამალევიოს!

პოემები

თორნიკე ერისთავი

(ისტორიული პოემა)

ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა
და ან ცაზედ ვარსკვლავები?
ვინ შეამკოს ღირსეულად
ქართველ გმირთა მხარ-მკლავები?
ვინ მოგვითხრას მათი საქმე
უთვალავი, საგმირონი,
და ან მათზედ გადმოსული
მადლი ღვთისა და მირონი?
ნაშთი ძველი დიდებისა
არ გამქრალა ჯერაც ყველა...
დღესაც მისის შარავანდით
ნიშანს გვაძლევს ცისარტყელა!..
შვიდ სამთავროს მოგვაგონებს
მოელვარე ის, შვიდ ფერი
და გვიმღერებს: „არ მომკვდარა,
გაიღვიძებს ისევ ერი!“
ამ იმედით ფრთა შესხმული
ჩვენი გული სიამით სძგერს
და ოცნებაც ლაჟვარდ ფერად
წარმოგვიდგენს ქართლისა ერს.
წარსულ-ნერგზედ ახალ-ნამყნის
ველოდებით შეხორცებას!
მით ვიქარვებთ აწმყო ნაღველს
და ვეძლევით აღტაცებას.

კარი პირველი

I

მეფე დავითს კურატ-პალატს,
ჰქონდა ერთხელ წვეულება:
– მშვიდობის დროს ჩვენს მეფეებს
ჰქონიათ ეს ჩვეულება –
საქართველოს ყოველ კუთხით
მოეყარა თავი ერსა,
ილხენდნენ და გაჰკიოდნენ
ერთხმად „მრავალჟამიერსა“.
და, მართლადაც, რომ შვენოდათ
მაშინ იმათ ეს მოლხენა,
რადგან იმ დროს გადმოსული
იყო ქართლზედ მადლი ზენა:
გარე მტერი დათრგუნვილი
შუღლს მათ ვეღარ უბედავდა
და შინაგან მშვიდობასაც,
ვინ იყო, რომ ვერ ჰხედავდა?..
ამით გული უხაროდათ
ბატონს და ყმას, ყველას ერთად,
კაცსა კაცად აფასებდენ,
ადიდებდენ ღმერთსა ღმერთად;
საქმის დროზედ მუშაობდენ,
უქმე დღეზედ მოილხენდენ,
მეფე ხალხს და ხალხი მეფეს
სიამესა გულს მოჰფენდენ.
მთვრალობა და „სადღეგრძელო“
სათვითოო არ იცოდენ;
ჩვენი ლხინი რომ ენახათ,
სირცხვილითაც დაიწვოდენ.
პირველ სმაზედ ახსენებდენ
საქართველოს და უფალსა,
დღეგრძელობით თაყვანს სცემდენ

მეფესა და დედოფალსა.
ბოლოს გმირებს იგონებდენ,
მამულისთვის ომებში მკვდარს,
და მღვდელ-მთავრის კურთხევითა
სვამდენ იმათ შესანდობარს...
სულ ამითი თავდებოდა
მაშინდელი სადღეგრძელო,
თუმცა მათში მეტი იყო
საქები და სასახელო.
ამ გვარივე იყო იმ დღეს
ზომიერი ჭამა და სმა;
მოილხინეს, გაშაირდენ
და ერთმანეთს სტყორცეს მათ ზმა.
ორ-აზროვან სიტყვებისა
გაიმართა გამოცანა...
ყველას მეფის ხუმარა სჯობს,
არვინ არის იმისთანა.
მაგრამ ბოლოს ორბელიძე
მოსწრებულად, გალექსულად,
ცალფეხ-ზმების საპასუხოდ
ეუბნება ორლესულად:
„– მაღლით წვიმა მოდიოდა,
„ნაბადმა ვერ დამფარაო,
„დამასველა მან, თავიდამ
„ფეხებამდე მ ა ს ხ ა რ ა ო!“
ხუმარამ სთქვა: „გიჯობნია,
თითს მოვკაკვავ მორჩილადო,
მაგრამ ერთს-კი მოგახსენებ
მოწიწებით და ფრთხილადო:
„– ხუმარათაც ვარგებულხარ,
„ვაჟკაცობით პირველიო,
„მაგრამ ვერ იქმ თორნიკობას,
„თუმც მის ადგილს ს უ ლ ე ლ ი ო!“

აქ თორნიკეს ხსენებაზედ
მეფე შეკრთა და ეს ბრძანა:
„– სთქვი, ხუმარავ, თუ რას ჰნიშნავს
ეგე შენი გამოცანა?
რა არის, რომ დღეს ჩემ გვერდით
დიდ-თორნიკეს ვერ ვხედავო.
მომიკვდა თუ დასნეულდა?..
სთქვი! ტყუილს ნუ მიბედავო“!
მოახსენა: „არ მომკვდარა,
არც სენი რამ აწუხებსო,
მაგრამ ქვეყნის სამსახურზედ
დღეიდანკი ხელს იღებსო.
თვით ვერ ბედავს მოხსენებას,
მოციქულობს ვერცა სხვაო,
რადგან უნდათ აიცილონ
თქვენი წყრომა და რისხვაო.
აწ გავბედე მოხსენება
ზმებითა და გადაკვრითო
და ნუ მრისხავ კადნიერსა,
გევედრები ცრემლის ღვრითო!..“
მეფემ ბრძანა: „–არ გიწყრები,
გმადლობთ, ვფიცავ ჩემსა მზესო,
მაგრამ ვნახავ ერისთავსა,
გამოვკითხავ მას მიზეზსო“!
სახლთ-უხუცესს დაუძახა:
„ხვალ თორნიკე მომგვარეთო,
მომინახეთ, სადაც იყოს,
შინ დაგიხვდესთ, თუ გარეთო“!
ეს ბრძანა და ზე წამოდგა,
ნადიმიცა მით გათავდა
და ხვალისთვის დაიბარა
სადარბაზოთ, ვინც იქ ჰყავდა.

II

გამართულია დარბაზი,
ერიც სამსჯავროდ შეყრილი...
წინ სდგას თორნიკე პირ-ნათლად,
წარბიც არა აქვს შეხრილი.
თავი ჩაიგდო სამსჯავროდ,
მიჰყვა საერო ნებასა,
ჯერ ელის მისგან ბრალდებას
და მერე განჩინებასა.
აბრძანდა მეფე ბრალ-მდებლად,
ამას კანონი ითხოვდა,
და თაყვანი სცა კრებულსაც,
სანამდი სიტყვას იტყოდა.
თვალამღვრეულად შეხედა
თორნიკეს მრავალ-წლიანსა;
სიტყვები ყელში ეჩრება,
უმისოთ სიტყვა-წყლიანსა.
ბრძანებს და მისსა სიტყვასა
ყურს უგდებს მთელი კრებული;
კრძალვით მოისმენს თორნიკეც,
სხვაგვარად ჩაფიქრებული.
ამბობს: „– მბრუნავი ქვეყანა,
ვიცით, რომ ცვალებადია;
ვისაც მიინდობს, გასწირავს,
მისთვის მახე და ბადია.
მოყვარეს გადაამტერებს,
მტერსა გაუხდის მოყვრადა,
დღევანდელს ლხენა-სიცილსა
ხვალ გადაუქცევს ოხვრადა.
კაცობრიობის დიდება
მას მიაჩნია ჩალადა
და შეუქმნივართ ჩვენ მხოლოდ
ამ სოფლის მაჩანჩალადა!..

შემცდარი არის, ვინც ჰფიქრობს
მედიდურ უეჭველობით!
ან ერთი რა ვართ ამ სოფლად
უსუსურ ჭიანჭველობით?
თუმცა ესე სჭრის გონება,
რომელიც უტყუარია,
მაგრამ ადამის სისხლმა კი
ჩვენი ცხოვრება არია.
გული, მეურჩე თავისა,
ცხოვრების წინამძღვარია
და ამის გამო ჩვენ საქმეს
და სიტყვას შუა ზღვარია!
ხშირად მონურად ვასრულებთ
დღეს, რაც რიგი და წესია,
და იმას ვიმკით კანონად,
რაც ძველ დროს დაუთესია!..
მეცა ადამის შვილი ვარ,
თქვენსავით შვილი ქართლისა,
თავდადებული ქვეყნისთვის,
მაძიებელი მართლისა.
მაგრამ მეფე ვარ დღეს თქვენი:
ხელთა მაქვს მეთაურობა!
საქმის დროს საქმე შემშვენის
და ხუმრობის დროს – ხუმრობა.
გუშინ რომ გული მილხენდა,
თქვენც ლხინად მყავდით წვეული;
და დღეს კი გიწვევთ სამსჯავროდ,
გულზედა სისხლ მოთხეული.
ერთ-კაცის ნდობა ძნელია,
გინდა გადიქცეს გონებად,
და შეუმცდარი ამ ქვეყნად
მეფეცა ნუ გეგონებათ!
ჩვენის წინაპრის გონებას

ადრევე გადუწყვეტია,
რომ სამსჯავროში ისა სჯობს,
მსაჯული რაც რომ მეტია!
და, აჰა, მეცა შეგყარეთ
სამსჯავროთ, როგორც წესია...
თქვენ ჰსაჯეთ და მე ავირჩევ,
რომელიც უკეთესია:
თორნიკე მხედართ მთავარი,
თითქოს ხახვს გვაჭრის ყურზედა,
მოულოდნელად ხელს იღებს
საერო სამსახურზედა.
გვიწუნებს გმირი სარდლობას,
აპირებს მოსვენებასა;
არც დასდევს მეფის სურვილსა,
არც ითხოვს ხალხის ნებასა...
დიდ-მამულიშვილს ურჩობა
ქვეყნის არ შეეფერება!
ვერ მივხვდი... მეტად მაკვირვებს
ამ გვარი კადნიერება!
სწორედ აქვს რამე მიზეზი,
შესაწყნარ-პატივ-სადები,
თქვენგან არ დასაფარავი,
საეროდ გასაცხადები.
და უნდა გვითხრას სახალხოდ,
მისთვის მყავს მოწოდებული,
რომ არვინ დარჩეს ჩვენგანი
ხალხისგან ბრალ დადებული.
თორემ, ხომ იცით, ქვეყანა
უბრალოდ დამძრახველია:
განა გონებით გადასწყვეტს,
რისიცა არმნახველია!..“
ეს სთქვა და ტახტზე დაბრძანდა
მეფურად მეფე სვიანი,

გვერდით მოუსხდენ მსაჯულად
მოხუც-ჭაღარა-თმიანი.
მერე სხვებიცა ჩამოჰყვენ,
დასხდენ რიგ-რიგად ყველანი...
მდივანს მზათა აქვს ქაღალდი,
საწერ-კალამი, მელანი.
აქ ჩამოვარდა სიჩუმე,
პასუხს ელიან სარდლისას,
წრფელ-სინიდისის მექონის
და მასთან სიტყვა მართლისას.

III

ახოვანი, მშვენიერი,
თეთრ-წვერა და თეთრ-თმიანი,
წინ წამოდგა სასაუბროდ
მოწიწებით ტკბილხ-მიანი.
თაყვანი სცა პირველ მეფეს,
მერე კრებულს ორივ მხრითა,
გულზედ ჯვარად ხელებს იჭდობს,
თავ-დახრილი, ცრემლის ღვრითა.
წვერ-ულვაშზედ მარგალიტებრ
ცრემლი ცრემლზედ ეკიდება,
მწარის ოხვრით ვერ იქარვებს,
გულს რომ ცეცხლი ეკიდება...
უკვირს, რომ ამ სამსჯავროში
უმიზეზოდ ის ჩავარდა
და რომ მასზედ გულს იყრიან
ისინი, ვინც მას უყვარდა.
გულნატკენად რომ უყურებს
სხვებს, თვითონაც გული სწყდება,
მაგრამ თავის პირადობა
აღარ ახსოვს – ავიწყდება.
და საერო ნება-სურვილს

მორჩილებით აძლევს პასუხს
და თან-და-თან მისი სიტყვა
შეუპოვრად სჭექავს და ჰქუხს:
„–ვფიცავ იმ პირველ მიზეზსა,
ყოველ მიზეზის მიზეზსო,
ვიფიცავ საქართველოსა
და მერე, მეფევ, თქვენს მზესო,
რომ მართალი ვარ იმაში,
რაზედაც ბრალს მდებთ თქვენაო!
დაბლა ეს გული მიმოწმებს
და მაღლა – ღმერთი ზენაო:
მართალი არის, დღეიდან
რომ ვსტოვებ სამსახურსაო,
თუმც გული ჩემი ერთგული
ძველებურადვე ხურსაო.
თქვენ რომ გშორდებით, მით ვკარგავ
ხორციელ ნეტარებასო...
ვერ ხედავთ გულ დაწყვეტილის
მოხუცის მდუღარებასო?
მაგრამ მივჰყვები საგანსა
აწ უფრო უდიდესსაო;
ის მარღვევინებს გაბედვით
ჩვენს ჩვეულებრივ წესსაო.
დრომ მოითხოვა აწ ჩემგან
სხვა გვარი სამსახურიო
და, რომ უარვჰყო, დავრჩები
ძველზედაც უმადურიო...
ეჰ, მეფევ! ბრალს რათ მადებდი
შენს ერთგულს, ფეხთა მტვერსაო,
რომ სამსჯავროში მაგდებდი,
ვით ორგულს... ქვეყნის მტერსაო?
იძულებით ვარ აწ მთქმელი
ყოვლის ფრის უნაკლულოდო,

რაც გულმა გადამიწყვიტა
მხოლოდ მე საიდუმლოდო!
თქვენი ნებაა!.. მონა ვარ
მე თქვენის სურვილისაო!
სიტყვაა მხოლოდ წამალი
გულისთქმის, ურვილისაო“!
მოხუცმა ამ სიტყვების დროს
ცრემლები ღვარა მრავალი
და უნებურად დაიწყო
თვისი თავ-გადასავალი:

IV

„მწარ-წარსულის მოგონებით
თქვენ წინ მთქმელი ვარ ამისა,
რომ მომსწრე ვარ საქართველოს
შავი დღის და ვარამისა...
ბევრს თქვენგანს ის არც კი ახსოვს,
იქნებოდით მაშინ ბალღი,
მაგრამ მე კი დღესაც გულზედ
მაშინდელი მაზის დაღი!
ცამან რისხვით მოგვიქუხა,
საქართველოს ადგა ბუნდი,
მონავრულად გვესევოდა
ყოველის მხრით მტრისა გუნდი.
მოგვაწვენ და მოგვაზვირთდენ
ერთიანად ჩასანთქელად...
რაც რომ მაშინ ჭირი ვნახეთ,
ძნელი არის აწ სათქმელად.
ეს პატარა საქართველო
ჯარასავით დატრიალდა,
გადიწერა რა პირჯვარი,
გაფოლადდა და გასალდა...

მოხუცი, თუ ახალ-გაზდა,
ერის კაცი, თუ სამღვდელო,
ყველა ერთ მხრივ მიიწევდა,
ერთი ჰქონდათ ყველას ლელო!
სადღა იყო განსხვავება?
რის ბატონი? ან ვისი ყმა?!
ყველა ერთად შეკავშირდა,
ერთი ჰქონდათ მათ გულის თქმა:
რომ გულწრფელად მოეხადათ
ქართლის შვილებს მათი ვალი
და სიკვდილით გამოეხსნათ
ჩვენი ქვეყნის მომავალი!
მამა-პაპის განთქმულ ფარ-ხმალს
უმატებდა შვილი ფასსა
იმითი, რომ ლომ-კაცურად
შეებმოდა ერთი ასსა.
„ჰკრა მაგის“ ხმა ყოველის მხრივ
მოისმოდა მტრის საზარი
და იმ გრგვინვას ბანს აძლევდა
საორკეცოდ მთა და ბარი.
სისხლით მორწყეს ტყე და ველი,
შეიღება წითლად მდელო;
აღდგომის კვერცხს დაემსგავსა
ჭირ-ნახული საქართველო!
განახევრდა ქართველობა...
მაგრამ მტერს კი სძლიეს მათ ღვთით
და თამამად დაიძახეს:
„საქართველო აღსდგა მკვდრეთით“!
და მართლაც რომ გამოიხსნეს
განწირული, სულთა მბრძოლი
და გადმოსცეს შვილიშვილთა,
მარგალიტი, ვით ობოლი!..
მხედართ-მთავარ-უხუცესად

იყო მაშინ იოანე,
შემდეგში რომ ბერათ შესდგა,
დღეს ულუმბოს აქვს სავანე.
სანამ მტერი გარს გვეხვია,
მძვინვარებდა, ვითა ლომი;
გოლიათის შებმას ჰგავდა
მისი ბრძოლა, მისი ომი.
მტრისა ისრით გამხვრეტელი
ხმალს ულეწდა, ფარს უხევდა;
ხშირად მამა-პაპის სისხლზედ
თავისასაც ზე ანთხევდა...
ჯოჯოხეთის რისხვა იყო
მისი რისხვა, მისი ვნება;
სანამდი კი მტერს ჰხედავდა,
არ იცოდა მოსვენება.
მაგრამ, როცა საქართველო
ნახა გმირმა დამშვიდებით,
სხვა მაღალ მთას მიაშურა
გალობით და ღვთის დიდებით.
მან ფარ-ხმალი აიყარა,
მოურიდლად თვისის ნებით
და თავსაც ვერ იმართლებდა
ის ჩემსავით მხცოვანებით.
მხოლოდ უთხრა დარაზმულ ჯარს,
„უქმია აწ ფარ-ხმალიო!
აწ სხვა მმართებს სამსახური
და მიმიწევს სხვა ვალიო!“
დაგვლოცა და მისი ხმალი
გადამკიდა, მისგან რჩეულს;
თაყვანი ვეც მორჩილებით,
როგორც მამას, მეც კურთხეულს.
მითხრა: „–თორნიკ! ჰა, შენ გქონდეს
სარდლობა და ჩემი ხმალი;

ვინძლო ღირსად აასრულო
მომავალში შენი ვალი!..“
ამ სიტყვებმა მომიმატეს
მე სიმხნე და ერთგულება,
გულმა იწყო ფოლადობა
და სულმაცა ამაღლება!
თუმცა ამგვარ დიდებისა
უღირსად თავს ვიგულებდი,
მაგრამ მაინც უნებურად
დღემდი ჩემს ვალს ვასრულებდი.
ავათ იყო ის, თუ კარგად,
თქვენს ხელთ არის დაფასება:
მე არ მფერობს ჩემის თავის
არც გინება და არც ქება!
ვიტყვი მხოლოდ: ხმა ისმოდა
თქვენგან ჩემის პირველობის
და მე მხოლოდ ვთავ-კაცობდი,
შემწირველი დიდ-მადლობის.
მეფისა და სამშობლოს წინ,
მართალია, მიძღვის ღვაწლი,
მაგრამ, მეფევ, სხვას დავუთმობ
აწ სამსახურს... სხვას დავაცლი!
იმიტომ რომ აღარა ვარ,
რაც ვიყავი ადრე... ძველად:
ჩემს სისუსტეს გული გრძნობს და
გონება სწყვეტს უეჭველად!
მართალია, ეს ჭაღარა
სიყვარულს და სურვილს ვერ ჰკლავს,
მაგრამ ღონის წახმარება
აღარ ძალუძს მუხლსა და მკლავს!
ადრინდულად მუხლს არ მერჩის,
აღარ მიჭრის არცა თვალი...
და ვით შევსძლო, მაშ, სარდლობა,

როცა ასტყდეს ბრძოლის ალი?
ვისაც ჰხედავ აქ – სუყველა
არის ჩემგან გამოზდილი,
ათასჯერ და ათას გვარად
ბრძოლის ველზედ გამოცდილი.
რაც მე ვიცი რაზმთა წყობა
და სამხედრო წესი სრული,
მაგათაც აქვსთ ჩემგანავე
ახსნილი და განსწავლული.
ჩემზედ მეტიც შეუძლიათ,
უკეთ გაჰკვეთს მათი ხმალი,
და ჩემსავით სიბერითა
არ უმტყუნებსთ ომში თვალი.
ბევრია, რომ ჩემზე უფრო
დღეს შეშვენის მას სარდლობა,
და რათ დახვდეს ღობე ყორედ
იმათ ჩემი პირველობა?..
რომ ამხადო პირველობა,
მეფევ, შენ ეს არ შეგშვენის!
უმადურად ჩაითვლება.
გქონდეს რიდი ქვეყნის ენის!
და, რომ ჩემი წარსულითა
დღესაც კიდევ ვისარგებლო,
მოღალატე შევიქმნები...
მეძულება მე სამშობლო!..
აი, მეფევ, თუ რათ ვბედავ
თქვენს წინაშე დღეს ურჩობას
და სულ სხვა გზით მიმავალი
გილოცავ თქვენ გამარჯობას!..
იოანეს მივაშურებ...
შეუდგები მეც მის კვალსა
და, თქვენისვე ნება-დართვით,
სხვას გადავცემ ამ ჩემ ხმალსა!“

ესა სთქვა და მისი ხმალი
ორბელიძეს გაუშვირა
და ამგვარმა მისმა სიტყვამ
გულში ბევრი აატირა...

V

ხმალზედ უფრო ძლიერად სჭრის
პატარა და რბილი ენა,
გაჰკვეთს ხვანჯსა უგნურების...
მისი ტყვეა ხშირად სმენა.
ხან გონება გამოცდილი
მას მოიქნევს მრავალ-გვარად,
ხან, მფარავი ხვაშიადის,
გული აგებს გრძნობის ფარად.
დროზე უნდა მოხმარება...
მხმარებელიც გონიერი,
რომ ხან ნაღვლით გაილესოს,
ხან ძირ-ტკბილით ენის წვერი...
თორნიკემაც ნაღველ-თაფლად
გრძნობა გულში ჩაიყენა
და სიმართლის ხელით მასში
ამოუწო მისი ენა.
მით მოხიბლა, როგორც მეფე,
ისე ყველა მსაჯულიცა
და იმათის თანხმობითა
სურვილი მან გაიმტკიცა...
ჩამობრძანდა მეფე ტახტით,
ვეღარაფრის ვერა მთქმელი,
მივიდა და მოხუცებულს
გადახვია ძმურად ხელი.
უთხრა: „თორნიკ! როგორც მეფემ,
მოგისმინე საუბარი.
თანახმა ვარ, და აწ გეტყვი...

როგორც ძმა და მეგობარი,
რომ ჯერ კიდევ ქვეყნისათვის
საჭირო ხარ... დიდი მარგი, —
და უდროვოდ აგიღია
საიმქვეყნო საგზალ-ბარგი.
უცხო მხარეს გადაკარგვა,
ვფიცავ, შენი მიმძიმდება!
ნუ თუ ჩვენი ქვეყნის ტაძრებს
არ აქვს იგივ ძალ-დიდება?“
მოახსენა: „–ვიცი, მაგრამ,
ქართლშივე რომ მიგულებენ,
ჩემი გაზრდილ-ერთგულები,
რომ არ მნახონ, ვერ გასძლებენ,
მეცა გული არ გამიძლებს,
ვერც მე დავსთმობ იმათ ნახვას,
და ცოდვილს სულს ბევრს დავაკლებ:
გადავჰყვები სოფლის ზრახვას...
იქ კი არვინ მეყოლება,
შემაცდენი უცხო მხარეს,
დღე ყოველ და ყოველ წამსა
ცრემლებს დავღვრი მე მდუღარეს.
და ვითხოვ, რომ ღმერთმა, მეფევ,
გადიდოს და გადღეგრძელოს
და წყალობა არ მოაკლოს
ჩვენს პატარა საქართველოს!..“

VI

ათონის მაღალ მთაზედა,
მთა-წმინდად სახელ-დებულსა,
სადაცა უდაბნოებსა
და ტაძრებს წმინდათ გებულსა,
რიცხვი არა აქვსთ – იქ ლავრა,
დაუდებელი ფასისა,

ყველაზედ პირველი არის
დიდისა „ათანასისა“.
გინდ დარი იყოს საამო,
გინდა ავდარი საზარი,
სამოთხის სადგურს გვაგონებს,
მაღლობზედ მდგომი ტაძარი...
ხან, ღრუბლით შემობურვილი,
გარშემო ირტყამს ელვასა
და გადაჰყურებს შორის ზღვის
ტალღების გროვა-ღელვასა;
ხან ისარივით სხივები
დილის მზის ეტყორცებიან,
თითქოს იმ საღმრთო ნათელსა
ნათლითა ეხორცებიან.
ხან ღამით მთვარე გავსილი,
თითქოს მიმსვლელი იქ ბინად,
თავზედ ედგმება წმინდასა
წმინდა-დიდებულ-გვირგვინად.
და ვარსკვლავებიც იმავ დროს
დაჰფეთქენ, დასჭიკჭიკობენ
და ამ გალობით ძალთა-ძალს
აღმაღლებულად ამკობენ...
წინ უძევს ბაღი ხეხილის,
ხელოვნად შენაკაზმისა,
და იქვე წყარო ჩუხჩუხებს
წმინდისა აიაზმისა.
მთა მწვანე ზეთისხილისა
და ყვავილები ველისა,
საკურთხად აღმომფშვენელნი
ბუნებით საკმეველისა,
ჰაერსა შეაზავებენ
სამკურნალოდ და მარგადა
და სასულდგმულოდ ცხოველთა

მიანიჭებენ ხარკადა!..
მეუდაბნოედ მიდიან
საქრისტიანოს ყოველ მხრით
და იქ იჩენენ სავანეს
სასოებით და ცრემლის ღვრით.
წიაღ-გახსნილი უდაბნო
უჩენს, ვინც მივა, ბინასა
და მორწმუნეთა იზიდავს,
ვით ანდამატი რკინისა.
აქვე მოსულა ულუმბოთ
იოანეცა ქართველი
და მორჩილობის დროსავე
გათქმია დიდი სახელი.
დღეს მოძღვარია ნეტარი
ბერისა მრავალ-ასისა
და მეგობარი იმავ დროს
წინამძღვრის ათანასისა.
დიდი ხანია სამშობლო
მან დაუტევა ნებითა,
მაგრამ გული კი ისევე
უღელავს ხოლმე ვნებითა,
როდესაც მოაგონდება
მისი სამშობლო მამული
და გატაცებულს ოცნებით,
არევით უცემს მას გული!..
და მაშინ სცდილობს მიეცეს
მარტოობასა შორს სადმე,
ბუნების ჭვრეტით გაერთოს
და გულს მოჰფინოს სიამე.

VII

ერთხელ დილას იოანე
შემდგარიყო მაღალ სერზედ
და ცრემლები ნეტარების
ეცემოდა სპეტაკ წვერზედ.
ზღვა და ხმელი იმის თვალთ წინ
იშლებოდა ედემურად
და სამოთხის სიამესა
გაემსჭვალა უნებურად...
დიდ ხანს, გრძნობამორეული,
ვეღარაფრის იყო მთქმელი,
მხოლოდ ნიშნად ნეტარების
მას აეპყრა მაღლა ხელი.
თითქოს მაშინ მას უნდოდა
ცა და ქვეყნის შემყარება,
რომ ამითი წუთიერი
გაგრძობოდა ნეტარება!..
ამ დროს მის წინ, ვით ჩვენება,
გამოცხადდა მგზავრი-მწირი;
დაემხო და თაყვანი სცა,
მოარიდა განზრახვ პირი.
შეკრთა უცბათ იოანე
და უთხრა მას ბერძნულ ენით:
„– ვინ ხარ, შვილო? ან რასა მთხოვ?
მიპასუხე გამოჩენით!“
„– შენსა ლოცვა-კურთხევასა
მამაშვილურ მეგობრულად“! –
უპასუხა იოანეს
მაშინ მწირმა ტკბილ-ქართულად.
ქართულ ლექსის გაგონებამ
იოანე ააჩქარა,
ტანში რაღაც უნებურმა
ჟრუანტელმა დაუარა.

მივარდა და ხელი სტაცა,
ააყენა დაჩქარებით,
რომ შეხედა, უფრო შეკრთა,
მიაჩერდა გაშტერებით...
აკვირვებდა ულოდნელი
ჩვენება და სანახავი:
იმ გლახაკის სამოსელში
იცნო თორნიკ ერისთავი.

კარი მეორე

I

ვინ სვა ბოლომდე ამ სოფლის
სიტკბოებისა ფიალი?
ვის არ უნახავს მის ბედის
წაღმა-უკუღმა ტრიალი?..
ბერძნებსაც ჰქონდათ ერთი დრო...
საქვეყნოდ იყვენ ქებული,
სწავლით და მეცნიერებით
ბევრ-გვარად აყვავებული.
ცხოვრების კანონს უდებდენ
სხვადასხვა ქვეყნის ერებსა,
საუპატიოს ართმევდენ
მათზედ ცუდმზრახველ მტერებსა,
ვინ იფიქრებდა იმ დროში
ამ ხალხის დამცირებასა
ისე, რომ მით მოღებოდა
ბოლო მათ ნეტარებასა?
ერთ ჭირსა, კარზედ მიმდგარსა,
სხვაც ბევრი წაეკიდება!..
სხვადასხვა ჭირმა ბერძნების
დაცარა ძველი დიდება.

და არ თუ გარეშე მტერი,
შინაურებიც ბრიყვობენ:
ჰგლეჯენ მას ნაწილ-ნაწილად
და ერთმანეთში იყოფენ!
ბოლოს კი ერთმა მათგანმა
სულ ერთად მოხვია ხელი:
ის იყო სპარსთა მმართველი,
სკლიაროს ერქვა სახელი.
თითქმის ბრუსამდე მოადგა,
ხმელეთით გზების შემკვრელი,
და კოსტანტინეს ქალაქის
არის აღების მსურველი.
წინ ვეღარავინ უდგება
მოჯანყის ძლიერებასა;
და ელის დედაქალაქიც
იმისგან აოხრებასა.
იჩაგვრის მცირე წლოვანი
კოსტანტინე და ბასილი,
დედა მათს თეოფანიას
ჭმუნვით აქვს გული ავსილი.
დაღონდა პარაკიმომენ,
კარის კაცებში პირველი
და, ერთათ დედოფალთანა,
ბიზანტიისა მმართველი.
დარბაისლებიც შეყრილან,
გადუწყვეტია ყველასა,
რომ თვითონ თავს ვერ იხსნიან,
და არც ელიან შველასა;
და უპირებენ ისევე
სკლიაროსს შევედრებასა,
რომ ნუ ინებებს ამ ქვეყნის
უწყალოდ აოხრებასა!..
მაგრამ წამოდგა ამა დროს

მოხუცი სევისტოფორი,
რომელსაც დარბაისლებში
არ ჰყავდა ჭკუით თანსწორი;
მით ყურადღება კრებულის
მიიპყრო ანაზდეულად
და მოჰყვა, რასაც ჰფიქრობდა,
მჭევრ-მეტყველებით ჩვეულად:

II

„ზეცა დაჰყურებს ქვეყანას
თვალითა ლმობიერითა;
გამოსცდის, გამოაბრძმედებს
ჭირითა მრავალ-ფერითა.
და ამისათვის არ გვმართებს
წაკვეთა სასოებისა;
კუბოს კარამდე მძებნელი
ჩვენ უნდა ვიყოთ შვებისა.
გულგატეხილი ყოველი
მოღალატეა თავისა,
უარმყოფელი სჯულისა
მისივე საესავისა.
მაკვირვებს, დარბაისლებო,
დაცემა ჩვენი სულისა!
აბა, რა ვნახეთ ნიშანი
სამეფოს დასასრულისა?
როგორ დაანგრევს აწ ღმერთი
ქრისტიანობის ბუდესა
ისე, რომ საბოლოვოთაც
აღარ აძლევდეს ზღუდესა?
თუ ბიზანტია აქამდე
სხვა ქვეყნებს სცემდა ნათელსა,
არ დავიჯერებ, რომ ახლა
თვითონ ჩავარდეს ის ბნელსა?!..

ბევრი შესწირა მან მსხვერპლი
ქრისტიანობის სახელსა
და ვერ გასწირავს მას ღმერთი:
გამოუგზავნის დამხსნელსა!
მეტყვით: სად არის? ვინ არის?
რომელი კუთხე ქვეყნისა,
რომ გვქონდეს მისგან იმედი
დახმარების და დახსნისა?
თქვენც იცით, არის ქვეყანა,
მპყრობელი ქრისტეს რჯულისა,
საქვეყნოდ დამნახვებელი
ქვეყნიურ სასწაულისა,
მოყვრულად მოყვრის მიმღები,
მტრისა დამცემი ზარისა,
პირველ მეომრად ცნობილი
დღეს ქრისტეს წმინდა ჯვარისა.
საქართველოა ეს მხარე,
წილ-ხვედრი ღვთისა დედისა!..
ჭირში მაგარსა არ უყვარს
სუსტად მოდრეკა ქედისა!..
ამ ქვეყნის მეფეს მივმართოთ,
დიდ – დავითს კურატპალატსა,
და ის გადუხდის სკლიაროსს
ამ აჯანყება-ღალატსა!“
როგორც რომ ბნელსა ღამესა
მთვარე გამოჩნდეს უეცრად
და გაანათლოს მიდამო
სხივების ფენით ვერცხლის ფრად,
ისე ქართლისა ხსენებამ
გამოაფხიზლა კრებული
და აღუბეჭდა იმედით
მათ სახე შეწუხებული,
და მოახსენეს დედოფალს:
„– ერთხმად თანახმა ვხდებითო:
მიმართეთ ქართველ მეფესა

და ნუღა შესწუხდებითო!..
ისეთი წიგნი მისწერეთ,
რომ მით მოულბოთ გულიო,
და საკადრისიც გაგზავნეთ
იმასთან მოციქულიო,
რომ ჩვენის ქვეყნის ცოდნაში
ის იყოს უკეთესიო
და თანაც კარგად ესმოდეს
მას საქართველოს წესიო!..“
ასე არჩიეს და ერთხმად
მიჰმართეს სევისტოფორსა,
მაგრამ ის ამ გვარ არჩევანს
გულ წრფელად იჭერდა შორსა,
რადგან მას ეგულებოდა
სხვა ვინმე საუკეთესო,
და შეევედრა კრებულსა:
„– გთხოვთ მომისმინოთ აწ ესო:
ათონის მთაზე ააგეს
ტაძარი ნათლის მცემლისა;
იქ ორი წმინდა ბერია,
მთხეველი წმინდა ცრემლისა.
ულუმბოსავე გაითქვა
მათი სიწმინდის სახელი;
არ ასვენებდნენ: დღითი-დღე
ემატებოდათ მნახველი.
მაშინ მიმართეს მთა წმინდას,
დააგდეს ძველი სავანე;
ერთია თორნიკ-ქართველი,
მეორე – დიდ-იოვანე.
ერის კაცობის დროსავე
ყოფილან სახელგანთქმულნი
და ჯერაც არ იქნებიან
მათ მხარეს დავიწყებულნი.
მოვიხმოთ ერთი მათგანი,
ვაკისროთ მოციქულობა,

რომ მეფეს სრულად გადასცეს
ეს ჩვენი ჭირნახულობა;
რომ თქვენსა ბრძნულსა წერილსა
სიტყვითაც ბევრი დაურთოს
და ქრისტეს ერის გამოხსნის
სურვილი გულში აუნთოს!..
მალე გავგზავნოთ, სიჩქარით,
რომ დღე და ღამე იაროს,
და მანამ, როგორც იქნება,
ჩვენ გავუმკლავდეთ სკლიაროსს!“
ეს რჩევა ერთხმად მიიღეს.
მთქმელსა სწირავდენ ქებასა
და მაშინათვე შეუდგენ
ამ საქმის ასრულებასა.

III

ხმა გავარდნილა მთელ ქართლში:
ჯარებს აგროვებს მეფეო
ბერძნების მისაშველებლად,
სიკეთე მოიეფეო.
ათონით დაბრუნებული,
თორნიკე მოციქულობსო
და „ორივ ხელით იჭმება
ქადა, თუ გული გულობსო“...
დღეს გამოჩნდება, ვინც არის
ვაჟ-კაცი ჩვენთაგანიო!
ამაზედ კარგი რათ გინდა
ბურთი და მეიდანიო?..
ისარ-კაპარჭი მომართეს,
ხმალს ლესენ, ფარსა ჰფერავენ;
მათთვის სამგზავროდ ქალები
ტანის-სამოსებს ჰკერავენ...
ჯოჯიკ-მთავარის თანხმობით
ეს უთქვამს გამრეკელსაო:

„თორნიკე თუ არ გვესარდლა,
ხმალს არ მოვკიდებთ ხელსაო:
წაგვიძღვეს ძველი არწივი,
ჩვენ მივყვეთ შევარდნულადო,
ფიცხელი ომი ავსტეხოთ,
საქები ადრინდულადო!“
ხალხიც ამ აზრზედ დამდგარა,
მასვე სთხოვს კურატპალატსა,
და ვინც იურჩებს, იცოდეს,
მას შესწამებენ ღალატსა.
მაგრამ თვითონვე თორნიკე
გაკერპდა... რადგან ბერია,
ეს არჩევანი როგორღაც
მეტად შორს დაუჭერია.
თვითონ სარდლებიც მისულან
იმასთან მეფის თანხმობით
და უთხოვნიათ სარდლობა
ამხანაგობით და ძმობით.
მოხუციც ამის მნახველი
თუმცა კი აღელვებულა,
მაგრამ შეუკრავს გრძნობები
და ისევ გასალებულა.
ორბელიძე და ჯოჯიკი,
ორივე გააწბილაო
და გამრეკელსაც ეს უთხრა:
„ძმაო, ნუ მირჩევ ტყვილაო:
ვერ ავასრულებ თქვენს თხოვნას,
გულ-მკვდარი ვამბობ ვარსაო!
აწ ვეღარ გავცვლი ფარ-ხმალზედ
ქრისტეს ხატსა და ჯვარსაო!
აღთქმას ნუ გამატეხინებთ,
ნუ მაქნევინებთ ავსაო.
ეკლესიისგან შეკრული,
თვით ვერ ავიხსნი თავსაო.
და მღვდელ-მთავარი თუ ამხსნის,

იქნება მისი ნებაო.
მაშინ ეგ თქვენი სურვილი
ჩემს გულშიც აიგზნებაო!..“
არსენი იყო იმა დროს
ქართველთა კათალიკოსი,
პატივცემული ყველასგან,
ბრძენი და პიიტიკოსი.
გაბრძნილი სამღრთო მადლითა,
საეროთ გაბრწყინვებული,
მწიგნობართ უხუცესობა
მას ჰქონდა მინიჭებული...
ოქროპირობდა მჭევრობით
ძლიერი მქადაგებელი
და მწვალებელთა მრავალთა
მზა-მეტყველ-პასუხ-მგებელი.
ამას მიჰმართეს საერთოდ,
ამისი ჰქონდათ იმედი,
რადგან თორნიკეს ვერავინ
შეაგონებდა მის მეტი.

IV

– შედი, მარტოა კათალიკოსი!
ნუ ეგულები იქ დიდ-კრებასა,
ჩვეულებრივად ცრემლით მლოცველი,
ეძლევა საღმრთო ნეტარებასა.
ნაბრძანები მაქვს, სხვა არ მივიღო...
მარტო შენთან ჰსურს დღეს საუბარი“!
ეს უთხრა ერთ ბერს სახლთ-უხუცესმა
და შესავალი უჩვენა კარი.
შევიდა ბერი ფეხ-აკრეფილი,
მორჩილებითა და დიდის კრძალვით;
იქ დახვდა არსენ ტახტზედ მჯდომარე,
გატაცებული ფიქრით და ხალვით.
პირველ შესვლაზედ ვერ დაინახა

კრძალვით მისული მასთან სტუმარი.
ბოლოს შენიშნა... აკურთხა მაღლით
და გადასახა ხელ-გაშლით ჯვარი...
წინ წადგა ბერი. ჯერ უამბორა.
ფერ-დაკარგულსა, გული უძგერდა,
მერე ჩამოდგა და შორი ახლოს
ის თავ-დახრილი, კრძალვით გაჩერდა.
ქათალიკოსმა შეჰხედა მაშინ
ლმობიერებით და გაიცინა:
„– დიდაარს მხოლოდ ღმერთი-უფალი
აქ, ქვეყანაზედ, და ცათა შინა!..
რისთვის მეკრძალვი? მომიახლოვდი,
დამიჯექ გვერდით, ვით მეგობარი.
დღეს ისევე მსურს შენთან გავაგრძო,
ადრე რომ გვქონდა, ის საუბარი.
შენზედ არა სჭრის სხვისი სურვილი,
არცა ვედრება და არც მუქარა,
მაგრამ შენთავად რა გადასწყვიტე?
ასრულებ ქვეყნის წადილს, თუ არა?“
„– არ შემიძლია, ყოვლად სამღვდელოვ!
ვერ ვუღალატებ მაღალ-მცნებასა
და ვერ უარვყოფ მსოფლიო კრების
დაკანონებულს სურვილს, ნებასა!..
რაკი ერთხელვე ესე სოფელი
დავივიწყე და უარი ვყავი,
ვერ გავსტეხ აღთქმას!.. ზეცას ეკუთვნის
ცოდვილი სული და ჩემი თავი.
მღვდელ-მონაზონსა საიქიოსკენ
უნდა ეჭიროს ყოველთვის თვალი!..
აღარ შემშვენის, რომ ხელ-მეორედ
სისხლით შევღებო ჩემი ფარ-ხმალი!..
ღმერთმა ხომ იცის, რომ მთაწმინდიდან
არ მნდომებია ფეხის გადმოდგმა!..
შვიდ დღეს მირჩევდენ წმინდა მამები
და ვერ შესცვალეს ჩემი გულის-თქმა.

თვით წინამძღვარი და იოანეც
ამაოდ დაშვრენ: ვიდექ უარზედ,
სანამ ბრძანებით, როგორც მორჩილი,
არ გამაგზავნეს სასახლის კარზედ.
იქ დედოფალი დარბაისლებით
ვნახე სულ ერთად შეწუხებული:
საქრისტიანო სკლიაროსისგან
წაბილწული და აოხრებული.
მხოლოდ-ღა ქართლზედ მათ დარჩენიათ
ერთი ნუგეში... ერთი იმედი!..
დღეს ჩვენ ხელშია იმათი შველა,
რომ დაუბრუნოთ წაღმავე ბედი!
მიბრძანეს მეფის მოციქულობა,
არ გამივიდა მათთან უარი!..
ტახტს ასველებდა დედოფლისაგან
ჩამონათხევი ცრემლისა ღვარი.
სამაგიეროდ ქართლს ჰპირდებიან
ზემო ქვეყნების დამონებასა;
მხოლოდ ამისთვის მე დავეთანხმე
იმათ სურვილს და იმათ ნებასა.
ეხლა კი ისევ უნდა გავბრუნდე,
ამას მოითხოვს ჩემი ღირსება,
თუმც ვერ დავფარავ, რომ სოფლის ზრახვით
ეს ჩემი გული ისევ ივსება.
და რასაც ერთხმად ჩემგან მოითხოვს
დღეს სამსახურსა ქართველთა ერი,
იმას ხომ სხვებიც აასრულებენ?
რა საჭიროა იმისთვის ბერი?
განა ცოტა ჰყავს მეფეს სარდლები?
ერთ იმათაგანს მიანდოს ჯარი
და მეც, თუ ჰნებავს, თან ვიახლები,
მაგრამ მექნება მე ხელში ჯვარი
და ხატი ყოვლად წმინდა დედისა,
როგორც მოძღვარსა და არა სარდალს,
სხვებმა იბრძოლონ და გამარჯვებას

მე შევსთხოვ ცრემლით მხოლოდ ძალთა-ძალს“.
„– კეთილი!“ – ბრძანა ქათალიკოსმა:
„რაც ადრევე სთქვი, იმ აზრზევე ხარ!
მაშ, ვით უნცროსმა, უფროსის ნება
რომ შეასრულო, ამაზეც მზა ხარ?
ვით ქათალიკოსს, შენი ბრძანების,
შენც კარგათ იცი, ხელთა მაქვს ნება;
მაგრამ მე მაინც მსურს შეგაგონო,
რომ შემცდარია შენი გონება:
ნუ-თუ შენ მართლა რამე გგონია
ცარიელ-სიტყვით ღვთისა დიდება?
განა ღვაწლია ხორციელისგან
ამა სოფლისა კრძალვა-რიდება?
და ეს ქვეყანა მშვენებით სავსე,
შემოქმედების გამომხატველი,
ნუ-თუ მიტომ გვაქვს მონიჭებული,
რომ ჩვენის ნებით ავიღოთ ხელი?
ვინცა იწუნებს თავ-მოყვარებით
ამ მიუწდომელ დიდსა ქმნილებას
და უარსა ჰყოფს კანონიერსა
ბუნების ყოვლ-გვარ მოთხოვნილებას,
ის უარსა ჰყოფს თვით შემოქმედსა!
საბრალო არის ის და შემცდარი,
რადგან არ იცის, თუ ქვეყნიერად
რათ მოგვევლინა ჩვენ მაცხოვარი?“
„– ვითა რეგვენი, ღირსი არა ვარ,
ბატონო, თქვენთან გაბაასების,
მაგრამ, რა ვქნა, რომ მეც საპასუხოდ
ცოდვილი გული ურჩად მევსების?
და კიდევ გკადრებთ: ლოცვა კარია
ცოდვილისათვის სინანულისა
და მარტოობა სადმე უდაბნოდ –
– გასპეტაკება მადლით სულისა!
ამა სიმართლეს უარს ვერა ჰყოფს,
ვინც ქრისტიანად ნათელ-ღებულა,

ამის მაგალითს ქრისტე მით გვაძლევს,
რომ ორმოცი დღე მან იმარხულა.
– „არა, მამაო! მაგ გვარი ახსნა
საცალმოგვოა და შემაცდენი;
მაგითი შუქი დაირჩდილება,
ჭეშმარიტების გადმონაფენი.
ვიცით, რომ ქრისტემ უდაბნოდ დაჰყო
ის ორმოცი დღე ლოცვა-მარხვითა,
მაგრამ ის, იმ დროს, იმა ლოცვითა
ქვეყნად საერო საქმეს ზრახვიდა.
და როდის დარჩა მეუდაბნოედ?
განა ამ სოფელს ის უარჰყოფდა?
თუ დადიოდა დაბად და სოფლად,
ხალხის ჭირს და ლხინს შუა იყოფდა?
თვითონ არ დაჰგმო ფარისევლები,
გზა-ჯვარედინზედ ლოცვა საქვეყნო
და ნაცვლად მოგვცა მოკლედ სათქმელი
საყოველ-დღეო „მამაო ჩვენო?“
ასე არ ბრძანა: „თვინიერ საქმის,
სიტყვითი ლოცვა, უწყით, მკვდარ არსო?“
და მრავალისა მეტყველებითა
ვერვინ გაიღებს სამოთხის კარსო?“
საქმეა, მხოლოდ საქმე, საჭირო!..
გულიცა წმინდად დაბადებული
და ქვეყნიერის კეთილ ზრახვებით
სული სიწრფელით გაახლებული!..
ეს არის მხოლოდ ქრისტეს მოძღვრება,
საქრისტიანო ეს არის ვალი!
და ვინც ამატებს ამაზედ სხვებსაც,
დაბნეული აქვს მას გზა და კვალი!“
– „ეგ ყველა კარგი, მაგრამ ამ სოფლად
შესრულებული ვისაც აქვს ვალი
და რომ გააგრძოს კიდევ რამ, მისთვის
არ დარჩენია ღონე და ძალი!
ნუ თუ არა სჯობს უქმად ყოფობას,

გადგეს უდაბნოდ მმარხველ-მლოცველად
და არ გაუხდეს სხვებს ამა სოფლად
ურგებ ტვირთად და ხელის შემშლელად?
განა ეს ჩემი უარის ყოფა
კერპობა არის და უმეცრება?
მეც კარგათ მესმის, რომ ქვეყნიურის
შრომით ეძლევა სულს ნეტარება!
ადრევაც მითქვამს და ეხლაც ვამბობ,
რომ მე თვითონ ვგრძნობ ჩემს უძლურებას...
დღეს, შედარებით, ბევრი მჯობია!
სახალხოდ ვამბობ ამ აღსარებას.
– „არა!“ «ხმა ღვთისა – ხმა ერისაო»,
ხომ კარგად იცი ეს შენც, მამაო?
დღეს ერი გირჩევს ერთ-ხმად წინამძღვრად
და უარის თქმა არის ამაო!
როდესაც ასე დარწმუნებული
არის რაზედმე ერთ-პირად ერი,
მაშინ ის არის გულით და სულით
ამაღლებული გმირი-ძლიერი.
დღეს ქართველები შენის სარდლობით
ჰფიქრობენ მტერზე გამარჯვებასა
და უნდა მივჰყვეთ ჩვენც იმათ სურვილს
და მოხიბლულსა მათსა ნებასა!
ჩემი სიტყვები რომ იგულისხმო,
ხალხის ღაღადსაც დაუგდე ყური!..
ნუ-თუ გამოხსნა ქრისტიანობის
არ იყოს ისივ ღვთის სამსახური?
გასავრცელებლად ქრისტიანობის
საკმაო არის, დიახაც, ჯვარი,
მაგრამ მის მტრების მოსაგერებლად
ხშირად გვჭირდება ხმალი და ფარი!..
როგორც გვირგვინსა მისის ქმნილების
მისთვის გვნიშნავდა განგება ქვეყნად,
რომ მივემსხვერპლოთ, თავი შევსწიროთ
მისსა დიდებას საკურთხად და ძღვნად.

და ეს ძღვენია კეთილი საქმე,
ქრისტიანობის სვეტი ცხოველი,
და შენც, თორნიკე, ამის სახელით
ისევე ფარ-ხმალს მოჰკიდე ხელი!..
შეიბ მახვილი და, გარეგნობით,
დროს შესაწონად, იცვალე ფერი
და გამოიხსენ განსაცდელისგან
ქრისტეს მმოსავი ბერძენთა ერი!“
სთქვა მღვდელ-მთავარმა და გადასახა
მადლ-მინიჭებით მოხუცსა ჯვარი...
და მეორე დღეს თორნიკ-სარდალმა
კიდეც შეჰყარა საომრად ჯარი.

კარი მესამე

I

„თავ-გასულია სკლიაროს
მთავარი ბარდაველიო:
ბერძნების სისხლით შეჰღება
ურჯულომ მთა და ველიო.
ორად გააპო სამეფო,
აოხრებს ნახევარსაო;
სპარსელები და სომხები
შემოხვევიან გარსაო!
გრიგოლ და ბაგრატ თანა ჰყავს,
ორი ძმა თარონელიო,
მათ მიუციათ მომხრებად
მოჯანყისათვის ხელიო.
მოქის თავადიც აქ არის,
აფრანიკ, სომეხთ გმირიო,
და საღალატოდ შეუკრავთ
სუყველას ერთად პირიო.
გაულეწიათ ბერძნები,

იჩაგვრის ძველი ლომიო,
მაგრამ ჩვენ უნდა ვუჩვენოთ
აწ-ღა სხვაგვარი ომიო!
შორის ქვეყნით ვართ მოსული
სჯულისთვის მეომარიო;
ხელში გვიჭირავს ფარ-ხმალი,
წინ გვიძღვის ქრისტეს ჯვარიო.
ჩვენ ვართ თორმეტი-ათასი,
თვითოს შეგვხვდება ათიო,
მაგრამ რა გვიჭირს? ადრევაც
გვინახავს შებმა მათიო!
ჰა ბურთი, ჰა მოედანი!..
მობრძანდეს ბარდაველიო
და ამოიგოს მან ჩვენგან
იმისი სისხლი ძველიო!
სიკვდილი ან გამარჯვება!
ვინც თავი დაიშუროსო,
დედა შეირთოს მან ცოლად,
ლეჩაქი დაიხუროსო!..“

II

მცირე აზიას, ჰალისის პირად,
ერთი ხანია ბანაკად მდგარი,
ასე იმღერის გუნდად და გუნდად
შეუპოვარი ქართველთა ჯარი.
მათი გუგუნი, მათი კიჟინი
ზე ეფინება ირგვლივ მთა და ბარს,
და ესე ყველა ეკლად და ისრად
გულში ესობა სკლიაროსის ჯარს.
კბილებს ილესავს ბრაზ მორეული,
არც დღე, არც ღამე აღარ აქვს ძილი;
მაგრამ რას იზამს? მარჯვე დროს ეძებს
მათ შესაბმელად სკლიაროს ფრთხილი.
ქართველი ჯარის ვაგლახად შებმას

გამოცდილება სარდალს აფიქრებს
და ვეღარ ბედავს თვითონ იერიშს,
დახვდომა უნდა... ამაგრებს საფრებს;
უნდა, რომ ჯარი მან მიიტყუოს
იმ სიმაგრეში და იქ ებრძოლოს.
თუ არ ამ ხერხით, ისე სხვა გვარად,
ის არ მოელის კეთილსა ბოლოს,
და საკენწლავად გუნდათ და გუნდათ
წასატყუებლად აგზავნის ჯარებს,
და განზრახულად თვითონვე აღებს
მტრის შესასვლელად ბანაკის კარებს.
მაგრამ თორნიკე გამოცდილია:
არ მოტყუვდება ამ გვარი მახით,
მათვე უპირობს გამოტყუებას
სხვა გვარის ხერხით და სულ სხვა სახით.
იქ ქართველებთან ლაშქრათვე იყო
დასავლეთელი ბერძნების ჯარი
და, რომ თორნიკეს ემონებოდენ,
მათ მოსდიოდათ ამაზე ჯავრი...
ასე ამბობდენ მათი სარდლები:
„მართლაც რომ ღმერთი ჩვენ გვიწყრებაო:
მთავარ სარდლობა ქართველს უჭირავს,
ეს არის ბერძნის დამცირებაო!“
ეს სცნო თორნიკემ, ჯერ გაიღიმა...
რაღაც სხვა ფიქრმა მას გაუელვა.
მერე შეჭმუხვნა რისხვით წარბები,
აენთო სახე, მთლად აიღელვა.
და სთქვა: „მოვსულვართ შორის ქვეყნიდან
მოსახმარებლად კეთილად, ძმურად
და ესენი კი პასუხს გვაძლევენ
ბატონობითა და მედიდურად?
დიდი ხანია, რაც ჩემ ბრძანებას
აღარ უგდებენ ბერძნები ყურსა
და არად ჰხდიან, თქვენც ჰხედავთ, ძმებო,
ჩვენს ერთგულებას და სამსახურსა!

მაშ თუ ასეა, აღარ გვაქვს ბრალი!
გულთა მხილავო, შენ ჰხედავ, ღმერთო,
რომ უმიზეზოდ შემომწყრალ ხალხთან,
აღარა გვაქვს რა აწ ჩვენ საერთო!“
სთქვა და უბრძანა ჯარს ამხედრება,
საქართველოსკენ უკან გაბრუნდა.
ამით ბერძნები მარტო დაჰყარა
და მიაყარა მათ ქვა და გუნდა...
ეს ამბავი რომ შეიტყვეს მტრებმა,
დააგდეს მყისვე მათი სიმაგრე;
გამოვიდენ და ყოველის მხრითა
ბერძნების ჯარი შემოჰკრეს გარე.
მისვლის უმალვე ასტეხეს ბრძოლა,
რადგან საგულეს ჰქონდათ მათ გული
მით, რომ ბერძნები ქართველებისგან
დარჩენილ იყვნენ, მიტოვებული.
რაღა გზა ჰქონდათ? მაშინ ბერძნებმაც
ფარ-ხმალს მოჰკიდეს საომრად ხელი,
თუმცა კი გრძნობდენ, რომ გამარჯვება
იმათთვის იყო მეტად რამ ძნელი,
აღარ უნდოდათ შერცხვენილიყვნენ:
თავი შესწირეს, ბრძოდენ გმირულად,
სანამ ურიცხვმა და უთვალავმა
მტერმა არ სძლია ისინი სრულად.
დამარცხდენ, თუმც კი ხელ-ცარიელი
არ დარჩენიან არც ისინი მტრებს:
რიცხვი არა აქვს სპარსელებისა
და თან სომხების დაჭრილებს და მკვდრებს.
მაგრამ სკლიაროს ამ გამარჯვებას,
რადგანაცა სთვლის უკანასკნელად
და ვერვის ჰხედავს აწ მის სურვილის
მოწინააღმდეგ ხელის-შემშლელად,
დღესასწაულობს, გრძნობა მორეულს
უდროვოთ ათრობს მეტი სიამე
და ლხინს ეძლევა გულდამშვიდებით

გაუსხლეტელად ის მთელი ღამე.
ის კი არ იცის, რომ იქვე, სერზედ,
სდგას თორნიკ, მისგან დავიწყებული;
დამზერს მტრის ბანაკს და სარდლებიცა
იქვე ჰყავს გარე შემოხვეული.
სხვადასხვა რჩევას აძლევს სარდლებსა,
მათ-მათ შესაფერს თვითოეულად,
და სახვალიოდ ჯარებს ამზადებს
მტრის შესაბმელად, ჯერ კი ფარულად.
„– ახლა ხომ ხედავთ, თუ რას ნიშნავდა
ბერძნებთან შუღლი და მოშორება?
თუ არ ამ ხერხით, სხვებრ არ შეგვეძლო
სომხის სარდლების ჩვენ მოღორება.
არ დააგდებდენ საფრებს და ბრძოლას
არ დაგვიწყებდენ ველზედ გაშლილად...
და, თუ პირ-იქით მივვარდებოდით,
დაგვამარცხებდენ მაშინ ადვილად.
მაგრამ, მადლობა ყოვლის შემძლებელს!
ასრულდა ჩემი განზრახულები:
ვგონებ, რომ ველარ გაგვიმაგრდენ ხვალ
ამ გაშლილ ველზედ დაღალულები!“
ასე ამბობდა მოხუცებული,
აწყობდა რაზმებს, ჯარს აფრთხილებდა;
სარდლებს სხვადასხვა მხრით აგზავნიდა
და ჯარსაც თვითონ უნაწილებდა.
„– შენგან დავიწყებ ჯერ, ჯავშანიძე,
ომის ველზე ხარ დაბერებული!
გამოცდილი ხარ და, რა თქმა უნდა,
ზომას დაიჭერს ეგ შენი გული.
შენსებრ ჭაღარა ათასი კაცი
ამოირჩიე, შეკრიბე ჯარი;
მათ წინ წაუძეღ და საიდუმლოდ
მიდი, აიღე მტრების საფარი.
და, როდესაც აქ ომი ასტყდება,
თქვენ არ გექნებათ მონაწილობა:

უჩინრად უნდა იმალებოდეთ...
არვინ გაბედოს მაზედ ცილობა!
რაც უნდა მოხდეს აქ, თქვენ მაინც იქ
ჩუმათ იყავით... არვინ აჩქარდეს,
რომ სურვილისგან გატაცებულის
ერთი ისარიც არ გადმოვარდეს.
მხოლოდ, როდესაც უკუნ-ქცეული
ისევ მოსძებნის საფარს მტრის ჯარი,
მოულოდნელად მაშინ იქ დახვდით
და გრგვინვით მეხად დაეცით ზარი.
შენვე გაგზავნე ჩუმათ კაცები
ჰალისის პირად. თუ მოახერხონ,
რაც ხიდებია სუყველა ერთად
ქვეშიდან ისეთ გვარად დახერხონ,
რომ ზედ შემდგარი ლაშქრის სიმძიმე
მომეტებული ვერ აიტანონ:
ჩასტყდენ ჰალისის მდინარე წყალში
და მტრისა ჯარიც თან ჩაიტანონ!..
აწ, ორბელიძევ, შენ უნდა გითხრა,
მოწინავე ხარ რადგან სარდალი
და სუყოველთვის შენგან ასტყდება
ომისა ცეცხლი და ბრძოლის ალი...
ოთხი ათას კაცს, სულ ახალ-გაზრდებს,
თავ-გამეტებულს, წინ წაუძეხი;
გრიგალ-ქარივით ჩამოუქროლე
და შენებურად დაეცი მეხი!..
მემარჯვნე სარდლად გამრეკელია,
მემარცხნედ – ლომ-კაც სავარსამიძე,
თითოს სამ-სამი ათასი კაცი
ახლავთ, არიან ომის სიმტკიცე.
და დანარჩენი ათასი კაცი
აქვე დარჩება ჩემთანა მხლებლად;
ჯოჯიკი არის მათი უფროსი,
გაჭირვების დროს მოსაშველებლად.
მეტს არას გეტყვით!.. რა საჭიროა

მომეტებული სიტყვა და რჩევა?
აქ შეგეწიოსთ წმინდა გიორგი
და მაღლით ღმერთმა მოგცეთ კურთხევა!..“
ეს სთქვა თორნიკემ და გაისტუმრა
სარდლები ჯარის მოსამზადებლად
და თვითონ კი იქ დარჩა სულ მარტოდ
მლოცველად ღვთისა და მადიდებლად.

III

ვითა ეთერი მზეთ-უნახავი
საყვარლის მლოდე, თრთის და კანკალებს,
სახეს ვარდის ფრად იღებავს გრძნობით
და იელვარებს სურვილით თვალებს,
ისე განთიადს ცისკრის ვარსკვლავი
ლაჟვარდ ცაზედა კაშკაშით თრთოდა
და ფერ მიხდილად ნათელ-ძლიერი
მზისა ამოსვლას ეშხით შეტრფოდა,
თითქოს ქვეყანაც, მით მოხიბლული,
გამსჭვალულიყო მისის თან-გრძნობით
და უგალობდა „ციურ-ნანინას“,
საიდუმლო და უცნაურ-გრძნობით.
სუნნელთა მფენი დილის ნიავი,
ბალახთ ბიბინი, ფოთოლთ შრიალი
ბანსა აძლევდენ ღვთიურს ნანინას
და ათანხმებდა მათ ძალთა-ძალი.
ციურის ნიჭის მისაღებელად
ვარდმა კოკობმა თავი ახარა;
ცრემლად დაეცა გულზედ მანანა,
ააელფერა და გაახარა!..
თურმე ბულბულიც ამას უცდიდა:
თავისებურათ იწყო მან სტვენა,
თითქოს უნდოდა მით მოეტანა
ცოდვილ ქვეყნისთვის კურთხევა ზენა.
მაგრამ ამა დროს საზარელის ხმით

უცბად რაღაცამ დაიგრიალა
და მით სიხარბემ ჯოჯოხეთისამ
გამოიჩინა ბოროტი ძალა:
შეიქმნა ბუკის, საყვირის ცემა,
ასტყდა ჭიჭყინა ზურნის საზარი...
აჰა, თენდება და ემზადება
სისხლის სათხევლად ორივე ჯარი.

IV

მაღლით ბრძოლის ველს, როგორც ხელის გულს,
ისე დაჰყურებს მთავარ-სარდალი;
წაღმა, უკუღმა, მარჯვნივ თუ მარცხნით
ყოველი მხრისკენ სჭრის მისი თვალი.
მოწინავე ჯარს, ტურფად დარაზმულს,
ოთხი ათასსა დაჰყურებს ჭაბუკს,
მხოლოდ იმ წამის მომლოდინესა,
როდესაც დაჰკვრენ ნაღარას და ბუკს.
ფარ-ხმალით ხელში, გახურვებულებს
ძლივს-ღა უჭერენ თავს ბედაურებს:
ჭიხვინ-ხვიხვინით, ტორების ცემით,
ძუა-ფაფარ-შლით აცქვეტენ ყურებს.
თითქოს იმათაც სული მიუდისთ,
რომ მიიტანონ თან იერიში
და, როგორც იმათ მხედრების გულში,
ისე არც იმათ გულშია შიში.
თავში უდგია რაზმს ორბელიძე,
ჯერ ახალგაზრდა გმირი სარდალი,
და იმან იცის, თუ როდის ასტყდეს
ბრძოლისა ცეცხლი და ომის ალი.
შორს მათგან, მარჯვნივ, ქვეითი ჯარით
მოფენილია მთლად ტყე და ველი;
საფარში აჯენს შორ-შორ გაფანტვით,
მტრისა სამიზნოთ, მათ გამრეკელი.
და მარცხნივ, სადაც შფოთვით, ღრიალით

მიექანება ჰალის-მდინარე,
სავარსამიძის დამდგარა ჯარი,
ფარ-ხმალ, ჯაჭვ-ჯავშან, შუბ-მოელვარე.
ჯავშანიძე კი მხოლოდ-ღა ერთი
აღარსადა სჩანს, აქ არსად არი:
წინა ღამითვე მან საიდუმლოდ
აიღო ჩუმად მტრისა საფარი.
სკლიაროსიცა ამხედრებულა,
მტრის დასახვედრად ამხედრებს დიდ-ჯარს,
ცხენს მიაჭენებს ხან აქ, თუ ხან იქ
და ჯარასავით დატრიალებს გარს.
მარჯვნივ აყენებს ბაგრატ თარონელს,
მარცხენა მხარეს მისვე ძმას გრიგოლს,
და არ ჰგონიათ, თუ შეხვდებიან
ისინი თავის თანასწორს და ტოლს.
და ორბელიძის საპირდა-პიროდ
თვით აფრანიკე გამოსულია...
წვერ-ულვაშს იგლეჯს; მეტის სიფიცხით
ალმური ასდის... გულმოსულია:
„როგორ თუ ასე მცირე მხედრობით,
ასე თავ-ხედათ ჩემზედ მოდისო?
სიკვდილისაგან ატროებული,
მძებნელი არის, სწორედ, ლოდისო!“
წინა ომებში გათამამებულს
მარჯვე ცხენოსან სპარსელების ჯარს
სიტყვით ამხნევებს მოქის თავადი
და თან უქადის მდიდრულ საჩუქარს.
იმათაც ნიშნად შეუპოვრობის
განთიადისა დაჰკრეს საჰარი,
მაგრამ ქართველთა მის საპასუხოდ
გადუშხუილეს მაღლით ისარი.
ის იყო მარჯვნით გამრეკელისგან
სამოციქულოდ გამონატყორცი;
მას თანვე მოჰყვენ სხვების ისრებიც,
გულის გამპობი და გასაოცი.

ააგეს ფარი, მომართეს შვილდი,
პასუხს აძლევენ სომხებიც ისრით
და გაიმართა ძლიერი ბრძოლა
ყოველის კუთხით და ორივე მხრით.
უანგარიშო და უთვალავი
მოდის ისარი, ვით სეტყვა ცისა...
ჯერ სიჩუმეა... მხოლოდ ხანდისხან
კვნესა მოისმის დაჭრილ კაცისა.
გახურდა ბრძოლა... გრძელდება ომი,
ხან აქ და ხან იქ სისხლი იღვრება...
აჰა, ამოდის მხიარულად მზეც,
მომაკვდავთ კვნესა არ ეყურება.
თითქოს ეს იყო დანიშნული დრო:
აქ ორბელიძემ იშიშვლა ხმალი,
ჯარს მიუბრუნდა და მხიარულად
მათ გადაავლო ნუგეშის თვალი.
მიუხვდენ სარდალს გულის-პასუხსა
მხედრები, სიტყვა აღარ აცალეს:
იშიშვლეს მათაც ბასრი მახვილი
და მზის სხივებზე ააპრიალეს.
დასძახეს ყველამ ერთხმად: „ჰკა მაგას“!
დეზი ჰკრეს ცხენებს და გააქანეს
პირ-და-პირ, ჯიქურ სპარსელებისკენ
და იერიში ზედ მიიტანეს.
მაგრათ დაუხვდა მათ აფრანიკე,
ლომი, სასისხლოდ გააფთრებული,
და შეაგება ცხენოსანთ ჯარი,
ფარ-მომართებით მომზადებული.
დასცეს კიჟინი და გაიშალნენ
სახელდახელოდ ტრიალ მინდორზე:
ზოგან იბრძვიან ერთად, ჯგუფ-ჯგუფად
და ზოგან ერთი მიდის მის სწორზე.
კიჟინა, კვნესა, წყევა, მუქარა
და ჩახა-ჩუხის ხმა გულ-საზარი
არეულია და ფეხით გააქვთ

ცხენებს დაჭრილი და ცოცხალ-მკვდარი.
აგერ მხედარმა შავით მოსილმა,
გამოახტუნა მერანი მინდვრად;
შეათამაშა ჰაერში ხმალი
და დაიძახა თან მედიდურად:
„– სად ხარ? გამოდი, ნუ იმალები,
თუ რომ გულს გერჩის, ორბელიძეო!
აფრანიკ მქვიან! შენისთანები,
იცოდე, ბევრი დავამიწეო!..
გამიგონია მეც შენი ქება,
განთქმული არის შენი ხმალიო,
მაგრამ აწ უნდა გასინჯო ჩემიც
სიკასკასე და მკლავის ძალიო!
ჩვენ ორში უნდა ერთი-და-ერთი
მოკვდეს, გათავდეს მითი ომიო!
ნუღარ გვიანობ, გელი, გამოდი,
თუ ამ პირობის შენც ხარ მდომიო!“
ხმალ-სისხლიანი, თავზედ ჩაფხუტით
თეთრ ცხენზედ იჯდა ერთი მხედარი,
რომელ გუნდშიაც შევარდებოდა,
მას თან მიჰქონდა მეხი და ზარი.
თვით ორბელიძე იყო ეს გმირი.
ახალ გუნდს მკაცრად რომ შეუძახა,
მაშინ მოესმა აფრანიკის ხმა
და სიხარულმა ააცახცახა.
მისი სურვილიც თურმე ის იყო,
რომ აფრანიკეს სადმე შეჰყროდა,
იმას ეძებდა და აქეთ-იქით
სხვადასხვა რაზმში მიჰქრი-მოჰქროდა.
თავი მოსწია გაქანებულ ცხენს,
ყალყზედ შემდგარი მოატრიალა,
ასკუპა, ჯიქურ გამოაქანა,
მივარდა, ბევრი აღარ აცალა
და უპასუხა: – „გმირს არ შეშვენის
დაჩემება და თავის ქებაო!

აჰა ბურთი და ჰა მოედანი,
მზათა ვარ, გახლდეს თქვენი ნებაო!“
მოღუნეს შვილდი, მოსდვეს საცერე
და ერთმანეთსა სტყორცეს ისარი,
მაგრამ ორივემ სწორის სიმარდით
მას მიაგებეს მათ-მათი ფარი,
და აიცილეს მითი ფინთიხი,
გულის გამპობი, ხორცის მომწყვლელი;
მერე გადიგდეს შვილდები მხარზედ
და ხმლებს მოავლეს საომრად ხელი.
მათი ფარ-გება და კენწლაობა,
სიჩქარით ელვა გასაკვირვალი,
მოჩხუბართ მხოლოდ ბრაზს უმატებდა
და ედებოდათ თან-და-თან ალი.
მოსწყინდათ ფარი და უკუაგდეს,
დაადგენ ორნივ მარტო შიშველ ხმალს.
თავი გადასდვეს მათ სასიკვდილოდ,
აღარ იზოგვენ ღონესა და ძალს.
მიაგდო ცხენი ჯერ ორბელიძემ,
ხმალი პირდაპირ შუბლში უსწორა,
მაგრამ დეზი ჰკრა მხედარმა შავ-ცხენს,
განზე გაუხტა და აიშორა.
ხმალმა ჰაერში გაიშხუილა:
წახდა მოქნევა და მკლავის ძალა...
და ხელმეორედ ხმლის მომარჯვება
მოპირდაპირემ აღარ აცალა:
თვითონ მოაგდო ზედ აფრანიკმა
მისი მერანი, მკვირცხლი, ფეხ-მალი,
მაგრამ მოქნეულ ხმალს ორბელიძემ
ქვემოდან აჰკრა თავისი ხმალი
და მარილივით გადაუმტვრია.
შეკრთა აფრანიკ!.. დაეცა ზარი
და არ იცოდა, თუ რაღა ექნა:
იდგა უძრავად, ვით ცოცხალ-მკვდარი.
გმირთა წესია ლმობიერება:

წყრომა გულისა ქართველს დაუცხრა,
ხმალი ჩააგო ისევ ქარქაშში,
ჩამოეცალა და ასე უთხრა:
„– ნუ გეშინიან! ხმლიანი უხმლოს,
რომ შეგეჭიდო, არ მეკადრება,
მხოლოდ თანსწორი იარაღითა
შენი დაჩაგვრა მე მენატრება!
და, აბა, ეხლა ნუღა ვუდგებით
ჩვენ ერთმანერთსა ასე შორი-შორს,
აწ სასიკვდილოდ უნდა შევებათ,
ხელი მოვკიდოთ ორივემ ორ-ორს“!
მაგრამ აფრანიკ ყურს აღარ უგდებს,
მარდად, უეცრად ზურგი უჩვენა:
დეზი ჰკრა მერანს, მიატრიალა,
ერთი შეჰკივლა და გააჭენა.
რა ნახა ჯარმა მათი სარდალი
გაქცეული და შეშინებული,
თვალი წაუხდა და ზაფრა ნაცემს
უნებლიეთად გაუტყდა გული.
შესწყვიტა ომი და გაექანა,
გონს ვერ მოსული, უცბად დამფრთხალი
იქითკენ, სითაც შავსა ბედაურს
მიაქანებდა მათი სარდალი.
„ჰკა მაგას, აბა, არ გაუშვათო!“
შეჰკივლა გმირმა მაშინ ქართველებს,
დაიგრიალა ცხენოსან ჯარმა
და გამოუდგა სომეხ-სპარსელებს.
მირბის აფრანიკ თავისის ჯარით,
მირბის და უკან არ იხედება;
მას ორბელიძე მისდევს ჯარითვე,
მისდევს, თან-და-თან ცეცხლი ედება
დაუახლოვდა უკანა ჯარი,
უნდა დაეცეს თავზე, ვით ზვავი,
მაგრამ აქ წინამ გადაუხვია
და ხეობაში ამოჰყო თავი.

მდევრები მაინც არ ეშვებიან,
ქვესკნელშიაც კი ჩაჰყვებიან თან:
თან შეჰყვენ ერთად იმ ხეობაში
და მიიმალნენ... აღარა სჩანან...
თურმე იქ ვერაგ-სკლიაროსს-სარდალს
სხვა ჯარი ჰყავდა ჩასაფრებული
და ქართველები შეტყუებული
დაემწყვდენ, დარჩენ გარ-შემოკრული.
რაღა გზა ჰქონდათ?.. დაიქვეითეს,
ამოესაფრენ თავ-თავის ცხენებს;
იბრძვიან, მაგრამ იციან, რომ მათ,
მტერი კაი დღეს არ გაუთენებს.

V

როგორც ისარი, იმ ხეობიდან
გამოხტა ცხენი ამ დროს უეცრად...
ხტის და ჭიხვინებს, ძუა-ფაფარს ჰშლის,
გარბის-გამორბის მარტოკა მინდვრად.
ხან ყურებს აცქვეტს, ხან მიწას სუნავს,
თითქოს დაეძებს მის პატრონ მხედარს;
და იმის გამო ასე იხვინებს,
რომ ვერსად ჰხედავს ვერც ცოცხალს, ვერც მკვდარს.
ამ უპატრონო ცხენის დანახვა
თორნიკეს დარჩა მეტად საწყენად,
რადგანაც იცნო მან მაშინათვე
ის ორბელიძის ბედაურ ცხენად.
„ვეჰ! – დაიყვირა: ცუდ ნიშანს ვხედავ,
ამას არ უნდა ბევრი ფიციო:
საფრთხეში არის და განსაცდელში
ცხენოსანთ ჯარი, სწორედ ვიციო!“
და უთხრა ჯოჯიკს: – „ახლა შენ იცი,
შავი დღეების შენ ხარ გმირიო:
„ძმა ძმისათვისო, ამ დღისათვისო“,
გაგვიადვილე გასაჭირიო!“

მოახტა ჯოჯიკ მაშინ ბედაურს,
მასთანაც მთელი იმისი ჯარი,
და დაექანენ დაღმა მინდვრისკენ
გრიალით, როგორც გრიგალი ქარი.
დასცეს კიჟინა საოცარის ხმით,
მიწას გააკრეს ბედაურები
და მიეშურნენ ხეობისაკენ
მტრის სისხლის მდომნი, გაუმაძღრები.
შორით მოესმათ ქართველთ კიჟინა,
იცვნეს ჯოჯოკის ხმა და იამათ,
იმედმა სიმხნე გაუორკეცათ
და ბრძოლა იწყეს უფრო თამამათ.
გაახლდა ომი... შეკრთა სკლიაროს,
უგზავნის შიკრიკს მაშინ თარონლებს,
რომ მოახმარონ ქვეითი ჯარი,
ჯოჯიკისაგან შეშინებულებს.
დააგდეს ორთავ ბრძოლის ადგილი
და მოაშურეს ანაზდეულად;
ალყად შემოკრეს ქართველი ჯარი,
ჩაიმწყვდიეს რა იწროში სრულად.
და არ ეჭვობდენ აწ გამარჯვებას...
ხერხის და რიცხვის ჰქონდათ იმედი,
მაგრამ უკუღმა გადუტრიალდათ
მოულოდნელად იმათაც ბედი:
კვალში მისდია გაბრუნებულ ჯარს
და თანვე მიჰყვა მათ გამრეკელი, –
ტყვილა არ ერქვა მას მეტ-სახელად
„შავი კლდის მელა და მიწის მგელი“.
შეატყობინა სავარსამიძეს,
სადაც იბრძოდა მტერი, უჩვენა
და, რაც დღე მაშინ ქართველებს ადგათ,
მტრის ჯარს იგივე დღე დააყენა:
შემოჰკრეს ირგვლივ და ორ ცეცხლ-შუა
გამომწყვდეული დარჩა მტრის ჯარი...
გზა არეულებს ყოველის კუთხით

თავზედ ატყდებათ მეხი და ზარი.
აივსო ხევი მკვდრებით... დაგუბდა
ბლომათა აქ-იქ სისხლისა ღვარი
და, თავის შველა რომ ვისმე ჰსურდეს,
გასაქცევი გზაც აღარსად არი!
მაშინ გახედა შორით თორნიკემ
და სთქვა: „– გაერთდა, ვხედავ, ბრძოლაო!
სწორეთ ახლაა მათთვის საჭირო
გამოცდილ სარდლის თან მიყოლაო!“
მოაყვანინა ბერ-კვიცი, შეჯდა,
მიეშურება სადაც ომია;
სიბერე ახლავს, მაგრამ ჯერ კიდევ
გულით ჭაბუკი, სიმხნით ლომია.
ომი რომ ნახა, გულს გადეყარა,
არ დარჩა ბედის უმადურათა
და გაიელვა ზედიზედ მტრებზედ
მისმა მახვილმა ძველებურათა.
შემოურბინა ჯარს ირგვლივ გმირმა,
სარდლებს გადასცა მისი ბრძანება:
„გზას ნუ შეუკრავთ გაჭირვებულებს,
დეე, გაიქცენ, მიეცით ნება!“
და გაუხსნეს გზა დასავლეთისკენ,
გაუკეთეს რა განძრახვით კარი,
და მხოლოდ სამის კუთხიდან მკაცრად
მტერს აწვებოდა ქართველი ჯარი.
იბრუნეს პირი დასავლეთისკენ
მტრებმა, გაქცევა ერთად იკადრეს
და მიაშურეს ისევ ძველ-საფარს,
ძველსა სიმტკიცეს და ძველ სიმაგრეს.
მაგრამ როდესაც მიუახლოვდენ,
„ვაი“-ზედ „უი“ მეტი დაერთოთ:
იქ ჯავშანიძე დაუხვდათ ჯარით
და ეს ნუგეშიც სრულად წაერთოთ.
დაჰყარეს იქვე მათი ფარ-ხმალი,
ვეღარ გაუძლეს ამდენ სიმწარეს,

ერთიც დასძახეს: „თავს ვუშველოთო!“
და მიაშურეს ჰალის მდინარეს.
შეცვინდენ ხიდზედ – ჩაუტყდათ ხიდი:
ჩაცვინდენ წყალში კისრა-კისრითა,
ზოგი დაიღრჩვენ და ზოგს ნაპირზედ
უწყალოდ ხოცდენ ხმლით და ისრითა.
მოისრა ჯარი... გადარჩა მხოლოდ
თვით სკლიაროსი მცირე მხედრობით
და გაეშურა ბაღდადისაკენ,
სასომიხდილი უბედურობით.

VI

გათავდა ომი... კიდეც დაღამდა,
ბნელმა მოჰფინა ის არე-მარე;
შესწყდა კიჟინა და იმის ნაცვლად
კვნესა მოისმის აქა-იქ მწარე.
ზოგი წყალს ჰნატრობს სიკვდილის წინეთ,
ზოგი შველას და შემწეობასა,
ზოგი ბედს ჰყვედრის და ტანჯვით ამბობს,
რომ სიკვდილი სჯობს იმის ყოფასა.
ისინი, ვინც რომ ერთ-წუთის წინეთ
მხეცივით სისხლით ვერა სძღებოდენ,
ახლა, იმ კვნესას რომ ყურს უგდებდენ,
იმათი ცოდით იდაგებოდენ.
უნდოდათ შველა, მაგრამ სიბნელით
რომ ვერ ხედავენ აქ ვეღარაფერს,
ერთად არეულ-დარეულებში
ვეღარ არჩევდენ მოყვარეს და მტერს!
ბრძანა თორნიკემ: „– გაურჩეველად,
ქართველი იყოს, გინდა სპარსელი,
გინდა ბერძენი, გინდა სომეხი,
სულ ერთიანად მოჰკიდეთ ხელი.
სიკვდილი ყველას ათანასწორებს:
თვისიანს, უცხოს, მტერს და მოყვარეს!..

ვეცადოთ ყველამ და ნუ დავაკლებთ
დაჭრილებს მოვლას და მკვდრებს სამარეს.
ნურვინ გაბედავს, დატყვევებულებს
რომ მიაყენოს შეურაცხყოფა!
ვაჟ-კაცს რომ ბედი სხვას დაამონებს,
დასატანჯავათ ისიც ეყოფა!“
ასე ისურვა და იმ სურვილზედ
უარს ეტყოდა მხედრობა განა?
მხოლოდ უცდიდენ მთვარის ამოსვლას,
და, ჰა, მთვარემაც ამოატანა.
ამოჰყო თავი მაღალ მთის წვერით
და გადმოხედა ნაზად ბრძოლის ველს;
კაცის ქვეყნიურს ბნელსა საქმესა
მაღლით ციური აფენდა ნათელს.
გაანათლა და გამოაჩინა
დასანახავი გულ-შესაზარი,
თითქოს უნდოდა ეჩვენებია
კაცისთვის ბოროტ-ნამოქმედარი.
სულ დაჭრილ-მკვდრებით მოფენილია
ხეობა, ღელე, ტყე და მინდორი!
ვისიც სიცოცხლე დილას ჰყვაოდა,
ახლა შეიქნა ლეში და მძორი.
აგერ დაჭრილი!.. აგერ ძევს მკვდარი,
გაკვეთილია საბრალო ორად;
აგერაც ერთგან ათასსზედ მეტი
ზე დაჰჩეხიან ერთმანეთს ხორად!..
ამ ერთ ადგილსა რას მიუზიდავს
ამდენი სული? რა ანდამატით?
მხოლოდ იმითი, რომ ორბელიძე
აქა ძევს მკვდარი, ცუდათ... ღალატით.
მისი სიკვდილით ცეცხლ-მოდებული
მტერს ქართველები ეჯახებოდენ;
ბევრს მიიძღვანდენ საიქიოსკენ
და თვითონაცა ზე აკვდებოდენ.
მაგრამ ამითი კი ორბელიძეს

ველარ უშველეს, მიტყუებით მკვდარს.
და, აჰა, ამოდენ მკვდრებში
სულ ყველაზე ძირს ის გდია მკვდარი!
ზურგში ურჭვია მას მტრის მახვილი
და გულზე ადევს მისივე ფარი...
ცოტა შორს, განზედ, შავი კლდის ძირში
უწვერ-ულვაშო ეს ვინღა არი?
თავს დახვიხვინებს, ტორს სცემს მერანი,
რომ გააღვიძოს მისი მხედარი...
მაგრამ ამ ნეტარ-საუკუნო ძილს
აწ ვერ დაუფრთხობს ქვეყნად ველარრა,
დედის ცრემლების მან საპასუხოდ
აქ ბრძოლის ველზედ სისხლი დაღვარა
და შეასრულა მით ღირსეულად
მამულის-შვილის უკვდავი ვალი,
თავის სამშობლო ქვეყნის ხსოვნაში,
სამარადისოდ დახუჭა თვალი...
ეგებ სხვა რამე გულ-დასაწვავი
სიკვდილის წინეთ აგონდებოდა
და სასიკვდილო შხამი გულის წყლულს
უფრო სახმილად ეკიდებოდა?
ვინ იცის, რა და რა საიდუმლო
მან საიქიოს თან წაიტანა?
შორს სადმე ქართლში დედამ გამოსცნოს
ან გულის სატრფომ ეს გამოცანა...
აგერ ისრისგან მთლად დაცხრილული
გდია მოხუცი პირ-ნათლად მკვდარი,
თითქოს სძინავსო და ეზმანება
მას შორეული ტკბილი სიზმარი.
აჰა, დაჭრილი მიფორთხებულა
ბევრის წვალებით დიდ ხისა ძირში,
სურს დაიყვიროს, მაგრამ საძრავი
ენა აღარ აქვს მომაკვდავს, პირში.
აგერ სიდღამაც უცნაურის ხმით
გამოიძახის კვნესით დაჭრილი!

თავზედ აწევან საბრალოს მკვდრები
და ემატება მითი ტკივილი.
ამდენ დაჭრილის კვნესით და ოხვრით
აღარსად არის აქ ყურთა სმენა;
სომხურ, ქართული, ბერძნულ, სპარსული,
არეულია სხვადასხვა ენა.
გამწარებული გამოთქმის კილო
და დედა-ჰაზრი ერთი აქვსთ ყველას,
სწყევლიან თავის ბედს და გაჩენას
და გასაჭირში ითხოვენ შველას.
მაგრამ ბევრს მათგანს ვეღარ უშველის
სიკვდილის მეტი ვეღარაფერი,
თუმც კი მოყვრულად ეშველებიან
და აღარავის აღარ ჰყავს მტერი.
ასე გათავდა ეს დიდი ბრძოლა...
აჯანყებულთა ამოწყდა ჯარი,
მაგრამ მათ რიცხვში ხუთი ათასი
გამოერია ქართველიც მკვდარი...

კარი მეოთხე

I

გამობრძანდა ქალაქს გარეთ
მეფე დავით ბედნიერი,
თანვე ახლავს ყოველის მხრით
წამოსული ქართლის ერი.
რიცხვი არ აქვს დარაზმულსა
ქვეითსა და ცხენოსან ჯარს,
შეჰხარიან ბატონ-მეფეს,
მორჩილებით უვლიან გარს.
გარეშემო მთა და ბარი
წვრილ-ფეხობით მოფენილა,
თითქოს რაღაც დიდ-წყალობას

ექადოდეს მათ ეს დილა,
ცალკე სერზედ უთვალავი
გადმომდგარა დედა-წული,
სხვებზედ მეტათ დასტყობიათ
საზოგადო სიხარული.
წინ დგას მეფე და გვერდში ჰყავს
ბაგრატ, მისი შვილობილი,
კათოლიკოს-მღვდელ-მთავრები
იქვე დგანან კმაყოფილი.
სათვალმაქცოთ არა ბრწყინავს
ერისა და ღვთის რჩეული:
თან არა აქვს მას გვირგვინი
და სამეფო სამკაული!
მაგრამ ისეც ვინ არ იცნობს,
რომ ის დიდი ცხებულია,
ვინც ერისგან გულის წმინდით
ნაკურთხი და ქებულია?
ყველა იცნობს მამა-შვილურ...
არც რიდი აქვსთ და არც შიში;
მიდიან და რჩევას ჰკითხვენ,
როგორც ლხინში, ისე ჭირში.
აი, ახლაც უთვალავი
ეს ერი სულ მას შეჰყურებს
და მოელის გულის ძგერით
ნახოს, მეფე რას აპირებს.
    გაიხედეს შორს მინდვრისკენ
და რაღაცას მოჰკრეს თვალი,
ძირს შავათ და მაღლა ღრუბლათ
მათკენ იყო მომავალი.
ეს იყო, რომ ბრუნდებოდა
საბერძნეთით ქართლის ჯარი
და ცხენების ფეხთა-მტვერსა
აღმა ჰყრიდა ღრუბლად ქარი.
თავის ქვეყნის კიდევ ნახვამ
მხედრებს გული აუძგერა

და საგმირო ჩვეულებრივ
შემოსძახეს მათ სიმღერა:
„კავკასიის ქედზე იყო
ამირანი მიჯაჭვული,
ყვავ-ყორანი ეხვევოდა,
დაფლეტილი ჰქონდა გული.
ქვეყნად ცეცხლის მოტანისთვის
გულს ცეცხლი არ ნელდებოდა
და რაღაცა მანქანებით
გული ისევ მთელდებოდა.
ჰქონდა ჭირში მოთმინება,
არც ჰკვნესოდა, არც ოხვრიდა;
უსამართლო ძლიერებას
მონურად ქედს არ უხრიდა.
ბოლოს მაინც გამარჯობა
დარჩა!.. ყველა გააოცა!..
და ის ღვაწლი მაგალითად
მიწის შვილთა მან გადმოსცა...
კავკასიის მაღალ-ქედზედ
მიჯაჭვული ამირანი,
არის მთელი საქართველო
და მტრები კი – ყვავ-ყორანი.
მოვა დრო და თავს აიშვებს,
ამ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა-გმირი!..
სიხარულად შეეცვლება
იმდენი ხნის გასაჭირი!“
მოახლოვდენ ამ სიმღერით,
დადგენ ცოტა მოშორებით;
დაქვეითდენ, წინ წამოდგენ
და დარაზმდენ აჩქარებით.
თაყვანი სცეს ერთად მეფეს,
ცალი მუხლი მოიყარეს;
სიმდაბლის და მორჩილების

ნიშნად თავი მოიხარეს.
წადგა მეფე და შესძახა:
„– გამარჯვება მძლეველ ჯარსო!
ვაშა! ვაშა! იმათ ღვაწლს და
საუკუნო სახსოვარსო!
გამარჯობა ქართველ დედებს,
ჩვენს გამზრდელსა და მშობლებსო:
მათი ძუძუ გვავაჟ-კაცებს
და ზრდა სულით გვამაღლებსო!..“
ამ სიტყვებმა აიტაცა
ააღელვა მთელი ჯარი,
შესძახეს და მათის გრგვინვით
ირყეოდენ მთა და ბარი:
„– გაუმარჯოს ქართველ-დედებს,
ვაშა! ვაშა! მძლეველ-ჯარსო,
დღეგრძელობა ბატონ-მეფეს,
ქვეყნის თვალსა და ჯავარსო!“

II

მაშინ წარსდგა ბატონის წინ
დიდი თორნიკ ერისთავი,
წინ დაუდვა ფეხთით დროშა
და მიართვა რაღაც ტყავი.
მოახსენა: „– აჰა, მეფევ!
„გრამმატაა“ დედოფლისო,
მაგიერი სასყიდელი
ჩვენის სისხლის და ოფლისო.
ბასილი და კონსტანტინეც
ამოწმებენ ამ წერილსო
და უთმობენ ზემოქვეყნებს
თქვენს შვილსა და შვილის შვილსო.
მეც მიბოძეს მათ საკუთრად
საჩუქარი დიდ-ძალიო:

სამკაული, ოქრო, ვერცხლი,
მარგალიტი და თვალიო.
მაგრამ, მეფევ, მე რათ მინდა
ეს სიმდიდრე საწყალ ბერსო,
თქვენს დიდებულ-ბატონობას
შემოვსწირავ ყოვლიფერსო.
ნახევარი თქვენი იყოს,
ნახევარიც ქვრივ-ოხრებსო!
ამდენი ჯორ-კიდებული
ორივესთვის იკმარებსო!“
მეფემ უთხრა: „– გმადლობ! ვიცი,
ქვრივ-ობლები რომ გიყვარსო...
მათ ჰქონდეს და მე კი ჩემთვის
არ ვიღებ არც ნახევარსო!
შენია და შენვე გქონდეს,
მოიხმარე, როგორც გსურსო;
რაღა ძღვენი ეჭირვება
შენს ღვაწლსა და სამსახურსო?“
მაგრამ თორნიკ უპასუხებს:
„– ნუ მარგუნებ, მეფევ, ძღვენსო:
ვერ მივიღებ მე სიმდიდრეს,
ვერ ვიქმ საქმეს ღვთის საწყენსო.
ჯვარია და სახარება
მხოლოდ ბერის სიმდიდრეო;
ეს სიმდიდრე ქვეყნის არის
და თქვენც მისი მემკვიდრეო!“
ვერ შეთანხმდენ, თუმც სარდალი
ცრემლით სთხოვდა მუხლ მოყრილი,
და ლაშქარიც სარდლის თანხმად
მის წინ იდგა თავ-დახრილი.

III

ღრუბელზე მაღლა, ორბის საბუდარს,
არჩვებ-ჯიხვების მაღალ-სამთავროს,
წმინდა მამებსა გამოუქვაბავსთ
კლდეში სახლები ოდესმე, ერთ დროს.
აღარა სჩანან დღეს ის მამები,
აწ აიაზმას ვერ გვასხურებენ,
და მაღლობიდამ ის სადგურებიც
ჩვენს შავ-ბედს შავად გადმოჰყურებენ...
ვერა ოთხ-ფეხი, ვერა ფრინველი,
ვერ შედის, თუმც კი ღიაა კარი;
ვერც უწმიდური რამე ქვემძრომი:
იქ ბუდობს მხოლოდ წმინდა ფუტკარი;
და ისიც მისთვის, რომ ზეცის მუშა
ხატებს უმზადებს აქ წმინდა სანთლებს,
თორემ სხვა... გინდა კაციც შევიდეს
რაღაცა შიში ააკანკალებს.
თორნიკეს დროსაც ამ გვარ-მღვიმეში
სცხოვრობდა ერთი მოხუცი ბერი,
ძაძით მოსილსა და ფეხ-შიშველსა,
წელზედ ეყარა თმები და წვერი.
ხშირად სოფელში ჩამოდიოდა,
არ ასვენებდა კაცთ-მოყვარება:
მუნჯათ ვიდოდა, ხმას არვის სცემდა,
აღთქმული ჰქონდა მას მდუმარება.
მაგრამ შრომასა და შემწეობას
გაჭირვებულებს არ ამადლიდა:
უყვარდა გლეხი, ქვრივი, ობოლი,
მამა-შვილურად ყველას უვლიდა.
თოხნაში, მკაში, სხვლაში და ხვნაში
ის მუშა იყო ყველაში სრული,
მისის მარჯვენის მადლს ფიცულობდა
ყოველი გლეხი, გაჭირვებული.
როცა სახადი, გადამდები რამ

სადმე სოფელში მოედებოდა,
იმათ მომვლელად და საპატრონოდ
წმინდა მოხუციც იქ გაჩნდებოდა.
და სასყიდელი იმისი იყო
ხმელი პური და ზედ წმინდა წყალი;
არვის უნახავს ის მოწყენილი,
არც მხიარული და არც გამწყრალი.
ერთ გუნებაზე იდგა და იდგა...
ყველას უყვარდა, ყველა იცნობდა,
მაგრამ ის მაინც არ ვინ იცოდა,
თუ რას ფიქრობდა და ან რას გრძნობდა.
იცოდენ მხოლოდ, რომ ბერი იყო,
სცხოვრობდა კლდეში, სოფლიდან ახლოს,
და დიდი ხნიდან მათი მამებიც
მას ეძახოდენ „გაბრიელ-სალოსს“.
როდესაც მეფემ არ შეიწყნარა
თორნიკეს ძღვენი, თხოვნა, ვედრება
და გაკვირვებულ ამოდენ ჯარში
სიჩუმე იყო და მდუმარება,
ეს გაბრიელი წარდგა იმათ წინ,
ამოიდგა რა პირველად ენა,
და გააკვირვა ყოველი სული,
როდესაც ბატონს ეს მოახსენა:
„– მეფევ! სიმდიდრე და ეს საუნჯე
არც შენ გეკუთვნის და არც თორნიკეს!
ეს ნახევარი სხვებისა არის...
სისხლის სანაცვლოდ იმათ მოიმკეს!
რისთვის ივიწყებთ იმათ, რომელთაც
მამულის სახელს თავი შესწირეს,
და გაითხარეს სამარე ისე,
რომ შორს მშობლებმაც ვერ დაიტირეს?
რათ არ იგონებთ იმ წმინდა ადგილს,
სადაც თორნიკე იმყოფებოდა?
თუ არა იმის სასწაულს და მადლს,
ქრისტიანობა იღუპებოდა!..

მთა-წმინდის იყოს ეს თქვენი ძღვენი,
იქ ააშენეთ მით მონასტრები,
რომ სუყოველ-დღე, წირვა-ლოცვის დროს
იხსენებოდენ ქართველი მკვდრები.
აუგეთ ერთიც ახალი ლავრა
ყოვლად წმინდისა დედის სახელსა,
რომ მის წილ-ხვედრი მცირე-ივერი
მსხვერპლს სწირავდეს მის მფარველს და მხსნელსა.
მეცნიერების და მწიგნობრობის
იქ აენთება ერთ დროს ლამპარი
და შვილი-შვილთა სხივებს მიაფენს
იმათი მამა და წინაპარი!“
სთქვა და ისევე დადუმდა ბერი.
გაოცებული უმზერდენ მაშინ...
დათანხმდა მეფე და ერმაც მასთან
ერთხმად შესძახა ხმა-მაღლა: „ამინ!..“
აღარვინ იყო საქართველოში
იმ დღიდამ იმა ბერის მნახველი,
მხოლოდ ერთხელ კი, როცა ქვეყანას
ჩამოსწოლოდა უკუნი ბნელი,
ორი მოხუცი ენახათ გზაზე
ხელ ყავარჯნებით შორს მიმავალი,
ათონისაკენ მიემართათ მათ
პირ-და-პირი გზა და სწორი კვალი.
ისე ვიდოდენ, იმ ბნელ-ღამეში,
თითქო უძღოდათ რაღაც ნათელი...
ერთი მათგანი იყო თორნიკე
და მეორე კი ის გაბრიელი.

IV

ერთხელ ათონში ატეხეს რეკა
და უჩვეულო იწყეს ღაღადი.
ასე ამბობდენ, რომ სასწაული
სუყველამ ერთად ვნახეთო ცხადი:

„მოსცურა ახლოს ღვთის-მშობლის ხატმა
და დაიყენა თავს ნათელიო.
გამოსვენება გვინდოდა, მაგრამ
არ მოიკიდა ჩვენი ხელიო.
ყველა ვერ ხედავს: ღამით ნათელი
და დღისით რაღაც ნისლი ჰბურავსო;
ჩვენ როცა ნავით ვუახლოვდებით,
ის არ გვიკარებს, შორ მისცურავსო.
მისი სიწმინდის შეხების ღირსი
აღარ აღმოჩნდა არცა ერთიო.
სჩანს, ჩვენი ცოდვა დიდი ყოფილა
და გვირისხდება მაღლით ღმერთიო!“
ასე სტირიან წმინდა მამები,
მარხვას და ლოცვას იორკეცებენ;
აღთქმებსაც სდებენ საკანონოთა
და ღირსს მათსავე გუნდში ეძებენ.
მაგრამ არ იქნა, სანამდის ძილში
არ ნახა ერთმა ბერმა ჩვენება:
გამოეცხადა მას დედა ღვთისა
და განუცხადა მაღალი ნება:
„– ამაოდ შფოთავთ, წმინდა მამებო,
არაფერი გაქვთ ღმერთთან ბრალიო.
არც ჩემთანა ხართ თქვენ დამნაშავე,
არა ვარ თქვენზე მე გამწყრალიო.
მაგრამ მე თქვენთვის აქ არ მოვსულვარ,
სხვა არის ჩემი წმინდა ნებაო,
და თქვენგანს არვის არ შეუძლია
ჩემი აქედამ წასვენებაო!
ჩემ სადიდებლათ რომ აუგიათ
ივერიელთა აქ ტაძარიო.
და ყველასათვის შიგ შესასვლელად
მათ გაუღიათ მისი კარიო,
იქ სცხოვრობს ერთი მოხუცი ბერი,
ივერიელი – გაბრიელიო
და ნათლით მოსილს იმ ჩემ ძლიერ ხატს

იმან შეახოს მხოლოდ ხელიო,
რომ მიიტანოს და დაასვენოს
შესავალ-კართან საკვირველიო,
და იმ დღიდანვე სასწაულმომქმედს
დაერქვას: „კარის ღვთის-მშობელიო!“
გამხიარულდენ წმინდა მამები,
იწყეს შესხმითი გუნდათ გალობა;
უვლიდენ ტაძრებს კელაპტრებითა,
გახშირდა საღმრთო ლიტანიობა.
წინ მიუძღოდა იმათ თორნიკე
და იოვანე მცირე კრებითა,
და ივსებოდა იმათი გული
მომეტებულის ნეტარებითა.
მიიღეს ხატი და დაასვენეს
დანიშნულს ადგილს სიხარულითა
და ივსებოდა წმინდა ტაძარი
იმავე დღიდან სასწაულითა.
მაგრამ ყველაზე შესანიშნავი
იხილეს მაშინ ერთი ჩვენება,
რომლისაც მსგავსი ჯერ არც ენახათ
და არც ყოფილა სადმე ხსენება:
გამოიხატა ცაზე გვირგვინი,
ვარსკვლავებისგან გამოჭედილი,
დაადგა თავზე ივერთ მონასტერს
და გაანათლა წმინდა ადგილი,
და ნათლის სხივებს აელვარებდა
დიდ-ხანს, სანამდის არ დადგა დილა!..
შემდეგაც თურმე არა ერთ-გზისა
იმავე ადგილს გამოჭედილა.
დღეს ის ნიშანი კი აღარა სჩანს:
დიდი ხანია, რაც რომ გამქრალა...
უეჭველია, ჩვენს გულ-გრილობას
გარისხებია!.. ჩვენზედ გამწყრალა!..
მაგრამ სულ-მნათსა საქართველოსას,
ღვთის-მშობლობა დღეს, ერთი სიზმარი

ენახა: ქვეყნად ჩამოსულიყვნენ
ნინო, ქეთევან და თვით თამარი.
თამარს თავს ედგა ძლევის გვირგვინი
და ქეთევანსა – წმინდა მოწმობის...
ნინოს ხელთ ეპყრა ჯვარი ვაზისა,
ნიშანი დიდი ქრისტიანობის.
ზეცად აეპყრათ სამთავე თვალი,
საქართველოსკენ აშვერდენ ხელსა...
ამ დროს მოესმათ, ანგელოსთ გუნდი
ჰგალობდა ტკბილსა საგალობელსა:
„– დედაო ღვთისავ! შენი ხვედრია
ეს საქართველო დიდ-ჭირ ნახული,
შეუნდვე ცოდვა!.. ნუ ააღებ ხელს,
ლმობიერებით იბრუნე გული!..
მოეც კურთხევა ზეცით, მაღალო,
და გადმოსახე ძლიერად ჯვარი,
რომ აღადგინო ქართველთა ერი
დღეს დაცემული და ცოცხალ-მკვდარი!
მისსა მხნეობას, მისსა ზნეობას
გაუმტკიცებდე აღმა ფრენასა
და შენ საქებრად, სადიდებელად
ნუ დაავიწყებ იმ ტკბილ ენასა,
რომლითაც თამარ ბრძანებას სცემდა,
ქეთევან მარად შენ გადიდებდა
და ნინო ძისა შენისა მცნებას
შენგან რჩეულ-ერს უქადაგებდა!..“
  რომ გაათავეს თურმე ეს ლოცვა,
ზეცას შეხედეს სამთავე ნელა
და დაინახეს, რომ ძველ-ადგილზედ
გამოესახათ მათ ცისარტყელა...

[1883 წ.]

ნათელა

ძველებური ამბავი

შესავალი

ამაღლდით, გრძნობავ, გონებავ!..
ასცილდით მზე და მთვარესა!..
შეუკავშირდით ვარსკვლავებს,
მოციმციმ-მოელვარესა!

შეიტყვეთ საიდუმლობა
ზეციურ ტკბილი ხმებისა
და შეისწავლეთ კანონი
იმათი შეთანხმებისა!

მე მაშინ მხოლოდ გავბედავ,
ხელი შევახო ჩანგურსა
და მწარე ზარი ამ ქვეყნის
შევრთო იმ ქვეყნის ზევსურსა,

რომ მეც გალობით, გედივით,
დავაგდო ქვეყნის საზღვარი,
ჩავდნე ჩემსავე ჰანგებში
და გავქრე, როგორც ლამპარი...

დიახ, მსურს დავდნე და გავქრე,
რომ მას მოვფინო ნათელი!..
ნათელა არის იმისი,
ვისაც მე ვამკობ, სახელი.

ნაწილი პირველი

თავი I

ერთხელ თურმე მზეს და მთვარეს
მოუვიდათ ჩხუბი დიდი:
გაშორდნენ და, შემაერთი,
ჩაინგრიეს გზა და ხიდი.

შუა ჩადგა გველეშაპი,
დრო იხელთა, ჩაეპარა...
აღარც მზე სჩანს, აღარც მთვარე...
ორივ ერთად მიეფარა.

დადგა ბნელი, საზარელი
დრო, მხეცების სანავარდი!..
მზის სხივების ვეღარ მჭვრეტი,
გახმა ია, დასჭკნა ვარდი!..

სწორედ ამ დროს, სიბნელის დროს,
მოევლინა ქართველს ჭირი!..
აღარც ძმობა, აღარც ყმობა,
აღარც სიტყვა, აღარც პირი!!..

ერთი ძუძუთ გამოზრდილი,
ერთი დედის ორი შვილი,
ერთს ჭირსა და ერთსვე ლხინში
შეთანხმებულ, გამოცდილი: –

ამერი და იმერეთი
აირია, აიშალა!..
და ორივეს ჩამოაკლდა
სიმტკიცე და ძველი ძალა.

ეს უნდოდათ მონგოლებსაც!
გაიხარეს გულით დიდათ,
შუა ჩადგენ და ძმებ-შუა
შური გასდვეს გზად და ხიდად.

გაეგონათ, ქართველები
პირდაპირად ვერვინ სძლია,
და იმათი დამჩავგრელი
მხოლოდ სულის სიმდაბლეა!..

გზას დაადგენ ცბიერების,
ხალხსა ჰრყვნიდენ მრავალ-გვარად;
სიცრუე და ორპირობა
ხელთ ეჭირათ ხრმლად და ფარად.

სიმართლეს და კარგ კაცობას
აღარ ქონდა გასავალი
და სდევნიდენ კაცურ კაცებს,
არ ჰქონოდათ, გინდა, ბრალი.

ჩამოაგდეს ქვეყანაში
სიღარიბე სიღატაკე;
მთა და ბარი გაასწორეს,
შეაერთეს ზღვა და ვაკე.

დღეს-ხვალობით შელახული,
დაიჩაგრა, გატყდა ერი:
შიგა-და-შიგ გამოუჩნდა
ძმას მისივე მოძმე მტერი!..

მამა-პაპის წაღმა ხნული
შვილიშვილთა დაღმა ფარცხეს!
ამერმა და იმერეთმაც
ერთმანეთი დაამარცხეს.

ძველი ქება და დიდება
დასჭკნა უცბად, როგორც მდელო:
ადრინდელის ჩრდილი იყო,
დაჩაგრული საქართველო!..

ყოველი მხრით გაისმოდა
სულთა-ბრძოლის „ვაი!“„ვიში!“
და დაცემულ ქართველობის
აღარ ჰქონდათ მის მტრებს შიში!..

ეგონათ, თუ ქართლის ბედი
საუკუნოდ მიეფარა
და მომავალ სიცოცხლესაც
შავი მიწა მიეყარა!..

რა იცოდენ, რომ მის წილ-ხვედრს
დედა ღვთისა არ სწირავდა,
და ტანჯვაში გამობრძმედილს
მომავლისთვის იფარავდა?!

ზოგჯერ კერა ჩამქრალია...
ცივი ნაცრის გარე პირი,
და უსითბო, უსიცოცხლო
ზედ აყრია მას ნახშირი!

მაგრამ, თურმე შუა-გულში
სძინავს ობოლ ნაკვერცხალსა
და ინახავს მერმისისთვის
ჩვეულებრივ ნათელ ძალსა!

ქვეყნის კერაც ასეთია;
გინდ დახუჭოს მკვდრულად თვალი,
იმის გულში მაინც ღვივის
დაფარული ნაპერწკალი!..

თავი II

ცაში ვარსკვლავი ვარსკვლავზე
ღვთისაგან დანათესია,
მაგრამ იმათში ყველაზე
შუქურა უკეთესია!..

ბევრია საქართველოში
პირთამზე, მზეთუნახავი;
მაგრამ, „ნათელას“ რომ სჯობდეს,
არავინ არის მნახავი.

ტანადობა აქვს ალვის ხის
და თვალადობა მთვარისა...
ღიმილი – ცისკრის ვარსკვლავის,
სხივოსან-მოელვარისა.

ვარდს მიუძღვნია ელფერი,
სინაზე – ტურფა იასა;
ზედ შუქი მოუფენია
სამოთხის კარსა ღიასა.

გიშერი შავი თვალები
სამოთხის ჩამსახველია!
კოჭებამდე სცემს ხუჭუჭი,
შავი, უკუნი, ბნელია!..

ქალია ქველი წერეთლის,
პატრონი „მოდინახისა“,
უნებლიეთად დამგები
სასიყვარულო მახისა!

აღარც დედა ჰყავს, არც მამა,
ობლობით განაზარდია...
ცით მოწყვეტილი ვარსკვლავი,
ედემში რგული ვარდია!

სადაც კი საქართველოში
განთქმული მეომარია, –
თვალი იმისკენ უჭირავს,
ნათელას მაძებარია.

მაგრამ ნათელას პასუხი
საერთოდ გადაჭრილია:
„ჯერ ჩემი გული ყველასთვის,
როგორც სამარე, გრილია!

და ვერაფერი გაათბობს,
თუ არ სხვაგვარი გმირობა!
საცოლოდ იმან მიგულოს,
ვინც შეასრულოს პირობა:

მე ერთი ჩოხა შევჰკერე,
თეთრი რამ... მშვენიერია!
წელში ვიწროა, წერწეტი,
ბეჭებში განიერია.

არსად ეტყობა ნაკერი,
ძაფები დაკარგულია;
და ოქრო-მკედით ნაჭედი,
სახეებ მოქარგულია.

შვიდი ტკაველი სიგრძე აქვს,
და შესაფერი განია!..
ოქროს ღილები შემიბამს,
ცრემლებით გამიბანია.

ვისაც ის ტანზე მოუვა,
იმან ჩაიცვას, სხვამ არა!..
მაგრამ, სხვაც არის პირობა
ეს ერთი მარტო არ კმარა.

წავიდეს, მტრებში იომოს,
გვიჩვენოს ძალა მკლავისა!
წითლად შეჰღებოს საპირე
ამ ჩემი ნახელავისა!..

ნახოს სახელი მისთანა,
რომ არ ენახოთ არც ძველად:
ას-ოცი თავი მომართვას
ჩემი სარების სარქველად:

რომ შემოევლოს მესერად
ამ ჩემ დიდ ციხე-დარბაზსა...
და მაშინ მხოლოდ ეს გული
გათბება... დასდებს მას ფასსა!“

ყოველი კუთხით გაისმა
ეს უცნაური პირობა!
ყველას უნდოდა ესინჯა...
გამოეცადა გმირობა.

მთლად მოეხიბლა ქვეყანა
ნათელას ციურ სახესა:
გუნდათ-და-გუნდათ მოატყდენ
გმირები მოდინახესა!..

სინჯვენ... არ ერგო ის ჩოხა
არავის ტანადობასა!..
ეთხოვებიან ნათელას
და სჯერდებიან დობასა.

დღე დღეზე მიდის, თვე თვეზე,
გარბიან წელიწადები!
და ფრთებს იკვეცავს სურვილი,
ნათელას გულში ნადები:

ვაი, თუ ცუდად ვკარგავდე
ჭაბუკ დროს, სანეტაროსა?
და ჩემმა გიჟმა ოცნებამ
ამაოდ ჩამიაროსა?!!

თავი III

მაღლიდან გადმომდგარიყო
მზეთუნახავი ნათელა;
სარკმელში იყურებოდა,
გული უცემდა ნელ-ნელა.

სევდა რამ შემოწოლოდა,
შავი ფიქრებით მღელვარეს;
შეეკრა ტევრი წარბები,
სახეს ჩრდილავდა ელვარეს.

ხან ფიქრით გატაცებული
შორს აშტერებდა თვალებსა,
ხან ისევ გონზე მოსული
გადაჰყურებდა ჭალებსა.

ყვირილა ადიდებული
მოიკლაკვნოდა ღრიალით,
რეტი ესხმოდა ჭალებში
აქეთ და იქით ტრიალით!!.

ხიდი წახვეტა, რაც იყო,
შეჰკრა გზა გაღმა-გამოღმის!..
დიდზე უწევდა მუქარა
მისი მყვირალა ცივი ხმის.

ანაზდათ შორით გამოჩნდა
მხედარი თეთრი ცხენითა,

მოაგელებდა მერანსა,
თითქოს მოჰყავდა ფრენითა.

მოადგა, ხიდი არ დახვდა,
ცხენი მოაგდო კიდესა!
დეზი ჰკრა, წყალში გადუშვა,
ისველებს ჩაფხუტ-რიდესა.

გამოეხვიენ ტალღებში
ცხენი და კაცი, ორივე!..
ღმერთზე ჰკიდია მათი ხსნა, –
საეჭვო არის მათი სვე!

თვალი მოავლო ნათელამ,
იკივლა „იღუპებაო!..
და შველაც ხორც-შესხმულისგან
იმათი არ ეგებაო“!

დაღუპვას რომ არ უყუროს,
თვალთ მიიფარა ხელები!..
მაგრამ გასცურა მხედარმა,
გადააჭენა ველები;

შეუდგა აღმართს... გულ-და-გულ
მიადგა მოდინახესა!..
სარკმელს შეჰყურებს მღელვარე,
ეძებს სასურველს სახესა.

არავინა სჩანს... ხორციელს
ვერავის ჰხედავს ის თვალით!..
მხოლოდ მაღლიდან დაეშვა
იმის წინ ჩოხა ფრიალით.

აიღო ხელში გასინჯა,
ჩაიცვა, ვ ერგო კიდეცა!..

გაიორკეცა სურვილი,
მისთვის გაიხსნა კიდე-ცა!..

კოცნა შესტყორცა სარკმლისკენ,
მოახტა მარდად თეთრასა!..
და, რომელ გზითაც მოვიდა,
დაადგა ისევ იმ გზასა!

არ ჰსთქვა: ვინ იყო? რა გვარი?
საიდან იყო მოსული?..
წავიდა და თან წაიღო
ნათელას გული და სული.

თავი IV

ერთი ხანია – ნათელას
ძღვნად მოსდის ოქროს კავები,
და ზედაც ჩამოხირხლული
სამშობლოს მტრების თავები.

არავინ იცის. ვინ გზავნის?
ვის მოაქვს ციხის კარზედა?
დღითი-დღე თავებს აგებენ
სარქველად გამხმარ სარზედა.

ერთი აკლია ას-ოცსა!
იმასაც ელის ნათელა...
მაგრამ დრო გადის, არ მოაქვსთ,
არ იქნა... არა ეშველა,

ფიქრში ჩავარდა ლამაზი:
ვაი თუ მოკლეს გმირიო?!
მაშინ დაბნელდეს ჩემთვის ცა,
ჩაინგრეს ქვეყნის პირიო! —

წარმოიდგინა ავი რამ,
ოცნებით დართო ჭირი ჭირს;
თმა გაიშალა, ძირს დაჯდა
და აღარც იკრავს გულის-პირს!

არ იხედება სარკმელში,
აღარ ადევნებს მგზავრს თვალსა!..
ისე იქცევა, როგორც კი
შეჰფერის ჭირისუფალსა.

თმაგაშლილს შავი სამოსი
უმატებს ელვარებასა.
რა შეედრება ქვეყნად მის
გულ-მკერდის მღელვარებასა?!.

შევიდა მასთან გამდელი,
მისი საყვარელ-რჩეული;
მიუალერსა გაზდილსა
და სიტყვა ჰკადრა ჩვეული:

„ბატონიშვილო, ვისა ჰგლოვ,
რათ ემონები ოცნებას?!
ლოცვა-ვედრება შეჰფერის
და არ ყვედრება ღვთის ნებას!

„ეგებ არ იყოს ის მკვდარი...
შენ კი იგლოვდე ცოცხალსა,
ცეცხლს იკიდებდე უჯეროდ
და ზედ ასხამდე ცხელ წყალსა!...

„ადე, ნუ ზიხარ! ჩაიცვი,
მოირთე სამკაულითა...
და, ვინც გსურს, იმის სიცოცხლე
ღმერთს შეავედრე გულითა“.

დათანხმდა ქალი, წამოდგა,
მიჰმართა დედამღვთისასა:
სთხოვდა მას შუამდგომლობას
და შემწეობას ძისასა!

გათენდა დილა საამო,
ქვეყანამ გამოიღვიძა:
ცა დედა-მიწას დახარის
და ცას შენატრის ძირს მიწა.

კაცი, პირუტყვი, მცენარე
მზეს მოელიან საამურს,
ბულბული ჩანგურს უმზადებს
და შაშვი უკრავს სალამურს.

ტოროლა მაღლა ჰაერში
ზარს აწკარუნებს რიკ-რიკით,
აუქროლ-ჩამოუქროლებს
მერცხალი კტბილი ჭიკჭიკით!

ქვეყანა აღტაცებული
უგალობს ქებათ-ქებასა,
და ყვავილები სამსხვერპლოდ
უკმევენ სუნნელებასა!..

არ სძინავს არცა ნათელას:
ხატის წინ მუხლ-მოყრილია,
ცრემლსა ღვრის სავედრებელსა,
მით სასოება ტკბილია!..

უცბათ გაიღო კარები,
მსახურმა ფეხი შემოდგა,
არ მოელოდა მლოცველი,
შეკრთა და ზეზე წამოდგა.

უბრძანა: „კადნიერება
ეგ შენი მეუცხოება;
მაგრამ შლეგი ხარ, უზდელი,
ბევრი არ მოგეთხოვება!

„უდროოდ, განა არ იცი,
ჩემთან არავის უვლია?!.
ნება აქვს მხოლოდ ერთს გამდელს,
და ისიც მოკრძალულია“.

– ჩემო ხელმწიფევ, ნუ მრისხავთ!
არა გხლებივარ ნებითა:
შეგვემთხვა უჩვეულო რამ,
გიახელ იძულებითა.

კარზედ მოგვადგა მხედარი,
არ ამბობს, თუ ვინ გვაწვია;
წითელ ცხენზე ზის და ტანზე
ჩოხაც წითელი აცვია.

პირ-და-პირ მოდის, უშიშრად,
და არც არავის რცხვენია!..
კალთაში გამოხვეული
მოაქვს რაღაცა!.. ძღვენია!

ნახვა სურს, სული მიუდის!
ამბობს: „მაჩვენეთ ჩქარაო!
ვარ კარგი მახარობელი,
და არა მეტიჩარაო“.

გულმა უმთხრობლა ნათელას,
ვინც იყო მისი სტუმარი!
ბრძანა და გააღებია
მაგარი ციხის მან კარი.

შინ შემოვიდა სტუმარი,
მის ნახვას არ-რა სჯობია!
ედემში ზდილი ალვის ხე,
სამოთხის შენამკობია!

ჯერ თაყვანი სცა მასპინძელს,
მუხლები მოიყარა მან...
ვერ გამოჩნდება იმასთან
ზღაპრული გმირი ყარამან!..

ჰკადრა: „მოვსულვარ თქვენი ტყვე.
პირობის შემსრულებელი!
თქვენის სხივის და ჯავარის
შეფრქვევით მადიდებელი.

„უბრძანეთ, ცხენი გაბანონ,
ჩოხაც გარეცხონ თბილ-წყლითა;
ცხენიც თეთრია, ჩოხაცა,
შეღებულია სისხლითა!

„და აწ, მიიღეთ ჩემგან ძღვნად
ვით პირის სანახავიო,
ქვეყნის მტრისა და ორგულის
ეს მეასოცე თავიო“!

გასჭვალა ვაჟის სიკეთემ,
შეკრთა წერეთლის ასული!
მადლობის გადასახდელად
ძლივს მოიბრუნა მან სული!

„კურთხეულ იყოს“ – წყნარად სთქვა –
„შენი აქ მობრძანებაო!
თვალით გიყურებ, არ მჯერა...
მგონიხარ მოჩვენებაო.

„თუ ღვთით ხარ მოვლინებული,
ცხადი რამ, ხორციელიო,
ვინ ხარ და სიდან მოსულხარ?
მითხარი! პასუხს ველიო!..“

ყრმამან მიუგო: „მაგისი
ძნელი არ არის ცოდნაო:
მთავრის შვილი ვარ, მთავარი,
დადიანი ვარ ცოტნაო!..“

ქალმა სთქვა: „ცოტნეს სახელი
გამიგონია მეცაო.
კურთხეულ იყოს მარადის
ჩვენი შემყრელი ზეცაო!“

ხელი ხელს მისცეს, გული გულს,
თვალი თვალს გაუყარესა,
და გაიმართა ნადიმი
ყველგან საჩხერის მხარესა.

ნაწილი მეორე

თავი I

იქ, სადაც ხოპის ნაპირზე,
დღეს ძველი მონასტერია,
მთავრის სასახლე ყოფილა,
მიდამოც დიდი სჭერია.

იმისი კოშკი მაღალი
უჭვრეტდა ოთხსავ მხარესა;
მახლობლად თავზე ივლებდა
დღისით მზეს, – ღამით მთვარესა.

მიჩერებოდა იალბუზს,
გადაჰყურებდა შავ-ზღვასა,
შეფერადებულ ჭალებსა,
სანახავს სხვასა და სხვასა!..

არც ერთი კუთხით მომსვლელი
მტერი არ გაეცდებოდა:
მისი პატრონის მხარმკლავი
შორით – შორამდი სწვდებოდა!

ის იყო ცოტნეს სადგური,
იქ მიიყვანა ნათელა!
და მიიწვია ქორწილში
მან ქვეშევრდომი სუყველა.

შემოკრბენ აფხაზ-მეგრელნი,
სვანებთან ერთად ჭანები;
ქართლ-კახეთ-სამესხეთოდან
მეგობარ თვისიანები.

ააგეს ფანჩატურები,
საჯდომი ბევრ ათასისა;
ქვეშ ორხოები დაჰფინეს,
დაუდებელი ფასისა.

თავში დაბძანდა მთავარი
და გვერდით დედოფალია;
სხვები ჩამწკრივდენ რიგ-რიგად,
როგორც წესი და ვალია.

გახურდა ლხინი ჩვეულებრ,
შეიქმნა ყანწის ტრიალი!..
ხელიდან ხელში გადადის
თას-აზარფეშა-ფიალი!..

და ვინც ბევრს არ სვამს, შიგ-და-შიგ, –
არაკრაკებენ „კულითა“!..
გაჩნდა ღიღინი, გალობა,
სიმღერა კრიმანჭულითა.

იქ ისმის „დილა-ოდილა“,
„კაბდური“, „თინა თინაო!“ –
აქ „შადი“, „მრავალ-ჟამიერ“,
„მზემ სხივი მოგვიფინაო“!

გამხიარულდა ერთ გვარად
სუყველა დიდი, პატარა,
მაგრამ დედოფლის სახეს კი
ღრუბელი გადაეფარა!

შეწუხდა ცოტნე და ჰკითხა:
„აგრე რათ მოიწყინეო?
მასპინძელი ხარ, ხომ იცი,
რიგია, მოილხინეო! —

„თუ საწერეთლოს დათმობამ
შენ მაგრე შეგაწუხაო,
სჩანს, ზეცა გამრისხებია,
და რისხვით გადმომქუხაო!...“

მზე რომ ჭიატობს წვიმის დროს,
ანბობენ: „მზე პირს იბანსო,
და ცისარტყელა შვიდ-ფერი
მას მხარს უშვენებს და განსო“.

იმას მოჰგავდა, ნათელას
თვალ-ცრემლიანი ღიმილი
და ანგელოსის გალობას,
მისი პასუხი ხმა-ტკბილი:

„ჩემო ხელმწიფევ! შენთან მყოფს,
მომაგონდება მე ვინა?
მაგრამ სხვა რამემ შორიდან
საგრძნობლად გულზედ მიკბინა!

„ვეღარ მოვისმენ გულ-გრილად
„შადსა“ და „მრავალ-ჟამიერს“,
სანამდი საქართველოში
ბატონად ვხედავ ქვეყნის მტერს,

„თვალწინ მეხატვის ერთი რამ,
ისა მკლავს და ის მაღონებს:
ლიხს იქით მოძმე ქართველი
ყმად გაუხდიათ მანგოლებს!

„დღეს აქ ლხინი გვაქვს საერთო
ყანწ-აზარფეშის ტრიალი;
იქ კვნესა ისმის დაჭრილთა
და ქვრივ-ობლების ღრიალი!

„ხომ ხედავ ამდენ ვაჟკაცებს,
გმირთა-გმირს, ლომთა-ლომებსა?
ცოდვა არ არის ესენი
ერიდებოდენ ომებსა!?

„აქ რას უსხედან? წავიდენ!..
შენ უწინამძღვრე, მთავარო!
და მეცა თქვენთან, იცოდეთ,
მამულის მსხვერპლად მზა ვარო!“

სთქვა და გაჩუმდა, მის სახეს
დაადგა თითქოს ნათელი;
თავი მოხარა სიმდაბლით,
გულზე დაიდვა რა ხელი.

ზეზე წამოდგა მთავარი,
შემკრთალი გაოცებითა!..
ხალხიც შეჰყურებს დედოფალს
უბიწო აღტაცებითა!..

მოულოდნელმა პასუხმა
გრძნობა-გონება არია!..
თვითქო გაქვავდა ეს ხალხი,
უხმოდ, უძრავად მდგარია.

პასუხის ვეღარ მიმღებმა,
ნათელამ გაიმეორა:
„ქალი ვარ, ჩემო ხელმწიფევ!..
ნუ მრისხავ, თუ რამ გეჭორა“!..

გამოარკვია ამ სიტყვამ
მთავარი გაბრუებული
და ათქმევინა რაც ჰქონდა
გულში იდუმალ დებული:

„სწორუპოვარო შვენებით,
სიბრძნითაც ამაღლებულო!
ოჯახის შვილო, ნაზარდო
ქართველად, აყვავებულო!

დიდი ხანია, ჩემ გულსაც
ეგვე სურვილი მსჭვალავდა,
მაგრამ სიფრთხილე საჭირო,
ვით საიდუმლოს მალავდა.

„გონზე მოსულან, შეთქმულან
ამერთა დიდებულები,
მათში ჯაბანსა, საეჭვოს,
არავის არ ვეგულები!..

„მოუწერიათ ჩემთვისაც,
ითხოვენ შემწეობასა...
დღეის სწორს მივალ ჯავახეთს,
მით დაუმტკიცებ ძმობასა.

„ჭირი და ლხინი საერთო
მოძმეთა შუა ვალია...
ამის თავდები, ვფიცავ ღმერთს
ბრწყინვალე მომავალია!

„ეს ხალხიც მიტომ შევჰყარე,
რომ გამემჟღავნა ყველა ეს,
მოსამზადებლად მე სხვა დროს
ხელთ ვერ ვიგდებდი უკეთესს!“

ეს რომ სთქვა, მოუბრუნდა სხვებს:
„ხომ გაიგონეთ თქმულიო?
ჩვენ შეთანხმებულ სურვილზე,
რას ანბობს თქვენი გულიო?“

ერთ-ხმად დასძახეს: „იცოცხლე,
მრავალ-ჟამიერ!.. ჟამიერ!..
ჭირიც და ლხინიც საერთო —
კავშირი იმერ-ამიერ!!.“

ღიმილით ბრძანა მთავარმა:
„მეც მაგას მოველოდიო:
თქვენით და თქვენგან მომეხსნა,
გულზე რომ მაწვა ლოდიო!

„კმარა! მაგაზე საუბარს
ჩვენ ხვალაც მოვესწრებითო,
დღეს სათხოვარი მაქვს ერთი
და იმას გევედრებითო:

„დაჯექით... გამხიარულდით,
ნუ მოშლით ლხინს და მღერასო.
ვინ გაქცევია უდროვოდ
ვარსკვლავს და ბედის-წერასო“?!

გამხიარულდენ სტუმრები
გამრავალკეცდა ლხინიცა...
მოლხენით არის მთავარი
და მისი თვალის ჩინიცა!

ღიმილით ამბობს ნათელა:
„ჩანგური მომაწოდეთო!
ვეღარას ფარავს დღეს გული,
რაც ვიცი, თქვენც იცოდეთო!“

სიმებზე ბროლის თითები
დააწყო ნაზად... რბილათა!
ყელ-მოღერებით დამღერის,
ჩონგურიც მოსთქვამს ტკბილათა:

„ჩონგურს სიმები გაუბი,
მოვმართე ნელა-ნელაო;
შევუხმატკბილე ერთმანეთს:
„ოდელა – დელა – დელაო!“

„თავის ჰანგებზე, თავის ხმით
წკრიალებს ერთად ყველაო,
ერთი-მეორის თანხმობით:
„ოდელა – დელა – დელაო!“

„ერთი მათგანიც რომ გაწყდეს,
მაშინვე უნდა შველაო,
რომ არ გაფუჭდეს ჩანგური!
„ოდელა – დელა – დელაო!“

„ჩონგური საქართველოა,
სიმები ჩვენ ვართ ყველაო,
სხვადასხვა კუთხის მცხოვრები:
„ოდელა – დელა – დელაო!“

„ჩვენც ხომ სიმების სისუსტემ
სინათლე დაგვიბნელაო!..
ბნელში რა სასიმღეროა?!
„ოდელა – დელა – დელაო?“

„შორიდან შემოგვეპარა
მტერი, ვით ტურა-მელაო,
და სულ სხვა ხმებზე გვამღერებს,
არ მოსწონს: „დელა – დელაო!“

„მწერიც კი სცხოვრობს თანხმობით,
ფუტკარი... ჭიანჭველაო!..
და ჩვენ რათ ვმღერით ცალ-ცალკე?
„ოდელა – დელა – დელაო!“

„ერთობა ჩვენთვის ტახტია,
მტრებისთვის – სახრჩობელაო!..
მტრებს „ვაი-დედა“ ვაძახოთ
და ჩვენ ვთქვათ: „დელა – დელაო!?

კმარა! ამდენმა ცრემლებმა
სიმები დამისველაო!..
ვერც ვუკრავ!.. ველარცა ვმღერი:
„ოდელა – დელა – დელაო!“

სთქვა და გადადვა ჩონგური,
შეხედა ღიმით მთავარსა:
ნათელა ნათელს ადიდებს,
ამკობს ჯავარი ჯავასა!

თავი II

ხმალს ილესავს იმერეთი,
აწყობს, მართავს შვილდ-ისარსა!
ლიხს გადივლის „ორი-რაშით“.
იქაურებს მისცემს მხარსა.

საიდუმლოდ ემზადება,
მიჰყავს ცოტნე დადიანსა!..
წინ წაიძღვანს ჭყონდიდელსა,
კურთხეულს და მადლიანსა.

გაიხსენებს ბაგრატის დროს,
დავითის და თამარისას!..
სამშობლოსთვის ცხელს ოფლს დაღვრის
და სისხლს შესვამს მისის მტრისას.

ისე გასწყვეტს ძირიანად,
არ გაუშვებს არც ერთს მთხრობლად!..
მაშინ მხოლოდ დაბრუნდება
იმერეთში მახარობლად!..

ასე ფიქრობს გმირი ცოტნე!..
ამასავე ფიქრობს ერი...
ბატონი ყმით, ყმა ბატონით,
ორივ ერთად ბედნიერი!

მაგრამ, „ვაი!“ გაუცუდდათ
იმედი და გულის ძგერა...
ბედ-უკულმა გადუბრუნდათ
საწაღმართო ბედის-წერა!

წიგნი მოსდის დადიანსა,
მეგობრების მონაწერი!
წაიკითხა... შეიცხადა:
დაიგლიჯა თმა და წვერი!..

მოეწერათ: „ნუღა მოხვალ!
თავს უშველე, ნუ აჩენო!..
შეთქმულობა გაგვიმჟღავნდა,
დაგვიჭირეს ყველა ჩვენო.

„ნუ მოცდები, ნუ იფიქრებ,
გზა არა აქვს ჩვენ საშველსო!..
ანის ქალაქს გვაგზავნიან,
გვიმზადებენ განსაცდელსო.

„რადგან ღმერთმან აგაშორა
ჩვენი ბედი, ჩვენი სვეო,
იცოცხლე და მაგიერი
მტერს როგორმე მიუზღვეო!“

წაიკითხა, დაიყვირა:
„რა შეგცოდეთ, ღმერთო შენო!..
შენს მორწმუნეს, ღვთისმშობლის ხვედრს,
ამ სატანჯველს რომ უჩენო?

„ნუ თუ ყველა იღუპება
საქართველოს ღირსი ძეო!
ბურჯი მისის ეროვნების.
მომავალის სიმტკიცეო?!.

„მაშ პირშავად რაღათ დავრჩე,
მათი ტანჯვის მოწამეო?
მათთან ჭირი, მათთან ლხინი —
უიმათოთ რა ვარ მეო?!.

სთქვა და გულში გადიწყვიტა:
„მათთან წავალ მეც მალეო,
ტოლებში რომ არ გამოვსხლტე,
ვარ ამისი მოვალეო“.

თავი III

ვინ მოსთვლის: ჭირი რამდენი
უნახავს ანის ქალაქსა!.
სისხლით მორწყული არ იყოს,
ვერ ნახავ მტკაველ ალაგსა!

ყოველი მტერი ძველთაგან
ამ კუთხეს მოაწყდებოდა;
მკვიდრი, დამხვდური მამაცად
თავ-გამეტებით წყდებოდა.

დღეს ერთი იყო, ხვალ სულ სხვა:
მტერი მტერს ენაცვლებოდა!..
ურდო ურდოზედ მოსული,
არვისგან დაითვლებოდა.

მაგრამ ქალაქი ტანჯული,
განსაცდელს უმაგრდებოდა,
და ვით ამირანს გულ-მკერდი,
წყლული – კვლავ უმთელდებოდა!..

ძლივს-ღა სულმობრუნებული,
ხელ-ახლა აოხრებულა,
შესულა ურდო მონგოლთა,
ნოინი გამთავრებულა!..

სამეფო ტახტზე დამჯდარა,
ის... სისხლით უმაძღარია!..
აქედან მიდის საომრად,
ოთხ-კუთხივ!.. მიუხარია!..

სხვა ქვეყნის ტანჯვა, აკლება –
მათი წესი და რჯულია!
დღეს გამარჯვების ლხინი აქვსთ,
უზომო სიხარულია.

ზურნის ჭიჭყინში გაისმის
კიჟინა გამარჯვებისა
და ჭიანურში – ქვითინი
სხვადასხვა მხარეებისა.

ფიალათ ხელში უჭირავს
კაცის გამხმარი თავები!..
ზიზღის ბუდეა იმათი
ყოველგვარ სანახავები.

სწორეთ ამავ დროს გარეთ კი
სულ სხვა ამბავი რამეა:
დამდგარა ტანჯვა-კრულვის დღე
და მწუხარების წამია!..

ალყად შეუკრავს დარაჯებს
დიდი მოედნის პირები,
შუაში ხელ-)ფეხ შეკრული,
ჰყრიან ქართველი გმირები.

ტიტველზე თაფლი წაუსვამსთ,
მზეს უფიცხებენ მხურვალსა!
წყალს ნატრულობენ, არა აქვსთ...
ყელი უშრება მწყურვალსა.

გარს ეხვევიან ბუზები...
სად არის მომგერებელი?!
შორსა ჰყავთ ჭირისუფლები
და მათი დამტირებელი!..

კითხავს მტარვალი „ვინა გყავთ
მომხრე და მოზიარეო?“
– ამ ქვეყნად ზღვა და ხმელეთი,
მაღლა ცა: მზე და მთვარეო!

დაცინვით ეუბნებიან,
შიში არა აქვსთ რისხვისა...
რა იცის გულში ნადები
და საიდუმლო სხვამ სხვისა!

გამოჩნდა შორით მხედარი;
ცხენი მოჰყავდა ოთხითა,
მოედნის პირზე შეჩერდა,
თვალს ავლებს ყველა კუთხითა,

უბრძანა დარაჯთ უხუცესს:
„ვინა ვარ – ვერ მიცანიო?
ნოინის უცხო სტუმარი,
ცოტნე ვარ დადიანიო.

„ქართველ ერისთვებს, დიდ-კაცებს,
სადა აქვსთ მათი ბინაო?
მეც უნდა მათთან მივიდე,
წამყევ, წამიძეხ წინაო!“

დაცინვით უთხრა დარაჯმა:
„არ ბრძანდებიან შორსაო!..
და ჩვენც შინაყმად ვახლავართ,
როგორც ნოინის სწორსაო!“

შევიდა წრეში ქვეითად,
პირდაპირ მიეშურება,
გულ-ღვიძლს უსივებს ნაღველი
და სიმწრით პირი უშრება!..

მივიდა, ნახა ტყვეები...
შეჰყვირა „ვაშა! ვაშაო!!
დღეს უფრო ბრწყინავს თქვენი მზე,
ვარსკვლავმა იკაშკაშაო!

„გმირი ხართ, კვდებით გმირულად,
საქრისტიანოს მსხვერპლადო,
ამიერ საშვილიშვილოდ,
სამშობლოს სადიდებლადო!

„მაგრამ რას მერჩით მეგობარს,
ყველგან თქვენ მოზიარესო.
რომ გამომწირეთ თქვენშიდა...
დამაგდეთ იქით მხარესო?!“

ეს სთქვა და გაიძარცვა ტანს,
დაჯდა ტყვეებთან ტიტველა!..
თავი გასწირა ნებითა
და გააკვირვა სუყველა!!.

თავი IV

ლხინ გადახდილი ნოინი
ტახტზე ზის დაფიქრებული:
თვალწინ ეხატვის ქვეყნები
გადამწვარ-აოხრებული!..

ბევრი სხვადასხვა რჯულისა,
და ტომის არის მნახველი,
მაგრამ სულ სხვაა მის თვალში
უცნაურობით ქართველი:

„არავის ებრძვის პირ-იქით,
დამხვდურათ მეომარია!..
ვინც მის ქვეყანას არ ერჩის,
მოძმე და მეგობარია.

„არსად გაუდის მოყვრობა,
და არც მტერები აკლია;

მაგრამ ხომ მაინც პირ-წმინდათ
ჯერეც ვერავინ დასძლია?!

„რა გამოვიდა, რომ ვსძლიეთ!
განა ძლევაა ეს ძლევა?!.
რაც უფრო ჭირში ვარდება,
მით სიმხნე მეტი ეძლევა.

„გაგვინახევრდა ლაშქარი...
ერთში ათსა ვსცვლით მონგოლსა,
და რაღა ძალი შერჩება,
მომსვლელსა და მის მომყოლსა?..

„თუ კი ჩვენც მართლა სხვებსავით
დიდ-ხნობა არ გვიწერია!..
მაშ დროებითი აქ ყოფნა,
რა საქარ-ბუქო მტვერია?!.

„რაში არა ჰგავს? შეთქმულნი
ასამდე დაგვიჭერია...
რომ ასჯერ მეტიც არ იყოს,
აბა რა დასაჯერია?!

„მაგრამ, არ იქნა, არ გატყდენ:
არ უდრკებიან განსაცდელს!..
ვინ იყო მათთან ღალატში,
არც გვარს ამხელენ, არც სახელს.

„არას ითხოვენ!.. ზვიადად,
ამაყად იტანჯებიან!..
რაღაც მომავლის იმედით
და სასოებით კვდებიან.

„ძნელია მათზედ უფლება
მათი სხვისაგან მონება...

სულ სხვა გზა უნდა... სხვა ხერხი...
და გამჭრიახი გონება!..

„ვერ გასჭრის მათზე, ვით სხვაზე
ეს სასტიკობა-ავობა!..
სადაც ლომობა არ გადის
იქ უნდა მელიაობა“.

ამას ფიქრობდა ნოინი,
უსივდებოდა ნაღველი,
რომ მოახსენეს: „ქალია
ვიღაცო, თქვენი მნახველი“.

შავით მოსილი, პირბადით
შინ შემოვიდა სტუმარი...
ანიშნა მარტო დარჩენა
და გადუკეტა სხვებს კარი.

წადგა წინ შორი-ახლოსა,
პირ-ბადე გადაიხადა;
მისი ციური შვენება
ნოინის გულმა იხატა!..

ჯერ მისი მსგავსი ამ ქვეყნად
არსად ენახა სულდგმული!
სულმა წასძლია ბინძურსა
და აუძგერა გლახ გული.

ზეზე წამოდგა... იმავ დროს
წინ-ბიჯი წადგა თვით ქალმა,
და იმის ბროლის თითებში
უცბად იელვა ხანჯალმა.

უთხრა: „შეჩერდი!.. ნუ მოხვალ!
რომ დაიმშვიდო, სჯობს გული;

შენ სატრფიალოდ არა ვარ
ამ სიშორს-შორით მოსული!..

„სათხოვარი მაქვს წმინდა-რამ...
მოგენდვე წმინდის გულითა!..
ნუ შეურაცხყოფ კაცობას,
ნუ დამდაბლდები სულითა!

„ნუ შფოთავ! დაჯექ დაწყნარდი
და მომისმინე ვედრება!
სულ-გრძელობასთან ზდილობას
ან რა სჯობს, ან რა ედრება?!“

ვით გაღალული თვალის-კვრით,
ჩაჯდა უსიტყვოთ ნოინი;
დაუცხრა ვნება ჩვეული,
გაქრა სურვილი და ჟინი!

ჯერ არც სმენია ამ გვარი,
და არც რამ გაუგონია!
ფიქრობს, თუ მოჩვენებაა
და ან სიზმარი, ჰგონია!..

უყურებს, თვალით არ სჯერა!
ისმენს და მაინც იჭვშია,
უმტყუნა ძალამ სულ-ხორცის
და უჩვეულო შიშშია!..

ქალი შეჰყურებს პირდაპირ,
ლამის გახვრიტოს მან თვალით!
კაცი! ძლივს გონზე მოსული,
ოდნად ხმას იღებს კანკალით:

„მაშ მითხარ, რისთვის მოსულხარ?
რა არის შენი სურვილი?

მისთანას რას მთხოვ, ვერ მოგცე,
ვერ მოვჰკლა ნდომის წყურვილი!?

„გინდა, ტახტს მოგცემ: დედოფლად
დაგსვამ და გეთაყვანები!
მონად გაახლებ მეფეებს...
ჩიტის რძით გაიბანები!

ქალი მიუგებს ღიმილით:
– დედოფალი ვარ ისეცა!
მაგგვარ დიდებას არ ვეძებ,
არ დამიგმია ისე ცა!

– „მაშ სულს შეგწირავ, თავს მოგცემ,
გულს დავსდგამ საფეხურადა!
და შენს სურვილში დავსდნები,
დავიწვი უცეცხლურათა!...

– არა ნოინო! ნუ ფიქრობ!“
ვერ დავსთმობ ჩემსა კერასა!.
გული სხვას მივეც და შენთვის
ვეღარ დაიწყებს, ძგერასა.“

– ეგებო, რჯული გიშლიდეს,
მე აღვიარებ შენს რჯულსა!..
ზეცაში ახვალ – აგყვები,
ჩახვალ – ჩაგყვები უფსკრულსა!..

– „ეგ არას უშლის! – ღმერთი ხომ
ყველასთვის იგივ ერთია!
რჯული გზა არის სხვადასხვა,
იმ ქვეყნად შემაერთია!..

„სხვა მიზეზია: სხვა მიყვარს,
ის არის ჩემი ქმარიცა!

მისი ვარ, იმას ვეკუთვნი
მე ცოცხალიც და მკვდარიცა!..

„აქ გადმოვარდა, როდესაც
გაიგო სხვების ტყვეობა!
ობლად დაგვყარა სუყველა,
დასთმო ლხინი და დღეობა?

„აღარ გამიძლო გულმა და
შევუდექ მეც მისს კვალობას:
ვეთხოვებოდი სამშობლოს,
ვიგლოვდი ყმაწვილ-ქალობას!..

„მსურდა, მომესწრო, მენახა,
მომეკრა სადმე მე თვალი!
და ან მისს უცხო საფლავზე
გულში ჩამერჭო ხანჯალი!..

„მოველ, ვიკითხე ყოველგან,
ცოცხალი არის შევიტყვე...
ტიტვლებთან ტიტვლად დამჯდარა,
ნებით გამხდარა შენი ტყვე.

„იმას გთხოვ, იმას გავედრებ!
მისთვის მოვსულვარ, ნოინო;
სული არ გამაწირვინო...
სიცოცხლე მომაპოვინო!“

გაოცდა მშვენიერებით...
სიტყვა-პასუხიც უკვირდა!
ის ერთი წამი ნოინსა
მთელს საუკუნედ უღირდა!..

დღემდის ეგონა, თუ ქალი
მარტო ვნებისთვის შექმნილა!..

ახლა-კი ხორცი დადუნდა
და სული-სულსა ეტკბილა!

იგრძნო, რაღაცა ციური,
მიუწვდომელი მან ძალა!..
გადიქმნა მისი არსება,
ბუნება გამოეცვალა.

და უმაღლესის სურვილით
შეჰყურებს, როგორც ღვთაებას!..
რა სჯობს, რომ გული უბიწო
ციური ჯაჭვით დაებას!..

სთქვა: საქართველოს მფარველი
დიდი ყოფილა... ძლიერი!
სადაც შობილხარ, გაზრდილხარ,
რათ უნდა გაქრეს ის ერი?!

„რაც მოხდა ჩვენში, დავიწყდეს!..
მოვითხოვ მე შენდობასა!..
აწკი მსურს „მამა-შვილობა“.
და ვნატრობ მე შენ „დობასა!..“

„ახლა მოვიყვან შენ ქმარსაც...
ვნახავ, თუ შენი ღირსია!..
და თანაც ჩემი სიძობის
შესაფერ-საკადრისია?

„კუთხეში დაჯექ პირ-ბადით!
მოისმენ ჩვენსა საუბარს!
იმანაც გვითხრას: ვის ეტრფის?
თავს ვის შესწირავს, ვინ უყვარს?“

თავი V

ოქრო და ვერცხლში ჩამჯდარი,
მარტო შემოდის მთავარი.
არ ახლავს მისი მოყმები
და არც მოჰყვება მტრის ჯარი.

თავი დაუკრა ზდილობით
და ჰკითხა: რა გსურს? მიბძანეთ?
ნოინმა შეკრა წარბები,
სცდილობს ეჩვენოს მრისხანეთ.

– ვინ ხარ? და სადაური ხარ?
ვერ ვხედავ შენს აქ მომყვანსა!..
თუ საქართველოს შვილი ხარ,
დღემდი ვერ მცემდი თაყვანსა?“

– „მე სათაყვანოდ მოსული
არც დღეს გახლავარ, ნოინო!..
ნუ ფიქრობ, ცოტნე დადიანს
ტყუილი შენ ათქმევინო!“

– ა! შენ ხარ ცოტნე? ის ცოტნე,
რომ არათ აგდებს მანგოლსა!
სცდილობს სამშობლოს გამოხსნას
და სხვებსაც ეძებს ამყოლსა?

– დიახ, ისა ვარ, ნოინო!
მართალი გაგიგონია.
– მაშ, ჩემთან როგორ მობედე?..
მადლობას გეტყვი, გგონია?!

– არ მიფიქრია მაგაზე!..
სხვა იყო ჩემი განძრახვა:
აქ მოყვრებს ვეგულებოდი...
მომინდა მათი დანახვა!

– ხომ ნახე ისეთ პატივში,
როგორც მათ შეეფერება?!
– „ვნახე და გავიზიარე
მეც მათი ბედნიერება.“

„ჭირში და ლხინში ყოველგან
ვყოფილვართ გაუყრელათა...
დღესაც მოვსულვარ, მათთანვე
სისხლის და ცრემლის მღვრელათა“.

– შენ მარტო? სხვები სად არის?
რათ გაიფანტნენ ბზესავით?
– თუ ყოფილიყვნენ, ისინიც
აქ მოვიდოდნენ ჩემსავით.

– აფერუმ თქვენს მეგობრობას!..
აფერუმ ვაჟკაცობასა!!
მაგრამ ვერ გიქებთ ბატონის
მოღალატობა-მტრობასა!...

– როდის გიწამეთ ბატონად!
დაკითხებიხართ ჩვენს გულსა?
თუ ტვირთი მძიმე მონობის
ძალით დაგვადგით ჩაგრულსა?!

„ძალ-მომრეობის კანონი
დღეს ერთის არის, ხვალ სხვისა...
ბედია მომნიჭებელი
წყალობის, გინა რისხვისა!

„დღეს მოხარკე ვართ ჩვენ თქვენი
და კიდეც ვიხდით ნებითა...
დროს ვუცდით... ჩვენ ღმერთს შევყურებთ
იობის მოთმინებითა.

„და უმიზეზოთ რათ გვდევნით?
რისთვის გვეპყრობით მტრულადა?
რას გარგებსთ რჯულის მოსპობა
და ან ერობის, სრულადა?!..

„სანამდის ხელს არ აიღებთ
ამ უნაყოფო ცდაზედა,
ყოველთვის მტრულად დაგხვდებით
ყოველ სარბიელ, გზაზედა!..“

– დაგვხვდებით!.. და რას გაიტანთ?
ეს დღე მოგელის ყველასა!..
თქვენ თავად ძალი აღარ გაქვსთ
და ვისგან ელით შველასა?!

– ღვთისგან!.. რომ ჩვენმა შვილებმაც
ქვეყნისთვის სისხლი ღვაროსა!..
„ჩვენ წავალთ, ისინი მოვლენ
ტურფასა საბაღნაროსა!..“

– აფერუმ, ქვეყნის ერთგულო!
კაცი ხარ, კაცურათა სჯი?
მომწონს ეგ სიტყვა-პასუხი:
არ გირისხდები, არა გსჯი!

„გაძლევთ სრულ თავისუფლებას,
როგორც შენ, ისე ტყვეებსა!..
და თქვენ მხარესაც ავაცდენ
საგლოვიარო დღეებსა.

„იყავით მარტო მოხარკეთ...
შევეტკბოთ წლიდან-წლობითა:
თქვენ ჩვენი კარგი სტუმრობით!..
ჩვენ – თქვენი მასპინძლობითა!..

„მხოლოდ მეცა გთხოვ, იცოდე,
სამაგიეროდ ერთს რამეს:
შენ ცოლს აქებენ ყოველგან
და ის მომგვარე ერთ ღამეს!..“

როგორც რომ ვეფხვი დაჭრილი,
ისე ათრთოლდა ცოტნეცა,
ააკრაჭუნა კბილები
და ცოტას გაწყდა, რომ ეცა!

– ბედს უმადლოდე, ხალვათად
რომ ხარ, მასპინძლად მჯდომარე,
და მე კი სტუმრად მოსული,
ხმალ-ხანჯალით შენ წინ მდგომარე!

„ეგ ერთი გითქვამს!.. მეორეთ
ენას არ წააცდენიო!
გონება-მიხდილს სასირცხვოდ
სისხლი არ დამადენიო!“

ნოინმა წარბი გაიხსნა,
ღიმილიც მოერია მას! –
და სიტყვით ცივ წყალს ასხამდა
მისს აღელვებულ გულის თქმას!

– ნუ ჯავრობ!.. განგებ გითხარი...
მინდოდა შენი გამოცდა...
რაც სთქვი, ტყუილი ყოფილა,
აგერ თვითონვე წამოგცდა!!

„სამშობლო“, „მოძმე“, „მოყვარე“ –
სიტყვა ყოფილა უბრალო!
ნუთუ არა ღირს იმდენად,
რომ შენ ერთ ქალში გასცვალო?!

არ მოელოდა ამ სიტყვას!
შერცხვა და შეკრთა მთავარი...
ცოტა შეჩერდა და შემდეგ
პასუხი მისცი ამგვარი:

– „მე რა ნება მასქვს მაგისი?
მონა არ არის, – ცოლია!
ჩვენი კანონი სულ სხვაა:
ცოლი ქმრის უღელ-ტოლია!“

– მაშ, კარგი! რადგანც მე მინდა
დღეიდან შენი მოყვრობა,
ნუ ვაწყენინებთ ერთმანერთს,
განზე გადავდვათ აწ მტრობა!..

ხომ ხედავ, აქ რომ ქალი ზის?
ის ჩემი შვილობილია.
ვატყობ, რომ შენი ჭვრეტითა,
ისიც კი კმაყოფილია!

მაგაზე უფრო მშვენიერს
ქვეყნად ვერ ნახავ ვერც ერთსა!.
რომ შენი ცოლი ვერა სჯობს,
თავდებად გაძლევ მეც ღმერთსა.

სასიძოდ ამირჩევიხარ:
მინდა ის მოგცე ცოლადა;
დაგიახლოვო და მყავდე
ჩემი თავისვე ტოლადა!..

– ვინ ღირსა მაგ თქვენ წყალობას
და იმ უდიდეს ოცნებას?!
მაგრამ ორ-ცოლიანობის
რჯული არ გვაძლევს ჩვენ ნებას.

– „ეგეც არ გინდა? მაშ კარგი!
პირობას გიდებ კიდევ სხვას:
იზამ – არ გავტეხ ჩემ სიტყვას,
არა და ნახავთ ჩემს რისხვას!..

„მოდი, ახადე პირ-ბადე,
აკოცე, როგორც საყვარელს!
და აგისრულებ მაშინ მეც
მაგ შენი გულის საწადელს!“

ებილწა ცოტნეს პირობა,
მაგრამ, არ იცის, რაღა ქნას?
სხვა გზა არა აქვს მოყვრების
და მის სამშობლოს გამოხსნას!..

წარმოსთქვა: „გულთა-მხილაო!
შენ ხედავ, მატანს ძალასო...
მივალ და ისე ვაკოცებ,
როგორც ხესა და ჩალასო.

„რა არის კოცნა უნდომი;
უგულოთ... უსიყვარულოდ,
თუ არ სიცოცხლე ბედკრული
უსიტკბოდ... უსიხარულოდ?!“

დათანხმდა! ქალთან მივიდა,
საკოცნად თავი დახარა!..
ქალმა გადიძრო პირბადე...
ნოინმაც გადიხარხარა!..

როგორც შვიდ-ძალი ფერადი
აშვენებს ცისარტყელასა
ისე დაეტყო სახეზე
სიამოვნება ყველასა!..

[1896-1897 წწ.]

გამზრდელი

ნამდვილი ამბავი

ვუძღვნი ჩვენს პედაგოგებს

I

მთის მწვერვალზე, ცის მახლობლად,
მერცხლის ბუდედ რაღაც მოჩანს;
თვალთ ისარი, შენატყორცი,
ვერ არჩევს მის სიგრძეს და განს.

ის ფაცხაა, ღვიმის პირად
მიწნული და მიგრეხილი,
დრო და ჟამის შესაფერად –
ზამთარ თბილი, ზაფხულ გრილი.

როდესაც მთა, ბარს და ვაკეს
ემუქრება წარღვნა-ღელვას, –
ფაცხაც ღრუბელს გარს იბურავს,
ეკრძალება ჭექა ელვას.

მაგრამ, როცა დაქათქათებს
თავზე იქვე მზე და მთვარე
და თვალის წინ ფიანდაზად
ეფინება არე-მარე,

მაშინ ფაცხა სიმარტივით
მომხიბლავად ლამაზია,
და იმასთან ყველა სტყუის,
რაც კი ციხე-დარბაზია.

გზა მიუძღვის საცალფეხო,
მიხვეული, მოხვეული;

მასზე გამვლელს უნდა ჰქონდეს
მარჯვე თვალი, მტკიცე გული;

ანუ ჰყავდეს რაში ცხენი,
მთაში გაზდილ-გამოწვრთნილი,
კლდიდან კლდეზე გადამფრენი,
უშიშარი და თან ფრთხილი.

ამ შორეულ ფაცხა-ღვიმეს
ვინ პატრონობს, ვისი არის?
და საამო კარ-მიდამოს
ვინ შეტრფის და ვინ შეხარის?

ერთი ვინმე ახალგაზდა
აფხაზია, ამ მთის შვილი,
რთულ ცხოვრების უარ მყოფი,
მცირედითაც კმაყოფილი.

კარგი თოფი, კარგი ხმალი,
კარგი ცხენი და ნაბადი!..
რას ინატრებს სხვას ამის მეტს
კაცი, მისებრ დანაბადი?

მხოლოდ ერთს კი... და ის ერთიც
არის მარტო სიყვარული,
რითაც მხოლოდ ქვეყნიური
ნეტარება არის სრული.

ბედმა ესეც არ დააკლო,
განასხვავა, ვით რჩეული...
სიყვარულსა, მის მინაშუქს,
მოაშუქა სიყვარული:

ერთი თვეა, რაც რომ ცოლათ
მიიყვანა, ვინც უყვარდა,

ვისაც გულში ცასქვეშეთი
შეუწონა, შეუფარდა...

ნაზი-ბროლა – სახელია,
სამეგრელოს ასულია,
მოწყვეტილი ცით ვარსკვლავი
ედემს ალვად ასულია!..

ელ-ფერობით ვარდი არის,
სინაზით-კი – მორცხვი ია...
ტრფობისათვის ჯერ პირველათ
გულის კარი გაუღია.

ცა და ქვეყნის შუამავლად
მიაჩნია მას აფხაზი!..
გულში გულს სდებს, სულში სულს ცვლის,
ხორცს ეწმახვნის სურო-ვაზი!..

ნეტავი მათ!.. მათ სიყვარულს
და მათ უხმო აღსარებას!..
ერთად გრძნობენ ამ ქვეყნადვე
სასუფევლის ნეტარებას...

მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი
გაახარებს ვისმე განა?
თაფლში ურევს მწარე ნაღველს,
მტრისას მისი გამოცანა!..

II

ბნელა ისე, რომ აღარ ჩანს
თითი, თვალთან მიტანილი!..
ცა მრისხანებს, ელვა-ჭექამ
ნადირსაც-კი უფრთხო ძილი!..

ქარი ზუის გულ-საკლავად,
წვიმა უშვებს კოკის პირად;
ხან აქ, ხან იქ მათ-ღრეებში
გავარდება მეხი ხშირად.

თითქო მართლა თვით ჯოჯოხეთს
აუშვია ქვეყნად ზარი!
აიტანა შიშის ქარმა
თანასწორად მთა და ბარი!

ამ დროს ხოლმე თვით ეშმაკიც
ეძებს ძრწოლით თავშესაფარს,
მაგრამ, დახეთ, ვიღაც მგზავრი
სტუმრად მოდგა აფხაზის კარს!!.

დაურეკა და ხმა მისცა:
„გამომხედეთ!.. ვინ ხართ შინა?
სტუმარი ღვთის, კარზე ვდგევარ,
ცხენს და კაცსაც გვინდა ბინა!“

გაუკვირდა აფხაზს და თქვა:
„ამ თავსხმაში ეს ვინ არი?!“
შეუკიდა ცეცხლს და უცბად
გამოაღო ფაცხის კარი.

გავიდა და შემოუძღვა
ფეხებამდე დასველებულს,
მიიყვანა ცეცხლის პირად,
უდგამს სამ-ფეხ სკამს, დაღალულს.

ხმას არ იღებს ჯერ სტუმარი,
ნაბდის თასმებს ნელა იხსნის;
თავ-პირი აქვს შებურვილი
ჩაბალახით და იცინის!..

ჯერ ნაბადი მიაყუდა,
ბნელ კუთხისკენ მიდგა წყნარა
ჩაბალახი რომ გადიძრო,
მოტრიალდა უკან ჩქარა.

– მასპინძელო! სიცილით თქვა,
წახდა ჩემი ხუმრობაო!..
ვერ მიცანი, თუ გეწყინა
ეს უდროვო სტუმრობაო?

—საფარ, შენ ხარ?.. ენაცვალოს
ძიძის შვილი მაგ შენს თავსო?..
ეს თვალები რაღას ნახვენ
შენს უკეთეს სანახავსო?

მოეხვია, გადაჰკოცნა,
როგორც ძმა და თვისი ტოლი
და მერე კი გააღვიძა
შიგნით მწოლი თვისი ცოლი.

შეეხვეწა: „აბა ჩქარა
მოამზადე ვახშამიო:
შორი გზა აქვს გამოვლილი,
არ ექნება ნაჭამიო“.

– „არა, ბათუ, ვახშამს არ ვჭამ,
არ მცალია იმისთვისო!
მე სხვა მადა მაქვს აშლილი,
სხვანაირი გულისთქმისო“...

უპასუხა და მოუყვა:
– „მინდა გითხრა ჩემი ჭირი:
დღემდის მტკიცე პირიანსა,
დღეს მიტყდება, ძმაო, პირი!

„ალმასხიტს ხომ კარგათ იცნობ,
თავმომწონე ინალიფას?
მის ცხენსა და მის იარაღს
ვერ ვინ დადებს ღირებულ ფასს

„ვაჟკაცია თვალ-ტანადი,
ცხენოსანი უებარი!..
მეტოქეა ჩემი მხოლოდ
ერთად-ერთი საშიშარი.

„შორს გაისმის მისი ქება,
ჩვენშიც ხშირი სტუმარია;
ბიჭობით და სილამაზით
ქალებიც კი გადარია.

„ერთი მხოლოდ ზია-ხანუმ
არათ აგდებს, არც უყურებს,
რადგან იცის, რომ სხვებსავით
იმას ის ვერ იმსახურებს.

„ზია-ხანუმ, შენც კი იცი,
რომ მშვენებით გათქმულია;
ბევრი კარგი ახალგაზდა
მისი ეშხით დაბმულია!..

„მთვარესავით ხელ-უხლები,
სხივებს ჰფენს და არვის ათბობს;
მომხიბლავი შორეულად
თანასწორად ყველას ატკბობს.

„ჯერ დაღალავს, მიიბირებს,
დაიმონებს, იგდებს ხელში,
მერე უნდა გამოსცადოს:
აგდებს თვისს მსხვერპლს განსაცდელში!..

„მეც მომხიბლა ჯადოსანმა,
დამამარცხა, დამიმონა...
და, თუ ქალი მაჯობებდა, —
არ ვფიქრობდი, არ მეგონა...

„დამაჩემა: «თუ გიყვარვარ
და ხარ ჩემი მოგვარეო,
ინალიფას ლურჯი ცხენი
ამ სამ დღეში მომგვარეო! »

„ინალიფა თვისს ბედაურს
არ დაუთმობს ნებით გამჩენს
და, თუ ვინმე ძალას იხმარს,
შეაკვდება, არ შეარჩენს!

„სხვა გზა არ მაქვს: მოპარვაა
მხოლოდ ერთად-ერთი ღონე,
თუმც კი სხვა დროს არ იკადრებს
ამას კაცი, თავ-მომწონე.

– „აი, რისთვის მოვსულვარ აქ,
ჩემო კარგო მეგობარო!
მე მინდა, რომ ალმასხიტის
ლურჯა ლაფშა მოვიპარო.“

მოუსმინა ძიძის შვილმა,
ყველა კარგად გაიგონა,
მაგრამ საქმემ უკუღმართმა
შეაწუხა, დააღონა.

უთხრა: – „ვწუხვარ, რომ ეგ საქმე
უკადრისი გიკისრია,
მაგრამ, რადგანც სიყვარულის
ტკბილი სენი შენც შეგყრია,

„გზა აღარ გაქვს!.. უნდა გული
დაუდვა და ემსახურო,
რომ სატრფოს წინ შენ სირცხვილის
ოფლი აღარ მოიწურო:

„მის ოცნებას, მის გულის თქმას
უნდა მიჰყვე, დაემონო,
გინდ სიცოცხლეც შენი ტკბილი
მწარე სიკვდილს შეუწონო.

„ეს შენც იცი, – არ ხარ ქვეყნის
უცადი და უმეცარი, –
სავაშკაცოდ გამოსულხარ,
უდრეკი და უშიშარი!

„მაგრამ მარტო უშიშრობა
ძლევისათვის არა კმარა,
თუ სიფრთხილეც გონივრული
დროზე მას არ დაეხმარა.

„ერთმანეთის მინამზგავსი,
შიში სხვაა, სიფრთხილე სხვა,
ისე როგორც სხვა და სხვაა
ღვთის წყალობა და ღვთის რისხვა.

„რომ მიდიხარ, სად მიდიხარ?
მართალია, გიჭრის თვალი,
მაგრამ ჩვენში, როგორც უცხოს,
აგებნევა გზა და კვალი.

„შენ ეგ საქმე მე მომანდე,
მე ვიზამ შენს მაგივრობას:
ან მოგიყვან იმ ცხენს, ან თავს
შევწირავ შენს მეგობრობას!

„შენ აქ დარჩი, დაიძინე,
გამოშუშდი ცეცხლის პირას!..
და თუ დამრჩა გამარჯვება,
მაშინ მოგთხოვ ფეხის ქირას“.

გაეხუმრა, გამოეწყო
სამგზავროდ და გავლო კარი.
მიდის, ელვა გზას უნათებს
და დაზუის თავზე ქარი.

III

ირიჟრაჟა, ქარი ჩადგა,
გადიყარა, დადგა დარი;
ლურჯს ბედაურს მოაგელვებს
მეგობრისთვის მეგობარი.

მოიყვანა, დააბა და
შინ შევიდა წყნარად, ფრთხილად.
გრძელ ნაბადში გამოხვეულს
სტუმარს სძინავს იქვე თბილად.

აუარა გვერდი, მიდის
იქ, სადაც ის ეგულება,
ვინც სიცოცხლეს ურჩევნია
სულს სწირავს და თავს ევლება.

გულში ამბობს: „ერთს დავხედავ,
ტკბილად მძინარ ნაზი-ბროლას,
თუ გავუძელ გულის ძგერას,
სულის ბრუნვას, ხორცის ჟრჟოლას“...

სასოებით შედის ქვაბში
და რას ხედავს ის საკვირველს!!
ნაზი-ბროლა ჩუმად ტირის,
პირს იხოკავს, იკაწრავს ყელს!..

თმა-გაშლილი, ტინის კედელს
თავს ახლის და ხმას არ იღებს...
მინგრეულს და მონგრეულსა
ხედავს იქვე მის ქვეშაგებს!!.

მიხვდა ქმარი, რაც მომხდარა,
ზარმა დაჰკრა, ელდა ეცა!..
და, რომ კრინტიც არ დაუძრავს,
იქვე უხმოდ ჩაიკეცა.

დიდხანს იჯდა რეტ-დასხმული,
უყურებდა ცოლის ტანჯვას;
ბოლოს ღონე მოიკრიფა
და მოეგო ისევ ჭკუას.

მივიდა და უთხრა მტირალს:
„ჩუ, ნუ ტირი, გენაცვალე!
რაც გინახავს – სიზმარია,
დაივიწყე ისევ მალე!

„ყოველ გვარი მოსავალი
კაცის თავზე უნებური,
ღვთის რისხვაა, ტყუილად ბედს
რას უჩივი რად ემდური?

„გადაიგდე გულიდან ეგ
ცრუ ზღაპარი და სიზმარი!..
მე და შენი სიყვარული
წმინდა არის, ვით ლამპარი“.

მოეხვია და ცრემლები
ამოუშრო თვალში კოცნით,
დააწყნარა, დაამშვიდა
ალერსით და ბევრი ხვეწნით.

მაშინ მხოლოდ გამობრუნდა
სტუმრისაკენ და უთხრა ეს:
„ადე, ძმაო, გაღვიძებას
არ აპირებ მგონია დღეს!“

წამოვარდა ზეზე საფარ
შემკრთალი და დარცხვენილი!..
მაგრამ, როცა მშვიდ სახეზე
შეამჩნია მას ღიმილი,

გაიფიქრა: „მადლობა ღმერთს!
არაფერი შეუტყვია,
თვარა გულ-მკერდს გამიხვრეტდა
ხანჯლის წვერი და ან ტყვია!

„არ უთქვამს ქალს, რაც შევცოდე,
ჩანს, ნამუსი შეუნახავს.
ჩემ საქციელს, სამარცხვინოს,
ვინ გაიგებს, ვინ დამძრახავს?“

მერე უთხრა თვისს ძიძიშვილს:
„გატყობ, რომ ხარ კმაყოფილი,
შეასრულე განა ჩემი
ძნელი ნატვრა და სურვილი?“

„– შევასრულე: მოგიყვანე,
დროა, აწ კი გაეშურე!
ნუ დამძრახავ, საკადრისად
თუ რომ ვერას გემსახურე!“

ხან ესა სთქვეს, ხან ისა თქვეს,
ისაუბრეს ჯერ ერთ-ხანად,
მერე წყალიც მოუტანა
მას ხელ-პირის დასაბანად.

გამოაწყო, არ დააკლო,
რაც წესია, სამსახური,
რომ სტუმარი არ გაუშვას
გულნაკლი და უმადური.

შეუკაზმა ცხენი, შესვა
თვითონ შეჯდა ნაქურდალზე
და ორივემ მათრახები
ატკაცუნეს ერთხანს ძალზე.

გაახურვეს მით ცხენები,
ააღელვეს, ააჩქარეს
და ვიწრო გზით ის დაღმართი
სულ კუნტრუშით ჩაატარეს.

რომ ჩავიდენ შორი-ახლოს
მინდვრის პირათ, იქვე დაბლა,
მასპინძელმა შეაჩერა
ცხენი და ხმა აიმაღლა:

„– საფარ-ბეგო! პირშავობა
შენი ვიცი, შემიტყვია!..
და დღეიდან ჩვენ ორს შუა
მოციქული არის ტყვია!

    არა თქვა-რა!.. არც მე გკითხავ:
არის ზოგი შეცოდება,
რომ სათქმელად საძნელოა...
არც შენდობა უხერხდება!

ახლა წადი! დამეკარგე!
ფრთხილად არსად შემეყარო,
რომ ცუდ გულზე უცაბედათ
შენი სისხლი არ დავღვარო!“

ეს რომ უთხრა, შეკრთა საფარ,
გაშრა, ფერი დაედვა მკვდრის,
ჩაუვარდა ენა პირში,
გაქვავდა და აღარ იძვრის...

ძლივს წარმოთქვა: „მართალი ხარ!..
აღარა მაქვს მე სათქმელი!..
შემაცდინა თვით ეშმაკმა
და დამრია ცოდვილს ხელი!..

შენი ტყვე ვარ!.. ჰა, ხომ ხედავ,
იარაღი დამიყრია...
სასიკვდილოდ ჩემი ნებით
შენ წინ თავი დამიხრია...

ჩემ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობს,
მომკალ... ტანჯულს რამ მიშველე,
მაზღვევინე, რაც შეგცოდე,
სინიდისი გამიმრთლე!..“

– „არა! შენ ვერ შეგეხება
სასიკვდილოდ ჩემი ტყვია:
დედი ჩემის გაზდილი ხარ,
მისი ძუძუ გიწოვია...

„რაც ქვეყანას მიაჩნია
რჯულზე უფრო უმტკიცესად,
რომ გატეხე, ის გეყოფა
სიკვდილამდე შენ საკვნესად.

„წადი ჩემგან შენდობილი,
მაგრამ შორს კი... და მშვიდობით!..
დღეიდან ჩვენ წმინდის გულით
ერთმანეთს ვერ მივენდობით!

„მაგრამ ერთს კი დაგავალებ,
ამისრულე უეჭველად:
რომ მიხვიდე ყაბარდოში,
იცოდე, რომ სულ პირველად

„წადი, ნახე ის მოძღვარი,
ვინც შვილივით გამოგზარდა
და უამბე შენი პირით,
რაც სირცხვილი დაგემართა!“

გადმოხტა და ლურჯი ლაფშა
მისცა ხელში, ჩააბარა,
მოტრიალდა და აღმართი
ძლივს ბარბაცით აიარა.

IV

არც გვარით, არც ვაჟკაცობით,
არც სიმდიდრით, არც ქონებით, –
ჰაჯი-უსუბ ცნობილია
მხოლოდ ჭკუით და გონებით.

ჭირში, ლხინში საზოგადოთ
უმისობა არ იქნება;
ხელის გულზე უწერია
თვით მაჰმადის წმინდა მცნება.

ზღვა და ხმელი მოვლილი აქვს,
მნახველია ცა და ქვეყნის;
ჯერ ისევე ჭარმაგია,
თუმც არ არის კი მცირე ხნის.

ხელ-ფეხს ერჩის, თვალსაც უჭრის, –
არ ტყუილი ქადილია;
სადაც კია გვარიშვილი,
ყველა მისი გაზდილია.

საფარ-ბეგიც მან გაზარდა,
ისე, როგორც სხვები ყველა,
მაგრამ მარტო წრთვნა რას იზამს,
თუ ბუნებამც არ უშველა?

აი, სწორედ ამ უსუბთან
მიდის ეხლა საფარ ბეგი,
„მორდუობის“ გამტეხი და
ჩვეულების გადამგდები.

ეუბნება ყოველიფერს,
უნებურად რაც შეემთხვა;
ცრემლები სდის და ეჩრება
ბურთად ყელში მწარე სიტყვა.

ყურს უგდებდა ჰაჯი-უსუბ,
სახე მოინაღვლიანა:
სიდიადე ამ მუხთლობის
თვალწინ გაისიგძე განა.

ოხვრით კითხა: „მერე? მერე?
რომ გაიგო, რა თქვა ქმარმა?“
– „მაპატივა შეცოდება,
როგორც ძმამ და მეგობარმა!..

მხოლოდ ეს-კი დამავალა:
ნახე შენი გამზრდელიო
და მაგ შენი საქციელის
პასუხს მისგან მოველიო!“

– მესმის, მესმის და პასუხიც
ჩემი მხოლოდ ეს არიო,
რომ ნამუსის გასაწმენდად
ჩემი ხელით სისხლს დავღვრიო!..

შეაყენა ზედა ფეხზე
მან დამბაჩა გატენილი;
მორჩილებით გულ-მკერდს უშვერს
საფარ, მისი გამოზდილი.

მაგრამ უსუბ ეუბნება:
— „შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?!
სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ,
რომ კაცად ვერ გამიზდიხარ!“

წარმოთქვა და საფეთქელში
მიიჭედა ცხელი ტყვია!..
ჩაიკეცა სულთან-მბრძოლი,
წამლის კვამლში გაეხვია...

1898

ასი წლის ამბავი

თორმეტი ენკენის თვე.
შემოდგომის პირია,
გწყალობდეს მისი მადლი,
საუფლო დღე... კვირია.

ცის ლაჟვარდში მაღლიდან,
მზე ტკბილად იკბინება,
და სუნნელება ქვეყნად,
ოთხ კუთხივ ეფინება.

შემოდგომა გაზაფხულს
თვითქოს ეჯიბრებაო
და ზეცამაც ქვეყანას
შესთხზა ნეტარებაო.

რომ მოხიბლოს ქალაქი,
გარდაქმნილი გრძნობადო
და ხატის სანთელივით
უხმოდ დასადნობადო.

სწორედ ამ დროს სიონში
ზარმა გაიწკრიალა,
მიმოაფინა ტფილისს
სიტკბო, მადლი და ძალა.

მას მიჰყვენ სხვა ტაძრებიც
გაღმით და გამოღმითა,
ასტყდა ზარების რეკა
სალიტანიო ხმითა.

ციხიდან ზარბაზნებმა
უცბად გაიხმაურა

და მისს გრგვინვას თან მოჰყვა
უჩვეულო ხმა: „ურررა“.

გაისმა ხმა მუსიკის,
დაუკრეს ბარაბანი
და დამფრთხალმა ქალაქმა
უნებურ მისცა ბანი.

ყველა მიეშურება,
აღარ ვინ რჩება შინა
და მხოლოდ წვრილფეხობა
ბანზე გამოეფინა.

ღორმუცელა გიორგი
ცხენზე შეგოდრებულა;
თითქო ლოქო ეჭამოს,
გამხიარულებულა!

წინ მოუძღვის ამაყად
რუსების ურდო ჯარებს,
სურს საფიცრად მიადგეს
წმინდა სიონის კარებს.

ამ დროს გაჩნდა ქუჩაში
ტერ-შმოვაანთ კეკელა,
ტერტერას ქვრივი იყო...
ქალაქში სცნობდა ყველა.

ქოშებში ფეხ გაყრილი,
კალთებ წამოწეული;
ახალ ამბის მუსუსი,
ზოგჯერ ჭორსაც ჩვეული.

არც ჭირსა და არც ლხინსა
არ ოდეს აკლდებოდა!

რომ ვერა გაეგო რა,
გულზედაც გასქდებოდა.

ახლაც გამოსულ იყო
ამბის გასაგებადა:
მეფეს რა შეეძინა
და ან ვინ დაებადა,

რომ ასე მხიარულად
ზეიმით და ზარითა
სიონში მიბრძანდება
უთვალავის ჯარითა?

უთხრეს: „დედი! უმართლებს!..
დიახ, ბედნიერია:
დღეს მიიღო მან ჯილდოდ
მხარღლივ კავალერია!“

– „რა ჯილდოა, გეთაყვა,
თვალი თუ მარგალიტი?
და ჯერ სხვა არ ყოფილა
მაგგვარი მაგალითი?“

– „ნიშანი დიდ კაცობის,
მხოლოდ სამკაულია!
ვერა ხედავ ლურჯ სარტყელს,
მხარ-ბეჭზე რომ ჰკიდია?“

– „რაო?.. რაო?! ეგ არის,
მეტი არაფერია?!
მაგ ჭინჭის დანახვაზე,
გონება აერია?!

მთელი სამეფო გასცა
მაგ ლურჯ სანახავზედა?

მეხი კი დავაყარე
იმ უტვინო თავზედა!..

შორს რაღაზედ გარბოდა?
ჩვენც გვცოდნოდა დღემდიო;
გადვიჭრიდი ნიფხვის ტოტს
და მე მივართმევდიო“.

კეკელა რომ ამ გვარად
ენატანიაობდა,
მეფე და დიდ-კაცობა
სხვასა ლიტანიობდა.

მხოლოდ ორი მათგანი
გამდგარ იყვნენ განზედა,
ჰფიქრობდნენ სულ სხვა გვარად,
სჯიდნენ სხვა საგანზედა.

შემდგარ იყვნენ ორივე
მამა დავითის სერზე
და იქიდან ცრემლს ღვრიდენ
მოტყუებულ ჩვენს ერზე.

ერთი იყო სოლომონ
ლეონიძე, მდივანი
და მეორე ჭაბუა,
გვარად ორბელიანი.

თავი მეორე

ჭაბუამ უთხრა სოლომონს:
„რას მოვესწარით ამასო?
მამა შვილს აღარ უჯერის
და შვილი შემქმნელ მამასო!

იქცევა ჩვენი სამშობლო
ოდესმე დიდებულიო:
რუსული ჩრჩილი უჩნდება,
რომ გამოუხრას გულიო.

ბატონი მეფე მოსტყუვდა,
რომ მათგან ელის შველასო!..
რაც დღემდი ჭირი უნახავს,
ვეღარ გაუძლო ყველასო!..

რუსეთს შენც იცნობ, სოლომონ,
გინახავს მათი ქვეყანა.
ქრისტიანულის განზრახვით
მოგვეშველება ჩვენ განა?

თეთრ კბილს გვიჩვენებს გულშავად,
შემოიპარვის მელურად.
და სადაც ხერხი ვერ გასჭრის,
იქ ცულს მოიქნევს ველურად!“

სოლომონ აძლევს პასუხსა:
„გულს ნუღა მიხეთქ, ჭაბუა!
სჩანს, ღმერთმა ყველა შეგვრისხა,
რომ დაგვიბნია ჩვენ ჭკუა!..

და ერთმანეთში ვერ ვარჩევთ
დღეს ჩვენ კარგსა და ავსაო,

მართლა რომ წყალ წაღებული,
ჩვენ ვეჭიდებით ხავსსაო!

ვინ რუსი? და ვინ ქართველი?
შუა ძევს დიდი ზღვარიო!
ვინ გაასწორა ნეტავი,
და ან სად, მთა და ბარიო?

ისინი მოვლენ მოყვრულად,
გადიქცევიან მტრებადა;
ჩამოგვართმევენ, ძველთაგან,
თუ რამე დაგვრჩა... გვებადა!

თუ გაგვარუსეს, ხომ კარგი,
თვარა, გაგვწირვენ ყველასო,
„ბოჟე მოიჟე“ შესცვლიან
ჩვენებურ „დელა-დელასო!“

ხელში იგდებენ მიწა-წყალს,
ამ ჩვენ ბუნებას კარგსაო,
აქ რუსებს დაასახლებენ
და ჩვენ აგვიკვრენ ბარგსაო...

„ძალა აღმართს ხნავს“, მაშინ ჩვენ
ველარას მოვახერხებთო
და უნაყოფო ფართხალით
ტყულა თავს შევიწუხებთო.

ეკალი რომ ითესება,
ის დროა სამწუხაროო!
და რომ ამოვა, რაღას იქმ,
გინდა ცრემლებიც ღვაროო?

რასაც დღეს სთესენ რუსები,
შენ ხედავ, ჩემო ჭაბუა,

ჩვენ სამშობლოში ოდესმე
ჭინჭრად და ეკლად ამოვა.

ამას ვერ ხედავს ვერც მეფე,
ვერც მისი კარის კაცები,
რუსეთის დიპლომატია,
აძრული, ანატაცები!

ჩვენ დავრჩენილვართ მარტოკა,
მაგრამ რას ვიზამთ ჩვენ ორი?
საქმეს სწყვეტს უმეტესობა,
მათ ხელში არის სასწორი.

ვფიქრობ: წავიდე იმერეთს,
იქაც ხომ საქართველოა,
და გასატანი რუსისგან
იქაც ჩვენ გვარი ლელოა!

იქ შეუჩნდები მეფესა,
მთავრებს: დადიანს, გურიელს,
რომ არ აძლევდნენ, ჩვენსავით
მოტყუებული, რუსებს ხელს.

თუ რამეს გავხდი, ხომ კარგი,
თუ არა – გვმართებს გლოვანი.
„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა
სიკვდილი სახელოვანი“.

ჭაბუა ეტყვის: „ეჰ, წადი!
მე აქ დავრჩები ობლადა.
ფეხ-ფეხ მოვივლი სამშობლოს,
გადავალთ სოფლით-სოფლადა.

შევსჩივლებ გლეხებს, მთიულებს,
ვეცდები ამბოხებასა!..

კმარა, რაც ვენდვეთ აქამდე
დიდ კაცთა მეოხებასა!

ახლა მეც ვიტყვი, რაც შენ სთქვი:
ჯერ ცდა და მერე გლოვანი!
„სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა
სიკვდილი სახელოვანი“.

გამოეთხოვენ ერთმანეთს
ტირილითა და ზარითა,
წავიდნენ ამერ-იმერეთს,
ორივ სხვა და სხვა მხარითა.

წავიდენ, მაგრამ მათმა ცდამ
ვერ მოიტანა ნაყოფი!..
რუსის ზარბაზანს ვერ შესწვდა
ქართული ხმალი და თოფი.

უბრალო სისხლით მოირწყა
ქართლიც და იმერეთიცა,
ძმა ძმას გაუდგა, მამა – შვილს
და მაშინ გაწყრა ღმერთიცა:

ჟამი და შიმშილობაც კი
დაერთო რუსის ბრძოლასა,
თათრებს მიენდვენ მებრძოლნი
და ალოცებდენ მოლასა!..

მაშინ დაემხო ქვეყანა,
გაქარწყლდა ბაგრატიონი.
სოლომონ მოკვდა ტრაპიზონს,
ჭაბუას კრძალავს სიონი.

თავი მესამე

ასმა წელმა გაიარა,
რუსები რომ შამოვიდნენ;
რაც უნდოდათ, იმას სთესდენ;
რაც მოსწონდათ, იმას მკიდენ.

რომ გაშინჯეს მუშტრის თვალით
საქართველოს მიწა-წყალი,
გადასწყვიტეს გუნებაში

მისი ბედი, მომავალი.
მოინდომეს საქართველოს
ამოგდება ძირიანა
და მათ ნაცვლად ჩრდილოეთით
სულ რუსების ჩამოყვანა.

მოიხმარეს მათ ჩვენივე
მაღალ კეთილ-შობილება,
რომ მოესპოთ ყველა ჩვენი
ძველი წესი... წყობილება.

ჩვენ დიდ თავად-აზნაურებს
აკერებდენ ეპოლეტებს
და ქვეყანას კი იმავ დროს
თავში სცემდენ ხერხით კეტებს.

ჯერ რჯულს ეცენ, სთქვეს: თუ რჯული
არ შევბღალეთ, ჩვენ ქართველებს
ვერას უზამთ!.. მათთან ბრძოლა
უნაყოფოდ გაგვაწვალებს.

ეს პატარა საქართველო
მითი იყო დიდებული,

რომ მას ჰქონდა რჯულთან ერთად
ეროვნება გადაბმული.

მტერს ებრძოდა ზნე მაღალი
სწამდა ღმერთი! სწამდა რჯული;
ჭირს ითმენდა, ლხინს იშნობდა,
საგულეზე ჰქონდა გული.

რავდენადაც ხორცს უკლავდენ,
სული იმდენ მაღლდებოდა
და მიზეზი ხანგრძლივობის
ის იყო და არ კვდებოდა!

თუ რომ მისი არ დაეცა
სულმაღლობა და ზნეობა,
სისხლის ღვრით არ მოაკლდება
ვაჟკაცობა და მხნეობა.

მაშ, ვეცადოთ, სულით გავრყვნათ,
უნდა გავაუზნეუროთ:
ჩამოუგდოთ შური, მტრობა
ერთმანეთში და უყუროთ!..

ჩვენ შევუწყობთ შორიდან ხელს
იმათ ახლო მიხლა-მოხლას;
ვითამაშოთ „რუსობია“,
რას დავეძებთ იმათ წინ სვლას?

და, აბა, ჰე: ჯერ იმათ რჯულს
ხერხიანათ მივყოთ ხელი
და ნელ-ნელა დაუქციოთ
ეკლესია მათი ძველი!

კათალიკოს მღვდელ მთავარი
გადააგდეს, ექსარხოსი

დააყენეს მის ადგილზე,
როგორც მწყემსი და უფროსი.

ყველა ერთგულ-ორგულობის
ხელში მისცეს იმას სია
და მიანდვეს იმის ნებას
საქართველოს ეკკლესია.

ამ ნაირი მოქმედება
ქვეყანას არ მოეწონა,
მოხდა ხალხში ამბოხება,
თავი არ ვინ დაიმონა.

სთქვეს: ქართული ეკკლესიის
ვერ გავბედავთ ღალატსაო!..
დღემდი ჩვენ ის გვიბრწყინავდა
ციხეებს და პალატსაო!

ძნელი არის მთელი ხალხის
დამონება და შეპყრობა,
თუ რომ ძალა შეაერთეს
და შეიკრეს მათ პირობა!

და, ვინ იცის, მაშინ საქმე
რა ნაირად იქნებოდა,
რომ ზოგ-ზოგი დიდ კაცობა
რუსობას არ მიმხრობოდა.

მაგრამ ვაი, რომ მიემხრენ,
ზოგი ძალით, ზოგი ნებით,
მოიყიდეს მმართველებმა
ფულით, ჩინით, ორდენებით!

მაშინ ძალა განახევრდა,
„გატყდა ციხე შიგნიდანა“

და დანარჩენ ნახევრობას
გაეყარა ყელში დანა!

იმ დროს მოკლეს ქუთათელი,
სტანჯეს, გვემეს გენათელი,
წაიყვანეს ტყვედ და გზაში
დაუბნელეს დღე ნათელი.

რომ კვდებოდა, შეაჩვენა
რუსი. უბე გაიხია,
მიაბარა სული ზეცას
ანანურში!.. იქ მარხია.

იაშვილი, წულუკიძე,
და სუყველა მეთაური
ძირიანა ამოაგდეს,
თავადი თუ აზნაური.

მხოლოდ ერთი აბაშიძე
გადუარდათ ახალციხეს,
მან თათრების დახმარებით
მიაშურა მაგარ ციხეს.

მაგრამ იქაც ვერაგებმა
ჭუმბურიძე შეუჩინეს,
უღალატეს და ურჯულოდ
საუკუნოდ დააძინეს.

გაიმარჯვა მაშინ სრულად
ჩვენში რუსის ეკკლესიამ
და შეუწყო ხელი მათ ცდას
ჯაშუშების მტრულმა სიამ.

აამაღლეს მომხრეები;
დაამდაბლეს სხვები ყველა,

რაც იმ თავით გაეძრახათ;
ასრულებდენ ნელა-ნელა!

იმ დროს ყველა მონასტრებში
შკოლა იყო გამართული
და იქ იყვნენ ჩვენი მღვდლები
გამოზრდილი, გაწაფული.

უსასყიდლოდ უვლიდენ მრევლს,
არ ფიქრობდენ საზრდო პურზე,
ხალხის ჭირი ჭირად უჩნდათ,
თავს დებდენ ღვთის სამსახურზე.

არ სწავლობდენ უცხო ენებს,
არ ესმოდათ მათ რუსული,
მაგრამ კარგად კი იცოდენ
ზედ მიწევნით საღვთო სჯული.

დღეს რაღაა? – რუსობია!
სადღა არის ძველი მღვდელი?
ვინც ქართველობს, წაჭერილი
ყელშიდა აქვს რუსის ხელი.

სჯობს გავჩუმდე. ქართლის ტანჯვას
ვერ გამოვსთქვამ რადგან სრულად!..
რომ ვსთქვა მაინც, რა გამოვა,
თუ ვერ ვიტყვი ღირსეულად.

და ისა სჯობს ისევ მგოსანს,
ცრემლები რომ დაუღვრია,
გულდადებით მოუსმინოთ
საქართველოს ისტორია!!..

თავი მეოთხე

იყო პატარა ქვეყანა,
სიკეთე მიუწვდომელი
და მისი ხელში ჩაგდების
მთელი აზია მნდომელი.

ასურეთ-ბაბილონია,
არაბისტანი, სპარსეთი –
სუყველა ეტანებოდა,
არა ზოგავდა არც ერთი.

ემტერებოდენ ბერძნები,
ხელს არ იღებდა რომიცა
და ბევრიც გადაიხადა
მან საგულისხმო ომიცა.

გაკაცცოტავდა საბრალო
ხალხთა შორისი ზვარაკი,
მაგრამ კი საისტორიოდ
დარჩება როგორც არაკი.

ვით პრომეთეოს, შორს მჭვრეტი,
კავკაზის ქედზე მიკრული,
ქორისგან ამონაწიწკნი
რომ ჰქონდა ღვიძლი და გული.

ისიც, ბედისგან დევნული,
ზედ ეკრა კავკაზიასა
და მიწაც, სისხლით მორწყული,
აძლევდა ვარდს და იასა.

ამ პაწაწინა სამეფოს
უხმობდენ „ივერიადა“,

ხალხმა, ქცეულმა ფოლადად,
სახელი გაიდიადა...

როდესაც მაჰმადიანთა
აიღეს ქრისტეს საფლავი,
მლოცველს პირობა დაუდვეს
ძნელი და გულის საკლავი:

იერუსალიმ ქალაქში
ვერ შევიდოდა ვერა ვინ,
თუ ფეხის ქირას საბაჟოდ
არ გადიხდიდა წინ და წინ.

არ ეხებოდა ქართველს კი
ეს უცნაური პირობა:
მას პატიობდა ბაჟიდან
მისი წასული გმირობა.

და მართლაც გმირი ყოფილა
ქართველი კაცი წარსულში,
მაგრამ დღეს სადღა გამოჩნდეს?
ჩაცვენილი ვართ უფსკრულში.

მაშინ კი იდგა სამზღვარზე,
მტერს იგერებდა მარადა,
ცეცხლსა და მახვილს ხმარობდა
ყველასთან ფარის გვარადა.

უმკლავდებოდა ერთი ათს,
იცავდა საკუთრებასა;
რჯულის და ქვეყნის დაცვაში
ხედავდა ნეტარებასა.

ძალმომრეობით ვერა ვინ
ვერას აკლებდა... ვერასა

და ვერ ანგრევდენ ქართველის
მცირე და ღარიბ კერასა.

ჯერი რომ მიდგა რუსებზე
და გაძლიერდა ისიცა,
შეუპოვრობა ქართველის
მან იუცხოვა... იტკიცა!

როგორ თუ გამიმკლავდება
პატარა საქართველოო?
ის სუსხით უნდა დავაჭკნო,
როგორც ზაფხულში მდელოო.

თუ ვერას გავხდი მტრობითა,
მოყვრობით ვიგდებ ხელშიო
და მაშინ მე მთელ აზიას
ხელსაც წაუჭერ ყელშიო.

ეს განიძრახა და კიდეც
საქმედ აქცია ყოველი
და ერთ რჯულობით შემცდარსა
გარს შემოერტყა ვით გველი.

ის, რაც პირობა დაუდვა,
არ აუსრულა არც ერთი;
გასტეხა ფიცი და მტკიცი,
აღარ იწამა არც ღმერთი.

ხელში ჩაიგდო და ძველი
წეს-წყობილება დაშალა;
შემოიტანა თავისი
და მოაყოლა თან ძალა.

ყველა გამყიდველს და ორგულს
უძღვნიდა „ქებად-ქებასა“

და ყოველ ბიჯზე სცდილობდა
მთელ ქვეყნის გარუსებასა.

ვერც აისრულა წადილი,
ხალხიც დაღუპეს ტყულადა
და, შედარებით წარსული
დრო მოაჩვენეს ტკბილადა.

ჯერ ეკლესიას ეძგერენ,
სთქვეს: „აქ მარხია ძაღლიო!
ჯერ ძირი გამოუთხარე,
თუ გსურს დაიქცეს სახლიო.

სანამდი სარწმუნოება
ქართველს ექნება ხელშიო
და არ მოკვდება ზნეობით,
ხელს ვერ წაუჭერ ყელშიო.

ჯერ უნდა რჯული წავართვათ,
გავხადოთ უნამუსოდო
და მერმე შევსძლებთ ადვილად
რომ კიდეც გავარუსოთო!

ეს სთქვეს და კიდეც მაშინვე
შეუდგენ გარუსებასა
და ქართველების უარმყოფს
არ ამადლიდენ ქებასა.

კათალიკოზის სანაცვლოდ
დაგვისვეს ეგზარხოსები;
ისინიც ისე გვდევნიდენ
ვით „ბაყათრობას“ ოსები.

ქართული წირვა და ლოცვა,
ქართული სახარებაო,

მართალი არის, რომ დღეს ხალხს
ესმის და ეყურებაო,

მაგრამ ის არის კიდევაც,
რომ აღარ მოგვწონს ჩვენაო!
საქრისტიანოდ რას ვარგა,
ღვთის მადლსა, ძაღლის ენაო?

არ სჯობს, რომ გასლავიანდეს
ქართული ეკკლესიაო?
და ვინც კი დაგვეხმარება,
ავნუსხოთ მათი სიაო!“

და ამ აზრითვე გამართეს
მაშინვე სემინარია.
იმისმა მიმართულებამ
ხალხი სულ არივ-დარია:

გარდა ქართული ენისა,
იქ ასწავლიდენ ყოლიფერს
და ამზადებდენ სამღვდელოდ
ქვეყნის ორგულსა!.. ქვეყნის მტერს!

მღვდლად აკურთხევდენ მისთანას,
ვინც არ იცოდა ქართული
და მხოლოდ შტრაუს-რენანის
კითხვაში იყო გართული.

ეგეც რომ აღარ აკმარეს,
ჭირი დაურთეს ჭირზედა
და ვისაც თქმა რამ შეეძლო,
ხელს აფარებდენ პირზედა.

სასულიერო წოდებას
ძველ დროში ჰქონდა ქონება,

რომ მოეცალა საკუთრად
მრევლისთვის გრძნობა-გონება;

მრევლს არა სთხოვდა სასყიდელს,
რომ მით ცოლ-შვილი ერჩინა
და ეკკლესია აძლევდა,
რაც სჭირდებოდა მას შინა.

პირ იქით თვით პატრონობდენ
ქვრივ-ობოლ გაჭირვებულებს
და მუშაობდენ მღვდლებივე
საეკკლესიო მამულებს.

ქონების შეუხებლობა
განამტკიცებდა კავშირსა,
ცხოვრობდენ მამა-შვილურად
იყოფდენ ლხინსა და ჭირსა.

ეს არ დაუჯდათ ჭკუაში,
რუსობის მოტრფიალესა,
და ეკკლესიას ქონება
ხელიდან გააცალესა.

მრევლს გაუკვირდა ეს საქმე:
„რაღა მღვდლობაა მღვდლობაო,
თუ ხალხი უნდა გაგლიჯოს,
მღვდელმა და იწყოს მგლობაო.

ნუ თუ ფეხს რამდენს გადადგამს
სასყიდელს გვთხოვდეს მღვდელიო?
მაშინ სჯობია, რომ რჯულზე
სულაც ავიღოთ ხელიო!..“

ატირდა იქით სოფელი
და აქეთ სამღვდელოება;

კისერზე აწვათ ორივეს
ეს უკულმართი დროება.

გამოიტანეს რაც იყო
საყდრებში სამკაულები
და სულ საჯაროდ გაყიდეს:
გვეჭირვებაო ფულები.

დაუზოგავად გაძარცვეს
ყველგან მონასტირ –ტაძრები
და იმ ნაცარცვით აავსეს
საუკუღმართო მაზრები.

ხალხმა სთქვა: „ეს რა ყოფილა?!
ხატს არ ჰქონია ძალაო,
თორემ თავისი გაგლეჯა
სხვას როგორ დააცალაო?

ასე რომ ცარცვენ და გლეჯენ
რატომ არ მოდის გულიო?
მოვსტყუვდით!.. არა ჰქონია
თურმე ხატს სასწაულიო!!!“

დღეს-ხვალიობით, ცოტ-ცოტად
გადაუბრუნდათ ხალხს გული:
აღარც ხატი სწამს, არც ჯვარი,
დაკარგული აქვს მთლად რჯული!

ჩვენთვის ერთია რა ენით
და როგორც უნდა სწირონო!..
მშვიდობით, მადლო და ძალო...
მშვიდობით, წმინდა მირონო!..

ასრულდა მტრების განზრახვა
რჯულს გაჰყვა ქართველობაცა

და სათვალმაქცოდ გადიქცა
დღეს, დღევანდელი მღვდლობაცა.

სხვა სარბიელიც იმავ დროს
გულდასმით „რუსობანობდა“,
ეგზარხოსების პროგრამას
ხმა ტკბილად მაღალ-ბანობდა.

სამასწავლებლო მზრუნველად
ნიშნავდენ იმისთანასა,
ვინც ქართველობას პირდაპირ
ყელში უყრიდა დანასა.

და ისიც მოძღვრად ნიშნავდა
ქვეყნის მტერს, ქვეყნის ორგულსა;
მარტო რომ კუჭზე ფიქრობდა
და ოცში იღებდა ფულსა,

შკოლები მოსწავლეებსა
უსპობდენ დედა ენასა:
ყურს არ უგდებდენ იმათი
მშობლების ცრემლის დენასა.

წარსულს უგმობდენ, თვისას კი
იხსენიებდენ ქებითა
და ჰპირდებოდენ მომავალს
მხოლოდ-ღა გარუსებითა.

პედაგოგიურ სიმართლეს
არ დაეძებდენ ამადა.
მოსწავლის გრძნობა-გონებას
არ აფასებდენ ფარადა.

პოლიციაც და სამსჯავროც
ორივეს ეთანხმებოდა

და ქართველობა ამითი
ჩვენში დღითი-დღე ხმებოდა.

მოსამართლებლად ნიშნავდენ
ვიღაცა ოხერ ტიელსა,
ენის და ხალხის უმეცარს
მურვან ყრუ გადამთიელსა.

მათ მოსპეს სამსჯავროებში
ქართულ ენაზე ბაასი
და რუსულ ენის არ მცოდნეს
ჭირი დაერთო ათასი:

უნდა ეშოვნა სხვა ვინმე
მოლაპარაკე რუსულად,
რომ მისი ჭირი, ვარამი
მას გადაეცა სულ-სრულად.

როგორც პირუტყვი, ერთი რამ
საბრალო ძაღლი, გოშია
იდგა უსიტყვოდ მსაჯულთან
ქართველი სამსჯავროშია.

იქ სრულდებოდა ფორმები,
სხვას რას დასდევდა მსაჯული?
სულ ერთი იყო! ჩალა-ბზედ
მიაჩნდა ხალხი ტანჯული!

სუყოველ გვარსა სარბიელს
რუსები ჰქონდა სახეში
და ას წლის განმავლობაში
კიდეც გააბეს მახეში:

გაირყვნა ხალხი ზნეობით,
დაეცა გრძნობა-გონება,

და მოენიჭა ცოცხალ-მკვდარ
ხალხს პირუტყული მონება!

ხმის ამომღები სად იყო?
ყველას აგლეჯდენ ენასა
და ერს, უფსკრულში ჩატანილს,
უშლიდენ აღმა ფრენასა!..

თავი მეხუთე

რომ რუსდებოდა ქართველი
და ზნეობითად დაეცა,
რუსეთის ძალმომრეობამ
ცოდვებად გაიორკეცა.

თავისას აღარ დასჯერდა,
მიჩერებოდა აზიას
და აღარ ჰქონდა სამზღვარი
ოცნებას... მის ფანტაზიას:

შორეულ აღმოსავლეთში
სწრაფად მიჰყავდა ჯარი მას;
ეგონა დამარცხებულ ხალხს,
ზე წააწერდა ჯარიმას!

მაგრამ იქ მოპირდაპირედ
დაუხვდა იაპონია,
რომელსაც ისტორიაც კი
წარსულში არა ჰქონია.

ვით გოლიათსა დავითი
წინ მიეგება შურდულით
და სძლია ძალ-მომრეობით,
განათლებითა და ფულით!..

ამოიძუა რუსებმა
და როგორც მხდალი გოშია
ნაცემი, ნათათხანები
დაბრუნდა სამშობლოშია.

აღელვდა ხალხი მდაბალი:
მთავრობა არ გვივარგაო!...
აბა თუ რამე შეგვძინა,
რაც გვქონდა, დაგვიკარგაო!

ამიერითგან ჩვენ საქმეს
ჩვენ უნდა უპატრონოთო!
ვემონებოდით დღემდი სხვებს,
დღეს სხვები დავიმონოთო!

აღელდენ, ალაპარაკდენ,
ასაქსაქებდენ ენასა:
ზოგან და ზოგან კიდევაც
შეუდგენ სისხლის დენასა.

ხალხი თუ ადგა, შეიგნო
მან სიდიადე ღონისა,
ყველას წაგრაგნის, მსგავსია
მაშინ ის სტიქიონისა!

გამოიღვიძა რუსეთმაც
სტიქიონურის ძალითა!
არად აგდებდა განსაცდელს,
თუმც კი ხედავდა თვალითა.

მაშინ შეუდგა მთავრობა
შინაურ ამბოხებასა
და სხვა რომ ვერა გააწყო,
მიჰმართა მეოხებასა.

ჩვენც, დრო მოგვეცა, ქართველებს
დაჩაგრულს დედინაცვლობით,
დაგვბრუნებოდა სუყველა,
რაც ჩამოგვართვეს ას წლობით.

საჭირო იყო მხოლოდ-ღა
ერთმანეთისა თანხმობა
და ისე გასვლა საბრძოლოდ
თუ არ გვინდოდა დამხობა.

კაცი როცა ზის ციხეში,
ფეხში ბორკილი უყრია,
მომცდარა, სხვაზე თუ ფიქრობს,
ტყუილა ცრემლები უღვრია.

ის უნდა იყოს იმისი
გაუსხლეტელი სურვილი:
ციხე როგორმე გასტეხოს
და აიყაროს ბორკილი.

დღეს ჩვენ რაღა ვართ, თუ არა
მონა ციხეში მჯდომარე?
არ მრწამს ქართველად ქართველი
მტრის მომხრე და მტრის მოყვარე!

ხალხი მზათ არის, მაგრამ რა?
უბნევენ გზასა და კვალსა:
ზოგი რას ამბობს? ზოგი რას?!
ვინ შეაგონებს მართალსა?

ეუბნებიან: „მთავრობას
რუსეთი შეებრძოლაო
და რომ ჩამოვრჩეთ, არ ვარგა,
ჩვენ გვმართებს თან მიყოლაო.

რუსები ჩვენთვის კარგია:
თუ გაიმარჯვეს მათაო,
აღგვიარებენ ქართველებს
საქვეყნოდ თანსწორ ძმათაო...

მაშ ვეცეთ ჩვენც შინაურებს,
რომ მოვიშოროთ მტერიო,
თავად, აზნაურს, ვაჭარს, მღვდელს,
უნდა უცვალოთ ფერიო.

ესენი რომ არ იქნება
და გაქრებიან ყველაო,
მუშათა კითხვა აღიძვრის
და გველირსება შველაო!“

ოჰ, რა კარგი ხარ, ოცნებავ!
და თეორიით მტკიცეცა,
მაგას ამბობდენ მოძღვრები
და ქადაგებდა ქრისტეცა.

გულს ვერ გამიტეხს დღეის დღე,
მაგგვარ დროს მეცა მოველი,
მაგრამ დრო უნდა ყოლიფერს,
დროზე ჰკიდია ყოველი.

ვერ დავიჯერებ, შორს არის,
რუსმა რომ მითხრას: „ძამია“!
და „აჩქარებით სოფელი
არა ვის მოუჭამია!“

[1911-1912]

პროზა

ჩემი თავგადასავალი

პირველი ნაწილი

I

ყოველი არსი, სულიერი თუ უსულო, ხილული თუ უხილავი, ერთსა და იმავე მსოფლიო კანონს ექვემდებარება: დაიბადება – იზრდება, დაბერდება – კვდება!.. წყალი რა არის... წყალი?.. უბრალო მდინარეც კი ვერ ასცდენია ამ საყოველთაო წესსა და რიგს: დაიბადება თუ არა, ე. ი. თავს იჩენს თუ არა სადმე მივარდნილ მთის კალთაზე, მაშინვე იწყებს ჟონვას ნელ-ნელა, ახალ ფეხ-ადგმულ ბავშვივით, დაუყვება დაღმართს, თანდათან იზრდება, ფეხს იკიდებს, სანამ წკრიალით არ ჩაცუნცულდება რომელსამე ხევში, სადაც როგორც აღვირ-უსხმელი, სისხლ-ჭარბი, თავ-მომწონე და შეუპოვარი, სანავარდოთ გამოსული ჭაბუკი, აღარავის ეკრძალვის... აღარაფერს ერიდება: მირბის და მიხტის ღრიალ-გრიალით!.. უძრავ ქვებს თავზე ევლება და კლდოვან კიდეებს თავ-გამეტებით აქეთ-იქით ეხლება, რომ გაგლიჯოს და გაიტანოს მისი მოწინააღმდეგე!.. მაგრამ, ვერ შემძლები ამისი, ზარითა და ზეიმით ჭალებისკენ მიექანება. აქ კი გაგულდიდებული, ღრმა კალაპოტში ჩამჯდარი და გულ-სავსე, ვაშკაცურ მედიდურობით, მშვიდობიანად ტალღებს ტალღებით მიაგორებს!.. მიდის, მიშხუის, ზღვისაკენ თავ-მიცემული, შორის გზით მიმავალი, და რაც უფრო და უფრო უახლოვდება აუცილებელ სავანეს, თანდათან იჩენს აუჩქარებლობას, როგორც მოხუცი, და ბოლოს კიდეც შეჩერდება ერთი – შეჩერება... ტბორავს, თითქოს უნდა, რომ უკანასკნელად ერთი კიდევ მოიხედოს უკანვე, თვალი გადაავლოს თავის წარსულს, ფერადად გავლილ შორეულ გზას, და მერე –კი საუკუნოდ ჩაინთქას... ჩაიღუპოს ზღვის უფსკრულში!..

მიყვარს საზოგადოთ ბავშვი, უგულითადესათ პატივსა ვცემ მოხუცებულობას, ღირსეულად ვაფასებ ვაშკაცობას,

მაგრამ გული – კი ჭაბუკობისაკენ მიმიწევს და ყველაზე უფრო იმას შეფრქვევით ვეტრფიალები!..

ალბათ ამის მიზეზი უნდა იყოს, რომ წყლებშიაც ყოველ-გვარ მდინარეს გიჟმაჟი ხევის წყალი მირჩევნია და მათში –კი უპირატესობას ერთს მათგანს, ჩიხურას ვაძლევ: ის იყო ჩემი საკუთარი ემბაზი და ჩემი პირველი სარკე.

სწორედ ამ ჩიხურის პირად, მაღლობზე, სდგას ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი. ამ უშნო შენობას სიმაღლე პატარა კოშკისა აქვს, სიგრძე დარბაზისა და სისქე – ციხის, მაგრამ არც ერთს მათგანს კი არა ჰგავს!.. აი, ამ სახლში დავბადებულვარ მე 9 ივნისს, განთიადისას 1840-ში, თუმცა ნათლობის მოწმობაში – კი 1841-თი მიწერია. ნათქვამია: ადამის შვილი, გაჩნდება თუ არა ქვეყნად, მისი ბედის ვარსკვლავიც მაშინვე ცაზე იჭედება, წინასწარი ზედწარწერითო! თუ ეს მართალია, ეჭვი არ არის, რომ ჩემს ვარსკვლავზედაც შემდეგი შაირი წერებულა:

ერთი რამ ცხოველი არის,
ხმას აწვდენს შორით შორსაო,
თავისთვის ჩოჩორს აკეთებს,
სხვისთვის –კი კაი ჯორსაო.

იმ თავითვე, დავბადებულვარ თუ არა, ვაჟის შეძენით გახარებულს მამა–ჩემს დიდი ხნის გარისხული და სასახლიდან გაგდებული შინა-ყმა შეურიგებია და მე –კი ბებიას მაშინვე გავულახავარ. აი, როგორ მოჰყვებოდა ხოლმე ამ ამბავს გაზეპირებულ „მამაო ჩვენო“-სავით ცხონებული გადია ჩემი: „ვენაცვალე ჩემს კაკოს! (ბავშვობისას კაკოს მეძახდენ) ამის დაბადებაც სულ სხვანაირი იყოო: დაიბადა ერთი რაღაც დათვის-ბელა, ბამბის-ქულა და ისე გაეკმიდა სული, რომ კრინტს არა სძრავდაო! ეს თურმე იმას ჰფიქრობდა: საიდან სად მოვედიო? და ბებიას-კი გულ-შემოყრილი ეგონა და ჩქმეტა დაუწყო!.. ერთი ორი კიდეც შემოუცაცუნა ხელი და ძლივს ხმა ამოაღებინაო! ვის უნახავს ამის ტირილი? სულ იცინოდაო“.

ამას სხვებიც ამბობენ. დიაღ, სულ თურმე ვიცინოდი და ამ სიცილს ერთი კარგი უსიამოვნებაც მოუხდენია: ერთხელ ჩამოსულა ჩვენსა მეზობლების გამდელი და, მომცინარი რომ უნა-

ხავარ, უთქვამს: „ვუიმე!.. ჩემი გაზდილი ნუ მომიკვდება, ეს ბავშვი ისე იცინის, რომ სწორედ სულელი გამოვაო“!.. ჩემ გამდელს სწყენია ეს და უპასუხნია: „როგორ თუ სულელიო?! ანგელოზია, თუ ანგელოზებს შესცინის... იმათ ეთამაშებაო!.. სულელები ზოგი თქვენსკენ მოიკითხეო“ და სხვანი!.. წალაპარაკებულან და სცემიან ერთმანეთს. ჩვენს გამდელს ჩვენი მოსამსახურეები მოხმარებიან, მეზობლისას – მათი; ბოლოს ქალბატონებიც ჩარეულან (რასაკვირველია, მხოლოდ სიტყვითა და მუქარით და არა საქმით). ამ ამბავს მიუწევია ვაჟბატონებამდისაც და ჩამოვარდნილა ორ ოჯახს შუა დიდი უსიამოვნობა. აღარ, თურმე, ეკარებოდენ ერთმანეთს და აღარც ხმასა სცემდენ!.. მხოლოდ თევდორობის კვირაში, ზიარების წინედ, ოქროპირ მღვდლის რჩევით შერიგებულან და მაშინაც კიდევ მამა ჩემს სოფელში კაცი გაუგზავნია და შაუთვლია ძიძისათვის: „აქ გამომგვარე ჩემი ხითხითა ბიჭუნა, რომ მეზობლებმა ნახონ და მტრებს თვალები დავუყენოვო!“ გამოვუყვანივართ, მაგრამ წარმოიდგინეთ ყველას გაკვირვება, რომ „ხითხითა ბიჭს“, ჩვეულების წინააღმდეგ, ერთი ღიმილიც არ მომსვლია, ისე თურმე ვყოფილვარ გაბრუებულსავით.

აქ ცხადია, რომ სოფელში ნამყოფ ათი თვის ბავშს სასახლეში ყოლიფერი მეუცხოვებოდა და გაშტერებული ვიქნებოდი, მაგრამ ასე არ გაუგიათ და არ აუხსნიათ ჩვენებს!.. იმათ უფიქრნიათ: სწორედ შურისა და სიხარბის საქმეა, თვალი ჰკრეს, გაღალესო და ისევ საჩქაროდ დაუბრუნებივართ სოფელში. ძიძასაც გზაზე ერთ ვიღაც მკითხავთან გაუვლია, გამოულოცვინებია... შეუბამთ ჩემთვის ყელზე ღინჭილა, მწარე ბალი და მიუყვანივართ სოფელში – შინ. იქ, რასაკვირველია, მომბრუნებია გული და ისევ დამიწყია სიცილი. ჩემი ძიძა დარწმუნებულა, რომ სწორედ გასჭრა შელოცვამ, გამობრუნდა ყმაწვილი, ახლა აღარა უჭირს რაო და მახარობელიც უფრენია სახლისაკენ.

„ძიძაობა“ და ყმაწვილის სოფელში გაბარება ისტორიული ჩვეულება იყო ჩვენს ქვეყანაში: მეფეები და მთავრები ერისთავებს აბარებდენ და აზრდევინებდენ თავის შვილებს, ერისთავები და დიდებულები – აზნაურებს და აზნაურები კი გლე-

ხებს; უფრო ხშირად თავადებიც გლეხებს აზრდევინებდენ. ნუ გგონიათ, რომ მაშინდელი მშობლები უგულო ყოფილიყონ და შვილები დღევანდელ დედებზე ნაკლებ ჰყვარებოდეთ!.. აქ სულ სხვა მიზეზები და საფუძველი იყო: ეს გაზდილ-გამზდელობა აკავშირებდა ერთმანეთთან სხვადასხვა წოდებას. გარდა ნათელ-მირონობისა, თითქმის სისხლ-ხორცობა არ მიაჩნდათ ისე მტკიცე კავშირად, როგორც გამზდელ-გაზდილობა. რა თუ ძიძის შვილები და მათი ახლო მონათესავენი, მათი შორეული მოყვრებიც კი მზად იყვენ ყოველ შემთხვევაში თავი დაედვათ გაზდილის გულისათვის და გაზდილიც მარად ექომაგებოდა ამ ხალხს, და მისი ბრალია, რომ ამ უკანასკნელ საუკუნემდე ჩვენს ქვეყანაში უფრო კაცური და კეთილი განწყობილება იყო მაღალ და დაბალ წოდებას შუა, ვიდრე სხვა ქვეყნებში. რა თქმა უნდა, რომ ამ გონივრულ ჩვეულების მიზეზი იყო ჩემი სოფელში გაბარებაც. და კურთხეულიმც იყოს ეს ჩვეულება!.. არ შემიძლია, არ გამოვტყდე, რომ თუკი რამ დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალობით, რომ მე სოფელში ვიყავი გაბარებული და გლეხების შვილებთან ერთად ვიზრდებოდი.

საწერეთლოში, ზემო იმერეთში, ბევრი კარგი სოფელია და მათ რიცხვში ურევია სავანეც, ის სოფელი, სადაც ჩემი ძიძა სცხოვრებდა და მე ვიზრდებოდი, როგორც სათვალდათვალოდ, ისე ჰაერის სიკეთითაც ის საუცხოვო რამ არის და ამიტომაც დაურქმევიათ „სავანე“, ე. ი. მოსასვენებელი ადგილი. საჩხერეზე შორს არ არის; ჩვენი სახლიდან ნახევარი საათის სასიარულო თუ იქნება. აქ ავიდგი მე ფეხი, აქ ამოვიდგი ენა და აქედანვე იწყება ჩემი მახსოვრობაც. თვალ წინ მიდგია ისლით გადახურული ხის სახლი წინა და უკანა კარებით, უფანჯრ-უსარკმლო, მხოლოდ ორი საკვამლურით, ანუ საფაფურით, საიდანაც კვამლი გადიოდა და სამაგიეროდ სინათლე შემოდიოდა. შუა კერაზე, მხარ-თეძოზე წამოწოლილი, დევივით, იდვა დიდი უზარმაზარი ჯირკვი და გაუსხლეტლად ზამთარ-ზაფხულ ცეცხლი გუზგუზებდა. გლეხის ოჯახი დილიდგან საღამომდე სულ მოძრაობაშია, საქმე არ გამოელევათ და ამიტომაც ბავშვების გრძნობა-გონება სუყოველთვის გართულია. კაცები დილითვე ადრე მიდიან სამუშაოდ ყანებში, თუ ტყეში, სადილი და სამხა-

რიც იქ მიუდისთ და დაღამებამდე ძვირად ბრუნდებიან სახლში. ქალები კი საოჯახო საქმეზე ტრიალებენ. მათ ხელშია საქონლის მოვლა, ფრინველების პატრონობა, სახლის დაგვა-დასუფთავება, სადილ-ვახშმის მზადება და მრავალი სხვა საწვრილმანო რამეები. ბავშვი რომ თვალ-ყურს ადევნებს იმათ მუშაობას, თვითონაც ძალა-უნებურად მონაწილე ხდება და სწავლობს. ხუთი-ექვსი წლისამ ძალიან კარგად ვიცოდი, თუ როგორ უნდა პირუტყვის ყურის-გდება, ფრინველის მოვლა, სადილ-ვახშმის მზადება, გაცრა-გამტკიცვა, გამოცხობა, სხვადასხვაგვარ შეჭამადის მომზადება და სხვანი. შესწავლილი მქონდა, თუ როდის და როგორ უნდოდა: ხვნა-თესვა, თოხნა, მკა, სხვლა და სხვანი, ასე რომ, ჩემი შესაფერი ხელსაწყო რომ მქონოდა, ყველაფერს მოვახერხებდი. არ ვიცოდი მხოლოდ წინდა-პაიჭის ქსოვა და კერვა და ისიც იმიტომ, რომ ამბობდენ: „ქალის ხელ-საქნარი კაცისთვის დიდი ცოდვა არისო“, და მეც მეჯერა. მჯეროდა, მაგრამ ჩუმად მაინც გავტეხე ცოდვა და ვისწავლე მატყლის ჩეჩვა და ბამბის პენტვა. აი, როგორ მოხდა ეს: ჩემი ძიძის შვილი, რომელიც ჩემთან ძუძუ-შენაწოვარი და ჩემი კბილა იყო, არასოდეს არ მშორდებოდა, სულ ჩემთან იყო. ერთხელ ავდრიანი დღე იყო და ქალებმა რომ ყანაში მუშებს სამხარი წაუღეს, ჩვენ შინ დაგვტოვეს, თან აღარ წაგვიყვანეს. გვეწყინა, მაგრამ რაღას ვიზამდით? დავრჩით მარტო, – მოგვეწყინა. ჯერ დანასობია ვითამაშეთ, მერე კენჭობია, მაგრამ მაინც ვერ გავერთეთ, რადგანაც ამ გვარი სათამაშოები მოწყენილი და მობეზრებული გვქონდა. ძიძის შვილმა მითხრა: „მოდი, ერთი, ბაბუას წვერები დავუჩეჩოთო!“ ჩამოიღო საჩეჩელი, მოიტანა მატყლი და დაუწყო ჩეჩვა, თანაც ასე იძახოდა: „ასე დაეჩეჩოს ბაბუას წვერებიო“. ეს ძალიან მომეწონა და მეც მივბაძე. დიდხანს ვერ ვახერხებდი ჩეჩვას; ორჯელ-სამჯელ საჩეჩელის ჩხირები მეჩხვლიტა, მაგრამ მაინც თავი არ დამინებებია. ვინ იყო ის ბაბუა, ან რას ვერჩოდით? ეს წარმოდგენილი არც ერთს არ გვქონდა, მაგრამ ძალიან აღტაცებაში მოვყავდით ამ ბაბუას წვერების ჩეჩვას, ასე რომ თითქმის დავიქანცეთ... ბოლოს ისევ ძიძიშვილმა სთქვა: „კმარა ამდენი ჩეჩვა, ახლა გავპენტოთ და ქარს გავატანოთ ბაბუას წვერებიო“. ჩამოიღო ლარი, მოიტანა ბამბა და დაუწყო პენტვა. თან პენ-

ტავდა და თანაც ლარის ბაგაბუგის ხმაზე ბუქნას უვლიდა. მეც, რასაკვირველია, გავიმეორე მისი ნამოძღვრალი და ისე შეგვიყვარდა ეს „ბაბუას წვერის“ თამაში, რომ შემდეგში, როგორც-კი გავიგულებდით სადმე ქალებს, სულ ამას ვთამაშობდით და ისე კარგადაც-კი შევისწავლეთ საჩეჩლის და ლარის ხელი, რომ ქალებიც ვეღარა გვჯობნიდენ. ძალიან ვფრთხილობდით, რაც კი შეგვეძლო, მაგრამ ერთხელ მოგვასწრეს ქალებმა და ჩემმა ძიძამაც ჩამოიკაწრა ლოყები: „ვუიმე! რა გიქნიათ ეგ, შვილებო? ეგ ხომ დიდი ცოდვა არის?.. ქალების ხელსაქნარი რა თქვენი საქმეაო?.. და მერე ბატონებმაც თუ გაიგეს სასახლეში რას იტყვიანო?“ იმ დღიდან გვიმალავდენ ლარსაც და საჩეჩელსაც, მაგრამ გვიან-ღა იყო. ყმაწვილის გრძნობა-გონება მოუსვენარია, ყოველ წუთს მოძრაობაშია, მაგრამ ფეხ-მოუკიდებელი კი არის, დიდხანს ერთსა და იმავე საგანს ვერ შერჩება. ერთ-გვარობა და ერთ-ფერობა მალე ჰბეზრდება და საგნიდან საგანზე გადადის: ამიტომ ოთახში ყოფნა ეზარება, რადგანაც, რაც კი ოთახში რამ არის, ყველაფერი ნაცნობია მისი, თვალი შეჩვეული აქვს და ვეღარ ართობს მის გრძნობა-გონებას. ის გარბის მინდვრად ცა და მიწას შუა, სადაც სანახაობა მრავალ-ფერი და უთვალავია მისთვის. შინ დარჩენა ჩემთვისაც, რასაკვირველია, დასჯა იყო. მიყვარდა ხოლმე ყანებში სიარული, სადაც მუშები იმღეროდენ, მაგრამ დიდხნობით ვერც იქ ვრჩებოდი, რადგანაც მე თითქმის ყურადღებას არავინ მაქცევდა, თავის საქმეზე იდგენ. ვინ არ იცის, რომ ყმაწვილი ბუნება-თანაზიარია, ყოველთვის ჰსურს, რომ თვისი გულის პასუხი სხვებსაც გადასცეს, შეატყობინოს ხოლმე, და ეს მხოლოდ შეუძლია თვის ტოლ-ამხანაგებთან. ხშირად, როდესაც ყმაწვილი ვეღარა ჰხედავს ტოლ-ამხანაგს, უსულო საგნებს ესაუბრება ხოლმე... ქვას, ხეს, ყვავილს, ბალახს და სხვა პირუტყვებთან ხომ რაღა! ისე სიამოვნებით მუსაიფობს ხოლმე, რომ მეტი აღარ შეიძლება!.. მხოლოდ დიდებთან ვერ ახერხებდნენ ყმაწვილები სიტყვა-პასუხს და გულს არ უხსნიან მათ!.. და ეს კი თვით უფროსების მედიდურობისა და აუყოლელობის ბრალია. ცხადია, რომ მეც ამიტომ ვერ ვრჩებოდი დიდხანს ყანაში მუშებთან. მაგიერად სამწყესურში წასვლა, მინდვრად და ტყეში, და იქ დარჩენა ჩემთვის სამოთხეში შესვლა იყო.

გათენდებოდა თუ არა, უქუდო, ფეხშიშველა გავრბოდი მწყემსებისაკენ და დაღამებამდე იქა ვრჩებოდი. ყმაწვილი, რომელიც-კი სოფელში არ გაზდილა, ბუნებაზე სრულიად მოსხლეტილია. ის არის მოკლებული უპირველესს ბედნიერებას. ქალაქში გაზრდილ ბავშვს, გენიოსიც რომ იყოს, მისი მასწავლებელი სიტყვით და ნახატებით ისე ვერ გააცნობს ბუნებას, როგორც სოფლელი იცნობს თავის საკუთარი ნახულობით. სოფლელს თვალ-წინ უდგას ყოველთვის ბუნება, მისის სხვადასხვა-ფერობით, გაცნობილი ჰყავს ყოველ-გვარი ოთხფეხი, ფრინველი, ქვემძრომი, მწერი, მცენარე და იცის მათი ზნე და ჩვეულება; ყველა მის თვალწინ იბადება, იზრდება, იშლება, იფურჩქნება, აჰყვავდება, მოაქვს ნაყოფი და კვდება, – ყველა მათგანის ჭირისა და ლხინის თანამოზიარეა და ამიტომაც ეთვისიანება მათ. რომელ მხატვრობას შეუძლია გადასცეს ბავშვს ის, რასაც სოფელში მყოფი თავის თვალით ჰხედავს? ავიღოთ, თუ გინდა, სულ უკანასკნელი: აი, მოდის, მოღრუჩუნებს დედა-ღორი და მას ცქრიალით უკან მოსდევენ პატარ-პატარა ჭყივილა გოჭები. ძუძუს ეხვეწებიან... დედა მიდის ჩრდილში სადმე და წამოგორდება მხარ-თეძოზე: მისცვივდებიან შვილები და მიეძაბრებიან ძუძუებს; სიამოვნების ნიშნად აქიცინებენ პატარა გადაპრეხილ კუდებს და დედაც თვალ-დახუჭული დაჰხარის. დაღრუჩუნებს მათ... აგერ, კრავები კუნტრუშობენ, თიკნები დახტიან... გოჭები ჭიდაობენ, კვიცები კოტრიალებენ და სხვანი – სულ მრავალ-ფერობა და სხვადასხვა სანახაობა... უყურებს ბავშვი და თვითონაც გულშექნილი, ხტის და თამაშობს!.. ამაებს ყველას მოკლებულია ქალაქელი. „გიმნასტიკაო“ – მეტყვით!.. მაგრამ გიმნასტიკა მხოლოდ ტანჯვაა ბავშვის და სხეულის ჯორჯვა. სხვადასხვა ნაწევრებს ადამიანის გვამისას განა ერთი და იგივე მოთხოვნილება აქვს? მე ეგება მარტო ფეხი მინდა ვავარჯიშო და იმ დროს ხელი შევასვენო. ყველაფერს თავისი დრო აქვს და ამ დროს თვითონ ბუნება უფრო უტყუვრად უჩვენებს. „გიმნასტიკის“ დროს კი, წინააღმდეგ ჩემის მოთხოვნილებისა, უნდა მხოლოდ სხვის ბძანებით ვიმოძრაო. მაგალითად, მე, როცა სირბილი მინდა, ის გამაჩერებს ერთ ადგილზე, მომცემს ხელში მძიმე რკინებს და, გინდა თუ არა, ხელები ავარჯიშეო... ხელოვნებას შეუძლია, რომ

დაიმორჩილოს, ე. ი. დაამახინჯოს ბუნება, მაგრამ, რომ შეს-ცვალოს და თავისი სურვილით ვითომ გააუკეთესოს, არა მჯერა. აბა, წარმოიდგინეთ ერთი მხრით თავისუფალი, შველივით მონავარდე, სოფლელი ბავშვი და მეორე მხრით „დაჩანჩურე-ბული“ ქალაქელი ყმაწვილი!.. ფეხსაცმელი უჭერს და მაზოლე-ბი სტანჯავს... გამოსუდრულა ტანთსაცმელში, საძრაობა აღარა აქვს, ეუბნებიან: ჭკვიანად იყავი, რაც ჩვენ გირჩიოთ, მხოლოდ ის იკისრე შენცო!.. იმ საბრალოს ერთი გაკოტრიალება ქვეყანას ურჩევნია, მაგრამ განა გაბედავს, რომ ტანისამოსი დასვაროს?.. იზრდება ბძანებით მომავალი ჭლექი და მუმია.

ქართველების ოდენი სხვადასხვა-გვარი სათამაშო თით-ქმის არც ერთს ხალხს არა აქვს და ყოველგვარი სათამაშოც უთუოდ ისეთია, რომელიც ჭკუა-გონებასა და სხეულს წვრთ-ნის, ავარჯიშებს. ყველას არ ჩამოგითვლით აქ, რადგანაც შემ-დეგ კიდევ მექნება მათზე მსჯელობა განსაკუთრებით და დავა-სახელებ მხოლოდ „ბურთაობას“. აბა, რომელი „გიმნასტიკა“ შეედრება მას! ბურთაობის დროს თვალი, ფეხი, ხელი, თავი, ტანი და ყოლიფერი თანასწორად ეჩვევა სიმარდეს. ქართულ სათამაშოებს ბავშვები თავის ხელით აკეთებენ, მაგალითად, ტაფა-რიკს თვითონ გამოსჭრიან ხოლმე, შვილდ-კოდალს – იკეთებენ, ბურთს თავის ხელით ამზადებენ და ეს შრომა კიდევ უფრო აყვარებს პატარა პატრონს თავის საკუთრებას! ნაყიდი სათამაშოები, და მუქთად ნაშოვნი ტიკინები ქალაქებში მუქ-თახორობას აჩვევენ ყმაწვილებს და უფრო უფუჭებენ ხასიათს. ეს მე ჩემ თავზე გამომიცდია! სხვისი გაკეთებული და ნაყიდი სათამაშოები არაფრად არ მიმაჩნდა და ჩემსას კი ვუფრთხილ-დებოდი ხოლმე. პატარებს უყვართ დიდების მიბაძვა და მეც რომ ხუხულა სახლებსა და ბეღელ-სასიმინდე-წისქვილებს ავაშენ-ებდი ხოლმე, – ჩემს სიამოვნებას საზღვარი აღარ ჰქონდა. თავი მომქონდა, რომ მე თვითონ ვაკეთებდი. აბა წარმოიდგინეთ სოფ-ლელი ბავშვი, რომელსაც თავის ხელით გაკეთებული ბურთი ხელში უჭირავს და თავისუფლად გაჰკრავ-გამოჰკრავს ხოლმე ხტუნვითა და სირბილით, და შეუდარეთ ქალაქელს! იმ საცოდავს უჭირავს ხელში ძაფზე გამობმული ბუშტის ბურთი და შიშით ვეღარ ინძრევა, არ გამიფრინდესო... რომ სიტყვა აღარ გავაგ-

რძელო, მოკლედ ვიტყვი, რომ სოფელში გაზრდილ და ქალაქში მყოფ ბავშვებს შუა ისეთი განსხვავებაა, როგორიც ნამდვილსა და მის აჩრდილს შუა. ეს უბედურება ბედმა თავიდან ამაცდინა მე და ექვსი-შვიდი წლის ნამდვილი ბუნების შვილი ვიყავი: ტანმრთელი, მალხაზი, კეთილი, ყველას მოსიყვარულე და თავისუფალი, როგორც სამოთხის შვილი. დიაღ, სანამდი სოფელში ვიზრდებოდი, სრულიად ბედნიერიც ვიყავი, თუმცა ხან-და-ხან, კვირაში ერთხელ თუ ორჯელ, ჩემს ბედნიერებას შეაფერხებდენ ხოლმე სასახლიდან ჩემ სანახავად გამოსულები.

„დღეს ბატონები გამობრძანდებიანო!“ – იტყოდა ხოლმე ჩემი ძიძა: გამწმენდდა, გამბანდა, მომრთავდა, თითქოს სადღესასწაულოდ, და აღარ გამიშვებდა გარედ. მართლაც იმ დღეს გამოვიდოდნენ ჩემ სანახავად დედ-მამა დიდის ამბითა და ამალით, ისე, როგორც კი შეშვენოდა ბატონ-ყმობის დროს, და მთელი სოფელი ცქერად გადაიქცეოდა ხოლმე. იმათი გამოსვლა ჩემთვის მხოლოდ სასეირო და სათამაშო იყო. ვიცოდი, რომ ისინი, ბატონები იყვენ და მე მათი შვილი ვიყავი. როგორც ისინი, ისე მათი მხლებლები მოწიწებითა და ალერსით მეპყრობოდენ: მკოცნიდენ, ხელში ამიყვანდენ ხოლმე, საჩუქრებს მაძლევდენ და მანებივრებდენ, მაგრამ მაინც მე მათი მობრძანება ბევრად არაფრად მეპიტნავებოდა, რადგანაც გული ტყე-მინდვრისა და სამწყესურისაკენ მქონდა. კიდევ ჩემი ბედი, რომ ისინი დიდხანს არ იცდიდნენ სოფელში და მეც, გავიგულებდი ხოლმე თუ არა მათ ცოტა მოშორებით, ისევ გავრბოდი სამწყესურში. იქ სოფლის ბიჭები, ჩემი ამხანაგები, გამომკითხავდენ ხოლმე: „რა მოგიტანეს, რა გითხრეს ბატონებმა, როგორ იყვნენო?“ და სხვა. ამის გამოკითხვის შემდეგ, ჩვენც მაშინვე „ბატონობიას“ თამაშს დავიწყებდით ხოლმე: ზოგი ქალბატონს წარმოადგენდა, ზოგი ვითომ ვაჟბატონი იყო, ზოგიც მხლებლები!.. გადავჯდებოდით ჯოხის ცხენებზე და ჩვენს მხიარულებას საზღვარი არა ჰქონდა. ზემოდაც მოვიხსენიე, რომ ქართველებს ურიცხვი და უთვალავი სათამაშოები გვაქვს-მეთქი. ერთი მათგანი სამუდამოდ ჩამრჩა გრძნობა-გონებაში, თუმც ის თამაშობა თავისთავად სახალისო არ არის. ეს გახლავთ „ქორობია“. ერთი უფროსთაგანი კრუხობას იკისრებდა, სხვები წიწილები ვიყავით, გავაკე-

თებდით წრეს, ჩავაბამდით ფერხულს და ვტრიალებდით. ქორი მოდიოდა წიწილების მოსატაცებლად, კრუხი იგერებდა, სანამ ძალ-ღონე ჰქონდა. ბოლოს ქორი ხან ერთი კუთხიდან მოვარდ-ბოდა, გაგლეჯდა წრეს და გაიტაცებდა წიწილს; მაშინ წიწილე-ბი გაიფანტებოდენ, მიიმალებოდენ აქეთ-იქით და გამწარებული კრუხი – კი, შვილებს რომ აქეთ-იქით მიმალულსა და მიხიზნულს დაინახავდა, თვითონ გამოუდგებოდა ქორს, დააგდებინებდა და დაიბრუნებდა ხოლმე გატაცებულ წიწილას. მაშინ ხელ-ახლად იწყებდა ქოთქოთს, შეიკრებდა წიწილებს და გააბამდა წრეს. მართალია, გამარჯვებული კი ყოველთვის კრუხი რჩებოდა, მაგრამ იმ საბრალოს მოსვენება არ ჰქონდა და იტანჯებოდა. ეს თამაში მე არ მიყვარდა, თუმცა ყოველ–დღე სხვა–და–სხვა თამაშობას ამითი ვაბოლოვებდით ხოლმე. მეცოდებოდა კრუხი და ხშირად ვეკითხებოდი ხოლმე ძიძას: „რა დაუშავა კრუხმა ქორს, რომ წიწილებს სტაცებს და არ ასვენებს-მეთქი?“ – „ჭამა უნდაო!“ – მიპასუხებდა ხოლმე ძიძა და დაიწყებდა სიცილს. არ ვიცი, ეს თამაშობა, რომელიც სავარჯიშოდ დიდი არა არის რა, განზრახ იყო გამოგონებული რაიმე სამნიშვნელოდ, თუ ისე შემთხვევით, უბრალოდ? მაგრამ დღეს რომ ვუკვირდები, ძალი-ან მაგონებს ჩვენი ქვეყნის ბედს. ჩვენი ცხოვრება, ჩვენი ისტო-რია სწორედ ქორობიას წარმოადგენდა: საქართველო კრუხი იყო, სიცოცხლე–გამწარებული, და სხვა მისი კუთხეები – წი-წილები!.. მტრები ქორებივით ესეოდენ... იტაცებდენ ხან ერთს მხარესა და ხან მეორეს, მაგრამ საბოლოოდ–კი საქართველო მაინც კიდევ იბრუნებდა ხოლმე დაკარგულ მხარეს და გაერთე-ბული, ფერხულ–ჩაბმული წრე ბოლოს იქნევდა ძლიერად. მაშინ მე ეს არ მესმოდა, მაგრამ გულზე კი რაღაც უნებურად მკბენ-და და მეჯავრებოდა „ქორობია“, რასაკვირველია, თუმცა მისი თამაშობა ყველას კი უნდოდა, მაგრამ სიყვარულით კი არავის უყვარდა. ერთხელ, სახლში რომ დავბრუნდი, მოწყენა შემნიშნა ძიძამ და მითხრა: „რა იყო ქორობია ხომ არ გითამაშნიათო“.

– ვითამაშეთ და ქორმაც მე გამიტაცა-მეთქი! – ვუპასუხე სიცილით. ძიძამ ჩამიკრა გულში და დაიწყო ტირილი. მე გა-მიკვირდა და ვკითხე: „რა გატირებს-მეთქი?“ – „ის მატირებს, რომ ხვალ ჩემ წიწილასაც მოიტაცებენ და მომაშორებენო!..

წიწილას რა უჭირს, მაგრამ, როგორ აიტანოს და როგორ-ღა გასძლოს კრუხმა უიმისობით?“ ეს რომ სთქვა, გული ამოუჯდა, მოუმატა ტირილს და უფრო ძალუმად მიმიკრა გულზედ. მე თუმცა არა მესმოდა რა, მაგრამ მივხვდი, რომ აქ კარგი არა არის რა-მეთქი და დავიწყე ტირილი... ვიტირე, ვიტირე და ჩამეძინა ძიძის კალთაში. მეორე დღეს კი ყოველივე გავიგე: სამუდამოთ გამომა-თხოვეს სოფელს და გამიყვანეს სასახლეში, სადაც სულ ახალი ცხოვრება უნდა დამეწყო.

სასახლეში ადრეც ბევრჯელ ვყოფილვარ, მაგრამ, რომ გამომიყვანეს, მაინც ბევრი რამ მეუცხოვა. ჩვენებს თითქმის ყველას ვიცნობდი და სტუმრებმა კი სწორედ გამაცეცეს. ხან ერთთან მივყავდით, ხან მეორესთან. მეალერსებოდენ და მკოცნიდენ. ისე მეხვეოდენ გარს, როგორც ჩხიკვები ბუს. „ეი სოფლის ბიჭო!“ – დაიძახა მამა-ჩემმა, – შენ ახლა ბატონობა უნდა ისწავლო და ბატონიშვილობას უნდა მიეჩვიო; რაც გითხრან, დაიჯერე, თორემ, თუ ურჩობა დაიწყე, წაგიყვან და დაგამწყვდევ ისე, როგორც ის პატარა ბიჭი მყავს დამწყვდეულიო“. მომკიდა ხელი, მიმიყვანა და გამაჩერა სარკის წინ, სადაც თავიდან ფეხებამდე ნათლად გამოვჩნდი და სიცილი დავიწყე.

– ხომ ხედავ? – მკითხა მამა ჩემმა.

– რატომ არა!.. ბრმა ხომ არა ვარ?

– იცნობ? – მეკითხება მამა.

– რა დიდი ცნობა უნდა?

– ხომ არ გინდა, რომ დაეჭიდო?

– ვისა?

– ამ პატარა ბიჭს?

– ბიჭი კი არა, ის არ გინდა კიდე! ჩემი ლანდია!

– რა იცი, რომ ლანდია?

– რატომ არ ვიცი!.. განა ცოტა მინახავს წყალში?

ამ სიტყვაზე სუყველამ სიცილი ასტეხეს და გაიკვირვეს. – „შენი რისხვა ნუ მომეცემა – წამოიძახა მოურავმა – შენი რისხვა ნუ მომეცემა, რო იტყვიან: კვიცი გვარზე წავაო, სწორედ მართალი ყოფილა. სოფლის ბავშვი რომ ყოფილიყო, რას მიხვდებოდა!.. მე რომ პირველად სარკეში ჩავიხედე, ჭაღარა მერია, მაგრამ მაინც კინაღამ გავგიჟდი, ისე გამიკვირდა! ეტყობოდა, მოურავს კიდევ ბევრი რამ უნდა ეთქვა, მაგრამ დედა-ჩემმა

გააწყვეტინა სიტყვა, დამიძახა და მკითხა: წყალშიო? როგორ თუ წყალში?

– ისე, როცა სათევზაოთ დავდიოდი ხოლმე ან ყვირილაში, ან იზვარაში, წმინდა წყალში ყოველთვის გამოვჩნდებოდი ხოლმე.

– მარტო შენ?

– მარტო მე რათა? წყალში ყოველიფერი გამოჩნდება: ხარი, ძროხა, ცხენი, დღე ყოველიფერი გამოჩნდება, ღამე კი მარტო ვარსკვლავები და მთვარე გამოჩნდება ხოლმე.

– თევზს როგორ-ღა იჭერდი?

– პატარებს ჩქიფით და დიდებს კი ხელაობით. შევყოფდი ხოლმე ხელს ჯილეში, ქვებში და თუ შევხვდებოთი თევზს, დავიჭერდი და გამოვიყვანდი.

– გველი რო შეგხვედროდა?

– რა ვუყოთ მერე? განა არ შემხვედრია? შეჰყოფ ჯილეში ხელს, იქ ბევრი ღორჯო გგონია ერთად თავ-მოყრილი, გამოგაქ და თურმე გველია დახვეული. გაიშლება და შემოგეხვევა კლავზე.

– მერე... არ გეშინოდა? – შემომკივლა დედამ.

– არა! დავასხვერტებდი ხოლმე რიყეზე.

– რომ ეკბინა?

– ნწუ, ამპა! წყალში როდი იკბინება, შხამი როდი აქ თან. წყალში ჩასვლას რომ დააპირებს, გველი მწვანე შხამს იქავე ქვაზე წამოანთხევს. წყლიდან რო ამოვა, მერე ისევე ალოკავს და გაუდგება გზას. მაშინ თუ ვისმეს შეხვდა და უკბინა, ძნელია: მზის ამოსვლისას თუ უკბინა, მზის ჩასვლამდის ვეღარ გაატანს, და მზის ჩასვლისას თუ უკბინა, მზის ამოსვლას ვეღარ მოესწრება კაცი, მოკვდება.

– რო ვეღარ მიაგნოს თავისი შხამი?

– თუ ვინმემ დაუმალა, ან შხამიანი ქვა გადაუგდო, მაშინ წყლის პირზე დაიწყებს ძებნას გველი, ირბენს, ირბენს და, რომ ვეღარ ნახავს, ჯავრით დაუშენს თავს ქვაზე და მოკვდება.

– შენ რა იცი ეგა?

– შარშან ყვირილას პირზე ვნახეთ მაგრე მკვდარი გველი. არც თავი ჰქონდა გაჭეჭყილი და არც წელი მოწყვეტილი, ისე იყო მკვდარი და მეთევზეებმა სთქვეს, შხამი დაეკარგებოდა და თითონ მოიკლავდა თავსაო.

– რაზე იჭირვებს საქმეს, რატომ თან არ ჩაიტანს იმ შხამს წყალში?

– დაწყევლილია!.. მერე და შხამი რო ჩაიტანოს წყალში, წყალს ხომ მთელი სოფელი სვამს და დიდი და პატარა სულ არ მოიწამლებოდენ ერთიანად? ჩემს სიტყვა-პასუხზე დედას ეცინებოდა და თავზე მისვამდა ხელს და მეც, რაღაი კი სოფლის ამბავი მომაყოლეს, მზად ვიყავი, რომ საღამომდის მეტიტინა, მაგრამ სხვებმა გაგვაწყვეტინეს საუბარი. დასწყევლოს წმინდა გიორგიმო – დაიძახეს აქეთ-იქით – ტფუ, ტფუ! ვიღაც სწორედ ჩვენ ძვირში არისო და გადავიდენ სხვა საუბარზე. ამასობაში სადილობამაც მოატანა და გადასძახეს ბიჭებს აივანზე, რომ სადილი მოეტანათ.

უცბად ოცი-ოცდა ათი მეტი ფარეში შემოიჭრენ და გაჩერდენ შუა ოთახში. ბატონები მივიდენ, ჩამომწკრივდენ ტახტზე: პირდაპირ, მეორე ტახტზე აზნაურშვილები დასხდენ და თავში მღვდელი დაუჯდათ. კიბეზე ვიღაცამ დაახველა, სთქვეს – მოურავიაო და მართლაც ის იყო, მოუძღოდა წინ სადილს, შემოვიდა და მიეყუდა სვეტს. იმას შემოჰყვენ სხვებიც. ხელოსნებს პური მოჰქონდათ ხელ-კალათებით, მზარეულებს კი ქოთნებით და ქვაბებით სხვადასხვა საჭმელები. მიდგეს კუთხეში და გაჩერდენ. აბა, ჰე, ხელი დაგვაბანიეთო, ბძანეს ბატონებმა. ერთმა ფარეშმა ტაშტს დაავლო ხელი, მეორემ – თუნგს და მესამემ – ხელ-საწმენდს. ჩამოუარეს რიგით და ყველას ხელი დააბანიეს. მერე ორმა ბიჭმა შემოიტანა გძელი და ვიწრო ხის სუფრა ოთხ-ფეხიანი, რომელსაც ერთი ფეხი გამოვარდნილი ჰქონდა. „შეუყენეთ ფეხიო“ – უბძანა ბატონმა. ბიჭები სულ ერთიანად გაცვივდენ გარეთ და თვალის დახამხამებამდე ერთმა შემოარბენინა ქვა, სხვებიც ისევ უკან მოსდევდენ; გადააბრუნეს სუფრა და შეიქნა ერთი კაკა-კუკი. გაუმაგრეს ფეხი, მაგრამ ცოტა მეტი მოუვიდათ, ფეხი დამოკლდა და სუფრამ ყანყალი დაიწყო. „შეუყენეთ ნაფოტი“-ო, ბძანა ბატონმა. გაცვივდნენ ბიჭები ნაფოტის მოსატანად. კიდევ ისევ ერთმა მოიტანა ნაფოტი და სხვები უკან მოსდევდენ; შეუყენეს სუფრას და გაამაგრეს. როგორც იქნა, ამ ჭირს გადარჩენ, მაგრამ მწუხარება ამითი მაინც არ გათავებულა. დამშეულს ძაღლებს რომ სადილის სუნი ეცათ,

დრო იხელეს, შემოცვივდენ ოთახში, შეძვრენ სუფრის ქვეშ და წამოწვენ. – არიქა, დაგვიხსენით ამ ძაღლებისაგანაო, დაიყვირა ბატონმა. ბიჭებმა დაავლეს ჯოხებს ხელი და დაუწყეს სუფრას ქვეშ ძაღლებს ცემა. ძაღლები იღრინებოდენ, იკბინებოდენ, დიდხანს არ უნდოდათ, რომ გამოსულიყვენ სუფრის ქვეშიდან, მაგრამ ბოლოს, ძალა რო დაატანეს, იკადრეს და გაცვივდენ გარეთ. ერთი-ორი ძაღლი აზნაურების სუფრას ქვეშაც შემძვრალიყო. ბიჭებმა რომ იმათ ჯოხით ცემა დაუწყეს, ერთმა აზნაურმა იყვირა: „ვაიმე, წვივი, წვივი მომტეხე, შე ოჯახ-დაქცეულოვო! ბატონი-ჩემის რისხვა ნუ მომეცემა, ჩემი ჯინი სჭირს და განგებ მიყო ეს საქმეო! – მაგრამ ბიჭი დიდ უარზე იდგა და იძახოდა: ღვთისა და ბატონის რისხვა მქონდეს, თუ უცაბედათ არ მომსვლოდესო. ამ შემთხვევამ დიდი სიცილი და ხარხარი გამოიწვია და ის აზნაურიშვილიც განგებ აზვიადებდა ტკივილს, ისვამდა წვივზე ხელს და იჭყანებოდა. ძაღლები რომ გარეკეს, რამდენიმე ბიჭი კარებზე დააყენეს ჯოხით, რომ აღარ შესულიყვენ. ეს შემთხვევა პირველი არ ყოფილა და უკანასკნელი. რა თუ ჩვენ ოჯახში, სხვის ოჯახებშიაც ამ გვარივე შემთხვევა იყო ხოლმე; თითქმის ყოველ იჯრაზე, ყოველ სადილ-ვახშამზე ამ სუფრის ფეხების ცოდვილი იყო და ძაღლების მოგერება და აზრად არავის მოსდიოდა, რომ ერთხელვე გაემაგრებინა სუფრის ფეხები, და ან ბიჭები სადილობამდე კარებზე დაეყენებინათ, რომ ძაღლები არ შემოსულიყვენ ხოლმე. ამ ახირებულობას ისე იყვენ მიჩვეული დიდი და პატარა, რომ უამისოდ ვერც კი შეეძლოთ წარმოედგინათ სადილ-ვახშმის ჭამა; თითქოს ეს ყველა აუცილებელი საჭიროება ყოფილიყოს, ისე, როგორც მღვდლისაგან სუფრის კურთხევა. ყოველიფერს რომ მორჩენ და დაალაგეს საჭმელები სუფრაზე, უცბად დედა-ჩემმა შეჰკივლა მამა-ჩემს: — რას შვრები მაგას! – თურმე მამა-ჩემს კარგი მოზრდილი ლუკმა ჩაედვა პირში ისე, რომ ჯერ მღვდელს „მამაო ჩვენო“ არ ეთქვა და სუფრა არ ეკურთხებინა. ახლა კი გაახსენდა, წამოვარდა ზეზე და ხელით ანიშნა მღვდელს. მღვდელმაც სისწრაფით „მამაო ჩვენო“ გადიკითხა, აკურთხა სუფრა, და მაშინ კი მამა-ჩემმაც გადაყლაპა ლუკმა და მიუბრუნდა მღვდელსა: „მამაო, კინაღამ არ დამახრჩვე, შიშით ვერ გადავყლაპე, სირცხვილით ვერ

გადმოვაგდე და შენ კი ლოცვა გააჭიანურეო“ – „შენი რისხვა ნუ მომეცემა, ორჯელ გადავახტი, რამდენიც შევიძელი, ჩავა-ფუჩეჩე“. ამ სიტყვებზე დედა-ჩემი გაჯავრდა და უსაყვედურა მამა-ჩემს: სულ შენი სულ-წასულობის ბრალია, რომ მღვდელსაც ცოდვაში აგდებ და გმობას ალაპარაკებ. ვის გაუგონია ლოცვის გადაფუჩეჩება და ღვთის მოტყუებაო? მღვდელი გაწითლდა და თავის გასამართლებლად წაილუღლუღა: არა უშავს რა, პური და ღვინო ისეც ნაკურთხია ღვთისაგანო; ცოტა რამ დააკლდეს, რა უშავსო! რას ამბობ, მღვდელო, – სთქვა დედა-ჩემმა, – რაც კი არსებობს ქვეყანაზე, ღმერთს უკურთხებია, რო გაუჩენია. და მაშ რა საჭიროა კურთხევანი რო ყოველ-დღე ხელში გიჭირავს? ეს ბაასი ვინ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა და რითი გა-თავდებოდა, რომ მამა-ჩემს არ დაეყვირა: „კარგია, ახლა რა დროს ეგ არის, მშიაო“. ყველამ ხმა ჩაიწყვიტეს და შეუდგენ გულ-მოდგინეთ ჭამას.

სუფრა სხვადასხვა თავი საჭმელებით აივსო, თავ-თავი-სი კერძი ყველას საყოფი ედვა წინ, მაგრამ მაინც მამა-ჩემს მოართვეს ხელ-გობით და დაუდგეს წინ ასო-ასოდ აქნილი რა-ჭუ-ლი ხბო, რომელსაც მოსაკითხად უგზავნიდა ხან ერთსა და ხან მეორეს. ისინიც თაყვანის-ცემით მოახსენებდენ ხოლმე „ღმერ-თმა ნუ მოგვაკლოს თქვენი მოწყალებაო!“ ამ დროს გავიხედე, და შუა ოთახში რომ გამწკრივებული ბიჭები თავზე გვად-გენ და ჩვენ ჭამას რომ უყურებდენ და ტუჩებს აცმაცურებდენ, მათ რიცხვში ჩემი ძიძიშვილიც იდგა. თვალი მიქნია, მივხვდი, რაც უნდოდა, გავაპარე ხელი, ვტაცე შუაძვალს და ელვასავით გადავუგდე. ბურთში გაჩვეულმა ბიჭმაც, რასაკვირველია, მი-მინოსავით დაიჭირა და იგდო უბეში. ბევრმა თვალიც ვერ მოას-წრო ამ ჩვენ ხორცით გაბურთავებას, მაგრამ დედა-ჩემმა შენიშ-ნა და სიცილით მითხრა: „შვილო, მარტო მაგას რომ მოუკითხე, სხვებს ხომ გული დაწყდებათო! მაგის ტოლა ბიჭები, ორი-სამი, ხომ ხედავ სხვაც არისო! ისინი სულ შენი შინაყმები და ვეზირე-ბი იქნებიანო! მოუკითხე იმათაცო!“ მე დიდი სიამოვნებით ავასრულე დედის ბრძანება, და თითო ნაჭერი გადავუგდე სა-მივეს. ეტყობოდათ რომ ბურთაობაში ისინიც გაწაფული იყ-ვენ. ორმა მათგანმა თითები ისე გამოჰკრეს ჰაერში მოტრიალე

ხორცს, როგორც მიმინომ ბრჭყალები მწყერს; მხოლოდ ერთ იმათგანს, რომელიც უფრო მოზრდილი იყო, გაუვარდა ძირს. „აი დაგესხა თავს-ლაფი!“ – მიაძახეს აქეთ-იქითგან, „ვერ ყოფილხარ ბატონის ერთგულიო!“ შერცხვა ბიჭს, მაგრამ ხორცის ნაჭერი მარჯვედ მომუჭნა. „პაღური მაგასო!“ ბრძანა ბატონმა, მიცვივდენ პატარა ბიჭები და ჰკრეს პაღური. საკვირველია! ეს პაღური არც მეპაღურეებს და არც საპაღურეს არა სწყენიათ. შეიქნა ერთი საზოგადო სიცილი და ხარხარი. პატარა ბიჭებს პურიც გადუგდეს და ისინიც სიამოვნებით გაცვივდენ გარეთ, რომ პირი ჩაეგემრიელებიათ. სუფრაზე ღვინოს არავის არ აძალებდენ, მხოლოდ მერიქიფეებს ეჭირათ ხელში ღვინით სავსე დოქები და, დაიცლებოდა თუ არა ვისიმე ჭიქა, მაშინვე აავსებდენ. სადღეგრძელოები არ იცოდენ. პირველს ჭიქას რომ აიღებდენ, მაშინ კი პირჯვარს გამოისახავდენ და იტყოდენ: „დიდება ღმერთსა! მოწყალესა ერთსა! ღმერთო გაუმარჯვე ბატონსა და ყმებსა, აქა მბძანებელსა! შენდობა მამაო!“ – ეტყოდენ მღვდელსაც და გადაჰკრავდენ ღვინოს. მერე კი იმდენსა სვამდენ, რამდენიც უნდოდათ. სამიზეზო სადღეგრძელოები-კი ფიქრადაც არ მოსდიოდათ.

სადილი რაც უფრო გრძელდებოდა, უფრო და უფრო ეტყობოდა მხიარულება ყველას. იცინოდენ, ხუმრობდენ და სასაცილო ამბებს ამბობდენ, სიცილსა და მუსაიფში ხან-და-ხან ფარეშებიც გამოერეოდენ, მაგრამ თავი კი ზრდილობიანად ეჭირათ.

გათავდა სადილი, სუფრა აალაგეს, ფარეშებმა ხელი დაბანიეს ისევ ყველას და წავიდ-წამოვიდნენ. სახლში დარჩენ მხოლოდ ბატონები. იმ დროში ნასადილევს ძილი ყველასათვის აუცილებელი საჭირო იყო და ამიტომ დედ-მამა საწოლ ოთახში დარჩა. მე კი სასტუმრო ოთახში შემიყვანეს და იქ დამტოვეს: „იყავი მანდო და როცა ძილი მოგინდეს, წამოწევი ტახტზე, მუთაქა მანდერ არიო, მიიდევი და დაიძინეო. სანამდის არ აგრილდება, კარში არ გაგიშვებთ, ხომ ხედავ, რომ სიცხით დედამიწას ალმური ასდისო. ყოველი ცხოველი გამორეტებულია, ან ბრაზიანმა ძაღლმა არ დაგგლიჯოს, ან გველმა არ დაგკბინოსო. რო აგრილდება, მაშინ კი პატარა ბიჭებიც გამოიღვიძებენ და იხტუნეთ ერთად ეზოში, რამდენიც გინდოდეთო“.

მომიკეტეს კარები და დამტოვეს მარტო. ეს პირველი შემთხვევა იყო ჩემ სიცოცხლეში, რომ მარტო დავრჩენილიყავი, და ისიც კარ-დაკეტილ ოთახში. დავღონდი და დავიწყე ფიქრი. მე გული ისევ ჩემი სოფლისაკენ მქონდა. „მართალია, ამისთანა სიცხეში, ვიფიქრე გუნებაში, – ყოფნა და წანწალი არ ვარგა, მაგრამ მაგიერად რა სჯობია იმას, რომ ხის ქვეშ ჩეროში იჯდე და დანასობიას ან კენჭობიას თამაშობდე! და აქ კი, არ ვიცი, რა უნდა გავაკეთო? ძილიო, რომ მეუბნებიან, განა ძილის გუდა ვარ, რომ დღეც ვიკოტრიალო?“ ამ გვარი ფიქრები სევდასავით მომაწვენ გულზე და ყელში რაღაც ბურთივით გამეჩარა. უცბად რაღამაც გრიალი დაიწყო, მივიხედე კედლისკენ და შევნიშნე (თურმე კედლის საათი იყო), თითქოს კოლოფის მზგავსი შეიძრაო, გაიღო კარები, გამოხტა გუგული, სამჯერ დაიძახა „გუგუ გუგუ“-ო და შეჰყო ისევ თავი, დაიმალა. წამოვვარდი ზეზე, დამავიწყდა ჯავრიც, მწუხარებაც, ვიფიქრე: „ეს გუგული სად შემოფრენილა-მეთქი“, ის სოფელშიაც ვიცოდი, რომ გუგული ბუდეს არ იკეთებდა და სხვის ბუდეში სდებდა კვერცხებს. ვსთქვი, „სწორედ მერცხლის ბუდეა აქა და იქ ზის მეთქი. მოვინდომე, რომ მივპაროდი და ქუდი დამეხურა ზედ. მივეპარე ფეხ-აკრეფით ნელ-ნელა, დავდგი სკამი და შევდექი ზედ, მაგრამ მაინც ვერ ავწვდი. საათი მაღლა იყო ჩამოკიდებული, სკამი სკამზე დავდგი და ისე ვაპირებდი მიპარვას, შევპოტინდი. მაგრამ ამ დროს გამომისხლტა სკამი, გადმოვარდი და გამხდა ბრეგვა იატაკზე. ხმაურობაზე გამოცვივდენ მეორე ოთახიდან და გაშხვართული რომ მნახეს იატაკზე, ჯერ შეეშინდათ, მაგრამ მერე- კი, რომ მნახეს არა მიჭირდა რა, სიცილი აიტეხეს. მე შემრცხვა და მოვრთე ტირილი. გული ამომიჯდა და ვეღარაფრით ვეღარ გამაჩერეს, სანამ ჩემმა უფროსმა დამ არ მომკიდა ხელი და არ წამიყვანა სამოახლოში, სადაც ჩემი ძიძაც სტუმრად იყო.

დედა-ჩემი დიდი ძველებურ ოჯახის ასული იყო. 1820-ში, თეოფილაქტეს დროს, ქუთათელი და გენათელი რომ დააპატიმრეს და აჯანყება მოხდა, იმ აჯანყებულების მეთაურად ითვლებოდა დიდი ივანე აბაშიძე, ახალ-ციხეს მოკლული. ეს ივანე დარეჯან ბატონიშვილის, პირველი სოლომონ მეფის ასულის, შვილი იყო და დედი-ჩემის მამა. აჯანყებულები რომ დაიმორ-

ჩილეს და დაამშვიდეს, (უნდა მოგახსენოთ, მისთანა აჯანყება არ ყოფილა, რომ ხალხს რამე ძალადობა ეხმაროს; მხოლოდ უკ-მაყოფილებას აცხადებდენ პირდაპირ, დაუფარავად) აბაშიძის ოჯახი აიკლეს და მისი ცოლ-შვილიც სხვებთან ერთად ტყვედ წაიყვანეს. გურიის უკანასკნელი მთავარი, მამია გურიელი, ღვიძ-ლი ძმა იყო აბაშიძის ცოლის: გამოესარჩლა დასა და დისწულებს, იშუამდგომლა მთავრობასთან და ტყვეები, გარდა დარეჯან ბატონიშვილის ერთი უფროსი ვაჟისა, უკანვე დააბრუ-ნეს გზიდან. მაშინ დედა ჩემი იყო 12 წლისა და ყველაფერი გუ-ლის ფიცარზე დაებეჭდა. აბაშიძის სახლობა დაბრუნდა, მაგრამ ყმა და მამული ჩამორთმეული დაუხვდა, ოჯახი აკლებული და განადგურებული. საზრდო რომ აღარა ჰქონდათ და პატრო-ნიც აღარავინ ჰყავდათ, გურიის მთავარმა გადიყვანა და ცდი-ლობდა, რომ მათი მწუხარება, მომავალის იმედებით როგორმე გაექარვებინა. ყველაზე უფრო დასევდიანდა თურმე დედა-ჩემი: ამას თურმე დარეჯან ბატონიშვილი აგონდებოდა, რომელიც შვილსავითა ზრდიდა და ანებივრებდა, როგორც შესანიშნავ ბავშვს. დარეჯან ბატონიშვილისა არ იყოს, გურიელმაც განსა-კუთრებული ყურადღება მიაქცია დედაჩემს. იმ დროს, როგორც სხვა ყოველ ქართველ დიდ-ოჯახებში, გურიელის სასახლეში-აც თითქმის შინა-კაცებად ითვლებოდენ ფრანგის პატრები და დიდი გავლენაცა ჰქონდათ ოჯახებზე.

ამ ევროპულად განათლებულმა და გონება-განვითარე-ბულმა მეცნიერებმა დედა-ჩემზედაც დიდი გავლენა იქონიეს: მათი მეოხებით შესწავლილი ჰქონდა, სხვათა-შორის, ექიმობა და მეურნეობა. რაც-კი იმ დროში ქართველ-ქალის ხელიდან გამოვიდოდა, ყველაფერი ზედმიწევნით იცოდა: იყო კარგი მწიგნობარი, მეოჯახე, მოხელ-საქნარე და მასთანაც კარგი აღმზრდელი. ცნობის-მოყვარეობასთან შრომის-მოყვარეობაც შეთვისებული ჰქონდა: დილას, მამლის ყივილზე რომ წამოდგე-ბოდა, დაღამებამდე ფეხზე იდგა და უსაქმურად კაცი ვერ ნა-ხავდა. „სიზარმაცე და უსაქმურობა დედა არის ყოველ-გვარ ბოროტებისაო“ – იტყოდა ხოლმე და „კეთილი საქმე-კი იგივე ლოცვა, ვედრებააო“. მოსამსახურეს ყოველთვის თვალ-ყურს ადევნებდა, რომ ცუდი არა ჩაედინათ რა. უსაქმოდ არავის გააჩე-

რებდა, ყოველგვარ ხელობას ასწავლიდა მათ და ზოგ წიგნსაც აკითხებდა. მაშინ, ბატონ-ყმობის დროს ამგვარი ქცევა საარაკო იყო და დედა ჩემის მოქმედებაც ბევრს თვალში ეჩხირებოდა. მკაცრობისა და მრისხანების სახელი ჰქონდა დავარდნილი, რადგანაც თავი მძიმედ ეჭირა. „თუ თავი გაუყადრე ბრბოს, პირს შეგაჩვევს, აღარად ჩაგაგდებს და, რაც უნდა ურჩიო, აღარ დაიჯერებსო“ – ამბობდა. სასახლეში მისი ყველას ეშინოდა და დიდი ხათრიცა ჰქონდათ. მაშინ მეც ისე მეგონა, როგორც სხვებს, რომ დედა ჩემი ცივ-გული და მრისხანე იყო, მაგრამ გონებაში რომ ჩავხვდი, მაშინ-კი გამოვიკვლიე სიმართლე: ის იყო ნამეტანი ჩვილი გულის მქონი და მოყვარული, მაგრამ დიდ ოჯახში ნამყოფი, დარეჯან ბატონიშვილის გაზდილი და პატრების ნამოწაფარი, განგებ პირ-ბადეს იფარებდა, მხოლოდ კეთილის განზრახვით. უნდა გენახათ მაშინ, როდესაც სასახლეში ავათ ვინმე გახდებოდა, გინდ უკანასკნელთაგანიცა!.. დღე და ღამ მოსვენება აღარა ჰქონდა და თავის ხელით უვლიდა, როგორც შვილს. გაჭირვებულის დახმარება რჯულად ჰქონდა დადგენილი სულ სხვებზე ჰფიქრობდა და სხვებისთვის, თითქოს თავის საკუთარ პირადობაზე ხელ-აღებული ყოფილიყოს, მუდამ მწუხარებაში იყო. და ყოველ ფერიცვალობა დღეს მტირალი იჯდა ხოლმე. ამბობდენ: ამ დღეს რაღაც ძველებური ამბავი აგონდებაო.

სულ სხვა ბუნების, მიმართულებისა და ხასიათის იყო მამაჩემი. უკანასკნელ დროში წერეთლები მძლავრობდენ და სახუცის ოჯახი-კი, მთავრობისაგან ზურგ-მომაგრებული, ყველაზე ბატონობდა. იმ დროს მამაჩემი დედის-ერთა მცირე წლოვანი ობოლი ყოფილა; ბიძებიც გადავარდნილი ყოფილან, მეფე სოლომონს ხლებიან თან. ქვრივ-ობოლს ვინ არა სჩაგრავს, და, რასაკვირველია, შეძენის სურვილით გატაცებული სახუცესიც არ დააკლებდა ხელს. ერთხელ სახუცის მოურავი მოსულა ბებია-ჩემთან და მოუხსენებია: „თქვენ რომ ეზოში ძელქვის პატარა სახლი გიდგათ, სახუცესს სურს, რომ დაუთმოთო“. პატრონს, რასაკვირველია, შორს დაუჭერია ეს ამბავი, მაგრამ მოურავს მაინც მიუყვანია მუშები, დაუნგრევია სახლი და გადაუტანია. გამწარებულ ბებია-ჩემს სახუცისთვის წიგნი მიუწერია: „დიდო ზურაბ წერეთელო! გრცხვენოდეს უკადრისი საქციელისო. დაგ-

ვიმარტოხელე ქვრივ-ობოლი და სახლს თავზე გვანგრევო. ვინ იცის, დრო რას მოიტანს, თუ ღმერთმა ინება და ჩემი მაზლი შინ მშვიდობით დაბრუნდა, მაშინ დრო გადაბრუნდება და შენც ესევე საქმე მოგივაო“. პასუხად ზურაბ წერეთელს აი, რა მოეწერა: „აბაშიძის ქალო, ენა დაიმოკლე, თორემ, ხომ იცი, დროც ჩემ ხელთ არის და გასავალიცო. ჩაგწერ სიაში და შენი ობლიანა მოზდოკში ამოგაყოფიებ თავსო!“ ამ მუქარით შეშინებული ქვრივი გაჩუმებულიყო, მეტი რა გზა ჰქონდა, და შვილსაც უბრთხილდებოდა, რომ მუდამ გვერდში უჯდა და აღარსად უშვებდა. ამის ბრალი იყო, რომ მამაჩემი შინაკაცად იყო გაზრდილი და მხოლოდ ის იცოდა, რაც დედა მისს ესწავლებია. მუდამ დედის კალთაში თავის დებას ისეთი ზედგავლენა ჰქონდა მამაჩემზე, რომ იმას მთელ მის სიცოცხლეში თვითნებობა და ახირებულობა ზნედ ჰქონდა გადაქცეული. სძულდა ნადირობა, რაც იმ დროში მებატონეების ჩვეულება იყო, ეჯავრებოდა აქეთ-იქით სიარული და სულ სახლში იჯდა. შინაც არას აკეთებდა. ამბობდა: „კაცი სიმშვიდისა და მოსვენებისათვის არის გაჩენილიო“. არც თვითონ შრომობდა და არც სხვას აწუხებდა. უყვარდა ძილი, აგრეთვე არ სწყინდა, როცა ხედავდა, რომ უსაქმური მოსამსახურეები მთელი დღე მხართეძოზე წამოწოლილი კოტრიალებდენ სახლში. პირის გემო იცოდა, უყვარდა კარგად ჭამა და სულ იმას იძახოდა: „არიქა, მშიერი არავინ დარჩეს სახლში, დიდსა და პატარას, ყველას სამყოფად აჭამეთო“. ბუნებითად ნამეტანი გულკეთილი იყო, შური და ბოროტება, არ ესმოდა, რა იყო; მაგრამ ერთ უბრალო რამეზე უცბად იცოდა გულის მოსვლა, და მაშინ აღარ დაზოგავდა გინდ შორებელი ყოფილიყო და გინდ ახლობელი.

ეს ზნე მოუვლიდა ხოლმე უფრო ხშირად მაშინ, როდესაც უნებურად გამოაღვიძებდა ვინმე, მაგრამ სიფიცხე დიდხანს არ გასტანდა. მოვიყვან რამოდენიმე მაგალითს: ჩვენში, როგორც შობის წინ ალილოზე, ისე სააღდგომოთ, ჭონაზე დადიოდენ ხოლმე მომღერლები. ერთხელ იმ დროს მოვიდენ ჩვენსა მეჭონეები და დაიწყეს „ჭონა“, როცა მამაჩემს ეძინა. „ალათასა, ბალათასა, ხელი ჩაჰკარ კალათასაო“, რომ შემოსძახეს, მაშინ გამოეღვიძა მამა ჩემს და მიაშურა. მომღერლებმაც რომ დაინახეს ლომივით კაცი, პერანგის ამარა, თავ-შიშველა, ფეხ-შიშველა,

მათკენ მუქარით მიმართული, დაბრთხენ; გადაცვივდენ ზოგი აქეთ, ზოგი იქით ყორეზე, თავს უშველეს, მაგრამ თითო-ორო-ლა აქა-იქ მოგროვებული კვერცხები კი სულ დაემტვრათ. ამა ჩემი გამობრუნდა და უბძანა მოურავს: „შემიტყვე, ვინ იყვნენ ეგ მეჭონეები, რომ ცოცხალი არ გადავარჩინოო“. ამაზე დიდი ფიციც დასდვა, მაგრამ, რომ გამოიძინა და კაი გუნებაზე დად-გა, ბევრი იცინა და თავის ბძანებაც გამოსცვალა: შეიტყეთ, ვინ იყვნენ ის საცოდავები, რაც დამტვრევიათ კვერცხები, სასახლი-დან უზღევით და, ამას გარდა, კარგადაც დაასაჩუქრეთო“. ეს ხასიათი რომ იცოდენ მისი, მძინარის ყველას ეშინოდა და ფხი-ზელს-კი არავინ ერიდებოდა. ოჯახის საქმეში არ ერეოდა, სულ დედა-ჩემის ხელში იყო; მაგრამ მამა-ჩემის ახირებულობა ბევ-რჯელ ხელს უშლიდა და ამ ორს, სრულიად ერთმანეთის წინააღ-მდეგ ბუნების მექონ ადამიანთ, ხშირად ჰქონდათ ერთმანეთში საყვედური. დედაჩემს არ მოსწონდა მამიჩემის ყოფა-ქცევა, მაგრამ ბევრს უთმობდა. როგორც კი შეიქნებოდა შუადღე და გუგული თორმეტჯელ დაიძახებდა „გუგუს“, მამაჩემი მაშინვე სადილად დაჯდებოდა. ადრე რომ მონდომებოდა სადილი, მაინც არა სჭამდა. უცდიდა გუგულს და მოთმინებიდან გამოსული ყვი-როდა: „რა არის, ეს რჯულ-ძაღლი, რო ასე აგვიანებს და სასა-დილოს არ დაუკრავსო?“ ესენები ყველა, დედას არ მოსწონდა და ხშირად ეტყოდა ხოლმე: „შენი ცოდვა მიეცეს, ვინც შენ აგრე გამოგზარდაო“. ამ გვარი ახირებული ხასიათი ოჯახში მოსაწო-ნი არ არის, როგორც წესისა და რიგის ამრევი, მაგრამ სასახლე-ში კი ყველას ვაჟბატონი უფრო უყვარდათ, ვიდრე ქალბატონი. საკვირველია, მრისხანე დედა-ჩემს არ უყვარდა არვის დასჯა, მხოლოდ სიტყვითა და შეხედულობით იყო საშიში. ხშირად იპა-ტივებდა ხოლმე მამიჩემისაგან გულმოსულობით გაწირულს, მაგრამ მაინც ყველა მრისხანედა თვლიდა.

ერთხელ მოცლილი ფარეშები წასულიყვენ შეშის მოსა-ტანად. ტყე იქვე ახლოს იყო; თითო კონის შეკვრას, რასაკვირ-ველია, დიდხანს არ მოუნდებოდენ, მაგრამ დაღამებამდე მაინც რად დაბრუნდებოდნენ სასახლეში? დარჩენილიყვენ სათამა-შოდ და, სხვათა შორის, „ტირილობია“ ეთამაშნათ: გადააფა-რებდენ თურმე ჩოხას შეშის კონას, დახურავდენ ქუდს, ერთი

მიუჩოქებდა, ორი იქით-აქეთ ხელს მოჰკიდებდა და სხვები ზარს ააყოლებდნენ მოთქმით ტირილს, ვითომდა მკვდარიაო; ხან ერთმანეთს ტიროდენ, ხან თურმე მოურავს, ხან ხელოსნებს, ხან მზარეულებს, ხან ვის და ხან ვის. ამ ხანად თურმე რიგი მოურავზე მიმდგარიყო. იმასაც გაეგო. გული მოსვლოდა და ბატონს დააბეზღა: „თქვენ გტიროდენო“. მამაჩემს გული მოუვიდა. მიაყვანია მომტირლები და მათი საქმე ცუდათ იყო, რომ დედაჩემი არ გამოსარჩლებოდა: „როგორ გეკადრება აგრე გამოურკვევლად გარისხებაო? ტირილიც არის და ტირილიც არისო. ვინ იცის, რა სიტყვებს ამბობდენო? ეგებ მართლა წარმოიდგინეს, რომ ბატონი აღარა გვყავდეს, რა დღეში ჩავცვივდებოდითო და იმას მოსთქვამდენო!“ ამის გამგონე ბიჭებმა გული მოიცეს და შეჰფიცეს: „შენი ხატი ნუ გაგვიწყრება, ჩვენ თქვენი ხსენება არ გაგვებედოს, და ღმერთმა ნუ მოგვასწროს მაგ დღესაო. ჩვენ მხოლოდ მოურავი ვიტირეთო“. მამაჩემს გაეცინა და ბრძანა: „კარგი, აღარ დაგსჯით, მაგრამ გაიმეორეთ კი ახლავე, როგორ იტირეთ მოურავიო“. იმათაც, რასაკვირველია, შემოიტანეს შეშის კონა, გადააფარეს ჩოხა და შეჰქნეს ღრიალი: „ვაიმე, მოურავო“ და შეიქნა კომედია. სათითაოდ იტირეს სუყველამ. დიდმა, პატარამ, ვინც კი ოჯახში იყო, თავი მოიყარა, შეიქნა ერთი საზოგადო მხიარულება, ასე გაშინჯეთ დედაჩემიც კი მეორე ოთახში იჯდა და ცდილობდა სიცილი შეეკავებია. ცუდ გუნებაზე იყო მხოლოდ მოურავი, და მეორე დღეს მოციქულიც მოუგზავნა მამა ჩემს: „თუ შეიძლებოდეს, რამდენიმე ხნით დამითხოვეთ, რომ სახლში წავიდეო“.

ეგებ ვინმემ იფიქროს, რომ ამგვარი საქმეების ჩამდენი და საქმეში აჩქარებული მამაჩემი მჩატე ჭკუის ყოფილიყოს. სრულიადაც არა, ძლიერი გონების კაცი იყო, მოსწრებული და ენა-მჭევრი, თუმცა კი ხშირად ენა-მწარეც. დედა-ჩემი იტყოდა ხოლმე: „ამ ჩემ შვილებს მამამისის ენა გამოჰყვათ, დახურდავებულიო“. ჩვენ ხუთნი და-ძმანი ვიყავით, ღვთის მადლით, არც ერთს არ გვქონია სუსტი ენა და აქედან შეგვიძლია ვიგულისხმოთ, თუ რა უნდა ყოფილიყო მამა-ჩემის დახურდავებული ენა? სწორედ სასიამოვნო და საყვარელი სანახავი იყო მამაჩემი, როდესაც გუნებაზე იყო. იმას რომ სწავლა მიეღო და ცხოვრება-

ში განვითარება ჰქონოდა, შესანიშნავი რამე იქნებოდა. მაგრამ ნამეტან გულ-კეთილობასთან შეერთებულ გულ-ფიცხობას სულ სხვა ბეჭედი დაესვა, და, თუ დედა-ჩემი არ ყოფილიყო, ოჯახში ყოველიფერი არეულ-დარეული იქნებოდა. ამას თვითონ მამაჩემიც გრძნობდა და დამშვიდების დროს, დიდი პატივის-მცემელიც იყო ცოლის ნება-სურვილისა. მიუხედავად მისი ახირებულობისა, გარეშეებსაც ძალიან უყვარდათ მამა-ჩემი და მთავრობაც დიდ პატივსა სცემდა სიმართლისა და პირდაპირობისათვის, და ბევრ რამესაც უთმობდა. ერთხელ გენერალ-გუბერნატორმა გაგარინმა დაიბარა: „მოდი ახლავე ჩემთან, უნდა მოგილოცო ხელმწიფის წყალობაო“. ბზობა დღე იყო. მივიდა მამაჩემი. გაგარინმა მიულოცა და უთხრა, რომ ხელმწიფის „ბლაღოვოლენიე“ მოგივიდაო. მამაჩემს იამა და დაჯდა, დაუწყო ცდა, როდის ჩამაბარებენ „ბლაღოვოლენიესო“: იცადა, იცადა, სადილობა გადავიდა, მამაჩემმაც მოთმინება დაჰკარგა და მიაძახა: „თუ მიბოძებთ, მიბოძეთ, ეგ რაღაც „ბლაღოვოლენიე“ არისო!“ გუბერნიის მმართველს გაეცინა და უთხრა თარჯიმანის პირით: „ბლაღოვოლენიე“ უმაღლესი მადლობა არისო“. მოთმინებიდან გამოსული მამაჩემი წამოვარდა ზეზე და მიაყვირა: „ღმერთმა უმადური გამყოფოს, უსადილოდ დამტოვეთ! დღეს ბზობაა, მაგას ერთი კარგი ზურგიელი მერჩიაო!“ – სთქვა და გამოვარდა გარეთ. არ გაუვლია ნახევარ საათს, რომ ჩვენსა თარჯიმანი მოვიდა, გაგარინის გამოგზავნილი, თანაც ერთი წყვილი დიდროვანი ზურგიელი მოიტანა: „ეს მიახლებია შენთვისო – შემოეთვალა გუბერნატორს, და „ბლაღოვოლენიეც“ კიდევ სხვა იყოს ზედმეტადო“. რასაკვირველია, სრულიად დაკმაყოფილებულმა მამაჩემმაც დიდი მადლობა შესწირა.

მამაჩემის ახირებული ხასიათის ასახსნელად ბევრი რამ სასაცილო შემთხვევა მახსოვს.

ფოტოგრაფია რუსეთში ახალი შემოღებული იყო. ჩემ ძმას გადაეღო თავისი სახე და გამოეგზავნა. უწყება მოგვივიდა. მე გემნაზიაში მიმეჩქარებოდა და დავიბარე შინ: რომ დავბრუნდები, ფოსტიდან გამოვიტანთქო. მამაჩემს სულმა აღარ მოუთმინა და თურმე თითონ წავიდა ფოსტაში. შევიდა, ნახა, რომ ყურადღება არავინ მიაქცია, მიიხედ-მოიხედა, სკამიც ვერსად

დაინახა, რომ დამჯდარიყო: დგას ფეხზე სხვებთან ერთად და ჰფიქრობს გუნებაში: ეს რას ნიშნავს! სადაც შევდივარ, ყველგან დაბძანდის მეუბნებიან და სკამს მიდგმენ, და ეს კი, ვიღაც არის, ბუზადაც არ მაგდებსო! ფოსტის უფროსი ახალი დანიშნული იყო და მამაჩემს არ იცნობდა. მამაჩემმა ერთხანს იცადა და ბოლოს, რომ მოთმინება დაჰკარგა, მივიდა და უთხრა:

– კიდევ დიდ ხანს გინდა, რომ მაცდევინო? მომეცი ჩემი ილიკოს გამოგზავნილი, თუ რამე იყოს და გამისტუმრე.

– ილიკო ვინ არის? – ეკითხება გაკვირვებული ფოსტის უფროსი.

– ილიკო ვინ არის? ვინ არის და ჩემი შვილი, ხელმწიფე იმპერატორის მოსამსახურე – კანვოი.

– მე ვერ ვიცნობ.

– ოხ, შენ თუ არ იცნობ, მაშ პური ვეღარ უჭამია! იმ კაცს სასახლეში იცნობენ და შენ აქ, გინდ იცანი და გინდ არა!

– ყოველიფერი კარგი, მაგრამ თითონ თქვენ ვინღა ბრძანდებით?

– მე? თავადი როსტომ წერეთელი.

– ვერც თქვენ გიცნობ.

– ახლა ხომ გეუბნები ვინცა ვარ!

– ეგ არა კმარა.

– მაშ, ხატზე ხომ არ გინდა რომ შემოგფიცო?

– ფიცი რა საჭიროა, წადით და მოწმობა მოიტანეთ.

– მოწმობა?! რისი მოწმობა?

– მისი, რომ სწორედ თავადი როსტომ წერეთელი ხართ.

– მერედა ვის უნდა გამოვართვა ეგ მოწმობა?

– პოლიციაში, კვარტალს.

აქ მამაჩემმა მეტი შეურაცხყოფა ვეღარ აიტანა და სტაცა კისერში ხელი...

შეურაცხყოფილი ფოსტის უფროსი გაიქცა საჩივლელად პირდაპირ გუბერნატორთან. დაიბარეს მამაჩემი. შევიდა თუ არა ზალაში, მაშინვე საყვედურით მიმართა გუბერნატორს: მთელი ხმელეთი ხელში გიჭირავთ და კაცებს ვეღარ შოულობთ, თუ როგორ არის თქვენი საქმე, რომ ვიღაც გიჟებს და მასხარებს ნიშნავთ?

– როგორ! რა ამბავი იყო? რა ჩაგიდენიათო? ეკითხება გუბერნატორი.

– როგორ თუ რა ჩამიდენია! დიდმა იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა დამამტკიცა თავად როსტომ წერეთლად, ნიკოლოოზმა ხელი მოაწერა, ალექსანდრე მეორემ ბეჭედი დაუსვა, და ახლა, ეს ვიღაც ოხერია, სამი დიდი ხელმწიფის მონიჭებულ წყალობას ისე მართმევს და მხდის, თითქო მაგისი შეკერილი ჩოხა-ნაბადი იყოს! მეუბნება, რომ ეგ ყოლიფერი ჩალადაც არ ღირს, თუ პოლიციაში არ წახვედი და იქ ხელ-ახლა კვარტალმა, მაქსიმე მგალობლიშვილმა, არ დაგამტკიცაო.

– ეგ ყოველიფერი კარგი, მაგრამ თქვენ რაღა უპასუხეთ?

– საპასუხო რა მქონდა?! რისი ღირსი იყო, კიდევაც მივანიჭე.

– მაშ, აღიარებ, რომ შეურაცხყოფა მიაყენე?

– რას ამბობთ? როგორ თუ შეურაცხყოფა?! ჩემი საცინლად აგდება, რომ კიდეც ამეტანა, რა ნება მქონდა, რომ მთავრობის შეურაცხყოფა დამეთმო მაგისთვის?

– ხელი შეახეთ?

– არა, ისე, კისერში წავავლე.

– მეტი არაფერი?

– როგორ არაფერი. გადმოვღუნე და სამიოდე ჯოხი ვზუზღე, ერთი ჩემი გაკიცხვისათვის და ორიც – მთავრობის შეურაცხყოფისთვისო. ამას ისეთი გულ-მოსულობით ამბობდა, რომ ვერც თითონ გუბერნატორმა და ვერც მისმა ჩინოვნიკებმა სიცილი ვეღარ შეიკავეს. ბოლოს როდესაც აუხსნეს მამაჩემს მისი შეცდომა, შეწუხდა, მიუბრუნდა იქვე მდგარ ფოსტის უფროსს და უთხრა: – „შე ცუდო კაცო, მე რა ვიცი ახალი რიგისა და წესებისა? რომ მნახე, შემოვედი ერთი უსწავლელი, ადამის ხნის კაცი, აგეხსნა ჩემთვის, რასაც ახალი კანონები გეუბნებიან, თვარა: მე შემოვდივარ ზრდილობიანად, შენ კი ისე მიბღვერ, თითქოს შენი მოსისხლე მტერი ვყოფილიყო! სხვა რომ არა იყოს რა, ყმაწვილი ხარ, ჩემი ჭაღარისათვის მაინც უნდა გეცა პატივიო“. ეს საქმე ბოდიშითა და მორიგებით გათავდა. შემდეგ დიდი მეგობრებიც იყვენ მამაჩემი და ის მისი მონათლული ჩი-

ნოვნიკი. ყოველ დღესასწაულების წინ, საშობოდ, საახალწლოდ, სააღდგომოდ, დიდ მოსაკითხებს, როგორც მეგობარს, უგზავნიდა ხოლმე მამაჩემი და ისიც დიდი მადლიერი იყო: მოუვიდოდა თუ არა მამაჩემს მისი შვილების წიგნები რუსეთიდან, თვითონ ფოსტის უფროსი მოარბენინებდა ხოლმე მამაჩემთან და აღარც კითხულობდა: „ქტო ტაკოი როსტომ წერეთელიო?“

კულებიაკინი ჭკუიანი და კეთილი კაცი იყო და ხალხსაც ძალიან უყვარდა, მაგრამ ერთი წუნი ჰქონდა: უცბად რაღაც მოუვლიდა და აყვირდებოდა ხოლმე. მაშინ მის მრისხანებას საზღვარი აღარა ჰქონდა. ამ გუბერნატორს ჩვეულებად ჰქონდა, რომ სადმე წავიდოდა სოფლად, ამალას იახლებდა და წინ ბაირაღს გაიძღოლებდა. ერთხელ საჩხერეშიც ამ გვარად მოვიდა. თითქმის მთელი საწერეთლო, დიდი და პატარა, თავად-აზნაურთაგანი, შუა-გზაზე მიეგება და თან წამოჰყვა. კულებიაკინმა თავმომწონედ თავისი ბედაური შეათამაშა. ცხენს რაღაცა წასცდა. ერთმა ახალგაზდათაგანმა თ. ა. მ. სიცილი აიტეხა. გუბერნატორმა შეჰყვირა თავისებურად. ახალგაზდა უადგილო მხიარულებისათვის გაქაჩეს და სატუსაღოში ქუთაისისკენ უპირებდენ გაგზავნას... ეს ყველას ეწყინა, მაგრამ კრინტი ვერავინ დასძრა. თავჩაღუნული მიჰყვებოდნენ დიდხანს. ბოლოს შენიშნეს, შორს რომ ერთი დონის ყაზახი რუსი მოდიოდა ცხენით. მამაჩემი დაწინაურდა და რომ დაუახლოვდა ყაზახ რუსს, ჩამოხტა ცხენიდან და მძიმედ თაყვანი სცა. ეს სუყველამ დაინახა. კულებიაკინმა წარბი შეიკრა და გამოიკითხა: თუ რად ჩაიდინა როსტომმა მაგისთანა უსაქციელობაო. მამაჩემმა უპასუხა:

– რუსი გახლდათ და პატივი არ მეცაო?

– კი, მაგრამ თავადიშვილს როგორ გეკადრება დონის ყაზახის წინ თავის მოხრაო. განა ვერ შეატყე, რომ უბრალო ვინმე იყოო?

– როგორ არაო, მაგრამ შეიძლება ერთი ათი წლის იქით დიდი კაცი გახდეს და მეც მომადლიერებული მეყოლება, ხომ მოგეხსენებათ, წინწაძღოლილი საქმე, ხანდახან კაცს კეთილად გამოადგებაო.

კულებიაკინი დაფიქრდა, გაიცინა და ბრძანა, რომ სატუსაღოში გასაგზავნი უკანვე დაებრუნებინათ.

მამაჩემი თავის დროზე განთქმული მოჭადრაკე იყო, ვერავინ უგებდა. განსაკუთრებით ღენერლის შტაბის აფიცრები იყვენ მონდომებული, რომ როგორმე მოეგოთ, მაგრამ ვერას აწყობდენ. ერთხელ ღენერალ-გუბერნატორს, გ. ერისთავს შემოეთვალა თბილისიდან ერთი შესანიშნავი მოჭადრაკე პოლკოვნიკი გვეწვია, შენთან თამაში სურს და, თუ დრო გაქვს, მოდი, ჩემთან არისო. აბა, შენ იცი, თუ შენებურად გვასახელებ ქართველებსო! მამაჩემიც წავიდა და გაიმართა თამაშობა. პოლკოვნიკმა დაინახა, რომ მოპირდაპირე ახირებულად ეთამაშებოდა და ჰკითხა: თქვენ, როგორც პირველსავე გამოსვლაზე გეტყობათ, თეორია არ უნდა იცოდეთო: კუთხის პაიკი რა ხელმოსაკიდებელი იყოო?

– თეორია რა არის? – ეკითხება მამაჩემი.

– სხვადასხვა სათამაშო კანონები.

– ჩვენ, ქართველებმა, ერთი კანონის მეტი არ ვიცით: ისე უნდა ეთამაშო, რომ მოპირდაპირეს მოუგო.

– ეგ მართალია, მაგრამ უთეორიოდ არ შეიძლება.

– არ ამიხსნით მაინც, რა არის თეორია?

– სხვადასხვა გამოჩენილ მოჭადრაკეთა ნათამაშევი, რომელიც სხვებისთვის სამაგალითო კანონად დარჩენილა.

– ჰო, ისემც კარგი დაგემართოს! ისინიც ხომ ჩემისთანა მიწიშვილები იქნებოდენ, ციდან ხომ ვერ ჩამოფრინდებოდენ? ახლა ჩემ თამაშსაც უგდეთ ყური და, თუ მოგეწონოთ, ჩაწერეთ და თეორია იქნებაო.

პოლკოვნიკმა დაიწყო თამაში და არ გაუვლია დიდხანს, რომ კიდეც წააგო. შეწუხდა და სთქვა: „აშიბკაო“. ითამაშეს მეორე, კიდევ წააგო და სთქვა: „აშიბკაო“; მესამე, მეოთხე, მეხუთე... გაცხარებული პოლკოვნიკი აგებს და თან იძახის: „აშიბკა, აშიბკაო“. მამაჩემს გაეცინა და უთხრა: პოლკოვნიკო, ტყუილად ნუ ფიქრობ, რომ მოიგო! სანამ ეგ ვიღაც „აშიბკა“ გადაგკიდებია, მაგას თავიდან არ მოიშორებო! ეს ხუმრობა მის მოპირდაპირეს ეწყინა, შეურაცხყოფად მიიღო და ხმა-მაღლა ლაპარაკი დაიწყო. მამაჩემმა დამშვიდებით უპასუხა: ნარდი, ჭადრაკი და სათამაშოები სასიამოვნოდ და დროს გასატარებლად გამიგონია

ჩვენშიო. ხუმრობაც შეშვენის და მეც ჩემი ქვეყნის ჩვეულებაზე ვადგივარო, და თქვენში თუ საწყენი და გასაჯავრებელი ყოფილა, ჩემთან რა გინდა, ისევ თქვენებთან გეთამაშნაო? გაჯავრებულმა დაავლო ქუდს ხელი და გამოვარდა გარეთ.

აი, ამისთანა ხასიათის კაცი, რომელიც გარეთ, სხვაგანაც არ იშლიდა თავის ახირებულობას, რა უნდა ყოფილიყო შინაურობაში, სადაც დამოუკიდებელი ბატონი იყო? მართლაც, ბევრს ახირებულობას ჩადიოდა, და ხელს უშლიდა დედაჩემის ყოველ-თვის წინ-და-წინ მოფიქრებულ და გონივრულ განკარგულებას.

მახსოვს, ერთი გლეხი გადაგვიშენდა და ოჯახში არავინ დარჩენილა, გარდა ერთი ოთხმოცდაათი წლის მოხუცისა, რომელსაც აღარც მამულის მოვლა შეეძლო და აღარც თავის საკუთარი თავის რჩენა. რომ საგლეხო ადგილ-მამული არ გამცდარიყო, მამაჩემმა მოინდომა იმ ბერიკაცის სასახლეში გამოყვანა. მოხუცმა, რასაკვირველია, შორს დაიჭირა თავის სახ-ლ-კარის თავის დანებება; იმას უნდოდა, რომ თავის სიცოცხლეში არ ენახა მის ქოხში გამქრალი ცეცხლი, იქვე მომკვდარიყო, სადაც მისიანები სცხოვრებდენ და ბოლოს იმათვე საფლავს ამოწოლოდა გვერდით. ნებით რომ ვეღარ დაიყოლიეს, ბატონმა ბძანა, რომ ძალით გამოეყვანათ და კიდეც გაუგზავნა კაცები. ეს ამბავი არ მოსწონდათ სასახლეში: მოსამსახურეები, ბიჭები, გოგოები, ყველანი ჩურჩულებდენ: ნამსახური კაცი თავის სახლიდან რა გასაგდებიაო? ნაერთგულარს და ნამსახურს კაცი ძაღლსაც არ გაიმეტებსო. ამას მოვჰკარი მე ყური და გავიქეცი მამაჩემთან. ის ნიგოზ ქვეშ ჩეროში იყო მხართეძოზე წამოწოლილი; მივედი და ვკითხე: მამაბატონო, ჩვენი მურა რომ დაბერდეს, აღარაფერი არ შეეძლოს, აღარც ყეფა და აღარც ღრენა, მაშინ რაღა ვუყოთმეთქი?

– რაში გეკითხება, შვილო? თუ მაგრე დაბერდება, მჭადს აჭმევენ და იქნება თავისთვის, სანამ არ მოკვდებაო.

– მაშ, თუ მაგრეა, კაცი უკეთესი არ არის ძაღლზე-მეთქი? ბერიკაცს რომ თავის სახლ-კარს აშორებ და გამოგყავს, ის კი არ გეცოდება-მეთქი?

ამ სიტყვებმა ისე დააფიქრეს მამა-ჩემი, რომ ხელ-ახალი განკარგულება მოახდინა: თავი დაანებეთ იმ ბერიკაცს, დარჩეს თავის სახლში და საზრდოც მიუჩინეთო. მას უკან ხშირად იტყოდა ხოლმე: ჩემი დაუფიქრებლობით კინაღამ ცოდვაში ჩავვარდიო, მაგრამ ანგელოზმა მამხილა ბავშვის პირით, ვენაცვალე იმის ძლიერებასო!

ხშირად მამაჩემს სახარების კითხვა უყვარდა, მაგრამ იმ კილოთი, რა კილოთიც წირვაზე კითხულობენ ხოლმე და ისე გაიტაცებდა ხოლმე კითხვა, რომ სახარებაში გამოხატულ პირებს ემუსაიფებოდა. მაგალითად: „ჰი, შენს მადლს“, „ვენაცვალე შენს სახელს“, „იცის ბიჭმა“ სხვანი და სხვანი. ამგვარ სიტყვებს ჩაურთავდა ხოლმე, მოსაწონს აზრს მოიწონებდა და საგმობელს ჰგმობდა. ერთხელ, სახარების კითხვის დროს, როდესაც მივიდა იმ ადგილამდინ, სადაც ფარისევლები შეცდენას უპირებდენ ქრისტეს და ქრისტე უბრძანებდა მათ: „მიეცით კეისრისა კეისარსა და ღვთისა ღმერთსაო“, მამაჩემმა ჩვეულებრივად წამოიძახა: დაგესხათ თავს ლაფი, გინდოდათ, რომ მოგეტყუებიათო? ჰოი, ახლა ნეტავი თქვენი თავი მომცა ხელში, რომ ეგ წვერები სულ ღერ-ღერად დაგაგლიჯოთო!“ – ამ სიტყვებს დედაჩემმა მოჰკრა ყური, გამოვიდა მეორე ოთახიდან და ჰკითხა: ბატონო, ვის უჯავრდებით მაგრე გულითო? – ვისა და შეჩვენებულ ფარისევლებსაო, – გულმოსულად უპასუხა მამაჩემმა.

– შე დალოცვილო, მაგ სიშორეს რომ არ წაეპოტინო, – მიუგო დედაჩემმა, – შინ რომ საკუთარი ფარისეველი გყავს, რატომ იმას კი არაფერს ეუბნებიო? შენმა მოურავმა მთელი ოჯახი აურ-დაურია, მაგის თავგასულობას საზღვარი აღარა აქვს. რამდენი ხანია გეხვეწები, რომ ამ ოჯახს ეგ როგორმე მოაშორო, მაგრამ ის ფარისევლობით თვალებს გიხვევს და ჩემი აღარა გჯერა – რაო! ამის თქმა და მამაჩემის ზეზე წამოვარდნა ერთი იყო: მომგვარეთ მოურავიო, – დაიყვირა. მოიყვანეს ნამძინარევი მოურავი, მაგრამ, სანამდი ის რასმე იტყოდა, მიაძახა ბატონმა ბიჭებს: „მე ფარისეველი სახლში აღარ მინდა, დააყოლეთ ეგ შეჩვენებული თავ-დაღმართზე და მიაყოლეთ პანღური, რომ სასახლისკენ პირი აღარა ქნასო!“

ეს მოურავი მართლა საძაგელი რამ იყო. მაგრამ მამაჩემი მაინც არ ელეოდა და დედა-ჩემმა, რომ იცოდა მამაჩემის ხასიათი, სახარების კითხვაში შეურჩია დრო და ძლივს გადაარჩინა ოჯახი იმ ცუდი მოურავისაგან.

ამით ვათავებ მამაჩემზე საუბარს, თუმცა ბევრი რამ შემეძლო რომ კიდევ მეთქვა.

ჩვენი სახლის ზედა სართულს ოდა ერქვა, ქვედას – პალატი, და ორივეს საერთოდ კი – სასახლე, რომელსაც ირგვლივ, სამი კუთხით სხვადასხვა შენობა ერტყა: სამოახლო, საფარეშო, სახაბაზო, სამზარეულო, ბეღლები, საბძლები, სასიმინდეები, მარანი და სხვადასხვა ხულები. იმათზე ცოტა მოშორებით საჯალაბო იყო და იმ საჯალაბოს გარს ერტყა საჯინიბო, სათხებო, საღორე, საქათმე, საბატე, საინდოურე და სხვ. სამოახლოში ქალები იდგენ და სამ ხარისხოვნად იყოფებოდნენ: გამდელებად, მოახლეებად და გოგოებად. გამდელი, როგორც ოჯახის ერთგული, ნამსახური და მოჭირნახულე, დიდ პატივში იყო, ხმა ჰქონდა საოჯახო საქმეში და ბატონიშვილების გამოზდაც მის ხელში იყო. ეს ყოველ ოჯახში საზოგადოთ ძველთაგანვე მიღებული იყო, მაგრამ დედაჩემი კი ამ კანონს არ დასდევდა და უფრო თვითონ ზრდიდა შვილებს. მოახლე ქალბატონთან თან შეზრდილი და ნამზითევი, მისი ხელზე მოსამსახურე იყო; გოგო კი — ყველას მორჩილი და მოსამსახურე. იმათ გამდელები ადევნებდენ თვალ-ყურს და სწვრთნიდენ; საქმე არ გამოელეოდათ ხოლმე: ჭრა, კერვა, ქსოვა, ქარგვა, რეცხვა, აბრეშუმის მოყვანა და სხვა ამგვარი რამ ხელსაქნარი – მათი პირდაპირი მოვალეობა იყო.

კაცებს უფრო ცოტა საქმე ჰქონდათ სასახლეში. სახაბაზოში ხაბაზები იდგენ; დღეში ორჯელ გაახურებდენ თორნეს, გამოაცხობდენ საცხობს და სხვა საქმეს, რაც უნდა საჭირო ყოფილიყო, ხელს არ მოჰკიდებდენ. სამზარეულო მზარეულებს ეჭირათ ხელში და ისინიც ხაბაზობის კვალობაზე მიდოდენ. მარან-ბეღლები ხელოსნებს ებარა, სასიმინდე და ხულებიც მათი საქმე იყო; საბძლები კი მეჯინიბეებს ჰქონდათ მიჩენილი. მოჯალაბე და მწყემსები ცალკე წრეს შეადგენდენ, ყველას თავისი საკუთარი, ძველთაგანვე დაწესებული და გადაჭრილი

საქმე ჰქონდა: სხვა საქმეს ხელს არ ჰკიდებდა, სხვების საქმეში არ გაერეოდა; იცოდა მხოლოდ ის, რაც მისი საქმე იყო და კიდეც ასრულებდა, თქმა აღარ უნდოდა. ეს ყველა ასე იყო, მაგრამ, რადგანაც ამგვარი საქმის კეთება მაინც-და-მაინც ბევრ დროს არ მოითხოვს, ბატონის მხლებლებიც უმეტეს ნაწილად უსაქმურად ბრძანდებოდენ და სიზარმაცით დათენთილი იყვენ. მხოლოდ ფარეშებმა არ იცოდენ, რა უნდა გაეკეთებიათ; თუ ბატონები არ მიუთითებდენ, ისე, თავისთავად, ხელს არაფერსა ჰკიდებდენ.

ჩვენს სახლს წინ დიდი ეზო ჰქონდა, სადაც უზარმაზარი ნიგვზები, ანუ, როგორც ზოგან უწოდებენ, კაკლის ხეები, საჩრდილებლად თავ-მომწონედ შლიდენ შტოებს. სახლის წინ კარის ეკკლესია იყო აგებული, უკან საქალებოთი. ძველად, საქართველოში არც ერთი ეკკლესია არ აშენდებოდა ისე, თუ უკან საქალებოც არ ექნებოდა მიდგმული. წირვა-ლოცვის დროს საყდარში წინ კაცები იდგენ და უკან საქალებოში კი, ქალები. რასაკვირველია, არავის მამაკაცთაგანს ფიქრადაც არ მოუვიდოდა, რომ ზურგი მიექცია ხატებისაკენ და ქალებისათვის დაეწყო ცქერა! დღეს კი, როდესაც რუსულ წესზე აშენდა ჩვენი საყდრები და საქალებოს აღარ აკეთებენ, ქალები და კაცები არეულად შედიან საყდარში, ნახევრად ტიტველი ქალები თვალს იტაცებენ კაცებისას, და მლოცველებსაც ზეციური სასოება ქვეყნიურ იმედებზე გადააქვთ, სისხლი უღელავთ და გულის-თქმა ებილწებათ.

თითქმის ყოველ დიდ ოჯახს ჰყავდა ძველად საკუთარი მღვდელი; წირვა-ლოცვა გაუწყვეტელი იყო და ადრე მღვდელსაც უფრო პატივსა სცემდენ, ვიდრე დღეს. მეფე და მთავრებიც შენდობას სთხოვდენ მღვდელს და ხელზე ეამბორებოდენ; მხოლოდ ბატონები თავის საკუთარ მღვდლებს, რადგანაც სულ ერთად იყვენ, არა ჰკოცნიდენ ხელზე. ამიტომაც დარჩენილა ჩვენში ანდაზა: „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო“.

აი, ვრცელი სახე, როგორც საზოგადოთ ყველა დიდ ოჯახებისა, ისე ჩვენი მოსახლ-კარობისაც. ეხლა ეგებ ვინმემ იკითხოს, თუ რათ უნდოდათ მაშინდელ ბატონებს ურიცხვი ფარეში სასახლეში, მაშინ, როდესაც საქმე არა იყო რაო? ამის მიზეზი იყო

მაშინდელი ბატონ-ყმობის წესი და რიგი, ძველთაგანვე ისე რჯულად დაკანონებული, რომ მისი გატეხა ცოდვად მიაჩნდათ.

ბატონყ-მობა ჩვენში პირობით იყო და არა უსაზღვრო, როგორც სხვაგან. ყმებმა იცოდნენ, რა უნდა გადაეხადათ. ბატონებმა – რა უნდა გადაეხდევინებინათ, და ორივე მხარე შეურყევლად ასრულებდა თავის მოვალეობას. სხვადასხვა გვარის და სხვადასხვა სოფლის გლეხები, სხვადასხვა გვარად იყვენ დაბეგრილი, ზოგს მეტი ემართა, ზოგს ნაკლები, ზოგს სულ ამოკვეთილი ჰქონდა ბეგარა და გააზატებული იყო. ერთ ჩვენ გლეხთაგანს, სხვათა შორის, ნახევარი კვერცხიც ემართა. ყველიერის დაურწყებას ჩამოვიდოდა სასახლეში, სამზარეულოში შეწვავდა კვერცხს, გაფცქვნიდა, მერე გაჰყოფდა ძუით შუაზე და ნახევარ კვერცხს მიართმევდა ბატონს, როგორც ბეგარას. ნახევარ კვერცხის ბეგარა ისე აწუხებდა იმ გლეხს, რომ რამდენჯერმე სთხოვა ბატონს ამომიკვეთე და ერთს ძროხას მოგართმევო. მაგრამ პასუხად ამას ეუბნებოდა: საშვილი-შვილო ვალდებულება რომ მე მოვსპო ძროხის გულისათვის, ეს ღორმუცელობა იქნება, და თუ სხვებ გამოიჩენ როგორმე თავს ერთგულობით, მაშინ კი შეიძლებაო. მართლაც, ჩვენს სამოახლოში სახადი გაჩნდა, ავადმყოფები გადახიზნეს. საორმოცომ ისე შეაშინა ყველა, რომ ავადმყოფებს არავინ ეკარებოდა; მაშინ ამ გლეხკაცმა იშოვა დრო, დაადგა თავზე ამ გადაწოლილებს და უპატრონა. ამ ერთგული სამსახურისათვის ამოუკვეთეს ნახევარი კვერცხის გადახდა.

ერთ გლეხს წელიწადში ათი კოკა ღვინო ემართა; ერთ წელიწადს ღვინო აღარ მოუვიდა და ბატონმაც კოლოტებით ღვინის მაგიერ ათი კოკა წყალი გამოატანია და ჩაასხმევინა ჭურში. ღვინო რომ არ მოუვიდა, ის ღვთის ნება იყოო; გლეხკაცს მუშაობა და შრომა მაინც არ დაკლებიაო და, რაც არა აქვს, რა უნდა გადავახდევინოო. მაგრამ წყალი ხომ ზედ კარზე ჩამოუდისო, და მიტომ გამოვატანინე, რომ არ იფიქროს, ბეგა-რა ამოკვეთილი მაქვსო. რაც მამა-პაპიდან არ მართებს, იმაზე მეტს არა ვთხოვ, მაგრამ, რაც მართებს, იმას კი ვერ შევარჩენო, რადგანაც მამებს ასე გადმოუციათ ჩვენთვის და შვილებსაც ასე უნდა გადავცეთო. თვითონ გლეხებიც მტკიცედ იდგნენ

თავის პირობაზე და ნამეტანის გადახდას სიკვდილს არჩევდნენ.

როგორც სოფელი შროშა ქათმით, რაჭა ხბოთი და არგვეთი ცხვრით, ისე თავასა ღორის სიკეთით იყო განთქმული. თავასელ გლეხებს ბეგარად ედვათ, რომ ყოველ წელიწადს, ნაშობევს, დაურწყების კვირაში, თითო ბურაკი გამოეტანათ სასახლეში. ჩვეულებადა ჰქონდათ, რომ მარჯვენა ფეხი უნდა მოეჭრათ გამოტანილ ბურაკისათვის და უკანვე წაეღოთ შინ. ამას ბედის დაბრუნებას ეძახოდენ.

ერთხელ ერთ გლეხთაგანს გზაში დაგვიანებოდა და, რომ დამარხვდა, მეორე დღეს მოიტანა ბურაკი. ბატონი გაუწყრა და ის ბურაკი იქვე დაბმულ დათვს გადაუგდო. დათვმა, რასაკვირველია, მაშინვე დატორა. გამწარებულმა გლეხმა გაიმეტა თავი, შეეჭიდა დათვს, გამოგლიჯა ბურაკი, მოჭრა მარჯვენა ფეხი და დანარჩენი ისევ გადაუგდო: „არა, შენი ჭირიმე, – მიაძახა, როგორც დამნაშავეს, რად გინდა ის მყავითო, მაგრამ ჩემს ბედსა და მამა-პაპის ჩვეულებას დათვს ვერ შევაჭმევო!“

გრიგოლ წერეთლის შვილი ნესტორ წერეთლის მამა, დიმიტრი, რუსეთში იყო გამოზდილი. დაბრუნდა თუ არა, ოფშკვითელი ნიჟარაძის ქალი შეირთო, მდიდარი მემკვიდრე. ჩაესახლა იქ და მეოჯახობას მიჰყო ხელი. ერთ ღამეს ვიღაცამ თოფი ჰკრა და მძინარი მოჰკლა. მკვლელობა მიაწერეს ცოლის ნათესავებს, როგორც გარეშე მემკვიდრეებს, დაიჭირეს, ბევრი დასაჯეს, ზოგი ციხეში გამოახრჩვეს და ზოგიც ციმბირში გაგზავნეს. გაიარა ორმოცდაათმა წელიწადმა. ერთმა მოხუცებულმა სოფლელმა სიკვდილის წინ აღიარა საჯაროდ შემდეგი: „მე ვიყავი დიმიტრი წერეთლის შინაყმა, ერთხელ კამბეჩები დარჩენილიყვენ ღამე საჩეხს გარედ და ბატონმა გვიბძანა, რომ შეგვერეკა საჩეხში; ჩვენ, რასაკვირველია, უარზე დავდექით, რადგანაც მწყემსები არ ვიყავით. მაგრამ ბატონი გაგვიწყრა და გვიბრძანა: მე ეგეები არ ვიცი, რასაც გიბრძანებთ, ის უნდა გააკეთოთო! ეს გვეუცხოვა ჩვენ, ფარეშებს, პირობა შევკარით, რომ მოგვეკლა. წილი ვყარეთ და მე მერგო. იმ ღამეს მივეპარე მძინარს ფანჯრიდან და თოფი ვკარიო“. ამ რამდენიმე მაგალითებიდან მკითხველი ცხადათ დაინახავს, თუ რა მძიმედ იდგენ თავის მოვალეობაზე ბატონიცა და ყმებიც. აზატ გლეხებს არაფერი

გადასახადი არ ემართათ და მიდიოდენ საბატონო აზნაურების კვალობაზე: გამოჰყავდათ სასახლეში თითო პატარა ბიჭი ხელზე მოსამსახურედ და იმით თავდებოდა მათი მოვალეობა. აი, სწორედ ამ მიზეზით აიხსნება ის გარემოება, რომ დიდ ოჯახებში ორმოც-სამოცობით ეყარენ ფარეშები და საქმეს კი არაფერს აკეთებდენ. ბატონ-ყმობის დროს მხოლოდ მოჯალაბეები იყვენ საზოგადო კანონს, რიგსა და ჩვეულებას მოკლებულნი. გლეხი, მიწა-წყლის პატრონი, და მოჯალაბე უმიწა-წყლო, სულ სხვადასხვა იყო. მოჯალაბედ გახდებოდა მხოლოდ ნაყიდი, ანუ ტყვედ წაყვანილი და სრული მონაც იყო მისი პატრონისა. მოახლედაც მოჯალაბის შვილები უნდა გაეყვანათ და გლეხისას ვერ შეეხებოდნენ, გინდ ობოლიც ყოფილიყო.

სიკო წერეთელს ერთი გლეხი გადაუშენდა და უპატრონო ობოლი მოსამსახურედ გამოიყვანა. სოფელმა იწყინა და მოციქული მიუგზავნა: მიწა-წყალი თქვენია, საკომლოს რაც გნებავთ, ის უყავით, მაგრამ ობოლზე კი ხელი არა გაქვთ და დაგვიბრუნეთ, რომ ჩვენვე ვუპატრონოთ და გავათხოვოთო. ბატონმა, რასაკვირველია, ყურადღება არ მიაქცია მათ თხოვნას. ერთ დღეს რაღაც უჩვეულო ხმაურობა მოისმა საჩხერეში. გაიხედეს და დაინახეს, რომ ყვირილის პირად ხვადაბუნები მოდებული იყო გლეხ-კაცებით, კალიასავით მოჰფენოდენ ჭალებს, შემოვიდენ საჩხერეში და შემორტყენ ირგვლივ წერეთლის სახლს ყვირილით: ნუ ჩადიხართ უსამართლობას, გოგო დაგვიბრუნეთო. როდესაც ბატონი გაუძალდა, გლეხებმა შეუყარეს კეტები ხის სახლს და სულ ჭრიჭინ-ჭრიჭინი დააწყებინეს. შეშინებულმა ბატონმა დაუბრუნა გოგო და გლეხებმაც სულ მაყრულითა და ვარხალალოთი წაიყვანეს თავის სოფლისკენ. იმ დროს დიდი სვიმონ წერეთელი, სახუცის შვილი, მეფის სიძე, ღრმა მოხუცებული კიდეც ცოცხალი იყო; იწყინა ეს შეურაცხყოფა გლეხებისაგან, შეაკაზმინა თავისი ლურჯი ბედაური (მთელ საწერეთლოში მისი ლურჯი ბედაური იმ დროს განთქმული იყო), შეჯდა და დაიძახა: „მდევარიო!“ მაშინ ყველა მებატონეებს ბედაურებით საჯინიბოები გავსილი ჰქონდათ. თვალის დახამხამებამდე გამოეწყვენ, შეიკაზმენ წერეთლის შვილები, თან იახლეს დაიარაღებული აზნაურიშვილები და გამოუდგენ გლეხებს. ხვადაბუნებში, ყვი-

რილის პირად, მოსწვდნენ. გლეხებმა რომ დაინახეს მათზე მიმავალი ცხენოსანი ჯარი, მობრუნდენ, მოიმარჯვეს ხელ-კეტები და დაეწყვენ რაზმებად. წამოდგენ წინ მოხუცებული გლეხები. მიეგებენ ბატონებს, დაუჩოქეს და მოახსენეს: ნუ იზამთ მისთანა უსამართლობას, რომელიც არც თქვენს ძველებს და არც ჩვენს ძველებს არ ჩაუდენიათო, ნურც თქვენ თავს გაგვამეტებიებთ და ნურც ჩვენ ამოგვწყვეტთ ცუდ-უბრალოდო. ორივე მხარე მაგრად იდგა და, ვინ იცის რით გათავდებოდა საქმე! მაგრამ ამ დროს გაჩნდა მისი ჭაკი ცხენით ოქროპირ მღვდელი, წერეთელი და ჩამოვარდა შუა-კაცად: როგორ გეკადრებათ გლეხ-კაცების თავის გაყადრებაო! – მიუბრუნდა წერეთლებს, – თავი დაანებეთ, მთავრობას შეატყობინეთ და ის გასცემს მაგათ თქვენ მაგიერ პასუხსო. მართლადაც, გლეხ-კაცები ძალიან დასაჯეს, ზოგი დააპატიმრეს და ზოგიც გაგზავნეს. საკვირველი ის იყო, რომ ეს ხალხი, რომელიც ჩხუბს უპირებდა მშვენიერ დაიარაღებულ ცხენოსან ჯარს, სრულიად დაემორჩილა მხოლოდ ერთ „ზასედატელს“ და ორ ყაზახ რუსს. „რა გაეწყობაო, – ამბობდენ, – ძალა აღმართს ხნავს, მტერმა, რაც უნდა, ის გვიყოს, მაგრამ შინაურობაში კი წესსა და რიგს ვერც ჩვენ გავტეხთ და ვერც სხვებს გავატეხინებთო!“ ამგვარი მაგალითები ბევრი ყოფილა, მაგრამ სანიმუშოდ ესეც კმარა.

ბატონ-ყმობის დროს, ჩვენში ცემა-ტყეპა ძალიან იშვიათი რამ იყო! თუ გალახავდნენ ხელით, ან მათრახით, ან ჯოხით, ისევ პატარა ახალგაზდა ფარეშებს, თორემ დავაშკაცებულს არა, ამათ შესარცხვენად საკმაო იყო პანღური და ცალი ულვაშის აწევა. „როზგი“ ამ ბოლო დროს შემოიღეს, თორემ ადრე ქართველებმა მისი სახელიც არ იცოდენ.

აი, რა გამიგონია მამიჩემისა და ბიძიჩემისაგან: 1830 წ. ქუთაისში შეჰკრიბეს იმერეთის თავად-აზნაურობა, რომ მარშალი აერჩიათ. იმ თავად-აზნაურებში ერთი თურმე კაპიტანი მიქელაძეც ერია, რომელსაც სუყველა ერიდებოდა. ზემოურებს თურმე გაუკვირდათ ეს და ჰკითხეს ქვემოურებს: რა მიზეზია, რომ მაგ დარბაისელ კაცს პირს არიდებთო? მეტი რაღა მიზეზი უნდაო – უპასუხეს ქვემოურებმა – ეგ დალოცვი-

ლი წამოაქცევინებს გლეხკაცებს, ჩაახდევინებს და სულ ისე აროზგვინებსო! ზემოურებმა რომ ეს გაიგონეს, იმათაც ზურგი უჩვენეს ათვალწუნებულ ვაჟბატონს.

ჩვენ ოჯახში მახსოვს მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა, რომ კაცი დაესაჯოთ. და აი ერთი იმათგანი. ერთხელ სოფლიდან გამოვიდა მოხუცებული გლეხი და შეევედრა მამაჩემს: შენი ჭირიმე, ეგებ მიშველოთ რამე, შვილი გამიმუტრუკდაო, ნაქართლი გახლავსო. როცა იქ მიდიოდა, გვარიანი ჭკუიანი ბავშვი გახლდათ, ახლა, იქიდან რომ დაბრუნდა, ჭკუის ნიშან-წყალიც აღარ ეტყობაო. ჩაუცვამს რაღაც ქაჯურად, იპრანჭება და სამუშაოდ ხელს აღარ ანძრევსო, ამან ყოველიფერმა კიდევ თქვენი ჭირი წაიღოს, მაგრამ ერთი მისთანა საქმე ჩაიდინა, რომ ოჯახსაც თავი მოსჭრა და ჩვენ სოფელსაცო: საჯაროდ ყბაში სილა გაარტყა დედაკაცსაო... საბრალო ჩემი რძალი წყალში გადავარდნას აპირებდა, რომ ჩვენ არ დაგვეჭირაო.

მამაჩემმა გამოაყვანინა ნაქართლი ბიჭი, რომელმაც რაღაც ახირებულად დაუწყო მუსაიფი ბატონს: „კნიაზს გაუმარჯოს“, – უთხრა ბატონს. ბატონს გაუკვირდა და ცივად უპასუხა: შენც ღმერთმა შეგარცხვინოს და შენი კნიაზიცა! ე რას დამგვანებიხარ, რანაირად ჩაგიცვამს?

– როგორ თუ რა ნაირად, კნიაზ? ჩვენი ადათი ესე გახლავს.

– როგორ თუ თქვენი? სადაური?

– ქალაქური. მე გეურქ აღასთან ვიყავ ქარვასლაში. იქ ყველანი ასე იცმენ!

– კი, მაგრამ ეგ ქუდი რომ განზე მოგიქცევია და მარტო ნახევარზე გახურავს, ნახევარმა თავმა რაღა დააშავა?

– ეს ანჩისხატური გახლავს.

– ეგ კოპლებიანი ქამარიც ანჩისხატურია? წვეტიან ჩექმებზე რომ შემდგარხარ, თითო ტკაველა რიკი მიგიცია ქუსლებისათვის და, შენ საკუთარ სიმაღლეს რო აღარ ჯერდები, გინდა ცაც მოატყუო და დედამიწაც?

– ესეც ადათი გახლავს, კნიაზჯან.

– ადათი! ჰმ! მაშ, ისიც ადათი ყოფილა, რომ შენ დედაკაცი გაგილახავს?

– ვისი დედაკაცი? მე ჩემს ცოლსა ვცემე.

ამ მუსაიფს მოსამსახურეები ყურს უგდებდენ, უკვირდათ და თავის ქნევით იღიმებოდნენ. ერთხანს ბატონსაც ეცინებოდა, მაგრამ ბოლოს ვეღარ აიტანა მისი უზდელი სიტყვა-პასუხი და დაიღრიალა: სტაცეთ ამ წუწკს ხელი, ბიჭებო! მოხადეთ ქუდი, გააძვრეთ ჩოხა, შემოხსენით ეშმაკის კოთხოებიანი ქამარი, გახადეთ ფეხს და მიაკარით ხეზეო! მოსამსახურეები მიცვივდნენ და სიამოვნებით აასრულეს ბატონის ბძანება. ბოლოს ბძანა ბატონმა, რომ სამოახლოდან გამოსულიყვენ გოგოები, სათითაოდ მისულიყვენ მასთან და ეთქვათ: ფუი, შეგირცხვა წვერულვაში, რომ დედაკაცსა სცემო. ეს რომ გაათავეს, ბძანა, რომ ხელ-შეკრული გაეყვანათ წყალ-გაღმა, იქ გაეხსნათ მისთვის ხელები, პანღური ეკრათ და გაეგდოთ. ეს ამბავი ძალიან ეწყინა დედა-ჩემს, რომ გაიგო და უსაყვედურა ქმარს, როგორ იქნება მაგრე გაკიცხვა კაცისა და შერცხვენაო! ცხადია, რომ სულელია და მაგითი ეგ ჭკუას მაინც ვერ ისწავლისო. ამაზე მამა-ჩემმა ესა სთქვა: მაგის ჭკუას მე რას დავეძებ, მაგრამ სამაგალითოდ დავსაჯე, რომ სხვებიც არ გაბრიყვდენ სოფელში და პრანჭიობა არ დაიწყონო“.

აი, ასეთი იყო სახე იმ ოჯახისა, სადაც მე სოფლიდან მიმიყვანეს.

სასახლეში რომ გამომიყვანეს, პირველ ხანებში ძალიან მოწყენილი ვიყავი. დედამ შემნიშნა ეს, მომიჩინა პატარა ბიჭები და მიმანება თავი. მე ამ ახალ ამხანაგებთან ერთად დილიდან საღამომდე სულ მინდორში დავრბოდი; მხოლოდ სადილად დამიძახებდენ ხოლმე. თვითონ დედაჩემი, როგორც წინედა ვსთქვი, მშრომელი იყო: დილიდან დაწყებული საღამომდე სულ ფეხზე იდგა; საღამოს შემობრუნდებოდა სახლში და მაშინ ჩვენც დაგვიძახებდენ ხოლმე. დაანთებდენ ბუხარში ცეცხლს, ბუხრის წინ გაგვიშლიდენ შვლის ტყავს და დაგვსვამდენ ზედ. ირგვლივ შემოგვეხვეოდენ ბიჭები და მოგვიყვებოდენ ხოლმე ზღაპრებს. ზღაპარი რომ მოგვწყინდებოდა, მაშინ გავშაირდებოდით ხოლმე ერთმანეთში: ან გამოცანებს ვამბობდით ან სხვებ როგორმე ვიქცევდით თავს ვახშმობამდე. დედა იქვე ტახტზე იჯდა ფეხ-

მოკეცილი, წიგნს ჰკითხულობდა თავისთვის, მაგრამ ჩუმად კი ყურს უგდებდა: ბიჭებს ურიგო არა წასცდეს რა ყმაწვილებთა-ნო. ჩემ ამხანაგ-ბიჭებში ერთი პატარა ბიჭი ერია. დიდი გამოეშ-მაკებული ყოველიფერში, მაგრამ გულისყური კი არა ჰქონდა. როცა დედა დაგვასწავლიდა ხოლმე ჩვენ ყველას საზეპირო ლოცვებს, ის ბიჭი ისე გამოშტერებული იდგა, რომ სიტყვის გან-მეორებას ვერ ახერხებდა.დედა-ჩემს ეს ძალიან უკვირდა: „ისე ყოველიფერში მოხერხებული და ნიჭიერიაო, და გულისყური კი დახშული აქვსო!“

– გაიკეთე სამი თითი, – ეტყოდა ხოლმე გამოლენჩებულ ბიჭს: – დაიდევი შუბლზე! სთქვი: „სახელითა მამისათა!“ ახლა კიდევ ჭიპზე!.. სთქვი: „და ძისათა!“ ახლა მარჯვენა მხარზე: „და სულითა წმინდისათა!“ ახლა მარცხენაზე: „ამინ!“ ბიჭი იმე-ორებდა თუთიყუშივით, მაგრამ თავისთავად კი ვერ ამბობდა. ბოლოს, რომ ვეღარა მოუხერხა რა, სულ დაანებებია თავი და ერთხელ, ბუხრის წინ რომ ვთამაშობდით, დედაც ვითომ ხუმ-რობით მიუბრუნდა იმ ბიჭს და უთხრა: „პეტრე იყო ბელატიო!“ (მელოტი) უჩვენა შუბლი და დაადებია სამი თითი. „წვერი ჰქონ-და აქამდიო“, დაადებია თითები ჭიპზე, „ულვაშები აქედან-აქამდეო“ – გაატანინა მარჯვენა მხრიდან მარცხენაზე ხელი. ამ სიტყვების შემდეგ, რასაკვირველია, წარმოვიდგინეთ მო-ხუცებული პეტრე, თავტიტველა, დიდის წვერებითა და ულ-ვაშებით. დავიწყეთ სიცილი და ზედი-ზედ ვიმეორებდით ზე-მო სიტყვებს, ხან ერთი და ხან მეორე. შედეგი ამის ის იყო, რომ უგულისყურო ბიჭმა პირჯვრის წერა ისწავლა და მეორე დღეს „სახელითა მამისათაც“ გაიზეპირა. ჩვენს სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. დედაც გამხიარულდა და მკითხა: „შენ არ იცი ჯერ ლოცვებიო?“ – „როგორ არა, სოფელში მასწავლეს და თუ იმას არ მათქმევინებდენ, ისე არ დამაძინებდენ ხოლმე-მეთქი“ და მოვჰყევი ზეპირად:

„დავწვები, დამეძინება,
პირჯვარი დამეწერება.
ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი
თავითა დამესვენება!..“

ჯვარი მწყალობს ჯვარ-ცმული,
ვერას მავნებს მაცდური!

– კარგი ლოცვაააო, მითხრა დედამ, მაგრამ ეგ სოფლურია და ჩვენ კი სულ სხვა ლოცვები გვაქვს, წმინდა მამებისაგან შედგენილიო, და ის უნდა ისწავლოო“. მეც, რასაკვირველია, დავეთანხმე და ერთი თვის განმავლობაში „მრწამსი“, „მიწყალე“, „მამაო ჩვენო“, „წმინდაო ღმერთო“ და სხვანი სულ ზეპირად ვიცოდი. ისე გამიგემრიელდა საზეპიროები, რომ წერა-კითხვის სწავლაც მოვინდომე, მაგრამ დედამ მითხრა: „ჯერ ბრიყვი ხარ და არ შეგშვენის წერა-კითხვაო; როცა დაჭკვიანდები და ხასიათიც კარგი შეგექნება, მაშინ გასწავლი, თორემ ჯერ შენ რა ღირსი ხარო!“ ამ სიტყვებმა სულ ცეცხლი მომიკიდეს და ვცდილობდი დაჭკვიანებას, რომ ჩემ ძმებსავით მეც წერა-კითხვის ღირსი გავმხდარიყავი. მეხარბებოდა ესეები რომ კითხულობდენ, და ბოლოს ჩემმა ბედმაც გასჭრა. ერთხელ ჩემი ძმა, რომელიც რამდენიმე წლით ჩემზე უფროსი იყო, მღვდელს მოეხმარა და წირვაზე შვენივრად წაიკითხა „სამოციქულო“. ნაწირევს დიდი და პატარა ყველა მის ქებაში იყო.

მე მეხარბებოდა და გული მწყდებოდა. ერთმა გლეხმა მკითხა: „შენ როდის-ღა წაიკითხავო?“ ჩემ მაგიერად მეორემ მიუგო: „როდინობის კვირეშიო!“ მივხვდი, რომ დამცინოდენ და მეწყინა. იმ დღეს ჩემ უფროს დას კალთა დავაგლიჯე ხვეწნით: „კითხვა მასწავლე-მეთქი“. იმანაც დამარიგა: „დედამ არ გაგიგოსო“, და ჩუმად დამაწყებინა კითხვა: მოკლე ხანში ან-ბანიც ვისწავლე და ამოსაღებიც დავიწყე. „თუ აგრე კარგად და გულმოდგინედ ისწავლი, მალე სამოციქულოსაც დაგასწავლი და საყდარში წაგაკითხვებო, – მეუბნებოდა ჩემი და, – დედას ძალიან გაუკვირდება და მოგიწონებსო“; მე ამ იმედით წახალისებულს, დღე-და-ღამ მეტი აღარა მეფიქრებოდა რა. რა ვიცოდი, თუ ეს სულ დედი ჩემის ხერხი იყო, რომ წერა-კითხვა შემყვარებოდა! ამ ნაირმა წინდახედულობამ ძალიან შემაყვარა წიგნის კითხვა და ერთ წელიწადსაც არ გაუვლია, რომ მე მღვდელს ვეხმარებოდი.

დედა ჩემი არ გვაქალაჩუნებდა ჩვენ. „ნამეტანი ალერსი აფუჭებს ყმაწვილსო“, – იტყოდა ხოლმე და მართლაც, თუმ-

ცა გალახვა არ იცოდა ჩვენი, მაგრამ შიშით მაინც კი ძალიან გვეშინოდა მისი. არც ერთ დანაშაულობას არ შეგვარჩენდა, რომ არ გადაეხდევინებინა ჩვენთვის: მაგრამ სასჯელი კი ახირებული იცოდა! მაგალითად, წიგნის კითხვის ნებას არ მოგვცემდა. „ღირსი აღარა ხართ, როგორც დამნაშავეო!“ და მაშინ უნდა გენახათ ჩვენი მწუხარება!.. „იიი! იიი!“ დაგვცინოდენ ბიჭები და გოგოები სასახლეში: „უწიგნოდ დარჩით, უწიგნოდ დარჩითო!“ და, მართლაც, ჩვენს სირცხვილსა და მწუხარებას საზღვარი აღარ ჰქონდა. რამდენსამე წლის განმავლობაში ხუცური ზედ-მიწევნით ვიცოდი; მხედრული ჩემით ვისწავლე, ანბანის წერა ბეჭზე დავიწყე. რუსული კითხვა დედაჩემმა მასწავლა, მაგრამ სიტყვები კი ბევრი არც დედას ესმოდა და არც მე. ერთი ძველი, მოსკოვში დაბეჭდილი, „რაზღოვორი“ გვქონდა და იმას მაზეპირებიებდა ხოლმე. დედაჩემი სულ იმას ფიქრობდა, რომ ჩვენ უსაქმოდ არც ერთ წამს არ დავრჩენილიყავით და სწორედ რომ ახირებულად გვზრდიდა. სულ ფეხ-შიშველა და თავშიშველა დავრბოდით მინდორში, არც გაცივების გვეშინოდა და არც შიმშილის. „კაცი ისე უნდა იყოს დაჩვეული ბავშვობიდანვე, რომ ცხოვრებაში ყოველიფერი აიტანოსო“, – იტყოდა ხოლმე დედაჩემი, და, მართლაც, რომ მისი რჩევა ბოლოს გამოგვადგა. რომ უფრო დაწვრილებით გაიგოს მკითხველმა, თუ რანაირად გვზრდიდნენ ჩვენ სოფელში, მე ავწერ წლიდან წლამდე რას ვაკეთებდით და ან დღეს როგორ ვაღამებდით!

დილას, გამოვიღვიძებდით თუ არა, ქვეშაგებშივე უნდა გვეთქვა ეს ლოცვა: „გმადლობ შენ, უფალო, ყოვლითა გულითა“ და სხვ; მერე ხელ-პირს დავიბანდით, ჩავიცვამდით, წავდგებოდით ხატების წინ, საზეპირო ლოცვებს ვიტყოდით და ზედაც დაუჯდომელს მოვაბამდით. ლოცვის შემდეგ პირს გავისველებდით, ე. ი. ცოტა რასმე ვისაუზმებდით, რომ იმ დღეს, გამოსვლის დროს, ჩვენთვის ჩიტს არ დაესწრო და არ ეჯობნა; მერე მივუჯდებოდით წიგნებს, ერთ ხანს ვკითხულობდით, ვსწავლობდით და, რომ მოვრჩებოდით, შემდეგ კი საღამომდე თავისუფალი ვიყავით. სადილად მოგვიკითხავდენ ხოლმე, მაგრამ ზოგჯერ, როცა „სტუმრობიას“ თამაშს მოვინდომებდით ხოლმე, გარედ ვრჩებოდით და ერთად პატარა ფარეშებთან სუფრას ხეს

ქვეშ, სადმე ჩრდილში, გავშლიდით. იქ, ჩვენ კერძს გარდა, მოსაკითხიც მოგვდიოდა. მასპინძლებად ყოველთვის ყმაწვილები ვიყავით ხოლმე და სტუმრებად კი – პატარა ფარეშები. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ჩვენი სტუმრები ძალიან უბოდიშოდ გვექცეოდენ და გვაბრიყვებდენ: გვეტყოდენ ხოლმე: „დაგვახრჩვეო!“ დაგვიღებდნენ პირს და რაც კი რამ გაგვაჩნდა, ვტენიდით პირში, განსაკუთრებით ცხელ-ცხელ ხაჭაპურებს. ისინი გაბამდენ ყვირილს: „ვაიმე ვიხრჩობით, ვიხრჩობითო“. აიტეხდენ განგებ ხველას და დაიწყებდენ ფართხალს. ჩვენ სრული დარწმუნებული ვიყავით, რომ ისინი იგონებდენ ყოველიფერს, მაგრამ ეს თვალთ-მაქცობა მაინც ძალიან მოგვწონდა. გვიხაროდა. საღამოს, შინ რომ დავბრუნდებოდით, დედა გვკითხავდა ხოლმე: „რა ქენით? რა გააკეთეთ? რა ითამაშეთ? რა ილაპარაკეთ?“ და სხვანი... საზოგადოდ უნდა ვთქვათ, რომ სპარტანულად გვზდიდენ; არ გვარიდებდენ არც სიცივეს, არც სიცხეს, არც დარს და არც ავდარს. დილ-დილობით ცვრიან ველზე ფეხშიშველას უნდა გვერბინა. პირველი თოვლი რომ მოვიდოდა, ფიფქზე რამდენჯერმე უნდა გაგვერბინ-გამოგვერბინა; დასოვლებული და სიცივისაგან გაჭარხლებული ფეხები ცეცხლზე უნდა შეგვეშრო. დარწმუნებული ვიყავით, რომ ამით ტან-მრთელობა მოგვემატებოდა. ახალ გაზაფხულზე რომ წვიმა მოვიდოდა, ჩვენ სახლის ღარს თავს ვუშვერდით, რომ ოქროს ხუჭუჭი ამოგვსვლოდა. უმთავრესი ყურადღება ჩვენი წირვა-ლოცვაზე და მარხვაზე იყო მიქცეული. სამწუხარო დრო ჩვენთვის დიდმარხვა იყო: მთელი დღე საღამომდის, სანამ ლოცვა არ გამოვიდოდა, წყლის მეტს არაფერს მიგვაკარებდენ; საღამოსაც მარტო ხმელ პურს გვაძლევდენ. არა თუ შეჭამადი რამე, ღვინო, მარილი და ზეთიც აკრძალული გვქონდა. თამაშის ნებაც არ გვეძლეოდა. ცისკარს როგორ დავაკლდებოდით?

ესეები ყველა ჩვენთვის ჯოჯოხეთი იყო და, რასაკვირველია, აღდგომას სულწასულობით მოველოდით. მას უკან ნახევარმა საუკუნემ გაიარა, მაგრამ დღესაც დიდ-მარხვა რომ დადგება, მე ჩემს ქერქში აღარა ვარ და ვერც მოვიხდი სიკვდილამდე სიყმაწვილიდან დარჩენილ ზაფრას. საზოგადოთ დიდ-ოჯახებში ყველგან ამაოდ-მორწმუნება იყო გავრცელებული: ყმაწვი-

ლებს ყველას სჯეროდათ, რომ ჭინკები, ქაჯები, კუდიანები და ეშმაკები ქვეყნად დადიან და ადამიანებს აშინებენო. ეს სენი ჩვენს ოჯახშიაც მოდებული იყო. ახლა, როგორც ვფიქრობ, ეს სულ მოსამსახურეების ბრალი იყო: იმათ, საზოგადოდ ბიჭსა და გოგოებს, აკრძალული ჰქონდათ ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა და თამაშობა: დღე ვერ ბედავ-დენ და, ღამ-ღამობით რომ თავისუფალი ყოფილიყვენ და ვერავის დაენახათ, ბატონიშვილებს, ყმაწვილებს განზრახ აშინებდენ და ისინიც, დაღამდებოდა თუ არა, შიშით კარში ვეღარ გამოდიოდენ. არ მახსოვს ისე შევსულიყო ან საფარეშოში და ან სამოახლოში, რომ ათასი რამ უცნაური და საშიში არ ეთქვათ ჩემთვის. დედას რომ ვეტყოდი ხოლმე ამას, ის გაიღიმებდა და მიპასუხებდა ხოლმე: „არა, შვილო, ტყუილია! ვინც ცუდს არ იზამს და არც არას დააშავებს, იმას არაფერი არ მოეჩვენებაო“.

ამ გვარი სიტყვებით დაიმედებულს გული საგულეს მქონდა და უშიშარიც ვიყავი, მაგრამ ორმა შემთხვევამ გამიტეხა გული და ხასიათიც გამომეცვალა: ერთხელ, დღე-და-ღამის გაყრის დროს გადავიპარე ბოსტანში და ნესვის მოპარვას ვაპირებდი; დავუწყე ძებნა, გადავწი-გადმოვწიე ბარდები და მივაგენი ერთ მწიფე ნესვს. მოწყვეტა რომ დავაპირე, გამევლო გულში: არავინ მიყურებდეს-თქო, დავანებე თავი, წამოვდექი ზეზე და მივიხედ-მოვიხედე. მეორედ რომ დავაპირე ნესვის მოწყვეტა, თურმე ხელი დავაცდინე ბარდებს და იქვე სხვა ალაგას გადავშალე ფოთლები; იქ თურმე კატა იწვა. წამოვარდა ზეზე ფრუტუნით და გაიქცა. მე მაშინვე მომაგონდა ჩვენი მოსამსახურეების სიტყვები, რომ „კუდიანები რადაც უნდათ გადაიქცევიანო“; ამას გარდა, დედის სიტყვებიც მომაგონდა: „ვისაც არაფერი დაუშავებია, იმას არაფერი მოეჩვენებაო; ვთქვი გუნებაში: „მეტი დამნაშაობა რაღა იქნება, რომ ჩუმად მინდოდა ნესვის მოწყვეტა-მეთქი? ალბათ კუდიანი იწვა ნესვად და კატად გადაიქცა-თქო“. ერთი-ორი დავიკივლე და შემიწუხდა გული. არ გაუვლია ერთ კვირეს, რომ ამას მეორე შემთხვევაც დაერთო: ტალავერში მაღლა ყურძნის მტევნები იყო ჩამოკიდებული. მე პატარა ვიყავი და ვერ ავწვდებოდი, მაგრამ ჩემი უფროსი და კი კრეფდა ხოლმე; ერთხელ მთვარიან ღამეში შევნიშნე, რომ ჩემი და ტალავერ ქვეშ იდგა და

ყურძენს კრეფდა. მივიჭერი, შევეხვეწე: „ანნა, გენაცვალე, ერთი მტევანი მეც მომიწყვიტე-თქო!“ ჯერ ხმა არ გამცა. მაგრამ, რომ აღარ მოვეშვი, მომიბრუნდა, უცბად რაღაც წაიბურტყულა და დამეჭყანა. მისთანა თქვენმა მტერმა ნახოს, მე იქ სანახავი ვნახე. ჩემი დის მაგიერად ვიღაც სხვა იყო! თურმე ჩემ უფროს ძმას, დავითს, რომელსაც კუჭის სისუსტის გამო ყურძნის ჭამა აღკრძალული ჰქონდა, დის ტანისამოსი ჩაეცვა და ისე წასულიყო ყურძნის მოსაპარავად. მე ესეები არ ვიცოდი, ეშმაკად მივიღე და გული შემიწუხდა. თუმცა ორივე შემთხვევაში ჩემი შეცდომა თვალდათვალ დამიმტკიცეს, მაგრამ ისე გამიფუჭდა ხასიათი, რომ ბნელაში, კარში გამოვიდოდი კი არა, ოთახშიაც ვერ ვრჩებოდი მარტო, თუმცა მერვე წელიწადში გადმომდგარი კი ვიყავი.

ერთხელ, ზამთარი რომ დადგა, მე და ჩემმა პატარა ფარეშებმა შვილდ-კოდლების კეთება დავიწყეთ. ქორაფის ხეს რომ ვაკოპიტებდი, დავიცილე წალდი, დავიკარი კოჭში და შუა გავიპე. ტკივილს ისე არ შევუწუხებივარ, როგორც შიშს: „ვაითუ გამიწყრენ-თქო“. მოვაგროვე აბლაბუდა, დავიდევი სქლად გაჭრილზე, ზედ ბამბა დავიდევი და შევიკარი მაგრად. მინდოდა არავისთვის გამემხილა, მაგრამ იმ ღამეს თურმე ქვეშსაგებში შემხსნოდა და სისხლის ტბა დამდგარიყო. რასაკვირველია, გაიგეს, მიაქიმეს და ნახევარი წლის განმავლობაში ტკივილი არ დამცხრობია. ბოლოს მოვრჩი. მაგრამ ძარღვები კი ისე დამისუსტდა, რომ მუხლი მომეღუნა და დავკუტდი. ბევრი მიაქიმეს, მაგრამ არა მეშველა რა. იმ ხანებში მამაჩემი დეპუტატად დაინიშნა ქუთაისში სათავად-აზნაურო კომისიაში. დედა-ჩემმა ურჩია, რომ მეც წავეყვანე ქუთაისში და ექიმებისათვის ეჩვენებია ჩემი თავი, რადგანაც ფეხის გამართვა არ შემეძლო, ქალის უნაგირზე შემსვეს, ქალივით გადამადებინეს შეხუთული ფეხი და ისე წამიყვანეს. ქუთაისამდის ორი დღის სავალი იყო. გზაში უნაგირზე თურმე ფეხი დამეზილა, შეკრული ძარღვი გაიხსნა, ჩავედი თუ არა ქუთაისში, ფეხი გამემართა, აღარც ექიმი დამჭირვებია და აღარც წამალი.

რვა წლის ვიყავი, როდესაც სოფელს მომაშორეს და ქალაქ ქუთაისში გადამიყვანეს. აქ თავდება ჩემი ბავშვობის პირველი

ხანა ბედნიერი, ნაყოფიერი და დაუვიწყარი. აქიდანვე იწყება მეორეც: მტანჯავი, დამჩაგვრელი და გამაუკუღმართებელი!.. მაგრამ სანამ ამ მეორე ხანაზე ვიტყოდე რასმე, დავუბრუნდები ისევ ჩვენს სოფელს და მაშინდელი ცხოვრებიდან სანიმუშოდ რამდენსამე სახასიათო შემთხვევებს გავიხსენებ. ზემოდ ვსთქვი, რომ სპარტანულად გვზრდიდენ-მეთქი და, მართლაც, რაც უფრო ვიზდებოდით, წლიდან-წლობით, უფრო და უფრო გვეტყობოდა ამ გვარი აღზრდა. თითქოს ისე აღარ გვაქცევდენ ყურადღებას, როგორც სულ პატარაობისას და უფრო თავმინებებული ვიყავით. ბევრჯელ, გაზაფხულის დამლევს, ტობობის დროს, როდესაც ღრუდოებიდან გამოსული თევზები ქარავნად აყვებოდენ დიდ მდინარეებს, რომ მერე იქიდან პატარ-პატარა ღელეებში შესულიყვენ ქვირითის დასაყრელად, გონჯურის პირად, სხვებთან ერთად მეც მთელი ღამე გამითევია; ფაცერსაც ბევრჯელ მოვდგომივარ და გარეთაც ბევრჯერ ვწოლილვარ, მაგრამ არავის უთქვამს, თუ ეგ საშიში, სახიფათო და ურიგო საქმეაო. ღამის თევის დროს, რომ ძილი არავის შემოგვპაროდა, მორიგად ზღაპრებს ამბობდენ ბიჭები: ხან შაირებს, ხან ანდაზებს, ხან გამოცანებს და კიდეც ეს იყო, რომ ამგვარ ადგილებისაკენ ჩვენც მიგვიხაროდა. ბევრს აღარც ჭამა-სმას დასდევდენ ჩვენსას: ხან მეტსაც ვჭამდით, ხან მშიერიც ვიყავით, ხან ასე და ხან ისე: ხან ძვირფასად მოგვრთავდენ ხოლმე, ხან უბრალოდ; ხან ბუმბულში ვგორავდით და ხან ხმელეთზე ვკოტრიალობდით, თანასწორობა არ იყო, რიგსა და წესს ვინ დასდევდა? ავისაც და კარგისაც თანასწორად შეგვეძლო ატანა; ამას არც არას ჩვენ ვნაღვლობდით და არც უფროსები გვეკითხებოდენ, მაგრამ ეს კი იყო, რომ ცუდს არაფერს გვაბედვინებდენ. მაგალითად, თავი რომ გაგვეტეხა, გვეტყოდენ: „აი, შეგირცხვა თავი! შენხელა ბავშვმა როგორ არ უნდა იცოდეს თავის მოვლაო! გასწი, გასწი, გაიზრდები და დაგავიწყდებაო!“ ამ გვარი ცივი ნუგეშებით გაგვისტუმრებდენ ხოლმე, მაგრამ, სხვისთვის რომ უსამართლოდ წკიპარტი გვეკრა, არ შეგვარჩენდენ და უთუოდ გადაგვახდევინებდენ. ერთხელ, ტყაპა-ტყუპი რომ შემომესმა, მივირბინე სახაბაზოს კარებთან და ხაბაზს ცხელი თორნეული გამოვართვი. ჩემზე ადრე იმავე კარებს მიდგომოდა ჩვენი წუწკი

წითელი ღორი და შეღრუჩუნებდა, მაგრამ ვინ გასცემდა ხმას! მე რომ დამინახა მჭადით ხელში, ამედევნა ჭყივილ-ჭყივილით, გავექეცი, გამომიდგა, წამოვკარი ქვას ფეხი და გავგორდი მიწაზე; იმანაც იხელთა დრო, მეძგერა და ზე ამაღლიტა მჭადი. მოვრთე ყვირილი და მივაშურე დედას. დედამ მომისმინა საჩივარი, შეკრა წარბები და მითხრა: „როგორ ამხელ სირცხვილით, შე ნაცარქექია, შენაო? ბაბუაშენმა გარეული ტახი დაიჭირა ყურით და შენ-კი ერთი შინაური წუწკი ღორიც ვერ მოგიშორებია!.. ავიღებდი ჯოხს და დავკრავდი თავშიო! პატარა ხომ აღარა ხარ: დამდეგ თიბათვეს ექვსი წლის გახდიო“. ამ სიტყვებმა ისე შემარცხვინეს, რომ მჭადიც დამავიწყდა და ტირილიც, მთელი დღე ჩემ გუნებაზე აღარ ვყოფილვარ, მით უფრო, რომ პატარა ბიჭები და გოგოები რომ ჩამივლიდნენ ხოლმე გვერდს, დაცინვით წაილაპარაკებდნენ, ვითომ თავისთვის: „ღორის წაქცეულოო“. ამ დაცინებამ ისე გამამწარა და გამაგულადა, რომ მეორე დღეს ცალ ხელში მჭადი დავიჭირე და მეორეში ჯოხი და განგებ ავუარ-ჩაუვარე გვერდით ჩემს მტერს. წართმევას დაჩვეულმა ღორმა შემომიტია, მაგრამ ვაშკაცურად დავუხვდი და ვხეთქე თავში ჯოხი. ჩემი მტერი ალბად ამას არ მოელოდა, რომ შეჩერდა და შემომიხორხოტა. მაგრამ, რომ მივუნაცვლე მეორეცა და მესამეც, იკადრა და გაიქცა. ახლა მე დავედევნე გაგულადებული. წინ ის და უკან მე! ის მიჭყივის, რაც შეუძლია, და მე კი, რაც ძალი და ღონე მაქვს, კიჟინას ვაყრი: ვერ წამიხვალ, შე წუწკო, შე ფრთხალო-თქო! იმ დროს სწორედ ჩემი თავი პაპაჩემი მეგონა: შემოვარბენინე ღორს ორჯელ-სამჯელ სამოახლო, საფარეშო, თვითონ ჩვენი სასახლეც და აღარ მოვეშვი, სანამ საღორეში არ შემივარდა. არ იფიქროთ, რომ მე იმის მტერობა მჭირვებოდეს და შურისძიება მდომებოდეს! არა, ეს ომი იმისთვის გადავიხადე, შეეტყო სუყველას, რომ მე ღორის აღარ მეშინოდა.

ღორზე ამ ძლევა-მოსილობამ ისე გამაგულადა და გამაუშიშარა, რომ, თუ-კი ჯოხი ხელში მექნებოდა, აღარაფრის აღარ მეშინოდა. საგმირო ზღაპრებმა, სავაშკაცო შაირებმა და ამბებმა იმდენად გამიტაცეს თან-და-თან, რომ თავი გმირად დავისახე. ერთხელ პატარა შინდის ხეზე გავედი, რომელიც ზღაპრულ ალვის ხეთ წარმოვიდგინე და იქით-აქეთ ყურება დავიწყე, რომ აღ-

მოსავლეთისა და დასავლეთის ხელმწიფეების სარაიები დამენახა, მაგრამ გადმოვვარდი, გამხდა ბრეგვა მიწაზე და ზურგის ტკივილმა მაგრძნობინა, თუ რა ზღაპრული „ღვთის-ავარ გმირი“ ვიყავი! საკვირველია, ამ-გვარი მარცხები ხან-და-ხან გამომაფხიზლებდენ ხოლმე, მაგრამ მერე კი ისევე ოცნება მერეოდა და ისევ გამანაცარქექიავებდა ხოლმე. ერთ საღამოს „კურდღლობიას“ ვთამაშობდით. ვისაც კარგი ხმა ჰქონდა და მოყეფა შეეძლო, ისინი ვითომ მეძებრები იყვნენ ხოლმე; ვისაც მუხლს ერჩოდათ – მწევრები, სხვები კი უფრო ზანტები – კურძუალები და მონადირეები, კურდღელი კი მორიგისი ვინმე. იმ დროს, თუმცა მეძებრადაც კარგი ვიყავი, მაგრამ ზოგიერთებთან მწევრობაც მერგო. დაიმალა კურდღელი, ავუშვით მეძებრები, მოედვენ არე-მარეს, დასცეს კურძუალებმა კიჟინა: წაქეზებულმა მეძებრებმაც ვითომ სუნი იცეს და კვალი აიღეს, ასტეხეს ყეფა; ათი თუ თხუთმეტი ბავშვი სულ სხვადასხვა ხმაზე ყეფდა. ყურთასმენა აღარ იყო; მწევრებმა ყურები დაცქვიტეს და აიჩოქენ. ამ დროს თურმე ჩვენს ბაღში ნამდვილი კურდღელი ყოფილიყო შეპარული და გამოვარდა. ჩვენ დაგვავიწყდა თამაშობა და გავედევნეთ დიდიან-პატარიანა იმ კურდღელს. კურდღელს თვალი წაუხდა: ხან იქით ეცემოდა და ხან აქეთ, მაგრამ სუყოველი მხრიდან ჩვენი ორფეხი მეძებრები უყეფდენ და ისე აერია გზა და კვალი, რომ ხიმეში გაეკვეტა; მივასწარი და ვტაცე ხელი უკანა ფეხებში. რომ მაგრად არ ყოფილიყო გაჭედილი, რასაკვირველია, მე იმას ვერ დავიმაგრებდი, მაგრამ მაინც გავაბი ყვირილი: „მიშველეთ, დავიჭირე-მეთქი“. მოცვივდენ სუყველა, დიდი ბიჭებიც მოგვეხმარენ და ცოცხალი მივგვარეთ ბატონს. იმ დღეს ჩემი ვაშკაცობის ამბავი ძალიან გაითქვა და მეც სწორედ დავრწმუნდი, რომ კურდღელს ფეხ-და-ფეხ მოვწვდი და დავიჭირე-თქო. მას უკან, ხშირად, საღამ-საღამოობით ბოსტნის ბოლოზე ვიცდიდი ხოლმე: ეგებ კიდევ გამოვარდეს კურდღელი და დავიჭირო-მეთქი. ალბათ, ეს შემნიშნა დედამ, რომ ერთხელ მიმიხმო და მითხრა: „შენ ხომ ამისთანებში ტოლი არა გყავს და ერთ-ერთი შინაური კურდღელი დამიჭირე, სხვისთვის მინდა გასაგზავნადო“. მეც, რასაკვირველია, ვიკისრე: საყდართან, საქალებოს გვერდით საკურდღლე იყო მიშენებული და იქ

შინაური თეთრი კურდღლები ბუდობდნენ. დილიდან საღამომ-დის ვდიე ხან ერთს და ხან მეორეს, მაგრამ ვერ დავიჭირე, და საღამოს, დედამ რომ მკითხა, თავი მითი ვიმართლე, რომ ფეხები მტკივა-თქო. დედაჩემმა სიცილი დაიწყო და მითხრა: „პატარა კი აღარა ხარ, როგორ ვერ მიხვდები, კურდღლის დაჭერა ფეხ-და-ფეხ შენ კი არა, არა კაცს არ შეუძლიაო! შინაური რომ ვერ და-იჭირე, გარეულ კურდღელს შენ როგორ დაეწეოდი, თუ უცაბე-დად ხიმეში არ გაკვეხებულიყო!“ ამ სიტყვებმა, ცოტა არ იყოს, გულში ჩამახედეს, ვიგრძენი ჩემი ნაცარქექიაობა, შემრცხვა და გავწითლდი.

იმ დროში ჩაის არ სვამდენ, მხოლოდ სტუმრებისათვის მო-ადუღებდენ ხოლმე, მაგრამ ბავშვებს მაშინაც არ ასმევდენ: ცხელი წყალი შიგნეულს გაუფუჭებსო და შაქარიც კბილებს წაუხდენსო. მე, რასაკვირველია, სული მიმდიოდა შაქარზე, მაგრამ ვინ მაჭმევდა? მაგიერად, როდესაც შაქარს მტვრევას დაუწყებდნენ ხოლმე, მე მივუცუცქდებოდი გვერდით შაქრის მმტვრეველს და იქით-აქეთ შორს გადაბნეულ ფხვნილს ქორი-ვით მივჩერებოდი. მაგრამ მათი აღება ხელით მოუხერხებელი იყო; დასველებული თითები მზად მქონდა, დავაწებდი ზედ და ელვასავით ვიტკუცუნებდი პირში. ეს შემნიშნა ერთხელ ჩემმა უფროსმა დამ და მირჩია: – „მაგას ნუ შვრები, სიწუწკეაო!“ და ჩუმად თითო კვნიტ შაქარს მაძლევდა ხოლმე: მეც ეს მინდოდა და ღმერთს ვეხვეწებოდი: „ღმერთო, სტუმრებს ნუ გამოგვი-ლევ-თქო“, რადგანაც უმისოდ, ვიცოდი, შაქარს არავინ დაამ-ტვრევდა. ხშირად დავუხვდებოდი ხოლმე წინ ჩვენგან წამავალ სტუმრებს და ჩუმად ვეხვეწებოდი: თქვენი ჭირიმე, ხშირად იარეთ-მეთქი, იმათ ეგონათ თუ მე ეს სტუმართ-მოყვარეობით მომდიოდა, მიწონებდენ და ამბობდენ: „რა კეთილია ეს ბავშვი და რა პურადი გამოვაო!“ რა იცოდენ, რომ მხოლოდ ჩემი „უს-ხის კუდი“ მაგონდებოდა, ე. ი. შაქრის კვნიტი.

პურადობის რა მოგახსენოთ, მაშინ რა პურადობა შემეტყო-ბოდა, მაგრამ გულ-კეთილი კი მართლა ვიყავი: პირუტყვი რომ ჩემთან ვისმე გაელახა, ვიტირებდი. თუმცა ღორი მეც კი გავ-ლახე ერთხელ, მაგრამ ეს სულ სხვა იყო, მინდოდა მომეგერე-ბია და ჭკუა მესწავლებია. ერთხელ ყანაში ღორი მოკლეს და

მე მთელი დღე არაფერი მიჭამია; ისე მებრალებოდა, რომ სიახლოვესაც ვერ მივეკარე, დამეხედა და ეს მით უფრო საკვირველი იყო, რომ, საკლავს რომ წამოაქცევდენ, სიამოვნებით თავზე დავტრიალებდი და არც არაფერს სიბრალულსა ვგრძნობდი. საუფლო დღეებში, მაგალითად, შობის, აღდგომის და სხვა ამგვარ დღესასწაულების წინა-დღეს ძროხას რომ დაკლავდნენ, ჩემ სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა! ბუშტს გამოვართმევდი ხოლმე მზარეულს, დავზელდი ნაცარში, გადავაძრობდი ზედა კანს და გავბერავდი; მერე ვინმე ქალს ან გამდელს ვაჩუქებდი ხოლმე საუმარულედ, რადგანაც გაგონილი მქონდა, რომ უმარულის შესანახავად კარგიაო. ერთხელ მხოლოდ, შობის წინ დღეს აღარ მიყურებია ძროხის დაკვლისათვის, რადგანაც უფრო სასიხარულო შემთხვევამ გამიტაცა და ჩვეულება დამავიწყა: სწორედ იმ საღამოს ქუთაისიდან მოგვივიდა მამი-ჩემის გამოგზავნილი კაცი და პატარა ჩექმები მომიტანა. იმ დღემდის ჩემ ფეხს ჩექმა არ მიჰკარებია და მხოლოდ შლაპუნა ფოსტლებს ვიცვამდი ხოლმე. რაღა თქმა უნდა, რომ სიხარულმა ამიტაცა, ძროხა კი არა, თავიც დამავიწყდა. მამა-ჩემი იწერებოდა, სხვათა შორის: „ამ ჩექმებს ვაგლახად ნუ გააფუჭებინებთ ჩემ კაკოს! სირბილის ნებას ნუ მისცემთ, რომ ქუსლი არ მოაქციოს და უბრალოდ არ მოჩორთოსო!“ ეს ბძანება ჩვენ სახლში გადაჭარბებითაც აასრულეს: ჩამაცვეს მხოლოდ შობა-დღეს, ახალწელიწადს და შეინახეს; მე ისევ ფოსტლებზე გადამიყვანეს და აღდგომამდის აღარ მიპირებდნენ ჩაცმევას.

მომავალ აღდგომას, რასაკვირველია, ორ-კეცი სიხარულით მოველოდი. ცისკრის რომ დარეკეს და ჩვეულებრივად ჩაცმა-დახურვა დაიწყეს, მეც მომიტანეს ჩემი საოცნებო ჩექმები, მაგრამ, წარმოიდგინეთ ჩემი უბედურება: ჩექმები გამხმარიყვნენ, მეც ფეხები გამზდოდა და შიგ აღარ ჩამეტია! ბევრი მაწვალეს, ქუსლზე კანი გადამაძვრეს, კოჭი კინაღამ ამომიგდეს, მაგრამ არა ეშველა რა. დამმწარდა აღდგომა. იმ დღეს რაღა მოესწრებოდა, მაგრამ სწორამდის კი მომიტანეს ახალი, და იმ დღიდან დაწყებული, ქუთაისს წასვლამდი, თითქმის წელიწად-ნახევარს უჩექმოდ აღარ გამივლია. უკანასკნელ წელიწადს მით უფრო კარგად შევიშვნე ჩექმები, რომ ბევრს აღარ დავრბოდი, რად-

განაც ადრინდელი თავ-შესაქცევარი ყოველგვარი თამაშობა მომწყინდა და უფრო სხვა საფიქრელს გადავჰყევი. ამის მიზ-ეზი იყო „ვეფხისტყაოსანი“ წავიკითხე თავიდან ბოლომდი და, თუმც ზღაპრული მხარის მეტი არა გამიგია რა, მაგრამ მაინც ძალიან გატაცებული ვიყავი. იმას მივაყოლე სხვა საკითხ-ავებიც და მთელი ქრისტომატია, ჩუბინაშვილისაგან პეტერ-ბურგშიგამოცემული, რამდენჯერმე გადავიკითხე. ამას გარდა, ერთხელ ქალაქიდან ჩამოგვიტანეს ამბავი, რომ „გლუხარიჩმა“ კომედია დაწერაო და ვარანცოვის სასახლეში ითამაშესო. ამ ამბავს გულმოდგინედ ვუგდებდი მე ყურს და ბოლოს თვი-თონაც მოვინდომე, რომ იმგვარი რამ კითხვა-მიგებითი დამეწე-რა და მართლაც ავწერე ჩვენი შინაურობა, მაგალითად, როგორ აწვალებდა ჩვენი მოურავი ხალხს, მერე ბატონს აბეზღებდა; ბატონიც მოთმინებიდან გამოდიოდა და ჯავრობდა და სხვ. და სხვ. ეს ბავშური სცენები სასახლეში სუყველას მოეწონა გარდა მოურავისა, რომელიც გულ-მოსული ამბობდა: „ჩემი დაცინება არაფერია, მაგრამ ვნახავ, თუ ამ ყმაწვილმა მთელი ქვეყანა არ გადიმტეროს, და ნუ აქეზებთო“. ეს ჩემი პირველი ნაწარმოები დედა-ჩემს თურმე შეენახა და, რუსეთიდან რომ დავბრუნდი, მიჩვენა, მე სიბრიყვემორეულმა ვიუკადრისე, გამოვართვი დე-დას, დავხიე და ცეცხლში ჩავყარე. დედაჩემს ეს ძალიან ეწყინა და მისაყვედურა, მაგრამ, ხომ ვეღარ გავამთელებდი!..

ამგვარი ბევრი რამ მაგონდება ჩემი სიყმაწვილიდან, მაგ-რამ, რომ მკითხველს თავი არ მოვაბეზრო, ამით ვათავებ.

II

გიმნაზიაში რომ შემიყვანეს გავცეცდი: იმდენი ბავშვი, ერთად თავ-მოყრილი, ჩემ დღეში არ მენახა. მოზდილები სკამებზე იჯდენ სულ-განაბული და ახალ-მოსწავლე პატარები-კი ჯგუფ-ჯგუფად კედლებთან იყვენ ატუზული. აქ კედლებზე ირგვლივ ქაღალდის ფიცრები იყო ჩამოკიდებული, ზედ ან-ბანი და ამოსაღები ეწერა და იმას აკითხებდენ ყმაწვილებს. ჯგუფს ერთი უფროსი ჰყავდა და ის ასწავლიდა: ხელში ეჭირა

წკეპლა და, შეეშლებოდა თუ არა ბავშვს კითხვა, უცხუნებდა და უცხუნებდა. ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდენ და, როცა შემოუვლიდენ კედლებს, მერე-კი ნება ჰქონდათ სხვებთან დამჯდარიყვენ ისინიც სკამზე. ამ ყოფაში იყვენ, სანამ კითხვას ისწავლიდენ. უნდებოდენ ზოგჯერ წელიწადზე მეტს. წარმოიდგინეთ 7-8 წლის ბავშვი დილის შვიდი საათიდან ნაშუადღევის ორ საათამდე მშიერ-მწყურვალი, და მაშინ იგრძნობთ, თუ რა ტანჯვაში იყვენ ის საწყლები. ზოგს გულს ეყრებოდა, ზოგს თავ-ბრუ ეხვეოდა და ეცემოდენ ძირს, მაგრამ ყურადღებასაც არავინ აქცევდა.

შესვლისთანავე პირველ კედელთან დამაყენეს „ანბან“-ზე, მაგრამ, რადგანაც მე ხუცური ვიცოდი, მხედრული წერა-კითხვა შესწავლილი მქონდა და რუსულ ამოსაღებშიაც გატეხილი მქონდა თვალი დედიჩემის წყალობით, ერთ დღეს შემოვირბინე ყველა კედლები. მასწავლებელმა თავზე ხელი გადამისვა, მომიწონა, და უფროსებთან დამსვა სკამზე. კითხვით კარგად ვკითხულობდი, მაგრამ ჩემი უბედურება ის იყო, რომ რუსული არ მესმოდა. იმ დროს შემოღებული იყო საზოგადოდ თუნუქის ფირფიტა, რომელსაც „მარკას“ ეძახდენ. ვინც ქართულად ხმას ამოიღებდა, მიაჩეჩებდენ ხელში და თანაც გრძელ ფიცარს – საბაზავს დაჰკრავდენ ხელის გულზე. მერე ის უნდა ცდილიყო, რომ სხვისთვის გადაეცა როგორმე იმ-რიგადვე, ე. ი. ჩაბარების დროს „ლინეიკა“ დაერტყმია ხელის გულზე. ამგვარად ეს საცოდაობის ფირფიტა გადადიოდა ხელიდან ხელში. სწავლის გათავების დროს ვინც ვერ მოასწრებდა იმ ფირფიტის თავიდან მოშორებას და შერჩებოდა ხელში, უნდა კლასში დარჩენილიყო მთელი დღით უსადილოდ. ვინც რუსული არ იცოდა ახალშემოსულობის დროს, ხმის ამოღებას ვერ ბედავდენ და მუნჯდებოდენ. ამ ჩვეულებას დიდი გამრყვნელი ხასიათი ჰქონდა. ყმაწვილები ცდილობდენ, რომ ერთმანეთი მოეტყუ-ებიათ, გაებრიყვებიათ როგორმე და ცბიერობა-ფარისევლობას ეჩვეოდენ. სულ ერთი კვირის შესული არ ვიყავი, რომ მოვიდა ჩემთან ერთი პატარა ყმაწვილი, ანგელოზის სახის მქონი, და ტკბილის ღიმილით, მეგობრულად მკითხა რაღაც ქართულად; მეც, რასაკვირველია, რადგანაც სხვა ენა არ ვიცოდი, ქართუ-

ლად ვუპასუხე. ყმაწვილს მშვიდობიანი სახე გადაუსხვაფერდა და სიხარულით მომაჩეჩა ფირფიტა. ჩამოვართვი, მეტი რაღა გზა მქონდა, მაგრამ „ლინეიკაზე“ ვერ დავეთანხმე. „რა გენაღვლება შენ, მე რომ „ლინეიკა“ არ დავირტყა, მარტო ვართ და ვინ გაიგებს-მეთქი“ – ვეხვეწებოდი. ჩემმა მოწინააღმდეგემ შორს დაიჭირა: „მე თუ დამარტყეს, შენ რა ჭრელი პეპელა ხარო?!“ მე მაინც არ დავეთანხმე, გავუძალდი და იმან ჭუჭყუნი დაიწყო. მასწავლებელი რომ შემოვიდა, მივიდა დამაბეზღა. დამიძახეს, გავედი შიშით და კანკალით. მასწავლებელმა წარბები შეიკრა და მკითხა: „როგორ ბედავ ურჩობასო? აქ შენი სახლი ხომ არ გგონიაო!“ მე თავის გამართლება დავიწყე, მაგრამ აღარ გამივიდა! „კარგი, მე გასწავლი ჭკუასო!“ დაუძახა „სტოროჟებს“ და უბრძანა: „როზგიო!“ მე, ამის გამგონეს, თავში სისხლი ამივარდა და გაქცევა დავაპირე. „ნუ გაუშვებთ, დაიჭირეთო!“ – იყვირა მასწავლებელმა. იგრიალეს მოსწავლეებმა ჩემ დასაჭერად და გადამეღობენ კარებზე... მე მეორე ოთახში შევვარდი, სადაც მესამე კლასი იყო. აქაც ერთი ალიაქოთი მოვახდინე, მაგრამ შევხტი ფანჯარაზე, გავამტვრიე მინები, გადავხტი და მოვკურცხლე შინისაკენ. გამომიდგენ „სტოროჟები“. წინ მე გავრბოდი კურდღელივით და უკან ისინი მომდევდენ კიჟინით. გულ-გახეთქილი შევიჭერ შინ; დედამამამ რომ გაიგეს, რაც მოხდა, შეწუხდენ და ბევრიც მირჩიეს: წადი, რა ვუყოთ, გაგროზგონ, ეგ მარტო შენ თავზე ხომ არ არის – ყველას როზგავენო. მოითმინე, მოიჭირვე. მიეჩვიე და ბოლოს კაცი გამოხვალო; მაგათში უმისოდ არ შეიძლებაო!.. მაგრამ მე შორს დავიჭირე და გამოტეხილი ვუთხარი დედას: – თუ კიდევ გაგიგზავნივარ იმ დასაქცევ გიმნაზიაში, თავს დავიხრჩობ-მეთქი! შეშინდენ და ჩამომეთხოვენ. ერთ კვირას აღარ წავსულვარ კლასში. იმ დროს დირექტორად კოცებუ იყო, ახალი დანიშნული. ქართული მაზრის უფროსობის დროს შეესწავლა, კარგად იცოდა და ქართველებიც ძალიან უყვარდა. მოვიდა ჩვენსა და გამომკითხა ყველაფერი. მეც დაუფარავად მოვახსენე, რაც გადამხდა და რასაცა ვგრძნობდი. გაუკვირდა, გადააქნია თავი, მომეფერა და მითხრა: შენ ჩემი სახელი ახსენე და ნუღარავისი გეშინიაო! ხვალ ჩემთან მოდი პირდაპირ

კანცელარიაში და მე წაგიყვან კლასშიო. მეორე დღეს მართლა წამიყვანა და მიმიყვანა ჩვენს კლასში. გამოიკვლია ყოლიფერი და, „მარკის“ ამბავი რომ გაიგო, გაოცდა. მოიხმო ინსპექტორი, ზე-დამხედველები, მასწავლებლები და გამოუცხადა ყველას, რომ დღეიდან ეგ საქციელი აღარ ჩაიდინოთო! მოსპეთ „მარკა“ და უმიზეზოდ ცემა-ტყეპაზედაც ხელი აიღეთო! მერე მიუბრუნდა ჩემ მასწავლებელს და უთხრა: – განსაკუთრებითი ყურადღება მიაქციე ამ ყმაწვილსო! მართლაც იმ დღიდან ცოდვის ფირფიტა გადააგდეს, მაგრამ ცემა-ტყეპაზე კი უცბად ვერ აიღეს ხელი. უიმისობა მაინც არ ეხერხებოდათ. ტყუილა კი არ არის ნათქვამი: „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო!“ იმ დროს მთელი რუსეთი დარწმუნებული იყო, რომ ჭკუა და სიკარგე როზგის ნაყოფიაო. გიმნაზიებშიც, რასაკვირველია, პირველი ადგილი ეჭირა... დღე არ იქნებოდა, რომ ყმაწვილების წივილ-კივილით იქაურობა არ ყოფილიყო გაყრუებული. „როტაში“ არ უნდებოდათ იმდენი წკეპლა, რაც თვითეულ კლასში. „სტოროჟებს“ ურმებით მოჰქონდათ ყოველდღე ახალ-ახალი. მოსწავლის გალახვა ყველას შეეძლო დირექტორიდან დაწყებული, „სტოროჟებამდე“. მიზეზს არავინ კითხულობდა. ვინ იცის, რამდენი დასნეულებულა, რამდენი დამახინჯებულა, და რამდენს კიდევ ხასიათი გაფუჭებია საუკუნოდ... ხშირად მოხდებოდა ხოლმე, რომ ერთი და იგივე ბავშვი, ერთი დღის განმავლობაში, სამჯერ-ოთხჯერ „გაროზგვილიყოს“ სხვადასხვა უფროსებისაგან. მახსოვს და არც დამავიწყდება ჩემს დღეში: ერთი რუსის ბავშვი იყო – კრიჟანოვსკი, ძლიერ მოუსვენარი რამ, მაგრამ სხვებ კარგი იყო. ერთხელ ნახევარი საათით დააგვიანდა კლასში მოსვლა და დირექტორმა „გაროზგვინა“; იმ დღეს გაკვეთილი არ იცოდა და მასწავლებელმა „გაროზგვინა“; სწავლა რომ გათავდა, ზედამხედველმა „გაროზგვინა“: სახლში გიცელქნია და მეზობლის ბავშვისათვის ქვა გისროლია – გიჩივლესო! ამითაც ვეღარ გადარჩა. ყველამ ერთად დააბეზღეს ინსპექტორს და იმანაც მოუნდომა „გაროზგვა“. ეს ინსპექტორი შეუბრალებელი რამ იყო და მისი ისე ეშინოდათ, როგორც სულთა-მხუთავისა. კრიჟანოვსკიმ, ტანჯვა რომ ვეღარ აიტანა, იშვირა ხელი და ფეხი და გადავარდა რიონში. რომ შემთხვევით

იქვე არ დასწრებოდა ერთი მეგრელი მოსწავლე, ძალიან კარგი მცურავი, დაიღუპებოდა. ისე ცემა-ტყეპას ხომ ანგარიში არ ჰქონდა. ვაი, მისი ბრალი, ვისაც კარგი ხუჭუჭი თმა ჰქონდა! ერთ ყმაწვილს, გვარად ჭაჭიაშვილს, დიდი ყურები ჰქონდა. დიდი და პატარა ყველა ყურებში ავლებდა ხელს. ერთხელ გამხეცებულმა ზედამხედველმა შუამდი აახლიჩა ყური; გაუსივდა და მხოლოდ რამდენიმე დღის განმავლობაში ისევ დაუწყო შეხორცება. მაგრამ ვინ აცალა შეხორცება! სტაცებდენ ხელს და ხელახლა აგლეჯდენ... ასე რომ გავიდა სასწავლებლიდან. ერთ მოსწავლეს – კლდიაშვილს – პირით დაჰკრა შუბლზე „ლინეიკა“ და თავთხლე გადაადინა, ძვალიც კი გაუტეხა. გულ-შემოყრილი ბავშვი შინ წაიღეს. ამ გარემოებისათვის ყურადღებაც არავის მიუქცევია. ამისთანები რამ უთვალავი იყო. ღვთის მადლით, მე ამცილდა ტანჯვა და ერთხელ მეტად არ გავლახულვარ, მაგრამ ეს ერთიც საკმაო იყო, მთელი ჩემი სიცოცხლე მოეტანჯა! დირექტორმა რომ მიმიყვანა, იმ დღიდან ჩემი მასწავლებელი სულ გულ-აღრენილი იყო ჩემზე და, თუ-კი შემთხვევა ექნებოდა, რასაკვირველია, არ დამზოგავდა. ერთხელ რომელიღაც მოსწავლემ ხაჭაპურები მოიტანა კ ლასში და ლატარიაში ჩააგდო თითო კაპეიკად, ყველამ მოაწერა ხელი. წამძლია სულმა და მეც მოვაწერე. შემოგვესწრო მასწავლებელი და იწყინა, როგორ გაგიბედნიათ ხელის მოწერაო! აიღო დიდი, უშველებელი „ლინეიკა“ ხელში. თვითო-თვითოდ გაჰყავდა ხელის მომწერლები; ჰკითხავდა: რომელი ხელით მოეწერეო? და, პასუხს რომ მიიღებდა, დაჰკრავდა ხოლმე, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. „კიდევ მოაწერო?“ – ეკითხებოდა დაცინვით. მე ყველაზე ბოლოში ვეწერე, რადგანაც ჩემი გვარი წილზეა, და „ჟურნალში“ ანიდან იწყება გვარების წერა. იმ დროს საბა ორბელიანის იგავ-არაკები წაკითხული მქონდა და მომაგონდა ოფოფის ხრიკი, თავის გადარჩენა რომ უნდოდა და მელა გააბრიყვა. იმ განყოფილებაში წერის გაკვეთილი იყო. მე ვიფიქრე, რომ, თუ მარჯვენა ხელი მეტკინა, წერა გამიფუჭდება და მოდი მარცხენას გავიმეტებ-მეთქი. მეც რასაკვირველია, მითხრა: „აბა დამნაშავე ხელი გამოაშვირეო!“ მე მარცხენა გავუშვირე. ჯერ დამკრა და მერე ეჭვი შეიტანა,

რასაკვირველია განგებ, მარცხენა ხელით როგორ მოაწერდიო? რომ გამოვუტყდი, მარჯვენა ხელზედაც დამკრა და გამიშვა. ტკენა ხომ ტკენა იყო, მაგრამ მე ის უფრო მტანჯავდა, რომ ჭკუა წავაგე და ორი „ლინეიკა“ დამკრეს, მაშინ როცა სხვები კი თვითოთი გადარჩენ! ვტიროდი, ხელი მიკანკალებდა და, რასაკვირველია, კარგად ვეღარ დავწერდი!.. ნაწერები რომ გაარჩია მასწავლებელმა, დამიწუნა და კიდევ დამკრა „ლინეიკა“: უკეთ დაწერეო! კლასის გათავებამდი ოთხჯერ კიდევ დამეკრა!.. ის დღე იყო და მას აქეთ ვეღარ გამოვბრუნდი. არ იქნა ვეღარ გადავიგდე გულზე ეს შემთხვევა. წერაში ხელი გამიფუჭდა და დღესაც კიდევ გაურკვევლად ვწერ; ვინც ჩემ ნაწერებს დახედავს, გაუკვირდება, რომ ზოგან კარგი ხელია და ადგილ-ადგილ კი ნაჯღაბნი და გაუგებარი. ეს მაშინ მემართება, როცა ინსტინქტურად მაგონდება ხოლმე მაშინდელი ჩემი ტანჯა. ეს შემთხვევა რა გასახსენებელი იყო, მაგრამ მიტომ ვამბობ, რომ მშობლებმა და მასწავლებლებმა იგულისხმონ, თუ რა ძნელია სათუთ ბავშვებთან სასტიკად მოპყრობა და რა შედეგი მოჰ-ყვება ხოლმე...

ჩემი გალახვის ამბავი გაეგო დირექტორს და შენიშვნა მი-ეცა მასწავლებლისათვის. ის იყო და ის, ამ დღიდან ამომიჩემა მასწავლებელმა და ყურადღებასაც აღარ მაქცევდა, თითქო ერთი ჯირკი გდებულიყო იქ. არც მასწავლიდა და არც რამეს მკითხავდა. მე მაინც, ზოგს ამხანაგების შემწეობით, ზოგსაც ჩემით ვსწავლობდი, რაც ძალი და ღონე მქონდა. იმდენი ნიჭი არა მქონდა, რამდენიც სურვილი და ბეჯითობა. ვცდილობდი, დღე და ღამე გასწორებული მქონდა და სხვებს არა თუ არ ჩამო-უვარდებოდი, მეტიც ვიცოდი მათზე. ეგზამენები მოახლოვდა, ხმა გავარდა, რომ „პოპეჩიტელის“ თანაშემწე, მაქსიმოვიჩი, მოდის, იმან უნდა გამოგვცადოს მოსწავლეებიო. ბევრს საარა-კო რამეს ლაპარაკობდნენ. ყველა შიშის ქარმა აიტანა, მასწავ-ლებელიცა და მოსწავლეებიც.

მაქსიმოვიჩი ჩამოვიდა თუ არა, მაშინვე ბრძანება გამოცა, რომ, რადგანაც ყველას ვერ მოვასწრებ, თვითეული კლასიდან სამ-სამი მოწაფე გამომგვარეთ. პირველი, შუათანა და უკა-ნასკნელი; იმათ გამოვცდი და მით მთელი გიმნაზიის გარემოე-

ბაც გათვალისწინებული და აწონილი მექნებაო. ეგზამენებ-მა კარგად ვერ ჩაიარა. წინდაწინვე დამფრთხალ ყმაწვილებს გონება ეკარგებოდათ. ჯერ იმ სამ მოწაფეთაგანს ჰკითხავდა რამეს საპასუხოს და, თუ ვერ უპასუხებდნენ, მერე მთელ კლასს მიუბრუნდებოდა. თუ აქაც აღარავინ აღმოჩნდებოდა, მასწავლებელს უნდა აეხსნა. ხშირად მასწავლებლებიც წაიბორძიკებდნენ ხოლმე. მაშინ თვითონ ეგზამენატორი ახსნიდა გაამეორებინებდა ხოლმე ყმაწვილებსაც. ეს ახალი მეთოდი იყო მისგან შემოღებული. იმ დროს გიმნაზიაში სწავლობდა ერთი შესანიშნავი და სახელგანთქმული ახალგაზრდა – ბესარიონ ღოღობე-რიძე. მოსწავლეებსაც დიდი ხათრი ჰქონდათ მისი და პედაგო-გებსაც მისი იმედი ჰქონდათ: „თუ დაგვიხსნის, ის დაგვიხსნის და გვასახელებსო“. მათი მოლოდინი გამართლდა, მაგრამ სულ ისე მაინც არა, როგორც ეგონათ. ამბობდნენ: „მარჯვედ იყო ბესარიონი, მაგრამ ბევრი ოფლი კი აწურვიესო“. ასე თუ ისე, თუ იმას არა, მაქსიმოვიჩი გულს ვეღარ მოიბრუნებდა ქუთაისის გიმნაზიასა და მის მასწავლებლებზე. შუა კლასებშიაც ზოგიერთებმა გვარიანად მიუგეს. ბოლოს ჯერი მიდგა უმცროს კლასებზე. ჩვენი კლასიდანაც, განკითხვის დღე რომ დადგა (ასე ვეძახოდით საზოგადოთ მაქსიმოვიჩის ეგზამენებს), სამი მოწაფე აიყვანეს და ჩააყენეს თორნეში. მესამე მოწაფედ, ესე იგი, უკანასკნელ მაჩანჩალად, მე გამაყოლეს. ჩემი ამხანაგები ცახცახებდნენ და მე კი უფრო სეირის საყურებლად გავედი, რადგანაც ვიცოდი, რომ, როგორც უკანასკნელს, ბევრს არას მკითხავდნენ და ყურადღებას არ მომაქცევდნენ. ერთ ხანს მარჯვედ იყვნენ მოწაფეები. საზეპირო როცა ჰკითხეს, იმათაც ჩააბულბულეს; მაგრამ ბოლოს, როცა აზრით გაგებაზე მიდგა საქმე, მაშინ კი აიბნენ. საკვირველი იყო: „პოპეჩიტელის“ თანაშემწის საკითხავებმა, სასახლეში რომ ბავშვებმა თამაშობები ვიცოდით: „ბერი ჩამოხტა“, „აჩატი“, „ანზე ვისი ყმა ხარ“ და სხვანი, სწორედ არ მომაგონა! გამიკვირდა: „ეს რა გიმნაზიის საკადრისია-მეთქი“, – ვამბობდი გუნებაში. მაგრამ მომაგონდა ჩვენი სახლი, დედა და ისე წავხალისდი, რომ ასე მეგონა, შინა ვარ-მეთქი და ორ-ჯერ-სამჯერ, ჩემ ამხანაგებს რომ შეეშალა, მე უკმაყოფილოდ თავი გავაქნიე. მაქსიმოვიჩმა თვალი შემატანა და მომაყვირა:

– „რას აქნევ თავს ქეციან ცხენივითო“! შევშინდი და ენა ჩამივარდა. მასწავლებელი მომეშველა და მოახსენა: – „ალბათ ბუზი აწუხებს და ხელს ვერ ხმარობსო“... – „რა დროს ბუზებია!“ მიუბრუნდა უკმაყოფილოდ მასწავლებელს: „და ან საჭიროების დროს ხელს ნუ გაანძრევო, ვინ ეუბნება? უშლიან მხოლოდ წარამარა ხელების აქეთ-იქით ქნევას. არა, აქ სხვა მიზეზიაო!“ მიმიხმო სტოლთან.

– მე შეგნიშნე, რომ, როცა იმათ ეშლებოდა, მაშინ აქნევდი თავს. მართალია თუ არა? ნუ გეშინია, მითხარი!

– დიახ, უნებურად!..

– მაგალითად, რა შეეშალათ?

– აქლემი გაფრინდებაო, რომ მოგახსენეს, ეტყობათ, არ უნახავთ აქლემი!

– შენ? შენ სად გინახავს?

– შარშან თათრებმა ჩაატარეს მაედანში; ძლივს მიიფხორებოდნენ.

– მერე, რა იცი რომ ვერ გაფრინდება?

– ფრთები არ აქვს.

– რასაც ფრთები არ აქვს, ვერ გაფრინდება? მაგალითად, კაცი ვერ გაფრინდება?

– ვერა.

– არ გაგიგონია ძველად, რომ ვინმე გაფრენილიყოს?

– ძველად – ენოქ და ილია, მაგრამ ისინი ურმით გაფრინდნენ, ღვთის ძალით. – ეგზამენატორმა თვალები დააჭყიტა და მკითხა:

– ვინ გითხრა შენ ეგ?

– დედამ.

–კუდიანები რომ ფრენენ, იმათ ხომ ფრთები არ აქვთ?

– კუდიანები არ ფრენენ.

– მაშ, როგორ შეუძლიათ, რომ არ ფრენდნენ, ასე ჩქარა ყველგან როგორ მიივლ-მოივლიან?

– მგელზე ჯიან და ისე დადიან, – აქ გადიხარხარა და თავზე დამისვა ხელი. ამგვარ რამეებს მკითხავდა და თანდათან გახალისდა. მეც რომ შევატყე, აღარ წყრება-მეთქი, გავთამამდი.

ბოლოს დამიწყო გამოცდა. საზეპიროები მკითხა, – კარგად მივუგე.

– აზრიც გესმის? – მკითხა.

– რასაკვირველია, მესმის!

– შეგიძლია ქართულად გადაგვითარგმნო ეგ ლოცვები?

– რაღად გადაგითარგმნით, ქართულად რომ უფრო ადრე ვიცოდი?..

– სად ისწავლე?

– სახლში.

– ეგებ რუსულადაც იქ ისწავლე?

– არა, აქ. – მიუბრუნდა მასწავლებელს და ჰკითხა:

– თქვენ ხომ არ შეგშლიათ, რომ ეგ ბავშვი უკანასკნელ მოწაფედ წარმოადგინეთ?

– არა, თქვენო აღმატებულებავ! ერთი რომ პატარაა, მერე კიდევ არც დიდი ხნის შემოსულია და ჯერჯერობით ყურადღებას აღარ ვაქცევდით, არასა ვკითხავდით, გაკვეთილებსაც არ ვაძლევდი: ჯერ მიეჩვიოს-მეთქი, – უპასუხა მასწავლებელმა ცოტა ფერმიხდილად.

– მაშ თუ არა გკითხავდნენ, შენ როგორღა სწავლობდი? – მითხრა მან.

– სხვებს რომ აკითხებდნენ და უხსნიდნენ, მეც აქ არ ვიყავი? ყურს ვუგდებდი.

ეს რომ გაიგონა, „ხედავთო?“ დაეკითხა ჩემ ამხანაგებს: რომ მოგენდომებიათ, თქვენც ასე ისწავლიდითო. მასწავლებელი რომ კარგად გიხსნით, ეს ცხადად სჩანს“. ხელი ჩამოართვა მასწავლებელს და მადლობა უთხრა. მე შუბლზე მაკოცა, წამოდგა ზეზე და დაიშალა კლასიც. მივფრინდი თუ ფეხით მივედი სახლში, აღარ მახსოვს, სიხარულმა ისე ამიტაცა, რომ მთვრალივით ვეღარ გამოვერკვიე. შინ რომ მივედი, სტუმრები იყვნენ სახლში და მამაჩემმა მომაძახა: რა ქენი, ჩემო კაჭუაო? მეც ყველაფერი მოვახსენე, რაც გადამხდა. „მე კი არ ვიცოდი?! – წამოიძახა მამამ. – კვიცი ყოველთვის გვარზე მიდისო. პეტრე არხიმანდრიტს რომ ვებარე მონასტერში ბავშვობისას, ყველას ვჯობდიო, რასაც სხვები ათ-ათ წელიწადს უნდებოდ-

ნენ, მე ორ-სამ წელიწადს გავიარე, გავათავე: „ღრამატიკა, ანგარიში, ისტორია, ღეოღრაფია და სხვანიო. ბატებმა არ დამაცალეს, ყიყინით მაწუხებდნენ, თვარა, რომ მომეცადა, არისტოტელის კათეღორიასა და ლოღიკას სულ ბდღვირს გავადენდიო. შენც, შვილო, ოჯახის შვილი რომ ხარ, სხვებზე უფრო მეტი უნდა ისწავლო და ვიგინდარები არ გაიტოლოო!“ სტუმრებმაც ამგვარივე დარიგება მომცეს. დედა კი თავის-თვის იჯდა თავჩაღუნული, თითქო ამისთვის სულ ერთიაო და არც კი შეუმჩნევივარ. საღამოს, დასაძინებლად რომ ჩავწექ ლოგინში, მოვიდა დედა და შუბლზე დამადვა ხელი. ჩამოჯდა ლოგინზე. მე ვიფიქრე: „ვაითუ ავად ვარ და მატყობს რამეს, თვარა ასე სხვიმის როდის მოსულა-მეთქი“. წინათაც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, რომ საკვირველი ზნე სჭირდა დედას: თუ არ გამოთხოვების დროს, როცა სადმე დიდი ხნით მივდიოდი და ან ხანგრძლივ უნახაობის შემდეგ, ისე არ გვაკოცებდა ბავშვებს, და მაშინაც ისე, თითქო გული ნებას არ აძლევსო. ეს მეც მიკვირდა და ვერ ამეხსნა. ეს ხასიათი მთელ მის სიცოცხლეში შერჩა. შვილიშვილებსაც ასე ეპყრობოდა. ერთხელ, დაცოლ-შვილიანებული ვიყავი, შევესწარი, რომ ჩემ პატარა შვილს, მძინარს, მიდგომოდა და სიფრთხილით, არ გამოიღვიძოსო, ჰკოცნიდა, ეალერსებოდა. მაშინ მივხვდი, რომ ალბათ ჩვენც ასე გვეალერსებოდა-მეთქი. ცხადად ვინ უშლიდაო – იფიქრებს კაცი, და ის თურმე იმ აზრის იყო, როგორც ერთხელ გამოაცხა-და ლაპარაკში, რომ ხშირი მოფერება აფუჭებს ყმაწვილს და წარამარა კოცნასაც ფასი აღარ აქვს მის თვალშიო. არ ვიცი, საზოგადოდ ეს მართალია თუ არა, მაგრამ ჩემ თავზე როგორც გამოვცადე, მისი კოცნა რაღაც სასუფევლურ ნეტარებად მიმაჩნდა. იმ საღამოს ავფოფინდი, რომ გვერდში მომიჯდა და ალერსიანად მითხრა: ხომ ილოცეო?..

– როგორ არა-მეთქი!

– დღეს დილას, სანამ კლასში წახვიდოდი, დაუჯდომელი პარაკლისი ხომ არ დაგვიწყებია?

– როგორ დამავიწყდებოდა!.. და მერე მით უფრო, რომ განსაცდელში მივდიოდი.

– ჰო, კიდეც მიტომ უხსნიხარ ღმერთს და გაგიმარჯვნია. ულმერთოდ, რაც უნდა იცოდე, მაინც ვერას გააწყობ! მამა შენმა რაც გითხრა დღეს, ის მართალი კი ნუ გგონია, იმან ისე იცის ხუმრობა.

– რა?

– რა და, სხვებმა რომ გაჯობოს, სირცხვილიაო. აბა, სხვები რომ კარგები იყონ, შენი რა სირცხვილია? სირცხვილი ის არის, როცა შენ შენდა თავად არ ვარგხარ და არ ცდილობ სწავლას. შენ სხვებს კი არ უნდა ეჯიბრებოდე! შენ სრულიად შენთვის უნდა ცდილობდე ყოველგვარ სიკარგეზე და, თუ სხვებიც შენისთანები იქნებიან და კიდევ უკეთესიც, შენ იმითი რას დაჰკარგავ? შენ კიდეც უნდა გიხაროდეს მათი სიკეთე. შენ რომ კარგად დაგიჭერია დღეს ეგზამენი, აი რა კარგ გუნებაზე ხარ! ისინი კი, შენი ამხანაგები, ვინ იცის, რა გულდაწყვეტილები არიან!

– ტიროდენ, დედა!

– მერე არ შეგეცოდა?

– შემეცოდა კი არა, კინაღამ მეც ვიტირე...

– ჰო-და, იმათაც რომ შენსავით გაემარჯვათ, ხომ გიამებოდა?

– ნეტავ მართლა!..

– ჰო, შვილო! სხვისი შური და სიხარბე გულში არ უნდა შეუშვა, – ესენი ორივე ეშმაკის კიბის საფეხური არიან. ეშმაკი ჯერ შეგიტყუებს ზედ ნელ-ნელა და მერე უცბად გკრავს ხელს და გადაგაგდებს. – მე პირჯვარი დავიწერე, დედამ მაკოცა მხურვალედ, ორჯერ-სამჯერ ჩამეკონა გულში, პირჯვარი გადამსახა და მომშორდა: „დაიძინეო“. ჩემს ნეტარებას საზღვარი აღარ ჰქონდა. დიდხანს თვალი ვეღარ დავხუჭე, და, რომ დამეძინა, სიზმრებმა წამიღეს: სულ ანგელოზებში დავფრინავდი და ვთამაშობდი.

გათავდა ეგზამენები. წავიდა მაქსიმოვიჩი. მიწყნარ-მოწყნარდა ყოლიფერი და მეც პირველი საჩუქრით გადამიყვანეს მეორე კლასში. სულ სხვა თვალით მიყურებდნენ ამხანაგებიცა და უფროსებიც. ამას მე კარგად ვხედავდი და ვცდილობდი, რომ არ შევრცხვენილვიყავ. დღე და ღამე გაერთებული მქონდა,

ისე მონდომებით ვსწავლობდი და იმ შრომასთან და ცოტა ნიჭთანაც, რომ უკეთესი პატრონობა მქონოდა და უფრო სწორ გზაზე ვმდგარიყავ, კარგი რამ გამოვიდოდი, მაგრამ სამწუხარო ის იყო, რომ იმ დროს პედაგოგია მეტად დაბალ ხარისხზე იდგა. ბავშვებს კაჭკაჭებსავით წვრთნიდნენ და არა ადამიანის შვილებად! ყოველი საგანი უნდა მხოლოდ ეზეპირებიათ მოსწავლეებს, და, აზრი ესმოდათ თუ არა, ამას არავინ ჰკითხავდა. ერთი რუსის შვილი იყო – ვოლკოვი – და იმას საღმრთო წერილიდან გაკვეთილი ჰკითხეს. საბრალომ ზეპირად არ იცოდა, მაგრამ თავისი სიტყვით შვენივრად ახსნა, მასწავლებელმა უგდო, უგდო ყური და გაიცინა: – შენი სიტყვებით რომ ბრძანებ, განა სწუნობ მაგის დამწერის სიტყვებს?! გაუჯავრდა და გააგდო, ცუდი ნიშანიც დაუსვა. მერე მეორედ გაიყვანა, როდესაც გაეზეპირებია და სულ-მოუბრუნებლად, სულ სხაპასხუპით უთხრა, თუმცა კი არ ესმოდა, რას ამბობდა. მოუწონა: „აი როგორ უნდა დაისწავლოო!“ და კარგი ნიშანიც დაუსვა. ასე იქცეოდენ ყველა მაშინდელი მასწავლებლები. მხოლოდ მათ რიცხვში ერთადერთი, გვარად ტროე, სულ სხვა იყო! მაქსიმოვიჩის მეთოდი შემოიღო: საზეპიროს ცოტას გვაძლევდა, სულ რამოდენიმე პწკარს, მაგრამ მაგიერად, არა თუ აზრი, ყოველი სიტყვის მნიშვნელობა უნდა გვცოდნოდა და აგვეხსნა. მის კლასში ყველა – დიდი და პატარა – თანასწორად სმენად იყო გადაქცეული. ბუზი რომ გაფრენილიყო, გაიგებდა კაცი. მაშინ იცოდნენ და დღესაც კიდევ, მასწავლებლები რიგ-რიგად ჰკითხვენ მოსწავლეებს, ასე რომ მოწაფემ იცის, როდის მოუწევს რიგი და იმ დღისთვის უკეთ ემზადება, ვიდრე სხვიმის, და მის სწავლაში თანასწორობა აღარ არის. ტროეს კლასში კი ყველა მზად უნდა ყოფილიყო. ერთს რომ ჰკითხავდა, უცებ, მოულოდნელად სხვას რომელიმეს „განაგრძეო“ – მიუბრუნდებოდა. აგრეთვე არ იცოდა ძველი და ახალი გაკვეთილი: მოულოდნელად ძველიდანაც გვკითხავდა ხოლმე. თვითეულ სკამს მიუჩინა თითო უფროსი შეგირდი. ისინი ჰკითხავდნენ ყოველდღე გაკვეთილს მოსწავლეებს და ნიშნებს უსვამდნენ. იმ უფროსებისათვის მერე მე უნდა მეკითხა და დამესვა ნიშნები. ზოგიერთი მათი შეგირდებიც უნდა შემემოწმებინა და ის ნიშნები მიმერთმია მასწავლებლისათვის. რომ

შემოვიდოდა, ისიც გადაათვალიერებდა და დასამოწმებლად გამოიხმობდა ზოგიერთებს. ერთი გაბაშვილი იყო ჩვენს კლასში, რომელიც სოფლიდან დადიოდა სასწავლებელში და კლასის დაწყებას, რასაკვირველია, ვეღარ მოასწრებდა ხოლმე. ამისათვის აჩოქებდნენ იმ საწყალს კუთხეში კლასების გათავებამდე. ასე რომ ფეხზე მდგარი ის სწავლის დროს ძვირად დაგვინახავს. ერთხელ დარჩენილიყო სადღაც და ქუთაისში ნათესავებში გაეთია ღამე. სამოსწავლო წიგნიც ეშოვნა (მაშინ არამცთუ გარეშე წიგნი, სახელმძღვანელო წიგნებიც ცოტა იყო, სულ რამოდენიმე და ერთი მეორისაგან ვნათხოვრობდით) და გაკვეთილი კარგად დაესწავლა. ადრე მოვიდა, მაგრამ, რადგანაც დაჩვეული იყო, თავისთავად დაიჩოქა და ამისათვის ყურადღებაც არავის მიუქცევია. მის უფროს შეგირდს მისთვის კარგი ნიშანი დაესვა, მე შევამოწმე და მართალი გამოდგა. ტროემ რომ საზოგადოდ ყველას ნიშნები გადაათვალიერა, გაბაშვილის ოთხსაც მოჰკრა თვალი. ალბათ გაუკვირდა და გამოუძახა. ჰკითხა და მისთანა თქვენს მტერს! ერთი სიტყვაც ვერ მიუგო, გადააქნია თავი და გამიხმო:

– ეს ნიშანი შენ დაუსვიო? – მკითხა.

– დიახ, მე-მეთქი, – ვუპასუხე

– მერე რათა, რომ არაფერი იცის?

– მე რომ ვკითხე – იცოდა.

– იცოდა?! ასე მალე, ორ წუთში როგორ დაავიწყდებოდა? აქ რაღაც სხვა ამბავია! – ბრძანა მრისხანედ. – შევიტყობ, რაც არის, მაგრამ ჯერ არ მცალია. გაბაშვილი, წადი და შენ იქვე დაიჩოქე, სადაც იყავი და შენც, წერეთელო, მიდი მაგასთან და გვერდში ამოუდექი, სანამ ჩემი კლასი არ გათავდეს! მერე ორივეს ერთად დაგამოწმებთ. – თუმცა ყველაზე მეტი ჩვენ ტროესი გვეშინოდა, მაგრამ მისგან დასჯილი არ გვინახავს, და ახლა: როგორ გამიბედეს მოტყუებაო, ზომას გადავიდა.

– შე შეჩვენებულო, რა ჰქენი ეგა, აკი იცოდი? – დავეკითხე ჩუმად, კუთხეში რომ გავედით.

– ახლაც ვიცი, – მიპასუხა ტირილთ.

– მაშ, რატომ არ მოახსენე!

– ფეხზე რომ ვიდექი, ვერ მოვახერხე. ეს რამდენი ხანია – სულ დაჩოქილი ვსწავლობ და პასუხსაც ისე ვაძლევ. აი, თუ არ ვიცი! – მოჰყვა ზეპირად. – რომ ავდგე, დამებნევა! – მასწავლებელმა მოგვატანა თვალი და მოგვაყურა – რას ჩურჩულებთო? – მე გავედი და მოვახსენე ყველაფერი. გამოიყვანა გაბაშვილი, დააჩოქა და ისე ჰკითხა. კარგად მიუგო, რამდენჯერმე გაიმეორა ეს ამბავი და ისე გაუკვირდა, რომ წამოდგა ზეზე, კლასს თავი დაანება და გასწია კანცელარიისაკენ. იქ რა ჩაიდინა, ვინ იცის? მაგრამ იმ დღიდან კი გაბაშვილი დაჩოქილი არ გვინახავს.

ერთხელ, სწავლა რომ გათავდა და შეგვასვენეს, მე, რადგანაც დილას არა მეჭამა რა, შევირბინე შინ. ვიგდე ახალუხის ჯიბეში ცხელი მჭადის კოკორი და მივაშურე ისე კლასს: არ დამაგვიანდეს-მეთქი. ტროეს გაკვეთილი იწყებოდა. ფეხად შეესწრო ჩემთვის და ხუთი მოწაფე კიდეც გამოეხმო და გაემწკრივებინა. შევყავ თავი თუ არა, მომაყვირა: – შენ, აქ მობრძანდი და დადექ ამათთანაო! მივედი და გავჩერდი. ცხელი მჭადი მომედვა ბარძაყზე და მეცხუნა. მე შმაშური დავიწყე, ხელი მოვუსვი, ასე რომ ავტოკდი. მასწავლებელმა შემნიშნა და მკითხრა: რა გემართებაო? დაფარვა აღარ შეიძლებოდა... ამოაყოფინეს ჯიბიდან მჭადს თავი... შეგირდებმა გადიხარხარეს. მასწავლებელმა ულვაშებში ჩაიცინა, გამომართვა მჭადი და წინ სტოლზე დაიდვა. მე სირცხვილის ოფლი გადამსკდა. დაგვიწყო გაკვეთილების კითხვა. ამ დროს, ჩემდა საუბედუროდ, ინსპექტორი შემოვიდა. მაშინ კი ამიკანკალდა მუხლები. ეს ისეთი შეუბრალებელი ვინმე იყო, რომ ყმაწვილის „გაროზგვას“ არა ერჩია რა. სულ უბრალო მიზეზი საკმაო იყო, რომ ოთხში ამოეღო. ერთხელ ერთსა და იმავე დროს ორი ბავშვი „გაროზგა“: ერთი იმიტომ, რომ თმა წამოგზდიაო და მეორეც იმიტომ, რომ მეტად ძირში მიგიჭრიაო! ვიფიქრე: „ეს მჭადი მე ხეირს არ დამაყრის-მეთქი!..“ მართლაც, მოჰკრა თვალი თუ არა, დაიღრიალა: – ამ მჭადს რა უნდა აქ, ვინ მოიტანაო!.. ერთი მოწაფე, რომელიც ხშირად მექიშპებოდა ხოლმე, წამოხტა ზეზე და მოახსენა: წერეთელს ამოუღეს ჯიბიდანაო. – რათ მოგიტანიაო?! მკითხა მრისხანედ. მე ენა ჩამივარდა, მაგრამ მასწავლებელმა მოახსენა: ახლავ გაიგებთო და მკითხა: ეს რა არისო? მჭადი-მეთქი, – ვუპასუხე კნავილით.

– რისგან კეთდება?

– სიმინდისაგან.

– როდის სთესენ სიმინდს? რანაირად იზრდება? როგორ მუშაობენ? როდის აკეთებენ მჭადს და სხვანი. ესენი ყველაფერი გამომკითხა და მეც პასუხს ვაძლევდი. რამდენიმე წუთს მკითხავდა და ბოლოს სთქვა: კარგიო! ხვალ ნუ დაგავიწყდება ბრინჯის მოტანაო; ხვალ იმის შესახებ ვილაპარაკოთო. ინსპექტორმა იფიქრა: აქ სწორედ მასწავლებლის სურვილით მოუტანიათ მჭადიო და გავიდა კლასიდან ხმაამოუღებლად. მასწავლებელმა მაბეზღარი მოწაფე გაიხმო და ჰკითხა: შენ არა გაქვს რა ჯიბეშიო? გაუსინჯა და კოჭი უნახა. – ეს რა არისო? ეს ხომ სათამაშოა, რომელიც კლასებში სრულიად გამოუსადეგარია და შენ კი ჯიბეში გიძევსო!.. წერეთელმა მჭადი მიტომ მოიტანა, რომ შიოდა და შეჭმა ვეღარ მოასწრო და შენ კი სათამაშოდ დაბრძანდები! კარგი, გაჩერდი მაგრე კლასის გამოსვლამდე! მე მაგ კოჭით წარგადგენ ინსპექტორთანო. იმ მოწაფეს ფერი ეცვალა და ატირდა. კლასი რომ გათავდა, მიუბრუნდა მტირალს და უთხრა: კარგი, ახლა კი მიპატივებია, მაგრამ შემდეგ კი ფრთხილად იყავი: რაც შენთვის არ გინდა, იმას ნურც სხვას უზამო!

ეს ჩვენი საყვარელი მოძღვარი მხოლოდ ოთხ კლასამდე ასწავლიდა; უფროს კლასებში ნება აღარ ჰქონდა, რადგანაც უმაღლესი სასწავლებელი არ ჰქონდა გათავებული. თუკი რამ ვისწავლეთ რუსული, მის ხელში; და მის შემდეგ კი, იმ უფროს კლასებში, მეოთხედან დაწყებული, თუ რამ დაგვაკლდა, თვარა არა შეგვიძენია რა. მეოთხე კლასი მეტად ძნელი კლასი იყო: სულ ახალ-ახალი საგნები და მასწავლებლები: ისტორია, გეომეტრია, ტრიგონომეტრია, ბოტანიკა, ზოოლოგია, ლათინური, სჯულის-კანონი, მეურნეობა, მინერალოგია და სხვადასხვა – სულ ერთად მოგვაყარეს! – თავ-ტანის რომ აღარა გაგვეგებოდა რა. გავუსვით ზეპირობას ხელი, და, როგორც იქნა, კიდევ იოლად გავდიოდით, თუმცა სრულიადაც არა გვესმოდა რა იმ საგნების. სხვისი რა მოგახსენო და მე კი ასე ვიყავი, თუმცა პირველ მოწაფედაც კი ვირიცხებოდი და ოქროს ფიცარზე ვეწერე. ამ მაღალ კლასში, ცოტა არ იყოს, დავთარი შემეშალა. ერთი ვიღაც რუსული ენის მასწავლებელი დაგვინიშნეს, გვარად საპეგა.

იმისთანა ახირებული კაცი ძვირი იყო! სულ ჯავრობდა რაღაცაზე, ცხვირი ჩამოუტიროდა და სხვა რომ ვინმე დაენახა მომცინარი, გადაირეოდა. მე კი ჩემდა საუბედუროდ, ისეთი მომცინარი სახე მქონდა, რომ ტირილის დროსაც კი მეღიმებოდა! ამითვალწუნა ამ კაცმა და საშველი აღარ მომცა. წინა სკამიდან სულ უკანასკნელზე გადამსვა: „თვალში ნუ მეჩხირებიო!“ ერთხელ რაღაც კაი გუნებაზე იყო, გამიყვანა და მკითხა გაკვეთილი. კარგად მივუგე, მომიწონა: „ცოდნით კარგად იციო, მაგრამ რა რა მიზეზია, რომ სულ იღიმები? ნუ იცინი პირუტყვივითო!“ მე მეგონა, მცდის-მეთქი, და ვუპასუხე: „პირუტყვები არ იღიმებიან და არც იცინიან-მეთქი“. ეს რომ ვუთხარი, ისარნაკრავივით წამოხტა, მტაცა ხელი საყელოში და გამიძახა გარედ.

უკანა სკამზე რომ ვიჯექი, მოწაფეები მოიბრუნებდნენ ხელს და ზურგს უკანიდან მომაბზეკდნენ ხოლმე თითს. წარმოიდგინეთ ორმოცი და ორმოცდაათი თითი ჩემკენ მოშვერილი, მაშინვე დამეთანხმებით, რომ სიცილი ძნელი მოსაკავებელი იყო. მეც უეცრად გადვიხარხარებდი ხოლმე. მიზეზს ვერ ვამხელდი, და ის კი მიატოვებდა გაკვეთილებს და დაიწყებდა ხოლმე ერთ ამბავს. მოწაფეებსაც ის უნდოდათ. ბოლოს ამიკრძალა მის კლასში შესვლა და რჩევაში ითხოვა: ან მე აღარ ვიქნები, ან ის მოწაფე გააგდეთო. მის გარდა ყველა მასწავლებელს ვუყვარდი, პირველ მოწაფედაც მთვლიდნენ და არ დაეთანხმენ. მიმიხმეს და მკითხეს: რა მიზეზია, რომ ასე გაგიჯავრებია ეს მასწავლებელიო? მე ტირილი დავიწყე და იქვე სიტყვების გათავებამდე გავიღიმე. დირექტორი წამოდგა და წავიდა საპეგას კლასში, რომ სხვებისათვისაც გამოეკითხა და შეეტყო ნამდვილი მიზეზი. ჩემდა ბედად მისთანა გარემოებას შეესწრო, რომ ხელი მომიმართა. ერთი მოწაფე იყო ჩვენს კლასში კ... ლ... სამაგალითო რამ, აჩქარება არ უყვარდა. საპეგა კი, როცა გაკვეთილს ჰკითხავდა ვისმე, ამბობდა: ნუ ფიქრობ, ისე მითხარიო. ის გაუყვანია დაფაზე, რაღაც დაუწერინებია და ახსნას უცდის. კ... ლ... ფიქრობს, რომ კარგად მიუგოს. სულწასული პედაგოგი მიეპარა უკანიდან, ჰკრა თავში ხელი და ცხვირ-პირი დაფაზე მიახლევინა: „რას უცდიო?“ შეშინებულსა და გაბრუებულ მოწაფეს ცხვირში სისხლი წასკდა, და სწორედ ამ დროს შეესწრო დირექ-

ტორიც. საპეგა მეორე დღეს თვალით აღარ გვინახავს, მის მაგიერ მეორე დაგვინიშნეს — პანიზოვსკი. მაგრამ ბევრით უკეთესი ველარც ის იყო, უკეთესი კი არა, ხმას არ იღებდა, სულ წითლდებოდა. კოშანსკის რიტორებას მოიტანდა ხოლმე და ისე უხმოდ, თითით გვაჩვენებდა: აქედან-აქამდის გაიზეპირეთო, და ჩვენც ვასრულებდით მის ნებას. იმას „ქალ-ბიჭას“ ვეძახოდით, დავცინოდით, მაგრამ ის თვალს გვარიდებდა. არაფერი გარეშე წიგნი არ იყო, რომ წაგვეკითხა; და რომ კიდეც გვეშოვა სადმე, წაკითხვის ნებას არ მოგვცემდნენ: „რაც კარგი რამეა – რიტორებაშია დაბეჭდილი, ის გეყოფათო“. ერთხელ ერთმა თამამმა მოწაფემ ჰკითხა: „რაც აქ არ არის მოყვანილი ამ წიგნში, მის მეტი პუშკინს არა დაუწერია რაო?“ „ეგ რა შენი საქმეაო?“ – მიუგო მასწავლებელმა. ყმაწვილი არ მოეშვა და კიდევ ჰკითხა: „პუშკინი უკეთესი მწერალია, თუ გერცენიო?“ წამოვარდა შეშინებული, დაიცვა თითები ყურებში და გააბა ყვირილი: „აქ არ ვყოფილვარ, არა გამიგონია რა, არცა გითქვამს რაო“... და ამგვარად გავიდა კარში.

არანაკლებ ახირებული იყო იყო ლათინური ენის მასწავლებელიც – ძალიან კარგი, მშვიდობიანი და ბეჯითი მასწავლებელი; ბუზის ეშინოდა და, მახარობელას რომ ბზუილი დაეწყო, იმას გული უწუხდა. ეს რომ იცოდნენ მოწაფეებმა, თუ რომელიმე მათგანმა გაკვეთილი არ იცოდა, მოიყვანდა უცბად მახარობელას და ჩუმად გაუშვებდა კლასში; მასწავლებელი დაფრთხებოდა, მოსწავლეები წამოვარდებოდნენ ზეზე, ზოგი სტოლზე შეხტებოდა, ზოგი ამ ბუზს დაუწყებდა ვითომდა კლასიდან გამოდენას; ხან ერთ კუთხეში მიაგდებდნენ, ხან მეორეში და ამასობაში კლასიც თავდებოდა.

ცხადია, რომ ამგვარ პირობებში ჩაყენებული მოზარდი თაობა ვერას გამოიტანდა ბევრს გიმნაზიიდან, რომ ამ საზარელ ბნელში ერთი ნათელიც არ გამოგვჩენოდა. ის იყო პოლონელი როდზიევიჩი, რომელიც ჯერ პროფესორად ყოფილიყო, მაგრამ ლოთობის გულისათვის დაეთხოვათ და სტავროპოლში ეშოვნა ინსპექტორობა. მერე იქიდანაც გაეგდოთ და ჩვენში გადმოიყვანეს მათემატიკის მასწავლებლად. ეს ლოთი მასწავლებელი ყურადღებასაც არ აქცევდა თავის საგნებს, არც ალგებრას, არც

გეომეტრიას, არც ტრიგონომეტრიას და არც ფიზიკას; ჩვენს ნებაზე მოაგდო მათი სწავლა და ჩვენ, როცა გაგვიძნელდებოდა გაგება რამესი, მაშინ დავეკითხებოდით და მშვენიერადაც აგვიხსნიდა ხოლმე. საკვირველია, რომ მისი საგანი ყველაზე უკეთ ვიცოდით. რაღაი შეგვატყო, რომ გონება-დახშული და განუვითარებელი არიანო, სულ სხვა რამეებზე გვესაუბრებოდა და ცდილობდა ჩვენს გამოფხიზლებას. იმ ხანებში გამოაცხადეს, რომ ვისაც უნდა რუსეთში წასვლა და უმაღლეს სასწავლებელში შესვლა, იმან ლათინური უნდა ისწავლოს და, ვისაც მხოლოდ გიმნაზიის გათავება უნდა, იმან სჯულის-კანონი შეისწავლოს და, თუ პირველ შეგირდად გამოვა, ჩინსაც მიიღებსო. ჩინს მაშინ დიდი მომხიბლავი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ ყველა ჩემმა ამხანაგებმა, თუმცა ზოგი მათგანი ვერც კი წავიდოდა რუსეთში სიღარიბის გამო, ლათინური ირჩიეს. ერთმა მათგანმა მხოლოდ და მეორემ მეც სჯულის-კანონის შესწავლა მოვინდომეთ, ჩინის სურვილით წარტაცებულებმა. იმ ხანებში რუსული ენის მას-წავლებელმა გვიბრძანა: აიღეთ, რაც გინდათ, და თქვენდა თავად თხზულება დასწერეთ, მაგრამ დიალოგებად კიო. მე ავიღე და დავწერე ერთი ახირებული რამ. მასწავლებელმა რომ წაიკითხა, ინსპექტორს გადასცა და მას საპედაგოგიო რჩევაში წარედგინა და ეთქვა: „ამის დამწერი, თუ ახლავე არ აილაგმა, არ ივარგებსო!“ რჩევაზე როდზიევიჩს გამოედვა თავი: მაგის დამწერი კარგი ვინმე გამოვა და, გაწყრომა კი არა, მოფერება ეჭირვებაო. მე ვთხოულობ, რომ იმას ძალა დაატანოთ – ლათინური შეისწავლოს და მაღალ სასწავლებელში სადმე შევიდესო, მჭერმეტყველებამ გაიტაცა, გადაიყოლია ზოგიერთები სხვებიც და დირექტორმაც ბანი მისცა. შემიხმეს მეც.

– ეს შენი დაწერილიაო? – მკითხა დირექტორმა.

– დიახ, – ვუპასუხე ცოტა შემკრთალმა.

– მერე როგორ გაბედე, რომ მთავრობის მოსამსახურე პირებს ასე ცუდად იხსენიებ?

– ის გადამდგარი ჩინოვნიკია.

– სულ ერთია, უპატიურად შეხება მაინც არ შეიძლება! ის დამსახურებული იქნებოდა და პენსიაც ექნებოდა, – დაუმატა მრისხანედ ინსპექტორმა. – წაიღე და გადაასწორე სხვანაირად!

– თუ მხოლოდ ეგ არის წუნი, ეგ ადვილია: წავშლი სიტყვას „გადამდგარი“ და დავწერ „გამოგდებულს“. გამოგდებული, თუ კარგი ყოფილიყო, ისევ სამსახურში იქნებოდა. დირექტორმა გაიცინა და გამიშვა. იმ დღიდან მეც ლათინურზე გადავედი. ამის შემდეგ კიდევ უფრო შემიყვარა როდზიევიჩმა და განსაკუთრებულ ყურადღებას მაქცევდა. საკვირველი იყო მისი საქმე: ისე გაჟღენთილი ჰქონდა გვამი არაყით, რომ ხანდახან, კიდეც რომ არ დაელია, ისე თავისთავად მოუვლიდა სიმთვრალე. ერთხელ მოუარა გაკვეთილების დროს და მოწაფეს, რომელიც დაფასთან იდგა და გეომეტრიულ სახეებსა ხატავდა, – მიაყვირა: „აბა, ჩამოუარე ლეკურიო!“ – და ტაშის კვრა დაიწყო. გაშეშდა მოწაფე. ჩვენც შევწუხდით, მაგრამ იმან მაინც თავისი არ დაიშალა: „როგორ თუ შენ ნაციონალური ცეკვა გეზიზღებაო?! არ იცი, რომ ხალხურ სიმღერებსა და ცეკვაში მისი გული და სული იხატება? აი, ლეკურიც ხომ ქართულია, ცოცხალი რამ არისო!“ დაუკრა ვითომ თვითონ ლეკური, მერე გადავიდა მაზურკაზე: „აი ესეც ჩვენი გამოგონილი თამაში და შეუპოვარი მაზურკაო! და ახლა ესეც ნახეთ, რასა ხატავსო“ და დაუარა „ტრეპაკა“, უწმაწური გინებით შეკაზმული. ბოლოს შეჩერდა, დაავლო ქუდს ხელი და გავარდა კარში. ჩვენ ღმერთს მადლი შევწირეთ, რომ არც დირექტორი, არც ინსპექტორი და არც სხვა ვინმე არ შემოგვსწრებია. ისე შეგვებრალა, რომ არ ვიცოდით, გვეცინა თუ გვეტირა! მესამე დღეს დარცხვენილი შემოვიდა. დიდხანს ხმას არ იღებდა ბოლოს დაიწყო:

„ყმაწვილებო! ძველ დროში საბერძნეთში განგებ დაათრობდნენ ხოლმე მონებს და მათ უსაქციელობას თავის შვილებს აყურებინებდნენ, რომ მათთვის თვალ-დათვალ დაენახვებიათ, თუ რა საძაგლობაა – კაცი რომ დათვრება, გონებას დაჰკარგავს და პირუტყვს დაემსგავსება. გუშინწინ მე დაგანახვეთ თქვენ ამგვარი რამ. ეცადეთ, რომ გაუმაგრდეთ ცხოვრებას, აიტანოთ გასაჭირი და ჩემსავით არ გაგაფუჭოსთ. რა ვარ ახლა მე? განა არ ვგრძნობ, რომ ფიზიკურად დამახინჯებული ვარ? მაგრამ მაინც, მადლობა ღმერთს, ამ ფიზიკურმა დამახინჯებამ სული და

გული წმინდად, შეუბღალავად შემინახა“. კლასის გამოსვლამდე სულ ამნაირად გვემუსაიფა და მოგვშორდა. ჩვენ თითქმის ყველა ვტიროდით და იმ დღიდან კიდევ უფრო გვებრალებოდა.

უკანასკნელ კლასში რომ გადავედით, მე ფრანგულის მასწავლებლის მუსიე ტურესის სახლში ვიდექი. ამ მუსიე ტურესს ყმაწვილები „მოსე ტურას“ ეძახდნენ. ერთხელ საღამოს სტუმრად შემოჰყვა როდზიევიჩი; დაჯდენ ორი მარტო და ჩაის დაუწყეს სმა. სტუმარმა რომი მოითხოვა, თვითონაც დაისხა და მასპინძელსაც დაუსხა. შეჰყვნენ ნელ-ნელა მუსაიფს. შეზარხოშებულმა ფრანგმა დიდი რევოლუცია მოიგონა და აღტაცებით დაიწყო ლაპარაკი. სტუმარმა პოლონეთი გაიხსენა, და მოხსნეს თავი სიფრთხილეს, მით უფრო, რომ იქ იმ ორისა და ჩემს მეტი არავინ იყო. მე ჩემთვის კუთხეში ვიჯექ, ასე რომ, მგონი, ვერც კი შემნიშნეს. იმათმა აბდაუბდა საუბარმა ისე გამიტაცა, რომ რაღაც უჩვეულო სასუფეველი ვიგრძენი, სმენად გარდავიქეცი. ბოლოს სთქვა ამოოხვრით როდზიევიჩმა: „ახლა რაღა დროს, ვწუხვარ, რომ სამხედრო სამსახურში არ შევედი, რომ სარდალი გავმხდარიყავ და მარჯვე დროს ქვეყნისათვის კონრადივით სამსახური გამეწია!..“

ეს რომ ჩამეწვეთა ყურში, ჩემი თავი ვეღარ ვიცანი! იმ ღამეს აღარ დამეძინა. ვამბობდი: „რა მინდა უნივერსიტეტში? რა კარგი იქნება სამხედრო სამსახური? ოდესმე სარდალი გავხდები! რაც ადრე შევუდგები საქმეს, ის აჯობებს, და ამ ერთ წელიწადს მაინც ხომ, უკანასკნელს კლასში, ახალს რას გვასწავლიან, ძველებს გვამეორებინებენ, – და გამოვალ, არსად არ წავალ-მეთქი“. გადავწყვიტე და გამოვუცხადე მამაჩემს ჩემი სურვილი. მამას ძალიან იამა: „შენი ნებაა, შვილო! მე შენი ხნისას ცოლი მყავდა და ოჯახს ვეკიდეო“. მაშინვე გამოვედი სასწავლებლიდან, რითაც ყველა გავაკვირვე და დილიდან საღამომდე როდზიევიჩს აღარ ვშორდებოდი. ოთხი თვე დავრჩი, მაგრამ ეს ოთხი თვე უფრო ნაყოფიერი იყო ჩემთვის, ვიდრე რვა წელიწადი გიმნაზიაში მყოფობის დროს. დამდეგ მაისს გამოვეთხოვე დედ-მამას, იმერეთს და დავადექი გზას. სრულიად გამოუცდელს ცხოვრებაში, ბევრის არმცოდნეს და

სრულიად არაფრის მნახველს უნდა ზღვა გამევლო, ხმელეთი გადამელახა და ერთი ბიჭის ამარა ჩავსულიყავ პეტერბურგში, სადაც ჩემი ძმა მეგულებოდა „კანვოი“-ში მოსამსახურედ.

III

ქვეყანაში თვალგაუხელელი, ცხოვრებაში გამოუცდელი და ოცნებით გაბერილი, აპრილის დამლევს დავადექი რუსეთის გზას. ორპირამდე (მარნამდე) ცხენით ვიარე, იქ ნავში ჩავჯექ და მივანდვე თავი გადარეულ რიონს. ფოთამდე ორ დღეს მოვუნდი სიარულს; აქაც სამ დღეს დავრჩი, დავესწარ ფოთის კურთხევას და მერე კი სამხედრო ცეცხლის გემით გავეშურე ოდესისაკენ. პეტერბურგში პირდაპირ მიმავალისათვის, რასაკვირველია, ხმელეთით წასვლა უფრო მოხერხებული იყო და არც ისე საშიში, როგორც ზღვით, მაგრამ ამ გზით მიტომ გამისტუმრეს, რომ იქ ვარანცოვის ქვრივი ეგულებოდათ და მისი ნახვა დამავალეს. იმ დროს საზოგადოდ ქართველებს ისეთი სიყვარული და ხსოვნა ჰქონდათ ვარანცოვის, რომ, თუ რუსეთში მყოფი, ან მიმავალი ქართველი ვარანცოვის ქვრივს არ გაუვლიდა და არ ნახავდა, ვერც კი წარმოიდგენდნენ. ჩემმა მშობლებმაც მიტომ დამავალეს, რომ უთუოდ მივსულიყავ კნეინასთან და მათ მაგიერ მოკითხვა გადამეცა; ძღვნად – მისართმევადაც ერთი დიდი გიშრის ჯვარი, ზედ ჯვარცმაგამოსახული გამატანეს. ჩემს ოცნებაში ზღვაცა და ხმელეთიც ნამდვილზე მეტად მქონდა წარმოდგენილი და მიტომაც აღარა გამკვირვებია რა!.. გართობით კი ისე გამართო ახალ-ახალ, უცხო სანახაობამ, რომ დროს ვეღარ ვგებულობდი. ჩემი პოეტური ოცნება ისე გაიზარდა მგზავრობის დროს, ისე აჭრელდა და აფერადდა, რომ გაბრუებულმა ცა და ქვეყანა, ზღვა და ხმელეთი საჭადრაკო ფიცრად გავიხადე და ჩემ ნება-სურვილზე ვახტუნებდი მეფესა და ლაზიერს. რას მივხვდებოდი მაშინ, რომ გამოუცდელობა მატყუარა ნატვრის თვალია?!..

ვარანცოვის კნეინამ შვილივით მიმიღო და დედა-შვილურად მომექცა. გამომკითხა ყველას ამბავი და ბოლოს, გიშრის ჯვარი რომ გადავეცი, დიდი სიამოვნება დაიმჩნია. „ვახსოვართ ქართველებს და სჩანს, რომ ჩემ ქმარს მალე არ დაივიწყებენო!“

„სანამ საქართველოს სახსენებელი არ მოისპობა, ვარანცოვის სახელიც არ დავიწყდება-მეთქი“, წამოვიკნავე მე ეს უფროსებისგან ჩვენში ბევრჯერ ნათქვამი და ჩემგან გაგონილი და გულში ჩარჩენილი სიტყვები.

მოხუც კნეინას ცრემლი მოერია, ღიმილით შემომხედა და მაკოცა. ჩემი მიტანილი ჯვარი სტუმრების ხელიდან ხელში გადადიოდა. ყურადღებით სინჯავდნენ; გიშერი შავი ქარვა ეგონათ და მოსწონდათ, მაგრამ ჯვარზე გამოქანდაკებული ქრისტეს სახე, როგორც ეტყობოდა, ვერ აკმაყოფილებდა მათ ესთეტიკურ მოთხოვნილებას. ერთ სტუმარ ქალთაგანს მიუბრუნდა კნეინა და უთხრა: იტალიაში ხომ არა გგონიათ თქვენი თავი? ნუ დაივიწყებთ, რომ ამისთანა რამეებს უბრალო მეგიშერეები აკეთებენ იმერეთში! ისინი გლეხები არიან და არსად რამე უნახავთ გარდა გარდამოხსნისა და ხატებისა ეკლესიაში; მათი სამხატვრო გალერია, მათი შკოლა – მარტო ბუნებაა საქართველოსი, მაგრამ ბუნება საოცნებო და აღტაცებაში მომყვანი. ეს უბრალო ხელოვნება განა არ ამტკიცებს, რომ იმათ, თუ გარემოებას ხელი არ შეეშალა მათთვის, თვისი საკუთარი რაფაელები და მიქელ-ანჯელოები ეყოლებოდათ? განსვენებულ თავადს აღტაცებით უყვარდა ქართველები, დიდ პატივსა სცემდა მათ წარსულს და მომავალზე იმედობდა. სულ იმას ამბობდა: ეს პატარა საქართველო დიდ რუსეთის ქარგაში უმშვენიერესი ფერადი და უმტკიცესი ოქრო-ქსოვილი იქნებაო! მხოლოდ ჩვენ კი უნდა მივუშვათ ნებაზე, ვუწინამძღვროთ და გარედან ხელი შევუწყოთო.

ერთი საათი მეტი ილაპარაკა სულ ქართველებზე და საქართველოზე. წასვლა რომ დავაპირე, გამოთხოვების დროს ღიმილით მითხრა: აი, ახლა თქვენ, ახალგაზრდა ქართველებმა, უნდა გაამართლოთ ჩემი ქმრის იმედებიო! მერე მკითხა: რამდენ ხანს დარჩებით ოდესაშიო? და რომ მოვახსენე: რამდენიმე

დღეს-მეთქი, მეორე დღისთვის სადილად დამპატიჟა, ორმოცი წელიწადი მეტია მას აქეთ, მაგრამ ასე მგონია, თუ ეს ყოველიფერი ახლა იყო-მეთქი, ისე ნათლად ჩამრჩა მისი ალერსიანი სახე გულში და სიტყვებიც ტკბილად ყურში მიწივიან.

სასახლიდან დაბრუნებულმა მთელი დღე ოდესის დათვალიერებას მოვანდომე. ბევრი საუცხოვო რამ ვნახე, მაგრამ დიდად არ შემიმჩნევია: არც მრავალსართულიანი სახლები, არც განიერი ქუჩები და არც ზედმავალ ხალხის გაცეტებული მისვლა-მოსვლა. მე მხოლოდ ბოღოზში თავმოყრილმა გემებმა გამაოცეს!.. „ან რა მიაქვთ, ნეტავი, ამდენი და ან რა აქვთ წასაღები, რომ ზღვაზე ძლივს ეტევიან-მეთქი?“ ვამბობდი გუნებაში და თანაც გულს ვაყოლებდი ზღვის ფრთვინვას. მეორე დღეს, ვარანცოვის კნეინასთან რომ ვეპირებოდი წასვლას, სწორედ იმ დროს, სასტუმროს მსახურმა შემომიტანა წერილი. ექიმი ანდრიევსკი მწერდა: კნეინა ავად გახდა, დღეს აღარავის მიღება არ შეუძლია და მის მაგიერ მე გთხოვთ, ჩემთან მოხვიდეთ სადილად. მით უმეტესად, რომ კნეინა ვარანცოვის დავალებით ერთი რამ უნდა გადმოგცეთო! მე მისი ადრესი არ ვიცოდი და შევწუხდი, მაგრამ გამოდგა, რომ თავისი საკუთარი კარეტა გამოეგზავნა ჩემთვის. მეც ჩავჯექი და ვეახელი.

ანდრიევსკი ვარანცოვის სასახლის საკუთარი მკურნალი იყო, შინაური კაცი, და, სადაც უნდა ყოფილიყო ვარანცოვი, ყველგან თან ახლდა. ცოლად ჰყავდა ქართველი ქალი, თავად თუმანიშვილისა. ქართველები დიდ პატივსა სცემდნენ და ისიც მათ სიყვარულს იჩენდა უეჭველია, რომ ვარანცოვის დროსაც იქნებოდნენ ქართველების მოძულარი რუსები, მაგრამ ვერ გაბედავდნენ გამოცხადებას!.. საზოგადოდ ხელქვეითები უფროსის ნება-სურვილს უთანხმებენ თავის გრძნობა-გონებას... ფარისევლურად ხელში იჭერენ ორივეს რიკტაფელსავით და, დროს აყოლით, ხან მარჯვნით გაჰკვრენ, გააზუზუნებენ ხოლმე და ხან მარცხნით. ანდრიევსკი კი არ ეკუთვნოდა ამგვარ ხელქვეითთაგანს...

ცოლ-შვილის მოყვარული და მოალერსე, ანდრიევსკი, როგორც ყველგან, ისე ოდესაშიაც ხელგაშლილად ცხოვრობდა. იმ

დღესაც, მე რომ ვეწვიე, სახლი სტუმრებით აევსო. ჩვეულებრივს მოსალმების შემდეგ, ანდრიევსკის მეუღლემ ბოდიში მოიხადა ვარანცოვის კნეინას მაგიერ და გადმომცა რაღაც ქაღალდში გრძლად გამოხვეული ლეღვის ჩირივით: „ეს იმან გამოგიგზავნათო!“ ხელში რომ ავიღე, მემძიმა. ვნახე, რომ სულ ბაჯაღლო-ოქროები იყო. გავწითლდი, ჭირის ოფლმა დამასხა და სხვებს კი უთუოდ ეგონათ, სიხარულმა აიტაცაო. ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ მადლი გადვუხადე და საჩუქარი უკანვე დავუბრუნე. „სწუნობო? – შეკრთომით მკითხა ანდრიევსკის მეუღლემ: – საჩუქრის მიუღებლობა ვის გაუგონიაო? ეს სახსოვრად გამოგიგზავნა კნეინამო“. დაწუნება რა ბრძანება არისმეთქი? – მოვახსენე. – სახსოვრად რომ სხვა რამე ებოძებია, დიდის სიმდაბლით და მადლობით მივიღებდი, მაგრამ ფული კი სწორედ არ მეხერხება-მეთქი. – სტუმრებმაც და მასპინძლებმაც გაოცებით დამიწყეს ყურება. ცხადია, უგნურ ბრიყვად ჩამაგდეს, მაგრამ თვითონ ანდრიევსკიმ კი სიცილით უთხრა ცოლს: „ბაბალე, აკი გითხარ, რომ არ მიიღებდა?!“

„მაგას ჯერ ისევ საქართველოში ჰგონია თავი, ასე მალე მამა-პაპის წესსა და რიგს ვერ მოიშლისო“. მერე მოვიდა ჩემთან, ბეჭზე დამადვა ხელი და ღიმილით მითხრა: „ჩემო ახალგაზრდა მეგობარო! ტყუილა ნუ დაგირცხვენია, აქ საწყენი არა არის რა! ჩვენში ეს მიღებულია და ხომ გაგიგონია თქვენებური ანდაზა: „რა ქვეყანაშიაც მიხვიდე, იმ ქვეყნის ქუდი დაიხურეო“. ისიც მართალია, ვინც გაჩუქა და შენც მართალი ხარ, რომ არ მიიღე ეს საჩუქარი. ამას მე უკანვე გადავსცემ კნეინას, ვუამბობ ყოველიფერს და ბევრსაც ვაცინებ, მაგრამ მხოლოდ პირობით კი: ერთი წელიწადიც არ გაივლის, რომ შენ სულ სხვა თვალით შეხედავ ცხოვრებას, დღევანდელ შენს შეცდომას იგრძნობ და მაშინ სიტყვა მომეცი, რომ მომწერო და შემატყობინოო!..“ მართლაც, წელიწადს კი არა, ოთხ თვესაც კი არ გაუვლია, რომ ვიგონებდი ამ შემთხვევას და გუნებაში ვამბობდი: რა გამოუცდელი ვიყავმეთქი?! გულიც კი მწყდებოდა, მაგრამ აღარ მიმიწერია რა ანდრიევსკისათვის.

სტუმრებში, იმ დღეს, იქ ერთი ვიღაც პუწკია ახალგაზრდა ერია, სულ საულვაშეზე ისვამდა ხელს. ის მოვიდა, მომიჯდა გვერდით და ჩამეკითხა:

– გეტყობათ, თავადო, რომ ბევრი ფული მიგაქვსთ თან?

– რატომ არა?!

– მაინც?

– ხუთასი ათასი? – ეს რომ მითხრა, მე გიჟი მეგონა და სკამი უკან დავაჩოჩე და საჩქაროდ მივაძახე, ხუთასი მანეთი მეთქი.

– ხუთასი მანეთი? – გამიტრიზავა – მერე და ეგ რას გეყოფათ?

– გზაში მეტი არ მომინდება და მერე თვიურად გამომიგზავნიან სახლიდან.

– რამდენს?

– ხუთ-ხუთ თუმანს თვეში.

– მერე ეგ განა კმარა?

– საქეიფოდ კი არ მივდივარ!..

– მაშ კიდეც მოგრჩებათ!.. – მითხრა კიდევ დაცინვით და გადახედა სხვებს. ზოგიერთებმა ღრეჭა დაიწყეს. მივხვდი, რომ მე დამცინოდენ და ცეცხლი მომეკიდა. მეტი ვეღარა გავბედე რა, და მეც სიცილით ვუთხარი:

– მე საქმეზე მივდივარ, საქეიფოდ დროც არ მექნება, და, რასაკვირველია, მეყოფა თვეში ხუთი თუმანი. ნათქვამია: „კაცია და გუნებაო!“ თქვენ თავს კი ნუ მადარებთ!.. თქვენ როგორც გეტყობათ, სულ სხვა ბრძანდებით! როგორც ვხედავ, ხუთი თუმანი თვეში მარტო ულვაშებზე მოგინდებათ! — ამის თქმა და ზოგიერთი ქალების გადახარხარება ერთი იყო!.. ჩემი მოსაუბრე გაწითლდა, ხელები მოაშორა საულვაშეს, ზეზე წამოდგა, რაღაცას თქმას აპირებდა, მაგრამ სახლის პატრონმა აღარ აცალა, ჩაგვერია სიტყვაში: გრაფო! გრაფო! საზოგადოდ ქართველ კაცთან ფულზე ლაპარაკი უადგილოა. ეგენი ფულს სულ სხვა თვალით უყურებენ, ვიდრე ჩვენ, მაგათ თვალში ფულს ფასი არა აქვს. ცხოვრება უზრუნველი აქვსთ და მოთხოვნილება უფულოდაც დაკმაყოფილებული. ყოველივე საჭირო რამ თავის სახლშივე აქვსთ, გარედ ფეხის გადგმა არ ეჭირვებათ: საჭმელი, სასმელი, ტანი, ფეხი, იარაღი, საქონელი, ნივთები და სხვანი... ასე

გასინჯეთ, რომ კოლონიალური წვრილმანებიც უსასყიდლოდ მოუდისთ! გვარი-შვილებს თავის საკუთარი ვაჭრები ჰყავთ ყმებად, სომხები და ურიები, და ისინი იხდიან, რაც კი ბატონებს დასჭირდებათ: ჩაი, შაქარი, ყავა, ბრინჯი, სანთელი, ზეთი და სხვადასხვაგვარი სასმელები და სხვანი... თუმცა მაგათ საჩხერეში არა ვყოფილვარ, მაგრამ ვიცი, რომ წერეთლებს თავის საკუთარი ბაზარიცა აქვსთ. ფული ქართველს საზანდრისთვის საჩუქრად, ან ეკლესიების შესაწირავად თუ დასჭირდება, თვარა სხვად რად უნდა? ფულის საჭიროებას საიდან შეისწავლიდენ? ერთს საანეგდოტო, მაგრამ ნამდვილ ამბავს კი გეტყვით და ყური დამიგდეთ:

ერთი ქართველი დიდი-კაცი, გამოჩენილი გვარიშვილი, რომელიც თეირანშიაც ბევრჯელ ყოფილიყო და სტამბოლიც რამდენჯერმე ჰქონდა მოვლილი, რომ გარდაიცვალა, რასაკვირ-ველია, ყოლიფერი შვილებს დაუტოვა. ორი შვილი დარჩა. უფროსი უცოლ-შვილო იყო, უმემკვიდროდ უნდა გადასულიყო და გაყოფის დროს უმცროსს ძმას უთხრა: მე მაინც მარტოხელი კაცი ვარ, ყმა და მამული ღმერთმა შენ მოგახმაროსო. მე, ქალაქში რომ ქარვასლაა, ისიც მეყოფაო, თუ ფულებსაც, რაც დარჩა, დამასაკუთრებო. უმცროსიც, რასაკვირველია, დიდის სიამოვნებით დაეთანხმა. გაიყარნენ სიყვარულით, მშვიდობიანად. უფროსი გადავიდა ტფილისში, დადგა თავის ქარვასლაში, გახსნა ოქრო-ვერცხლით სავსე სკივრი და მიჰყო ხელი ცხოვრებას. ყოველ დილა-საღამოს გააღებდა ზანდუკს, დასჩერებოდა ფულებს და ამბობდა სიცილით: ვინ გამოლევს ამ ეშმაკის გაჭედილებსო!.. დახარჯვა არ უნდაო?.. გაიგეს ქალაქელმა ვაჭრებმა და მივიდენ, სთხოვეს, „ხელი გაგვიმართეო“. რასაკვირველია, უარს არავის ეტყოდა!.. ვისაც რამდენი უნდოდა, მიჰქონდა, ვაჭრები რომ ბაზრობიდან დაბრუნდებოდენ ხოლმე, საჩუქრები მოჰქონდათ თავადთან და ისიც ამბობდა თავის გუნებაში: ასე არა სჯობიაო? მე მადლი და საჩუქარი, და ისინი კი ხელს იმართავენო. როცა თავისი საკუთარი ექნებათ და ჩემი აღარა დასჭირდებათ – რა, ჩემსას მადლობით დამიბრუნებენო. ნუ დაივიწყებთ, რომ ფულებს რომ აძლევდა, ცარიელ სიტყვას ენდობოდა, თვარა, არა თუ

საბუთებს არ იჭერდა ხელში, მოწმეებსაც არ ისწრებდა!.. „ვინ გამიბედავს, რომ უარი შემკადროსო?“ და მართლადაც ვინ გაუბედავდა? იმ დროს რომ ქართველს ვაჭარი ოთხში ამოეღო, ვინ რას ეტყოდა, და ან ვის გაუკვირდებოდა?.. ბოლოს, როცა ჩვენს ხელში გადმოვიდა საქართველოს სვე-ბედი და წეს-წყობილებაც შეიცვალა, ვაჭრებმა ყველაზე უმალ გამოახილეს თვალი და ქართველ თავადის მოვალეებმაც უარი სტკიცეს ფულის პატრონს: ჩვენ არა ვიცით რა, და თუ ვინმემ ისესხა თქვენგან, საბუთიც ხელში გეჭირებათ და წარმოგვიდგინეთო! განრისხდა თავადი, ეუცხოვა. მაგრამ ფულის დაკარგვას კი არ სწუხდა, უარის თქმა როგორ გამიბედესო! მიმართა მთავ-რობას, მაგრამ მათგანაც იგივე პასუხი მოისმინა! „დალახვროს ღმერთმაო, – სთქვა, – ვინ იფიქრებდა, თუ ამისთანა უპირო-ბა შემოვიდოდა ჩვენშიო? კიდევ მადლობა ღმერთს, დანიბე-გიშვილების საბუთი მაინც მიჭირავს ხელში... ის ცოტა პირ-გატეხილი კაცი იყო და უგირაოდ ვერ ვანდე ათასი ოქრო!“ უჩივლა სასამართლოში დანიბეგიშვილებს. თვითონ მსესხე-ბელი აღარ იყო ცოცხალი და, შვილებმა რომ დაინახეს, თავადი ჯიბეში იყოფს ხელს საბუთის ამოსაღებადო, მკვდრის ფერი დაედვათ!.. ქართველმა ამოიღო პატარა ქაღალდი ათას-გვა-რად დაკუჭნული და დადვა მაგიდაზე. გახსნეს. ნახეს, და რა გამოდგა? ერთი ღერი ულვაში!.. აი ეს მამი-თქვენის ულვაშის ღერია და გირაოდა მაქვსო. მსაჯულებმაც და მოპასუხეებმაც, რასაკვირველია, სიცილი აიტეხეს და ქართველი კი ბედსა სწყევლიდა: „ჰაი, ამისთანა დროს! ახლანდელ კანონს, სა-მართალს, ნამუსსა და პირის-წყალსაო!!“ ქალაქელი ვაჭრები დღესაც კიდევ სიცილით ამბობენ: „დანიბეგიშვილისთანა ძვირ-ფასი კაცი ქვეყანაზე არ ყოფილაო: ერთი ღერი იმის ულვაში ათას ოქროდ გაიყიდაო!“

– ეგ კარგია, – გააწყვეტინა სიტყვა გრაფმა, – მაგრამ არ ამტკიცებს, რომ იმ დროს, ქართველები ველურ მდგომარეობა-ში ყოფილან და ცხოვრების არა გაგებიათ რა?

– მართალია, გრაფო, – უპასუხა ნაღვლიანად ანდრიევსკიმ, – მაგრამ შემოტანილმა ცივილიზაციამ მალე გამოიყვანა იგინი მაგ მდგომარეობიდან და ბიჯი წინ წაადგმევია შორს წასასვ-

ლელად. სწორედ იმ ახირებულის ქართველის შვილის-შვილმა გამოიჩინა ცივილიზაციის შვილობა და, ფოსტა რომ გასტეხეს ავაზაკებმა, ისიც შიგ ერია! განსვენებულმა ვარანცოვმა ცრემ-ლები გადმოჰყარა: „ვინ ქართველი და ვინ ამისთანა უცნაური, უმაგალითო მათში საქმეო?..“ სამაგალითოდაც დასაჯა დამნა-შავენი: საუკუნოდ მადნებში მუშაობა მიუსაჯეს დიდსა და პა-ტარას, ყველას.

საზოგადოთ ქართველნი დიდად დარცხვენილები იყვნენ და ქალებმა ხომ თითქმის შავები ჩაიცვეს. დიდი კაცის ცოლე-ბი ერთხანად მგლოვიარედ იჯდენ, კარში აღარ გამოდიოდენ, ისე ეუცხოებოდათ ქართველისაგან ამგვარი საქციელი. „ვინ ქართველი და ვინ ავაზაკობაო? ვის გაუგონია დღემდე ჩვენში ამ გვარი რამეო? – იძახოდენ საზოგადოთ – ვაი შერცხვენილს, ვაი თავმოჭრილს!! მოგვეხადა ქუდი და შეგვირცხვა ულვაშე-ბიო!“ – და სხვანი!.. თავადმა ჰკითხა ერთხელ ქალებს: „ნუ თუ მაგრე დაგენანათ რამდენიმე კაცის ციმბირში გაგზავნაო?“ და კნეინა მანანა ორბელიანისამ ეს პასუხი მისცა ქართველი ქალების მაგივრად საზოგადოთ: „ისინი რომ სულ არ გაეჩინა ღმერთს ჩვენ შესარცხვენად, უკეთესი იქნებოდა, მაგრამ ჩვენ ის გვაწუხებს, რომ იმ შეჩვენებულებმა ქართველებს სახელი გაგვიტეხეს და სხვების სჯულზე და კვალზე წავიდენო!..“ ვარან-ცოვმა ხელზე აკოცა მანანას და ღიმილით უპასუხა: „კნეინავ, ნუ შესწუხდებით, თვითო-ოროლა ცუდი ყველგან ურევიაო. თვით მაცხოვარმაც ვერ აირჩია ისე თორმეტი მოციქული, რომ ერთი იუდა მაინც არ გამორეოდაო!.. იმან ქრისტე გაყიდა, მაგრამ ქრისტიანობას მითი ჩირქი არა მოსცხებია რა!.. იმედია, რომ სა-ზოგადოთ ქართველები თავისს ქრისტიანულ ზნე-ჩვეულებას უფროც განამტკიცებენ მომავალშიო“. მერე მომიბრუნდა და მიბრძანა: „ერასტ ივანიჩ! საქართველო სულ სხვა ბაღია და მის ყვავილებსაც სხვაგვარი მებაღეობა ეჭირვებაო!“

მასპინძელი დინჯად ლაპარაკობდა. მის გულიანად ნათქვამ ამბავს ყველა ყურს უგდებდა და მეც იმ პირველ ნახვისთა-ნავე ისე შემაყვარა თავი, რო მოშორება აღარ მინდოდა. მარ-თლადაც, რაც ხანი კი დავრჩი ოდესაში, ყოველდღე იმასთან ვიყავი. როგორც ცხოვრებაში გამოუცდელს, დარიგებას მა-

ძლევდა, მირჩევდა: „პეტერბურგში რომ ჩახვალ, ასე მოიქეცი და ამგვარადო“. მარტო რომ არ წავსულიყავ, ჩემის, ჩემსავითვე გამოუცდელ, მსახურის ანაბარად, თანამგზავრიც მიშოვა. ერთი მისი ნაცნობთაგანი მიდიოდა სწორედ იმ ხანებში მოსკოვს და იმას შემიამხანაგა, როგორც გამოცდილს, ჩააბარა ჩემი თავი და გამისტუმრა. ჩემი მსახური, რომელიც ლალად გამყვა რუსეთში, ერთხანად მეტად გართული იყო უცხო-უცხო სანახაობით, მაგრამ, ჩემი არ იყოს, გაკვირვებით არა გაჰკვირვებია რა!.. ერთხელ-ორჯელ კი ცოტა რამეზე შეკრთა გზაში, ეუცხოვა, მაგრამ ბოლოს იმასაც მიეჩვია და აღარას ამბობდა. – მაშინ რკინის გზა მხოლოდ მოსკოვსა და პეტერბურგს შუა იყო, სხვაგან კი რუსეთში ფოსტის გზით მიდი-მოდიოდენ. ჩვენც, რასაკვირველია, ფოსტის ცხენებით მივდიოდით. ერთხელ რაღაც უცნაური ჭყივლის ხმა შემოგვესმა: თითქო პირუტყვების ხროა სადმეო. რომ მივუახლოვდით, ერთი მინდორი გამოჩნდა, სადაც დამწკრივებულიყვენ რუსის დედაკაცები და ცელით ბალახს სთიბავდენ, თანაც უცნაურად გაჰკიოდენ. ის თურმე მათი მუშური იყო!.. იქაური ქალები მეტად ახირებულად იცმენ: გულ-მკერდი მოღეღილი აქვთ, კაბა მოკლეა, მუხლებამდიც ვერ უწევს და მუხლებს ქვეით შიშველ-ტიტვლებს სულ აღარ აცვიათ რა. ეს რომ დაინახა ჩემმა ივანემ, იკივლა: „არიქა, ბატონო, თვალები დახუჭეო!“ თვითონ მიიფარა თვალებზე ხელი და დაიწყო ჭუჭყუნი: „დალახვროს ღმერთმა ამისთანა ქვეყანა! აქ სად წამოვსულვართ, ამ უნამუსო ქვეყანაშიო!“ და სხვანი. – სწორე მოგახსენოთ, მეც მეუცხოვა იმგვარი ჩაცმულობა, მაგრამ თვალებზე ხელი კი არ მიმიფარებია. ჩემმა მგზავრმა რომ გამომკითხა: „რა მოსდის შენ მსახურსო?“ და ჩემგანაც პასუხი გაიგო, სიცილით კინაღამ მოკვდა; ჩააცივდა ჩემს ივანეს: „მაგრე ჩაცმული ცოლი რომ გყავდეს, არ გინდაო?.. მალე ბრძანება გამოვა, რომ თქვენმა ქალებმაც მაგრე უნდა ჩაიცვან ხოლმეო!“ „მანამდე არაფერი სჭამოს თქვენმა გვერდებმა“, მიაწყევლა ქართულად, და მერე რუსულად ჰკითხა: „ნეტავ ქალბატონებიც ასე იცმენო?“ „ხანდახანო!“ უპასუხა სიცილით და მერე მე მითხრა: „ყოველ ქვეყანას თავისი ზნე ჩვეულება აქვს, და ვისაც

არ უნახავს და არ გამოუცდია, რასაკვირველია, გაუკვირდებაო!“ თვითონ დიდ-გამოცდილად მოჰქონდა თავი, მაგრამ ერთ რა-მეში კი ვერც იმან გამოიჩინა დიდი გამოცდილება: ტულაში რომ მივედით, რკინის ქარხანაში წავიდა ლოგინის საყიდლად და მეც მაყიდვინა, თითქო პეტერბურგში კი აღარ ყოფილიყოს, და გზაში თრევით თავი შეგვაწუხებია. ქალებს გარდა იქაურმა ჩი-ტებმაც კი ჩააგდეს საგონებელში ჩემი მსახური: „ე, ხე რომ არსად არის, რაზე ჯდებიან და სად სძინავთ ამ ჩიტებსო?“ – ამბობდა გაოცებული. პეტერბურგში რომ მივედით და აღარ დაღამდა, ამანაც მეტად დააღონა. სწორედ ერთ თვეს მოვუნ-დით მგზავრობას. ჩემი ძმა პეტერბურგში არ დამიხვდა. კანვოე-ბი „ცარსკოე სელოში“ გადაეყვანათ და მხოლოდ მეორე დღეს წავედი მის სანახავად.

ჩემი ძმა თურმე უფრო ადრე მიმელოდა და, გზაში რომ და-მაგვიანდა, შეშინებოდა: ვაითუ რამე დაემართაო?! რომ მივედი, დიდად გაიხარა. იქ ჩემი ნაცნობი იმერლებიც ბევრი დამიხვდა და შემომეხვიენ გარს. ზოგი რასა მკითხავდა და ზოგი კიდევ რას!..

ბოლოს ყველამ მირჩიეს: „რადგან სამხედრო სამსახურში აპირებ შესვლას, აქ დარჩი, ჩვენთან: კანვოობას არა სჯობია რაო! ჩვენი სამსახური, სამსახური კი არ არის, ლხინი და ქეიფი-აო!“ მართლადაც, საზოგადოდ კანვოების და განსაკუთრებით ქართველების მდგომარეობა უსაქმური კაცისათვის სანატრელი იყო. კარგად სვამდენ, კარგად სჭამდენ, კარგად ეცვათ, დღეში რამდენიმე საათს ცხენებს აჭენებდენ, ათამაშებდენ და დანარ-ჩენ დროს აქეთ-იქით საქეიფოდ ინახავდნენ. როგორც კავკასი-ელებს, დიდ პატივსა სცემდენ საზოგადოდ, განსაკუთრებით ქალები. ბევრად უკეთესი მიღებული იყვენ ყველაზე ქართვე-ლები, როგორც დიდი ოჯახის შვილები და თვალ-ტანადობითაც არჩეულები.

ჩემს ძმას გამოვუტყდი, რომ მე, მართალია, სამხედრო სამსახური მსურს, მაგრამ მისთანა ადგილს მინდა შევიდე, სადაც სწავლის გაგრძობა შესაძლებელი იქნება, რომ ბოლოს ღენერლის შტაბში გამოვიდე, და თქვენი კანვოობა კი ხელს არ მომცემს-მეთქი. ჩემმა ძმამ მომიწონა და მითხრა:

„დღესვე, შადლუღიდან რომ დავბრუნდებით, ჩვენ უფროსთან, პეტრე ბაგრატიონთან, წაგიყვან და ის მოგცემს რჩევასა და დარიგებასაო“.

ორი საათი იყო ნაშუადღევის, რომ დაბრუნდა და წამიყვანა ბაგრატიონთან. სახლის პატრონმა ქართულად მომიკითხა, მე გავკვირდი და იმანაც სიცილით მითხრა: „განა ქართველი აღარა ggონივარო? დიდი ხანია რუსეთში ვარ და ცოტა დამავიწყდა, თვარა შენზე უკეთ ვიცოდი ქართული! შენც, როგორც იმერელი, უეჭველია, იმერული კილოთი უკიდებ და მე კი წმინდა ქართლური ვიცოდი. ტფილისში სააზნაურო სასწავლებელში ვსწავლობდი ერთად ტატო ბარათაშვილთან, პოეტი რომ იყო, და ბრალიც იყო ჩემი რუსეთში წამოსვლა და კორპუსში გადასვლა: გამიგონია შაირებით დიდ-კაცების ლანძღვა? აგვიყოლია ჩვენც, მისი მეგობრები: ის სწერდა და ჩვენ ვაგზავნიდით; როცა ფოსტალიონი მოვიდოდა ხოლმე ჩვენს სასწავლებელში, ჩვენ შემოვეხვეოდით გარს, უცბად ავუწევდით ჩანთის თავს, სადაც წიგნები ელაგა, და ჩავუდებდით ხოლმე ჩუმად ჩვენ გალექსილ წერილებს. ის რას მოიფიქრებდა, რომ ნახავდა ჩანთაში წერილებს? მიჰქონდა ადრესისამებრ. ერთი ალიაქოთი ატყდა ტფილისში! გამოძიება დაინიშნა. ბოლოს გაგვიგეს, დაგვიჭირეს და ბარათაშვილს ჰონორარად ოცდახუთი როზგი მიანიჭეს; ჩვენც იმდენივე გადაგვიწყვიტეს, მაგრამ მე გავიქეცი, გამოვედი სასწავლებლიდან, კორპუსში გამომგზავნეს და მას აქეთ აქა ვარ სამსახურშიო“. ამას გარდაც ბევრი რამ გაიხსენა საქართველოში მყოფობის დროიდან. მხიარულ გუნებაზე იყო. ცოლმა რომ მხიარულად ნახა, ჰკითხა: „კარგ გუნებაზე ხარ და უთუოდ შადლუღს კარგად ჩაუვლია?“

– სამაგალითოდ! – მიუგო სიცილით. – ხელმწიფე იმპერატორმა სამჯერ მიბრძანა მადლობა! და ეს მით უფრო სასიამოვნოა ჩემთვის, რომ ქართველების მიზეზით მოხდა.

– როგორ?

– ძალიან ისახელეს თავი საზოგადოდ! და ბურთი და მოედანიც დღევანდელი დღის აბაშიძეს, ამილახორს და ანდრონი-კაშვილს დარჩათ. გიორგი ნაკაშიძეც ხომ ვიცით რაც ცხე-

ნოსანია? ამხანაგები დასცინიან, მაგრამ მაინც კი სასწაული მოახდინა: უკანასკნელ ბურჯამდე რომ მივიდა და ცხენი უნდა გადაეხტუნებია იმასაც სხვებსავით, უეცრად ცხენი შეუჩერდა და თვითონ გადავარდა ბურჯს იქით.

– ახ!

– სულაც არა!.. ერთი კი გადატრიალდა ჰაერში და მერე რაღაც უცაბედად ფეხებზე დადგა კატასავით!.. არ დაცემულა. მაყურებლებს ეგონათ, თუ განგებ ქნაო, და ქების ტაში დაუკრეს!.. ხელმწიფემ ბრძანა, რომ აბაშიძე, ცხენზე მჯდომი, გადახატეთ და სურათი სასახლის გალერეაში ჩამოჰკიდეთო!

– საკვირველია, პირველ ხანებში ვინ მოიფიქრებდა, რომ ქართველები მაგისთანა ცხენოსნები გამოდგებოდენ! ხომ გახსოვს, როგორ ვარდებოდენ ხოლმე წამდაუწუმ?

– ყველაფერსა აქვს საზღვარი და ქართველის ვაშკაცობასა და მხედრობას არც ჰქონია საზღვარი და არც ექნება!

– ძველ დროში ქართველები განთქმული იყვნენ ცხენოსნობითაც ყველგან. დღევანდელ ქართველებსაც სისხლში აქვთ მამა-პაპური ღირსება, მაგრამ დრო აღარა თხოვილობს და უვარჯიშოდ არიან, ველარას ახერხებენ. აი ახლა: თათრები, ჩერქეზები, ჩაჩნები და ყაზახები რომ მოვიდნენ, მაშინვე კარგი ცხენოსნები იყვენ, მაგრამ მერე ვარჯიშობით მეტი აღარა შეუძენიათ რა! რაც იყვენ, ისევ იმად დარჩენ. ქართველებმა კი, რომ ივარჯიშეს, გაუსწრეს მათ. თათრების რაზმში რომ სახელგანთქმული ცხენოსანი იყო, ჰასრიბეგი, დღეს იმას ბევრი სჯობია ქართველებში; ასე გასინჯე, რომ ესეც აღარ ჩამოუვარდება! – ჩემ ძმაზე მიათითა. – თქვენ?.. თქვენ როგორი-ღა ცხენოსანი ხართ? – მომიბრუნდამე.

– დიდი არაფერი, – ვუპასუხე სიცილით.

– რატომ?

– მე ცხენებისათვის კი არ მიდევნია! წიგნები მეჭირა ხელში!

– შენმა ძმამ მითხრა, რომ გიმნაზიაში ყოფილხარ, და მაშ რატომ უნივერსიტეტში არ შეხვალ?

– სამხედრო სამსახური ამოვიჭერი გულში.

– ძმასთან გინდა ერთათ რომ იყო სამსახურში?

– არა!.. კანვოიში სამსახური არ შემიძლია!..

აქ ჩემმა ძმამ გადასცა ყოლიფერი ჩემი გულის პასუხი და ბაგრატიონმა მეორე დღისთვის დამიბარა.

მეორე დღეს მარტო დამიხვდა თავისს კაბინეტში. ჩუბინაშვილის ლექსიკონი გადაეშალა და სინჯავდა. მომისვა გვერდით და მკითხა: „გუშინ სხვებთან არ მინდოდა გამომეკითხა: რატომ არ გინდა, რომ ჩემთან შემოხვიდე კანვოიში და შენ ძმასთან ერთად იმსახურო? რას გაჩუმდი! მითხარი დაუფარავად, როგორც მამას“.

– მე ისიცა მწყინს, რომ ჩემი ძმა მანდ არის... მაგან თითქმის გაათავა გიმნაზია და მანდ კი მისთანა ქართველი უნდა შევიდეს, რომელმაც არა იცის რა და სხვა გზა აღარა აქვს. მე რომ შევხედე, მანდ ცუღლუტობის მეტს ვერას ისწავლის კაცი. – ღენერალმა გაიცინა და ბეჭზე დამადვა ხელი.

– დრო ბევრი აქვთ და, ვისაც სწავლა უნდა, განა ვერ მოახერხებს?

– კი, მაგრამ, სადაც სხვა ყველა ქეიფობს, იქ ერთი რას გააწყობს? ქვეყანა წამხედურობით კეთდება და წამხედურობითვე ირღვევა.

– ოჰო, შენ ფილოსოფოსი ყოფილხარ, როგორც გატყობ, და უმჯობესი არ არის, რომ უნივერსიტეტში შეხვიდე და სამეცნიერო გზას დაადგე? – მითხრა ხუმრობით. – სამხედრო სამსახური ასეთი რამ არის, რომ ბევრი მოცალება არ გექნება, სწავლა-მეცნიერებას გამოუდგე. აი მეც, მარიამ ნიკოლაევნას ქმარს, ლეიხტენბერგის პრინცს, ვახლდი ადიუტანტად; ის დიდი მეცნიერი კაცი იყო, ქიმიკოსიც იყო. მეც ვითომ შემიყვარდა მის ხელში მეცნიერება, მაგრამ მერე, დრო რომ აღარ დამრჩა, ჩამოვრჩი.

– ეგ ყოლიფერი ცხადია, მაგრამ მე სულ სხვა განზრახვით მივდივარ სამხედროში!..

აქ დაწვრილებით გავუზიარე მას, თუ რა იდუმალი განზრახვა მქონდა სამხედრო სამსახურში შესვლის...

რომ მომისმინა, გადამეხვია და მაკოცა: „ღმერთმა ჰქნას, რომ სურვილი შეგსრულებოდეს. მე დღესვე წავალ ჩემ მეგო-

ბარ კნიაზ შეხავსკოისთან. ის გვარდიის მსროლელ ბათალიონს უფროსობს, იმას ჩავაბარებ შენ თავს. მამასავით გიპატრონებს და სხვა მაშინ შენ იციო!..“ სადილად დამტოვა... ნასადილევსაც ბევრი რამ გამომკითხა... და წასვლის დროს მითხრა: „ახლა კრასნოე სელოში მიდის ჯარი, იქ შადლუღი იქნება, შემოდგომის დამდეგამდე აღარა იქნება რა!.. მაშინ მოდი ჩემთან, მე დაგაყენებ გზაზეო... მანამდე, ამ ორ-სამ თვეს კი, სხვაგან სადმე შეინახე თავიო“. ჩემმა ძმამაც, რადგანაც კანვოებიც წასასვლელები იყვენ, პეტერბურგს წამიყვანა და მიმიყვანა ქართველ სტუდენტებთან.

მაშინდელი სტუდენტობა სულ სხვანაირი იყო საზოგადოთ და ქართველებსაც, მათთან ერთად, სხვა ფერი ედვა... მეც მათთან სტუმრობამ მალე გადამიგდო გულიდან სამხედრო სურვილები და ძალაუნებურად მათ წრეში ამოვყავი თავი.

მეორე ნაწილი

I

ყირიმის ომმა თვალი გამოახელინა რუსეთს. პეტრე–დიდისგან გამოჭრილი სარკმელი მაშინ აიხადა და, როგორც იქმნა, ძალა-უნებურად შემოაშუქა განათლებამ ბნელეთში. თუ პარიზის ტრაქთატს არა, ბატონ-ყმობა, ეგების, დღესაც არ ყოფილიყოს გადავარდნილი რუსეთში. იმ დროს, ესე იგი, მესამოცე წლებში, იტალია და უნგრეთი სცდილობდენ განთავისუფლებას და ებრძოდენ ავსტრიას.გარიბალდი, მაძინი და კოშუტი გაუხდათ ყველა შეგნებულ მამულიშვილებს იდეალად. სწორედ იმ დროს გამოვიდა სარატოველი სემინარიელი ჩერნიშევსკი, ჩაუდგა სათავეში ჟურნალ „სოვრემენიკს“ და, დობროლიუბოვთან, ანტონოვიჩთან, ნეკრასოვთან და სხვებთან ერთად დასცა რუსეთს კიჟინა. ამოძრავდა რუსეთი. მაგრამ, როგორც

ახალმა გამოღვიძებულმა, ჯერ კარგად გამოურკვეველმა, ბარბაცი დაიწყო. მისი ხელ-ახლად დაძინება შეუძლებელი იყო! დააგდო ძველი გზა, დაადგა ახალს და, რასაკვირველია, როგორც ყოველიფერს ახალს, ამასაც ზოგი რამ შეცდომა მოჰყვა. ტყვილად კი არ არის ნათქვამი: „ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფიაო“. რაღაი კი ერთხელვე ზურგი უჩვენა ახლად გამოღვიძებულმა ძველს, ყველაფერს თვალი აარიდა, აღარც კარგი და სასარგებლო რამ სწამდა ძველთაგანი, ყველაფერი ბოროტად ეჩვენებოდა, და წინ – მომავალი კი, ყოველიფერი გაურჩევლად კარგი ეგონა. და მაშინ გაჩნდა, ტურგენიევისაგან აღნიშნული, ნიგილისტობაც. ეს ნიგილისტობა ბევრ – რამეს ჰგმობდა წარსულში, გაბედვით ებრძოდა და უშიშრად სდებდა თავს, მაგრამ გადააჭარბა და სამაგიეროდ უწმინდურობა, როგორც გარეგანი ისე შინაგანიც, შემოიღო: ქალებმა შენიშნეს, რომ ძველი დედები, უმეტესად, არას აკეთებდენ და მხოლოდ კოპწიაობას უნდებოდენ, პროტესტი გამოუცხადეს და თვითონ ხელი აიღეს კოპწიაობაზე, შეიკვეცეს თმები და გარეგან უყურადღებობით უწმინდურობამდე მივიდენ. მერე ამ გარეგნობას შინაურობაც მოჰყვა და წაიტეხეს ფეხი. მართალია, ეს საზოგადოდ არ ითქმოდა, მაგრამ მე აქ უმეტესობაზე ვამბობ და მის შიშით, რომ ნამდვილ მარგალიტზე თაღლითი მეტია, ნამდვილი მარგალიტი ვის დაუგმია?.. კაცებმა, ზოგმა წამხედურობით და ზოგმაც „მგონიაობით“, მეტიც ჩაიდინეს ქალებზე. იმ ხანებში თავისი საკუთარი აზრით მოქმედება სახიფათო იყო და, რომ გამოჩენილ ტურგენიევს საზღვარ-გარეთ არ გაესწრო, ვინ იცის, რა მოუვიდოდა რუსეთში?

ამ ახირებულობის დროს გამოსცა ჩერნიშევსკიმ თავისი პატარა კრიტიკული წიგნაკი: „ხელოვნება მარტო ხელოვნებისათვის, თუ ცხოვრებისათვის?“ ამან დიდი გავლენა იქონია მკითხველებზე. ბევრს ააღებია მუსიკაზე ხელი და მხატვრობა-ქანდაკებაც უარ-აყოფინა. მაშინ ლიტერატურაც ორად გაიყო: უმეტესობა სრულიად უარ-ჰყოფდა მწერლობაში ხელოვნებას და მეორე, ბევრად ნაკლები, ისე გადაჰყვა ხელოვნებას, რომ გარდა კეთილ-ხმოვანებისა და მუსიკისა აღარა სწამდა რა მწერლობაში. მხოლოდ ერთი რუსის მგოსანი, გრაფ ალექსი ტოლ-

სტოვი გაუდგა ორივე მხარეს, არ ჩაიგდო თავი სხვებსავით უკიდურესობაში და მიტომაც, ორივე უბნისაგან დაგმობილი, დღესეც არ არის ღირსეულად აღსარებული. დანარჩენმა მწერლობამ კი გული ვეღარ მოიბრუნა და კერპად დაადგა არჩეულ გზას.

როდესაც ნიჭიერი პისარევი და მყვირალა ზაიცევი დაუდგენ თავში ხელოვნების უარ-მყოფლებს, მთელი მკითხველი რუსეთი შეიძრა და მაშინ წარმოითქვა შესანიშნავი სისულელეც: „შექსპირს ანტონოვიჩის ჩექმები სჯობიანო“ და იმავე დროსვე, რა საკვირველია, სცდილობდენ პუშკინის დედა-მიწასთან გასწორებას!

იმ დროს ქართველი ახალგაზდობა იზრდებოდა რუსეთის უნივერსიტეტებში. მარტო პეტერბურგში იქნებოდა ოცდა ათ სულზე მეტი, და, თუ მართალია „ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს“, სტუდენტობაც ქართველებში იმ დროიდან იწყება.

ჩვენ ყოველთვის, საუკუნის განმავლობაში, რუსეთის ნასუფრალით ვიკვებებოდით და, რაღა თქმა უნდა, რომ მაშინაც რუსეთის მიმართულება, დრო და ჟამის მიუხედავად, მისის ნიგილისტობით ჩვენშიაც გადმოვიდოდა? ტყუილი კი არ უთქვამს გ. წერეთელს: „ქართველი, ცოტა არ იყოს, კუდაბზიკაო!“ გადაჭარბება გვიყვარს და რუსობანობამაც მისი ნიგილისტობით მაშინ ძალიან მოიკიდა ჩვენში ფეხი. სტუდენტების რიცხვში მეც ვიყავი. ჩემ ხანგრძლივ ცხოვრებაში საპირადო კერძოსა და წვრილმანებში უხასიათობა გამოვიჩინე, მაგრამ დიდისა და საზოგადოსათვის კი ჩემს დღეში არ მიღალატებია. მწერლობაშიაც შემეძლო, რომ, სხვების აყოლით, დიდი სახელი მომეპოებია, მაგრამ ჩემს რწმუნებას ვერ ვუღალატე და, ტოლსტოისა არ იყოს, შუა ადგილი მეჭირა... სხვებსავით წამხედურობით უმეტესობის მიმდევარი არ ვყოფილვარ. ზაიცევს არად ვაგდებდი, ნიჭიერ პისარევს თუმცა ვაფასებდი, მაგრამ მისი ბევრი რამ არ მომწონდა და არც ის მეჯერა, მეორე პარტიის, რომ მწერლობაში მხოლოდ მუსიკა და კეთილ-ხმოვანება უნდა იყოს და კმარაო. ორთა შუა მყოფს, მე ჩემი გზა მქონდა არჩეული და მივდიოდი წყნარად.

ეს იყო მიზეზი, რომ ჩემ მწერლობას პატივი ჰქონდა ახდილი და ამხანაგობა ჩამომშორდა. ერთ საღამოს შემოვიდენ ჩემთან მოციქულებად ვ. თუ-შვილი, გ. ჯავ-შვილი და მ. ჩო-შვილი და გადმომცეს ამხანაგობის მაგიერ: „შენის მწერლობით გვარცხვენ და ლექსების წერაზე აიღე ხელი და ან ჩვენს ნაცნობობაზეო“. მტრობა დღესაც არავისი მაქვს, რომ მაშინ ახალგაზდას მქონოდა, და ეს მათი შემოთვლილი სიტყვა ისარივით მეცა გულზე. ბუნება თანა ზიარს, ყველას მეგობრობა და განწყობილება მსურდა და ერთ თავად მთელი ამხანაგობის მოშორება ჩემთვის სიკვდილი იყო. ჩავარდი საგონებელში.

დიდხანს ვყოყმანობდი, მაგრამ იმ ხანებში, ჩემგან პირადად უცნობ, „ცისკრის“ რედაქტორისაგან მივიღე შემდეგი წერილი: „ძმაო აკაკი წერეთელო! იმერლობას ნუ გამოიჩენ და ნუ გაფხუკიანდები, რომ შენი სამაგალითო ლექსი „საიდუმლო ბარათი“ დავბეჭდე და უშენოდ შენი სახელი და გვარი მოვაწერე და არა მარტო უმნიშვნელო ორი ასო. აი რა იყო მიზეზი: ჩვენი პლატონი, ფილოსოფოსი, ასწავლის ბარიათინსკის ქართულს. იმას ეჩვენებია შენი ლექსი მისთვის და დიდად მოსწონებოდა; დამიბარა მე და, როდესაც გაიგო ჩემგან შენი ვინაობა, მიბძანა, რომ მისი სახელი და გვარიც მოაწერეო. მეც რაღა გზა მქონდა?! მაინც რა არის ეგ იმერული სიფრთხილე, რომ შენს ლექსებს სახელს არ აწერ? ყველას ძალიან მოსწონს შენი ლექსები, განსაკუთრებით ქალებს. იმღერიან კიდეცა. აბა, შენ იცი, თუ მომეშველები მალ-მალ, შენი ივანე“.

ამ-გვარ წერილს დღეს სულ სხვა გვარად გავიგებდი, მაგრამ მაშინ კი დავიჯერე და დიდი გავლენაც იქონია ჩემზე, მით უფრო, რომ პროფესორმა დ. ჩუბინაშვილმა რომ წაიკითხა ჩემი სახელი, რომელსაც მანამდი არ ვამხელდი, მიმიხმო სახლში და კვერი დაჰკრა კერესელიძის სიტყვებს. იმ დღიდან კი გადავსწყვიტე, რომ მწერლობას გამოვდგომოდი და თუ ვინმე ჩამომშორდებოდა, ის კი მის ნებაზე მიმეშვა. ამის შემდეგ ძვირათ თუ ვისმეს შევხვდებოდი ხოლმე და იმასაც უნივერსიტეტში. თითქმის ყველას ჩამოვშორდი, გარდა ორისა. ისინი არ მიყურებდენ სხვებსავით ხმის აყოლით და, სხვებზე უფრო ნიჭიერად თუ მივაჩნდით, თვარა ნაკლებ არა, მაგრამ საოცარია ბრბოს

გიპნოზი; გაბედვითა და გამორკვევით ისინიც ვერას ამბობდენ ჩემ სასარგებლოდ. ერთი მათგანი იყო კირილე ლორთქიფანიძე და მეორე – ნიკო ნიკოლაძე. იმ ხანებში მე ერთი ლექსი დავსწერე. თუმც ნახევარი საუკუნე გასულია, მაგრამ დღესაც კიდევ წაიკითხება და ჩემმა ამხანაგებმა კი კიჟინა დასცეს მაშინ: „აქ აზრი არ ვარგა და ობროდობის მეტი არა არის რაო!“ მხოლოდ კირილემა და ნ. ნიკოლაძემ კი სთქვეს, რომ კარგი რამ არის როგორც ხელოვნებაო, და მირჩიეს, ერთი რამ მისთანა მიმემატებია, რომ ცხოვრებაში გამოსადეგი ყოფილიყო. ის ლექსი იყო „სიმღერა მკის დროს“. მეც ავიღე და ბოლოში ერთი ხანა ჩავაკერე:

უხვად მოვიდა წელს პური,
მაგრამ ბედს მაინც ვემდური,
რომ პურს ბატონი წაიღებს
და მე კი ოფლსა ტყვილა ვღვრი!

ეს რომ ნახეს მიწერილი, მომიწონეს და კიდეც ამ მიკერებული, ნაძალადევი ლექსით დაიბეჭდა; მე კი უნდა გამოვტყდე, რომ არც მიწერის დროს და არც მერე არ მომწონებია და მიტომაც მოვშალე შემდეგში.

ნ. ნიკოლაძე მაშინ ძალიან ახალგაზდა იყო, მკვირცხლი, მოუსვენარი, ნიჭიერი და სულ სხვა მიმართულების, ვიდრე მე. იმას ყოლიფერში პირველობა უნდოდა; რასაკვირელია, პოეზიაშიც, რადგანაც კრიტიკოსობას ჩემულობდა, პირველობა უნდოდა. მე დიდად მაფასებდა, მაგრამ ის კი უნდოდა, რომ მეც მის ნებაზე ვყოფილიყავ; მაგრამ მე ჩემი გზით მივდიოდი და, ვგონებ, ამის მიზეზი უნდა იყოს ის მტერ-მოყვრობა, რომელიც აქამდისაც არ თავდება მე და იმას შუა, თუმც ის კი ძალიან გამოიცვალა. რაც შეეხება მეორეს, კირილე ლოთქიფანიძეს, ის ყველას საყვარელი იყო და კარგი რამაც, მაგრამ საოცარი ჟინიანი! ასე რომ მისი ჟინიანობა სიგიჟესა ჰგავდა ხოლმე. აი, ამ ორ ახალ-გაზდასთან მოვიბრუნებდი ხოლმე სულს სტუდენტობის დროს და სხვებს კი ყველას ჩამოვშორდი. ამ ჩამოშორებით ბევრი არა წამიგია რა, პირიქით, კიდევაც მოვიგე, რომ დროს არ ვჰკარგავდი ლაყბობაში და კეთილად ვხმარობდი.

ერთ დილაზე შემოიჭრა ჩემთან ჩემი ნაცნობი ახალგაზდა სტუდენტი გამბურცოვი და გადმომცა, რომ დღეს მეთორმეტე აუდიტორიაში ერთი ვიღაც ქართველი სტუდენტი უნდა გაასამართლონო: შეუტყვიათ, რომ შპიონი არისო!..

მეუცხოვა!.. არ მეჯერა, რომ ქართველი ვინმე მაგ ხელობას იკადრებდა. გულმა აღარ მომისვენა და წავედი აუდიტორიაში. რომ მივედი, ათასსზე მეტი სტუდენტი დამხვდა შეგროვილი. ქართველი კი ერთიც არ ერია. ამბიონზე შემდგარიყო ნეკლიუდოვი, მერე რომ სენატის პროკურორათა და მინისტრის ამხანაგად იყო, იმას ამოდგომოდა გვერდით ათანასიევი და ერთიც სხვა, სახელი არ მაგონდება, და სიცილით ეუბნებოდა სტუდენტებს: „ბატონებო, ეს შემთხვევა გვიმტკიცებს, რომ ჩვენ ფრთხილად მოვიქცეთ ხოლმე!.. აი ახლაც, რომ ჩვენ პირადად არ ვიცნობდეთ იმ კაცს, ხომ უნდა დაგვეჯერებია და გაგვეწირა ის კაცი? და ის კაცი არის აკაკი წერეთელიო“. ჩამოვიდა ამბიონიდან, ხელი მომცა და მიამბო ყოლიფერი: თურმე ჩემზე ყოფილიყო ის ვაი უშველებელი. რაღაი კი ღმერთმა იმ დღეს გადამარჩინა, რადგანაც ის მეთაურები, ნეკლიუდოვი და ათანასიევი, სხვებთან ერთად მიცნობდენ, მე სიცილათაც აღარ მყოფნია და აღარც არა მითქვამს რა, ასე გაიარა ერთმა წელიწადმა.

ერთხელ დ. ყიფიანი შემოვიდა ჩემთან და მთხოვა: „ამ საღამოს კ. აბხაზისას უნდა მოხვიდე უეჭველადო“. მე გამიკვირდა დ. ყიფიანის ჩემთან შემოსვლა, რომელიც მანამდი მერიდებოდა და სტუდენტებში გარევა კიდევ უფროც მეუცხოვა, მაგრამ სიტყვა მივეცი და კიდევაც ავასრულე. იმ საღამოს ქართველი სტუდენტობა, მართლა, შეყრილიყო აბხაზისას შინაურ საქმეების გადასაწყვეტად და, სხვათა შორის, დ. ნ-ძეც უჩივოდა ამხანაგებთან ი. სერ-ვს: „ჩემ წერილებს, იღებს, ხსნის, კითხულობს და მერე ჰხევსო“. ი. ს.-ვი შეხტა და შებზიალდა!.. „დ. ნ-ძის სიტყვა რა დასაჯერებელიაო? – სთქვა – ეგ არ იყო, რომ შარშან ყველას ჩამოგვიარა და დაგვარწმუნა, რომ აკაკი წერეთელი შპიონი არისო?“ ამ სიტყვებზე ყველამ თვალი გამოაჭყიტა და განსაკუთრებით თვით დ. ნიკ-ძემ.

„მართალია, – სთქვა, ვ მე გავაფრთხილე სუყველა, მაგრამ მე ეს ხომ ჩემით არ მიქმნია? ნ. ღ.– ძემ მიბრძანაო“. მაშინ წა-

მოდგა ნ. ღ.–ძეც და თავი იმართლა: „მე მეგონა და სხვებიც გავაფრთხილეო“. მხოლოდ დ. ყიფიანი მოვიდა ჩემთან ბოდიშის მოსახდელად და მითხრა: „ნუ გეწყინება, რომ გერიდებოდითო! ჩვენ ქართველებმა რა ვიცოდით? და ჩვენც იმათ დავუჯერეთო!.. მოხარული ვართ, რომ ტყუილი გამოდგაო!..“ მე დღესაც დარწმუნებული ვარ, რომ ნ. ღ.-ძე, რომელიც გავლენიანი იყო და მამა-შვილურად გვეპყრობოდა ჩვენ, ნამეტანის სიფრთხილით შესცდა, თვარა არაფერი პირადობა არ ჰქონია ჩემთან. მხოლოდ მოვალედ სცნო თავი, რომ ყმაწვილები გაეფრთხილებია. ყურადღება არც ამ შემთხვევისათვის მიმიქცევია, მაგრამ, ცოტა არ იყოს კი, მომიწამლა სტუდენტობა, ის სანატრელი დრო, როცა ადამიანს ეკალიც კი ვარდად ეჩვენება. ამის შემდეგ სამი წელიწადი კიდევ დავრჩი უნივერსიტეტში. იმ ხანებში მოხდა არეულობა უნივერსიტეტში. ჩვენებმა მიიღეს მონაწილეობა და კიდევაც იგემეს ციხე. მე მათში არ ვრეულვარ!.. არა მიტომ, რომ ციხის შემშინებოდეს!.. მაშინაც ის რწმუნება მქონდა, რასაც დღესაც ვადგივარ და ვერ ვუღალატე: მოსწავლემ ჯერ უნდა ისწავლოს, დაასრულოს სწავლა და მერე კი აღარ დაერიდოს არა ვითარ მსხვერპლს. ჩვენში კი უკუღმა ჰხდება ეს!.. ამან სრულიად ჩამომაშორა ამხანაგებს და მეც, მოვრჩი თუ არა უნივერსიტეტს, გადავედი მოსკოვში. იქ იმავე წელიწადს დავცოლშვილიანდი.

ნურავინ ნუ დაიჩემებს: მომავალში ამას ვიზამ, თუ იმასო! მე გადაწყვეტილი მქონდა გუნებაში, რომ ცოლი არ შემერთო და მერე ისიც უცხოელი, მაგრამ შემთხვევას ყოლიფერი შესძლებია! მოსკოვში ე-არ ერისთავისას გამეცნო მოხუცებული კნეაჟნა ენიკეევისა და, ვინაობა რომ გამომკითხა, გულითა მთხოვა: „მოდი ჩემსასო!“ მეც ცოტა ხნის შემდეგ ვეახელი. ჩემი მისვლა მოხუცებულს ძალიან ეამა, დიასახლისი გამაცნო და მითხრა: „ეს ჩემი დისწულია: შვილობილადა მყავს აყვანილიო; ეს ორი უფროსი ქალი პირველ ქმრისგან დარჩა და ეს სამი, ორი ქალი და ერთი ვაჟი კი, ამ მეორე ქმრის ხელში ჰყავსო. ეს მეორე ქმარი ჯერ ორენბურგში იყო გუბერნიის პროკურორად და ახლა მოსკოვში გადმოვიდა და მიტროპოლიტის კანცელარი-

ის დირექტორად არისო“. ამ ლაპარაკის დროს შემოვიდა თვით ისიც და გამეცნო. ლიტერატორი გამოდგა და ძალიანაც კარგად შევეწყვეთ ერთმანეთს!.. რამდენიმე დღე რომ დამეგვიანებია და არ მივსულიყავ, თვითონ მოიჭრებოდა ჩემთან და წამიყვანდა ხოლმე თავისს სახლში, თვითქოს უჩემობა აღარ შეეძლო!.. სამი თვის განმავლობაში სულ ამ ყოფაში ვიყავი და ძალიანაც დავშინაურდი. უფროსს ქალს, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო სრულ-წლოვანი, შევუყვარდი. მაშინ მე ქალის სიყვარულს დიდ ყურადღებას არ ვაქცევდი საზოგადოდ, მაგრამ, როდესაც დიდად შეწუხებულმა ქალმა შემომჩივლა თავისი აღსარება, მაშინ კი გული მეტკინა. ის იყო დანიშნული და სრულ-წლოვანებას უცდიდა, რომ ტვერის გუბერნატორი კუდრიავცოვი შეერთო. ამ ქალს ის არ უყვარდა და მისიანებს კი არ ჰსურდათ სიტყვის გატეხა და მისთანა სასიძოს ხელიდან გაშვება. საცოლომ შემომჩივლა, რომ ქორწილის ღამეს თავს დავიღრჩობო, თუ შენ არ გადამარჩენო!.. მეც ავდექი და მეორე დღეს ის ქალი ვითხოვე. დედა-მამინაცვალი დიდხანს მეხვეწენ: „მეორე დანიშნე! მაგას ჰყავს საქმროო“, მაგრამ მე გავჭირვეულდი და აღარც იმათ სწყენიათ, როგორც შევატყვე: სულიც აღარ მომათქმევინეს, ისე გადამწერეს ჯვარი.

მეორე დღეს შემოვიდა ჩემთან ჩემი ცოლის მამინაცვალი და მითხრა: „ეს აქციებია ხუთი ათასი თუმნის, თუმცა ათი წლის კუპონები წაჭრილი აქვს, მაგრამ, როცა ვადა გავა, თავნად ეღირება; ეს შენი ცოლის არის, ნათლიამ დაანათლიავა, რომ მონათლა, მაშინ; მიიღე და მე კი ხელწერილი მომეცი, რომ გასტუმრებული ხარ და ცოლის ყველაფერი სრულად მიღებულიაო“.

მაშინ მე ცხოვრების ბევრი არა ვიცოდი რა და ფულსაც დიდ მნიშვნელობას არ ვაძლევდი. ყოლიფერი მართალი მეგონა და ეკალიც ვარდის ფრად მეჩვენებოდა; რაღა თქმა უნდა, რაც უნდა ყოფილიყო, მოვაწერდი ხელს, მაგრამ იმ დროს დამესწრო ერთი ქართველი სამ. აბ–ძე და ქართულად მომაყვირა: „არ გაგიწყრეს ღმერთი, აგრე არ მოაწერო ხელიო!.. რამდენიც არის, იმდენი დაწერეო!“ და მეც ხუთი ათას თუმანზე მოვაწერე ხელი, თუმცა ნამდვილად კი ორი ათას ცხრაას თუმანზე მეტად არ ღირებუ-

ლა. ეს ჩემი ხელის მოწერა მაინც არ იამა სიმამრს და წასვლის დროს სიტყვა ჩამომართვა, რომ ცოლს წავიყვანდი კავკასიას და იქ აღარ დავდგებოდი.

მეორე დღეს კნეაჟნა მოვიდა ჩვენსას და გუშინდელი ამბავი, რაც გადამხდა, ვუამბე და ვკითხე: სიმამრი უკმაყოფილოდ რად დარჩა ჩემზე-მეთქი? იმანაც ჯერ ხატზე დამაფიცა: ჩემად არ-სად წაგცდესო“, მერე მომიყვა საიდუმლოს: „ჩემი შვილობილის პირველი ქმარი, როგორც ადრეც მითქვამს, იყო ბაზილევსკია, იმ ბაზილევსკის მკვიდრი ძმა, დღეს რომ სიმდიდრით არის განთქმული. ოქროს მადნებშიც და იმ სიმდიდრეშიაც ნახევარი წილი უძევსო შენს ცოლსა და ცოლის დას, მაგრამ, მაგათი მამა რომ მოკვდა, შენი ცოლი წლის დარჩა და ცოლისდა მუცლის; მაშინ იმ მეორე ძმამ, დღევანდელმა ბაზილევსკიმ, გამოძებნა ორენბურგის პროკურორი, მილიონი მისცა, ჩამოართვა ხელ-წერილი და სიმდიდრე კი დანარჩენი, რაც ამ ორ დას ერგებოდა, თვითონ მიისაკუთრა; ახლა შენ საჩივარი უნდა აუტეხო ბაზი-ლევსკის და, როგორც შენს ცოლს, ისე ცოლის დასაც დაუბრუ-ნო კუთვნილებაო“.

ეს ამბავი გახმაურდა. კნიაჟნა ჩემთან გადმოვიდა და ცოლის მამინაცვალი კი გაგიჟდა. მართლა გაგიჟდა, თუ მოიგონა, არ ვიცი, მაგრამ სიგიჟეში კი მოკვდა. – დამრჩა, როგორც იმერელს, პროცესი ხელში, რომელიც დიდ ხარჯს მოითხოვდა. ვიღაც ტრუბეცკოიმ ორი მილიონი შემომაძლია იმ პროცესში: მომყი-დეო და მერე მე ვიციო“. მაგრამ მე რა ნება მქონდა დავთანხ-მებულვიყავ. მით უფრო, რომ იქ ცოლის დაც ერია. ასე თუ ისე, კრედიტი დიდი მქონდა მოსკოვში: დავიწყე პროცესი და დიდ გაჭირვებაში ჩავარდი, რადგანაც, რომ მეგონა, ისე ადრე არ გათავდა საქმე. იძულებული გავხდი, რომ დამენებებია თავი რუსეთისათვის და წამოვსულიყავი სამშობლოში ცოლშვილი-ანად. საქმე გადავეცი ჩემს ქვისლს, რადგანაც იმ ხანებში ჩემი ცოლის და დაქვრივდა და იმ თვეშივე შეირთო ქართველი თავ-ადაშვილი, ელ. ერ–თავი, და საქმეც იმას ჩაუვარდა ხელში. მა-შინ საქმე პალატაში იყო გადატანილი; რადგანაც ოლქის სასა-მართლოში ჩვენ მოვიგეთ, პალატაშიაც ჩვენ სასარგებლოდ

გათავდა და დარჩა მხოლოდ კასსაცია. სიმდიდრე უნდა მიეღო ნახევარი ჩემ ცოლ-შვილსაც, მაგრამ წარმოიდგინეთ შემთხვევა: ჩამოვარდენ შუაკაცები და ელ. ერ-ვი სულ უბრალო რამეზე გარიგდა, რისაც სრული უფლება ჰქონდა ვექილობის ძალით. ადვოკატებმა, რომ მოარიგეს, გასამრიგლოდ მიიღეს: პასავერმა სამოცდა თხუთმეტი ათასი მანეთი, პოტეხინმა ასი ათასი და ქართველმა ადვოკატმა ვ. მაჩაბელმა კი ოცდაათი ათასი. ჩემმა ცოლ-შვილმა კი არაფერი!.. თურმე ადვოკატებმა დაარწმუნეს, რომ ერ–ვმა თავის წილხვედრი მოიგო და, შენ ქმარს რომ ვადა არ დაეკარგა, შენც მოიგებდიო, მაგრამ ათი წელიწადი გაგიშვიათო! მე ეს ამბავი, საქმე რომ გათავდა, ორი თვის შემდეგ გა-ვიგე და მივაშურე აქედან ცოლშვილს. მნახეს თუ არა, მისაყვედურეს: რატომ ყურადღება არ მიაქციე და დაგვიკარგე საქმეო? მაგრამ, როცა ავუხსენი, რომ ეს ყოლიფერი ტყუილია, – იმ დღიდან, რაღაი კი დას გადასცა ჩემმა ცოლმა უფლება და ვექილობა, ის, და, გახდებოდა მემკვიდრედ და იმას უნდა გადმოეცა ნახევარი, რასაც მოიგებდა, – მაშინ კი მიხვდენ და შემოიკრეს თავში ხელი. მაგრამ მზითვიდან კი მაინც არა რგებიათ რა; ასე რომ მე ცოლი წამოვიყვანე და მზითევი კი სხვებმა წაიღეს. ბოდიშს ვიხდი მკითხველთან, რომ აქ ჩემ შინაურობაზე ამდენს ვალაპარაკობ, მაგრამ იძულებული ვარ: ჩემმა მტრებმა და მათმა ამყოლებმა, სხვა რომ ველარა მოახერხეს რა, დაჰყარეს ხმა, რომ აკაკიმ ცოლის მზითევი მილიონები აიღო და გაფლანგა!.. წააგოვო! მაშინ, როდესაც თვალით არა მინახავს რა. ეს ცილისწამება დღესაც ბევრს მართალი ჰგონია ჩვენში და სიკვდილის შემდეგ სხვების საგულისხმოდ არ მინდა სიმართლის დაკარგვა და მიტომ ვამბობ.

ახლა გადავიდეთ საქართველოში. რუსეთი რომ მივატოვე და ცოლ-შვილით დავბრუნდი სამშობლოში, მაშინ ძალიან არეული და გამოურკვეველი დრო იყო. ბატონ-ყმობა უნდა გადავარდნილიყო, ახალი რეფორმები შემოდიოდა და, რასაც ჩვენ ისე შევხაროდით, ისიც თავისთვის კუდს იტოვებდა. სახელით ყველაფერი კარგი იყო, მაგრამ სახრავად კი არ ვარგოდა. მაგალითად: რა ბატონ-ყმობის მოსპობა იყო ის მოსპობა, როცა ბატონი და ყმა ჯაჭვით ერთმანეთზე გადაბმული ჩინოვნიკს

ეჭირა ხელში და ორივეს აღრჩობდა – ღლეტდა? რაღა ნაყოფს მოიტანდა ის სამსჯავრო, სადაც ხალხის ენა აკრძალული იყო და ენის უცოდნელობის გამო ხალხი უნდა გამღლეტ-გამცვეთელებს ჩავარდნოდა ხელში? ამაებს ყველას ვხედავდი და მიტომაც სრული ჩემი თანაგრძნობა ვერ მოიპოვეს რეფორმებმა და მაშინ დაიწერა: „ადვოკატი“, „კატა და ძაღლი“, „ვაის უნდა შევეყარო“ და სხვანი. ვერც ერთ მხარეს ვერ ვხედავდი, რომ მიკედლება და გვერდში ამოდგომა შესაძლებელი ყოფილიყოს; ყველას ჩამოვშორდი და, როგორც იმედ გაცრუებული, ახირებულად დავრჩი მარტოდ.

ერთი მხრით, მაღლიდან რისხვა, მეორე მხრით, თავად-აზნაურობის გაწყრომა და მესამე მხრით, სტუდენტების (მაშინ ინტელიგენციას „სტუდენტობას“ ეძახდენ) ენის წაგძელება მოსვენებას არ მაძლევდა. იმ დროს ხმის აყოლა ისეთი ძლიერი რამ იყო, რომ ძვირად ნახავდი მისთანა ახალგაზდას, რომ ჩემზე ძვირი არ ეთქვას და ცილი რამ არ შეეწამებიოს. რომ ჰკითხავდით: „შენის თვალით გინახავს ეგ ყველა, რასაც ამბობ? შენის ყურით გაგიგონია? და სხვანი – ისინი გულწრფელად ამბობდენ: „არა, მაგრამ გაგონებით ვიცითო!“ დიახ, გამოდიოდა, რომ გამგონე ყველა იყო და დამსწრე კი არც ერთი!.. მაგრამ ბრბო განა სიმართლეს დაეძებს? ის მხოლოდ წამხედურობით ბღავის ცხვარივით და, რად ბღავის და რას, თვითონაც არ იცის. ეჰ, ასე იყო, თუ ისე, მე კი დიდ გასაჭირში ჩავარდი; ან უნდა თავზე ხელი ამეღო და სხვების ნება-სურვილს ავჰყოლოდი, მაგრამ მე გავკერპდი და ვერ ვუღალატე ჩემს თავს. ცოლ-შვილი გავისტუმრე სოფელში და, ულუკმაპუროდ, შიშველი, უსახლკაროდ დარჩენილი, მაინც არავის ვეპუებოდი და ჩემსას არ ვიშლიდი. მაშინდელი ჩემი მდგომარეობა მშვენივრად გამოჰხატა გულ-მოსულმა ბეს. ღ.–ძემ: „მაგასთან ბრძოლა შეუძლებელიაო! რა უნდა წაართვა და რა უნდა დააკლო, რომ არა აბადია რაო?! ჭამა-სმას არ დაეძებს და საწოლ-სახურავსო!.. მარტო ჰყეფს და იღრინებაო!“

მართალია, ვყეფდი და ვიღრინებოდი, მაგრამ ვერავინ ვერ იტყოდა, რომ ჩემ პირადობაზე მე ხელი გამემეძრიოს! ყველასაგან მოძულებულს, ბევრჯელ კარგი ადგილი, ღირსი რომ არ ვი-

ყავი მისთანა, მაძლია მთავრობამ, მაგრამ, რაღაი კი ერთხელვე სხვა გზა მქონდა ამორჩეული, არა ვქმენი სამსახურში შესვლა და დავრჩი ოხრად, ანუ გიჟად, როგორც ზოგიერთები ამტკიცებდენ. რამდენიმე წელიწადი ვიყავი ამ ყოფაში და, როცა იქნებოდა, ეგებ, კიდეც გავტეხილიყავ, მაგრამ მართალი ნათქვამია: „მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა სხვისგან განაწირსაო“. მეც გამომიჩნდენ თანამგრძნობნი და გამამხნევეს.

იმ ხანებში სასტუმრო „კოლხიდა“ ეჭირა გიორგი ჭელიძეს. ის მოვიდა ჩემთან და მითხრა: „შენ მდგომარეობას ვხედავ და მინდა, რომ დახმარება გაგიწიოვო! ერთი ოთახი მისის მოწყობილობით, საჭმლით და სასმლით მომირთმევია: გადმობრძანდით ჩემთან და იცხოვრეთ. არაფერსა გთხოვ! არ შეგაწუხებ, სანამ ცოცხალი ვარ, და როცა ღმერთი ინებებს და თქვენი გარემოება შეიცვლება, იმედი მაქვს, თვითონაც არ დამივიწყებო“. მე, რასაკვირელია, დიდი სიამოვნებით მივიღე ეს თანა გრძნობა და დავდექი გიორგისთან. პირველ ხანებში ჩემი ავის მოსურნეები ძალიან აწუხებდენ იმასაც: „რად მიეცი ბინა და საზრდოო?“ მაგრამ, რომ ვეღარა გააწყვეს რა, მიწყნარდენ... ასე, ამგვარად მოვიპოვე საზრდო და ლუკმა-პური აღარ მქონდა საძებრად. მაგრამ არა მარტო პურითა ცოცხალ-არს კაცი: სულიერი საზრდოც, სულიერი თანა-გრძნობაც იყო საჭირო და ისიც მალე მოვიპოვე იაკობ ნიკოლაძისა და ბესარიონ ხელთუფლიშვილის ოჯახებში. ეს ორი ოჯახი იყო, რომ მამხნევებდა, ხელს მიწყობდა, გულს მიკეთებდა და მეც უფრო შეუპოვრად და გაბედვით მივდიოდი ჩემი გზით მომავლის მოლოდინში... ვიბრძოდი და არცერთი მოვლინება არ ყოფილა, ჩვენში, რომ მეც ჩემებური მონაწილეობა არ მიმეღოს!.. პირადობაზე ხელ-აღებული ვიყავი, საპირადო არავისთანა მქონია-რა, მხოლოდ საზოგადო მახალისებდა, და მივდიოდი ჩემი გზით. რაც კი რამ გასაკეთებელი შემხვდებოდა, თუ კი მოვახერხებდი, გინდ დიდი ყოფილიყოს და გინდ პატარა, ჩავჰკიდებდი ხოლმე ხელს; ეს გაურჩევლობა მე ისე მიტაცებდა ხოლმე, რომ არც მეტი-მოყვრობა და არც სისხლ-ხორცობა აღარ ვიცოდი. ერთმა ჭკუიანმა კაცმა მითხრა მაშინ: „სწორეთ რომ ახირებული კაცი ხარ; შენი ან სხვისიანობა

არ იცი. შენიანს არ არჩევ შენის მწარის ენით და სხვისიანს უდგები?.. რომ ვისმეს უნდოდეს შენთან დაახლოვება და დამოყვრება, ვერ ახერხებსო“. ეს მართალი მითხრა, მარა არც მე მიპასუხნია ტყუილი: „ეგ ყველა მართალია, მაგრამ საზოგადო საქმეში მე არ მესმის მტერ-მოყვრობა!.. მე ჩემი გზით მივდივარ; ვინც გვერდით ამომიდგება, გინდ მტერი იყოს, გინდ მოყვარე, ჩემიანად მიმაჩნია და, ვინც წინ მეღობება, მტრად-მეთქი“... აი, ასეთი იყო მაშინ ახალგაზდობის ჩემი რწმენა და დღესაც შეძლებისა და გვარად ვერ ვჰყოფ უარს.

იმ გაკერპებულ წინ სვლაში დიდი ტანჯვაც გამოვიარე, მაგრამ, რადგანაც ღმერთმა იმდენ ხანს მაცოცხლა, რომ, რასაც მაშინ ვფიქრობდი, ასრულდა და მტრები მოყვრებად გადამექცნენ, აღარას ვიტყვი აღარც ჩემ თავზე და აღარც მათზე.

დღეს, რომ არ დამიმსახურებია, მისთანა პატივისცემაში და სიყვარულში ვარ საქართველოში!.. მართალია, მტრები დღესაცა მყავს, მაგრამ უმეტესობაზე ვამბობ და ღრმა მოხუცი სამარისკენ მივდივარ ჩემის სამშობლოს ლოცვა-კურთხევით.

აი, ამით თავდება ჩემი „თავ-გადასავალი“ და იწყება „ჩემგან ნანახი და გაგონილი“. აქ გავიხსენებ ჩვენს მოღვაწეებს ამ ორმოცდაათი წლის განმავლობაში, ვინცა ყოფილან და ვისთანაც, ასე თუ ისე, მეც მქონია პირადი დამოკიდებულება.

II

ერთხელ ქუთაისის თავად-აზნაურობამ თავი მოიყარა მარშლების ამოსარჩევად. რასაკვირელია, ჩვეულებისა მებრ პარტიებად დაიყვენ, ატეხეს აყალ-მაყალი და ბევრი რამ სასაცინოც ჩაიდინეს. საღამ-საღამოობით შევდიოდი ხოლმე ხან ნიკოლაძის, ხან ხელთუფლიშვილის ოჯახში და მომხდარს ამბებს გადავსცემდი ხოლმე მუსაიფის დროს.

ქალებმა მთხოვეს, რომ ერთი ფელეტონი დამეწერა და დამებეჭდვინებია „დროებაში“, და მეც ავასრულე მათი რჩევა:

გამოვიყვანე იმ ფელეტონის სათაურად: „ცხელ-ცხელი ამბები“ და ხელმოუწერლად გავუგზავნე რედაქტორს. ის ფელეტონი იქ წაეკითხათ, ძალიან მოსწონებოდათ და ნ. ნიკოლაძისთვის მიეწერათ, რადგან ის იმ ხანებში დროებით იყო ქუთაისში ჩამოსული: „ის თუ მოგვწერდა იმერეთიდან ამისთანა ფელეტონს, თვარა სხვა ვინ მოახერხებდაო?“ არ ვიცი, რად იყვენ დარწმუნებული, რომ მე, გარდა ლექსებისა, მეტი არა შემეძლო-რა?.. თუმც ჩემი საიდუმლო არც დებს და არც დეიდაშვილებს, ხელთუფლიშვილის ქალებს, არ გაუმჟღავნებიათ ნიკოლაძის-თვის, მაგრამ ის თავის თავად მიხვდა, რომ ჩემი დაწერილი იყო ის ფელეტონი, მოვიდა ჩემთან სასტუმროში და, სხვათა შორის, მკითხა: „რა მიზეზია, რომ აჰყოლიხარ აქაურს აყალ-მაყალს და არ გინდა ტფილისში გადმოსვლა, სადაც უფრო ადვილად შეგიძლია დააკმაყოფილო შენი ინტელიგენტური მოთხოვნილებაო? „შეიძლება, – უპასუხე მეც, – მაგრამ იქ უჩემოთაც ბევრი ხართ. ამ საცოდავ იმერეთს, სადაც მართლა მეტი თუ არის ამერეთისაზე, თვარა ნაკლები არა, ყველა გაურბის და მე, როგორც იმერელი ქართველი, მოვალედ ვხდი ჩემ თავს, აქ ვემსახურო, რაც კი შემიძლია!..“ „ეგ კეთილი!.. მეც ადრე მანგრე ვფიქრობდი, მაგრამ აქ კაცი მოკლებულია ყველაფერს „ინტელლიგენტურს“ და, ადრე თუ გვიან, გამოყრუვდება!.. აქ არც გაზეთია! არც ცენზორი! და სხვა რამ!.. იქ კი ყველაფერი გვაქვს. დამერწმუნე, რომ იქ მუშაობა შეიძლება!.. აქ კი შრომა ტყუილა იკარგება“ ჯერ-ჯერეობით. ამისთანეები ბევრი რამ მითხრა და იმდენი მეჩიჩინა, რომ გული გადამიბრუნდა, მაშინ მეც ის უთხარი, რომ ცხოვრება არ შემიძლია, არაფერი მაქ-მეთქი!.. „კარგიო, – მითხრა, – მეტი არ შემიძლია და ყოველთვიურად, სანამ ჩემი საქმეები გათავდებოდეს, მე გაძლევ ჩემი ჯიბიდან შვიდ თუმან-ნახევარს და შენც დამჯერდი ამას და იმუშავე „დროებაშიო“. დამითანხმა, მომცა გზის ფული და გამისტუმრა ტფილისისაკენ, და თვითონ კი გაუდგა საქმეების გამო საზღვარგარეთ.

1. ივანე კერესელიძე

იმ ხანებში „დროების“ გარდა ჟურნალიც გამოდიოდა „ცისკარი“. მისი რედაქტორი ი. კერესელიძე იყო და მოღვაწეებიც ორ გუნდათ იყვნენ გაყოფილი: ახალ-თაობა, ანუ სტუდენტობა, როგორც მაშინ ეძახდნენ, ეხვია „დროებას“ და ძველები „ცისკარში“ იწევდნენ, „ცისკარს“ ხელის მომწერი ძველები ძალიან ცოტა ჰყავდა და, თუ ა. ორბელიანი არ ჰყოლოდა ფულით დამხმარედ, არ გამოვიდოდა. ორჯელ მთავრობაც შეეწია. ერთხელ ბარიათინსკის დროს დააგირავა თავისი სახლი ი. კერესელიძემ პრიკაზში და როგორც ქართველ მოღვაწეს, შეაწია ის ვალი ნამესტნიკმა და მეორეთ გ. ორბელიანმა მოუხერხა ისე, რომ კიდევ აპატივეს... ი. კერესელიძე ნამდვილი ქართველი იყო მისის ნაკლით და ნამეტნობით. ფული იმიტომ კი არ უყვარდა, რომ სხვებსავით ქონება რამ შეეძინა, მხოლოდ შესაჭმელად დაეძებდა; თვითონაც სჭამდა და სხვებსაც აჭმევდა; ჩაიგდებდა თუ არა ხელში, მაშინვე სადილს გაუმართავდა ხოლმე მუქთა თანამშრომლებს. გაშლიდა წინ სუფრას, მიაბნევდა-მოაბნევდა მწვანილს, ყველს, სათალს, ახალ თევზს; მოიტანდა მერე საჭმელებსაც და მოიღერებდა ყელს. ეშხში რომ შევიდოდა, ჩამოავლებდა ხელს თარს, კედელზე რო ეკიდა, ჩანგურთან, დაირასთან, ოროტოტოსთან და სხვებთან ერთად და შემოსძახებდა თავისებურად. იმას არ დასდევდა, სხვებსაც მოსწონდა თუ არა!..

„ქართული პურის ჭამა ეს არის ჩვენშიო!.. მწვანილი მიყრილ-მოყრილი, სათალი, თევზი, კარგი ბოზბაში და ცხელი მწვადიო!.. თუ არ მოგწონს, ადექი და შინ წადიო“. დაატანდა ხოლმე სიცილით. დიდი მომლხენი კაცი იყო, მაგრამ ძვირად კი უჯდებოდა ხოლმე თითო მოლხენა... რომ გარეთ ა. ორბელიანი არ ჰყოლოდა ხელის შემწყობად და შინ ეფვთიმე ხელაძე, მაშინ ახალგაზრდა მესტამბე და კერესელიძის მარჯვენა ხელი ყოველიფერში, ცუდად იქნებოდა მისი საქმე.

„აი, ასე გაუმასპინძლდი დიუმასაცო, – იტყოდა ხოლმე – გავუშალე სუფრა ჩვენებურად ძირს. ზედ მიყრილ-მოყრილი

სანოვაგით. მოვიფრთხენით, წავიკაპიწეთ და მივყავით ხელი, იმან ერთი კი შემომხედა, და მოიფრთხნა ჩვენსავით და დაუწყო მწვანილს ჩვენსავით ხრაშა ხრუში!.. გაუსვა ხელი და იმდენი სჭამა, რომ მწვადების მოტანას ველარ ვასწრებდით. ყველას გვაჯობა. ეს თუ აქედან დაუმარცხებელი წავიდა, არ ივარგებს მეთქი“, ვიფიქრე გუნებაში და მივედი ალავერდს სამი დიდი სტაქნით, ჩამომართვა და თვალის დახამხამებაში გამოსცალა. მერე – მოითხოვა დიდი, უშველებელი ყანწი, აავსო კახური ღვინით და ისე გადაჰკრა, რომ სული არ ამოუღია, მერე მოვიდა ჩემთანაც ალავერდს, მაგრამ ჩვენ როგორ მოვერეოდით, რომ იმ ყანწში სამი დიდი ბოთლი ჩადიოდა. მოგვაკვაკვინა თითი და სიცილი დაგვაყარა. თუ წერაც ასე იცოდა, როგორც სმა... სწორედ ახირებული საქმე იყო!.. მომიბრუნდა ჩვენი ლავრენტი არდაზიანი და მეუბნევა: კაცო, რა შენი საქმეა ქართველობა მერე მაგასთან ევროპიელთანო? არა, რა გულბაათი შენ ხარ, რომ ალავერდს მიდიხარო? მართლა, მე და ჩემმა ღმერთმა!.. მაგრამ ვინ იცოდა, თუ ის იმდენს დალევდა და არც დათვრებოდაო!“... ამ ამბებს ყოველი ლხინის დროს მოჰყვებოდა ხოლმე. მეტად საყვარელი და საამხანაგო კაცი იყო, მაგრამ რედაქტორად კი ვერ იყო მომზადებული!.. ერისთავის შემდეგ ზოგიერთებმა მოინდომეს ჟურნალ „ცისკრის“ გაგრძელება და კერესელიძე აირჩიეს რედაქტორად. ის მაშინ გიმნაზიაში ზედამხედველად იყო, ლექსებსაც სწერდა. დედა მისი იტყოდა ხოლმე: „ანგრე ნუ უყურებთ ჩემს ივანეს? მაგას თოთხმეტი კლასი აქვს გათავებულიო“. ჯერ სემინარიაში გაეთავებინა შვიდი კლასი და მერე გიმნაზიაში დაეჭირა კურსი და დედა მისს ეგონა რომ თოთხმეტი კლასი გაათავაო... ეს თოთხმეტი კლასი კი ჰქონდა გათავებული, მაგრამ მის ჟურნალს მაინც არ ჰქონდა მიმართულება. ერთხელ შემომჩივლა. „რას მერჩიან სტუდენტები, რომ ამტეხიანო? როგორც კი მომწერეს: „მიმართულება“ გამოუცვალე ჟურნალსო, აკი მეც გამოვუცვალეო? მანამდის ხმელეთით ვაგზავნიდი და ახლა ზღვით ვაგზავნი ადესაზეო!.. მეტი მეხარჯება, მარა არ დავეძებო“. ხან-და-ხან ახირებულსა და სასაცინო ლექსებსაც სწერდა. ერთხელ კახეთში მოგზაურობა აწერა

ლექსად. ლექსში სხვათა შორის ასე ეწერა: „მივალ, მივალ, მივდივარ, მივალ მიმიხარია!.. ჩავალ, ჩავალ, ჩავდივარ, ჩავალ ჩამიხარია!..

ავალ, ავალ ავდივარ, ავალ ამიხარიაო!“ ამას გომბორის ასავალ-ჩასავალზე ამბობდა, ცხადათ, და დიდ აღტაცებაშიაც მოდიოდა ამ ზმებით. მე ხუმრობად მივიღე და სიცილი ამიტყდა. ეწყინა, გამიჯავრდა!.. მაგრამ იმას ჯავრი განა დიდხანს ჩარჩებოდა გულში? მეორე დღესვე დაავიწყდა და მეგობრობა არ მოუშლია ჩემთან...

2. ალექსანდრე ორბელიანი

პირველად იმან წამიყვანა ორბელიანთან. ის ეგზარხოსის მოედანზე იდგა საკუთარ ძველებურ სახლებში. მხიარულად მიმიღო დიდის პატივით. „პატივით და მოწიწებით მიგიღებ, როგორც წერეთელსო – მითხრა – და როგორც აკაკის კი მინდა გადაგეხვიოვო!..“ პირველ ნახვისთანავე შემიყვარდა. ის იყო ნამდვილი ქართველი კაცი, ბევრის მნახველი, ბევრის გამგონე და ნაღვაწი. ძალიან უყვარდა საქართველო და უფრო იმერეთის იმედი ჰქონდა. ცოტა დაშინებული კი იყო. ერთხელ თურმე შამილს მისწერა წერილი ამა და ამ დროს ჩამოდიო. მტრებმა დაიჭირეს ის წერილი და მთავარ-მართებელს გადასცეს. მთავარ-მართებლად მაშინ ვარანცოვი იყო; საიდუმლოთ დაიბარა ა. ორბელიანი და სთხოვა: „ეს მოუწერია ვიღაც ქართველს და შინაარსი მითარგმნეო!..“ ორბელიანს ელდა ეცა გულზე, მარა რაღას იზამდა! მაშინ ვარანცოვმა ჩამოართვა სიტყვა: „მეორედ ნუღა იზამ ამისთანა საქმესო! თუ უკმაყოფილო ხარ რამეში, მე მითხარიო და ეს შემთხვევაც ჩვენ შორის დარჩეს, სხვებმა არ გაიგონო!“ მამაშვილური სიამტკბილობით გაისტუმრა შინ დამშვიდებული. არ ვიცი მას უკან დასჩემდა თუ წინეთაც ასე იყო, მაგრამ პოლიტიკაში ნამეტანი ფრთხილი იყო. ბევრი რამ ძველი თუ ახალი იცოდა, მაგრამ დღით იმასაც არას ეტყოდა, ვისთანაც გულ-გახსნილად იყო, ღამე როცა მარტოკა დარჩებოდა

მეგობართან, მოჰყვებოდა ხოლმე ხმის კანკალით სხვა და სხვა ამბებს, მაგრამ მაშინაც სიფრთხილით სანთლებს აქრობდა!.. ბნელაში სჯობიაო. ერთხელ, აი, რა სთქვა ჩემ გაკვირვებაზე: ბნელაში საუბარი მიტომ სჯობს, რომ ვეღარავინ დაგვინახავს და ვეღარას შეგვიტყობსო! „ერთხელ მეფე სოლომონი იჯდა ჭანდარს ქვეშ, ოქროს ჩარდახთან, მაღლა „ზექედას გორაზე“ ორი კაცი იდგა და თავისთვის რაღაცას ლაპარაკობდნენ. აბა, ხმა სად მოუწევდა? მეფეს მოახსენეს იმერლებმა, ეს ორი კაცი თქვენს ძვირშიაო, მეფემ დაიჭირა ის ორი კაცი და მართლაც მეძვირეები გამოდგნენ. მეფემ რომ იკითხა: „რა იცოდითო? „ხელის ქნევაში და მოძრაობაში შევიტყვეთ“, – მოახსენეს. პაპა ჩემმა ერეკლემ ყაენი გადაარჩინა სიკვდილს: ერთ უცხოსთან თავის დაკვრაში შეატყო, რომ გულში ღალატი ედვაო!..“ მიუხედავად ამა ახირებლობისა, ის ძალიან საყვარელი ვინმე იყო და საქართველოც განსხვავებულათ უყვარდა; ეს მისი ნაწერებიდანაცა სჩანს... მე ახალგაზრდა ვიყავი, რომ ის ღრმა მოხუცებულობაში მოკვდა. ბევრი რამ დარჩა ნაწერი, ზოგიერთი მათგანი ჩემთვისაც წაუკითხავს საიდუმლოთ. ნეტავი რა იქნენ ის წერილები?..

3. „ცისკრის“ თანმშრომლები

იმ დროს „ცისკრის“ მუდმივ მშრომლად იყვნენ თვითონ რედაქტორი ი. კერესელიძე, დიმიტრი ბერიევი, ა. ორბელიანი, ნიჭიერი ქალი ბარბარე ჯორჯაძისაი პოეტ რაფიელ ერისთავი (კომედია-დრამებსაც სწერდა), დიმიტრი მგალობლიშვილი. დ. მეღვინეთ-ხუციშვილი და ახალ-გაზრდა ქერელი ბექა: როგორც პუბლიცისტი, მაშინ დიდ–იმედს გვაძლევდა (ანტონ ფურცელაძე); ხან და ხან ბეჭდავდნენ: კოლხიდელი, გ. დადიანი და ბაქარ ქართლელი (დ. ყიფიანი), გრიგოლ რჩეულოვი, რომელსაც დიდი ნიჭი ჰქონდა უცხოდან გადმოქართულებისა და რომელმაც დაგვიწერა „თამარ ბატონიშვილი“, ივ. ბერიძე დამწერი „ხანის ბეგისა“, – „ტფილისის საიდუმლოებისა“ და სხვანი.

მაგრამ ყველაზე შესანიშნავი ნიჭი პატრონი იყო ლავრენტი არდაზიანი. ის იყო სადღაც ჩინოვნიკად. ჩუმი კაცი იყო და სათნო. მის ქართველობას საზღვარი არა ჰქონდა. ერთი შეხედვით არაფრად მოგეწონებოდა, მაგრამ შესანიშნავი მწერალი იყო; ერთხელ მე, ის და ან. ფურცელაძე დავდიოდით ერთად. ათ საათზე გამოვეთხოვეთ ერთმანეთს, მაგრამ ლავრენტიმ მოინდომა ჩემი მიცილება სადგომამდის. გზაში ხმა არ ამოუღია და სახლის კარებამდი რომ მიმიყვანა, მითხრა: დიდი პატივისცემა მაქვს ახალ გაზრდა ანტონის ნიჭის, მაგრამ, წეღან რასაც ლაპარაკობდა, ის კი არ დამიჯდა გუნებაში. აბა, რა სათქმელია ქვეყანა შემთხვევითმა მანქანებმა გააჩინაო? მაშინ იმას აღარა უთხარი რა და ახლა შენ უნდა გითხრა – უნდა გამოგიტყდე, რომ მიტომაც წამოგყევი, როგორც მკვიდრ შვილს გთხოვ, რომ შენ არ აჰყვე მაგის თანაებს, მოერიდე. პოეტს რწმუნება თუ არაფრისა აქვს, რა შვილი იქნება? შენც ორი რამ უნდა გახსოვდეს: ღმერთი და საქართველო – ეს მითხრა დიდის ბოდიშით და გამომეთხოვა. – მაშინ ახირებულად მეჩვენა, მაგრამ მერე კი მივეჩვიე. კრიტიკული სტატიები მისი გ. ბარათაშვილის სახელით გამოდიოდა. სალაყბოში, რომელსაც გაბო სულხანიშვილი სწერდა, ბევრი ერია ხოლმე მისი ოხუნჯობაც. – საკვირველია, რომ ამ ნიჭიერ კაცს „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის“ დამწერს, არც სიცოცხლეში ჰქონდა დიდი პატივი და არც ახლა იხსენიებს ვინმე!.. მაშინ როდესაც დანიელ ჭონქაძეძ, ავტორი ერთადერთი „სურამის ციხის“, თითქმის ბავშურ მოთხრობის, გაჭიმულია როგორც დიდი ვინმე!..

4. გიორგი წერეთელი

მესამოცე წლების მოღვაწეებში, როგორც უფრო დაახლოვებულები, ყველაზე წინ მეხატებიან: გ. წერეთელი, ს. მესხი და ნ. ნიკოლაძე. – ნიკოლოზ და ბესარიონ ღოღაბერიძეებმა, ვახტანგ თულაშვილმა და დიმიტრი ბაქრაძემ მოინდომეს კვირაში ერთხელ ქართული გაზეთის „დროების“ გამოცემა. აიყო-

ლიეს ახალგაზრდა სტეფანე მელიქიშვილი, აკისრებიეს გამომ-ცემლობა და გაგზავნეს ვენაში ტიპოგრაფიის მოსატანათ. მაშინ ჩვენში გაზეთი და საზოგადოდ წიგნის ბეჭდვა ახალი ხილი იყო. ნებართვა გამოიტანეს და უნდა შესდგომოდნენ გა-მოცემას. პირველი ბიჯი ძნელია. აქეთ სტამბა და მესტამბე, იქით ცენზორი და სხვა, ათასი რამ სიძნელე და ახირებულობა მოეხვათ თავზე იმ პირველ ხანებში. და მეტი გზა აღარ დაურჩათ მეთაურებს, რომ რედაქტორად გამოეწერათ გიორგი წერეთელი და მისთვის მიენდოთ გამოცემა!.. გ. წერეთელი დიდი ნიჭიერი ახალგაზრდა იყო და კარგადაც მომზადებული. ის არა ჰგავდა იმ ზოგიერთებს, დიპლომისათვის რომ სწავლობენ და მერე, რაღაი კი იმას ჩაიგდებენ ხელში, შედიან სამსახურში და ჩინო-ვნიკობის გარდა ყველაფერზედ ხელს იღებენ. გ. წერეთელი იმ-დენად მშრომელი იყო, რომ თავის დაღალვას ვეღარ შეატყობდა ხოლმე. როგორც ოჯახში ხელ-მოკლე კაცი, რომ ვეღარავისა ხედავდა ჩვენში, ყოლიფერს თვითონ ეპოტინებოდა, რედაქტო-რიც იყო, გამომცემელიც; სწერდა: პუბლიცისტურ სტატიებს, კრიტიკულ გარჩევებს, ლექსებს, პროზებს, მოთხრობებს, რო-მანებს და კომედია-დრამებს. იმავე დროს ეპოტინებოდა ისტო-რიკოსობას, არხიოლოგობას, ფილოლოგობას და ბოლოს კომერ-ციასაც. ზემოთ ვსთქვი: დაღალვას ვერ ტყობილობდა-მეთქი; სწორეთ მითაც აიხსნება, რომ მის შრომას ორგვარი ბეჭედი აზის, ზოგს – ნიჭისა, ზოგს – მოქანცვის. ეს ბევრჯერ მიმხელია მისთვის, მაგრამ რას გავხდებოდი, ის თავისას არ იშლიდა და მეც რომ მეტი გზა აღარა დამრჩა რა, დავცინე: ორ თავა დაუძახე – ამით მე მისი არც წყენა მდომებია და არც დაცინვა, მინდოდა მხოლოდ მეტი შრომა მომეშლევინებია, მაგრამ რა გამოვიდა? ის სიკვდილამდის ისევ იმ გიორგით დარჩა და ჩემზე კი სამა-რადისოდ გულნატკენი იყო.

იმის ნაშრომ ნაღვაწს ისე უნდა უყურებდენ, როგორც ოქ-როს მადნეულის ძარღვს: უნდა გაარჩიო, გარეცხო, რამდენიმე ფუთი სილა-ტალახი მოაშორო, რომ მერე გამოარჩიონ რამდე-ნიმე ოქროს მარცვალი. გიორგის თხზულებასაც, როცა გაიმტ-კიცება, ბევრი ხელისხელ საგოგმანებელი საგანი გამოაჩნდება,

რომელიც საბოლოვოდ გასტანს. მისი პირდაპირი დანიშნულება პროზაიკობა იყო და რეალური შკოლის მამად-მთავრადაც ჩვენში ის უნდა ჩაითვალოს და არა სხვა ვინმე, რადგანაც ის სხვებზე ადრე იყო. სხვები რომ არ ვახსენო, იმის დასამტკიცებლად მარტო „მამიდა ასმათი“ და „რუხი მგელიც“ კმარა. „მგზავრის წერილები“, რომ შიგა და შიგ დაღალვა არ ეტყობოდეს, ერთი უკეთესი თხზულებათაგანია ქართულს ენაზე. – ერთი სიტყვით ის ერთი პირველთაგანია მესამოცე წლების მოღვაწეებში. მაგრამ, რადგანაც წინ ბევრჯელ მომიხდება იმაზე საუბარი, ამიტომ გადავდივარ სერგეი მესხზე.

5. სერგეი მესხი

ერთმა ზარაფმა თავის შვილს განათლება მისცა და მილიონიც ადრე დაუტოვა. ახალ-გაზდამ ცხოვრებისა არა იცოდარა, რომ ის შეძლება შეენარჩუნებია, მაგრამ გულ-კეთილი იყო. საზოგადო კეთილ საქმეს თანა-უგრძნობდა!.. სხვათა შორის ამ სტეფანე ზარაფოვმა, გაგზავნა თავის ხარჯით საზღვარ-გარეთ, რუსეთში უნივერსიტეტ დამთავრებული სერგეი მესხიც. მესხი დაბრუნდა, შემდეგ სამსახურში შევიდა, ღუბერნატორის კანცელარიაში და კარგი თვალითაც უყურებდნენ. მისი სამსახურში დაწინაურება საეჭვო აღარ იყო, მაგრამ ნ. ნიკოლაძემ ურჩია, დაენებებია თავი სამსახურისთვის, საზოგადო ასპარეზზე გამოსულიყო და ეკისრა „დროების“ რედაქტორობა გ. წერეთლის მაგიერად, რადგანაც ის საზღვარ-გარედ მიდიოდა. სერგეიმ სიამოვნებით იკისრა, რადგანაც გამომცემლის ს. მელიქოვის დაც დანიშნული ჰყავდა და დღე-დღეზე უნდა შეერთო; დიდ ხანს არ გაუვლია, რომ გაზეთი გადააკეთეს ყოველდღიურად და შეუდგა შრომას. რადგანაც დამხმარე ბევრი არავინ ჰყავდა, შრომა სულ იმას დააწვა თავზე და ბოლოს კიდეც გადაიტანა იმ შრომამ. იმ დროს შეხედვით კარგი გავითარებული კაცი იყო და, თუ საბოლოვო არა დარჩა რა, ეს მითი კი არ მოსვლია, რომ ნიჭი ჰკლებოდეს... წილად შავი–მუშაობა ხვდა. როგორც საზოგადო საქმეების თანა-მგრძნობი უებრო იყო,

საზოგადო კარგი რამ გაამხიარულებდა ხოლმე და მშვენიერი ყმაწვილური სიცილი იცოდა; იმდენს და ისე გულით იცინოდა ხოლმე, რომ თვალებში ცრემლი წამოუვიდოდა ხოლმე. თუმცა დიდი ხანი გავიდა მას აქეთ, რაც ის მოკვდა, მაგრამ უიმისოდ ვერაფერი საზოგადო საქმე ვერ წარმომიდგენია: ცოცხალივით დგას გვერდით და თანაგრძნობით იძლევა სიმხნევეს. რადგანაც სხვა ადგილი არსად იყო, ახალგაზრდობა მის რედაქციაში იყრიდა ხოლმე თავს და ის ყველას მეგობრულად ექცევოდა და სხვათა შორის აქვე მოღვაწეობდა ალექსანდრე ყაზბეგიც, მაგრამ სანამ ამ ახირებულად შესანიშნავ კაცზე ვიტყოდე რასმე, დაპირებისაებრ გადავალ ნ. ნიკოლაძეზე.

6. ნიკო ნიკოლაძე

ნ. ნიკოლაძის მამა, იაკობი, შესანიშნავი ჭკუის პატრონი იყო, გამჭრიახი და წინ დახედული. დიდი სწავლა რომ მიეღო, შესანიშნავი რამ იქნებოდა! მაგრამ, რაც მამამ იმას დააკლო, იაკობმა ის შვილს მისცა და რაც კი შესაძლო იყო, თავი არ დაუზოგნია ნიკოს გამოზრდაში. ნ. ნიკოლაძე ძალიან ახალ-გაზრდა იყო, რომ გაათავა ქუთაისის გიმნაზია და შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, იქ წეს-წყობილებას ვერ შეურიგდა და გადავარდა საზღვარ-გარეთ, სადაც გაერია ემიგრანტებში და როგორც ნიჭიერმა კაცმა, ბევრი რამ კარგი შეიძინა დიდი ხნის განმავლობაში, მაგრამ ზოგიერთი მათი საწვრილმანო წუნიც კი შეითვისა. – დაბრუნების ნება არ ჰქონდა, ძალა უნებურად უნდა დარჩენილიყო ევროპაში დავაშკაცებამდი და, უნდა სწორე თქვას კაცმა, რომ კეთილადაც მოიხმარა ის დრო. მამა-მისმა იცოდა, რომ შვილს ნება არ ჰქონდა დაბრუნების და ფულებს იქით უგზავნიდა. ბევრჯელ ზედმეტიც მისდიოდა გადაწყვეტილზე. ერთჯელ კი ძალიან ნაღვლიანი მოსწრებულიც მისწერა მამამ. ნიკო რომ სწერდა „ძვირფასო მამაო“, იმან საპასუხოთ ასე შეუთვალა: „შვილო ძვირფასი მე კი არა ვარ, შენა ხარო: ამდენი ხანია გყიდულობ და ვერ მიყიდნიხარო!..

ფულებს გიგზავნი და თვალით კი ვერა გხედავ, ისე დამაბერეო“. ბოლოს კი, როგორც იქმნა, მგონი, ბარიათინსკის შემწეობით, მოესწრო იაკობი შვილის ნახვას. ნ. ნიკოლაძე რომ დაბრუნდა სამშობლოში, ბევრად არაფრად ეპიტნავა ახალთაობის მოღვაწეობა!.. თვითონ მოინდომა მაგალითის ჩვენება და, როგორც მატერიალურად, ისე სულიერადაც თავი დასდო და დიდი ნაყოფიც მოიტანა, მაგრამ ეტყობა, რომ თვითონ არ იყო კმაყოფილი!!. საწინამძღოლოდ კარგად იყო მომზადებული და ყოველიფერიც ხელს უწყობდა, მაგრამ ერთი რამ აკლდა, რითაც მამამისი მდიდარი იყო: ჩვენ ქვეყანას და ხალხს ვერ იცნობდა. იმას ეგონა, თუ რაც ევროპაში ითესებოდა და იმკებოდა, ის უნდა ყოფილიყო ჩვენშიაც, ნიადაგის მომზადებაზე, როგორც წვრილმან რამეზე, ცოტას ჰფიქრობდა... საზოგადოდ კი დიდი შრომა გასწია!.. განსაკუთრებით ბანკების შემოღებას ჩვენში იმ პროგრამით, რითაც დღეს არიან, დიდხანს ებრძოლა, ასე რომ სასიკვდილოთაც გადადვა თავი. საკვირველია, იმას ავიწყდებოდა, რომ მთესველი იყო და ნათესი ხშირათ არა სჩანს ბნელ მიწაში, ხშირად ზედ ტალახი და თოვლი ეყრება, მაგრამ როცა გამოზაფხულდება, ერთბაშად იჩენს თავს!.. იმას კი უნდოდა, რომ მისი ნათესი მაშინვე ამოსულიყო და თვითონვე მოემკო კიდეც, ამის ბრალი უნდა იყოს, რომ უკიდურესობაში ჩავარდნილმა მალე გაიტეხა გული და მიანება ყველაფერს თავი. იკისრა ქალაქ ფოთის თაობა და თუმცა თითით საჩვენებელი ქალაქ-მთავარია, მაგრამ მაინც აფსუს! რომ მისთანა კაცი წვრილმალ საქმეებს გამოსდგომია, და რაც შეუძლია, ის კი დაუმარხავს! აქ მხოლოდ ამით გავათავებ ამ კაცზე ლაპარაკს, რადგანაც წინაც ხშირად შეგვხვდება, და გადავალ ალექსანდრე ყაზბეგზე.

7. ალექსანდრე ყაზბეგი

სანდროს დედ-მამას ადრევე ვიცნობდი. მამა გენერალი იყო და დედა – თარხნიშვილის – ქალი, ძველებურად გაზრდილი. ედის ერთა სანდრო ძალიან სათუთათ და ნებიერად იზრდებოდა, მისთანას არას აიჩემებდა, რომ მშობლებს, თუ კი მოახერ-

ხებდენ, არ აესრულებიათ მისთვის. მდაბალი ხალხი იმთავითვე ბავშვობაშივე უყვარდა. სული ბიჭებში მიუდიოდა და, ვგონებ, მიზეზიც იგივე იყო, რომ, რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ, დიდი ხნით ცხვრის სამწყესურში გადავიდა – ფულის ყადრი, პატარა რომ იყო, მაშინაც არ იცოდა: გამოართმევდა ხოლმე მამას ვეცხლის ფულს, ჩაიყრიდა ჯიბეში და გაუდგებოდა გზას; აედევნებოდენ სოფლის ბიჭები, ისიც იღებდა ხოლმე ჯიბიდან ფულებს და გადაუყრიდა ბიჭებს; ისინი დაერეოდენ ერთმანეთს, იყო ერთი წიწკნა-გლეჯა და ყურთაზიაობა და ეს ამბავი ძალიან უხაროდა პატარა სანდროს. – პატარაობას შემდეგ მე ის აღარ მინახავს, ისე გაიზარდა! და აღარც მისი მშობლები!.. ერთხელ რუსის მსახიობმა – ქალმა რალფმა შემომჩივლა, რომ ძალიან კაი ოთახი მიჭირავს სადგომად, მაგრამ ჩემ პირ-და-პირ ოთახში ისეთი ვინმე დგას, რომ უნდა მივატოვო ჩემი ოთახი და გადავიდე სადმეო. ვიღაც ახირებული ახალ-გაზდა ქართველი დგას, არც გადადის სახლიდან, არც აწმენდინებს ოთახს, არც პირს იბანს. რას შვრება, კაცმა არ იცის, და მისი ოთახიდან ჩემ ოთახშიაც მძიმე სუნი შემოდისო. ამ სასტუმროშივე იდგა ლუკა თარხნიშვილის ოჯახი და მეც იქ შევედი. სანდროს დედა ლუკას და იყო და ისიც იქ დამიხვდა. მე რალფის ნათქვამი გადავეცი მათ და ვკითხე: „ვინ ქართველია, ხომ არ იცით მეთქი“. მაშინ შემომტირა სანდროს დედამ: არ გებრალები, რომ ის ჩემი სანდროა და რაღაცა ემართება, თვითონაც არა გაეგებარაო. ეს ერთი თვეა, ოთახიდან აღარ გამოდის, არც ვისმეს იკარებს და არც თვითონ ეკარებაო. მამის სიკვდილის შემდეგ ადგილ-მამული გლეხებს დაურიგა და გამაღარიბა და, ახლა არის მაგრეო! – მე მაშინვე მის სანახავად გავსწიე. მისი ოთახის კარები რომ გამოვაღე, მისთანა კომლი იდგა თუთუნის, რომ დიდხანს ვეღარც გავარჩიე რა. ის ჩამჯდარიყო ქვეშაგებში პერანგის ამარა, წამოეხურა საბანი და რაღაცას სწერდა. შემომაჩერდა ჯერ უკმაყოფილოდ, მაგრამ მერე მიცნო და ბოდიშით მითხრა, რომ წერამ გამიტაცაო. გადმოიღო და მიჩვენა ნაწერები. ღმერთო ჩემო, რამდენი რვეული ედვა სტოლზე და რაები არ ჰქონდა შიდ ჩაწერილი? დრამები, კომედიები, ლექსები, პროზები და სხვა... რამდენიმე მათგანი დავათვალიერე და ადვილად დავრწმუნდი, რომ ახალ-

გაზდა ყაზბეგს შრომა მეტი ჰქონდა, მაგრამ ჯერ ქართული არ იცოდა კარგათ, წერაში არ იყო გაჩვეული, მაგრამ მის ნაწერებს ადგილ-ადგილ ნიჭი ეტყობოდა. რომ შევატყე, ჩემი მისვლა არ სწყინდა, მიუხედავად მისი ახირებულობისა, ხშირად თითქმის ყოველ დღე დავიწყე იმასთან სიარული. იმ ხანებში მე ქართულ სცენას განვაგებდი და მისი ოთახიდან გამოსატყუებლად მოვიგონე, რომ ერთი მსახიობი მაკლდა და რომ ის იკისრებდეს, არ იქნება ურიგო მეთქი. ჯერ იუცხოვა, მერე კი ისე შეუჩნდი, რომ იკისრა. შვიდ-თუმან-ნახევარი დაუნიშნე თვეში და გადავიყვანე. მსახიობად არაფერი შვილი იყო, ეს მე წინდაწინვე ვიცოდი, მაგრამ, მსახიობებში რომ გაერია და საქმე გაუჩნდა, დღეს-ხვალობით გამობრუნდა და ძვირად მოუვლიდა ხოლმე ახირებულობა, მისი არა თუ ახირებულობა, ყოველ-გვარი მოქმედებაც, რაღაც ბავშური იყო და ვისთვისაც უნდა ეწყენინებია, გულში არავის ჩარჩებოდა. – აქტიორობაში დიდი ბეჯითობა გამოიჩინა, ბევრი როლი შეისწავლა, მაგრამ არც ერთში გარდა ერთისა, არ ვარგოდა, ღენერლის როლს როგორღაც კარგად ასრულებდა ერთ პიესაში. რაც სეზონი გათავდა და ჩემი საქმეც ცუდად წავიდა, მე მარტოკა მისი შველა აღარ შემეძლო და გადავიყვანე „დროების“ რედაქციაში სერგეი მესხთან. „გლახა გლახას აეკიდა, ღმერთო, ფარატინი გააგდებიე“, რომ იტყვიან, სწორედ ისე იყო ჩვენი საქმეც. რედაქციაში ბინა უშოვეთ, მაგრამ საჭმელ-სასმელი, ჩვენ რა გვქონდა ბევრი, რომ მისთვისაც ბევრი მიგვეცა? მაგრამ ეს იმას არ აწუხებდა. ბევრსა სჭამდა თუ ცოტას მისთვის სულ ერთი იყო!.. არ დაეძებდა! ერთხელ საგვარეულო ძვირფასი სახარება მიჰყიდა ჩვენ „წერა-კითხვის საზოგადოებას“ და იმავე დროს დედიმისის დანარჩენი ქირმანი შალი, რომელიც ძვირფასი იყო, სულ 15 მანეთად გაჰყიდა. მოაგროვა ფულები და ბათომში ამოჰყო თავი. იქ რა ჩაიდინა არ ვიცი, მაგრამ რომ დაბრუნდა, აღარა ჰქონდა რა და ერთი პატარა ჟაკო-მაიმუნიც ჩამოიყვანა მხარზე შესკუპული. – შვილი არ ეყვარება ადამიანს ისე, იმას ის ჟაკო უყვარდა. ერთხელ დაეკარგა როგორღაც, და იმაზე უსაცოდავესი აღარავინ ყოფილა!! მაშინ რედაქცია გალოვინის პროსპექტზე მუხრანსკის სახლში იყო. ზედა სართულში სასტუმრო იყო. ერთხელ გ. ყარანგოზაშვილი დაბრუნდა გვი-

ან თავის ოთახში და, როდესაც ასანთი ვეღარ ნახა, გაიხადა და ჩაწვა ქვეშაგებში. ბნელაში ფეხებზე ხელი მოუსვა ვიღაცამ, გამოახილა თვალები და წამოჯდა, მოინდომა კრაოტ ქვეშიდან ფოსტლების გამოღება, მაგრამ ამ დროს, ხელი რო შეყო, ვიღაცამ ჩამოართვა ხელი, შეშინებული წამოვარდა ტიტველა კაცი, მოავლო ხელი ხანჯალს, ამოიღო და მიაყვირა მტერს: „გამოდი მანდედან, თუ ვაშკაცი ხარ! ნუ იმალებიო!.. ბევრი უყვირა, ხან რუსულად, ხან ქართულათ და ბოლოს ჟაკო მაიმუნი გამოდგა; ყაზბეგს, რომ გაეპარა იქ ასულიყო და დამალულიყო. მაიმუნი რომ იპოვა, სანდროს გახარებას საზღვარი აღარ ჰქონდა!.. მაგრამ ბოლოს მაინც მისთანა გაჭირვებაში ჩავარდა, რომ ის თავის საყვარელი ჟაკო თუმნად გაჰყიდა. როცა „დროება“ მაჩაბლის ხელში გადავიდა, ყაზბეგიც თან გაჰყვა. მაჩაბელმა კეთილათ მიიღო. მიუჩინა ცალკე ოთახი, საწოლი, საჭმელ-სასმელი, მაგრამ კიდევ უჩივოდა ხოლმე: „კრაოტიცა“ აქვს, ქვეშაგებიც, მაგრამ მაინც გაუხდელი პოლზე სწვებოდა ხოლმეო“. „დროების“ დახურვის შემდეგ სადღაც გაიქცა ტფილისიდან, ვგონებ კახეთში წავიდა და მას შემდეგ ერთხელ კიდევ შევხვდი, მაგრამ მაშინ ის სულ აღარ იყო ჭკუაზე. – ჩვენი საზოგადოება ცოტა პირშავად არის მასთან: მაშინ, როდესაც მისი ნაწერები ათასობით იყიდებოდა და, როგორც მწყურვალი წყაროს, ისე ეწაფებოდნენ მის ნაწერებს, ის სამხედრო ჰოშპიტალში იწვა ავად-მყოფი, დიდ გაჭირვებაში. სიკვდილის შემდეგ კი შეინანა საზოგადოებამ, მის კუბოს მზე და მთვარეც დაახალეს, მაგრამ რაღა დროს? მისი სიკვდილიც კი უცნაური იყო: ერთხელ ვარანცოვის ძეგლთან ვიდექ მე და შევნიშნე, რომ საზოგადოება მუშტაიდისაკენ მიესწრაფებოდა. ეკიპაჟი ეკიპაჟზე იყო გაბმული და მიაქანებდნენ. იქ თურმე წარმოდგენა იყო: ვირი აჰყავდათ მაღლა აეროსტატით!.. სწორედ იმ დროს, მოვიდა ჩემთან დანაღვლიანებული ზ. ჭიჭინაძე და ნაღვლიანად თავის ქნევით დამეკითხა: „სად მიდის ეს ქართველი საზოგადოება სასეირნოდო? სულ ნახევარი საათი არ იქნება, რაც ჰოშპიტალში ყაზბეგი გარდაიცვალა და მე იქიდან მოვდივარო!“ ამ ამბავმა დამაღონა და შეწუხებული დავბრუნდი შინისაკენ.

8. თ-დი გრიგოლ ორბელიანი

დიდებული ჩამომავლობის, მთავრობის მაღალხარისხოვანი ხელჯოხიანი, ბუნებითადაც დიდი ნიჭიერი იყო გ. ორბელიანი!.. მაგრამ არც ერთ ამ ღირსებათაგანის ნაყოფი არ მოუტანია სამშობლოსათვის, როგორც მაღალ ხარისხოვანს ქვეყნისათვის არა გაუკეთებია რა და როგორც დიდ-ბუნებოვან მგოსანს – მწერლობაში კვალი არ დაუსვამს!.. მრავალი საუკუნოების განმავლობაში, ათასში ერთხელ, ცის ტატანზე კვიმატი გამოჩნდება ხოლმე ყოველ მთიებზე უფრო ბრწყინვალე სხივ-მფენარი, საოცარ–კუდს იკეთებს და თანამედროვეთა ყურადღებას ძალა-უნებურად იქცევს. ანათებს ერთხანს და მერე უეცრად გაქრება... გაუჩინარდება. ბევრი მხურვალე სიტყვა წარმოითქვა განსვენებულის ორბელიანის კუბოზე. სხვათაშორის ითქვა, რომ „მზე ჩაესვენა“, „მთვარე ჩავიდა“ და „ვარსკვლავები დაბნელდენო“, მაგრამ არა, მზე კი ჩაესვენა, მხოლოდ კვიმატი გაქრა... გაუჩინარდა... ქვეყნისათვის არ მოუტანია რა და არც კვალი დაუგდია... და ეს მისი ბრალია, რომ იმას ხალხიცა და ცხოვრებაც ბიუროკრატიულად, ბატონ-კაცურად ესმოდა, იმდენად სწამდა საქართველო მხოლოდ, რამდენადაც საჭირო და გამოსადეგი იყო მისთვის და მისიანებისათვის და თუ ეს არ იქნებოდა, ქვა ქვაზედაც ნუღა ყოფილიყო!!.

ერთხელ დავით ერისთავმა, გლუხარიჩის შვილმა, მოუნდომა ილია ჭავჭავაძეს ბანკის მართველობიდან გადაგდება და მისი ადგილის დაჭერა. ჩამოიყვანა, სულ ტივებით, რადგანაც, მაშინ რკინის გზა არ იყო, ხალხი. შეიტანა მათ მაგიერ ფული და ითხოვა, რომ ისინიც დამფუძნებლებად ჩარიცხულიყვნენ. – ახალი მეკენჭეები ერთი ორად მეტი იყო ძველებზედ. დაღონდენ ილიას მომხრეები, მაგრამ შორ-მჭვრეტელი ილია კი ყურსაც არ იბერტყდა. დიდის სიამოვნებით მიიღო. მერე მიუბრუნდა ძველ ამრჩევლებს და უთხრა: „საზოგადო საქმისათვის, რაც მეტია ამხანაგი, ისა სჯობსო და ჩვენც უნდა მადლი შევსწიროთ ახლად ჩაწერილებს, მაგრამ ხმის უფლება ახლავე უნდა მივცეთ, რაც კანონს ეწინააღმდეგება, თუ შემდეგისათვის, კანონისამებრო?..“ ძველი ამრჩევლები მიხვდენ და დაიყვირეს ერთხმად:

„შემდეგისთვის! შემდეგისთვის!“ დარჩენ პირ-ჩალა გამოვლებული, როგორც ახალი არჩეულები, ისე ასარჩევიც.

იმ დროს თდ. გრიგოლ ორბელიანს ჭავჭავაძის მხარე ეჭირა და მშვენიერი, სატკაცა-ტკუცო სიტყვა წარმოსთქვა. საზოგადოება სულ-განაბული უგდებდა ყურს (უმისობა ან კი როგორ იქნებოდა, რომ მაშინ ორბელიანს მთავარმმართებლის ადგილი ეჭირა?). ის სიტყვა ორატორმა ამ გვარად დააბოლოვა; „საქარ-თველო შურმა და მეტოქეობამ დაამხო!.. ჩვენი დღევანდელი უბედურება ის არის, რომ მე, ყაფლანიშვილს, და ვიღაც ცალქალამნიძეს ერთი და იგივე უფლება გვაქვს მონიჭებული, ერთი და იგივე ძალა!.. იმასაც ჩემდენი შეუძლია ამ საკენჭო საქმეშიო!“ ამ სიტყვების განმარტება საჭირო აღარ არის!.. თავის-თავადაც იგულისხმება, თუ რა შეხედულებისა ყოფილა ორბელიანი საზოგადო საქმეზე და პირდაპირ გადავალ მის მგოსნობაზე.

მწერლობა ხელობად არ მიაჩნდა. ლექსის წერას ისე უყურებდა, როგორც სახუმარო და სალაღობო რამეს, და მიტომაც მის ხანგრძლივ ცხოვრებაში, რამოდენიმე გულის საფხან ლექსის მეტი არა დაუწერია რა!.. „ონიკოვის დარდები“, „ლოპიანას ვინაობა“ და „იარალია“ ქვეყნის ჭირ-ვარამი ეგონა. მისი ფიქრი ლხინი იყო!.. მისი უბედურება – ულხინობა. „კაზარმობის“ დროს, მეამბოხეებში გამორეული, ნოვგოროდში, რომ გაიგზავნა, იქ იგონებს სამშობლოს და პეტერბურგში მყოფ იარალ შანშიევსა სწერს:

ჩემო იარალი
ნეტავი ოდეს
ლხინით აღვსილნი
ვსხდეთ ველსა მწვანესა

და სხვანი.

საქართველოს ჭირ-ვარამზე კი არა ჰფიქრობს, ლხინი აგონდება, ქეიფსა ჰნატრობს, შუბლის გამაგრილებელ კოჯრის ნიავს, ჯეირნის შუშხუნა მწვადს და სადღეგრძელოებს, იქვე ყურს უგდებს იარალის ნაამბობს ძველებურ ამბებს, გულ-დაწყვეტილი იგონებს მეფეს, მაგრამ იმდენად კი არა, რამდენად ის საჭირო და სასარგებლო იყო ქვეყნისათვის!.. არა, მხოლოდ იმას

ისაკლისებს, რომ მეფე აღარ ფარფაშებს!.. იგონებს მოედანზე ჯირითს, შუბის ტრიალს, ყურთმაჯთ ბრძოლას და ამ გვარ შექცევებს!.. ყველგან ქეიფს ეძებს და იმასა სტირის!.. ლხინი!.. ლხინი! და ლხინი! ზოგიერთი მღერალია, რომ „მრავალჟამიერ“ კარგად გალობს, „ძლის პირებს“ მშვენივრად აკაკანებს, მაგრამ „ზარს“ კი ვერ მოახერხებს. აგრეთვე არის მისთანა მომღერალიც, რომელიც ვერც ერთს ვერ ახერხებს: ვერც „მრავალჟამიერს“, ვერც „სძილის პირს“ და ვერც სალხინო რამეს, მაგრამ „ზარს“ კი ისე ჰქვითინებს, რომ ჭირისუფალს გულის სიღრმემდე უწევს, ამ პირველთაგანს ეკუთვნოდა გ. ორბელიანი და თავისთავიც საქართველოს ბარძმედად მიაჩნდა, როგორც ვარანცოვის პოლიტიკის მიმდევარს ურუსებოთ ქართველის წარმოდგენა არ შეეძლო, მით უფრო, რომ რუსეთი პირადად მისი დიდი მწყალობელი იყო. და განა მარტო იმას? მაშინ შამილობა იყო და საზოგადოდ ქართველებს, გარდა ერთი ორისა, ასე ეგონათ, რუსის ნამოქმედარში წილი ედებოდათ. გრიგოლს მაინც თვით რუსზედაც უფრო სწამდა რუსი. რუსი ქართველში ჰყავდა განხორციელებული და ქართველი რუსში. და ამით აიხსნება მისი თავ-დადებული ერთგულება რუსეთისადმი. – მესამოცე წლების სურვილ-მისწრაფებას ჩქარა ვერ აუღო ალღო და კიდევაც გაილაშქრა მაშინდელ ახალთაობაზე...

გაილაშქრა, მაგრამ, როგორც დიდ-ბუნებოვანმა კაცმა, მალე კი გაიგო თავისი შეცდომა და მოინდომა ახალთაობისაკენ გადმოკატუნობა: რუსის პოეტის მიხაილოვის ლექსი „მჭედელი“ გადმოაკეთა „მუშა ბოქულაძედ“, მაგრამ, რაც უნდა იყოს, ამ ლექსს მაინც ატყვია ნაძალადეობა. – ჟუკოვსკის მიბაძვით მან დასწერა პოემა „სადღეგრძელო“. რუსების დროს ეტრფის და ნიკოლოზ პირველი ცამდი აჰყავს. სანამ ალექსანდრე ორბელიანი ცოცხალი იყო, ნიკოლოზის მუნასიბი გამოტოებული ჰქონდა და მერე კი ისიც შეიტანა მთელ პოემაში.

გრიგოლი იყო ლხინისა და ქეიფის დიდი მღერალი და ნეტავი იმ ხალხს – ეს საგულისხმოა, – რომელიც ამისთანა დიდბუნებოვან შვილს წარმოშობს! მაგრამ თვით ამგვარბუნებოვან კაცს რაღა ეთქმის მის მეტი, რაც მისმა დისწულმა მგოსანმა ნ. ბა-

რათაშვილმა იწინასწარმეტყველა: „არც კაცი ვარგა, თუ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფელს კი არარა არგოს!“ სიკვდილის შემდეგ პირდაპირი მემკვიდრე არ დარჩენია, დიდძალი ქონება დარჩა, მაგრამ საქველმოქმედო ჩირის ფასიც არა დაუტოვებია რა, რომ მით მაინც აღენიშნა ცხოვრების კვალი.

9. დიმიტრი ყიფიანი

სულ სხვა ბუნებისა და გუნების იყო, ვიდრე გრიგოლ ორბელიანი, განსვენებული დიმიტრი ყიფიანი. სააბაშიო, საბატონო აზნაურიშვილს, უბრალო ჩამომავლობისას, უფრო მეტი ნიჭი და მეცადინეობა ეჭირვებოდა, ვიდრე რომელიმე გვარისშვილს, რომ ცხოვრებაში ბიჯი გადაედგა!.. შთამომავლობით არა მიუძღოდა რა!.. მომხრე არავინ ჰყოლია და თავისთავად უნდა გაეკვლია გზა მომავლისა. პირველი ბიჯი მან ციმბირისაკენ გადადგა. ახალგაზრდობა ვოლოგდაში გაატარა, მაგრამ დაბრუნების შემდეგ კი ისეთი მხნეობა და ნიჭი გამოიჩინა, რომ ჩინოვნიკობას თავში დაუდგა... მთავარ-მართებლის კანცელარიის მმართველობა ჩაიგდო ხელში, გაითქვა სახელი და გაძლიერდა. – ქართველობას მისთვის გარდა სიცოცხლისა არა მიუცია რა!.. ყოლიფერი რუსობამ მოახვეჭინა, მაგრამ, დახეთ გულ გაუტეხლობას, იმას სამშობლო მაინც არ დაჰვიწყებია, იმ თავიდან ამ ბოლომდე, სიყრმიდან სიბერემდე სულ თურმე საქართველოზე ჰფიქრობდა, – ცოტას ჰფიქრობდა პირადობაზე. დიდკაცობა და ძალა მიტომ უნდოდა, რომ ხალხში მეტი გავლენა ჰქონებოდა და მეტი სარგებლობა მოეტანა საქართველოსათვის. ამან კარგად იცოდა, რომ იმ დროში, კაცი გენიოსიც რომ ყოფილიყო, თუ მის ადამიანობას რუსის ბეჭედი არ ექნებოდა დაკრული, არავინ რას გაუგონებდა. მის წინ ორი გზა იდვა, მარცხნით ბიუროკრატიული, მთავრობისაგან გატკეცილი, ია-ვარდით მოფენილი და პირადად საბედნიერო. მეორე მარჯვნით, მესამოცე წლის მოღ-

ვაწეების ნაჩხირკედელავები, უსწორ-მასწორი, სახიფათო და პირადად სავნებელი. საპირადო ბედნიერების საფეხურზე შემდგარი ყიფიანი, უშიშრად გადავიდა ამ სიტყვით, კალმით, საქმით, სულითა და გულით მათთან იყო ისიც.* (* ამ სახიფათოზე და ჩაირიცხა ახალ-მოღვაწეებში) ..ორი ნესვი ??? ხელით არ დაიჭრებაო“, დღეს-ხვალიობით, თანდათანობით, ააყრევინა მთავრობას გული, გაირისხა და თავი მოაშორებია, ირაკლი გრუზინსკისა არ იყოს, ქართულ ლიტერატურულ საღამოზე სალამურის დამკვრელად რომ გამოვიდა. მაშინ რომ ყიფიანმა მუნდირი გაიხადა და ჩერქეზული ჩაიცვა ზედ ვარსკვლავით, სასაცინო პროტესტი იქნება, თუ დღევანდელის თვალით შევხედავთ!.. მაგრამ მაშინ კი საგულისხმო იყო და იმას ნიშნავდა, რომ იმან მით მაშინდელ ბიოროკრატიას პირდაპირი ბრძოლა გამოუცხადა. სწორეთ მაშინ დასწერა ალეგორიული ზღაპარიც... „თურქმენული ცხენი“. სადაც თავისი თავი ჰყავდა გამოხატული და მისი მომავალი ცხოვრების პროგრამაც დასურათებული, მაგრამ, რომ ჰფიქრობდა, ის აღარ გამოუვიდა. მთავრობამ რომე ხელი აიღო, მისიანებმაც ზურგი უჩვენეს და დარჩა მარტოდ–მარტო ბრძოლის ველზე. – მაშინ კი დაინახა, რომ თვითონ ვეღარ შევიდოდა სამკალში, ნაყოფს ვეღარ მოესწრებოდა და შეუდგა მარტოდ–მარტო მხოლოდ თესვას, რომ მის ნათესს ოდესმე თავი ეჩინა, დამწიფებულიყო და სხვებისთვის მაინც აეღებინებია ხელში ნამგალი. ეს არის იდეური ბრძოლა, რომელიც არ ეტანება ხორციელ ძალმომრეობას და ამას დაადგა ყიფიანიც.

არც ერთი ქართული დაწესებულება არ არის ჩვენში, რომ მეთაურობა ყიფიანს არ ეკუთნოდეს; ბანკი, ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოება, თეატრი და სხვანი, სულ მისის ინიციატორობით არის დაწყებული. ერთხელ ქუთაისს მივდიოდი რკინის გზით და მესამე კლასი რომ გავიარე, იქ შევხვდი დ. ყიფიანს. მოვუჯექ გვერდით. მეტათ დაღონებული იყო. ბევრი რამ შემომჩივლა და, სხვათა შორის მითხრა: ვფართხალობ, მაგრამ ფართხალსაც ძალა უნდა და მე კი შემომაკლდაო. მაშინ ქუთაისში გუბერნიის მარშალი უნდა აერჩიათ და შევეკითხე: იმერეთის მარშლობას არ იკისრებთ-მეთქი?

– რატომ არა, მაგრამ ხელ–მოკლეთა ვარ, საშუალობა არა მაქვს და უქონლობა დიდი ხელის შემშლელიაო.

– რომ საშუალებაც გამოგიძებნოთ მეთქი?

– მაშინ დიდის სიამოვნებით.. – მომცა სიტყვა და გამითავა.

ჩავედი ქუთაისს და მივაშურე გ. ღოღობერიძეს. იმ დროს, როგორც უხუცესი, ის ითვლებოდა ახალთაობის მეთაურად. გადავეცი ჩემი განძრახვა. შევკრიბეთ იმ ღამესვე მეკენჭეები და გადავეცით გულში ნადები. იმერლები დიდის თანაგრძნობით მაეგებენ ამ ამბავს, გარდა ერთი-ორი ჩინოვნიკისა, მაგრამ ისინი რაღას გახდებოდენ? შედეგი ის იყო, რომ ერთხმად არჩეულ იქნა დ. ყიფიანი და ჯამაგირიც ოთხასი თუმანი დაენიშნა. იმერეთში რომ ჩამოვიდა ყიფიანი, არ ვიცი რას გამოელოდენ მისგან იმერლები, მაგრამ ძალიან აღტაცებით კი დაუხვდენ. მთელი დღე ლიტანიობდენ. სხვათა შორის ჩასვეს ფაიტონში, თვითონაც ჩასხდენ ფაიტონებში და „ვაშას“ ძახილით სამჯერ შემოატარეს ირგვლივ ბულვარი. მთელი ქალაქი საყურებლად გამოვიდა. ამან გაამხნევა მოხუცი, გაუახლა ყმაწვილური ოცნებები და ბევრს რამესაც უქადდა იმერეთს!.. იმას ეგონა, თუ ის, რაც აღმოსავლეთ საქართველოში ვერ ნახა, ადვილად მოიპოებოდა დასავლეთში და მხნედ შეუდგა საქმეს!.. მაგრამ ეს „სოფელი განა დიდხანს ახარებს?“ იმ ხანებში, გულ-მოსულმა ექსარხოსმა, რექტორის სიკვდილის გამო, შეაჩვენა ქართველობა. იმ წირვაზე ქართველი დიდებულებიც იყვენ, მაგრამ კრინტიც არ დაუძრავთ და ყიფიანმა კი შორიდან მოსწერა წმინდა მამას მრისხანე საყვედური. ეს წერილი ჩაუვარდა მთავრობას ხელში, შეუკეცა წინანდელი უსიამოვნებაც და ავტორი ყიფიანი გადაასახლეს სტავროპოლს, პატიმრად.

რამდენიმე დღის წინეთ გაგზავნისა ქვიშხეთს შეველ, ვნახე და მისმა მხიარულმა სახემ გამაოცა. „ერთი იმ თავითო და მეორე ამ თავითო!“ – მომაყვირა სიცილით, – პატიმრობით დავიწყე ცხოვრება და პატიმრობითვე ვათავებო!.. დაღრეჯილობა რომ შემატყო, სიცილით მითხრა: ნუ გშურს ჩემთვის ეს ღვთის წყალობაო! უკეთესს ჯილდოს მე ვერც კი მოვიფიქრებდიო!.. ეს ერთი საუკუნეა, რაც ქართველები ცუდ-კაცობისათვის იგზავ-

ნებიან ციმბირში და ჯერ იდეურად არავინ დასჯილაო და დეე პირველი მერცხალიც მე ვიყოო!.. მართალია, პირველ მერცხალს ხანდახან სუსხი დაჰკრავს და გაზაფხული ვეღარ ესწრება... მაგრამ მაინც პირველი მახარობელია და გაზაფხული მაინც მოვაო! – სთქვა და ჩაფიქრდა.

მართლა რომ იწინასწარმეტყველა თავის თავზე: იქ, სტავროპოლში, პატიმრობის დროს მოჰკლეს!.. ის ტვინი, რომელიც საქართველოზე ჰფიქრობდა, თავზე გადაანთხიეს. და იმ გულზე, რომელიც სამშობლოსათვის სძგერდა, ცივი ხელები დააკრიფეს!

და ვინ? რათ?.. სრულიად საჭირო არ არის ამაზედ ვიფიქროთ მაშინ როდესაც ვიცით, თუ რისთვისაც!.. ამას მომავალი უკეთ გამოიკვლევს, მაშინ, როდესაც ყიფიანის ნათესი თავს იჩენს, ნაყოფს მოიტანს და დაწესებულაებს ჩვენც ისე ცალმხრივად აღარ დავუწყებთ ყურებას როგორც დღეს: ბანკი მარტო სადახლო დუქანი აღარ გვეგონება, წერა-კითხვის საზოგადოება – ბიუროკრატიული რამ დაწესებულება და თეატრი – სასაცინო გასართობი!.. დღევანდელი ამბოხება, თუმცა ჯერჯერობით კი უკუღმართი და უთანასწორო, მაგრამ მაინც ხალხის გამოღვიძების ნიშანი, თავდებია ამისი.

აი, სწორეთ იმისთანა დევ-გმირზე, როგორც იყო განსვენებული დიმ. ყიფიანი, ითქმის, რომ „მოვიდა ქვეყნად და ქვეყანასაც ბევრი რამ არგოო!“

1908

პუბლიცისტური

წერილები

რაოდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ

ძლივს ერთი ხეირიანი წიგნი გვეღირსა: უ. ლორთქიფანიძემ გამოსცა ლექსების კრება „ჩანგური“, რომელმაც მოულოდნელათ გაგვახარა და ისე გულწრფელობითიც არის ეს ჩვენი სიხარული, როგორც პირმშო შვილის ძეობაზე მისი მშობლებისა და ახალ მონათესავებისა... სიტყვა „პირმშო“ აქ ჩვენ უმიზეზოთ არ გვიხმარია: ეს „ჩანგური“ არის პირველი წიგნი, რომელსაც ასხია ქართული ხორცი, უდგია ქართული სული; სტირის და ჰკვნესის ქართველების კვნესით და მაშ რაღა საიჭვოა, რომ ყოველ რიგიან ქართველთ ნათესავისათვის სასიხარულო იქნება?.. მიზეზიც ამისი არიან ორი პირველი მწერალთაგანი, როგორც ღირსებით, ისე რიცხვითაც: თ. ნ. ბარათაშვილი და თ. ი. ჭავჭავაძე.

ვიცი, აქ მკითხველი ვერ შემომხედავს წყალობის თვალით, რადგან აქ ჩემგან ხმარებული სიტყვა „პირველი“ ორივე შემთხვევაში აკვირვებს და ჰფიქრობს: „პირველი ღირსებით?“ როგორ თუ პირველი ღირსებითაო?! ვსთქვათ, თუ გინდა ბარათაშვილი დიდი მწერალია, მაგრამ იმასთან ი. ჭავჭავაძეს რა უნდა? ვინ აძლევს იმას ბარათაშვილის გვერდით ალაგს? ჰმ, ეს ილია ჭავჭავაძე, ჭაპან–წყვეტით ლექსების მწერალი, რომლის ლექსებშიაც არც სულის განმაცხოვლებელი პოეზია იპოება და არც სასმენელის დამტკბობი გარმონია ისმის, ნუთუ ერთს ტახტზედ უნდა გვერდით მოუჯდეს ბარათაშვილს?... ჯავრობს მკითხველი... დიახ, ჩემო ბატონო! ეგ თქვენი ნაქები და შემკული ბარათაშვილი და ჭავჭავაძე, სწორეთ ერთს ტახტზედ სხდომის ღირსები არიან, ერთგვარი დამსახურება აქვსთ ჩვენს ლიტერატურაში, ერთ გვარათ დაუვიწყრები არიან, ერთის გაუწყვეტე-

ლის ჯაჭვით გადაბმულები ერთი მეორეზედ; ერთის უმეორესოთ გაგება ძნელია! ერთის სიტყვით, ეგენი არიან მოსე და აარონი ჩვენის ლიტერატურისა. ამის დამტკიცებას ქვემორე შეუდგებით და აქ ჯერ მეორე „პირველს“ დამტკიცებას ვეცდებით. მეორე „პირველი“, ესე იგი „პირველი რიცხვით“, ვიცი არ აჯავრებს მკითხველს, როგორც ზემოთ, „პირველი“, მაგრამ აცინებსკი ჩემზედ: „ეს რა უთქვამსო? ეს რა დაუწერიაო?“ „პირველი რიცხვით“ ხა, ხა, ხა!.. ნუ თუ მაგათზედ ადრე მწერლები არა გვყოლიაო? ეტყობა ამ სტატიის ავტორს არც ერთი ძველი წიგნი არ წაუკითხავს, მაგრამ სიმღერები მაინც არ გაუგონია, თუ ყოფილა როდისმე საქართველოშიო; სხვა არა იყოს რა, მარტო ბესიკის და მისი ჰამქრების ლექსები უნდა სცოდნოდა და ამისთანა სიცრუვე არ გამოეთქვაო? – ბატონო მკითხველო! მე წამიკითხავს ძველი წიგნები, ვყოფილვარ საქართველოში და არა თუ გამიგონია ბესიკისა და მისი ჰამქრების თხზული ლექსები, კიდევაც თვითონ მე მიღიღინებია. დრო იყო, რომ მის „ტანო ტატანო“, „შავნი შაშვნი“, და „სევდის ბაღს შეველ“ აღტაცებაში მოვყავდი ხოლმე და ახლა, ვერ დავჰფარავ მე, რომ ის ლექსები მოცლილი კაცის სასმენელს ატკბობენ ხოლმე, ისე გარმონიულათ არიან დაწერილი. მაშ [ეს] მწერლები, მეუბნება მკითხველი, სულ ყველა ბარათაშვილზედ და ჭავჭავაძეზედ ადრე სცხოვრობდენ და სწერდენ და თქვენ რაღა მიზეზით ეძახით ამ უკანასკნელებს „რიცხვით პირველებს“?.. ამ სურვილს, იმედი მაქვს, აქვე დავამტკიცებ, მაგრამ ჯერ მე თვითონ უნდა ვიკითხო: მკითხველო! ვიცი, რომ საქართველოში ბძანდებით და მიბძანეთ: ხომ გაგიგონიათ ჩვენში ბულბულის ყეფა, შაშვის სტვენა და მერცხლის ჭიკჭიკი? რასაკვირველია, არათუ შენ მარტო, ყველას გაუგონია და თუ მოცლილიც ვყოფილვართ, დაგვიგდია ყური და დაგვტკბობია სასმენელი, ათასათ უფრო, ვიდრე ბესიკის გარმონიული ლექსებისაგან, და მაშ ეს ჩიტები, რაკი საქართველოში ეგ ბუნება ყოფილა, არ გამოლეულან და მაგრე უსტვენიათ, მაშასადამე ეგენი უნდა იყვნენ უპირველესნი რიცხვით პოეტები; მაგრამ, იმედი მაქვს, შენს გულშიაც არ შეუშვებ, რომ მგონია ჩვენს ლიტერატურაში რამე დამსახურება ჰქონდესთ, თუმცა სასმენელსკი გვიტკბობენ. რასაც თქვენ ფიქრობთ მაგ

ჩიტებზედ, მეც იმას ვფიქრობ მაგ თქვენს ნაქებ მწერლებზედ, რომლებსაც ერთი და იგივე ღირსება აქვსთ მაგ ჩიტებთან, რადგანაც მაგათ ლექსებში ცარიელი სტვენის მეტი არაფერი მოისმის; მაგალითად, ავიღოთ თუ გინდა ეს ლექსი:

„ტანო ტატანო, გულ წამტანო, უცხოდ მარებო,
„ზილფო–კავებო, მომკლავებო, ვერ საკარებო,
„წარბ–წამწამ–თვალნო, მისათვალნო, შემაზარებო,
„ძოწ–ლალ–ბაგეო, დამდაგეო, სულთ–წამარებო,
„პირო მთვარეო, დამდაგეო, მზისა დარებო, და სხვა...

ეს ბულბულის ტიუ! ტიუ! ტია! ტია! ტიაა! არ არის, აბა რა არის? ცარიელი სტვენა არ არის?! და მაგათ ისეთი დამსახურება არა აქვსთ ჩვენს ლიტერატურაში? კიდევ განვიმეორებ, როგორც ის ჩიტები, ისე არ მომყავს ეგენი მწერლების რიცხვში. აქ ეგება იფიქროთ, რომ მე უმიზეზოთ, ურიგოთ ვიქცეოდე და ცუდ განძრახვით ვადარებდე მწერლებს ჩიტებს და ვცდილობდე მათს მოქმედებაში ერთსა და იმგვარსავე ღირსების პოვნას? სრულიადაც არა, მე მაგაზედ არაფერს არ ვამბობ და თუ თქვენ გნებავსთ მიჩვენოთ განსხვავება რამ მაგათ დამსახურებაში, მაშინ კი ვალდებული ვარ მოგახსენოთ ჩემი წინააღმდეგი აზრი. ახლა მე მსურს სხვა საგანზედ ვილაპარაკო, უჩვენო მკითხველს რა განსხვავება არის ადამიანისა და პირუტყვის შუა. პირუტყვი ჯერ დაისახება დედის მუცელში, იზრდება შიგ, მერე იშობება, იზრდება, მომწიფდება, ბერდება და ბოლოს ჰკვდება ისე, როგორც კაცი; იმასაც კაცივით ხუთივე გრძნობა აქვს: სმენა, ხედვა, შეხება, გემოვნება და ყნოსვა; ისე ჰბრუნავს იმათშიაც სისხლი, როგორც კაცში, ისე სჭამს და ისე ინელებს, როგორც კაცი; ერთის სიტყვით, საზოგადოთ ფიზიკურათ იმათში განსხვავებას ბევრსა ვერასა ვხედავთ... და მაშ რითი განსხვავდებიან? რასაკვირველია, მეტყვით. რომ კაცსა აქვს უკვდავი სულიო და პირუტყვს კი არაო. ამას გვასწავებს საღმთო ისტორია და ისეც რომ არ იყოს, მაინც თვალ და თვალ მისახვედრია, რომ კაცი არის უკვდავი, მეუფე ყოველთა პირუტყვთაო! დიახ, თანახმა გახლავარ; ძალიან უგნური უნდა იყოს კაცი, რომ ვერ შენიშნოს კაცში პირუტყვზედ უმაღლესობა, მაგრამ რაში მდგომარეობს,

რაზედ არის დაფუძნებული და რაში ისახება კაცის უკვდავეობა? მის მაღალ განვითარებულ ჭკუა–გონიერებაში, რომელსაც გვიჩვენებს, როგორც ენის შემწეობით, ისე მოქმედებითაც, სადამდისაც პირუტყვი ვერ მისწვდება. აქედან სჩანს, რომ პირუტყვში არის მხოლოდ ერთი მხარე – ფიზიკური, და ადამიანში ორი: ერთი ფიზიკური ისე, როგორც პირუტყვში და მეორე კი მომატებული ზნეობაში. მხარე, რომელიც პირუტყვს მოკლებული აქვს, რადგანაც სჯა, მაღალი ჭკუა, გონიერება, რომელიც ჩვენ გვიჩვენებს კაცის უკვდავ სულს, პირუტყვს არა აქვს. – თვისი ცხოვრების მსვლელობაში პირუტყვი სცდილობს დააკმაყოფილოს მხოლოდ თვისი ფიზიკური მოთხოვნილება და რადგანაც მის გრძნობაებს შეუძლიათ [იარსებონ] მხოლოდ აწმყოთი და მომავლისათვის ბევრს არას ფიქრობს; – როდესაც ის თავის მძორს დააკმაყოფილებს ე. ი. საჭმელ–სასმელს ბლომათ იშოვის და კარგი ამიდიც დაუდგება, ის არის მაშინ სრული ბედნიერი; მაგალითად, ასუქეთ პირუტყვი: სჭამს, სვამს, ნავარდობს და სრული ბედნიერია და, იმას კი ვერ მიხვდება, რომ ხვალ თავს მოსჭრიან და ამიტომ ასუქებენ. მაგრამ კაცი კი სულ სხვა არის!.. ის მის ცხოვრების მსვლელობაში ცდილობს დააკმაყოფილოს ორივე მხარე: ფიზიკური და მორალურიც (სული). და ამისათვის მარტო აწმყოთი არ სცხოვრებს და არც არის ბედნიერი აწმყოთი, თუ მომავალს კეთილს არ იმზადებს და არ მოელის; სცდილობს, რომ ყოველს კეთილის მომნიჭებელს მიზეზს მომავლისას ხელი შეუწყოს და წინააღმდეგი თვისი მომავალის ბედნიერებისა დაარღვიოს; მაგრამ, რადგანაც ჰგრძნობს. რომ პირად-პირადათ მისი შრომა სუსტია და რომ უფრო ძლიერათ იმუშაოს, შამოიწევს სხვის ძალასაც; ამ აზრით ის ეკიდება ოჯახობას და ინახავს ცოლ–შვილს, ნათესავებს და რომ თვითონაც უფრო ბედნიერი იყოს, ცდილობს და ზრუნავს მათ ბედნიერებაზედაც.

აი აქედან დაიწყება კაცობრიობის პირველი ბიჯი, რომლითაც ის გამოდის პირუტყვულ მდგომარეობიდან. მეორე ბიჯი – როდესაც ჰფიქრობს, რომ ჩემი ახლო ნათესავების ბედნიერება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც საზოგადოება, რომელშიაც ვსცხოვრობთ, ბედნიერი იყოსო და დაიწყებს საზოგადოებისათვის კეთილ–მზრუნველობას; ამ გვარათ შეჰყვება კაცი და

ზრუნავს და შრომობს თვისის ხალხისათვის და გახდება პატრიოტი, რომელიც ხშირად თავს შესწირავს ხოლმე თვისის ხალხის კეთილ–დღეობას; და სულ უკანასკნელი ბიჯი, როდესაც კაცი ზრუნავს საზოგადოთ მთელი კაცობრიობისათვის და მაშინ შერაცხს თავის თავს ბედნიერათ, როდესაც მთელი კაცობრიობის მოთხოვნილება შეძლების გვარათ დაკმაყოფილებული იქნება. ამ გვარი კაცი არის კოსმოპოლიტი... აქ ვხედავთ, რომ გადავსცდი მას, რასაც ზემოთ ვამტკიცებდი, მაგრამ ეს იმიტომ ვქმენი, რომ მეჩვენებია განსხვავება კაცსა და პირუტყვს შუა და ახლა გკითხავთ: ის კაცი, რომელიც მხოლოდ თავის თავზედ ჰფიქრობს, ჰსურს დააკმაყოფილოს მხოლოდ თავისი მძორი, აწმყოთი იყოს ბედნიერი და არა ჰფიქრობს მომავალზედ და ამ მიზეზით მსხვერპლად შეიწიროს სხვების ბედნიერება, განსხვავდება პირუტყვისაგან? პირუტყვია თუ არა? რასაკვირველია, რომ პირუტყვია, რადგანაც მის ცხოვრებაში ვხედავთ მხოლოდ პირუტყვულ მოთხოვნილებას. ის არის სულით მკვდარი, მას დაუკარგავს ღვთის ხატება და დაუფარავს მინიჭებული მისდამი ქანქარი.

ვითომც ბოდბელს უთქვამს: „თუ მე არ ვიქნები, ქვა ქვაზედაც ნუღარ ყოფილაო!“ და ეს ანდაზა ჩვენდა შესარცხვენად ქართველების ანდაზათ გახდა; ვის არ გაუგონია ჩვენში ბოდბელის ქება? ჭკვიანი კაცი ყოფილა, ასე უთქვამსო! და კიდევ გკითხავ, მკითხველო: ვინც ამ ბოდბელის ჰაზრს თანაუგრძნობს და იმეორებს მის სიტყვებს...

ისტორიულმა მდგომარეობამ ისე დასცა საქართველო და მოსდრიკა წელში, რომ იმან მხოლოდ აწმყოს მოავლო ხელი და დრო აღარ ჰქონდა, რომ მომავალზედ ეფიქრა. საუკუნოებითმა ტანჯვამ ისე გააუბედურა ჩვენი ხალხი, რომ როდესაც დასაძინებლათ დაწვებოდა ხოლმე, იმას ნამდვილი იმედი არა ჰქონდა მეორე დღეს ცის სინათლის დანახვისა; თვის მომავალს ცდილობდა დაემზადებინა ზეცას და ამ ქვეყანათ აღარას ეძებდა. ამ მდგომარეობაში იყო ჩვენი ხალხი დიდხანს; სცხოვრებდა მხოლოდ თავისთვის, ჰფიქრობდა მხოლოდ თავის აწმყოზედ, რომელსაც თუკი დააკმაყოფილებდა როდისმე ბედნიერათ, რაცხდა თავს ბედნიერად, მოილხენდა და შეექცეოდა...

და რომელმაც კი მათგანმა სიმღერაც იცოდა, აჭიკჭიკდებოდა ხოლმე ისე, როგორც ზემოხსენებული ჩიტები; მაგრამ რა იყო მაგ სტვენაში? მათი საკუთარი აღტაცება და სიხარული... მათი მძორის დაკმაყოფილება, და ამისათვის ძველი მწერლების ლექსებში ჩვენ ვერაფერს ვხედავთ, გარდა ბუნების აღწერისა, სიყვარულისა, ღვინის, ვარდის, ბულბულის და ვირისა, ერთი სიტყვით, მათი საკუთარი გრძნობისა, და ამ მიზეზით ისე ეკუთვნიან ისინი ჩვენს ხალხს, როგორც ზემოხსენებული ჩიტები. აი ამგვარ მდგომარეობაში იყო ჩვენი ხალხი და ამ გვარათ სტვენდნენ მისი მწერლები, როდესაც პირველათ გამოვიდა ჩვენს ხალხში ბარათაშვილი. ბარათაშვილიც, რასაკვირველია, კაცი იყო ხორც შესხმული და აღტაცებაში მომყვანმა საქართველოს ბუნებამ იმასაც აუშალა გრძნობა და დაუტკბო ისე, როგორც იმ ზემოხსენებულ – მწერლებს; ის მიდის ტურფად გაშლილ სურნელების აღმომფშვენ ვარდთან, სჭვრეტს, შედის ეშხში და უგალობს:

„ბულბული ვარდზედ მჯდარი ეტყოდა მას მსტვინავი:
„ვარდო, ვარდო, მტანჯ ჩემო, გვედრებ გულით მტკინავი,
„მაღირსე, თუ როგორ არს გაშლა შენი მღინავი? და სხ.“

აქ იხატება ბარათაშვილის ბულბული ე. ი. მისი მოთხოვნილება მარტო მძორის დაკმაყოფილებას არ დასჯერდა; ფიზიკური ვალი თუმცა დაკმაყოფილებული ჰქონდა ვარდის ტურფა შლილობითა, მაგრამ, იმან მოინდომა დაეკმაყოფილებინა თავისი გონების თვალიც და, გულმტკინავმა ჰკითხა: „როგორ არის გაშლა შენი მღინავი?“ მაშინ გამოეცხადა ეს დემონი, რომელსაც ის ბოროტ სულს ეძახის, (მაგრამ ჩვენ კი უნდა ვსცნობდეთ კეთილ–სულად) და უთხრა: „ეგრე! ეგრე! გამოიძიე! მიიხედ–მოიხედე, თუ რომ გინდა კაცი გახდე, ეცადე გონების დაკმაყოფილებასაც! შეხედე! ამ ბუნებას ხალხი ასხია, შენც იმ ხალხში სცხოვრობ; მიტომ მოგწონს ეს ბუნება და მისთვის მოჰყავხარ მას აღტაცებაში, რომ მაგ ბუნებით შენს გარდაც ხალხი სტკბება, თორემ რომ ხალხი არ იყოს და უდაბური იყოს, მაშინ გინდ სამოთხის დარიც იყოს, არ გვინდა!... მარტო ბუნებას ნუ შესცქერიხართ, შეხედე ხალხსაც, გამოიძიე რას შვრება? რა ეჭირვება კეთილ–დღეობისათვის და სხვ...

მოუსმინა პოეტმა, გადახედა ხალხს და რა დაინახა? ხალხის დაბალი ცხოვრება და სხვა ვერაფერი. აუღელდა გული, ვეღარ ემონა მათ პირუტყვულ საზოგადო კანონებს, გადაადგა დიდი ბიჯი, მოშორდა მათ და დაინახა თავი მარტოთ უდაბნოში. აქედან იწყება მისი ტანჯვა და ანბობს:

„ნურვინ იტყვის ობლობისა ვაებას,
„ნურვინ ჩივის თავის უთვის–ტომობას,
„საბრალოა მხოლოდ სული ობოლი“ – და სხვანი.

დიახ, საბრალოთ იყო პოეტი დაობლებული მარტო უდაბნოში, ვერავის მიმხდომი. – და თვით უკვე გვიხატავს თვის მდგომარეობას შემდეგის სიტყვებით:

„არღარა აქვს ნდობა მას ამა სოფლის,
„ეშინიან, ეკრძალვის, არღა იცის,
„ვის აუწყოს დაფარული მან გრძნობა.“ და სხვანი.

საკვირველია, რომ ეს ჰაზრი მეორე ჩვენმა სასიქადულო მწერალმაც თ. ი. ჭავჭავაძემ სხვა სიტყვებით გამოსთქვა:

„მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არის,
„ის არის მხოლოდ სატირალი და სამწუხარო,
„რომ შენს მიწაზედ ამდენ ხალხში კაცი არ არის,
„რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი გაუზიარო.“ –

ეს სიტყვები ეკუთვნოდა ბარათაშვილს და არა ჭავჭავაძეს

და ჭავჭავაძემ გადაიტანა თავისი თავი ბარათაშვილის დროინდელ ქართველებში. – მართლა და ძნელია სულით ობლობა!... ბარათაშვილი იმდენზედ მიიყვანა სულით ობლობამ, რომ თითქმის დასცა და გაბოროტებულ ტანჯვით მოაგონა მისი დემონი, რომელიც ადრე სანუგეშოთ გამოეცხადა მას; მოაგონდა პოეტს და წყენით უსაყვედურა:

„სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად,
„ჩემის გონების და სიცოცხლის შენ აღმაშფოთრათ?
„მარქვი რა უყავ, სად წამიღე სულის მშვიდობა!
„რისთვის მომიკალ ყმაწვილს კაცს ბრმა სარწმუნოება?“ –

რა სარწმუნოება იყო ეს, რომელსაც ბარათაშვილი ნანობს, თუმცა ბრმათ და ცრუთ კი რაცხავს?

ეს სარწმუნოება იყო, რომელსაც მთელი ხალხი საქართველოსი, გარდა ბარათაშვილისა, აღიარებდა და ბედნიერი ეგონა თავის თავი; ეს სარწმუნოება იყო ბოდბელის ანდაზა: „თუ მე აღარ ვიქნე, ქვა ქვაზედაც ნულარა ყოფილაო!“ – ბარათაშვილი კარგათ ხედავდა, რომ ეს სარწმუნოება ბრმა იყო და მისი მიმდევარნიც უბრმავესნი იყვნენ, მაგრამ მაინც ისე შეაწუხა სულით ობლობამ, თვითონაც დაბრმავება ირჩია, მაგრამ გვიანღა იყო მისი უგვანი ნატვრის აღსრულება! ხედავდა, რომ მისმა „სულმა ბოროტმა“ მოუკლა მისი ყმაწვილური სარწმუნოება და გამწარებული ბარათაშვილი მუქარით ეუბნება:

„განვედი ჩემგან, ჰი, მაცთურო, სულო ბოროტო!
„რა ვარ აწ სოფლათ დარჩენილი უსაგნოთ მარტო?
„ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მაშვრალი?
„ვაი მას, ვისაც მიხვდეს ხელი შენი მსახვრალი“.

ამ უკანასკნელ სიტყვებში იხედება პოეტის სულით სრულათ დაცემა, მაგრამ ძნელია ისეთის დიდის ნიჭის დაცემა აღუდგენელათ, როგორც ბარათაშვილი იყო და ამისათვის ეს დაცემის გამომხატველი გრძნობა იყო მხოლოდ წამითი მოკლე ხნის აღბორგების გამო. შემდგომ ლექსებით თვითონვე არღვევს თავის ნათქვამს სიტყვებს და ინანებს, როდესაც პოეტი მიდის მტკვრის პირზედ და ჰფიქრობს: მტკვარო, ბევრი დროს მომსწრე ხარო და ჩვენს საქართველოს ამაზედ უკეთესი დრო არა ჰქონიაო? თუ მუდამ ასე საზიზღრად დაცემულიყო, როგორც ეხლა მე ვხედამო? და თანავე დაუმატებს კვნესით: „ანკი რა არის ეს ჩვენი წუთი სოფელიო? ვცდილობთ, ვშრომობთ, ვმუშაობთ და ჩვენის გულის შეჯერება მაინც ვერ შეგვიძლიაო, ბოლოს მოვკვდებით და თუ სიცოცხლე ღირსათ გაგვიტარებია, შთამომავლობისაგან კურთხევას მივიღებთო, მაგრამ ესეც მოკლე ხნის დიდებაა კაცისათვის, რადგანაც ერთხელაც არის ამ სოფელსაც ბოლო მოეღებაო, რადგანაც საუკუნო არა არის რაო და მაშინ რაღაზედ ვიკლავთ თავსაო?

რას ვეძებთო? ჰკითხავს თავის თავს!.. ჰკითხავს და თვითვე მიუგებს ჭეშმარიტს პასუხს „მაგრამ

„რადგანაც კაცნი გვქვიან შვილნი სოფლისა,
„უნდა კიდევაც მივდიოთ მას, გვესმას სოფლისა,
„არც კაცი ვარგა, თუ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
„იყოს სოფელში და სოფელს კი არარა არგოს!“ –

მიაგნო ამ აზრს, მოავლო ხელი და მოინდომა სოფლის რგება და მისი ხალხის ბედნიერება, მაგრამა რა კარგათ ხედავდა, რომ მისი აწმყო ბრმა და გაფუჭებული იყო და დაიწყო მიზეზის გამოძიება: რა არის ამისი მიზეზი, რამ დასცა ასე ხალხიო? წარმოიდგინა ძველი დრო და ნახა, რომ ჩვენი წინაპრები უსაყვედუროთ რჩებიან თვის ცხოვრებაში და არა გვგვანან ჩვენ: მათ დროს საქართველო მოითხოვდა ქართველებისაგან მტერზედ გულის რისხვას და სისხლის თხევას და ეს მოთხოვნილება თავ-შეწირვით აღსრულდებოდა ხოლმე ჩვენი მამებისაგან. ჩვენი დრო მოითხოვს ჩვენგან ძმების სიყვარულს, ერთპირობას და პატიოსანს ოფლს და ამ მოთხოვნილებას ჩვენვე დავსცინით და ვსდევნით. ამას ხედავს პოეტი და ანბობს: მიზეზი რა გვქონდა ასე დაცემისო? ჰფიქრობს, ხედამს, და გვიჩვენებს ჩვენც მის „ქართლის ბედში“, სადაც ამ უბედურობის მიზეზს გვიხატავს მეფის ირაკლისა და სოლომონ მდივნის საუბარი.

მაგრამ ამ გვარის სამსახურით ვერ სრულ-ჰყოფდა ბარათაშვილი მის დანიშნულებას, მისგან მოითხოვებოდა, კიდევ სხვაც რამე; თვითონაც გრძნობდა ამას მარტო, აწმყოს და წარსულის ცნობაზედ ბევრს კარგს ააშენებდა. აქ კიდევ ნაჩურჩულა მისმა დემონმა (სულმა ბოროტმა); მარტო წარსულზედ და აწმყოზე ნუ სტრიალებ, იფიქრე მაგ ხალხის მომავალზედაც! ამოსთხარე ძირიანი ეკალი და მის ნაცვლად იქვე ჩათესე კეთილი თესლი და არ დაიკარგება: ამოვა მომავალში და მოიტანს კეთილს ნაყოფს!.. ეს რჩევა სულით და გულით შეითვისა ბარათაშვილმა და ზეწამომდგარმა და ამაღლებულმა შეურყევლად თვისი მომავალი ცხოვრების და შრომის რჩევას დაასკვნა და აგვიწერა „მერანში“, მაგრამ, ვაი რომ სიკვდილმა მოუსწრაფა დღეები და მისი სურვილი დარჩა შეუსრულებლად,

თუმცა შეკაზმა კი მოასწრო მისი მერანის (პეღასი) და გაექცა თვალ ბედითს ყორანს:

„მირბის, მიმაფრენს უგზო–უკვლოთ ჩემი მერანი,
„უკან მომჩხავის თვალ ბედითი შავი ყორანი“.

ანბობს – რა ყორანი იყო ეს თვალ ბედითი შავი ყორანი? ის უგუნურება, რომელსაც დაპყრობილი ჰყვანდა საქართველო. პოეტი გაექცა, გაუსწრო წინ იმ შავს ყორანს და გადმოსძახა ახალ შთამომავლობას: მე არ დავეძებ არც ტოლს, არც ნათესავს და არც სხვა რამეს, შენთვის შემომიწირავს, შთამომავლობავ, ჩემი აწმყო ბედნიერებაო:

„ცუდათ ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულის
კვეთება,
„და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც
დარჩება,
„და ჩემსა შემდეგ მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა
გაუადვილდეს,
„და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ
გამოუქროლდეს!“

აი რა გადმოსძახა საქართველოს, მაგრამ ასრულება კი აღარ დასცალდა და რაში მდგომარეობდა მისი დაპირება და რა იყო მის კვნესაში, ის ჭეშმარიტება დიდხანს დარჩა ჩვენთვის დაფარულად და გაუგებრათ. — დიდ ხანმა გაიარა ბარათაშვილის შემდეგ და მის კვალზედ წასული არავინ გვინახავს, თუმცა ნიჭიანი მწერლები კი გამოჩნდნენ საქართველოში და ხელოვნებაც კარგათ გაიგეს, მაგალითად, თ. გ. ო., თ. ალ. ჭავჭავაძე, თ. რ. ერისთავი, კ. ბ. ჯორჯაძისა და სხვანი, მაგრამ რაო? ამათ ხალხის დარდი არა ჰქონიათ, თავის ქეიფს უნდებოდნენ, ერთი ანბობდა: სულოჯან, მეორე: დავეხსნათ ცოდნის ძებნასა, ღვინო სჯობს ყოველ ცოდნასაო, მესამე: რათ შემიყვარებ, განა არ ვიცი. შენ ჯერ ნორჩი ხარ, მე კი მოხუცი, მეოთხე – ეგ თვალები ცეცხლის ბურჯღლებს ისვრისო! და სხვანი (აქ რიცხვში არ მყავს კომედიის „გაყრა“ ავტორი, რადგანაც [არა] აქვს ჩვენს

ლიტერატორებთან კავშირი), სხვები კი ღმერთმა შეინახოს!.. ლექსებს კი ბევრი სწერდა, მაგრამ რა გვარს: ზოგი ლოცვებს, ზოგი მოდებს, ზოგი რას და ზოგი რას. მაგრამ იმათი მღერა, რასაკურველია, ჩხავილი იყო და არა სტვენა, რადგანაც თვითონაც არა ბძანდებოდნენ ბულბულები. ამ სიკოტრის ჟამს გამოჩნდა ილია ჭავჭავაძე. პირველათ რასაკვირველია, თარგმნა დაიწყო პუშკინით, ლერმონტოვით და სხ. მაგრამ ბოლოს დააგდო ეს გზა და შეუდგა ბარათაშვილის კვალს და, რადგანაც დროც ხელს უმართავდა, უფრო თამამათ, ტირილით დაუწყო ხალხს შეჩივლა: აი რა უნდა ეთქო თქვენთვის ბარათაშვილსაო! აი რას მოასწავებდა და რას ნიშნავდა მისი კვნესაო!“ ერთის სიტყვით, ჭავჭავაძე არის ბარათაშვილის მოკანანახე და მისი დიდი ღირსებაც ამაზედ არის დაფუძნებული. ყოველს მის ლექსებში ვხედავთ ქართველების ტანჯვას და გოდებას, მაგრამ რა საგანიც უნდა აიღოს ტანჯვის გამოსახატავად, მოქმედ პირათ მაინც თვითონ არის. ავიღოთ მისი ჭკვიანი ლექსი, მაგალითად „გუთნის დედა“. რა კარტინას გვიხატავს ავტორი? ასე ჰგონია კაცს რომ სერზედ შემჯდარი ჭავჭავაძე მისჩერებია გულ-გრილათ მოღიღინე გუთნის დედას და ეუბნება: „შე სულელო, აი რას უნდა გრძნობდე და აი რასაო“. ავიღოთ კიდევ მეორე მისი ლექსი: „ხმა სამარითგან“ – ავტორი სცდილობს, რომ მკვდარს ათქმევინოს, მისი ცოდვები; ამ შემთხვევაში ან უნდა ისე ამოიძახდეს ხმა სამარითგან, რომ კაცი გააცინოს და ან ისე, რომ შეაძრწუნოს და დააფიქროს მსმენელი, მაგრამ ჭავჭავაძე ამ პირობებს ვერც ერთს ვერ ასრულებს, მაგალითად:

„სამართალს ფულითა ვსჭრიდი,
„გროშისათვის კაცს გავჰყიდდი,
„თვით ძმას ორმოს გაუთხრიდი,
„და ჩემს ჯიბეს ნელნელ ვზრდიდი.

„საზრდოს გლეხსა წავართმევდი,
„მშიერს–მწყურვალს დავაგდებდი,
„თუ შიმშილით მოჰკვდებოდა,
„მე ის არ მებრალებოდა“! და სხ... –

ან და ეს იმავე ლექსითგან:

„გლეხებთან ვიყავ ჭკვიანი,
„ტუტუცი ნაჩალნიკთანა,
„უხმოსთან ვიყავ ხმიანი,
„და უსიტყვო ხმიანთანა,

„ვინც მე შიშით მიყურებდა,
„მას ბრაგი–ბრუგს დავუწყებდი
„და ვინც კი დაიყვირებდა,
„მას მე ფეხქვეშ ვუძვრებოდი“. და სხ...

ამ ლექსებში ჩვენ სამარიდგან კი არ გვესმის ხმა, ეხლა ვხედავთ ილია ჭავჭავაძეს, რომელიც როგორც სასტიკი მსაჯული ეუბნება შემცოდეს: „შენ ეს ცოდვები გაქვს და ესაო“. ამ ლექსებში პოეზიის ნატამალიც არ იპოება, ეს არის მხოლოდ ცარიელი რიტორება, ლექსების შემარცვლა უსწორ-მასწორია და რითმაც, პირველი სიმდიდრე ჩვენის ლექსისა, არსად სჩანს, ერთის სიტყვით, როგორც ლექსი, ძალიან სუსტია, მაგრამ ამის ერთს სტრიქონს, ფუთობით რომ მიბოძოთ, ჩვენის ბულბულების ნაწერში, რომელშიაც პოეზიაც იქნება, მარცვლებიც და რითმებიც, არ გავცვლი; და მიზეზიც ის არის, რომ ამ ლექსებში ოცნებას კი ვერა ვხედავთ, მაგრამ ყოველს დღიურს ჭეშმარიტებას, ჩვენს ნაკლულევანებას და ჩვენს საჭიროებას და ამისთვის მოგვწონს პოეტი და ამაში მდგომარეობს მისი მაღალი ღირსებაც, რაც ამ ერთს ლექსზედა ვსთქვით, ის შეიძლება საზოგადოთ ვსთქვათ ყველა მის ლექსებზედ. თუ ჭავჭავაძეს ლექსებში მარტო ხელოვნებას მივაქცევთ ყურადღებას, მაშინ მის ლექსებს არ ექნება დიდი ღირსება, მაგრამ ჩვენ მარტო ხელოვნებას არ ვეძებთ (ხელოვნურათ ნათქვამი სისულელე და ოცნება, მაინც სისულელე და ოცნება იქნება) – ჩვენ ვეძებთ ჭკვიან აზრებს და ამას კიდევაც ვპოულობთ ჭავჭავაძის ლექსებში. ამასაც ვერ დავფარამთ, რომ, ჩემის აზრით, ამახინჯებს ქართულს და სიტყვებს კვეცავს, რომ ძალდატანებით ლექსი გამოიყვანოს ხოლმე და რა საჭიროა! უმჯობესი არ არის და მისთვისაც უკეთესი და უადვილესი, რომ ის, რასაც ლექსით გვეუბნება, პრო-

ზით გვითხრას? ამითი არათუ დაჰკარგავს ღირსებას, კიდევაც მოიმატებს? ჭკვიანი აზრები რომ კაცმა კარგის ტკბილის სიტყვებით გვასმინოს, უეჭველია, სიხარულით და სიამოვნებით მიუგდებთ ყურს, მაგრამ ამავე ჭკვიანი აზრების გადმოცემა რომ სიმღერით მოინდომოს და სიმღერა კი უჭირდეს, მაშინ სიცილს მოგვგვრის; მაგრამ თუ კი მღერალიც იქნება, მაშინ, რასაკვირველია, ეშხში უფრო მოგვიყვანს, რომ სიმღერით გვასმინოს. ჭავჭავაძემაც რომ დარბაისლურად გვემუსაიფოს უკეთესი იქნება, კიდეც დაგვიმტკიცა ეს თავისი პროზებით, სადაც ძალას არ ატანდა თავის ნიჭს და თავის გზაზედ იდგა... ჩემის აზრით, მისი „კაცია ადამიანი“ და „გლახის ნაამბობი“ ობოლ მარგალიტათ რჩებიან ჩვენს ლიტერატურაში. – მე არ მინდა შევეხო მის პროზებს, რადგანაც მკითხველს ზემოთ ვპირდები მხოლოთ მის ლექსებზედ მოლაპარაკებას და მგონია ეხლა კი ჰხედევდეს მკითხველი, რომ ჭავჭავაძე თუმცა ჭაპან–წყვეტით სწერს ლექსებს, მაგრამ მაინც დიდი მნიშვნელობა აქვსთ მის ლექსებს ჩვენთვის, აი რას ამბობს ჭავჭავაძე მის „პოეტში“:

„მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო,
„ვით ფრინველმა გარეგანმა!“

ანუ ეს: „რომ ხალხისა მოძმეთ ვიყო,
„ჭმუნვასა და სიხარულში,“
„ხალხის წყლული მაჩნდეს წყლულად,
„მეწოდეს მის ტანჯვით სული,
„მის ბედით და უბედობით,
„დამედაგოს მტკიცედ გული“.

აი რას ანბობს პოეტი! ჭავჭავაძის გარდა უთქვამს ვისმეს ეს აზრი? აი რას ნიშნავს კაცობა და არა ბულბულობა!..

მისთვის შევეხე აქ ჭავჭავაძესა და ბარათაშვილს, რომ ეგება ჩვენმა განათლებულმა მასწავლებლებმა, რომელთაც ჯიბეში ხელი ჩაუწყვიათ და დაცინების მეტს არას აკეთებენ, ეგება იმათ მოჰკიდონ კალამს ხელი და კრიტიკულათ გაარჩიონ ჩვენი მწერლები, თუმცა ბევრჯერ გამიგონია იმათგან, რომ ჯერ უნდა იყოს რამე, რომ მერე კრიტიკოსი გამოსჩნდეს და

დაჰსწეროს მისი განხილვაო, მაგრამ ეს სუ ტყუილი თვალის ახვევა არის; ის კაცი, რომელსაც წინ უდევს რუსთაველი, ბარათაშვილი და ჭავჭავაძე, სტყუა ამ სიტყვებით, არაფერი გვაქვსო!.. – სწავლულებო, მოგვხედეთ! რა არის ეს გულის შემაზარებელი თქვენის მხრით გულ–გრილობა? გვიჩვენეთ გზა და კვალი და თუ ვერ გამოგყვეთ, მაშინ დაგვცინეთ და მაშინ შეგვრისხეთ!.. მაგრამ ეს კი უნდა იცოდეთ, რომ თქვენ თითონ დაცინებისა და უსაქმობის მეტს არაფერს გაგვიკეთებთ, მაშინ არა გვრწამს თქვენი წინასწარმეტყველობა, – თქვენც გვიჩვენეთ ისეთი შრომა, როგორც თ. ჭავჭავაძემ, ან და როგორც, იმათ, რომელთაც პანსიონები გახსნეს და ზრდიან ყმაწვილებს და ან მასწავლებლებათ შევიდენ სასწავლებლებში, ერთი სიტყვით, რითაც შეიძლოთ, კეთილის სიტყვით მაინც, და თუ ვერ დაგაფასებთ, მაშინ დაგვიძახეთ უმადლო ქართველები.

„ჩანგურის“ გამოცემით ლორთქიფანიძემ დაიმსახურა საზოგადო მადლობა და არა ვჰკარგავ იმედს, რომ ამ ჩემის ჰაზრს დაამტკიცებს საზოგადობა... ესეც შევიტყვეთ, რომ ლორთქიფანიძეს თავისი შრომა ტყვილათ ე. ი. უინტერესოთ შეუწირავს ხალხისათვის და იმ ფასით ჰყიდის წიგნს, რამდენიც თვითონ დაჯდომია იმას გამოცემა. ღმერთმა ხელი მოუმართოს სხვა ამ გვარ საზოგადო საქმეზედაც.

1881

ჩვენი გულის – პასუხი

ტფილისი, 26 იანვარს

ერთ-გვარი ხრიალა-საათია, რომლის დანიშნულებაც, დროს ჩვენებას გარდა, ის არის, რომ დანიშნულ დროზე მძინარი გამოაღვიძოს. დაწოლის დროს თავით იდგამენ იმ საათს და როცა საჭიროა, ისეთს ხრიალს მოჰყვება ხოლმე, რომ მძინარს გულის ძილს უფრთხობს და ძალა-უნებურად აღვიძებს. ოჰ, რა უსიამოთ ჩაუდის ის ხმა ყურში მძინარს და რა საშინლად მოსდის გული ახალ-გამოღვიძებულს იმ საათზედ!...

რასაკვირველია, იმ დროს, ხრიალის ნაცვლად, მძინარს რომ ესმოდეს რამე სხვა სამუსიკო ტკბილი ხმა, უფრო იამება, გაეგრძობა ტკბილი ძილი და ნახავს ფერად-ფერად სიზმრებს. მაგრამ, საბოლოოთ კი იზარალებს: ძილში გამოეპარება სამუშაოთ დანიშნული დრო და დარჩება ხელ-ცარიელი. იმ საზარელ და უსიამო ხრიალს კი სარგებელი მოაქვს.

მოაქვს, მაგრამ კაცს მაინც არ შეუძლიან რომ მოიწონოს ის ხრიალის ხმა და შეუყვარდეს!... თუმცა თავი კი დაეთანხმება, მაგრამ გული ნებას არ მისცემს, რადგანაც, ძნელია, რომ ამ გვარ შემთხვევებში კაცი წაუვიდეს გულის ნებას.

გაზეთის მნიშვნელობაც სწორეთ ამ გვარია! – ის უნდა აღვიძებდეს მძინარ ხალხს, აფხიზლებდეს ახლად გამოღვიძებულს, უსიამოდ უნდა ჩასძახოდეს ყურში და მით სარგებლობა მოჰქონდეს.

ეს ვინ არ იცის, მაგრამ რა ვქნათ, რომ ბევრი რამ ვიცით, და არ გვაგონდება კი.

განა არ ვიცით, თუ რა არის მოძღვრის ან მკურნალის დანიშნულება? პირველი ვალდებულია, რომ ავიცა და კარგიც ამხილოს თავის მოწაფეს; არ მოერიდოს მის წამით წყენას – უსიამობას და იქონიოს სახეში მხოლოდ მისი მომავალი; წინააღმდეგ შემთხვევაში, ის არ იქნება ღირსი იწოდებოდეს მოძღვრად. ის იქნება მხოლოდ გამრყვნელი ფარისეველი!! აგრეთვე ექიმი ავიღოთ. ავათმყოფს არ ესიამოვნება წამლის მიღება, რადგანაც არაფერი საგემრიელოა, და ხშირად ექიმზედაც ჯავრობს. მაგრამ მკურნალმა რომ ეს მიიღოს მხედველობაში, ხათრი გაუწიოს სნეულს და უმნიშვნელო ტკბილი სასმელები და შარბათები აძლიოს, ნუ თუ ეპატიება? არა!... მკურნალი თავდადებით უნდა უვლიდეს სნეულს, ჰფიქრობდეს მხოლოდ მის განკურვნაზედ, და, თუ საჭიროთა ჰხედავს, ძირმწარასა და ნაღველს ასხამდეს ძალადატანებით პირში მაზედ გაანჩხლებულსა და მის მგმობელს ავათმყოფს!

ეს ორივე ძალა და ღირსება, როგორც მკურნალისა, ისე მოძღვრისაც, ერთად უნდა ჰქონდეს შეთვისებული მწერალს. ერთსა და იმავე დროს უნდა უმოძღვრებდეს და სამკურნალო წამალსაც აძლევდეს ხალხს. უნდა დაუფარავათ ამხილებდეს მის ავსა და კარგს საზოგადოებას, როგორც მოზარდულ ყრმას

და თანაც საკუთარს ოფლში ულესავდეს მის ნაღველს და ძალადატანებით ასმევდეს, რომ სნეულებას არ დააჩაგვრინოს.

ვისაც ეს არ შეუძლიან, ის ნურც გამოდის საზოგადო ასპარეზზედ!..

ისიც კი უნდა იცოდეს მწერალმა საზოგადოთ და განსაკუთრებით ჩვენს ქვეყანაში, თუ რა მოელის ამ შრომას სასყიდლად? დევნა! დიახ, მტრობა, შურის–ძიება და დევნა! ადრევე უნდა გამოეთხოვოს პირად ბედნიერებას, ანუ უკეთა ვსთქვათ, დაჯერდეს და მიითვალოს, ყოველიფრის სამაგიეროთ, მხოლოდ წმინდა სინიდისი; მას სჯერდებოდეს ყოველ დღე და სახვალიოთაც ამას ინატვრიდეს: „გული წმინდა დაბადე ჩვენთანა ღმერთო და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსაო!“

აი, ამ გვარი მშრომლები, და ამ გვარი მწერლები ეჭირვება დღეს ჩვენს სამშობლოს! იმათ მივმართავთ. ამათი თანამშრომლობითა და ამხანაგობით ვიხარებთ და, ქართულად ვიტყვით: ჭირში და ლხინში ამათ ვეძმობით, გვერდში ამოვიყენებთ ან თვით ამოუდგებით და თუ ღმერთი იმ დღესაც მოგვასწრებს, რომ ისინი მეთაურად ივარგებენ, ვეყმობით და მიჰვყვებით, თუნდ მოხუცის ჩან–ჩალითაც.

ვინც ამაებს თანა უგრძნობს, საქმით თუ სიტყვით, თუნდ მარტო გულის თქმითაც, ისიც ჩვენიანია.

წერა არ შემიძლიან და სიტყვით რა გამოვაო, – ეს რომ ვინმემ სთქვას, ტყუილი თავის–მართლება იქნება. სიტყვა – თესლია, ხალხია – ნიადაგი. თამამად და პატიოსნურად ხალხში გატყორცნილი მართალი სიტყვა უნაყოფოთ არ რჩება... რომ არ გვგონია, იმ დროს და მისთანა ალაგას ამოდის, არ იკარგება!..

დღეს ჩვენი ქვეყანა ისეთს მდგომარეობაშია, რომ სიტყვა თუ არ მეტს, ნაკლებ სარგებლობას მაინც არ მოუტანს და მაშასადამე ყველას გვმართებს ხმის ამოღება... ქორს „ჰაუს“ შეუძახებენ და წიწილას გააგდებიებენ. ერთის დაყეფით პატარა სუსტი ფინია ძლიერს მტაცებელსა და ქურდს შეაჩერებს ხოლმე... მაშ ნურვინ იტყვის: „რა გამოვა ჩემი ხმის ამოღებითო?!“ ახლა გვეჭირვება ერთობა და შეერთებული შრომა საქმით, თუ სიტყვით... კერძოობა, პირადობა და ჩვენიან–სხვისიანობა ისეთი წვრილმანი და საუკადრისო რამ არის საზოგადო საქვეყნო

საქმეში, რომ განზედ უნდა ვუდგებოდეთ... ჩვენიანი ის იქნება, ვინც ჩვენს გზაზედ გამოდის და ვინც კი გვეწინააღმდეგება და ხელს გვიშლის, ის ჩვენი მტერია, ჩვენ საერთო იმასთან არა უნდა გვქონდეს–რა... ჩვენ უნდა ვსდევნიდეთ და იერიშით მივ-დიოდეთ იმაზედ, რომ მას ძალა მოვაკლოთ, ის ძალა, რომელსაც ისე მხოლოდ ჩვენის სამშობლოს სამტროთ ხმარობს...

მართალია, ბევრი ვერ არჩევს: თუ რა არის პირადი საქმე და ან საზოგადო? მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით. და ვეცადოთ, რომ იმათაც აუხსნათ! – მაგალითად: ის რომ ვთქვათ, რომ რომელიმე მსაჯული რას სჭამს, რას სვამს, რას იცვამს ან რას იხურავს, – ეს, რასაკვირველია, კერძო საქმე იქნება. მაგრამ თუ კი ისინი სხ-ვას სტაცებენ ლუკმას და ისე სჭამენ, ხალხს ატყავებენ და მითი ტანს იმოსვენ, ამაზედ რომ ხმა ამოვიღოთ, ეს საზოგადო საქმე იქნება და არა საპირადო, და არც გვმართებს მორიდება.

წმინდათ განმძრახველსა და წმინდის მიზნისაკენ მიმავალ კაცს უნებურათ რომ გზაც დაებნეს, ცოდვათ არ ჩაეთვლება. ნათქვამია: უმჯობესია იერუსალიმს გზა–აბნევით მიდიოდეს კაციო, ვიდრე ქაბას პირ–და–პირ, გზა დაუბნეველადო. და მარ-თალიც არის; მხოლოდ ის არ წამოჰკრავს ფეხსა და არ გად-აუხვევს, ვინც მკვდარსავით გაშხვართულია და ნებიერ ძილს ეძლევა. უმჯობესია კეთილ–გზაზედ უნებურათ რამდენჯერმე დაეცეს კაცი და ბოლოს მაინც მიახწიოს იმ წმინდა მიზნამდი, ვიდრე უწმინდურ გზაზედ ფეხ–მარჯვეთ იყოს და ან სულ არ ინ-ძრეოდეს, იწვეს ნებიერად.

მაგრამ ის კი ყველას ემჯობინება, რომ თვითო–თვითო, მარ-ტო, ცალ–ცალკე არ მივდიოდეთ იმ ჩვენგან არჩეულ გზაზედ!.. მარტოობამ იცის გზის დაბნევა...

1881

რამოდენიმე სიტყვა ქართული გალობის აღდგინების გამო

მე მგონია, ცხადი იყოს ყველასათვის, რომ საქართველოს ერთობის დროს ენაც ერთი გვქონია, ღრმად შემუშავებული და წესიერადაც დაკანონებული; ამას გვიმტკიცებენ: „ვეფხისტყაოსანი“, „ვისრამიანი“, „დარიჯანიანი“, „რუსუდანიანი“ და სხვ. აგრეთვე აღარც ის არის საეჭვო, რომ სამეფოს გაყოფისა და დაცალცალკევების შემდეგ ენასაც ხრწნილება შეჰპარვია, ადგილობრივი კილო მიუღია და ისე შელახულა, რომ დღეს ის კანონიერი ენა აღარსად ისმის, – მაგრამ ეს მაინც არ ნიშნავს ენის სრულიად დაკარგვას. – ავიღოთ მაგალითად ძვირფასი რამ მანიაკი: ის რომ იმისთანა უფსკრულში ჩავარდეს, საიდანაც ამოღება შეუძლებელია, მაშინ ეთქმის დაკარგულობა და თუ მხოლოდ ის ძაფი გაუწყდა, რომელზედაც აუსახავთ მისი მარცვლები, გაიფანტა მარგალიტები და გაიბნა აქეთ–იქით, სხვა–და–სხვა კუთხეებისაკენ, ეს არ იქნება დაკარგვა. საჭირო იქნება მხოლოდ იმ გაბნეული მარგალიტების მოძებნა, პოვნა, აკრეფა, მოგროვება და ხელახალ ძაფზედ ასხმა, და ხელში დაგვრჩება ისევ ძველი სამკაულები, გაწმენდილი და გაახლებული. მაგრამ მარტო ერთ რომელიმე კუთხეში რომ აჰკრიფოს ვინმემ მხოლოდ იქ მიგორებული მარცვლები და სხვაგან აღარ ეძიოს, თანვე იმ მარგალიტებს ააყოლოს ლობიოს მარცვლებიც, აასხას მანიაკად და იძახოს: ეს არის ნამდვილი ის ჩვენი ძველი მანიაკიო, ეს იქნება პირ–და–პირი ან უგუნურება და ან სიზარმაცის ნიშანი.

სწორედ ამ გვარ მდგომარეობაშია დღეს ქართული ენა და ზოგიერთა მისი ცოდნის მჩემებლებს — ზოგს ქალაქური, კინტოური, სხვა–და–სხვა ენებისაგან შემდგარი ენა ჰგონია ნამდვილი ქართული, ზოგს სიტყვებდაკარგული ამერული და ზოგს სხარტულობით გაცეტებული იმერული, მაგრამ ყველანი კი სტყუიან და სანამ ყოველ კუთხეს არ მოივლიან, ყველგან არ გამოსძებნიან სიტყვებს და არ შეასწორებენ ძველთან, ცუდად მოყვრობენ სამშობლო ენას.

რაც ენის შესახებ ვსთქვით, ისივე ითქმის ქართულ გალობაზედ. თავდა–პირველ ბერძნულიდან შემოგვიღია გალობა,

მაგრამ ისე კი გაგვიქართულებია, ესე იგი მიგვიცია ისეთი ადგილობრივი კილო და ხასათი, რომ დედანს აღარ გვაგონებს და ჩვენს ეკლესიას პატივსაცემად და საგონებლად იმ პირველ მოძღვრისა, ქართულო გალობაში „ისპოლა“ დაუტოვებია და დღესაც ბერძნულის სიტყვებით ჰგალობს. ენისა არ იყოს, გალობაც ადრევ ერთი-და-იგივე ყოფილა საზოგადოდ საქართველოში და დღეს კი ისიც დამახინჯებულია. ამ ნაკლულევანებას ყოველთვის ვგრძნობდით, გვინდოდა როგორმე ნოტებით აღგვედგინა, მაგრამ დღემდის მცოდნე პირები გვარწმუნებდნენ, რომ შეუძლებელიაო და დღეს კი, როდესაც ბ. ქორიძემ მაგალითი გვიჩვენა, ყოველი კუთხიდან გამოჰყვეს თავი და შინაური, თუ გარეული იმას იძახის: არა, მე უკეთ შევადგენ და არა მეო!.. კეთილი და პატიოსანი!.. ძალიან კარგი, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ იმათ პირადი რამ ანგარიში და კუდაბზიკობა ამოქმედებსთ და სხვადასხვა ჩვეულებრივ ხრიკებს იქამდი მიუღწევია, რომ ლამის საქმე არივ-დარიონ რაღაც წვრილმანური პატრიოტობის გამოჩენით. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაკვირვებს კომიტეტის მოქმედება: ის ისეთ რამეებს აჰყოლია, რომ თუ ერის-კაცთაგანაც საზოგადო თანაგრძნობისა და დახმარების სურვილი აქვს ამ საქმეში, ასე არ უნდა იქცეოდეს! ერთი ამბობს: „მე ჯერ შევისწავლი ნოტებს, მერე დავივლი იმერეთს, შევისრულებ გალობას და მერე დაგიწერთო“. მეორე არწმუნებს, რომ მე არც ენა ვიცი და არც ხასიათი, მაგრამ ნოტებზედ კი, რაც გინდათ, თვალის დახამხამებამდი გადაგიღებთო და სხ. და სხ. კომიტეტიც ყურს უგდებს და არ იცის, რა ქნას!.. საქმეს ტყუილ-უბრალოდ აჭიანურებენ და საგულისხმო ვერა გამოურჩევიათ-რა. ბოლოს კი, თითქოს აუქციოლნით ჰყიდდენ რამეს, გადაუწყვეტიათ, ვინც უფრო იაფად გადაიღებს, იმას მივსცეთო და, რასაკვირველია, რომ ესეც უბრალოდ და უსარგებლოდ დროს დაკარგვაა. როგორ თუ გადაიღებს? ჯერ აღდგინება უნდა და მერე გადაღება!.. განა დაწერა და გადაწერა ერთი და იგივეა? ვინც კი „ანბანი“ იცის, იმას ადვილად შეუძლიან უმეტ-ნაკლებოდ გადახატვით გადასწეროს, რასაც კი მისცემთ გადასაწერად, მაგრამ თუ ის ენა არ ესმის და შესწავლილი არა აქვს, რომლიდანაც სწერს, როგორც გაიგებს – სად რა შეცდომაა. სად მეტია, სად აკლია,

და მაშ როგორღა გაასწორებს და აღადგენს დედანს. გალობაც ისეა: „ანაბანურად“ ნოტებით მისი გადაღება ძნელი არ არის, მაგრამ აღდგინება? ნუთუ ქართული გალობა ისე დასრულებულია, რომ აღარ ეჭირვება-რა, გარდა ნოტებით გადაცემისა” და სად არის ეს გალობა? და რომელია? ზოგი ამტკიცებს „კარბელოვის“ გალობააო და ზოგი იძახის „გურულიო“! უკაცრავად კი გახლავართ, მაგრამ ორივე მხარე კი სტყუის...

„კარბელოვის“ გალობა არის მხოლოდ პირველი დასაწყისი გალობისა, პირველი გაკვეთილი და იმ პირველ მუხლით გალობენ ყოველ საგალობელს, ისე როგორც ახალი მოსწავლე ამოსაღებით ჰკითხულობს ყოველგვარ წიგნს. – „ალილოს“, „სალხინოს“, „საზაროს“ „საძილისპიროს“, „სადღესასწაულოს“ და „ჭრელს“, თუ „საკანანახოს“ – ყველას ერთიანად იმავ კილო-ხმით გალობენ.

გურული გალობა მართალია სრული სკოლა არის, მაგრამ მეტის კრიმანჭულებით გადაუსხვაფერებიათ, გადაუცდენიათ კანონზე და ძველებურად ვეღარც ის ხატავს საგანს. და მაშასადამე ეს გალობები რომ გადავიღოთ და მითი მოვრჩეთ საქმეს, პირველ შემთხვევაში უგუნურება იქნებოდა და მეორეში – შეცდომა. არა, კომიტეტს თუ მართლა გულ–წრფელად ჰსურს გალობის აღდგინება, უნდა აიჩინოს მცოდნე პირი. იმან უნდა მოიაროს მთელი საქართველო, ყოველ კუთხეში და ყოველგან დაუგდოს ყური საერო კილო–ხმებს, თვითონაც შეისწავლოს; ნამეტანი რაც შეჰპარვია გალობას, გამორიცხოს, რაც აკლია შეავსოს, აღადგინოს ნელ–ნელა აუჩქარებლად და სხვებსაც ასწავლოს: ამ გვარად შედგება სკოლა და გალობაც თან–დათან სისრულეში მოვა. როგორც საქმის მოსარჩლე და არა პირადობისა, ვიტყვი, რომ ამ გვარი მოთავე კიდეცა გვყავს, ბ. ქორიძე. ვისაც გაუგონია მისგან ნოტებზედ გადაღებული გალობა და სიმღერები, თუ არ ჟინით, წინააღმდეგობას ვერ დაიწყებს. ჩვენ არ ვიტყვით, რომ კიდევ უკეთესიც არ შეიძლებოდეს, მაგრამ ეს საზოგადო კანონია ყოველიფრისათვის!.. დღეს თუმცა მხოლოდ მარტო სამს ხმაზედ არის შედგენილი ეს გალობა, დანაშთენი ხმები არ ჩაერთვის და გუნდიც არ შემდგარა, მაგრამ მაინც გულს ელხინება მისი მოსმენა. განსაკუთრებით გურული

კრიმანჭულები საუცხოვოდ არიან გადაღებულნი. გალობას მხოლოდ ერთი მცირე რას შევნიშნეთ, რომელიც ადვილი გადასასწორებელია: სამივე ხმა ერთად იწყებს და ეს წინააღმდეგია ქართული გალობის: „მოძახილი“ მიტომ ჰქვიან ერთ ხმათაგანს, რომ მერე უნდა დაეხმაროს. საზოგადოდ მთქმელი იწყებს, მაღალი ბანი მოსძახებს, კრინი აბამს, ბანი მხარს აძლევს, დგრინი აგვირგვინებს და ძილი ატკბობს...

ამათ ყველას თავ–თავის დრო აქვს და შიგა–და-შიგ შეერთებულად ხმას გამოსცემენ ხოლმე და კიდეც ამაშია ჩვენი გალობის ტკბილ–ხმოვანების საიდუმლო.

1884

წერილები ჩვენს მწერლობაზე

კაცი რომ შინ და გარეთ, ორგანვე საქმეს მოსცდება, იმაზე იტყვიან ჩვენში:

„აგიაშვილის გამდელსავით მოუვიდა, შინ სადილს მოსცდა და გარეთ წირვასაც ველარ მოუსწროო!“. ეს ანდაზა სწორედ ზედ გამოჭრილია უმეტეს ნაწილ ჩვენთაგანზე! რაც ჩვენმა წინაპრებმა იცოდენ, ის აღარ ვიცით, მათებური თითქმის ყოველიფერი უცხოა ჩვენთვის და სხვებისგანაც სამკვიდროდ ვერა შეგვიძენია რა. დავრჩით ორთა შუა. ამის დასამტკიცებლად საკმაო იქნება მივმართოთ ჩვენს მწერლებს და ამ ოცდა ათის წლის ჟურნალ-გაზეთებს გადავავლოთ თვალი!.. იქიდან ცხადად გამოჩნდება, რომ ჩვენს მოწინავე დასს გრძნობაც და გონებაც ნასესხები ჰქონია დროებითად და არა შეხორცებით ძვალსა და რბილში გამჯდარი. რაც უთქვამთ, ის ყოფილა მხოლოდ სხვისი ნათქვამის განმეორება თუთიყუშ-კაჭკაჭივით და არა აბრეშუმის ჭიასავით გულიდან ამონაქსელი. მართალია, ხან-დახან ვითომ დროიანათა და რიგიანათაც თქმულა ხოლმე თვითო ოროლა რამ, მაგრამ ის მხოლოდ შემთხვევითი ყოფილა, მაინც კიდევ თუთიყუშურად წამონაძახები.

– ერთხელ თურმე რუსის გლეხები შევიდნენ ბატონის სახლში და შინ არავინ დაუხვდათ. ვიღაცამ კი დაუძახათ იმ გაცეტებულ მუჟიკებს: „დურაქო!“ გლეხებმა მიიხედ-მოიხედეს და შენიშნეს მხოლოდ ფრინველი გალიაში და გაოცდნენ. მაშინ წარსდგა გალიის წინ სტაროსტა, ქუდი მოიხადა, წამოიჩოქა და მოახსენა უცნაურ ფრინველს: „თქვენო აღმატებულებავ, უბრალოთ ნუ შეგვრისხამ, მოგვისმინეთ ვედრებაო!“ მაგრამ თუთიყუშმა კიდევ დაიძახა: „გასწი, დაიკარგე, შე ლოთოო!“... წამოცვივდნენ რუსის გლეხებიცა, თავქუდმოგლეჯილი გავარდენ გარეთ და ჰკვირობდენ!.. ვინ შეატყობინა ამ ჩიტს ჩვენი ანბავი და ან ის ვინ უთხრა, რომ სტაროსტას არყის სმა უყვარსო“? წავიდენ და მთელი სოფელი დაარწმუნეს: ჩვენს ბატონს გულთმისანი ფრინველი ჰყოლიაო! რა იცოდნენ და იმ მართლა „დურაკებმა“, რომ თუთიყუშს ის სიტყვები დასწავლილი ჰქონდა, წამდაუწუმ სულ იმას იძახოდა და მაშინ მხოლოდ შემთხვევით კარგათ მოუვიდა?.. .ვიცი, სასიამოვნოდ ბევრს არ დარჩება ეს ჩემი აზრი, მაგრამ რა ვქნა?.. და მეც ვაღვიარებ, რომ უმეტესობა ჩვენში თუთიყუში, კაჭკაჭია და არა თავის თავის მოაზრე – ამას მე წამითი გულისთქმა არ მალაპარაკებს... ეს მე ბევრჯელ მითქვამს სიტყვით და წერითაც გამოვტეხილვარ!... ახლა კი ბ. ნიკოლაძის სტატიამ „ახალ მიმოხილვაში“ „ჯეჯილის“ საწინააღმდეგოდ დაწერილმა, განმამეორებინა და ნურაფერს უკაცრავად!

ეს, რაც ზოგიერთ უმეტესობაზე ითქვა, რასაკვირველია, არ ითქმის ნიკოლაძეზედაც!.. პირიქით, ის მრავალაზროვანი და ორჭოფი მწერალია! მისი აზრი შადრევანივითა სცემს, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ საჩვენოში რომ ამოჰჩუხჩუხებს, სხვისს ჰრწყავს და, ამის გამო, მის საზოგადო მოღვაწეობის ოცი წლის სარბიელი შიგა და შიგ ჭრელია. აკვირდები და ვერ გაგირჩევია: ან თავი სადა აქვს და ან ბოლო? ვინც იმას ჩვენსავით დაახლოვებით იცნობს, ის, ცხადია უგულწრფელობას ვერ შესწამებს, მაგრამ ეს კია, რომ მის მოუსვენარ ბუნებას უკიდურესი თავისმოყვარეობა უჩხიკინებს და მაშინ არის, რომ გულ-გადაყოლილ ნიკოლაძეს ნახტომი ეშლება ხოლმე. – პირადად მისთვის ეს ნაკი მაინცა და მაინც საშიში არ არის. ბევრჯელ გამოსულა ხოლმე ისევ სწორ გზაზე, მაგრამ, სანაღვლო ის არის,

რომ იმას ყოველთვის ჰყოლია და ჰყავს ხოლმე მიმდევრები და ისინი კი, ერთხელვე შეცდომაში შეყვანილნი, უნაყოფოდ რიყეზე რჩებიან.

– დღეს ნიკოლაძის თხზულება იბეჭდება და, როდესაც სრულად გამოვა, მაშინ საბუთი გაექნება ხელში მისი ნაწარმოებიდანვე დავამტკიცოთ, რომ მის ნაღვაწს ერთი ფერობა და ერთი აზრობა აკლია და მანამდი კი გაკვრით სიტყვას ვხმარობთ, მით უფრო, რომ დღეს საზოგადოდ მაინც არა გვსურს იმაზე ვილაპარაკოთ და და მხოლოდ ერთს კერძო ახალ ნახტომს შევეხებით.

– ვისაც კი „ანა-ბანა“ უსწავლია ჩვენში და ნებართვაც აუღია, რომ იგივე „ანაბანა“ სხვებსაც ასწავლოს, ვისაც კი გაუგონია შორიდან პესტალოცისა და დისტერვეგის სახელები, გადაუთვალიერებია, უშინჯავს და წაუკითხავს ვოდოვოზოვი, თავი მწიფე პედაგოგი ჰგონია და დიდ მოძღვრათაც მოაქვს. გაუგონიათ აგრეთვე, რომ „ტენდენცია“ მავნებელია ყმაწვილებისათვისო და თვითონაც ფეხისხმის აყოლით გაიძახიან ამასვე. დიდი პედაგოგობა რა საჭიროაო? ვინც კი სრულიად გამონიჭებული არ არის, ვინ არ იცის, რომ მოსწავლე ყმაწვილისათვის მავნებელია ის, რაც მის ბუნებას არ შეჰფერის და ის ჭკუა-გონებას ძალას ატანს, გინდ წინა განძრახულის აზრით იყოს ნათქვამი, გინდ ისე, უაზროდ, სულ ერთია, ეს გაუგონიათ, მაგრამ თავისთავად მაინც ვერ აუხსნიათ, თუ რა არის ტენდენცია და ნაძალადევი აზრი? როცა „კალინა-მალინას“ შიგ ცხვირპირში სტენიან და „სერინკი კოზლიკებს“ აყვირებენ – ის არაფერიაო და ჩვენ ბუნებასთან და ცხოვრებასთან შესაფერ რამეს კი უკან უდგებიან, „ვაი თუ ტენდენცია შეგვწამონო“. ეჰ, ამათ ხომ ღმერთიც აპატივებს და კაციც, მაგრამ სასაცილოა, რომ დღეს ბ. ნიკოლაძე იმ გუნდს ეკუთვნოდა, რომელიც გაიძახოდა: „ხელოვნება ცხოვრებისათვის და არა ხელოვნება ხელოვნებისათვისო!“ მაშინ ის ერთი გულმოდგინედ მძახილთაგანი იყო და არა თუ პოეტი ჯუსტის, მეორე ხარისხის იტალიელ მწერლების საპატრიოტო ტენდენციებს აღტაცებაში მოჰყავდა. ისეთი ხელოვნური ნაწარმოები, როგორიც მაიკოვის „სამგვარი სიკვდილი“ და ტოლსტოის „ივანე დამასკელი“ სასაცილოდაც არ ჰყოფნი-

და და ზაიცევის ტენდენციური ობროდობა, მინაევისაგან გადალექსილი, საზეპირო ლოცვებათა ჰქონდა გახდილი. ვინც მისი აზრისა არ იყო მაშინ, იმას არა თუ საზოგადოდ, კერძოთაც აღარ ჰზოგავდა, ყოველგვარად იმეტებდა და თავსაც მითი მართლულობდა, რომ „საშუალებას მიზანი ამართლებსო“. დღეს კი ეს ვაჟბატონი სულ სხვას გაიძახის იმავე ყმაწვილურის აღტაცებით და იმ გვარისავე თავდაუჭერელ მედიდურობით და აქაც კიდევ იმ აზრისაა, რომ „მიზანი ამართლებს საშუალებასაო“... მართალია, იმან საქვეყნოდ აღიარა ერთის წერილით ახალ მიმოხილვაში“: მე ის აღარა ვარ, რაც ვიყავიო, მაგრამ არც ის ვარგა, რომ კაცმა ერთს უკიდურესობას თავი დაახწიოს მხოლოდ მისთვის, რომ მეორეში, და უფრო ცუდში ჩავარდეს!...

* * *

ვოლტერმა სთქვა: მხოლოდ ის წიგნებია ყმაწვილებისათვის სასარგებლო, რომელიც დიდებისათვისაც კარგიაო. შეიძლება ტენდენციები სულ არ იყოს რა რომელიმე ნაწარმოებში, მაგრამ მაინც მავნებელი იყოს ყმაწვილებისათვის, და აგრეთვე, ისიც კი შესაძლებელია, რომ ტენდენციებით სავსე წიგნი სრულიად საყმაწვილო გამოდგეს. თუ მოთხრობა ხელოვნურად არის დაწერილი, ტენდენცია ვერას დაუშლის. ყმაწვილის ნორჩ გრძნობა-გონებას ზღაპრული სახე იტყუილებს, ენის მარგალიტობა და ლექსთა წყობა. მაგალითად, ავიღოთ გიოტეს ზღაპრული პოემა „რეინეკე მელას“ – ერთი უკეთესი თხზულებათაგანი ყმაწვილებისათვის. ისინი აღტაცებით კითხულობენ ამ თხზულებას, მოსწონთ ფაბულა მისი და სხვადასხვა პირუტყვების სასაცილოთა და უტყუვრად გამოხატული ხასიათ-მოქმედება. მაგრამ ვინ არ იცის, რომ დედა აზრი ამ თხზულებისა სულ სხვა არის და იმ პირუტყვებათ ავტორმა გამოხატა მისი თანამედროვე ვეიმარელები. თვითონ ის მეიგავ-არაკე კრილოვი, რომელზედაც ბ. ნიკოლაძე გვითითებს, განა უაზროთა სწერდა? მის ნაწერებში ტენდენცია არ არის? და მხოლოდ მიტომ არის ყმაწვილებისათვის კარგი? სულაც არა!.. აბა მოიგონოს თავისი ყმაწვილობის დრო, თუ რა აღტაცებით ჰკითხულობდა და სწავლობდა მის იგავ-არაკებს მთავარ-აზრის შეუგნებლად! როდესაც მის არაკს,

„მგელი ფარეხში“, ვკითხულობდით, იმ ადგილს, სადაც ძაღლი ეუბნება მგელს: „შენ ძმა, რუხი ხარ, მაგრამ მეც თეთრი ვარ და ვერ მომატყუებო“ – ძალიან აღტაცებაში მოვყავდით ხოლმე! მაგრამ ის კი არ ვიცოდით, რომ, თურმე, ფარეხში შემოჭრილი მგელი რუსეთში შემოსული ნაპოლეონი იყო და მარჯვეთ დამხვედრი თეთრი ძაღლი – თმაგათეთრებული კუტუზოვი. ან კიდევ მეორე არაკი: „ქაშაპი – თევზი და კატა“. რა ნაირად გვაცინებდა ხოლმე თევზის სისულელე, როდესაც იმას მოსწყინდა თევზების ჭერა და კატის ხელობა შეეხარბა: მოინდომა ხმელეთზედაც თევზებზე ნადირობა, მაგრამ მშრალზე რომ დარჩა, საცოდავათ დაიწყო ფართხალი. განა გვესმოდა მაშინ, რომ იმ თევზის სახით გაკიცხული იყო ადმირალი ჩიჩაგოვი, რომელმაც ხმელეთის ჯარის სარდლობა მოინდომა და დამარცხდა.

მაშ თუ გაუგებარი რჩება ბავშვებისათვის, რაღა საჭიროა მაინცა და მაინც მაგგვარი აზრების გატარებაო, ეგებ სთქვან, და, აი მართლდება ვოლტერის ნათქვამი!.. ამგვარი თხზულება ერთსა და იმავე დროს პატარა ბავშვებსაც აკმაყოფილებს და დიდებსაც!.. მართალია, ყმაწვილებს არ ესმით ის მთავარი აზრი, ანუ უკეთ ვსთქვათ, თავისებურად ესმით და მხოლოდ სულ სხვა მიზეზებით ითვისებენ ხოლმე, მაგრამ, როდესაც დაიზრდებიან და გონებაში ჩახვდებიან, მზა მზარეულად, გაუჭირვად, ადვილად ხელში კი რჩებათ. ბავშვებს საზოგადოდ თავის საკუთარი საყმაწვილო ასპარეზი აქვთ; დიდებისას არ ჰგავს, მაგრამ მათი ნორჩი ბუნება მაინც მოითხოვს, რომ ის ასპარეზი დიდებისას დაამსგავსონ ხოლმე – თავის გუნებაში და დიდებს მიჰბაძონ. მაგალითად, ბავშვები რომ იარაღში ჩამჯდარ ცხენოსნებს უყურებენ, ისინიც ჯოხის ცხენზე გადაჯდებიან, დიდგულას თოფს ხელში იღებენ, ხის ხმალ-ხანჯალს ჰხმარობენ და ჰგონიათ თუ, მართლა საქმეში ვართო.

ეს ხომ სასაცილო ბავშვობაა, მაგრამ ამას თავისი კარგი და სასარგებლო შედეგი მოაქვს: როდესაც ასაკში შედის ბავშვი და ძალ-ღონეს იკრებს, მაშინ მისთვის უცხო აღარ არის არც ცხენოსნობა და არც თოფ-იარაღი და ისე ადვილად ითვისებს, თითქოს დაბადებიდანვე სცოდნიაო. ახლა გამოუყვანეთ და დაუყენეთ გვერდით იმას მისთანა ჭაბუკი, რომელსაც ყმაწვილობაში

არა თუ ჰქონია სათამაშო თოფ-იარაღი და ცხენი, პირიქით, კიდევაც აშინებდნენ! აბა რა მოუვიდეს! მოახერხებს იმ პირველ ჭაბუკის ოდნობას, თუ არა?! ასევე უნდა ვსთქვათ აზრების შესახებაც. განა რჯულისა და სარწმუნოებისა ესმით რამე, ყმაწვილებს?.. მაგრამ სიყრმიდგანვე რო ეჩვევიან, ძალაუნებურათ საუკუნოდ ძვალსა და რბილში უჯდებათ. სიყვარულიცა და სიძულვილიც იმ თავითვე, ბავშვობიდანვე იწყება... აბა ყმაწვილს ელაპარაკეთ ზიზღით და აგდებით თავის მშობლებზე, თავის ქვეყანაზე, თავის წარსულზე და სხვ., თუ ყველა არ შეიძულოს, და დიდობის დროსაც მათი ზიზღი არ ჩარჩეს გულში. პირიქით, უქეთ მტერი და ორგული, აღტაცებით და მოწიწებით ესაუბრეთ მათზე, თუ არ შეიყვაროს. ეს ცხადი ჭეშმარიტებაა, მაგრამ ბევრი კი იმ აზრის არის (რასაკვირველია, ან იეზუიტობით და ან სისულელით), რომ არც ერთის თქმა არ არის საჭირო პატარებისათვის და, რომ გაიზრდებიან, თვითონვე მიხვდებიანო!.. ამის მთქმელს ისიც შეუძლიან სთქვას „რა საჭიროა ბავშვს რომ ძუძუს აწოვებთ!“... რომ გაიზრდებიან, თვითონვე დაიწყებენ მწვადის ჭამას!“... საზოგადოდ ტენდენციების წინააღმდეგობა შეცდომაა, მაგრამ ტენდენციაც არის და ტენდენციაც. მისთანა, რომელიც რყვნის და აფუჭებს მოზარდს, რასაკვირველია, დასაწუნებელია და სადევნელი, და, მაშასადამე, ბ. ნიკოლაძემ რომ გამოილაშქრა „ჯეჯილზე“, ალბათ ამგვარი მავნებელი ტენდენციები ჰქონდა სახეში და მისმა გულწრფელობამ ვეღარ აიტანა სხვების ვერაგობა, კეთილი და პატიოსანი! მაგრამ რადგან მარტო ცარიელ მის სიტყვებს და სხვა ენაზედ კრიმანჭულად გამოთქმულს, ვერ ვენდობით, ამისათვის ნუ გაგვიწყრება, რომ ჩვენც ჩვენი საბუთი წარმოვადგინოთ და შეუდგეთ მისი აზრის დარღვევას. დავიწყოთ რიგისად:

მშვენიერი და საუცხოვო ლექსი „შვიდნი ვართ“ სასაცილოდ აუღია და ამტკიცებს საქვეყნოდ სისულელეაო. ეს პატარა ლექსი, როგორც ვიცით, ჯერ ინგლისურ ენაზე არის დაწერილი, მერე სხვა ენებზეც გადატანილი და თითქმის ყოველ საყმაწვილო ლექსთა კონაში ჩართული; რუსულათაც კაზლოვის გადმოღებული, მერე იქიდან კი ქართულად გადმოკეთებული და გადმოკეთებული ხელოვნურად.

მაინცა და მაინც მარტო ეს მოგვყავს საბუთად! ადვილად შეიძლება, რომ ყველა სცდებოდეს და ბ. ნიკოლაძე კი მართალს ამბობდეს, მაგრამ საქმე ის არის, რომ მისი სიტყვებიდანაც ვერა გაგვიგია-რა: რა არის გასაკვირველი, რომ პატარა „ყმაწვილი მკვდარ და-ძმასაც ცოცხლებზეც ათვლის და ამბობს: „შვიდი ვართ და არა ხუთიო?“ მარტოკა დარჩენილი თუკი ორ ძმას ზღვაზე წასულს, ორსაც სოფელში წასულს ანგარიშობს, რატომ სასაფლაოზედაც წასულებს არ მიათვლის? იტყვით: როგორ არ იცის, სიკვდილი რა არისო? დიახ, იცის, მაგრამ იმის წარმოდგენა კი არ შეუძლიან, რომ სიკვდილის შემდეგ ყოლიფერი ჰქრებაო! ხედავს, რომ მოშორდნენ მას, გადავიდნენ სასაფლაოზე, იქიდან სადღაც ზეცას წავიდენ და იქ არიან, სწორეთ ისე ხორცშესხმულად, როგორც დანარჩენი ძმები, ზოგი ზღვაში და ზოგიც სოფელში.

ხშირად ყმაწვილები, მარტო რომ დარჩებიან, არა თუ პირუტყვებს, მცენარეებსაც კი ესაუბრებიან ხოლმე. განა არ ეალერსებიან, ჰკოცნიან, გულზე იკვრენ, ეტიტინებიან და საჭმელ-სასმელსაც კი უდგამენ ხოლმე წინ დედოფალებს (ტიკინებს)? ეს სისულელითა და შეუგნებლობით კი არ მოსდისთ!.. კარგად ჰხედავენ, რომ ის უსულო საგნები ვერც ხმას გასცემენ, ვერც რამეს სმენ და სჭამენ, მაგრამ მაინც თავისას არ იშლიან ბავშვები, ამიტომ რომ ამას მათი ბუნება მოითხოვს და არა უგუნურება... მაშ თუ ეს ასეა, ის რაღათ უნდა იყოს გასაკვირველი, თუ ყმაწვილს სამარეში მყოფი გამქრალი არ ეგონოს და სათვალავში აკლდებოდეს? უცხო ქვეყნებში სასაფლავოები ყვავილების ბაღად აქვსთ გადაქცეული, ყოველ-დღე მოდიან მშობლები, დროს ატარებენ თავის შვილების საფლავზე... მიჰყავთ იქვე დანარჩენი და-ძმანი და ჩასჩიჩინებენ: აი, შენ დაიას თუ ძამიას ყვავილები მოუკრიფე, მორწყე წყლით გარშემო ამოსული და აყვავებული ბალახები... აი, ეს, აი, ის! და სხვ... ამ გვარად განუყრელი კავშირია გაბმული მკვდრებსა და ცოცხლებს შუა და რაღა გასაკვირველია, რომ ყოველთვის გულში ჰყავდეს პატარა ყმაწვილს მკვდარი ძმა ან და მუდამ თვალწინ ედგას, ეალერსებოდეს და აღარც დანარჩენ ცოცხლების წრიდან გამოირიცხოს?

მეტყვიან, ჩვენში ეგრე არ არისო. თანახმა ვარ! მიაბარებენ მიწას თუ არა ჩვენში, მერე ზედაც აღარ შეხედავენ, კავშირი გაწყვეტილია. ჩვენში არა თუ მკვდრები, ცოცხლებიც – კი არავის ახსოვს, მაგრამ განა ეს სასურველია? ეს გულგრილობა პირუტყვს უახლოვებს ადამიანს და მაშასადამე, ამ გვარი ლექსები, როგორც „შვიდნი ვართ“, დიდად და დიდად საჭირო და სასურველი ყოფილა ჩვენის ყმაწვილობისა და დედ-მამებისათვის, გინდ ბ. ნიკოლაძემ სენტიმენტალურიც ეძახოს.

„სპილო და ჭიანჭველების“ შესახებ ამბობს ბ. ნიკოლაძე: ის აზრი, რომ ხანდახან სუსტებიც დააჩოქებენ და დაამარცხებენ ძლიერს, ახალი არ არისო და ან რაღა საჭიროა განმეორებაო. საკვირველია, რომ აქაც ბ. ნიკოლაძემ იმ ჭკუის კოლოფების დასში ამოჰყო თავი, რომელნიც ყოველ დღე ახალ-ახალ სისულელეებსა ჰბადამენ და, მგონია, თავის გასამართლებლად გაიძახიან, ძველი ჭეშმარიტების განმეორება არ ვარგაო... ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ჩვენ ბ. ნიკოლაძე მათ შევადაროთ, მაგრამ წინდაუხედაობით ბედაურიც წაიფორხილებს ხოლმე. იმათი რო დავიჯეროთ და კანონათ მივიღოთ, მაშინ მთელი ქვეყანა უნდა დამუნჯდეს. ავიწყდებათ იმ დალოცვილებს, რომ სიტყვას გარემოება გამოიწვევს. უეჭველია, როცა ადამი აღვიძებდა ევას, ანუ ევა-ადამს, ერთმანეთს ეუბნებოდნენ: „ადექი, კმარა ძილიო!“ ეს ხომ ძველი ნათქვამი იქნება და მაშ, ჩვენის ჭკუის კოლოფების კანონით, როდესაც ესენი წამოწვებიან მხარ-თეძოზედ და ამოუშვებენ ხვრინს, ნება არ გვექნება მოვახსენოთ: – გაიღვიძეთ და გააკეთეთ რამე-თქო! ყოველ საუკუნეში უთქვამს სულელისათვის, ნუ სულელობო! მაგრამ დღესაც იმასვე ეტყვიან. ვიმეორებთ, რომ გარემოება გამოიწვევს სიტყვას და, მაშასადამე, ჭეშმარიტების განმეორება დასაგმობი არ არის. მართალია, ძველადვე უთქვამთ, რომ ხანდახან სუსტებიც მოერევიან ძლიერსო, მაგრამ ეს ისეთი ჭეშმარიტება არის, რომ ბევრჯერაც რომ ვუთხრათ ყმაწვილებს და მაგალითებიც მოვუყვანოთ ხოლმე – ამით არა დაშავდება-რა.

„ჩვენი მამალი“ ისე ხელოვნურად არის დაწერილი, რომ არ შეიძლება ყმაწვილმა სიამოვნებით არ წაიკითხოს, ამიტომ – რომ

მას ყოლიფერი ენიშნება. არ მოეწონება მხოლოდ იმ ყმაწვილს, რომელიც ქალაქში დაბადებულა, არც მამალი უნახავს და არც ინდოურები. ეს პატარა მოთხრობა ხელოვნურად არის დაწერილი და, თუ არ გაზვიადებული ოცნება, ტენდენციასაც ვერავინ წარმოიდგენს.

ახლა გადავიდეთ პატარა პოემაზედ – „მერცხლისა და ჭივჭავის ომი“.გვიკვირს, რომ ბ.ნიკოლაძეს შინაარსი ვერ გაუგია და სულ სხვა გვარად მოუთხრობს თავის მკითხველებს.

საკვირველია, რომ იმას არ სცოდნია, ჭივჭავი რა არის, და чижикъ-ად გადაუთარგმნია. Чижикъ, ქართულად ნიშნავს ნარჩიტას, მთის ჩიტია და მხოლოდ ბუდობის დროს ჩამოფრინდება ბარად, რომ კაკლის ხეებზედ ბუდე გაიკეთოს, თორემ სახლში თავის თავად შეფრენილი ის არავის უნახავს და არც არაფერი სიახლოვე და დამოკიდებულობა აქვს მერცხალთან. მაშასადამე, მე რომ ამ ჩიტებისა და მერცხლების ერთმანეთში ბრძოლა ამეწერა, ის იქნებოდა სრული უმართლოება და რაღაც პოეტური მიჩმახვა. მაგრამ ჭივჭავი, ანუ ბეღურა, რომელიც რუსულად ნიშნავს воробей-ს და არა чижикъ-ს, სულ სხვა არის. იმავე სახლში სცხოვრობს და ბუდობს, სადაც მერცხალი, და ხშირად ჩხუბიც მოსდის ხოლმე მერცხალთან. ამის უარს არც ერთი ბუნების მკვლევარი არ იტყვის და ბ. ნიკოლაძემაც მათ თხზულებას რომ თვალი გადაავლოს, აი, თუ გინდ ბრემს, იქ სიტყვით-სიტყვად ნახავს იმას, რაც მე გავლექსე, და მაშინ ამ ჩემ იეზუიტურ ტენდენციებში იმათაც მონაწილედ გახდის, მაგრამ ვინ არ მიხვდება, რომ იმათ ქართველები მხედველობაში არ ჰყოლიათ, და მეც გადმოვლექსე, როგორც სასიამოვნო და საცოდნო რამ საკითხავი ყმაწვილებისათვის, და არა ძალდასატანებელი ტენდენციური რამ. ჩემგან უმეტნაკლებოდ არის გადმოღებული ის ამბავი ისე, როგორც ნამდვილად მოხდება ხოლმე და მოგვითხრობენ: ჩემის მხრივ ის არ მირჩევია ყმაწვილებისათვის, რომ გძულდეთ მერცხალი და გიყვარდეთ ჭივჭავი-თქო. კიდევ ვიტყვით, გაზვიადებული ფანტაზია უნდა, რომ აქ კაცმა ტენდენციები დაინახოს, მაგრამ სურვილს ბევრი შეუძლიან. გაჯიუტებულ კაცს ზოგჯერ რწყილიც აქლემად მოეჩვენება. ბ. ნიკოლაძეს, სწორედ ასე მოსვლია: მარტო ტენდენციები კი არ დაუნახავს, იეზუიტურ

მოქმედებასაც გვწამებს, იეზუიტების მცნება დღეს მარტო იმ-ას აღარ სჯერდება, რომ ლოიოლას* ნამოძღვრები დაამტკიცოს და ფანატიკურად ემსახუროს კათოლიკობას. დღეს ფარისევ-ლობით შეკაზმული მცნება საპირადო იარაღად უჭირავთ ხელ-ში და წინა-განძრახულ მიზანს სწირავენ ყოველივეს, არღვევენ ათივე მცნებას და ისეთ რამეს ჰქადაგებენ, რომელიც რყვნის და ამცირებს ადამიანის ბუნებას. ასეთი რამ, რასაკვირველია, გა-საკიცხავია, მაგრამ ამასვე რო შევუდაროთ კეთილშობილური გატაცება, მაშინ ყოველი მამულიშვილი, რომლისაც მოთაყვანე თვით ბ. ნიკოლაძეც კი ბრძანდება, იეზუიტები გამოდგებოდნენ. შეიძლება ბრძანოს, მაგაზედ არ გვიხმარნია „იეზუიტებიო“ და, თუ სხვებმა ვერ გაიგეს, ჩემი რა ბრალიაო. ამიტომაც ჰმართებს მისთანა მწერალს, როგორიც არის ბ. ნიკოლაძე, ასჯერ გაზომვა და ერთხელ გამოჭრა, თორემ ხომ იცის, რომ ზოგან ყურისმგ-დებლები ჰყავს და მიზეზს ეძებენ, გამოძებნონ რამე ხელის ჩასაკიდებელი. აი ეხლაც ბ. ნიკოლაძის სიტყვიდან გამოდის, ვითომც მერცხლები უცხოეთიდან იყონ მოსული, ჭივჭავე-ბი კი შინაურები, და მათ შორის ბრძოლა წინდაუხედავობით გამომეწვიოს. ეს ხომ ცხადი შეცდომაა. როგორც ჭივჭავი, ისე მერცხალი ჩვენებურია და ჩვენ ქვეყანაში დაბადებული და, თუ მაინცადამაინც არ დაგიშლიათ, აი მხოლოდ რა აზრი შეიძლება გამოიყვანოს კაცმა იმ ლექსიდან: ძალიან გამრავლებულნი არი-ან დღეს ჩვენში მერცხალა მამულიშვილები. ღორმუცელობის პა-ტრიოტობა უკიდურეს ხარისხამდეა მიყვანილი, ისე ღვინოს არ დალევენ, მწვადით პირს არ ჩაიტკბარუნებენ და ლეჩაქიან ქალს ალერსს არ დაუწყებენ, რომ არ დაიძახონ, „გაუმარჯოს საქართ-ველოს!“, მაგრამ იმავე საქართველოს გულისათვის არამც-თუ არ გაირჯებიან, წარბსაც არ შეიხრიან, მხოლოდ ლხინი და ქე-იფი მოსწონთ და ჭირს-კი თავს არიდებენ და თვითონ ჩვენ მწერლებშიაც განა ცოტანი არიან მისთანები, რომელნიც უცხო ენაზედ სწერენ არა იმ განზრახვით, ჩვენს მხარეს სარგებლო-ბა მოვუტანოთო, მხოლოდ იმ მოსაზრებით, თავი უფრო მეტად გამოვიჩინოთო. მაშ, რა არიან ყველა ესენი, თუ არა მერცხლე-ბი, რომლებსაც ჭივჭავები ეუბნებიან: ზამთარი გძულსთ ჩვენი

* იგნატიუს ლოიოლა, 1539 წელს იეზუიტური ორდენის დამაარსებელი.

ქვეყნისა და ზაფხული კი მოგწონთო; სანამდი ჭიკჭიკი და ნავარდი შეგიძლიათ, ჩვენთანა ხართ და, რო აცივდება, სხვა მხრით გიჭირავსთ თვალიო, გიყვარსთ ლხინი და ჭირს – კი ერიდებითო. ეს გამოთქმა, მე მგონია, უფრო პირდაპირი და რაინდული იყო, ვიდრე იეზუიტური, და გვიკვირს, ბ. ნიკოლაძეს რად ასე თავისებურად გაუგია?!

აკაკი
1890

ზეპირსიტყვაობის გამო

ქართველებს რომ დღეს სხვადასხვა საჭიროება გვაქვს და აუარებელი საქმეც გვაწევს ტვირთათ, ეს ვინ არ იცის? მაგრამ არც ერთი–კი მათგანი ისეთი სასწრაფო არ არის, როგორც „ზეპირგადმონაცემების“ შეკრება–შეგროვება. ჩვენ–კი მაინც ამდენი ხანია განზე ვუდგებით ამ საჭირო საქმეს!.. ხალხური პოეზია უტყუარი სარკეა გადასული ცხოვრების და ისტორიის მტკიცე საძირკველი, და მიტომაც ცნობილია დღეს ყოველ განათლებულ ერისაგან ერთ უპირველეს საჭიროებათ. ჩვენი ქართული „ზეპირგადმოცემები“ მით უფრო შესანიშნავი არიან სხვებისაზე, რომ კერძო მნიშვნელობას გარდა, მსოფლიო ხასიათიცა აქვთ საქართველო იყო ხიდათ და გზათ იმ დიდ მოძრაობის დროს, როდესაც სხვადასხვა ერი აზიიდან ევროპაში გადადიოდა. მაშასადამე, ჩვენი ქვეყანა უძველეს დროიდანვე ბევრის მომსწრეა, მნახველი და მოწამე. ამას დავუმატოთ კიდევ ის გარემოებაც, რომ ქართველი საზოგადოთ ბუნებათანაზიარია და რაც უნახავს, ან გაუგონია, უყურადღებოთ არ დაუგდია, ყოველივე შეუსწავლია და საშვილიშვილოთ გადმოუცია საზეპიროებით.

არსად ისე გავრცელებული არ ყოფილა „მეზღაპრეობა“, „მესტვირობა“ და „მეშაირობა“, როგორც ჩვენში!.. საშვილიშვილოთ გადმოიცემოდა ხოლმე ერთიმეორისაგან ასისა და ათასი წლის ამბები, და ამის გამო უმაღლეს წერტილამდე იყო აყვანილი ჩვენი სახალხო პოეზია, ძველი და ახალი აღთქმა სულ

ერთიანად გალექსილი იყო და ტრიალებდა ჩვენს ხალხში. ვის არ გაუგონია ჩვენში საუცხოვო შაირები „აბრამზე“, „იობზე“, „სოლომონზე“ და სხ?.. არც ერთი შესანიშნავი მოვლინება არ ყოფილა ჩვენში, რომ ხალხს უყურადღებოთ დაეგდოს და შაირი არ გამოეთქვას!.. ამას გარდა, ძველი ხალხების მითოლოგია, განსაკუთრებით ბერძნებისა, სულ ჩვენ ზღაპრებში არიან მოქცეული; აქვე შევხვდებით ჰომეროსისა და სხვა ძველი დროის მწერლების თხზულებათაც ნაწყვეტ-ნაწყვეტად მაგრამ ქართული ხასიათით და სულით კი. ვინ იცის, ჩვენ გადმოგვიქართულებია, თუ იმათ გადაურჯულებიათ ჩვენი რამე? ესეები ყველაფერი დღემდი კარგათ იყო ჩვენში დაცული, სანამ საშვილიშვილოთ გადადიოდა!.. მხოლოდ საქართველო წარმოადგენს ერთადერთს მაგალითს, სადაც „ბატონყმობის“ დროს ზოგიერთ გლეხებს მთელი გვარეულობით ზღაპრებისა და გაშაირების მეტი არა ემართათ რა გადასახადი. დღეს, როდესაც ძველი წესწყობილება დაირღვა–დაიშალა და ახალგვარი ცხოვრება შემოვიდა ჩვენში, ამ ჩვეულებასაც, ე. ი. ზეპირგამოცემასაც, ბოლო მოეღო. ახალდგმას აღარ ეხალისება ეს ძველებური საზეპიროები და მოხუცებულ მამებს საფლავში ჩააქვთ ასეთი ძვირფასი განძი!.. ერთი ათი წელიწადი კიდევ და მშვიდობით!.. ჩვენი დღევანდელი დაუდევრობით დავკარგავთ იმას, რისიც მოპოვება მერე შეუძლებელი იქნება. ეს აზრი მე ამ ოცი წლის წინათაც გამოვთქვი „დროებაში“ და ზოგიერთებმა კიდეც მომაწოდეს მათგან შეკრებილი ზღაპრები და არაკები, მაგრამ შემთხვევით, გზა–და–გზა ამ გვარი რამ არ გაკეთდება!.. იმათი შრომა უნაყოფო გამოდგა, რადგანაც ამისთანა საქმეს გულდაგულ შედგომა უნდა და ცოტაოდენი ცოდნაც. მოუმზადებელი კაცი ვერ მიხვდება, რას უნდა მიაქციოს ყურადღება და როგორ უნდა ჩაწეროს გაგონილი? მით უფრო, რომ ხალხური სიტყვიერება მრავალგვარია და ყველა მათგანს კი არა აქვს საერთო მნიშვნელობა, ზოგჯერ შიგადაშიგ ობროდობაც გამოერევა ხოლმე. პირველი ადგილი ხალხურ ნაწარმოებში ეკუთვნის იმ სიტყვიერებას, რომელიც საკუთარ ნიადაგზე აღმონაცენი და, როგორც მისი საკუთარი გრძნობა–გონებისა და თავგადასავლის ნაყოფი, საუკუნოების ბრძმედშია გამოვლილი და ადვილადაც გაირჩევა იმგვარ პო-

ეზიისაგან, რომელიც სხვა უცხო ქვეყნებიდან შემოპარულა და ახალ გემოზე გადაკეთებულა. ავიღოთ მაგალითი.

თამარ მეფე ღმერთს უყვარდა
ციდან ჩამოესმა რეკა,
იალბუზზე ფეხი შედგა,
დიდმა მთებმა შექნეს დრეკა.

ეს რომ ქართულ ნიადაგზეა აყვავებული და ქართველი ერის გენიოსობის წარმონაშობია, — ვინ არ დათანხმდება? ხალხს უნდოდა, რომ მისი სატრფიალო და სალოცავი თამარ მეფის სიწმინდე და ძლიერება გამოეხატა და შემდეგი საუკუნოებისათვის ძეგლად გადმოეცა და ხედავთ, როგორ გამოსახა? ხალხის წარმოდგენით, იქ, სადაც ღვთის სადგურია და ანგელოზები მსახურობენ, გაუსხლეტელი წირვა–ლოცვა და გამჩენის დიდებაა, იქ, რასაკვირველია, ზარების რეკაც ხშირია, მაგრამ ცოდვილი მიწის შვილის სმენა იქამდი ვერ მიწვდება და მხოლოდ ერთადერთი მისი საკვირველი თამარი იყო, რომ იქაურ ამბავს თავისი ყურით ისმენდა!... – „ციდან ჩამოესმა რეკაო“!.. განა ამაზედ ძლიერად სიწმინდის გამოხატვა კიდევ შეიძლება სხვაგვარად? „იალბუზზე ფეხი შედგა, დიდმა მთებმა იწყეს დრეკაო!..“ აი, ქვეყნიური ძლიერება, სავსებით დასურათებული!..

ახლა შევუწონოთ ამ ორ ტაეპს მთელი პოემა „თამარიანი“, ანუ შავთელის მიერ შესხმითი ქება და რას დავინახავთ? იმან, რომ შავთელმა, რომელსაც საგნად ჰქონდა აღებული თამარ მეფის სიწმინდისა და ძლიერების ხელოვნებით გამოხატვა, მისი მეათასედიც ვერა სთქვა რა, რაც ხალხის გენიოსობამ ორი უბრალო სიტყვით გადაჭრა. ამგვარი სამაგალითო და სამარგალიტო ყველგან არ მოიპოვება და არც ბევრია, რადგანაც ხალხურ ნაწარმოებშიაც მეტნაკლებობა არის ხოლმე. მოვიტანოთ მაგალითი:

მაყვალს გიგავს თვალებიო,
გოგო გენაცვალებიო!..

ან და: ხელსახოცსა გადმოგიგდებ
ოქრომკედით მოქარგულსა,

შიგ გაგიხვევ სულს და გულსა
შენთვის დამწვარ–დადაგულსა!

ეს ორივე ლექსი ტრფიალების წარმონაშობია, მაგრამ რა განსხვავებაა მათ შუა?!. ავიღოთ კიდევ სხვა:

პატარა ხარ და კარგი ხარ
გაიზდები, რა იქნები?!.
შენ – ბატონი მწყალობელი,
მე ერთგული ყმა ვიქნები.

მეორე ამგვარივე:

ყმა ბატონისთვის მოკვდება,
ბატონიც მწყალობელია;
ხორცს აუმღერებს პატივით,
სულისაც მგალობელია.

ახლა კიდევ ამგვარივე, მაგრამ სხვა ხასიათისა:

აქამდი ჩვენი ბატონი
უწრუწუნებდა ქორებსა,
ახლა–კი მისი შვილებიც
ჭალას დასდევენ ღორებსა.

აზნაური ჭადს არა ჭამს,
მოშივდება, ჭირსაც მომჭამს.

გლეხი კაცი იზრდებოდესო, ვირდებოდესო, და სხვანი.

ესენი ყველა ხალხის ნაწარმოებია, მაგრამ რა განსხვავება არის იმ პირველ ორსა და სხვებს შუა?! ერთი გვიხატავს მრავალ საუკუნოების განმავლობაში ბატონყმურ კეთილ დამოკიდებულებას და მეორე–კი ხალხის ზნეობით დაცემის დროს და სხვადასხვა წოდებათა ერთმანეთთან გადაკიდებას. უმნიშვნელო არც ერთი არ არის, თუმცა პირველს–კი საისტორიო, საერო მნიშვნელობა აქვს და მეორე მხოლოდ კერძოობითია, ადგილობრივი და დიდხანსაც ვერ დაისადგურებს ხალხის გრძნობა–გონებაში. მაგრამ მაინც ყველა უმეტნაკლებოდ უნდა

ჩაიწეროს და გამოიგზანოს რედაქციაში, ამიტომაც მიემართავთ ყველას, ვისაც შეუძლია დახმარება, განსაკუთრებით, სოფლელ ახალგაზდობას, რომ მხარი მოგვცენ ამ დიდათ საჭირო საქმეში. იმათ უნდა აიღონ თავიანთი სოფლები და აგვიწერონ ამგვარად, რა გვარის კაცები ცხოვრობენ აქ და ან რა თქმულებაა დარჩენილი მათში იმათ ძველბზე? დაგვისახელონ, რა და რა ფრინველები, შინაური და გარეული ცხოველები შენობენ იქ? რა და რა მცენარე–ბალახები იზდებიან და რა თვისებისა არიან ზოგიერთი მათგანი? რომელი მათგანი გამოდგება საღებავად? საწამლავად? სამკურნალოდ? რამდენი ნანგრევი ციხე–კოშკ–დარბაზებ–ტაძრებია და რა არის მათზე თქმულება? რა და რა მდინარენი ჩამოდიან? რა თევზებია შიგ? ტბები თუ აქვს? წყაროები? ღელეები და სხვანი. შეკრიბოს აქვე ზეპირგადმონაცემებიც ყოველგვარი ზღაპრები, შაირები, ლექსები, ანდაზები, ზმები და სხვანი. გვარში თუ რამე გუჯრებია, აგრეთვე ყოველი სიტყვა, რომელიც ეუცხოვოსთ, ჩაწერონ და მისი მნიშვნელობა გამოჰკითხონ ხალხს!.. შემკრებელმა, რასაკვირველია, უნდა უმეტეს–ნაკლებოთ ჩაწეროს, როგორც გაიგონოს, ე. ი. ფონოგრაფიულათ. დაესწროს ხოლმე სოფლის ჭირში და ლხინში, რომ მათი ზნე და ხასიათი შეისწავლოს და აგვიწეროს. ერთს სოფელს რომ მორჩება, მერე მეორეში გადავიდეს და ამგვარათ მოიაროს ერთიმეორეზე მისი მაზრა ან ხეობა. ეს ძალიან ადვილი საქმეა და ამას არც ძალიან ბევრი დრო მოუნდება. ამ საქმეს მხოლოდ გულდადება უნდა და მცირეოდენი ბეჯითობა, რომ თავის საკუთარი ფანტაზია არ წაამატოს შემკრებელმა, ამ ოცი–ოცდაათი წლის წინეთ მე თვითონ დავდიოდი სოფლი–სოფლათ და იმდენი რამ შესანიშნავი ვნახე და გავიგონე, რომ სწორედ გასაკვირველია. ბევრი მათგანი ერთი შეხედულობით უმნიშვნელო და სულელური რამ ჰგონია კაცს, მაგრამ ბოლოს, რომ დაუკვირდება, მიხვდება, თუ რა გონივრული არიან ისინი. ავიღოთ მაგალითად შემდეგი: სვანეთში მოსახლეები კოშკებში დგნანან და თითო სახლში ხშირად მთელი გვარეულობა არის მოთავსებული, ასე რომ, თუმცა ერთი კაცის ჩამამავალნი არიან, მაგრამ მათში თითქმის ნათესაობაც აღარ არის. ერთი დედ–მამის შვილი ერთმანეთში ძმებათ იწოდებიან და სხვებ-

თან–კი ძმანებათ. აი, საიდან წამომდგარა მრავლობითი რიცხვის კიდევ განმეორებული მრავლობითი რიცხვი!.. რასაკვირველია, ამ ძმებსა და ძმანებს ისე სწამთ ერთმანეთში ნათესაობა, რომ მისი გატეხა მომაკვდინებელ ცოდვათ მიაჩნიათ. ეს მე მიკვირდა, ერთმა უბრალო შემთხვევამ ყოლიფერი ამიხსნა. ერთ სერზე რომ გადავდიოდი, ჩემმა მხლებელმა სვანმა მოიხადა ქუდი და სთქვა „ღმერთო შეუნდეო!“.. და მიათითა ერთ პატარა ჩავარდნილ ადგილს, ტახტის მგზავსს. რომ გამოვკითხე, აი, რა მიამბო: – ეს სერი ყოფს საბატონო და თავისუფალ სვანეთს; აქედან ორივე კარგათ მოჩანს. ერთ დილას ამოსულიყო საბატონოდან გოგო, გადაეხედა და ეთქვა: „რა კარგი რამ არის ეს თავისუფალი სვანეთიო!“.. იმ დროსვე მეორე მხრიდან ვაჟი გადმოსულიყო, გადაეხედა და ეთქვა: რა კარგია საბატონო სვანეთიო!“.. ორივეს გრძნობა მორეოდა, მერე დაენახათ ერთმანეთი გრძნობა–მორეულზე, შეყვარებოდათ, ცოლ–ქმრობის პირობა დაედვათ და შემცდარიყვენ, მაგრამ მაშინვე დედამიწა გასკდომოდათ და შიგ ჩავარდნილიყვენ; – აი, ბატონო, ხომ ხედავთ ტახტივით რომ მოჩანს და ზედაც დიდი სასაფლაოა?.. თურმე, ნუ ბრძანებთ, ერთი მათგანი ტყვეთ ყოფილიყო წამოყვანილი, ძმა ყოფილიყო ამ გოგოსი და კი არავინ იცოდავო, ისე სვანი ვერ აუვლის გვერდს ამ ადგილს, რომ შენდობა არ გამოითხოვოს იმ შემცდარებისათვისო. ამგვარი რამ, თვით ხალხის გულიდან ამონაღები, დიდი ძალა და კანონია იმავე ხალხისათვის. აფხაზეთში ერთს ნამოსახლზე ვინც გაივლის, დიდი და პატარა ყველა ფიჩხს დააგდებს და, როდესაც შეგროვდება, მერე წაუკიდებენ ცეცხლს და დასწვენ ხოლმე, ეს ჩვეულება ჯერეც კიდევ არ გადავარდნილა, ამბობენ, აქ ერთი მოსახლე იყო, რომელმაც ზამთარში გაყინული მგზავრი შინ არ შეუშვაო; სტუმრობის გატეხისათვის ასე უნდა იყოს ხოლმე შეჩვენებული, რომ საიქიოს ცეცხლი არ გამოელიოსო, ამგვარი რამეები თავისთავათ საგულისხმო არიან და ახსნა აღარ ეჭირვებათ. საკვირველი ის არის, რომ ჩვენში ყველგან ამაო რწმუნებასაც გონივრული საფუძველი აქვს და არა ისე ტუტუცური. როგორც ზოგიერთ ხალხში. ესეები ყველა რომ შეიკრიბება, მაშინ შევიტყობთ ჩვენი ქვეყნის ფასს და ჩვენ თავსაც გავიცნობთ; მაშინ ნამდვილად გვექნება

გათვალისწინებული საქართველო ყოველი მხრით: გეოგრაფიულად, ეთნოგრაფიულად, ისტორიულად, არხეოლოგიურად და სხვანი, მაშინ ლექსიკონების შედგენაც ადვილი იქნება, როგორც საზოგადოსი ისე კერძოთ ზოოლოგიურის, ბოტანიკურის, მინერალოგიურის და სხვანი. სხვა ქვეყნებში დიდი ძალი თანხაა საკუთრად ამ ზეპირსიტყვაობისათვის გადადებული და ჩვენშიაც უსასყიდლოდ ძნელი იქნება სავსებით საქმის წაყვანა, მაგრამ ჯერ, რადგანაც საკუთარი შეძლება ნებას არ გვაძლევს, რომ ქირით ბევრი ვიყოლიოთ, ოთხის მეტი არ გვყავს საკუთარი მკვლევარი და ზეპირგადმონაცემების ჩამწერი, შემდეგში–კი, თუ საქმე კარგად წავიდა და საშუალება გვექნება, რასაკვირველია, ყოველ მაზრაში გვეყოლება თითო კაცი, ახლა–კი, ჯერ–ჯერობით ყველას ვთხოვთ, რომ ვინც რითაც შეიძლოს, ამ დიდ საქმეში დახმარებას და შემწეობას ნუ მოგვაკლებს.

[1896]

მცირე რამ პროფესორ მარრის უკანასკნელის თხზულების გამო

„კარგი შვილის დედა ხარ, ღმერთმა გიბედნიეროს შენი მზეჭაბუკიო!“ – უთხრეს ერთ დედას. საბრალომ ამოიოხრა და სთქვა:

„მეც ვიცი, რომ კარგია,
მაგრამ არას მარგია,
რაც რამე მაქვს და რაც აქვს,
სულ გულთამზის ბარგია“.

თურმე იმ დედის ერთას მეზობლის ქალი, გულთამზე შეჰყვარებოდა და მის მეტი აღარავინ ახსოვდა. სხვებს რომ ხედავდა, ის ელანდებოდა, რასაც-კი სადმე ნახავდა – მისი იყო თუ სხვისი – ყველაფერი გულთამზის ეგონა. ამისი არ იყოს, ღმერ-

თმა კარგი მოგცესთ – კარგი რამ ჩვენი პროფესორი მარრი იყოს, როგორც მეცნიერი: შრომის მოყვარე და სასარგებლო, მაგრამ მაგარი ის არის, რომ გულთამზეზეა გადაყოლილი და მისი გულთამზეც სომხეთია. საითაც უნდა გაიხედოს – მარტო სომხეთი ეხატება თვალ-წინ, რაც უნდა ნახოს – ყველაფერი სომხებისა ჰგონია და სომხურ ბრძმედში უნდა გაატაროს. მართლა რომ სნეულება ყოფილა ეს სიყვარული! და რუსთველსაც მიტომ უთქვამს: „მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითაო!“ – დიახ, შმაგობა ყოფილა სიყვარული და უმართლოთ არც ალექსანდრე ჭავჭავაძე დამღერს:

„სიყვარულო, ძალსა შენსა
ვინ არს, რომელ არ ჰმონებდეს?
შენგან მეფე მონად ეყმოს,
შენგან ბრძენი ველად ჰრბოდესო“ და სხვანი.

რას მოვიფიქრებდით, რომ მიჯნურობით გაშმაგებული ბატონი მარრიც თურმე ველათ ჰრბოდა, რომ ერთმა მოულოდნელმა შემთხვევამ არ აგვიხილა თვალი: ჩემს კრებულში მცირე რამ შენიშვნა დავბეჭდე სომხების შესახებ და თურმე ეს ეწყინა ბატონ პროფესორს. შეხტა და შებზრიალდა, ახა, ვაგლახ-მეო! ვინ გაბედა ჩემი სატრფოს ხსენებაო! გადაღუნა ისტორიული შვილდი, გაამრუდა ისარი და ამომიღო ნიშანში. მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ ჩემსას კი არ შემოვიდა სხვების ბანაკში გადაშპა (გადაიჭრა) და იქიდან ამიყენა განგაში. ქართულათ კი აღარ მითხრა-რა, რუსულად ამიბაბასინა და სომხურათ ბანი მიაცემინა. გამიკვირდა და რომ გამომერკვია ეს უცნაურობა – სიმდაბლითა და მორჩილებით წარვუდგინე საბუთები. მაშინ სულ მოთმინებიდან გამოვიდა და უფრო ამიხირდა, რა საბუთი, ვისი სიტყვა და რისი ჭეშმარიტებაო? შენ რა იცი, ჩვენ სამეცნიეროში გოჭს კუდი საიდან აბიაო, რომ სიტყვას მიბრუნებო? შენთვის ისიც დიდია, რაცა ვსთქვი, თორემ ისტორიული ფაქტები რომ დაგირღვიო, სადა მცალიანო? და სხვ. წინ დაუხედავათ და უბოდიშოთ ქვა და გუნდას მაყრიდა თავზე, და მაშინ კი მივხვდი, რომ მზეჭაბუკი – მარრი, სომეხ გულთამზის სტვირზე შუშპარობდა... და მეც გავჩუმდი. – ყველაფერსა აქვს დასასრული!

– ვამბობდი გუნებაში. – მიჯნურობის სიცხე რომ გამოუნელ-
დე-ბა ჩემს მოკამათეს, მაშინ უფრო სწორი თვალით შეხედავს
ყველაფერს, გამობრუნდება, დედასაც იცნობს და ჩვენც
უფრო სამართლიანათ მოგვეპყრობა-მეთქი, მაგრამ თურმე
ვცდებოდი! რამდენისამე წლის შემდეგ რუსულად დაიბეჭდა
ერთი კრებული, სახელით „ძმათა დახმარება"; მიზანი მისი ის
იყო, რომ გამომცემელს მთელს რუსეთში ფულები შეეგროვე-
ბინა ოსმალეთის გაჭირვებული სომხებისათვის და მათაც, იმავე
დროს, მეგანგაშეობა (რეკლამა) გაეწია მათთვის ამ კრებულში,
თუმცა მისი ადგილი კი არ იყო, მაგრამ მაინც თვალსაჩინო ად-
გილი ჰქონდა დათმობილი ბატონ მარრის პოლემიკას ჩემთან.
მაგრამ იმდენათ გადაკრიმაჭულებული და გაუკუღმართებული
კი იყო ის ჩვენი წინანდელი პოლემიკა, რომ მე შემრცხვა გამომ-
ცემლის მაგიერ. მაშინ კი გადავწყვიტე, რომ ჩვენი მზეჭაბუკის
მიჯნურობის სენი უკურნებელი ყოფილა-მეთქი და გადავიგდე
გულიდან. აღარ მეგონა, თუ კიდევ როდისმე მომაგონდებოდა,
მაგრამ ნათქვამია, მთა მთას არ მოხვდება, თუ არა კაცი კაცს –
კიო. ბატონ კარიჭაშვილის შეფრქვევით შექებამ...

...ბატონ კარიჭაშვილის შეფრქვევით შექებამ მეც სურვილი
ამიძრა, რომ გადამეთვალიერებია ბატონ მარრის უკანასკნელი
შრომა და გამოცემა შავთელისა და ჩახრუხას შესახებ. გადავ-
სინჯე და კმაყოფილი დავრჩი. ეს უკანასკნელი შრომა მართლა
რომ მოსაწონია; რვა საუკუნის განმავლობაში გადამწერლები-
საგან დაბურდული და დახლართული ტექსტი ორივე პოემისა
ბატონ მარრს წესიერად აღუდგენია და შესაფერი ლექსიკონიც
ჩაურთავს, მაგრამ მაინც ეს სამაგალითო შრომა დამთავრე-
ბული არ არის. მიკვირს, როგორ ავიწყდება ბატონ პროფე-
სორს, რომ რაც მეცნიერისათვის ცხადია, ის ჩვენთვის, უბრალო
მკითხველებისათვის, ბნელია და ძნელი გასაგები. საჭირო იყო,
რომ ტექსტის აღმდგენელს იქვე გვერდით პროზით დაეწერა
ჩვენ–და გასაგებათ, რასაც ლექსები გვეუბნებიან, და აეხსნა
ჩახრუხაულებისა და მაჯამების მნიშვნელობა, რადგანაც ისინი
პოეტურ გამოცანას შეადგენენ და დიდ ისტორიულ ცოდნასაც
მოითხოვენ, რომ გაარკვიოს კაცმა, თუ არა, უამისოდ, მარრი-
საგან აღდგენილი ტექსტიც ისეთივე გაუგებარია, როგორც

ადრინდელი ნაბეჭდები. ამისივე ბრალი უნდა იყოს ისიც, რომ პირადად მე ვერ მაკმაყოფილებს ეს ნაშრომ–ნაღვაწი და ბევრში ვერ დავთანხმებივარ პატივცემულ პროფესორს, რომ შავთელს აბდულ–მესია არ რქმევია ეს არ ახალია, ძველია; თვითონ ჩუბინაშვილმაც შეიგნო თავისი შეცდომა მესამოცე წლებში და ამაზე ერთ ვისმესაგან სტატიაც იყო „დროებაში“ დაბეჭდილი, და იმ დღიდან ვთვლიდით შავთელისაგან დაწერილ აბდულ–მესიას დაკარგულათ. განსვენებული ნიკოლოზ ტარიელის–ძე დადიანი, ძველი მწერლობის დიდი მოტრფიალე, ხშირად ამბობდა ხოლმე, რომ აბდულ–მესიანი შავთელისა ჩვენ საგვარეულო წიგნთსაცავში იყო, ჩემამდეც მოაღწია და როდესაც ნოქალაქევში სახლი გადამეწვა, სხვა წიგნებთან ერთად ის ეგზემპლიარიც დაიღუპაო. მთლად თავიდან ბოლომდის აღარ ახსოვდა ის თხუზულება, მაგრამ ზოგ–ზოგი ადგილები–კი მოჰყავდა ხოლმე ზეპირად, რამდენიმე ტაეპი მეც მაგონდება, მაგალითად, ერთი ნაწყვეტი:

აბდულ მესსია,
მტერთა მესია,
სარკინოზთ მეპყრა
ხელთა მესია.

მეორე კიდევ:

მტერთა მძლეველსა
ისრით მძლეველსა
თვით ჰყოფს მეხარკეთ
ხარკთა მძლეველსა, და სხვა.

ამგვარ ნაწყვეტებს ბევრჯელ იტყოდა ხოლმე, და, რადგანაც იმერეთში იმას ბევრი იცნობდა – უეჭველია, სხვებთანაც ექნება ნათქვამი და ან ეგება მის ქაღალდებშიაც დარჩა და საჭიროა გამოკვლევა. რამდენათ უეჭველია ესეები ყველა, არ ვიცი, მაგრამ მე არც მარტო ამაზე ვამყარებ ჩემ რწმუნებას, რომ აბდულ მესიანი სხვა არ ყოფილიყოს და ის–კი, რომელზედაც გვითითებს ბატონი პროფესორი. ჩემი აზრით, ეს თხუზულება დავით აღმაშენებელის ქება–კი არ არის, დავით სოსლანს, თამარის მეუღლეს, შეეხება. წინააღმდეგ შემთხვევაში ზოგიერთი

ადგილები ამ ჰარმონიულის თხუზულებისა გაუგებარი რჩება. მაგალითად, პირველი:

ღმერთმა სამოთხით
მოგვცა სამოთხით
ეთერ ბრწყინვალე
მზეებრ სადარი... და სხვა.

ეს პირდაპირ დავით სოსლანს შეჰფერის, ქმრათ რომ მოჰგვარეს თამარს. ღმერთმან სამოთხით მოგვცაო, ე. ი. ედემიდან გამოიყვანაო. მაგრამ მეორე სამოთხით რაღას ნიშნავს: თუ არ იმას, რომ ეს სიძე ბაგრატიონის გვარისავე იყო და ნათესავი თამარის მესამ–მეოთხით, ე. ი. შორეული სახლის შვილი. დავით აღმაშენებლეზე–კი ეს არაფერ შემთხვევაში არ ითქმებოდა. მეორე:

მან იოსებსა
არ იოსებსა
სიტურფე ართვა
თვით მზგავსი მისა... და სხვა.

აი, რას ამბობს აქ ქების შემსხმელი: იოსებ მშვენიერ სიტურფე წაართვა და მიემსგავსაო. არ იოსებსო, რომ ამბობს, ეს რაღას ნიშნავს? იმას, რომ უბრალო ოსს არ გავსო. თუმცა (იგულისხმეთ) ოსებიდან–კი არისო; და დავით სოსლანიც ხომ ოსთ ბატონი იყო. არც ეს ლექსი მიუდგება დავით აღმაშენებელს. მესამე:

გვრიტთა მართვისა
თვარ აქვს მართვისა
თქვენებრ სურვილი
მეუღლეობისა. – და სხვა.

თუ არ თქვენ, მაშ სხვას ვისა აქვს თქვენებრი სურვილი გვრიტივით შეუღლებისაო. ნუ თუ ეს დავით სოსლანზე და თამარზე არ არის ნათქვამი? და ეკუთვნის დავით აღმაშენებელს და მის ცოლს, ყივჩაყეთის მეფის ასულს გურანდუხტს? ეს სიტყვები მაშინ სრულებით უადგილოთ და უაზროთ მიწებებული იქნებოდა. მეოთხე:

წარ თუ წარსულ ვართ
არ განწირულვართ
რადგან თქვენ გპოეთ
მზედ უფლებისა... და სხვა.

არ განვწირულვართ, უცხოს ხელში არ ჩავარდნილვართ. რადგან თქვენ გპოვეთ, ბაგრატიონისვე სამეფო გვარის წევრი, ღირსათ მზეთ უფლებისა, ე. ი. თამარის მეუღლებისა და სხვა.

ვიმეორებ, ამგვარი ადგილები რომ სიტყვითი სიტყვით ახსნილი ჰქონოდა ბატონ მარრს, ჩვენთვისაც ნათელი იქნებოდა და უმისოდ–კი ამ სადავო ადგილებს იჭვში შევყევართ და ვერ ვეთანხმებით, რომ ეს მუნასიბი „აბდულმესიანი“ იყოს და არა დავით სოსლანის ქება.

სხვა, რაც შეეხება ჩახრუხაულის ახსნას, ბატონი პროფესორის აზრი დიახ საგულისხმოა; ეს არ არის ერთიანი პოემა, სხვა–და–სხვა დროს ნაწერ სასიმღერო მაჯამებისა და ჩახრუხაულების კრებულთა, ერთმანეთში გადაკინძული. ჩახრუხაძე რომ არ ყოფილა მწერალი – ეს იჭვის გარეშეა. ამას აკადემიკოსი ბროსეც ჰფიქრობდა, „ჩახრუხაული“ ლექსის გვარია (ისე როგორც ბაიათი, შაირი, ფისტიკაური, მაჯამა, მუხამბაზი). მაჯამა იმნაირ სამღერალ ლექსსა ჰქვიან, რომელსაც ბოლოში რითმათ ერთი და იგივე სიტყვები აქვს, მაგრამ სხვა–და–სხვა მნიშვნელოვანი–კი, მაგალითად:

ვიწყო წერა მაჯამით,
დაშვრეს ჩემი მაჯამით,
სიყვარულის შარბათი
რომ შემასვა მაჯამით... და სხვა.

„ჩახრუხაული“ – კი მისთანა გვარის ლექსია, რომელიც თავშივე ერთისა და იმავე სიტყვებით იწყება, მაგალითად:

არ იონათან
არ იონათან
ვინ ქმნა მას ზედა... და სხვა.

და ან კიდევ:

ხარკე – ის–არი
ხარკე – ის–არი
სიმდიდრით ლაღი – და სხვა.

„ჩახრუხაული“ იმასვე ნიშნავს, რასაც კრიმანჭული; ეს ორივე სასიმღერო და საგალობელი ტერმინი იყო ძველად, მაგალითად; სასულიერო გალობის დროს კრიმანჭული, კნინმანჭვული იმ წვრილ ხმას ერქვა, რომელიც ბანს, მაღალ–ბანს, თქმულს და სხვებს ერთმანეთს უკავშირებდა, გადააბამდა ხოლმე. ახლა-კი კრიმანჭულს საერო სიმღერებშიაც ხმარობენ, მაგალითად, გურია-იმერეთში კრიმანჭულს ერთისა და იმავე ხმის სულ-ამოუბრუნებლად ამოსკვნას ეძახიან; იმასვე ნიშნავს, რასაც ტრელი, და ჩახრუხაულიც ამავე ტრელს უნდა ნიშნავდეს იმ განსხვავებით-კი, რომ სიტყვები უნდა იყოს ჩართული. ამ საუკუნის გამოჩენილი მგალობელ-მღერალი და ავთანდილის მაგვარი ტიპი, დათა გუგუნავა, კრიმანჭულით შეკაზმულს სიტყვებს ჩახრუხაულს ეძახდა. ჩახრუხაული ჩახრუხაძისაგან-კი არ უნდა იყოს წარმომდგარი, ამისი სათავე სხვაგან უნდა ვეძიოთ... მაგალითად, ჩახრუხი სპარსულად ერთგვარ ბულბულის მსგავსს მოჭიკჭიკე ჩიტსა ჰქვია, და ახლაც რომ ვამბობთ ხოლმე, სიმღერა რომ მოგვეწონება, ჩააბულბულა, ჩაბულბულებულიო და სხვა. და რატომ ამგვარადვე არ წარმოსდგა სიტყვა „ჩახრუხაული“–ცა?

რაც შეეხება ბატონ მარრის იმ უკანასკნელ აზრს, რომ ჩახრუხაულის სახელით დაწერილი თამარის ქება რუსთველის დაწერილიაო და ჩახრუხას ეძახის თავის თავსაო, ამაზე ვეთანხმებით – კი არა, კიდევ უფრო შორსაც მივდივართ. არა თუ მარტო თამარის ქება, ჩახრუხაული დაწერილი დავითის ქებაც, ის, რომელსაც ბატონი მარრი შავთელს აწერს – რუსთაველისავე დაწერილია და სამივე ერთად „ვეფხის ტყაოსნის“ ავტორს ეკუთვნის, ამას არა თუ აზრის თანხმობა, თვით სიტყვების ერთგვარი ხმებიც–კი გვიმტკიცებს. და თუ მართლა ერთისა და იმავე ავტორის ნაწარმოები არ არის და სხვა–და–სხვის, მაშინ სჩანს, რომ ერთი მეორისაგან გადმოულიათ, მოუპარავთ, ბრმათ მიუბაძავთ და ამას როგორ იკადრებდა ან ერთი მათგანი; მაშინ

როდესაც თავის თავად შემოქმედებითი ძალი უმწვერვალესობამდე მიუყვანიათ

ამას ყველაფერს გულ–დაგული შრომა და გამოკვლევა ეჭირვება; და მეც მიტომ წარმოვთქვი ჩემი აზრი, რომ სხვებმაც მოჰკიდონ ხელი, ჩაუკვირდნენ, თავისი შენიშვნა მოგვაწოდონ და არ გადაიგდონ გულიდან სამარადისოთ დასავიწყებლათ ის, რაც ქართველებისათვის ისე საგულისხმოა, როგორც ინგლისელებისათვის მილტონი და იტალიელებისათვის დანტე და სხვანი.

1902

ნადული

მას უკან ორმოცი წელიწადი იქნება, რაც ჩვენში, მაშინდელმა ინტელიგენტებმა, ასტეხეს ერთი ვაი–უშველებელი: რა ენით უნდა ვსწეროთ? ახალით, თუ ძველითო? სხვა და სხვა უნდებად გაიყვნენ და სამაგალითო მტკიციც წარმოადგინეს. თავადმა დავით ციციშვილმა დასწერა ერთი პატარა მოთხრობა: „შინაგანი უშვერება გარეგან შვენიერებასა შინა“. ეს პატარა სამტკიცო მოთხრობა ისეთის ძველის ენით იყო დაწერილი, რომ მისი გაგება ანტონ კათოლიკოზსაც კი გაუჭირდებოდა. ნიჭიერმა ლავრენტი არდაზიანმა „ჰამლეტი“ გადმოთარგმნა და ძველი და ახალი ენა ერთმანეთში დომხალივით აურია: „თერგდალეულმა“ ორივე დაიწუნა და სთქვა, რომ იმ ენით უნდა ვსწეროთ, რა ენაზედაც ლაპარაკობს დღეს ხალხი, რომ გასაგები იყოსო. „თერგდალეულს“ მიემხრო მოხუცი ალექსანდრე ორბელიანი; შეეკამათა პლატონ იოსელიანს და დასწერა ახალ–ენით საგულისხმო წერილი „მე და ის“, მაგრამ არც ამით გადასწყდა საქმე!.. მაინც ყველა თავ–თავისს გზით მიდიოდა, სანამ თერგდალეულებმა არ გაიმარჯვეს. გამოვიდენ სარბიელზე ფელეტონის მწერლები „მოლაყბის“ სახელით გრიგოლ წინამძღვარიშვილი, გაბო სულხანიშვილი, ივანე კერესელიძე, არდაზიანი, ალექსანდრე სავანელი და სხვანი. მათ რიცხვში თავი იჩინა, რასაკვირველია,

არდაზიანმა თავის ენა–მჭევრობით და ნელ–ნელა მწერლობაში ახალმა ენამ დაიჭირა ადგილი. იმ დღიდან მე ყურს ვადევნებ ენას და იმ დასკვნამდი მივედი, რომ ქართული ენა არის ერთი უძველესი ენათაგანი. მეათე საუკუნეში ენის კანონები, გრამატიკა, დამთავრებული იყო არა მარტო ქაღალდზე, ხალხშიაც კი სასაუბროდ. რუსთველს ენა კი არ შეუქმნია, იმან მხოლოდ ხალხის ენა გადმოიღო უმეტნაკლებოდ, რადგანაც მის დროს ენა გაწმენდილი იყო!... სათავე ქართველობისა და ქართული ენის ჯერ არა აქვს ისტორიას გამოკვლეული. მაგრამ ნიშნებს კი ძალიან შორს მივყავართ!.. ვანში ნაპოვნმა ლურსმულმა წარწერამ, ცოტა არ იყოს, გამოგვახელია თვალი. გამოჩენილმა ორიენტალისტებმა წაიკითხეს და სთქვეს: არ ვიცით რა ენაზეა დაწერილი, მაგრამ ქართულ ენასთან კი ნათესაობა აქვსო. და მართლაც... ყველა არ მაგონდება, მაგრამ ეს წარწერა ასე იწყება: „ას მილი აღვუღ მენა“ და სხვანი. ესენი ყველა ჩემ ყურს ქართულადა ხვდება, მაგალითად სიტყვა „ას“ ნაცვალ სახელია და ნიშნავს დღევანდელ ნაცვალ სახელს „ეს“, მილი“ ხომ დღესაც მილია, არხი, წყლის გასაყვანი: „აღვუღ“ ზმნა არის. სვანურად „აღვუღ“ ნიშნავს „ავაშენე“, „ავაგე“ ანუ „გავაკეთე“. და ქართულადაც იგივე „აღვაგე“ არ არის? და „მენა“ მეა. ზოგან საქართველოში და განსაკუთრებით მთებში ახლაც „მეს“ მაგიერ „მენას“ ხმარობენ. ასე რომ ის ლურსმული წარწერა გამოდის ამგვარად „ეს მილი აღვაგე მე“ ამან და ამან. (აქ დასახელებულია აღმგებელი და სხვანი). ამას მე, მაინც და მაინც, არ ვამტკიცებ, გაკვრით ვამბობ იმ მოსაზრებით, რომ მეცნიერი მარრი, უფრო დაჭეშმარიტებით აგვიხსნის. და მე კი გადავალ პირდაპირ ჩემ სასაუბროზე. როგორც ზემორე მოვიხსენიე, რუსთველის დროს ქართული ენა გაწმენდილი, ძლიერი და გაერთიანებული იყო ისე, როგორც თვით ქართველი ერიც. მონგოლებმა რომ მუსრი გაავლეს საქართველოს და თათრობამ ნაწილ–ნაწილად დაჰყო, მაშინ ენაც დაკნინდა. სხვა და სხვა კუთხეებში სხვა და სხვა ზედ–გავლენით ქართულ–სიტყვების ადგილი უცხო სიტყვებმა დაიჭირა. მთლიანი ქართული ენა იმდენად გაიყო, რომ ერთ კუთხეს მეორის ენა ეჩოთირებოდა. დღეს ამისთანა დღე გვადგას და რა ეჭირვება მწერალს? – ის,

რომ იმან არ წარმოიდგინოს საერო ქართულ ენად ის ენა, რომელიც მის სოფელში გაუგონია. უნდა მოვლილი ჰქონდეს ყველა კუთხეები საქართველოში, ყური დაუგდოს ყოველი მხრის საუბარს, დაუკვირდეს, ამოჰკრიფოს ის ქართული სიტყვების მარგალიტები, რომელიც დღეს აქა–იქ გაბნეული არიან, აგრეთვე გამოჰყოს ის უცხო სიტყვები, რომელნიც ნაძალადევად შემოღებულან, არ მიუდგებიან ქართულს და ისე სწეროს. განსაკუთრებით კეთილ ხმოვანება დიდ საქმეს სჩადის ქართულ ენაში. ხშირად კეთილხმოვანება გრამატიკას ეწინააღმდეგება და არღვევს ფორმებს. მაგალითად მეხრე, მეშეშე, მეპურე, მეღვინე. სიტყვა წყალი კი კეთილ–ხმოვანების გამო არღვევს გრამატიკის კანონს და იწოდება მერწყულად. ხშირად ერთი ასო იცვლება მეორედ და ენას არ ეწინააღმდეგება. მაგალითად, კანონიერი დაბოლოება არის „ური“, ე. ი. აბხაზური, სვანური, კახური და სხვანი. ამის მიხედვით უნდა ითქმოდეს: ქართური, იმერური, მეგრური, მაგრამ ამისთანა სიტყვებში „ური“ – „ულათ“ გადადის და ვამბობთ: მეგრული, ქართული, იმერული და სხვანი. მიტომ რომ კეთილ–ხმოვანება მოითხოვს ერთ სიტყვაში ორი ერთი და იგივე ასო არ გამეორდეს, ორი „რ“. იმერეთში ხმარობენ სიტყვას: „რთველი“ ქართლში ამბობენ „სთველი“. ორივე კანონიერია და რად უნდა ვინმემ დაუძახოს ან ერთს ან მეორეს ჟარგონი!... ბევრი სიტყვებია, სადმე მიყრუებულ ადგილას წმინდა ქართული დარჩენილი და მის ნაცვლად მეორე კუთხეში სხვა სიტყვაა შემოღებული. მაგალითად ქართლში „ქუჩას“ ხმარობენ, გურიაში და ქვემო იმერეთში კი „შუკას“. ცხადია, რომ „შუკა“ ქართული სიტყვაა და „ქუჩა“ შემოღებული და რად უნდა დავჰკარგოთ ჯერ კიდევ სრულად არ დაკარგული სიტყვა ქართული „შუკა“. ნუ თუ ეს ჟარგონია? მართალია, ბევრი რამ არის იმერეთში გადასხვაფერებული უკანონოდ, მაგრამ უფრო მეტი კანონიერი ქართულია დარჩენილი განსაკუთრებით, შორაპნის მაზრაში. მაგალითად: იმერეთში ამობენ „ჯიან“. ეს სიტყვა წარმოდგება სიტყვისაგან „ჯდომა“ და ქართლში კი ამბობენ „სხედან“ და რომელი მათგანია ჟარგონი? ნახირს, ჯოგს რომ საძოვარზედ გაისტუმრებენ, იმერეთში იტყვიან გარეკეო და ქართლში წაასხიო. და მერე რომ „წაასხის“ მაგიერ „გარეკე“

ვიხმარო, ჟარგონი იქნება იმერული? იმერეთში ამბობენ „ყოლიფერი“ და მეც ასე ვხმარობ. ქართლში კი „ყველაფერს“ ამბობენ და რომელია მართალი? ძირი ამ სიტყვის არის „ყოველი ფერი“ და შემოკლებით ქარაგმით, უნდა გამოითქვას ყოლიფერი და არა „ყველაფერი“, მით უფრო, რომ კეთილხმოვნებასაც არღვევს ამგვარი გამოთქმა... თითქო ყველზეა ლაპარაკიო. არის სიტყვა „გვანება“. იმერეთში ხმარობენ „ვჰგავარ“, ქართლში „ვგევარ“. სად არის სიმართლე? იმერეთში ამბობენ „უთუოდ“ ქართლში კი „უთაოდო“ და რომელია მართალი? აქა და ქართლიაო, მიტომ აქ რაც შემოღებული სიტყვებია, გინდა უკანონოდაც იყოს, უნდა მივიღოთ და სხვა კუთხეებში „კანონიერადაც“ რომ იყოს – დავიწუნოთ? ჟარგონი დავუძახოთ? „საცვლების“ მაგიერ თეთრეული ვსთქვათ, „ცხვირში სისხლი წასქდას“ მაგიერ „ცხვირიდან სისხლი წასქდა“ ვსთქვათ? ცხენზე ან „კლდეზე გადავარდას“ მაგიერ ცხენიდან, ან „კლდიდან გადავარდა“ ვიძახოთ? ენის ცოდნა განა კრივი ან ბურთაობაა, რომ უბან–უბან გავიყოთ და ვიძახოთ; არა, ჩვენ მხარეს დარჩეს გამარჯვება, თუ არა თქვენსასო. ეს ყოლიფერი მაგონებს იმ დროს, როცა ჩვენი იტელიგენტები ხმის უმეტესობით ლექსიკონს ადგენდენ და „ვეფხის ტყაოსანს“ არჩევდენ. ენა, როგორც ნაგრძნობ–ნაფიქრალის გამომხატველი იარაღი, ადამიანის განვითარებას თან მიჰყვება და მიტომაც თანდათან ივსება და მდიდრდება. ახალი ძველს აღარ ჰგავს და დღევანდელისაგან მომავალი უნდა განსხვავდეს. უნდა გაიზარდოს, მაგრამ ამ ზრდასაც თავისი კანონები აქვს. იმ კანონების გადახვევა ჟინითა და ხმის უმეტესობით არ შეიძლება. მეც, თქვენს უმორჩილეს მონას, ბევრი სიტყვები შემომიტანია ქართულში, რომელიც ჩემამდი არავის უხმარია: „გაიძვერა“, „ბობოლა“, „შეხმატკბილება“ და სხვანი. გურიაში ამ მოკლე ხანში ერთი სიტყვა შემოიღეს და, ჩემის აზრით, ძალიან კანონიერათაც. ჩემსავით? შენსავით? რომ დაიკითხები ვისმეს, ის მის ნაცვლად, რომ მოგიგოს: დიახ, ჩემსავით, დიახ, შენსავით, მოკლედ მოგიჭრის პასუხს უკანასკნელი მარცვლით, „სავით“ გეტყვისთ. – ესენი ყოლიფერი „ჟარგონს“ კი არ ნიშნავს, ენის ზრდა არის. საქართველოს ერთი რომელიმე კუთხე კი არ შეადგენს, რომ მთლიანი

საქართველოს ენა მარტო მას დაუმორჩილოთ, იმერეთიც ისეთივე საქართველოა, როგორც ამერეთი და მიტომაც იმერლობას ნურავინ მიკიჟინებს. ღმერთმა ნუ მომიშალოს იმერლობა, რომელიც იგივე ქართველობაა... ქართველი მწერალი წერის დროს „ჩემიან–შენიანობით“ კი არ უნდა სარგებლობდეს. უნდა ყოველი კუთხე ჰქონდეს მოვლილი, შესწავლილი და გამოკვლეული. და თუ რამე ქართული ნახოს, ამოკრიბოს და იმითი კი არ იხელმძღვანელოს, რომ ეს ქართული არ არის და სხვა კუთხეაო. მაგალითად, ჭრილობის შესახვევ, ანუ ნაღრძობის შესაკრავ ფირფიტებს ქართველები არტაშნებს ვეძახით. ეს სიტყვა, ცხადია, რომ სომხურიდანა გვაქვს გადმოღებული და ნუ თუ ქართველებს თვისი საკუთარი სიტყვა არ ექნებოდათ? ექნებოდათ, მაგრამ დაკარგულია. მეგრელებში კი დარჩენილა, აქ არტაშნები არ იციან რა არის? და „ხერკალს“ ეძახიან, რაიცა ქართულია. და მაშ უფლება აღარა გვაქვს „ხერ-კალი ვიხმაროთ, რადგანაც ქართლში აღარ იციან? ეჰ, თავი უნდა დავანებოთ ამ მაგალითებს, თორემ შორს წაგვიყვანს... პირდაპირ უნდა გადავიდეთ იმ სამაგალითო სამ სიტყვაზე, რომელსაც ბატონი იმერელი, ჩემ სამოძღვროთ გამოსული, ჟარგონს ეძახის და მე კი კანონიერი ქართული მგონია: იმერეთში ხმარობენ „უდგიან“ და მეც ვხმარობ. ეს სიტყვა წარმოსდგება სიტყვიდან „დგომა“ პირველი პირი ვდგავარ, დგახარ, ანუ უდგავარ, უდგიხარ, უდგიან და სხვანი. რომელია მართალი? და რომელია ჟარგონი? მეორე, „დღესეც“ ეჩოთირება ბატონ იმერელს და რათა? ღრამატიკულად უნდა იყოს „დღესც“, მაგრამ კეთილხმოვანებისათვის, რომ მკაფიოდ გამოითქვას, ემატება ერთი ხმოვანი ასო და ანს ჩაუმატებთ თუ ენს, ერთი და იგივე არ იქნება? ასე როგორც „საუკუნო“ და „საუკუნე“, „იყვენ“, „წამოვიდენ“, „გაიქცენ“ და სხვანი ჟარგონი კი არ არის, ახალი ფორმა არის და მიტომაც ვხმარობ ნაცვლად „იყვნენ“, „წამოვიდნენ“ და „გაიქცნენ“ მაგიერ. ისე, როგორც კანონია ქართული სიტყვის შემოკლებისა. მაგალითად, ავდექი, ადრე „აღმა ვიდექი“ იქნებოდა მერე „ავსდექი“ და მერე კი ავდექი, მთელი სიტყვის ადგილი ერთ ასოს დაუჭერია, ისე როგორც სიტყვას „თქვენ“ ერთი „თ“ იჭერს. ერთი სიტყვით, არ ვიცი რად დასჭირვებია, ბატონ

იმერელს ჩემი განქიქება. თუ იმისათვის, რომ ქართული მასწავლოს, გვიანღაა. რაღა დროს ჩემი სწავლაა მის მეტი, რაც არ ვიცი? ან რად უკვირს, რომ მე ახლა ისე აღარ ვსწერდე, როგორც უწინ. თუ მართალია, კაცი რომ დაბერდება, განა მარტო სხეული იკლებს მისი. ჭკუა გონებაც, რასაკვირველია, დაჩლუნგდება და ამ კანონს ვერავინ ვერ ასცდება. აქ ბატონი იმერელი ანდაზას ასრულებს, მგონია: „რძალს ლანძღავენ და მულს ასმენდენო“. მე მიტომ მასწავლის, რომ ახალგაზდებს გააგონოს და მიტომ მეც მადლობელი ვარ. ასწავლეთ! ასწავლეთ! ასწავლეთ ახალგაზდობას ქართული, მაგრამ თქვენი თავიც ნუ გეგონებათ უცოდველი და ჯერ თვითონ თქვენ შეისწავლეთ.

1911

წერილები ისტორიის, რელიგიისა და კულტურის საკითხებზე

აკაკი წერეთლის სიტყვა, წარმოთქმული 21 ენკენისთვეს არხეოლოგებისათვის გამართულს ქართულ წარმოდგენაზე

ბატონებო!

„საქართველოს ისტორიაში და აგრეთვე მის ზღაპრებსა და ზეპირგადმოცემაებში ჩვენ ვხედავთ დიდს მზგავსებას საქართველოსა და პრომეთეოსის ბედის შუა... იმ პრომეთეოსისა, რომელიც კავკასიის მთებზედ იყო მიჯაჭვული და რომელსაც ყოველი კუთხე ჩვენის ქვეყნისა და ყოველი ქართველი ამირანათ უწოდებს. –

„უხსოვარ დროთაგანვე აუარებელი გუნდი ბარბაროზთა, პრომეტეოსის შავ–ყორანივით, გულ–ღვირძლსა ჰგლეჯდენ საქართველოს, ჰფლეტდენ თუ აქ, თუ იქა, მაგრამ იმას მაინც სიცოცხლე არ გაჰქრობია! გასძლო და გასძლო, (აქ მე ჩვენის სიცოცხლე სიტყვას ვიმეორებ), ცხრა თავიან–დევ–კაჟივით კი არა, იმან, როგორც ორბმა ცეცხლისა და ფერფლისაგან ახალ–საცხოვრებლად წმინდათ, გაბრძმედულად გამოსულმა.

„იმედია, ჩვენს წარსულზედ, მომავალი უფრო მეტს შეგვატყობინებს აწმყოზედ!.. საეჭვო აღარ არის, რომ მრავალ–გვარად ტანჯულ – კავკასიის, ანუ, სულ ერთია ვსთქვათ, მისის უპირველესის და უწარჩინებულესის ხალხის, ქართველების, ცხოვრებაში ბევრი სხვა–და–სხვა დროები ჰყოფილა, ღირსი სამეცნიერიოდ შესწავლისა და საჭირო არა თუ მარტო კავკასიისა და საქართველოსა, თვით მსოფლიო ისტორიისათვისაც. – მაგრამ ის ნიშნები და ის ნაშთები ჯერ ღარიბათ არიან ნანგრევებში ჩამარხული და მიბნელებული.

„მეცნიერნო! დღეს თქვენ მოსულხართ მისთვის, რომ გაჩ-ხრიკოთ ნანგრევები, ამოიღოთ იქიდან ის ნაშთები და ზემიჰ-ფინოთ მათ შუქი მეცნიერებისა!

„დიდია თქვენი ეს ღვაწლი, მაგრამ მაგაზედ ნაკლები არაა ჩვენი მადლობა!.. მარტო ამითაც, ამ ერთითაც არ თავდება თქვენი სამსახური:

„თქვენ დღეს მაგალითს აძლევთ სხვებს, რომ იმათაც შე-ისწავლონ და გამოიკვლიონ ჩვენი აწმყო ისეთივე გულის–მოდგინებით და სიყვარულით, როგორათაც თქვენ იმკვლევთ წარსულს. და ეს აუცილებლად საჭირო არის დღეს, თითქმის გამოუმკვლეველისა და უცნობის ჩვენის ქვეყნისათვის. ამის დასამტკიცებლად შორს აღარ წავალ მაგალითის საძებრათ: გამოჩენილმა ორიენტალისტმა, რომელმაც ისიც კი იცის, თუ სად და რომელ კუთხეზედ აზიისა როგორი ქვა რად აგდია და რა გვარის წარწერით..., რომელმაც ამ დღეებში დაგვიმტკიცა, რომ მეშვიდე საუკუნეში ერთს მცხეთას დამარხულ ურიას გურკი ერქვა და არა ბურკი... ამ მეცნიერმა არ იცის – რა არის, ან სად არის საქართველო და სომხების ძველ–დიდების ნაშთს თფილისში ეძებს[1]. ([1] პროფესორ ხვოლსონს თფილისი სომხეთი ეგონა და ეს აზრი სადილზე წარმოსთქვა.)

„ამას მე პატივ–ცემულს პროფესორისა და ან სხვების სასაყვედუროთ კი არა, ისე მოგახსენებთ ჩემის სიტყვის დასამტკიცებლად.

„დიახ, ბატონებო, ეს ასეა და შესწავლაც საჭიროა!.. იმედია, აწ მაინც აღარ დარჩება თქვენი პირველი მაგალითი მიუბაძავათ და ამისთვის თქვენ ორ–გვარად სიკეთის მომტანთ, გიძღვნით ორკეც მადლობას! გისურვებთ თქვენის სამეცნიეროს წარმა-ტებას საზოგადოთ და კერძოთ თვითოეულს თქვენგანს საბედ-ნიეროთ გზას ვულოცავთ.

1881

ისტორიული განხილვა სახელწოდების: არმენის, ჰაისტანის და სომხეთის

დედა-მიწის ზურგი, როგორც ვიცით, ყველგან საერთოთ ძალ-მომრეობის სარბიელს წარმოგვიდგენს, სადაც დიდი პატარას ერევა და ძლიერი სუსტსა სჩაგრავს. მაგრამ ამ ძალ-მომრეობასაც თავისი კანონი აქვს: შიგ, ცხოვრების გაფერადებული ხერხი და ფარიც ტრიალობს, უმისოდ ქვეყნის წინ მსვლელობა შეფერხებული იქნებოდა. ხალხის სიბრძნეს ორ პატარა არაკში ჩაუყენებია მსოფლიო ცხოვრების დიდი სარკე: „მოდი ვნახოთ ვენახიო“ და „არ შეგრჩებაო“. პირველში ჩამოთვლილია, თუ როგორ შეჭამა მიწა ვენახმა (ვაზმა), ვენახი – თხამ – თხა მგელმა, – მგელი – თოფმა და ამ გვარათ, რგოლს რომ შემოივლის ეს ცხოვრების კანონი, დასაბამი ისევ დასაწყისს უერთდება და უკანასკნელ შემჭმელს ისევ მიწა შეჭამს.

მეორე კიდევ უფრო საგულისხმოცაა: მატლს იჭერს ჩიტი შესაჭმელათ: სიკვდილის წინეთ ეუბნება პატარა მსხვერპლი მის მომრევს: „არ შეგრჩებაო!“ მართლაც, ჩიტს ქორი იჭერს, ქორს – არწივი, არწივს კაცი ჰკლავს, კაცი კვდება და ისევ მატლი სჭამს. არავის არ შერჩება რა! ყველას ხდება გადასახადი. და ამ დაუსრულებელ მსოფლიო ბრძოლაში გამარჯვება, თუმცა, მხოლოთ დროებითი, მაგრამ მაინც გამარჯვება, იმასა რჩება, ვინც შეგნებული და წინ-დახედულია. აქ საგულისხმო ის არის, რომ ზოგჯერ უზარ-მაზარს, მოძრავსა და მომქმედ ცხოველს, პატარა უჩინარი მწერი აზის ტანზე, სისხლსა წუწნის და ბატონურათ იკვებება. ამ გვარი მკბენარები არა თუ ცხოველებში, მცენარეებშიც არიან, მაგალითად, სურო და ფითრი. დედამიწაში მაგრათ ფესვებ გადგმულს, ქარ-გრიგალის შეუპოვარს და მეხის გამძლე ხეს გარს ეწმახვნება სურო, კანში უჯდება ფითრი და ხე-კი ნელ-ნელა ხმება. თვალ-საჩინოთ გვიხატავს ამას ერთი ქართველი ახალგაზრდა მწერალი:

„მცივა, მცივა, შემიბრალე, თავშესაფარი მომეცი, სიცივით ნუ მომკლავ, ხომ ხედავ, პატარა ვარ...ლამის ქარმა გადამაგდოს და თოვლმა დამარჩოს!... ბინა მომეცი!“ ასე ევედრებოდა სიცივისაგან სიკვდილის პირზე მისული პაწაწა ფითრის თესლი

მსხლის ხეს. მსხალმა შეიბრალა, იფიქრა მადლია, ვუპატრონებო და უთხრა: „შემოძვერი, შე საწყალო, ადგილს როგორ დაგიჭერო?“ ფითრის მარცვალი შეძვრა მსხლის ქერქ ქვეშ, სადაც უფრო ღრმათ იყო გახეთქილი და ზედ ცილამდე მიეკრა. მოიკალათა აქ მყუდროთ, თავისუფლათ, ხელ-შეუშლელათ. რამდენიც დრო გადიოდა, იმდენათ იცვლებოდა მსხლის ქერქზე ტკიპასავით დაკრობილი ფითრი: „იზრდებოდა, იბერებოდა, სულ გან-გან იწევდა, მსხლის ცილა რამდენსამე ალაგას ჩაეხვრიტა და ტუჩებით დაჰკვროდა. მსხალს აღარც-კი ახსოვდა აქ იმის ყოფნა და ამბობდა:„რაღაც მიღიტინებს, თითქო არცა მკბენს და არცა მწუწნისო“. მსხალს ჯერ ვერა გაეგო-რა და ფითრი-კი ნელ-ნელა იზრდებოდა: ღერს ღერი ემატებოდა, ტოტს ტოტი, ფოთოლს ფოთოლი; გასუქდა, გალაღდა, გაიბარჯღა, გაიზარდა, გაშალა შორს თავისი ბრჭყალები. ფესვიდან მომდინარე წვენს წვეროებისაკენ აღარ უშვებდა, წოვდა, როგორც ობობა ბუზს, წუწნიდა, როგორც ბალღი შაქარს, ძღებოდა, როგორც სვავი სისხლითა. მსხალი-კი თან-და-თან იმშეოდა. ბოლოს, მაგრამ გვიან-კი, მწვავეთ იგრძნო მსხალმა ტკივილი იმ ადგილზე, სადაც ფითრი აჯდა“.

– „ვინა ხარ, რა ხარ და რა სულიერი? აღარ მოშორდები? თუ სტუმარი ხარ, სტუმრობა ამდენი ხნის არ გაგონილა, სტუმრის წესი აასრულე და თუ მტერი ხარ, გამაგებინე მაინც, რას ჩამციებიხარო? – დაეკითხა მსხალი“.

ფითრმა გადაიხარხარა ისეთი საძაგელი და საზარელი ხმით და კილოთი, რომელშიაც გამოიხატებოდა მწარე და გულის მომკვლელი დაცინვა.

– „რათ უნდა წავიდე?! ვერა ხედავ, რამდენი ვართ? აბა მიიხედ-მოიხედე, გაიხედე იმ ტოტებზე! ჩვენი სამშობლოც აქ უნდა იყოსო“.

ამ შეუპოვრობის შემდეგ, თითქო ჯიბრზე, რაც ძალი და ღონე ჰქონდა წოვდა მსხალს; აღარ იმალებოდა და აღარც ადრაინდულათ თავს იკატუნებდა.

მსხალი ნელ-ნელა ხმებოდა და ფითრი-კი ხარობდა. „უდროვოთ დაბერდა, მოიკაკვა, დახავსდა, დაიღმიჭა, ქერქი დაეღრიჯა, კანი დაუსკდა, ტოტები დაუკოპიტდა, ზოგი დაემტვრა, ზო-

გიც ნახევრათ ხმელი აქა-იქღა გაეშვირა. საცოდავი შესახედი პატრონმა რომ ნახა, მსხალი ხილს აღარ იძლეოდა, მოჭრა დაუპირა, მაგრამ მეზობელმა ურჩია: ვერ ხედავ, რომ ეგ ხე ფითრს შეუწუხებია? მაგას რათა სჭრი? შენ მაგას მხოლოთ გამხმარი შტოები გადასხეპე, ფითრი გააცალე, მოაშორე და მაშინ ნახავ, თუ ისევ ისე ადრინდულათ არ გაიხაროსო. დაუჯერა მსხლის პატრონმა. „კაპ-კუპ, კაპ-კუპ“ – იძახოდა ცულის კაკუნი, თან მოჭრილი ტოტების ჭრიალი და ბარტყუნი. „ახლა-კი დაითვალა ჩემი დღეები, აღარაფერი მიხსნისო“ – ჰგოდებდა შეშინებული ხე, მაგრამ ძირიდან, მიწის ჯურღმულიდან ხმა მოესმა: „ნუ გეშინია! ჩვენ ისევ ცოცხლები ვართ, არ მოვკვდებით რაღაი-კი ფითრი აღარ გვაწუხებსო!“ ის ხმა იყო ფესვების ძახილი. „ისინი ისევ ღონიერნი, მძლავრნი, მრავალნი, უთვალავნი იყვენ, თავისთვის ჩუმათ ბნელს, უმზეო, თვალ-ჩაუხედველ უკუნში მიმალულ-მიჩქმალულნი, მსხალს ახალ-ახალი ტოტებისათვის უხვ საჭმელ-საზრდოს უმზადებდენ და აწვდიდენ“.

როგორც მცენარეებში ფითრი, სურო და ხავსი, ანუ ცხოველებში მკბენარი მწერები, ისე ადამიანის ტომებშიაც ურევიან მისთანა გუნდები, რომელთაც თვით-არსებობა თავისთავად არ შეუძლიათ და უნდათ სხვის სხეულზე იხარონ. ამის მაგალითს გვიჩვენებს ის დიდი გუნდი მოვაჭრეთა, რომელსაც ჩვენ შეცდომით სომხებათ ვუწოდებთ. უხსოვარი დროიდან, იმ თავითვე, გადმოუდგამს თუ არა ბიჯი ივერიელ ტომს, ისინიც ადევნებიან, გამოუვლიათ მცირე აზია, გადმოულახავთ მასისი (არარატი) და იქამდე ჩამოჰყოლიან, რომ ფითრივით გარს შემოხვევოდენ და კანში ჩაჭროდნენ.

თუ გულ-და-გულ და უფრო მეტი დაკვირვებით გადავავლებთ თვალს ისტორიას, ჩვენ დავინახავთ, რომ ეს ხალხი, სადაც-კი შეხიზნულა და თავი შეეუფარებია, ცოტა სულის მობრუნების შემდეგ, დაპატრონება მოუნდომებია, თავიც იქაურ მკვიდრათ აღუარებია და ბოგანოთ მოსულობა გადაუფუჩეჩებია. მიუხედავად ქართულ-ბერძნულ ისტორიის წყაროებისა, მათმა ისტორიამ მეფის წართმევაც-კი მოგვინდომა და დიდი დავით კურაპალატი თავის მეფეთ აღიარა, რასაკვირველია იმ განძრახვით, რომ ქვეყანა დაერწმუნებია: თუ მეფე ჩვენი იყო,

მაშასადამე, მისი სამფლობელო – ტაოსის კარი, ანუ ახლანდელი ჭოროხის ხეობაც სასომხეთო ყოფილაო. მომავლის გასაკვლევათ სხვისი წარსულის მისაკუთრება და მისივე ყოფილის უარის ყოფა უპირველეს ხერხათ უჭირავთ ხელში. იმათ ისტორიას რომ დავეკითხოთ, თვით-არსებობა ქართველთა არასოდეს არ ყოფილა სახსენებელი, ენაც იმათ უწყალობებიათ ჩვენთვის, ანბანიც მათს მესრობს შეუთხზავს ჩვენი და წეს-წყობილებაც მათგან მიგვიღია!... გუშინ არ იყო, რომ მათი მეცნიერი – პატკანოვი ამტკიცებდა: ქართველებს ისტორია არ ჰქონიათ, მხოლოთ მეთვრამეტე საუკუნეში, ვახტანგის დროს, შეთხზეს და ისიც სომხურ ზღაპრიდანო? იმათი შეგონებით არ იყო, რომ გრენმა საჯაროთ წარმოთქვა: „თამარ-მეფე მხოლოდ სომხებისა და ოსების ინტრიგამ დასვა ტახტზე, თვარა იმ დროს, მეთორმეტე საუკუნეში, ქართველები მცირესა და უმნიშვნელო, შეუგნებელ ბრბოს წარმოადგენდაო?! იმათი ჟურნალ-გაზეთები არ ამტკიცებენ, რომ ქართული ენა ისე ღარიბია, რომ რთული აზრის გამოთქმა შეუძლებელია და სიტყვებიც სომხურიდან მიუღიათო, მაშინ როდესაც სულ სხვას ამბობენ ევროპიელნი მეცნიერნი და მათ რიცხვში თვით მათივე სასიქადულო ავტორიტეტი ბ. გატერიასი, რომლის აზრით სომხური ენის შესწავლა ისე არ მოხერხდება, თუ არ ქართული ენის წყალობით და საშუალობითო?! ნეტავი ვინ უნდათ, რომ დააჯერონ და შეცდომაში შეიყვანონ – მსოფლიო ისტორია თუ ჩვენ? ვთქვათ, დავეთანხმეთ მათ: აღარ ვიწამეთ და აღარ ვირწმუნეთ არც უცხო ერების ისტორიული წყაროები ჩვენი ერის შესახებ, არც ჩვენი საკუთარი ქრონიკები, არც გუჯრები; ყალბათ ვიცანით ჩვენი პერგამენტები, არხეოლოგია, ნუმიზმათიკა და სხვანი, მაგრამ იმას რაღა ვუყოთ, რაც ახლა ჩვენს თვალსა-და-ხელსშუა ხდება და რასაც ასე ნათლად ჩვენი თვალითა ვხედავთ?! გუშინდელი ამბავი არ არის მათი შემოხიზვნა და ჩვენ მიერ მათ საპატრონოთ ხელის გაშვერა? ჩვენმა უკანასკნელმა მეფეებმა, ისინი შიგ შუაგულ საქართველოში შემოხიზნეს და როგორც ვაჭარ-ხალხს, ომში გამოუსადეგარს, ქალაქები ჩააბარეს. ქართველი ხალხი-კი ბრძოლის ველზე ათენ-აღამებდა. სანამ ძლიერი რუსეთი არ მიეშველა და მტერი არ ჩამოაშორა! დაღალული,

დაქანცული და დაწყლულებული ქართველები, შინ რომ შემობრუნდენ, რა დაუხვდათ? ის, რომ მათი ყოფა-ცხოვრება, შემოხიზნულ და მოძმეთ მიღებულ ვაჭრების ხელში იყო და ბოდიშის მაგიერათ, პირ-იქით მედიდურად ჰყვიროდნენ: „ვინ ხართ და საიდან მოდიხართო? თქვენ როდის ყოფილხართ აქო? ეს ყოველთვის ჩვენი ყოფილაო!“ დასამტკიცებლათ ქართველებისვე ტაძრებ-მონასტრებს მიუთითეს, სადაც ქართული ზედ-წარწერა ამოეფხიკათ და „დავით-ბაგრატების“ ნაცვლათ „არშაკ-მარშაკები“ ჩაეწერათ!... ჩვენ გვაკვირვებს შეცდომა და გულ-უბრყვილობა ჩვენი მეფეებისა და ქართველი ხალხის, თვარა ეს სწორეთ ასეც უნდა მომხდარიყო, რადგანაც ბრძოლა არსებობისათვის მსოფლიო კანონია და ვერც სომხები აცდებოდნენ ამ კანონს, მით უფრო, რომ ძველი ანდერძი ხელში ეჭირათ და მისი გატეხა ისე არ შეეძლოთ, როგორც საკუთარი რჯულისა! აი, რა უანდერძა მათ საშვილიშვილოთ მათმა პატრიარხმა აბრაამმა „დვინის კრების“ დროს – 596 წ. „ჩვენ ვბრძანებთ, რომ სომხებმა ამის შემდეგ არ იქონიონ ქართველებთან არავითარი კავშირი არც ლოცვაში, არც სმა-ჭამაში, არც მეგობრობაში, არც შვილების აღზრდაში; არ გაბედონ მგზავრობა სალოცავათ, როგორათაც სახელ-განთქმული მცხეთის ჯვარისა, აგრეთვე მანგლისის ჯვარისა; არ მისცენ მათ ნება სიარულისა ჩვენს ეკლესიებში; ერიდნენ იმათთან დამოკიდებულობას ცოლ-ქმრობისას. ნება ეძლევათ მხოლოთ აღებ-მიცემობისა იმათთან, როგორც ურიებთან. ვინც ამ ბრძანებას უარ-ჰყოფს, წყეულიმცა არს იგი სულით და ხორცით და ყოვლის ცხოვრებით!“ ამის შემდეგ ჩვენ რაღათ უნდა ვეცადოთ სომხების სინდისში ჩაგდებას, რომ მსოფლიო კანონს ეწინააღმდეგონ და რჯული გატეხონ? მაგრამ სრული ნება კი გვაქვს, ვუსაყვედუროთ იმ შეუგნებელ და ცრუ-ლიბერალ ქართველ ინტელიგენტებს, რომელნიც ბანს აძლევენ სომხებს და გაიძახიან: „იბრძოლეთ თქვენც მხოლოდ იმ იარაღით, რომელსაც ისინი ხმარობენო!“ რა ეთქმის იმ მწყემსს, რომელსაც ფარეხში მგლები შეცვენია და მის ნაცვლად, რომ მან კომბალი აიღოს ხელში მოსაგერიებლათ, მხოლოდ იძახის: „უნდა მეც ისე მოვიქცე, როგორც ისინი იქცევიანო!. ე. ი. მოვიცადო იმ დრომდი, სანამ ჩემ ცხვრებსაც არ ამოუვათ მგლის კბილები და საკბენათაც მგლურათ არ აეშლებათ საღერღელიო?!.“

ჩვენ კი, ჩვენი მხრით, არ შეგვიძლია, რომ თვალყური არ ვადევნოთ არა თუ დღევანდელ მათ მოქმედებას ჩვენში, თვით მათ წარსულსაც. საჭიროა, ვიცოდეთ: მართლა ესენი არიან ის ძველი ჰაიასტანის ხალხი, რომელსაც არც ჩვენ უარვყოფთ, თუ სხვები შემოპარულან მათი სახელით? გავსინჯავთ, შევამოწმებთ მათ ისტორიულ პასპორტს და მისთვის აქვე მოვიყვანთ სიტყვა-სიტყვით, შეუცვლელათ ერთი ჩვენი ახალგაზრდა-ქართველი მეცნიერის აზრს.

„ყველა ახლანდელი მეცნიერები თანახმა არიან, რომ ბევრათ ადრე შვიდი ათასი წლებისა ქრისტეს დაბადებამდე, შუა-აზიის მთა-ვაკების არემარეში მოხდა იმნაირი ბუნებითი მოვლენა, რომელმაც უმთავრესი ნაწილი კაცობრიობისა ამ ადგილებიდან გაახიზნა. ამ ბუნებითი მოვლენას უძველესი ზეპირთქმულობა უწოდებს „წარღვნას“ და ამის მიზეზათ ახლანდელი მეცნიერები სხვადასხვა შემთხვევას ხდიან. ერთ ამნაირ შემთხვევათ აღიარებენ დედა-მიწის ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ თან-და-თან გაგრილებას; მეორეთ – იმას ამბობენ, რომ ისტორიის დასაბამის წინა-დროებში წვიმის ღრუბლების მიმდინარეობა თბილი ადგილებიდან მაღალ და ცივ მხარეებისაკენ თანასწორი არ იყოვო და ამით ზოგიერთი ადგილების წყლები ძალიან უნდა გადიდებულიყვნენ და წარღვნა უნდა მოეხდინათო. სხვა მეცნიერები, ვარსკვლავთ-მეტყველობით ანგარიშობენ, რომ იმ უძველეს დროში დედა-მიწას უნდა დატაკებოდა ერთი დიდი კვიმატი, ანუ მთელი კვიმატთ ჯგუფი და კვიმატის ზღვაში ჩავარდნას ის ზღვა ძირამდის, 150 ეჯის სივრცეზე, უნდა გაეშროს და წყალი ხმელეთზე გადაესროლოსო“.

„რა მიზეზითაც უნდა მომხდარიყო წარღვნა, მაინც ეს ნამდვილია, რომ თეთრი მოდგმის ერები შუა-აზიიდან სხვადასხვა მხარეებისკენ გაემგზავრენ და, ერთი ნაწილის გარდა, რომელიც გადავიდა ინდოეთში, ყველა მათგანმა მიმართეს დასავლეთისკენ – აზიის წინა-მხარეში და შემდეგ დასავლეთ-ჩრდილოეთისაკენ – ევროპაშიაც“.

„აზიის წინა მხარეში მეცნიერებას უპირველესათ მოჰყავს ტომ-ნათესაობა, რომელს, ძველი აღთქმის მიბაძვით, ხამიტ-ქუშიტათ უწოდებენ. ქუშიტებმა გამოიარეს კასპიის და ორმუ-

ზის (სპარსეთის ყურე) ზღვებ შუა და მათმა უმთავრესმა შტომ მიაღწია ნილოის მდინარის კიდეებამდე, სადაც სამუდამოთ დაბინავდა და შეუერთდა აქაურ შავი მოდგმის ერებს, რომ-ლებთან მას არაფერი ნათესაური კავშირი არ ჰქონდა, როგორც ეს დაამტკიცა მეცნიერულმა შესწავლამ შემურული გვამების (მუმიები) უძველეს ეგვიპტელთა. მათგან იყო დამყარებული ღირს-სახსოვარი ძველი ეგვიპტის ყოფა-ცხოვრების წარმატე-ბა და მათგან დღეს დარჩენილან ფელახნი. ხამიტ-ქუშიტებსვე გამოსდია ტომ-ნათესაობამ, რომელსაც უმრავლესი ნაწილი ახლანდელ მეცნიერებთა უწოდებს ტურანულათ, მაგრამ იმ მი-ზეზისა გამო, რომ უფრო მტკიცე და მეცნიერული სახელწოდება ჯერ ვერ მოუგონიათ. ამ გვარ-ტომობის „ტურანლობა“ იმათ არ არის დასაჯერი, რომ მისგან დარჩენილი ერების ენები იმდენათ განირჩევიან ტურანლების ენებისაგან, რამდენათაც სხვა ენე-ბისაგან ფლექსიური (მცვლელი) მოდგმისა. გარდა ამისა, უძვე-ლესი კაცობრიობის თქმულებანი, მაგალითად: მოსეს წიგნები და ზენდავესტი, მოწმობენ, რომ იმ დროთა წყვდიადში ნამდვი-ლი ტურანლები არ გამოსცილებიან ჯიონის მდინარის და კას-პიის ზღვის ნაპირებს და წინა-აზიაში შემოსულან უგვიანეს ყვე-ლა სხვა დიდ ტომ-გვარობისა, ე.ი. სიმიტებისა და არიელებისა“.

ამ განცალკევებულმა, ხამიტების შემდეგ, წინა-აზიაში უძ-ველესმა გვარ-ტომობამ შემოუარა კასპიის ზღვის სამხრეთ-კი-დეებს თავისი ნაწილით, მივიდა მცირე აზიაში და იქ დასახლდა. ახლანდელი მეცნიერება გვაუწყებს, რომ ამ ტომ-გვარობისა იყვენო, სანამდის სემიტები და არიელები არ შემოერიენ, მიდი-ელ-არარატიელები, მესხებ-მთაბარიანი, სეთები, უმრავლესი მცირე-აზიის ერები და ქალდეველნი ორიოდე ქვეყნებისა, ე.ი. შავი ზღვის (სპერიის) და შუამდინარეთისა. ამ ერებთა შორის ყველაზე უფრო თვალ საჩინო იყვენ შუამდინარეთელნი ქალ-დეველნი, რომელნიც, ევფრატის და ტიგროსის მდინარეებს ჩაჰყვენ და მათ ბოლო-კიდეებზე იქაური ხამიტებითურთ უპირ-ველესი კერა კაცობრიობის სწავლა-წარმატებისა ააგეს. რა ტომ-ნათესაობისა იყვნენ ეს ქალდეველნი — ამაზე დიდი და-ვობა ქონდათ და ახლაც აქვს მეცნიერებს. პირველ-შეხედულო-ბით, რასაც ასაბუთებდა გაკვრით მარტო შესწავლა ლურსმულ

წარწერებისა, ზოგიერთნი, ფიქრობდენ, რომ ეს ქალდეველნი სემიტების თანამეტომენი იყვენო, მაგრამ ეს აზრი ბევრმა რამ მოსაზრებამ გააცრუა, და უფრო იმან, რომ გამოჩნდა უძველესი ლურსმულ-წარწერები, რომელნიც არ იყო დაწერილნი სემიტურ-ენებზე. ამნაირი წარწერები პირველათ ოპპერტმა შენიშნა და წარმოთქვა მათი ენის „ტურანლობა“. ეს მოსაზრება თითქმის ყველა მეცნიერებმა მიიღეს და განსაკუთრებით ლენორმანმა. მაგრამ ამ ბოლო დროს მისი მოწაფე ბაბელონი ამის წინააღმდეგი შეიქმნა. ბაბელონის აზრით, ტურანლების ერების ისტორი-ით ცნობილი თვისება იმნაირი არ იყო, რომ იმათ დაემყარებიათ რამე სწავლა წარმატება. ამ მოსაზრებიდან და იმ გარემოები-დან, რომ ქალდეველების და ეგვიპტელ ქუშიტების სწავლა-წარმატების ფესვ-დასაწყისი მსგავსი არიან, ბაბელონი ასკვნის, რომ ისინი თანამოგვარე იყვენო, რასაც ძველი აღთქმის ცნობებიც მოწმობენო. ბაბელონის ნათქვამი იმ შემთხვევაშია დასაჯერი, თუ უძველესი ლურსმული და იეროგლიფიური წარწერების ენები ემსგავსებიან ერთმანეთს. საქმე იმაშია, რომ ეს მსგავსება არა ჩანს. ხამიტური და სემიტური ენები თანამოგვარე ენები არიანო, ამ ენების ერთ უმკვიდრეს თვისებას შეადგენსო: ემფატიური (აღტაცებითი) ბგერები, მტკიცეთ განსაზღვრა მსტვენავ ბგერების და სხვაც, რაც ოპპერტმა შენიშნა და რითაც უძველესი ლურსმულ-წარწერების ენა განირჩევა სემიტურ ენებისაგან. მაშ, შუამდინარეთელ ქალდეველების ვინაობაზე მეცნიერებას ჯერ უკანასკნელი სიტყვა არ წარმოუთქვამს და უფრო მისაღებათ რჩება ის მოსაზრება, რომ ისინი იყვნენ იმ ტომ-გვარობისა, რომელმაც წინა-აზიაში ხამიტებს მოსდია და რომელიც ჯერ მეცნიერულათ დასახელებული არ არის, როგორც ზემო-თქმულია“.

„რამოდენიმე საუკუნოებით წინა-აზიაში ხამიტებისა და „განცალკევებულ“ ტომ-გვარობისა შემდეგ შემოდიან სემიტები. ისინი მიჰყვენ თავიანთი მონათესავე ხამიტების კვალს და შუამდინარეთელნი ქალდეველნი დაიმონავეს, როცა ამ უკა-

ნასკნელების მფლობელნი იწოდებოდენ მძლავრ ვაშკაცებათ, მეფეებათ „ურისა“ და მეფეებათ „სუმირის და აკვადის“ (არქადის*) ქვეყნებისა. შემდეგ აქ დაარსდენ დიდი სახელმწიფოები ბაბილონისა და ასურეთისა. სხვა სემიტების შტოები დაემკვიდრენ: არანეთის ნახევარკუნძულს (არაბები), პალესტინას (ებრაელები) და ხმელთა-შუა-ზღვის აღმოსავლეთის კიდეებს (ფინიკიელნი და სხვ). ამნაირათ „განცალკევებული“ გვარ-ტომობის ერები იყვნენ განდევნილნი ჩრდილოეთით მცირე აზიისაკენ – და მდინარეების ევფრატის და ტიგროსის სათაურებისაკენ“.

„2500-2000 წ.წ.ქ. დაბადებამდე აზიის წინამხარეში შემოდიან ორი გზით არიელები. ისინი არიან ძველი მიდიელები და სპარსელები, ერთი მხრით, და მეორეთი – ის არიელები, რომელთაც შუა აზიიდან სამხრეთი ევროპა გამოიარეს და ბალვანის ნახევარ-კუნძულიდან მცირე-აზიის დასავლეთ-ნაპირებზე გადავიდენ“.

„ამ კაცობრიობის გადასახლებ-გადმოსახლებაში შეუძლებელი იყო, რომ არ მიექცია ყურადღება, ვინც კი გაიარა, იმ მთა-ქედებისათვის, რომელნიც ტიგროსის, ევფრატის, ჰალისის და არაქსის სათაურებ შუა არიან აბურთებულნი. ესეც ადვილათ წარმოსადგენია, რომ სამხრეთ ვაკეებზე მცხოვრებთ, რომელთაც კი ახსოვდათ ზეპირ-გადმოცემით წარღვნის ამბავი, ეს მთები, როგორც უფრო ახლობელი, ცნობილი და გასაოცარი მათთვის, უნდა გაეხადათ იმ ნავთსადგურათ, რომელშიაც შეიხიზნა კაცობრიობა, მართლაც, ებრაელთა ნოე ანუ ბაბილონელთა იზდუბარი (იგივე ნოე) მიმართავს თავის კიდობნით ამ მთა ქედების ბოლოცომას, აქ იკიდებს ფეხს და აქ იწყებს ახალ ხანას კაცობრიობის ისტორიისას“.

შუამდინარეთით ჩრდილოეთისაკენ ეს უზარმაზარი მთასიმაღლეები სემიტურ ენებზე იწოდებიან: „არარატათ“, „ურარადათ“, ანუ „ურარატათ“ (არა-სიმაღლე, მთა და „არარატ“ – სიმაღლეთ-სიმაღლე, მთათა-მთა** უმწვერვალესი ქედი). მთიან ადგილის აღსანიშნავათ სემიტურ ენებს კიდევ სხვა სახელწოდებაც აქვთ „არმენი“***, ე.ი. მთიულეთი. როდესაც სამოცდა

* მოსეს წიგნი. 11 თ.მუხლ.10.

** უსლარი. უძველ.თქმულ. კავკ. გვერ. 17-27.

*** ლენორმანი. ისტორ. უძველ. აღმოსავ. (1 გვ. 1-81).

ათთა მთარგმნელთა გადმოიღეს ებრაელ ენიდან ძველი აღთქმის წიგნები, იმ დროს ზემოხსენებულ სახელწოდებათაგან უფრო გავრცელებული იყო უკანასკნელი და, აი, მიზეზი, რომ თარგმანში სიტყვა „არარატი“ ყოველგან შეცვლილია სიტყვით „არმენი“. არა თუ სემიტურ ენებს, მათ მონათესავე ხამიტ-ქუშიტურ ენებსაც მთიან ადგილის აღსანიშნავათ ჰქონიათ იგივე სიტყვა „არმენ“, „არამი“ ანუ „რამენ“*.

„ზემოთქმულიდან ხომ ცხადია, რომ სახელწოდება „არმენი“ არ იყო ვინმესი ეროვნული (ნაციონალური) სახელწოდება და ეკუთვნოდა, დამოუკიდებლად მისი გვარ-ტომობისა, ყოველ ერს, რომელსაც კი უცხოვრია ამ ადგილებში.

„რა გვარ-ტომობის იყვნენ ამ არმენიის, მთიულეთის მკვიდრნი, სანამდის არიელთ ტომ-ნაწყვეტები არ ჩამოსახლდენ, ამაზე უტყუარს, მეტათ ძლიერს და მაღალ საბუთს წარმოადგენს თვისება ადგილობრივი ლურსმული წარწერების ენისა. პირველნი მკვიდრნი ამ მიწა-წყლებისა, რომელსაც „არმენია“ ეწოდება, რაულინსონის და ლენორმანის, ამისთანა თვალ-საჩინო მეცნიერების, დასკვნით, იყვენ იმავე ტომ-ნათესაობისა, რომელსაც ეკუთვნოდა ქართველთ წინაპართ თანამოგვარეობა, რომელსაც დაბადება** უწოდებდა. „თოგორმათ“ (ქართულათ – „თარგამ) და რომელსაც არავითარი ერთობა არ ჰქონია არიელთ ტომ-ნაწყვეტებთან“***.

„მაშ, ამ მთიულეთში და საზოგადოთ მცირე აზიის აღმოსავლეთ მხარეში რა დროიდან იწყება არიელების ჩამოსახლება? ამაზედაც დღემდის დაცულია უტყუარი ცნობა. მე-XII საუკუნიდან მერვეს ბოლომდის პ. დ-მდე საზარელნი ასურეთის და ბაბილონის მფლობელნი განუწყვეტლათ ებრძვიან**** მესახმთა-ბარლებს და ურადიელებს, ე. ი. თარგამოსლებს, ქართველ წინაპართ თანამოგვარეებს, როგორც ზემოთ თქმულია. ამ ხან-

* ლენორმანი. ასირიოლოგიური წერ.!

** დაბადება. თავ. X. მუხლ. 3.

*** ლენორმანი. ასირიოლოგიური წერ. 1

**** ფიმლათ-ფალასარის (1120-1080 წ.წ.) და სალმანასარის 860-825 წ.წ. წარწერები ამბობენ: „ორჯელ ვსძლიე მესხებს და იმათ ხუთ მეფესო...“ „ჩემი მეფობის 22 წელს მე 21 ხელ გავედი ევფრატს გაღმა, შევედი მთა-ბარის ქვეყანაში და 24 მეფეს ამ ქვეყნისას ხარკი დავადეო“.

გრძლივმა ომიანობამ თარგამოსელნი შესამჩნევათ დაასუსტა და უფროსი იმათი ნაწილი ამიერ-კავკასიისაკენ გასწია. მერმე მიდიელ მეფის ქიაქსარის (634-685*) გაძლიერება იმათ ადგილებში ასახლკარებს არიელებს. ამ დროს იმათვე მიწა-წყლებში დასავლეთიდან შემოდის ერთი ერი, რომელიც, ლენორმანის და ლანგლუას მეცნიერული დასკვნით,** იყო აი ახლანდელი ჩვენი სომხების წინაპართ ტომი, რომლისაც ენა, შეურყეველი საბუთების ძალით, ეკუთვნისო არიელთ მოდგმის ენებს და რომელმაც მერმე შეითვისაო არმენიელ თარგამოსიელთ სახელწოდება და დაირჩინაო დღემდის უცხოელთ მწერლობაში. არმენიაში (იგივე მთიულეთში) ახლანდელი სომხების წინაპართ შემოპარვა მიდიელთ და სპარსელების მძლავრობის დროს (634-490 წ.წ.ქ. დ-მდე) ისე ჩუმათ მოხდა, რომ ისტორიას თითქმის ვერ შეუნიშნავს და მხოლოთ დარიოს (521-490) მეფის ერთი წარწერიდან გაიგება იმათი ამ დროს ევფრატის დასავლეთ სათაურის ხეობაში დაბანაკება. საოცარი ეს არის, რომ შემდეგშიაც ამნაირი გადაცოცვ-გადმოცოცვა და შეთვისება უცხო ერთ სახელწოდებისა შეიქმნა მთელი იმათი ისტორიის მიზნათ და ეროვნულ (ნაციონალურ) ხასიათად“.

„ამნაირივე ისტორია აქვთ სიტყვებს „სომხეთს“ და „ჰაისტანს“. არ მოიპოვება ცნობა იმაზე რა სახელწოდებას ხმარობდენ არმენიის აღსანიშნავათ ქართველთ წინაპართ თანამოგვარენი, როცა ისინი იქ ცხოვრობდნენ. შესაძლებელია, რომ იმავე არმენიათ ანუ რამენათ უწოდებდენ და ეს სახელწოდება იმათ მიიღეს ხამიტებიდან, რომლებიც იმათ წინეთ შემოვიდენ წინააზიაში. ეს კი უეჭველია, რომ ამიერ-კავკასიისაგან წამოწეულ ერებისათვის „არმენია“ მთიულეთი კი აღარ იყო, არამედ იყო სამხრეთით ქვეყანა, შემოკლებით „სამხრითი“, „სომხითი“, ე. ი. სომხეთი. უკეთესი დამამტკიცებელი ამის ის გარემოებაა, რომ ეს სახელწოდება მხოლოთ ქართულმა და იმის ახლანდელ თანამოგვარე ენებმა იციან. უძველესი თქმულება „ქართლის-

* ქიაქსარი „ქართლ-ცხოვრების“ სპანდიატ-რვალი უნდა იყოს (?).

** ნახეთ-ლენორმანის „ასირიოლოგ. წერ. 1 და ლანგლუას „არმენ. ისტორიული თხზულებების კრებული“, 22. 1 ლანგლუა ხომ დიდათ პატივს სცემდა სომხების ისტორიულ თხზულებებს, მაგრამ ამ შემთხვევას უარს ვერ ჰყოფს.

ცხოვრებისა“, რომელიც შეადგენს მატიანეთა კრებულს, იწყება მეტათ თვალსაჩინო ცნობებით. – პირველათ ის ვახსენოთ, რომ* სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკნელთა, ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა, ამათ ყოველთა ერთი იყო მამა სახელათ თარგამ (ბიბლიის-თოგორმ) და სომეხთა მამა, თარგამის უფროსი ძე – ჰაოს (იგივე ჰაი, გაიკი) ყოველთა უმეტესი გმირი იყოვო“.

„ამ სიტყვებზე ზოგიერთები აფუძნებენ იმ მოსაზრებას, რომ „ქართლის ცხოვრება“ შედარებით ახლო დროის დაწერილიაო და დაწერილია უსათუოდ უმეცარი სომხისაგანო. უმეცრობა მწერალს იმით ეტყობაო, რომ ერთმანეთთან ანათესავებს იმისთანა ერებს, რომლებსაც არავითარი ნათესაური კავშირი არა აქვთ, მაგალითად, – სომხებს, ქართველებს, და ლეკებს. მწერლის სომხობა იმითიც-კი გაიგებაო, რომ სომხებს ანიჭებს უპირველესობას. სამწუხაროთ ამისთანა მეცნიერებისა, ეს თქმულობა ქართული მატიანეებისა რომ არ ეთანხმება იმათ ისტორიას, არამედ გასაოცრათ ეთანხმება ახლანდელ ევროპიელთ მეცნიერების გამოკვლევას. „ვინ არ იცისო, ამბობს მეცნიერი სენ-მარტენი, რომ ზეპირ-თქმულობაში, ყოველი ერის ისტორიის დასაწყისში, სიტყვები, „მამა“, „ძე“, და ამნაირი სხვა მოასწავებენ ეროვნულ შტოებს და მიწა-ადგილების ნაწილებსო“. მაშ, „ქართლის ცხოვრება“ იმაშია შემცდარი, რომ მეგრელნი და კავკასიანნი (სვანები) ქართველების თანამოგვარე არიან? ანუ ჰერ-კახელების და ლეკების (კახეთის მთიულების) ნათესაური კავშირი ქართველებთან სიცრუეა, როცა ახლანდელი ლეკების წინაპრები იმავე მატიანეში ორი ფურცლით (გვერ. 21,22 და 23) კახეთის ლეკების შემდეგ იხსენებიან? ეგებ ის იყოს ბაქი, რომ „რანთა და მოვაკნელთა“ (ძველი ჰილიპნი ანუ ალბანელნი) და ქართველებთა მამა ერთი იყო, როცა ტაციტი მოწმობს, რომ იმის დროს ეს ერები ერთ-შთამომავლობას აღიარებდენო?“

„რაც შეეხება მატიანეს ცნობას ქართველების და სომხების თანანათესაობაზე და რა სომხებზეა აქ ლაპარაკი, ამას დიდი გამჭრიახობა არ უნდა და ადვილი მისახვედრია, თუ გაიხ-

* აქ მკითხველმა უნდა მიაქციოს ყურადღება მნიშვნელობას კავშირისა „და“.

სენებთ ზემოხსენებულ ვინაობას უძველესი მცხოვრებლებისა სომხითის, ანუ არმენიისას. ეგებ იკითხავთ, რანაირათ სახელწოდება „სომხობა“, რომელიც ეკუთვნოდა ქართველთ წინაპართ თანამოგვარე ერს, შემდეგ სულ სხვა ტომ-ნათესაობის ხალხს მიეთვისა და დღემდის შერჩა? აქ გასაოცარი არ არის რა, და ისტორიამ ბევრი იმისთანა შემთხვევა იცის. აი, სიტყვა „რუმი“, „ურუმი“. ყველას კარგათ მოგეხსენებათ, რომ ამ სახელით უწოდებდენ რომაელთ სამფლობელოს წინა-აზიის დასავლეთ მხარეში. რომის იმპერიის ორათ გაყოფის შემდეგ ეს სახელწოდება ვიზანტიას მიეთვისა, მერმე სელჯუკების იმავე ადგილების სასულტნოებს, ბოლოს და დღემდის – ოსმალების თურქობას“.

„აქამდიც უნდა იყოს მკითხველი მიმხვდარი, რომ „ჰაისტნობაც“ ანუ „გაიკანობა“, იგივე „ჰაოსიანობა“ არ არის ეროვნული სახელწოდება არიელ სომხებისა, ე.ი. ახლანდელ სომეხთ უძველეს მამა-პაპებისა, რადგანაც იმათ არა რიგათ არ ეკუთვნის „თოგორმიანობა“, რომელიდან შთამომავლობს „ჰაოსიანობა“. ბიბლიის მოწმობით,* თოგორმის ერები უკვე დაბინავებული არიან სომხეთ-არმენიაში მე-VI-დან მე-VII საუკუნემდი ქ.დ. წინეთ, ე. ი. იმ დრომდი, სანამდის, არიელ-სომხები შემოვიდოდნენ. ახლანდელ სომეხთ წინაპარნი, რომელნიც მუდმივი გადაცოცვ-გადმოცოცვის გზას ადგენ, რასაკვირველია, თავის საკუთარ ეროვნულ თქმულობას ვერ ინახავდენ და მიითვისებდენ იმ ადგილებისას, სადაც რამდენსამე ხანს შეჩერდებოდნენ. თუ ვინმე მეცნიერის სიტყვა დასაჯერია შესახებ ისტორიისა უწინდელ სომეხთ-არმენიისა, რაოდენთაც ეს ისტორია აღმოიკითხვის ალაგობრივ და ასურელ ლურსმულ წარწერათა შორის, მაშინ ყველაზე უფრო უნდა დავუჯეროთ პენნის, რომლის ვინაობა ყველას მოგეხსენებათ და რომელიც გარდაწყვეტილად ამბობს, რომ ახლანდელ სომეხთ წინაპარნი სომხეთ-არმენიაში დასავლით შემოვიდნენ, ნელ-ნელა იქ დასახლ-კარდენ და შეითვისეს იქაურ მაცხრვრებლების სახელი, სარწმუნოება და ზეპირ გადმოცემანიო“.**

* დაბადება, თ.X, მუხ. 3. და ხევიელი, თ.თ.XXVII, და XXXVIII, მუხ. 24 და 6.
** ლენორმანი. ასირიოლ. წერ. 1.

„ამნაირათ, ახლანდელ სომხებს სრულებით არ აბადიათ არავითარი ეროვნული სახელ-წოდება და არც ჰქონებიათ საკუთარი ეროვნული ისტორია, სანამდის იმათი ეკლესია მართლმადიდებლობის ეკლესიას არ მოშორდა. უძველეს იმათ ისტორიაზე ლაპარაკი ხომ უქმი იქნება, და ის ისტორია, რომელსაც მოგვითხრობენ იმათი ისტორიკოსები მე-VII საუკუნიდან ქ. დ. წინეთ, მე-VI შემდეგ წარმოადგენს იმისთანა ზღაპრულ რამ ამბავს, რომ მსოფლიო ისტორია, რასაკვირველია, სრულებით არ ეთანხმება. მათი დიდებული „ჰაისტანის“ მაგიერ მსოფლიო ისტორიას ქ.დ. წინეთ მე VII და IV საუკუნეებ შუა გვიჩვენებს დამონავებულ მიდიელ-სპარსელებისაგან სომეხთ-არმენიას, სადაც ცხოვრობენ სხვა-და-სხვა ტომ-გვარობის ერები და სადაც ახლანდელ სომეხთ მამა-პაპებს უკავიათ მხოლოთ ერთადერთი ევფრატის სათაურის ხეობა“.*

მე-IV საუკუნეში ალექსანდრე მაკედონელი (327-323) ქ.დ. წინეთ) იპყრობს სომხეთ-არმენიას, როგორც ერთ ნაწილს სპარსეთის სახელმწიფოისას. მისი სიკვდილის შემდეგ 193 წლამდის არმენიის მიწა-წყლებს ეპატრონებიან იმისი ლაშქართ-მწეების შთამომავლობისა – ანტიოქელი ბერძნები. სტრაბონის მოწმობით, იქამდეს მცირე სომხეთ-არმენიის საზღვრები გაავრცელესო ორმა ანტიოქ დიდის ლაშქართ-მწეებმა, გვარ-ტომობით ბერძნებმა არტაქსიასმა და ზარიადრესმა, რომლებიც ჩვენს სომხების ისტორიკოსებს თავის ეროვნულ მეფეებათ მიაჩნიათ და რა მიზეზით, იმათ გარდა არავინ არ იცის! ამ დროს მარტო ჩვეულებრივი სიჩუმით და ნელ-ნელა უნდა გადმოებიჯათ ჩვენს სომხებს არაქსის მარცხენა კიდეებზე. ანტიოქელი ბერძნების შემდეგ არა თუ სომხეთ-არმენიას, – სპარსეთსაც და მთელ აღმოსავლეთს დაებატონენ სულ უცხო ტომ-ნათესაობის საზარელნი პარფიელები. ერთი შტო ამ პარფიელებისა, რომელსაც ქ. დ.წ. ასოთხმოც-და-ცამეტი წლიდან 150-მდე ქ.დ. შემდეგ ეპყრა აღმოსავლეთის ნაწილი სომხეთ-არმენიისა, ჩვენმა სომხების ისტორიკოსებმა კიდევ თავისებურათ გადააგვარეს. რაც შეეხება დასავლეთის ნაწილს, ის ქ.დ.წ. სამოცდა მეორე

* ნახე ჰეროდოტის (480-426) და ქსენოფონტის ცნობები განის 1 წიგნ. 15-22 და 26-33 გვერ.

წლიდან სხვა ადგილებს მოგლეჯილი ჰქონდა და ეკუთვნოდა რომაელების იმპერიას. ქ. დაბადების შემდეგ, 250 წლებიდან, სპარსეთი ხელ-მეორეთ ძლიერდება და ამ ძლიერების დროს და არა თუ სომხეთ-არმენიის თვით-არსებობას არა აქვს ადგილი, არამედ სპარსეთისაგან დაჩაგვრას უფრო მოშორებული და ძლიერი ერები ძლივს გადაურჩებიან, მაგრამ ჩვენი სომხების ისტორიკოსები მაინც არ იშლიან ღაღადებას იმათი ერის დიდებაზე. ამ საგანზე, უკეთესი მცოდნე იმათი ისტორიისა, სენ-მარტენი ამბობს. უცხო-ტომთ მეისტორიენი სრულებით არ უჩვენებენ სომხების ისტორიკოსებიდან მოხსენებულ შემთხვევათა და არც არის საფიქრებელი, რომ იმათ არა ეთქვათ რა, თუ ეს ჭეშმარიტება ყოფილიყო. ყოველივე სიცრუით სავსე ძლევამოსილი მოღვაწეობა გამოუგონიათ რომელთამე სომხეთის მეისტორიკოსეთა თავის ერის ცრუ-სიყვარულის გრძნობის დასაკმაყოფილებლათ.* ხელ-მეორეთ გაძლიერებული სპარსეთის მფლობელნი იყვნენ სასინიდები ხოსროელები. იგინი მეტათ გულ-მხურვალეთ აღიარებდენ ცეცხლ-მსახურებას და იარაღით ხელში ეს აღსარება გაავრცელეს მთელ სპარსეთში, სომხეთ-არმენიაში და მცირე-აზიისა და საქართველოს აღმოსავლეთის ნაწილებშიც. იმავე ადგილებში და იმავე დროს მეორე მხრით შემოაქვთ ქრისტიანობა. წმიდამან გრიგოლმა, სომხების ისტორიკოსების თქმით, რასაკვირველია, იმათმა თანამოგვარემ და ჩვენით პარფიელთაგანმა, გააქრისტიანა კარგი ნაწილი სომხეთ-არმენიისა და ამიერ-კავკასიისაც. თითქმის ორი საუკუნე ეს ქრისტიანები, დამოუკიდებლათ იმათი გვარ-ტომობისა, არაფრით არ განირჩეოდენ სხვა მართლ-მადიდებლებისაგან. მაგრამ შეუძლებელი იყო, რომ იმისთანა მძლავრ ხელმწიფეებს, როგორიც სასანიდები იყვნენ, რომელთაც შეძლეს დიდი რომის იმპერატორის ვალერიის დატყვევება, მოეთმინათ და მიეშვათ იმათი საბრძანებელ ქვეყნებში სხვა აღსარება, გარდა იმათგან გულ-მხურვალეთ შეყვარებული ცეცხლის-მსახურობისა. მართლაც, სასტიკი დევნის შემდეგ, 300-400 წლებს შუა, მეფემ ჰხოსრო ფარვიზმა (ფეროზმა) თავის ქვეშევრდომ ქრისტიანებს გამოუცხადა: „აგყრი თქვენი მიწა-ადგილებიდან, თუ

* ბაქრაძე. ვახუშტ. ისტ. გვერ. 33, შენიშ.1.

ბერძნების სარწმუნოებას არ უარ-ყოფთო“. როცა შეშინებული სომეხთ-არმენიის ქრისტიანები დათანხმდენ, მაშინ სპარსეთის მეფემ შემოგზავნა სირიიდან მოქადაგენი იაკობითნი და იმათ გაავრცელეს თავის აღსარება. ამავე დროს (მე-V საუკ.) ემჩნევა, რომ არაქსის შუახეობაში ახლანდელი სომხების ენა უფრო გავრცელებულია, ვიდრე სხვა ალაგობრივი ენები და კიდევაც ამ დროიდან ამ სომხურ ენაზე იკიდებს ფეხს სომხური მწერლობა. აი, მხოლოთ ამის შემდეგ ახლანდელ სომხებს თავის საკუთარი ისტორია ებედებათ და ესეც-ისტორია მარტო საეკლესიო, რადგანაც იმათ სხვა ისტორიას დღემდის ადგილი აღარ ჰქონდა უცხო-ტომთაგან დამონავებისა გამო: სპარსელებისა 639 წლამდი, არაბები – 1040 წ. სელჯუკების – 1121 წ., ქართველების – 1225 წ. ჯელელედდინის – 1238 წ. და მერმე მონგოლებისა, თემურ-ლანგისა, ხელ-მესამეთ სპარსელებისა, ოსმალო-თურქებისა და ახლანდელი ძლევა-მოსილი რუსეთის იმპერიისა“.

1898

პროფესორ მარრის საპასუხოთ

თურქები რომ კონსტინტინეპოლს შემოადგნენ და ბიზანტიას ამხობდენ, იმ დროს ბერძნების სწავლულ-მეცნიერები, ორ სხვა და სხვა გუნდათ დაყოფილი, დოგმატური ბაასით იყვნენ გატაცებული და ერთმანეთს აკვირდებოდენ. აგრეთვე, რომაელებმა რომ სირაკუზი აიღეს და იმ დროის გამოჩენილ მეცნიერ მათემატიკოსს არქიმედსაც სახლში შეეჭრენ, ის, ფანატიკოს-მეცნიერი, იატაკზე იყო გაშხლართული, წინ სილა ეყარა, ზედ რაღაც სამეცნიერო ფიგურები გამოჰყავდა და მტრებს არხეინათ ეუბნებოდა: „ხაზი არ შემიშალოთო!“ არც მისი სამშობლოს აოხრება და არც თვით მისივე სიკვდილი იმ დროს ფიქრადაც არ მოსვლია! ამ გვარი ახირებულობა საზოგადოდ სჭირთ მეცნიერებს. ხშირათ რომელიმე მეცნიერი არხეოლოგ-ისტორიკოსი, სადმე მიყრუებულ ოთახში ჩამჯდარი, სადაც ძველი ტყავების გასინჯვის დროს მტვერსა ჰყლაპავს და ობო-

ბას ქსელებში ეხვევა, მთელი დღე იმას იკვლევს, თუ როდის დაიბადა ესა თუ ის ისტორიული პირიო? ან და მაშინ ღამე იყო თუ დღე? და თუ ღამე იყო, მთვარიანი თუ უმთვარო? და იმავ დროს ის კი აღარ იცის, გარეთ დღეა თუ ღამე, დარია თუ ავდარი? ამ გვარი რამ შეჰყრია ჩვენს ახალგაზრდა მეცნიერს, სომხური ენის პროფესორს – ბ-ნ მარრსაც და ამიტომაც გამოსულა სომხებსა და ქართველებს შუა დღევანდელ მსაჯულათ, ანუ, უფრო ნამდვილი რომ ვთქვათ, მოსარჩლეთ. დიდათ გულ დაწყვეტილი და უფრო მეტათ მრისხანე, მთელი მისი, როგორც სამეცნიერო, ისე საადვოკატო ბარგით მოგვადგა კარზე მოულოდნელათ და მასთანაც კიდევ უცხო გზით! რასაკვირველია, მის სამეცნიერო ბარგხანას უყურადღებოთ არ დავაგდებთ შემდეგში და ახლა კი ხელთ მარტო საადვოკატოს მივმართავთ. მიზეზი მისი აღშფოთებისა და ამხედრების ჩვენს „კრებულში“ სომხების საპასუხოთ დაბეჭდილი სტატია გამოდგა. უკვირს და გვისაყვედურებს მის ავტორობას! ცდილობს იქ აღნიშნული საბუთების დარღვევას და ჭეშმარიტების აღდგენას. კეთილი და პატიოსანი. ამას რაღა ეჯობინება, მაგრამ ვაი, რომ მის საბუთს, გარდა სურვილისა, სარჩულათ არა უდევს რა! მხოლოთ ცარიელი საპირეა, ნაძალადევათ გადაჭიმული და ვერ რას გვიმტკიცებს, რომ დაგვითანხმოს! ჩვენი სტატიის დედა აზრი იყო – დაგვემტკიცებია, რომ სომხები იქ ეძებენ, სადაც არა დაჰკარგვიათ რა; ის უნდათ დაისაკუთრონ, რაც მათ არასოდეს არა ჰქონიათ! ეს არც ახალი მოვლენაა მათი მხრით. ძველათაც, იმ თავითვე ასე ჩადიოდენ: აუკუღმართებდენ თვით ისტორიასაც კი, ასე რომ მათი ისტორიული წყაროები ქართველებისა და საქართველოს შესახებ სარწმუნო არ არიან. ამ აზრის დამასტკიცებლათ სამაგალითოდ, სხვათა შორის, ის ფაქტიც მოვიტანეთ, რომ მათმა ისტორიამ ქართველთა მეფე – ტაოსელი დავით კურატ-პალატი, ზემო ქართლის მპყრობელი, მიისაკუთრა და, როგორც თვით ის, ისე მისი სამფლობელოც სასომხეთოთ აღიარა. დღესაც კიდევ მთლად საქართველო სასომხეთოთ აქვთ ნაჩვენები და ცდილობენ ყველგან, სადაც კი ხელი მიუწვდებათ, ქართველობის ნიშან-წყალი მოსპონ, ქართული კვალიც კი მოშალონ და ზედ თავისი დასდვან წინააღმდეგ ყოველ-გვარი სიმართლისა!.. და ამიტომაც ჩვენი მხრით მათდამი ძმობა-სიყვარულს ყურადღებასაც არ აქცევენ

და მათი მტრობა და გაუტანლობა ჩვენდამი ძველი დროიდანვე მომდინარეობს. ამას ვამტკიცებდით ჩვენ. ეს სწყენია ბ-ნ მარრის და ცდილობს ეს აზრი დაარღვიოს და რწმენა გაგვიქარწყლოს. ვნახოთ! რაც შეეხება მის პირად გრძნობას და უსაბუთო მსჯელობას ან სომხებისა და ან ქართველების შესახებ, იმას ჩვენ დიდ ყურადღებას არ მივაქცევთ. ნათქვამია: „კაცია და გუნებაო“, მაგრამ იმ საბუთებს-კი, რომლებსაც ის ეპოტინება, ავწონ-გავზომავთ და შევუმოწმებთ.

1) „უძველეს დროიდანვე სომხებს დიდი გავლენა ჰქონდათ ქართველებზე და საღმრთო წერილიც ქართველებმა სომხებისაგან მიიღესო, დაბადებაც მათგან უთარგმნიათ და მწერლობაც მათი მოწყალებააო“ და სხვანი – ბრძანებს ბ-ნი მარრი, ნათქვამია: „ურია, ღმერთს ნუ ფიცულობ და არა, ღმერთმანიო“ – ამისი არ იყოს, ჩვენ უარსა ვჰყოფთ სომხურ წყაროებს და ის კიდევ იქითკენ გვითითებს! მაგრამ ჩვენი მწერლობის შესახებ უცხოელების მოწმობა რა საჭიროა? ჩვენთვითონ უკეთ არ უნდა ვიცოდეთ?

ჩვენა გვაქვს: ერთი ათონის დაბადება, მთაწმინდელების ნათარგმნი, და მეორეც ვახტანგისაგან სლოვიანურთან შესწორებული. ამათ გარდა გვქონია კიდევ ნაწყვეტ-ნაწყვეტები დაბადებისა, სარიულიდან ნათარგმნი, მაგრამ განა სარიელები სომხები იყვნენ? თუ უფალი მარრიც ერთად დღევანდელ სომხის პატრიოტებთან ამ აზრზე დგას, რომ, რადგანაც, აისორები ანუ კრუები დღეს გრიგორიანელები არიან, გვარ-ტომობითაც სომხებათ უნდა ჩაითვალონო და თუ არა დღეს, ძველითაც-კი ე.ი. მაშინაც-კი, როდესაც სულ სხვა სჯული სჭერიათო – კარგი ვაჭრობაა!.. ვინ არ იცის, რომ ჩვენი სასულიერო ლიტერატურა მდიდარია და ორიგინალს გარდა, რაცა გვაქვს ნათარგმნი, ის სულ ბერძნულიდან გვაქვს და რამოდენიმეც სლოვიანურიდან ანტონ კათალიკოსის მეოხებით. სომხურიდან-კი არა მოგვეძევება რა, გარდა ერთი „მხიტარის რიტორებისა“, რომლის არსებობა არც-კი იციან ჩვენში. აბა ერთი გვიჩვენოს ბ-ნმა მარრმა, რა წიგნები გვითარგმნია სომხურიდან? სანამ ამას არ აასრულებს, ჩვენც სრული უფლება გვექნება ვთქვათ, რომ ბ-ნ მარრს სომხურ ენასა და ისტორიასთან ერთად მათი ხასიათიც

შეუთვისებია, ე.ი. სხვისას შეუპოვრათ, უსაბუთოდ ისაკუთრებს და ჩვენიაო – ბრძანებს.

2) სომხებისაგან ჩვენი სიძულვილის საბუთად მოვიტანეთ ჩვენ ჩვენს სტატიაში „დვინის კრების განჩინება 596 წ., რომლითაც სომხებს ეკრძალებოდათ ყოველ გვარი დამოკიდებულობა ქართველებთან, გარდა მტრულისა, და თანვე ურჩევდა: ისე მოპყრობოდნენ ქართველებს სომხები, როგორც ურიებს. აი თვით ისტორიაში მოხსენებული მეცხრე საუკუნის გასულს: „ქართველებზე ჩვენ ვბძანეთ – ამბობს სომხის კათალიკოსი აბრაამი, – რომ სომხებმა ამას შემდეგ არ იქონიონ იმათთან არავითარი კავშირი არც ლოცვაში, არც სმა-ჭამაში, არც მეგობრობაში, არც შვილების აღზრდაში; არ გაბედონ მგზავრობა სალოცავად, როგორათაც სახელგანთქმული მცხეთის ჯვარისა, აგრეთვე მანგლისის ჯვარისა: არ მისცენ მათ ნება სიარულისა ჩვენს ეკლესიებში; ერიდნენ იმათთან დამოკიდებულობას ცოლქმრობისას. ნება ეძლევათ მხოლოდ აღებ-მიცემობისა იმათთან, როგორც ურიებთან. ვინც ამ ბრძანებას უარჰყოფს, წყეულიმცა არს იგი სულით და ხორცით და ყოვლის ცხოვრებით“. აი, ამ ცხადი საბუთის დასარღვევათ ამბობს ბატონი მარრი, რომ ეს განჩინება-კი არ იყო კრებისაო, აბრამ პატრიარქის საერო ეპისტოლე იყოო. მერე და ეს კიდევ უარესი არ არის? განჩინება შეიძლებოდა სისრულეში არ მოეყვანათ როგორმე და პატრიარქის ეპისტოლე მთელი ერისადმი კი სავალდებულო გამხდარა. ეს კარგათ ესმის ბ-ნ მარრსაც და, მეტს რომ ველარას ახერხებს, მერე ის ახირებული დასკვნა გამოჰყავს, რომ „მაშინდელი სომხობა როდი მიაქცევდა ყურადღებას მაგას და ეგ ფაქტი უმნიშვნელოთ დარჩებოდაო“. რათაო ნეტავ? თუ იმ პირველ საუკუნოებში, როდესაც სარწმუნოებრივი ფანატიკოსობა უმაღლეს წერტილამდე იყო მოქცეული, არ მიაქცევდნენ ყურადღებას კრების განაჩენს და არც თავის პატრიარქს დაუჯერებდენ, მაშ როდისღა? ეს განა წარმოსადგენია და დასაჯერებელი? ამას საბუთი ეჭირვება და, სხვა რომ ველარა უშოვნია რა, ბ-ნ თ. ჟორდანიას ეჭიდება: „ალბათ ბაქრაძის წიგნიდან იცის აკაკიმ ეს ამბავი და ჟორდანიას ქრონიკები არ წაუკითხავს, სადაც ის ამოწმებს, რომ ამ განჩინებას და ეპისტოლეს მნიშვნელობა არ უნდა

ჰქონდესო“. თუმცა ამ შემთხვევაში, როგორც თვით მარრის, ისე თ. ჟორდანიას „მგონიაობა“ საბუთი არ არის, მაგრამ მაინც ვნახოთ რას წერს, მოწმედ მოყვანილი ბ-ნი ჟორდანია. „მართალია, დვინის კრებაზე 596 წ. დადგენილი იყო: ყოველი კავშირი მოისპოს ქართველებთან, გარდა აღებ-მიცემობის კავშირისა, მაგრამ ამ განჩინებისათვის ყურადღება, ალბათ, არავის მიუქცევია, რომ ამაზედ არსენი არას ამბობსო“. აი, რას ჰფიქრობს დღეს ბ. ჟორდანია, მაგრამ ამ გვარი უსაფუძვლო მოსაზრება, თვით მარრის მოსაზრებისა არ იყოს, საკმაო საბუთია? მართალია, არსენი არც „ჰოს“ ამბობს ამის შესახებ და არც „არას“, მაგრამ განა უთუოდ უნდა ეთქვა? რამდენიც ვიცით, არც ბ-ნ მარრს და არც ბ-ნ ჟორდანიას არ უთქვამთ რა ზეციერი მთიების შესახებ. რამდენიმე საუკუნის შემდეგ ერთმა ვინმე ახირებულმა მეცნიერმა რომ დაიჯინოს: მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს არც მზე ყოფილა, არც მთვარე და არც ვარსკვლავებიო და საბუთად ის მოიტანოს, რომ მარრისა და ჟორდანიას არ უთქვამთ რაო – ეს მისი მოსაზრება შესაწყნარებელი იქნება?! ასეა სწორეთ ამ ზემოხსენებული არსენის საქმეც. „ეს განჩინება დღეს ისე მივიწყებული და მიმალულია, რომ თუ არა ბიბლიოგრაფებმა, სხვამ აღარავინ იცისო“ – დაამატებს ბ-ნი მარრი თავის მხრით. შეიძლება, რომ იქ, სადაც ქართველები არ არიან, სადმე სასომხეთოში ეს განჩინება, როგორც გამოუსადეგარი რამ, აღარავის ახსოვდეს და ან კი რათ უნდა ახსოვდეს? მაგრამ ერთი აქაც მოიკითხოს, საქართველოში, ბ-ნმა მარრმა: იცის თუ არა ეს საბუთი აქაურმა სომხის სამღვდელოებამ და მრევლის დამწყვსის დროს ხელმძღვანელობს მითი თუ არა? დიდი პატივის მცემელი ვართ ბ-ნი მარრის, მაგრამ დაჯერებით-კი უფრო ჩვენს თვალსა და ყურს ვუჯერით, ვიდრე მარრის და ჟორდანიას „მგონიაობას“, მით უმეტეს, რომ ჩვენ დღევანდელ დღესთან გვაქვს საქმე და არა გარდასულ საუკუნოებთან, რომელთაც სხვათა შორის ვიხსენიებთ. ბ-ნ მარრი თვითონაც ჰგრძნობს მის მიერ მოყვანილ ფაქტების სისუსტეს და, რომ ველარ არღვევს ჩვენგან მოყვანილ ფაქტს, მერე კიდევ სხვა გზას ადგება. „მართალია, რომ განჩინება დვინის კრებისაა და აბრაამ პატრიარქის ეპისტოლეც იყოო, მაგრამ მაგგვარი რამ განა ქართველს-კი არ ჩაუდენიაო?“ და უთითებს ერთ

მისთანა რამეზე, რომლის გამოთქმაც ვითომ კიდეც ეძნელება და ერცხვინება! რომ მკითხველს მართლა უცნაური არა ეგონოს-რა, იმას, რასაც მეცნიერის უმანკოება ვერ იმეორებს, ჩვენი პოეტური თავხედობა გამოააშკარავებს. აი, რა იყო, ის საიდუმლო: ერთი ზღაპრული ლეგენდაა, რომელიც გაკვრით ისტორიასაც მოუხსენებია, მაგრამ სახალხოთ-კი ბევრს არც კი გაუგონია, რომ ერთხელ ქართველებისა და სომხების სამღვდელოებას ბაასი ჰქონდათ: ვისი სარწმუნოება უკეთესიაო – სომხების თუ ქართველებისაო? რომ ვეღარ მორიგდენ, მიიყვანეს მშიერი ძაღლი და მის წინ დადვეს ორი სებისკვერი: ერთი ქართველების და მეორე სომხების. ძაღლმა ვერ მიბედა ქართველებისას და სომხების კი ჩასანსლაო. აი, ეს გახლავთ ის უცნაური ამბავი, რომელსაც ბ-ნი მარრი იგონებს. მაგრამ აქ რა არის საერთო ამ ზღაპრულ ოხუნჯობისა და ისტორიული ფაქტების შორის? სად ლეგენდა, რომელიც ბევრს არც კი გაუგონია და სად მთელი კრების განჩინება და პატრიარქის ეპისტოლე? აბა გვიჩვენოს ერთი რამ მისთანა ბ-ნმა მარრმა, რომ ან ქართველ ერს, ან მის სასულიერო წოდებას სადმე დაედგინოს სამტრო რამ? პირიქით, უტყუარი და სარწმუნო ფაქტები ამტკიცებენ, რომ ქართველებს მათი სარწმუნოებისა და ეროვნების დასაცველათ ბევრჯელ გარეთ სისხლი დაუთხევიათ და შიგნით-კი მზა-მზარეულათ თავისი საკუთარი ტაძრები და სამლოცველოები დაუთმია სომხებისათვის. ნუ თუ ესეები-კი ავიწყდება ბ-ნ მარრს?

3) „ცამეტი წელიწადია, რაც მე სომხურს ვკითხულობ, ათიც შესრულდა, რაც მეცნიერულად ვიკვლევ და ჯერ არსად შევხვედრივარ, რომ სომხების მწერლებს უარ ეყოს და სიმართლით არ მოეხსენიებიოს ქართველებიო“ – ამბობს ბ-ნი მარრი. მართლა, ხან-და-ხან ზოგიერთი სომხის მწერლებიც იძულებული არიან ხოლმე, რომ ქართველები სიმართლით მოიხსენიონ, მაგრამ მათი უმეტესობა-კი განძრახ ამახინჯებს ყოველიფერს ქართველების შესახებ და, თუ კი მოახერხა, უარსაცა ჰყოფს. საკვირველია, ამდენი ხნის განმავლობაში, რათ სულ იმ მცირე მოკეთეებსა ხვდება ბ-ნი მარრი და იმ მეორე უმეტესობის გუნდისას-კი ვერავის?! მართალია, დიდი სურვილი აქვს ხელი დაიფაროს, მაგრამ თვითონაც გრძნობს ამის მოუხერხებლობას და, ზემო მოყვანილ ფაქტებისა არ იყოს, ჯერ სულ უარზე დგე-

ბა, „არაო“ – იძახის, მერე რბილათ „ჰოზედაც“ გადადის და ამ-ბობს: „მართალია ხან-და-ხან სომხის მწერლები ასე არა სწერენ, როგორც ქართველებიო: საღებავს ასქელებენ და ფერს უცვ-ლიანო (ე.ი. შავათ), მაგრამ იმათ მეტი არ მოეთხოვებათ და ეს კრიტიკამ უნდა გაარჩიოსო“. ჰო, და, ჩვენც ამას მოგახსენებთ, რომ ხშირათ საღებავს ასქელებენ, ფერსაც უცვლიან და სხვანი. მაშ ვიღას ესარჩლება და რაღაზე ბ-ნი მარრი?!

ენის შესახებაც, რომ ვითომც ენა იმათ მოეცეს ჩვენთვის, არსად არა თქმულა რაო, – ამტკიცებს მარრი, მხოლოდ ერთი სომხური წყარო (რაც ქართულიდან ნათარგმნია) კი ამბობს, რომ ადრე ქართველების ენაც სომხური იყოო. კიდეც ეგ გახ-ლავთ დამახინჯება. ქართულ დედანში სწერია: „ყოველთვის ქართულად ლაპარაკობდენო“ და სომხებს კი გადაუკეთებია: „სომხურადო“ და მარრსაც სჯერა!

4) ყველაზე უფრო ის აწუხებს ბ-ნ მარრს, რომ ჩვენს წერი-ლებში მოწიწებით ვერ მოვიხსენიეთ მისი სასიქადულო მოძღ-ვარი პროფესორი პატკანოვი და ვითომ ცილიც შევწამეთ. ბ-ნ პატკანოვმა ერთ თავისს თხზულებაში გადაჭრით ბრძანა, რომ ქართველებს ისტორია არ ჰქონიათ და მე-XVIII საუკუნეში, მეფე ვახტანგმა შეთხზა და ესეც სომხური ზღაპრიდან, რომელიც ერთმა უმეცარმა ბერმა დასწერა მეთერთმეტე საუკუნეშიო. ამაზე განსვენებულმა დ. ბაქრაძემ ღირსეული პასუხი მისცა და მიუთითა უეჭველ საფუძველზე თავის წიგნაკით: „პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიული წყაროები“. ამ ნათელმა საქმემ დაგვანახა ჩვენ, რომ პატკანოვს ან უმეცრებით მოსვლია ეს ცხადი და სათვალდათვალო შეცდომა ან და განგებ ჩაუდენია. ორ ცეცხლ შუა გამომწყვდეულმა პროფესორმა პატკანოვმა ჩაყლაპა დ.ბაქრაძის შენიშვნები და გაჩუმდა. მაგრამ მარრი კი არ დუმდება და მაინც კიდევ გაიძახის: არაო! არც ერთი და არც მეორეო! ის სხვებსავით პატრიოტულ მეთოდით არ სწერდაო, რადგანაც ის მხოლოდ სარწმუნოებით იყო სომეხი, თორემ რუ-სის მეცნიერი იყოო და მისმა გამოკვლევამ მაინც ნათელი მოჰ-ფინა ისტორიასო და სხვანი. ერთი ის, რომ სიცრუე ვერაფერს მოჰფენს ნათელს და მეორე კიდევ ისიც, რომ გაგვიგია, რისთვის ბრძანებს ბ-ნი მარრი პატკანოვზე, რომ რუსის მეცნიერი იყოო? აგრეც რომ იყოს, განა რუსის მეცნიერები კი არ სცდებიან და

მიუდგომელი არიან? პატკანოვმა სომხების სასიქადულო ისტორიკოსი – მოსე ხორენელიც არ დაზოგა და ეჭვის თვალით შეხედაო – ამბობს მარრი. მართალია, მაგრამ ეს მაშინ ინება მხოლოთ, როდესაც სხვებმა, გარეშეებმა, მიუთითეს და სულ გადათქმა იმასაც აღარ შეეძლო. კაცი რომ მის დამნაშაობაზე იძულებით გამოტყდეს და სხვისას კი უსამართლოთ აზვიადებდეს და ცილს სწამებდეს, განა ამას მიუდგომლობა ეთქმის? ბევრს ამისთანებს ბრძანებს ბ-ნი მარრი, როგორც მოსარჩელე მისი მოძღვრის ბ-ნი პატკანოვის და, სხვა საბუთი რომ აღარა აქვს რა – ამბობს: „1858 წ. თვით ბაქრაძემაც აკი ეჭვი შემოიტანა „ქართლის ცხოვრების“ სიძველის სინამდვილეზეო?“ ბაქრაძეს ეჭვი არასოდეს არ შემოუტანია. ის მხოლოდ ჩიოდა, რომ ისტორიული წყაროები დაკარგულა და საკმაო საბუთი ჩვენი „ქართლის ცხოვრების“ სიძველისა ხელთ არა გვაქვსო. აი, რას ამბობდა, მაგრამ ეს მაშინ იყო, როდესაც განსვენებული დ. ბაქრაძე ახალგაზრდა იყო და პირველათ გამოდიოდა სარბიელზე. შემდეგში-კი, როდესაც ნახა საბუთები და მათ შორის მარიამ დედოფლის ვარიანტიცა, სულ წინააღმდეგს ამტკიცებდა. რასაკვირველია, რომ ბ-ნ მარრს ის 1858 წელს დაწერილი სტატია ახსოვს და სხვები, ახლები კი, არა სცოდნია!..

დასასრულ, როდესაც საკუთარი გრძნობა-მოფიქრებით გულს იჯერებს ბ-ნი პატკანოვის ქება-დიდებით და მასთან ერთად საზოგადოთ სომეხთა მეცნიერთ კეთილად მოხსენებით, ბ-ნი მარრი ამას კი ამბობს: „რაც რამ პატკანოვის შრომისა და ღვაწლის მნიშვნელობაზე ვთქვით, აქედან მკითხველი მაინც და მაინც იმას-კი ნუ იგულისხმებს, რომ ვითომც ის, პატკანოვი, უცოდველი და შეუცდომელი ყოფილიყოს წვრილმანებშიო, რადგანაც ქართულში სპეციალისტი არ იყო, რასაკვირველია, შეცდომებს თავიდან ვერ აიცდენდაო“ და სხვა. მაშ, ჩვენც ამის მეტი რაღა დავაშავეთ, რომ გვირისხდება!? ახირებულია თქვენმა მზემ!.. ჯერ ცივ უარზე დგას და მერე კი „მართალიაო“ თვითონაც იმას გვიჩურჩულებს!..

5) „გრენს სომხები რათ შეაცდენდნენო და რათ დააწერიებდენ ქართველების გასაკითხ რასმეო?“ – ბრძანებს მარრი. სწორეთ იმავე მიზეზით და განძრახვით, რითაც კუტულსა და

ხვოლსონს დააწერიეს, რომ თბილისი ყოველთვის სასომხეთში ყოფილა და ქართველობა აქ არასოდეს ყოფილაო. სადაც ათასი სხვა არის, იქ რატომ ეს ერთიც არ იქნება შესაძლებელი?

6) „სომხურ ჟურნალ-გაზეთებს არასოდეს არ უთქვამთ, რომ ქართველებს ენა არა აქვთ თავისი საკუთარი, რომ რთული აზრი გამოთქვანო“ – ამტკიცებს ბ-ნი მარრი. „ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებს“ – ეს არის სწორეთ! იმ უტყუარ დღევანდელ საბუთებს, რომლებიც ჩვენ ხელში გვიჭირავს, განძრახ მხარს უქცევს და იძახის: „ეგ არასოდეს არ ყოფილაო!“ და ბოლოს-კი ჩვეულებრივათ თანხმდება და ამბობს: „იმას მხოლოდ უმეცრები სწერენ და მეცნიერები-კი არასოდესო“. კი, მაგრამ ჩვენ ამ უმეცრების მეტს ვერსად ვხედავთ სხვას და თუ ბ-მა მარრმა იცის, აბა გვიჩვენოს: ვინ არის და ვინ იყო ის მეცნიერი სომეხი, რომელიც ჩვენ სასარგებლოთ ამბობდა და ამბობს რასმე? დღესაც ეს უმეცრები სწერენ და რატომ ის მეცნიერები არ უმტყუნებენ მათ და წინააღმდეგს არა სწერენ?! რათ არ ურღვევენ იმ უმეცრებს, რომელთაც საზოგადოთ სომხობა საბუთად ხელზე აქვთ დახვეული? და ან თვითონ ბ-ნმა მარრმა რატომ არ ამოიღო ხმა მათ საწინააღმდეგოთ, მაშინ, როდესაც ჩვენ-კი უბრალო თავის გამართლების ნებასაც არ გვაძლევს?! აქ რაღაც სხვა ამბავია!..

7) „ქართველებზე რომ გავლენა ჰქონდა სომხურს და სიტყვებიც სომხურიდან მიიღეს, ამას ქართველებიც აღიარებენო, მაგალითად, საბა-სულხან-ორბელიანი და დ. ჩუბინოვიო“ – ამბობს ბ-ნი მარრი, მაგრამ ცდება. საბა ამბობს, რომ, რადგანაც ჩვენი ძველი ლექსიკონი დაკარგული იყო და ქართული ენა გარყვნა სხვადასხვა ხალხის ენებიდან შემოპარულმა სიტყვებმა, ამისათვის მე შევუდექი ქართული ლექსიკონის შედგენასო. აქ, ვგონებ, სომხების სასარგებლოთ არა რაა ნათქვამი. რაც შეეხება ჩუბინაშვილს, განსვენებულს ყოველი სიტყვა, რომელიც-კი ან „ლ“-ზე დაბოლოვდებოდა ან „კ“-ზე ქართულში, – სომხური ეგონა. მაგალითად „მგა“ ანუ „მკა“ ქართულია და ნიშნავს შემოსული პურის მოჭრას. „მამგალი“ ანუ „ნამგალი“ იმ იარაღს ნიშნავს, რითაც მკიან. ეს სიტყვა სომხებს ჩვენგან მიუთვისებიათ და „მანგალს“ ეძახიან. „ბოლოკი“ ქართულია, რადგანაც დიდი

კუდი და ბოლო აქვს ამ მცენარეს. სომხებს მიუღიათ და „ბღოკს“ ეძახიან. „ბინა“ ნიშნავს სამუდამო ადგილს და „ბანაკს“ ეძახიან. ამ გვარი რამ ბევრია სომხურში და ქართული ვის რათ ჰგონია?! თუ მართლა იმ აზრის არის ბ-ნი მარრი, რომ ქართული სომხურ სიტყვებიდან არის შემდგარი, მაშინ აიღოს ლექსიკონი, მაგრამ ბუნოვის-კი არა, – ივანე ჭირჭიმელის, პეტრიწად წოდებულის, რომელიც X საუკუნეში ცხოვრობდა, ამოწეროს სიტყვები და მაშინ დაინახავს, რა მიგვიღია ჩვენ სომხებისაგან, ან იმათ ჩვენგან და მაშინ გაიგებს, ვის როგორი გავლენა ჰქონია და რა მხრით? მეზობელი ხალხი მეზობლისაგან იმას მიიღებს, რაც იმას აკლია თვითონდა ჩვენც, ისე, როგორც სხვებისგან, სომხებისგანაც გვაქვს მიღებული სიტყვები: „ძუნწი“, „მაჭანკალი“, „ავაზაკი“, „სასტიკი“ და სხვა, მაგრამ ამითი უპირატესობა არ მტკიცდება.

8) ჩვენ გვქონდა „კრებულის“ სტატიაში ნათქვამი, რომ „ქართული ენის სომხურზე ზედ-გავლენას უცხო ქვეყნის მეცნიერები პირ-იქით ამტკიცებენ და ამას ამოწმებს მეცნიერი ორიენტალისტი გატტერიასიც“. ამას ძალიან თამამათ უკიჟინებს ბ-ნი მარრი და ფიცავს: ეგ არ შეიძლებოდაო და არც გატტერიასს უთქვამს არაფერიო. მაგრამ აი, რას ამბობს გატტერიასი: „ქართულის შესწავლით მე ვცან დიდი მნიშვნელობა ამ ენისა სომხური ენის გამოსაკვლევადო და ვიდრე სომხურ ენის გრამატიკას გამოვცემდი, შევუდექი, თვით ედ. დიულორიეს რჩევით, ქართულის შესწავლას იმ განძრახვით, რომ გამომეკვლია: რა ეკუთვნის სომხურში ქართულ ენას? უამისოთ სომხური გრამატიკა მოკლებული იქნებოდა მეცნიერულ საძირკველსა და მეთოდს“.

ამის შემდეგ დიდი გამბედაობაა ბ-ნი მარრის მხრით უარზე დგომა და ჩვენი სიმართლის გატრიზავება, მით უფრო, რომ ჩვეულებრივათ, ისე, როგორც ზემოთაც ვნახეთ ამის ნიმუშები სხვა საკითხების შესახებ, თვითონვე თანხმდება და ამბობს: „ქართულის შესწავლამ ბევრი ვერა შემატა რა გატერიასს და არ ვიცით, რათ ჰგონია, რომ ქართული საჭირო იყოს სომხურის შესასწავლადო. ეს საიდუმლო იმან საფლავში თან ჩაიტანაო“. და სხვ. შემდეგ კი აქვე ამბობს: „მე თვითონ უგატტერასიოთ, ჩემ-

დათავათ, მიველ იმ გამოკვლევამდე, რომ ქართული ენის გავლენა სომხურზე ეჭვს გარეშეაო“ და სხვა. დიდება შენს სახელს, ღმერთო! აბა, ან ჩვენ რაღას გვერჩოდა და ან გატტერიასს?!

9) „ყოვლად შეუძლებელია, რომ ძველ-ნანგრევებზე სომხები ქართულ ზედწარწერას ფხეკდენ და სამაგიეროთ სომხურს აწერდენო. იმათ ეს ჩვეულება არა აქვთო: მე თვითონ ჩემის თვალით ვნახე, რომ ალექსანდროპოლის მაზრის ერთ სომეხს ეპოვნა ქვის ჯვარი ქართული წარწერით და შეენახაო“. საკვირველი გაკერპება სწორეთ ამასა ჰქვიან!.. ჩვენ აქ ჩვენითვალით ვხედავთ და ის კი იქიდან გვარწმუნებს და რაღაც უაზრო საბუთზე გვითითებს, თითქოს არ ესმოდეს ჩვენი ნაწერის აზრი და მნიშვნელობა!.. იქ, ალექსანდროპოლში, სულ სხვა არის და აქ, ჩვენში, კიდევ სულ სხვა. იქ, ვინც ის ჯვარი იპოვნა, რათ უნდა გადაეფხიკა ზედ ნაწერი ქართული, მაშინ, როდესაც კარგათ იცოდა, რომ ის ნივთი ღირებული რამე იყო და შეეძლო გაეყიდა? აქ კი, როდესაც ტაძრებზე და ციხეებზე ქართულ ნაწერებსა შლიან და ბაგრატის, დავითის, თამარის და გიორგის ნაცვლად არშაკ-მარშაკებს აწერენ, ამით ისა ჰსურთ დაამტკიცონ, რომ აქ ადრეც სასომხეთო ყოფილა და იმათი გავლენა არ მოშლილაო. ნუ თუ ეს არ ესმის ბ-ნ პროფესორს და ჰგონია, ჩვენ მხოლოდ იმას ვამტკიცებდეთ, რომ სომხებს ისე სძულდეთ ქართული ნაწერები, რომ სადაც უნდა ნახონ, უმიზეზოთ მოშლიან?! არა, ეს კარგად ესმის ბ-ნ მარრსაც და მიტომაც ბოდიშსა ჰხდის სომხობას: „ამას უმეცარი ნასწავლები შვრებიან და ხალხის რა ბრალიაო?!“ საუცხოვოა თქვენმა მზემ!.. როცა უმეცრები ჩვენ წინააღმდეგ ცუდს ჩადი-ან, მაშინ იძახის ბ-ნი მარრი: „ეგ რა მეცნიერების ბრალიაო?“ როცა მეცნიერები – „უმეცრებმა რა ქნანო?“ როცა ხალხი – „ინტელიგენციას ბრალი არა აქვსო“ და როცა ინტელიგენცია – „ხალხს რა მოეთხოვებაო?“ ამგვარი რამეებით არის გაჭედილი მისი სტატია და, სწორე მოგახსენოთ, თუ არა პირადი ჩვენი პატივის ცემა ბ-ნ მარრისადმი, პასუხის ღირსად არასოდეს არ გავხდიდით ამ აბლაკატურ მრავალ-მეტყველებას. ამიერიდან-კი ამ გვარ რამეებზე ჩვენგან პასუხს ნუ ელის და, თუ სამეცნიერო რამ გამოკვლევით, ისე, როგორც

შეშვენის და ეკადრება მეცნიერს, რომელიმე სიმართლისა და ჭეშმარიტების დასამტკიცებლათ ინებებს მობრძანებას ჩვენს დაჩაგრულ უბანში, მაშინ კი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მივეგებებით, რომ უპასუხოთ არ დავაგდოთ და მანამდის კი მშვიდობით!

1898

სიმართლე

დღევანდელი ქართველი ისე მოჰგავს თავის წინაპარს, როგორც აჩრდილი მის გამომსახავ ცხოველ საგანს:

თუ ერთი ვინმე იხსენიებოდა ძველად, ქართველიც ხსენებულა, რადგანაც ეს სიტყვები: „ჭირსა შინა გამაგრება, ისე უნდა ვით ქვიტკირსაო“ და „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანიო“, მცნებად ჰქონდა გადაქცეული. იყო გულგაუტეხი მებრძოლი, გამბედავი, შემმართი, საოცარი მამაცი და გვარიშვილობის მეძიებელი, მაგრამ სხვაგვარად კი ესმოდა მაშინ „გვარიშვილობა“: „თუ კაცი კაცად არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობაო!“ – ამბობდა. დიახ. ცალ-ცალკე, მაგრამ შეერთებულად ამას გაიძახოდა როგორც აღმოსავლეთი (ქართლი), ისე დასავლეთი (იმერეთი) საქართველოც და ორივე ერთად, მიდიოდა სწორი გზით ხელიხელ ჩაკიდებული. ავიღოთ სამაგალითოდ უახლოესი დრო. მოადგა უეცრად დასაპყრობად და ასაოხრებლად იმერეთს სერასქირი. გვალი-ფაშა ხრესილზე შეჩერდა და იქიდან უთვლის მეფეს: „მეტი გზა აღარა გაქვს, უნდა დამნებდეო!“ შეჯდა ცხენზე და ელვასავით მიაშურა მეფე სოლომონ პირველმა პირდაპირ. იცის, რომ მეომრები გზა-გზა წამოეწევიან, თქმა აღარ უნდა.

მართლა შეიძრა იმერეთი და მესამე დღეს მეფე ჯარით პირდაპირ უდგა მტერს და რაზმებად დაწყობილ ჯარსა ჰყოფს. „მემარცხენე სარდალო! რათ მოგიწყენია? – ეკითხება მეფე აგიაშვილს, – ომში მიმავალს სახე რისხვითა და მხიარულებით უნდა გიღელავდეს და შენ კი...

– უთვალავია მტერი, ბატონო... – ყოყმანით მიუგებს აგიეშვილი.

– უთვალავი?.. ჰმ. კი, მაგრამ ნუ დაგავიწყდება, რომ ისინი მომსვლელები არიან და ჩვენ კი – დამხვდური. შინაურს უცხო ებრძვის!

– ეგ ხომ მანგრეა, მაგრამ ციხე შიგნიდან გატყდებაო! როსტომ ერისთავი საიდუმლოდ მხარს უჭერს [მტერს], იმიტომ აღარ მოგვახმარა რაჭველები და ბიძათქვენი, ლევან აბაშიძე კი თავის საყმო-საბრძანებლით პირდაპირ მიემხრო.

– ეგ ორი?.. არაფერია!.. ჩვენსკენაც ორი იქნება: ღმერთი და ბედი!.. ამ სიტყვებით შევდივარ ხოლმე მომსვლელ მტერზე. აბა ჰე! მზემ არ დაგვასწროს!.. ჰკა მაგათ!.. ასტყდა საოცარი ომი და ჯერ კიდევ მზე არ ჩასულიყო, შუბის ტარზე იყო მიწურული, რომ მეფეს გამარჯვებას ულოცავდენ!.. მოიკლა აბაშიძე და ფაშებიც ტყვედ ჩაუცვივდა ქართველებს (იმერლებს). დატყვევებული გვალი-ფაშაც ძღვნად მოართვეს მეფეს!..

ძაუხვზე თათრის ჯარი სდგას. [სერასფრას] გვერდში უდგია ჩერქეზ-ბატონიც. ჯარის სიმრავლეს ნუღა ვიკითხავთ და მხოლოდ ისა ვსქვათ, რომ სამოცი ზარბაზანი აქვსთ. ეს იმ დროსათვის დიდი ძალაა, მაგრამ გულ-მაგარი მეგრელები ამას არ ერიდებიან და უშიშრად მიდიან პირდაპირ, მით უფრო რომ იმერლები უდგანან გვერდში და წინ მიუძღვის მეფე სოლომონი. ატყდება საოცარი ბრძოლა და გამარჯვება დარჩებათ ქართველებს. იმ სამოც ზარბაზანს დავლად იღებენ სხვათა შორის. გახარებულია დადიანი. ოცდაათ ზარბაზანს უთმობს იმერლებს და მეფეც თითო ოროლას დიდებულებს ურიგებს: თქვენ თქვენი ციხეებიც გაამაგრეთ, რომ მტერმა ვეღარ მოგბედოსთო!..

დასავლეთ საქართველოში (იმერეთში) რომ ეს ამბავი ხდებოდა, აღმოსავლეთში (ქართლი, კახეთი) უარესობაც იყო: ყოველი კუთხით ესეოდა მტერი, მაგრამ ერეკლე, როცა კი მოასწრებდა, საითკენაც მიაშურებდა, მუსრს ადენდა. წვრილები რომ არ ვიანგარიშოთ, მარტო დიდი და შესანიშნავი ომები სამოცზე მეტი აქვს გადახდილი და მათ რიცხვში „ასპინძისაც“, – ასპინძას, სადაც დიდძალ თურქობას მხარს აძლევდენ გამოჩენილი ბელადებიც, თვითონ დაესხა თავზე ერეკლე. სრული დარ-

წმუნებული იყო, რომ იმათ მოსრესდა, რადგანაც რუსის ჯარიც ეხმარებოდა. მაგრამ შეიქნა თუ არა ბრძოლა, რუსის სარდალმა ტოტლებენმა უღალატა, გააბრუნა ჯარი და ტფილისისკენ წამოვიდა. იმავე დროს აღარც მემკვიდრემ მიაშველა კახელები და დაეცა ქართ-კახეთის მეფე მტერს. შემოჰკრეს ქართველებმა და იწყეს ხელჩართული ბრძოლა. „დედა შეირთოს ცოლად, ვინც დღეს ამ ომიდან ცოცხალი გავიდესო!“ – დასძახა მხცოვანმა, მაგრამ ჭარმაგმა სარდალმა.

– „ამინ და კრილეისონო!“ – მიაყვირეს მთიულებმა და ასტყდა ომი. შედეგი საარაკო გამარჯვება იყო!.. წყალში გადაჰყარეს თათრები!.. მტკვარი დამხრჩვალს ველარ იტევდა!!.. ამავე დროს კახელებს გული ჰქონდა გატეხილი; მოსვენება არა ჰქონდათ: ქურდულად ეპარებოდენ ლეკები და ხან აქ, ხან იქ დაეცემოდენ ხოლმე სოფელს. დააძახებდენ ბუკს, ატყდებოდა განგაში: „არიქა, მდევარი!.. ვინ ხართ მამაცი!.. ლეკები დაესხნენ ამა და ამ სოფელს“ და სხვანი... წამოვარდებოდა ზეზე ძილდამფრთხალი მდევარი; ცოლ-შვილი იარაღს მიაწოდებდა, ცხენს შეუკაზმავდა, ისიც ფაცა-ფუცით მოახტებოდა ცხენს და მიაშურებდა მტრისკენ. იმას არ ნაღვლობდა, რომ მარტო ვარო. მდევარი იყო. იცოდა, რომ სხვებიც, მისთანები, იქნებოდენ, წამოეწეოდენ გზა-გზა და თუ დაეწეოდენ მტერს, ნადავლს დააყრევინებდენ. – ამისთანები იყვენ ჩვენი მამა-პაპები და სულტანმაც განასხვავა სხვა ქრისტიანებისგან: ქართველებს ფირმანი ჰქონდათ, რომ უბაჟოდ შესულიყვნენ ხოლმე იერუსალიმში.

მაშინ ყველა გმირი იყო. ასლან ყაფლანიშვილი ჩააბეზღეს მთავარ-მართებელ ერმალოვს, რომ ქართველობს და რუსების არა სწამს რაო!.. ერმალოვმა მოიხმო და უბრძანა, „ხმალი აიხადეო!..“, ასლანს ჯერ ხუმრობა ეგონა, მაგრამ ბოლოს რომ დარწმუნდა, რომ აღარ მეხუმრებიანო, გაუკვირდა და უთხრა: „ეს ხმალი ერეკლეს ნაბოძებია და მის მეტიც ვერავინ ამხდისო!.. თქვენი ეს არის და მიირთვიო“ — მოიხსნა ყელის ჯვარი და დაუდვა წინ სტოლზე. მოთმინებიდან გამოსულმა ერმოლოვმა მიაყვირა: „შენ იცი, რომ მაგ ურჩობისათვის სიკვდილი გეკუთვნისო?“

– ვიციო, მაგრამ არც ის დამვიწყებია, რომ „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანიო!“ – მიუგო დინჯად და შეუპოვრად გაუჩერდა ზრდილობიანად. დღეს კი ერთი წაილაპარაკა პრისტავმა: ქართველობავ, იარაღი აიყარეო და [დანის ერთაც] აღარავისა აქვს მთელს იმერეთში!.. სოფელში რომ ბრაზიანი ძაღლი შეიჭრეს, მომგერებელი არავინ არის!!.. გაიგებენ თუ არა, რომ ამა და ამ სოფელში რამდენიმე რუსი მოდისო, მთელი მაზრა ძრწის! დამტუქსველი რაზმიდან რომ ორი კაზაკი-რუსი შევიდეს რომელიმე სოფელში, კმარა. მთელი სოფლის ენა ჩავარდება და დიდი და პატარა სასოწარკვეთილებას მიეცემა. ის კაზაკებიც, სოფელს რომ ზარი დასცენ და გაამართლონ მათი შიში, გულგრილად უკიდებენ ცეცხლს რომელიმე სახლს. მათთვის სულ ერთია, პეტრეს სახლი იქნება თუ პავლესი, ბრალიანის თუ უბრალოსი, ოღონდ შიშის ქარი კი გაუყენონ საერთოდ სოფლელებს! – იწვება სახლ-კარი, იღუპება ქონება, მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ამავე დროს სახლის პატრონი ჰხედავს, რომ მის დედას შეურაცხყოფას აყენებენ, ცოლს ნამუსსა ჰხდიან, მცირეწლოვან შვილს სასიკვდილოდა ჰხწნიან... ამაებს ყოლიფერს შეჩერებია გულ-ხელ დაკრებილი და ხმაც ვერ ამოუღია, არ მომკლანო!.. „სიცოცხლე ტკბილიაო“, – ამბობს გუნებაში და მალობა ღმერთს, თუ გადავრჩიო!“ ძველი თქმულება: „ერთი ყველასა და ყველა ერთისათვის“, არც კი გაუგონია. პირიქით, მიდის და თავისიანს აბეზღებს!.. ცილსა სწამებს და მით უნდა თავი გადაირჩინოს. სულითა და ხორცით დაცემულა. კაცის კვლა ჩალად მიაჩნია, მაგრამ მხდალია და ვერ ბედავს, სხვას შეჰბედოს. თავისიანს კი, რადგანაც იცის, რომ იმისთვის თავს არ გამოიდებენ, არა ჰზოგავს, მაგრამ აქაც რაგვარად? ათი ან ოცი თუ გაბედავს ერთზე მისვლას და ისიც უიარაღოზე. მიეპარებიან, შორიდან მოკვლენ და ეს მიაჩნდათ ვაჟკაცობად!.. ერთი სიტყვით, დღეს ჩვენი ძველებური ვაჟკაცობა „კუდაბზიკობად არის გადაქცეული და ადამიანობა – ნაცარქექიობად“...

ასე გარდაიქმნა ხალხი სულ ერთი საუკუნის განმავლობაში და ვისი ბრალია ეს? – რუსეთის ბიუროკრატიის და მისი მმართველობისა ჩვენში. მაგრამ სანამ ამის დამტკიცებას შევუდგე-

ბოდეთ, ცოტა უნდა გადავუხვიოთ განზე, მივმართოთ ისტორიას და მერე ისევ დავუბრუნდეთ ამ საკითხავს.

უხსოვარ დროიდან მისთანა ხალხი არ გამოჩენილა, რომ საქართველოს არ დაძგერებოდეს და დამხობა მისი არ მოენდომებიოს. და ეს სასტიკობა იმითი იყო გამოწვეული, რომ საქართველო საკუთრის ელ-ფერით ერთხელვე [არჩეული] გზით მიდიოდა და არავის ემორჩილებოდა, რომ მის ზნე-ჩვეულებას გადაჰყოლოდა. საბერძნეთმა, ასურეთმა, ბაბილონმა, არაბეთმა, რომმა, ვიზანტიამ, და ბოლოს, მონგოლებმა, თათრებმა ბევრჯელ მოაოხრეს და გადალეკეს ხოლმე სტიქიონურის ძალით, მაგრამ ხანგრძლივად შიგ ფეხის მოკიდება მაინც ვერ შეიძლეს და მთებში დროებითად შეხიზნული ქართველობა მტრის წასვლის შემდეგ ჩამოდიოდა ბარად და ძველ შტოებზე ისევ ამოიყრიდა ხოლმე ახალი ქართველობა, მაგრამ შორეულებმა ის ვერ მოახერხეს, რაც მეზობელმა სპარსეთმა დღე დააყენა!.. ყაენე-ბი მოსვენებას არ აძლევდენ!! შაჰ აბაზი პირველი დარწმუნდა, რომ იმ ხალხის დაპყრობა, რომელსაც თავისი ეროვნება რჯულში განუხორციელებია, ძნელია, თუ რჯული არ გამოეცვალა და მოინდომა დედა-მიწის პირიდან მათი ამოფხრობა და საქართველოს სიმაგრეების კი თვითონ დაჭერა. ტყვედ წაყვანილ ქართველებს სპარსეთში გზავნიდა გადასასახლებლად და იმათ ნაცვლად საქართველოში თათრებს ასახლებდა. განახევრდა ქართლ-კახეთი, მაგრამ არც ეს ნახევრობა იშლიდა თავისს ქართველობას!.. მით უფრო, რომ დასავლეთ საქართველო ამოღებული ჰყავდა მიზანში სტამბოლს, რითაც დროზე სარგებლობდენ იმერლები და სპარსელებსაც სურამს იქით ფეხის გადადგმაც არ შეეძლოთ. მართალია, მრავალი საუკუნოების განმავლობაში, ამ უბედურ ყოფაში იყვენ ქართველები, მტერს იგერიებდენ, მაგრამ თავისი სამეფო და საკუთარი ელფერი არ დაუკავრგავთ, სანამ რუსებზე არ მიდგა ჯერი. რუსების პოლიტიკამ კი ბოლო მოუღო მრავალტანჯულ საქართველოს.

პეტრე დიდმა ჩვეულებრივის შორსმჭვრეტელობით გადაიწყვიტა გუნებაში, რომ თუ რუსეთმა ფეხი არ მოიკიდა აზიაში, მარტო ევროპიაში ხეირი არ დაეყრებაო და კიდევაც გაილაშქრა დარუბანდისაკენ. უნდოდა სპარსეთს დაახლოებოდა და

ზოგიერთი ადგილები კიდევაც დაიჭირა კასპიის ნაპირებზე... მაგრამ ადგილობრივმა ბუნებამ უმტყუნა და იძულებული გახდა ჯერ-ჯერობით შეეჩერებია განძრახვა. – ეკატერინე მეორე, რომელიც სცდილობდა ყოლიფრის შეხედვას პეტრეს თვალით, მიხვდა, რომ აზიაში ფეხის ჩასადგმელად კავკასიონის დაპყრობაა საჭირო. იმას კი ისე ვერ დაიპყრობს, თუ საქართველო ან მტრობით და ან მოყვრობით არ ჩაიგდო როგორმე ხელში. მაგრამ სამტრო მიზეზი რომ არა ჰქონდა რა, მელური მოყვრობა მოინდომა!.. ღენერალ-პორუჩიკმა პოტიომკინმა ითხოვა მეფე ერეკლეს ქალი, ანასტასია ბატონიშვილი და პირობასა სდებდა, რომ დუშეთში დაესახლებოდა, ჩამოიყვანდა რუსის ჯარს და დარიალის ხეობას გაამაგრებდა, რომ მტერი ვეღარ შემოსულიყო. აქ განძრახვა სულ სხვა იყო: უნდოდა, რომ გახსნილი გზით შემოეყვანა რუსები საქართველოში, რაც ძალადობით შეუძლებელი იყო! – მეფე მიუხვდა ამ ვერაგულ განძრახვას თუ იუკადრისა: უბრალო გენერალი როგორ მიბედავს ქალის თხოვასო, უარი შეუთვალა და აღარ მოხდა საქმე. მაშინ რუსეთი სხვა გზას უნდა შედგომოდა, რომ განზრახული აზრი სისრულეში მოეყვანა და კიდევაც მალე მიეცა შემთხვევა.

თითქმის სასოწარკვეთილებამდე მისული საქართველო ხელახლად ისევ გამოაბრუნა ერეკლემ. ამ „პატარა-კახმა“ []* სამეფო და იმდენად შეზღუდა სპარსეთი და ოსმალეთი, რომ ისინი იძულებული გახდენ, შუღლი შეეწყვიტათ საქართველოს მეფეებთან და სამეგობრო კავშირი დაეჭირათ. აი, მაშინდელი სრული ტიტული ერეკლე მეფისა: „მეფე ქართლ-კახეთისა, მემკვიდრე და მფლობელი სამცხე-საათაბაგოსი, მთავარი ბორჩალოსი, მთავარი [],** მთავარი შირვანისა, მთავარი და მფარველი განჯისა, ერევნისა და სხვათა მთავართა. აქედანა სჩანს, რომ მან აღუდგინა ძველი, თვითქმის, დაკარგული დიდება საქართველოს. იმავე დროს დასავლეთ საქართველოში ჰმეფობდა სოლომონ-დიდი, კაცი სახელგანთქმული და შორსმჭვრეტელი, რომელიც მხარს აძლევდა ქართლ-კახეთის მეფეს – ერეკლეს და ოსმალებსაც საქმეს უჭირვებდა. ერთი სიტყვით,

* სიტყვა არ იკითხება.
** სიტყვა არ იკითხება.

საქართველოს მდგომარეობა იმ დროს გამოვარგისებული იყო. სწორეთ იმ დროს რუსეთმა გამოუცხადა ომი ოსმალეთს და ეკატერინე მეორემ მინისტრ ნიკიტა პანინის პირით შემოუთვალათ საქართველოს მეფეებსაც: „თქვენ როგორც ერთმორჯულე ჩემი და ჯვრის თაყვანისმცემელნი, ვალდებული ხართ გასწყვიტოთ ყოველივე კავშირი მაჰმადიანებთან და ომი გამოცხადოთ მათ, რომ ჩვენ, საქრისტიანო სამეფოები ამიერიდან ხელიხელ მიცემული ვიდოდეთ ერთის გზითა“. საქართველოს მეფეებმა ვერ წარმოიდგინეს, რომ მეფური სიტყვა გატყდებოდა და პოლიტიკაც ხშირად სიმართლეს ღალატობს, დაიჯერეს ეკატერინეს აღთქმა, გასწყვიტეს კავშირი, გამოუცხადეს ომი ოსმალეთს და კიდეც გაებენ მახეში. მართალია, მაშველი ჯარი რუსებისა ჩამოვიდა საქართველოში ტოტლებენის წინამძღოლობით, მაგრამ რაც მაშინ იმ ტოტლებენმა ჩაიდინა, დაფარული აღარ არის: „ასპინძის ომში“ უღალატა მეფეს და გამობრუნდა, ხუთი თვე ადგა შორაპნის ციხეს და ვერა გააწყო რა, სადაც (16) თექვსმეტი თურმე მეციხოვნე იყო და მეტი არა. ეს მერე გაიგეს, როცა სოლომონმა იერიში მიიტანა მარტო იმერლებით და ერთ დღეს აიღო; ქუთაისში რომ ჩავიდა ტოტლებენი, []*-დან ზარბაზნები დაუშინა ქალაქ ქუთაისს და შესანიშნავი შენობა ბაგრატის ტაძარი მაშინ დაანგრია და გაუდგა გზას ფოთისკენ. გზათ მიმავალმა გეგუთის ნაციხვარში შეიყვანა ჯარი და ღამე გაათევინა და მერე მიადგა ფოთს, რომ ზღვით წასულიყო, მაგრამ აქაც დიდ-განსაცდელში [აღმოჩნდა] კოღოებმა, ცივებამ დასცადა და ნახევარზე მეტი [...] მეგრელებს ჩაუვარდათ ხელში. სწორეთ იმ ხანებში ფილოსოფოსი ვოლტერი წერილით ულოცავს ეკატერინეს, რომ შენი ჯარი და სარდლები იმარჯვებენ საქართველოში და საოცარი ციხე გეგუთი აუღია ტოტლებენსო. – ეს კი არაფერია, ტოტლებენმა ეკატერინე მოატყუა და ვოლტერმაც ეკატერინეს დაუჯერა და გეგუთის უბრალო ციხე მეორე გიბრალტარი ეგონათ. საქმე ის არის, რომ ცხადათა სჩანს რუსების განძრახვა: საქრისტიანოს მოხმარება კი არ ედვათ გულში, საქართველოს როგორმე ხელში ჩაგდება უნდოდათ, რომ მოეხერხებინათ და ამიტომაც ჩაუგდეს მარტოკა ხელში

* სიტყვა არ იკითხება.

თათრებს. მაშინდელი პოლიტიკური მოსაზრება რუსეთის ის იყო, რომ საქართველო დაუძლურებულიყო და იძულებული გამხდარიყო ძალა-უნებურად მიემართნა რუსეთისთვის. 1795 წ. ხოჯა ხანის შემოსევა და ტფილისის აოხრებაც ამ აზრით იყო გამონწვეული; ციხე შიგნიდან გატყდებაო, ტყუილა კი არ არის ნათქვამი!.. საქართველოს დამცირებას მაშინ რომ ერთი მხრით რუსეთი უცდიდა, მეორე მხრით ისინი სცდილობდენ დამხობას, ვისაც მის ნაოხარზე უნდოდა თავისი აეგო. მაგრამ ტფილისის აღება კიდევ არ ნიშნავდა საქართველოს საბოლოოდ დამხობას. ჯერ ერთი, რომ ხოჯა-ხანს არ შეეძლო სურამს იქით, იმერეთისკენ, სადაც ორი წილი საქართველო იყო, ფეხი გადაედგა და მეორე ის, რომ თვით ქართლ-კახეთიც დაუპყობელი დაურჩა ხოჯა ხანს და სიჩქარით გაბრუნდა სპარსეთისაკენ. და მეორედ რომ წამოვიდა დასაპყრობლად, გზაში მოკლეს. ამ დროს გარეგან მოუსვენარობას, შინაგან განხეთქილებას და ერეკლეს ღრმა მოხუცებულობას ზედ დაერთო სნეულებაც და ყოველივე ამან იქამდი მიიყვანა გმირი მეფე, რომ მოასურვა რუსეთთან შეერთება, მაგრამ ისეთი კი არა, როგორსაც დღეს ვხედავთ. იმას უნდოდა, რომ სამეფო ხელ-შეუშლელი ყოფილიყო და მხოლოდ საგარეო პოლიტიკაში დამოჩილებოდა რუსეთს. ეს სურვილი კიდევაც მოიყვანა სისრულეში მისმა მემკვიდრემ, გიორგი XII[მ] 1800 წელს. მაშინ რუსეთსა და საქართველოს შუა დაიდვა ფიციანი-მტკიციანი ხელშეკრულობა, რომლის ძალითაც უნდა დაკმაყოფილებულიყო ორივე მხარე. ეს პირობა მეფემ და ზოგიერთა დიდებულებმა შეჰკრეს რუსებთან, ხალხს არც კი გაუგია და მიტომაც ხალხში ამბოხება მოხდა, მაგრამ რაღა დროს, რომ რუსობამ ჩვენში ფეხი მოიკიდა და ძალადობაზე დადგა... რა პირობა? რისი პირობა? რაც ჩვენ გვსურს, ის უნდა მოხდესო. დაუწყეს ნგრევა საუკუნოებით დაწესებულ წეს-წყობილებას ჩვენში, რომ მათი სახსენებელიც აღარ ყოფილიყო და შეუდგენ ახალს, თავისას. მას აქეთ სწორეთ ერთი საუკუნეა და ხალხმაც იდღესასწაულა, ვითომ, ეს ბედნიერი მოვლენა, შეერთება, მაგრამ რას ვანბობ, როგორ თუ ხალხმა? ორმილიონ ხალხში – მხოლოდ რამდენიმე ასმა კაცმა თუ იტლინკა და ისიც ღენარლებმა და გარუსებულებმა. ხალხს მონაწილეობა არ მიუღია! მაზრის

უფროსებმა მოახსენეს მთავრობას, რომ ხალხს სიხარულში არ მიუღია მონაწილეობა, ერთი ზარიც არ დაკრულა, რომ პარაკლისი ვისმეს გადაეხადოსო! ასე... ის გული ხალხის მართალი იყო და ან კი რა მართებდა ქართველ ხალხს სასიხარულო, რომ ასი წლის განმავლობაში რუსების ხელში უკან-უკან შედიოდა... რუსეთი ჰხედავდა, რომ ის ხალხი, რომელმაც რჯულში ეროვნება განიხორციელა და იძახის: „ჭირსა შინა გამაგრება ისე უნდა ვით ქვითკირსაო!“, ძნელი დასამონებელია, სანამ სარწმუნოება არ ჩამოერთმევა და ზნეობითად არ დაეცემაო. ეს განიძრახა და ხელი შეუწყო მის დაცემას. ცხოვრების ყოველგვარი სარბიელი დაიჭირეს რუსებმა ხელში და ხაფანგად მოუწყვეს ხალხს, რომ რჯული, აღზრდა, სამჯავრო და სხვა ყოლიფერი მიტომ უნდოდათ, რომ ხალხში სული მოეკლათ და მერე უფრო ადვილად გაერუსებიათ. და თუ ეს აღარ მოხერხდებოდა, ქართველობა [ამოეფხვრათ] და მათ ადგილზე რუსები დაესახლებიათ. ავიღოთ მაგალითები:

1) [ახალი] რჯული

ზემოთაც გვითქვამს, ქართველობამ სარწმუნოებას შეუკავშირა ეროვნება. ერთი მეორეს შეუსისხლხორცა, ძველად ქართველი ჰნიშნავდა ქრისტიანს და ქრისტიანი ქართველს. მაჰმადიანთა რჯულის დევნამ უფროც გაამტკიცა რჯული და მასთანვე ერთად ეროვნებაც. ასე რომ, რუსეთს ჩაბარდა ეკლესია გასპეტაკებული და შეუბღალავი და თანაც გულ-გაუტეხელი ერი, მართალის და სწორის გზით მიმავალი. ხალხს რომ გარეშე მტერი მოშორდებოდა რუსეთის მეოხებით, როგორი [აქაურების] იმედიც იყო, მაშინ ქართველობა იმ ძალასაც, მტრის მოსაგერიებლად რომ ხარჯავდა, შინაურ მოძრაობაში დახარჯავდა და დღეს დიდად დაწინაურებული იქნებოდა, მაგრამ ეს ეწინააღმდეგებოდა გარუსების პროგრამას და სულ სხვა გზაზე დააყენეს ქართველები. ეროვნების დასავიწყებლად უეჭველად რჯულიც უნდა დაევიწყებინათ და კიდევაც შეასრულეს თავისი. დღეს ქართველი ურჯულოა: აღარ სწამს ეკლესია, მსოფლიო კრების დადგენილება, ყველა დაივიწყა და ეროვნებაზედაც

გაგულგრილდა. წყალი ერევა ცეცხლს, მაგრამ თუ ცეცხლმა წყალი მიიმწყვრია როგორმე, ცუდად ააატირებს!.. სწორეთ ისეა გულიც: გული ერევა კუჭს, მაგრამ თუ კუჭმა როგორმე ეშმაკობით ხელში ჩაიგდო ერთხელვე გული – მორჩა, გათავდა! რას არ აქმნევინებს. ქართულ ეკლესიას დიდ-ძალი საკუთრება, დიდძალი ქონება ჰქონდა, ასე რომ, არა თუ თვითონ ჰყოფნიდათ, ზურგ-მომაგრებული ქვრივ-ობლებსაც ეწევოდა. ის ქონება სახელმწიფომ ჩამოართვა. დღეიდან თვითონ მე ვუპატრონებ ქართველ სასულიერო წოდებასაო. გადააყენა მსოფლიო კრებისაგან დადგენილი კათალიკოსი და მის მაგიერად დააყენა რუსი-ეკზარხოსი, მისცა პროგრამა ახალი და მიანიჭა ძალაც. მათი პროგრამა იმაში მდგომარეობდა, რომ ძველი ყოლიფერი დაევიწყებია ხალხისათვის!.. ქართული სახარება უწმინდურია, რადგანაც ძაღლის ენაზეა დაწერილიო, – ამბობდენ, – ქართველებს წმინდანები ვინ მისცა, მათი ეკლესია რა ეკლესიაოო და სხვანი! – სემინარიაში და სასულიერო სკოლებში ქართული მოსპობილ იქნა. ქართულად წირვა- ლოცვა უნდა მოესპოთ და ნაცვლად შემოეღოთ „სლოვიანი“, რომელიც თვით რუსებსაც არ ესმისთ.

ათას გვარ საგულისხმო მაგალითიდან მოვიტანთ ერთს და ისიც საკმარისი იქნება, რომ ჩვენი ჰაზრი დაასაბუთოს. წინათ ქართველებს ისეთი შიში ჰქონდათ და პატივის ცემა საყდრისა, რომ, არა თუ თვით ეკკლესიაში, გალავანშიაც რომ გდებულიყო ძვირფასი რამ, ვერავინ გაბედავდა ხელის მოკიდებას და გამოტანას. ამ ოცდა ათის წლის წინეთ გელათი გაიძარცვა და იმას მოჰყვა სხვა საყდრებისა და მონასტრების ძარცვაც. სამკაულები გამოჰქონდათ და ცხადათ მიჰქონდათ. იმავე დროს ჩვენში არსდებოდა „ქრისტიანეთა [აღმდგენლების] საზოგადოება კავკაზიაში“ და ბევრიც მონათლეს აფხაზეთსა და სვანეთში, როგორც მათი ანგარიშიდანა სჩანს. – ნათლიდენ და ძალიან მაგრათაც: რადგანაც ახალმონათლულს ეძლეოდა მონათვლის დროს რამდენიმე აბაზი და ერთი ჯვარი, ერთი და იგივე პირი თურმე ათჯერ და ოცჯერ ინათლებოდა სხვა და სხვა სახელით და ერთი ათად და ოცად გამოდიოდა ანგარისში. სვანეთში და აფხაზეთში, მაგალითად, გამოდგა ახლად გაქრისტიანებული (თუმცა ქრისტიანები იყვენ ადრევაც), რომ მცხოვრებთა

რიცხვს ერთი სამად აღემატა. – ამ საზოგადოებამ, რომელიც ამგვარ ანგარიშს ადგენდა, რასაკვირველია, დაიმსახურა სინოდის ნდობა. ამ საზოგადოებამ სხვათა შორის ურჩია სინოდს, რომ ქართული ეკლესიებიდან გამოეტანათ ხატებისადმი შეწირული სამკაულები, გაეყიდათ, ფულად ექციათ და სხვანი. – სინოდმა ნება დართო და სინოდის კანტორამაც გამოაცხადა მათი გაყიდვა. ჰყიდდენ ოქრო-ვერცხლს, ბეჭდებს, საყურეებს, ხატებიდან ამონაძრობ თვლებს, [–]* ყდებს და სხვანი... ამ ნივთების ყიდვა ყველას შეეძლო, რა რჯულისაც უნდა ყოფილიყო, ოღონდ ფული კი მიეცა. – პირველად ამან ძალიან გააოცა ხალხი, იმას ჰხედავდა, რაც თათრების შემოსევის დროს იშვიათი იყო, და სასწაულს ელოდა: ეკკლესია მოიგერებს მის გამძარცველებსო, მაგრამ დრომ გაიარა და ხმა ვერავინ ამოიღო, ნელ-ნელა შეეჩვია. იფიქრა, რომ ალბათ არ ჰქონია საყდარს ძალა, თვარა როგორ გააგლეჯინებდა თავსო?.. ტყუილი ყოფილა ყოლიფერიო და თვითონაც მიჰყო ხელი. დღეს საყდრებს მცველები აყენია და ქურდებს ზარების რეკით აფრთხობენ. ეს მაშინვე წინდაწინვე [დასანახავი] კი იყო, რომ ეს შედეგი უნდა მოჰყოლოდა უწმინდესი სინოდის განკარგულებას, მაგრამ ცენზურა კრიჭაში იდგა და ვის ამოაღებიებდენ ხმას? ახალი მოძრაობა რომ შემოვიდა რუსეთში, ქართველმა ეფისკოპოსებმა გაბედეს და უკმაყოფილება გამოაცხადეს. მათმა წარმომადგენელმა ეფისკოპოსებმა ლეონიდმა და კირიონმა ხმა აიმაღლეს სინოდში და მოითხოვეს ავტოკეფალია, ესე იგი, საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა. მაგრამ ეს ჩამოშორებას კი არ ჰნიშნავდა! არც [წვალებლობა] შემოდიოდა ქართველების ეკლესიაში და არც რუსეთს უარსა ჰყოფდენ. მხოლოდ უნდოდათ, რომ თავისი შინაგანი საქმე ასე გაფუჭებული ეკზარხოსების ხელში, როგორმე თვითონვე შინაურულად მოეწესრიგებინათ და მით ქრისტიანობა გამოებრუნებიათ. – ამ გვარ მოთხოვნილებას წინ არა დაუდგებოდა რა, მაგრამ ბიუროკრატიამ იტკიცა — შეხტა და შემოტრიალდა... ძველი უფლების დაკარგვა არ იამა ბიუროკრატიას და მიჰმართა ჩვეულებრივ სახრიკო [–].** ვოსტორგოვის მოწაფეები დატრი-

* სიტყვა არ იკითხება.
** სიტყვა არ იკითხება.

ალდენ ჩვენში. მღვდლებს ეუბნებოდენ: კაცო, რამ გადაგრიათ, ცეცხლში რად ვარდებით? დღეს ხომ პენცია და ჯამაგირი მთავრობისგან გეძლევათ? ავტოკეფალია რომ მოგეცეს, მაშინ ხომ მოგესპობათ და ცოლ-შვილი შიმშილით გაგიწყდებათო!.. – კი, მაგრამ მაშინ იმ ჩამორთმეულ ძველ საეკლესიო მამულებს ხომ დაგვიბრუნებენო, აი, მაგალითად, როგორც სომხებს დაუბრუნესო? აძლევდენ პასუხს. არაო, – განაგრძობდენ მქადაგებლები – ოდესმე ეგება დაგიბრუნონ, მაგრამ ეს ამბავი დიდხანს გასტანს, ბევრი წყალი ჩაივლის და თქვენ თქვენი დაგემართებათო... ამან მართლა ჩააფიქრა ზოგიერთები და იმათაც წამოაყრანტალეს: არ გვინდა ავტოკეფალია, ისევ ასე უნდა დარჩეთო... თუმცა ეს ზოგიერთები ცოტა არიან ჩვენში და მათ ნათქვამს რა ყურადღება უნდა მიექცეს, მაგრამ რუსეთის ბიუროკრატიამ კი ხელი ჩაჰკიდა და ამბობს: აი, ყველას არა ჰსურს... და მეც არა ვარ დარწმუნებული, რომ ავტოკეფალია ქართული ეკკლესიისათვის საჭირო იყოსო... „მიზეზ-მიზეზაო, დოს მარილი აკლიაო“, ამისი არ იყოს, თორემ ის ზოგიერთები რა სახსენებელი არიან მაშინ, როდესაც მთელი ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამღვდელოება ავტოკეფილიას თხოვილობს? თვით იესო ქრისტემ თორმეტი მოციქული აირჩია და იმ თორმეტში ერთი გამცემელი, იუდა, გამოდგა. მაგრამ ამითი ქრისტიანობა უარსაყოფელი არ გამხდარა!.. ერთი და ორი იუდა რომ რამდენიმე ათასში გამოერიოს რა სათქმელია? მაგრამ ეჰ... რაცა ვსქვით, ისიცა კმარა... და ახლა გადავიდეთ მეორე მაგალითზე... შვილების აღზრდაზე, სასწავლებლები რომ გამართეს ჩვენში და ახალთავობის აღზრდა ჩაიგდეს ხელში, მაშინ შემოიღეს მისთანა ანტიპედაგოგიური წესები, რომელიც მხოლოდ გრძნობა-გონებას უხრწნიდა ახალგაზდებს, რომ უფრო მალე გარუსებულ იყვენ. მათი ცდა ის იყო, რომ დედაენა მოესპოთ ყველგან, დაევიწყებიათ წარსული, შეეგონებიათ, რომ მთელი ჩვენი წარსული, ორი-სამი ათასი წლის განმავლობაში, უგნურებისა და უბედურების მეტი არა ჰყოფილა რა და მხოლოდ გარუსებას შეუძლია ჩვენი გამობრუნება!.. ვისაც დედაენა დავიწყებული ჰქონდა და რუსულსაც მოსკოვურად გამოსთქვამდა, ის იყო მხოლოდ მოსაწონი. საგნებსა და მათ შესწავლას ყურს არავინ ათხოვებდა. ქართველ-

მა პედაგოგებმა იუცხოვეს, ბრძოლა იწყეს, მაგრამ რა გამოუ-ვიდოდათ, მაშინ როდესაც ყოველგვარი დაწესებულობა ხელი-ხელჩაკიდებული მოდიოდა? დაჰყარეს იარაღი და მოიდრიკეს ქედი. მხოლოდ ზოგიერთებმა სთქვეს: „არარაობას ცალ უღელი ხარი სჯობიაო“ და შეუდგენ საქმეს, ეგებო ცოტას მაინც გამ-ოვრჩეთ და ქორს რომ წიწილი მიაქვს „ჰაუ! ჰაუ! მაინც შევაძა-ხოთო!.. რაც ერთმა მათგანმა იაკობ გოგებაშვილმა ჩაიდინა და აიტანა, მხოლოდ რომ საარაკოა. ამ ყველასაგან ნიჭიერ პედა-გოგად ცნობილმა კაცმა სახელმძღვანელოც კი ბევრი შეადგი-ნა, მაგრამ ადგილობრივმა მთავრობამ ვერ შეხედა კარგად და მის ჭეშმარიტ პედაგოგობას ფარისევლობა დაუყენა წინ: ერთ უნიჭო სახალხო დირექტორს შეადგენია სახელმძღვანელოდ მუნჯური მეტოდი და მითი დაუწყო ტანჯვა ახალგაზრდობას. სიტყვა რომ აღარ გავაგრძელოთ, მოვიტანთ მხოლოდ ერთ მაგალითს, თუ სანამდი მიაწია ადგილობრივმა მელიაობამ: 1871-ში საქართველოში ჩამობრძანდა ხელმწიფე-იმპერატორი და სიტყვიერად განაცხადა სურვილი: „რაც უნდათ ქართვე-ლებს, მთხოვონ და მეც ვეცდები ასრულებასო“. მესამოცე წლების მოღვაწეებმა მოინდომეს ეთხოვათ უნივერსიტეტი და ან სხვა რამე მაღალი სასწავლებელი, მაგრამ მაშინდელი მთა-ვარ-მართებლის კანცელარიის მართველი, ბარონ ნიკოლაი გახ-და ამის წინააღმდეგი; მოიხმო დამსახურებული ღენერლები და ურჩია მათ, რომ ამგვარის თხოვნით არ შეეწუხებიათ ხელმწიფე და ეთხოვათ მხოლოდ „კადეტების კორპუსი“ ტფილისში. – რა განძრახვა იყო და რა ენაღვლებოდა ბარონს, რომ მაღალი სას-წავლებელი დაარსებულიყო ტფილისში? იმ ტიპის დაბალ სას-წავლებელს, როგორიც [არის კადეტთა] კორპუსი, ხომ უმისო-თაც აპირობდენ იმხანებში და თხოვნა რაღა საჭირო იყო?.. ამის მიზეზს აგიხსნით, მაგრამ ჯერ კი უნდა გადავუხვიო განზე.

ერთხელ მეგრელიის თავადმა გამასინჯვია მისი ბიბლიო-ტეკა და წერილებში სხვათაშორის ვასილ ოსიფიჩ ბებუთოვის წერილიც შემხვდა შემდეგი შინაარსის: „[მამაო] დავით – სწერ-და დავით დადიანს – შენ მოგისურვებია, რომ დავით აღმაშენ-ებლის მიბაძვით წელიწადში ორმოც-ორმოცი ახალგაზდა მე-გრელი გაგზავნო ხოლმე უცხოეთისაკენ სწავლა-განათლების

მისაღებად და რჩევას მე მეკითხები? რა უნდა გირჩიო მის მეტი, რომ გონს მოხვიდე?! – ვირი რომ რაშად გადაიქცეს, თავს აღარავის გაახედნიებს. დღეს თუ შენ მთავარი ხარ, ბატონი და მეგრელებიც გემორჩილებიან, ეს იმიტომ, რომ არა იციან რა და რაღაი კი შენ განათლებას შეიტან სამეგრელოში, მაშინ შენს მთავრობასაც უნდა გამოეთხოვოო“. სწორეთ ამ აზრის იყო ადგილობრივი რუსობაც იმ დროს საქართველოს შესახებ და ბარონ ნიკოლაიმაც იმ განძრახვით არ მოისურვა ტფილისში მაღალი სასწავლებელი! – ეჰ, ასე იყო, თუ ისე, ახლა რაღა დროს გამოდგომაა, მაგრამ ისე კი მოხდა მაშინ, რომ ქართველობა ორად გაიყო: ზოგს უ ნდოდა მაღალი სასწავლებელი და ზოგიც, ღენარლების აყოლით, კორპუსს სჯერდებოდა. და საერთოდ გადასწყვიტეს: როგორც ახალი თაობიდან, ისე ძველიდანაც უნდა არჩეულ იყო ოთხ-ოთხი კაცი და იმათ მინდობოდა საქმე. – ახალი თაობის მხრით იყო ი. თარხნიშვილი, აკადემიკოსი, მაშინ ახალგაზდა და დროებით ჩამოსული ჩვენში. ხმები თანასწორად გაიყო, მაგრამ ძველთაობამ გადაიყვანა თავისკენ ახალ-თაობის წევრი ბ. ღოღობერიძე და ხმის უმეტესობით კორპუსის დაარსება ითხოვეს. – ამ კორპუსში მარტო მკვიდრი ქართველობა უნდა მიეღოთ ხოლმე და არც ეს ეჭაშნიკათ რუსებს. მართალია, მეფური სიტყვა არ გატყდება, მაგრამ თავს კი შემოევლება და აქედან შეეკითხენ უმაღლეს მთავრობას: „მკვიდრებად, მარტო ქართველები ვიგულისხმოთ, თუ ის რუსებიც, რომელნიც საქართველოში დაბადებულან და გაზდილანო?“ – რუსებიცო! – მოუვიდათ პასუხი. – ეს კეთილი, მაგრამ იმ ჩინოვნიკებმა რაღა ქმნან, რუსეთიდან რომ ცოლ-შვილით ჩამოდიან საქართველოშიო? მათი შვილები მივიღოთ კორპუსში, თუ კარე-ბი დაუკეტოთო? – მიიღეთო! მოუვიდათ ბრძანება. – ესენი რომ [გაირიგეს], მაშინ აქვე შეუდგენ სხვა გვარ ხრიკს: დიდი მოთხოვნილებაა და საკონკურსო ეკზამენები უნდა დავნიშნოთო!.. დანიშნეს და, რასაკვირველია, ქართველს, თუ მისი დედ-მამის ოჯახი გადარჯულებული არ იყო, არ იღებდენ. – ეს ერთი მაგალითიც საკმარისია მის დასამტკიცებლად, თუ როგორ მიჰყავდათ ჩვენში სწავლა-განათლება ამ ასის წლის განმავლობაში. – გრძნობა-გონება გალაყებული ქართველობა დაეცა სულით და

დაადგა გადაგვარებას, ესე იგი, თვით არსებობის მოსასპობელ გზას. – გადავიდეთ მესამე მაგალითზე – სამსჯავროებზე.

რუსეთმა რომ ახალი რეფორმები შემოიღო თავის სახელმწიფოში, საქართველოსათვის გადაასხვაფერა ზოგიერთი რამ კანონი, ვითომდა იმ განძრახვით, რომ ადგილისა და ისტორიულის შესაფერად მიუდგესო, მაგრამ მთავარი ნიშანი სულ სხვა იყო: გარუსება და გარუსება!! მეტი არა ფერი!.. – მაგალითად, შიდა რუსეთში მსაჯულს ხალხი ირჩევდა თავისთვის, აქ კი, ჩვენში მთავრობა ნიშნავდა, რომ სადავე არ გაეშვა ხელიდან. – იქ ნაფიცი არჩეული მსაჯულები იყვენ, აქ მთავრობა ნიშნავდა, და ნიშნავდა მისთანაებს, რომელთაც ჩვენი ქვეყნისა და ხალხის არა გაეგებოდათ რა!.. იქ ყველას შეეძლო თავის დედაენაზე შეეჩივლა მსაჯულისათვის, რაც აწუხებდა და გულში ედვა. აქ კი უეჭველად უცხო ენაზედ, რუსულათ გადაეცა და თუ თვითონ ვერ მოახერხებდა, სხვა ვინმე ეშოვნა მის მაგიერ მოლაპარაკე და საჩივარიც რუსულად ყოფილიყო დაწერილი. ამ გარემოებამ ისეთ ცეცხლში ჩაჰყარა ხალხი, რომ ქვეყნის მცარცველ აბლიკატებს უნდა ჩავარდნოდენ ხელში, რადგანაც ნაფიცი ვე-ქილები თვითო-ოროლა გროშისთვის არ წამოჰყვებოდენ [მთხოვნელებს]. ამან გააღარიბა ხალხი და მიიყვანა იქამდი, რომ სამართალი აღარა სწამდა და უკუღმართობის მონა გახდა. სუდისაგან გამართლებული, შეეძლო ადმინისტრაციას თავისთავად გაეგზავნა ციმბირში... დაეკარგა. კიდევაც ბევრი ჩა-იდინა ამისთანა საქმე. – ჩვენ აქ სამი უმთავრესი ცხოვრების სარბიელი მოვიტანეთ სამაგალითოდ, მაგრამ ყოველგვარი სარბიელი, წვრილმანიც კი, მახედ ჰქონდა ხალხს დაგებული. ყველას ერთად საოცარის [იეზუიტურის] შეთანხმებით მიჰყავდა ერთი გზით, რომ გარუსების კარამდი მიეყვანა. და ამ გვარმა, მთელი საუკუნის, მეცადინეობამ წეს-წყობილებაშიც უნაყოფოდ არ ჩაიარა: ხალხი დაეცა სულით, ხორცით და გაირყვნა. – მისი გამობრუნება, მხოლოდ იმას შეუძლიან, რომ ისევ ისე გაქართველდეს და რაც საუკუნოებით კეთილშესისხლხორცებია ადვილად არ [გაიშოროს]. ჯერ უნდა სულითა და ხორცით ამაღლდენ ისევ, რომ მერე, თუ სასარგებლოდ დაინახვენ, კიდეც შეეკავშირონ რუსებს ძალა დაუტანებლად. ეკლესია უნდა

დამოუკიდებელი იყოს და თვითონ მოუაროს თავის თავს, რომ ეს ასი წლის უკულმართობა გამოასწოროს. სწავლა-განათლება უნდა იმ ენით დავიწყოთ, რომელიც უფრო ესმის, დედა ენით, ისე როგორც პედაგოგიკა მოითხოვს და არა ენის ამოგლეჯით! ადგილობრივ კანონებს პატივი ედვას და სამსჯავროებიც მათ ხელში იყოს, რომ სამართალი და არა უკულმართობა შემოქონდეს ხალხში! – აი, ამას მოითხოვს ავტოკეფალიაც და ავტონომიაც და არა იმას, რომ ვითომ ქართველებს უნდოდესთ სულ ჩამოშორება, განცალკევება ან თავის ცალკე სამეფოზე ფიქრი! ამას ან ბიუროკრატიული ცბიერება იტყვის და ან მტკნარი უგნურება! – კაცი იმას უნდა ეძებდეს და ჰკიდებდეს ხელს, რაც დრო და ჟამს შეეფერება და არა ოცნების ნაყოფს! ბიჯი ბიჯზე უნდა გადაიდგას!.. ვისაც ოდაში შესვლა უნდა, უნდა საფეხურები ერთი მეორეზე აიაროს და ისე მიადგეს კარებს, თორემ ხტუნვით შორს ვერ წავა!.. ესეები რაც აქ მოგახსენეთ, სნეულ საქართველოსათვის []* გვაქვს დასახული და [თუ] ესეები ვერ მოვიპოვეთ, მაშინ უნდა გამოვეთხოვოთ ყოლიფერს, მაგრამ უნდა გვახსოვდეს კი ძველი ანდაზა: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანიო“.

[1901]

საანბანო ჭეშმარიტება

ბერძნების წარმოდგენით, სიბრძნე იყო დედა, რომელსაც ეყოლა სამი ასული: სარწმუნოება, სასოება და სიყვარული. უამათოდ, ამათ დაუხმარებლად, ქვეყნიური შვება–ბედნიერება შეუძლებელი იყო და მიტომაც ყველა მისკენ მიისწრაფოდა. ნეტავი იმ ერს, რომელსაც ეს ალეგორია ესმის და სწამს!.. ის გინდ რიცხვმცირედიც იყოს, მაინც თავისას გაიტანს.

ერთ დროს, ოდესმე ქართველებსაც ჰქონდათ ეს სიბრძნე ეროვნულად შესისხლხორცებული, მაგრამ დღეს-კი, როდესაც ზედაპირი სარჩულად მოგვექცა და სარჩული გაგვიზედაპირ-

* სიტყვა არ იკითხება.

და, ბერძნებისაგან ჩვენ მიერ მიღებული ალეგორიაც გაგვიუ-კულმართდა: სიბრძნის ადგილი უმეცრებამ დაიჭირა და წარ-მოშობა: ურწმუნოება, უსასოება და სიძულვილი. და სწორედ ამისთანა დრო და ჟამზეა ნათქვამი: „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს“. მაგრამ, სადაც ძალაუნებურად შეზრდილხარ, იმას-თან კავშირს ვერ გასწყვეტ. სადაც უნდა იყოს და როგორც... თაბორზე გაბრწყინვებული, თუ გოლგოთას ჯვარზე განრთხ-მული. ამ ნახევარ საუკუნის განმავლობაში ცოტა გვინახავს დარი, უფრო მეტი ავდარიანი დღე გვდგომია, მაგრამ გაგვიძ-ლია: ელვა–ჭექის არ შეგვშინებია, გრიგალ–ქარიშხალს არ გავ-ქცევივართ, და სეტყვის დროს თავი სხვაგან არსად შეგვიფა-რებია. ყველა აგვიტანია... მესამოცე წლებში პირველ ბიჯის გადადგმას წინ რა დაუხვდა, თუ არ ჭექა და ქუხილი? ნუთუ მა-შინდელი გარეშეთა რისხვა და შინაურთა სამდურავი ორივე-ზედაც უარესი არ იყო? სხვადასხვა გვარ რეფორმების შემოღე-ბის დროს მეგანგაშეობა განა ქარიშხალზე ნაკლებ მსუსხავი და საგრძნობელი იყო? და შინაგან საქმეების გაწესრიგების გამო, ერთმანეთში ატეხილი შინაური ბრძოლა სეტყვაზედაც უფრო მაზარალებელი ზოგიერთებისათვის, როდესაც, საზოგადოე-ბაში გამტყუნებულ–დამარცხებულები, სამაგიეროს გადასახ-დელად, კერძოობაზე იყრიდნენ გულის ჯავრს? ამგვარი სამარ-ცხვინო ბრძოლა დღესაც დიდ ყოფაშია, რასაც დღევანდელი არჩევნები გვიმტკიცებენ. – და მაშინ ხომ რაღა უნდა ყოფილი-ყო?!.. „სხვათა ჭირიო, ღობეს ჩხირიო“. ვისაც არა გადახდომია-რა, ის რას დაეძებს? მაგრამ, აბა ახლა ერთი მესამოცე წლების მოღვაწეებსაც ჰკითხეთ!.. მე ვამბობ აქ იმ თითო–ოროლა ნამ-დვილ მშრომელებზე, რომელთაც კიდეც დაეტყოთ, რომ მათ თავზე წისქვილის ქვას უტრიალია და არა იმ გუგულა მამულის-შვილებზე, ჩვენს საბუდარში, რომ მხოლოდ თავის გამოსაჩე-ნად, ხანდახან უკაკანიათ და კვერცხი კი სხვის საბუდარში უდ-ვიათ!.. ამას ჩვენ არც კი გავიხსენებდით და არას ვიტყოდით, რომ იძულება არ გვადგეს. და ის იძულება არის უსამართლო შეხება ჩვენის წარსულის ზოგიერთებისაგან. სხვისი ვისმე თავ-გადასავალის აწონ–გაზომვა და დაფასება მხოლოდ მაშინ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც იმ სხვას სხვისი თავ-

გადასავალი სავსებით აქვს უმეტნაკლებოდ გათვალისწინებული. და ამისთვის კი საჭიროა, ან თანამედროულობა, რომ ყოველივე თვითონ ენახოს და მოესმინოს, ან სარწმუნო ნათქვამის დაჯერება და ან კიდევ ნაწერების გადასინჯვა, თუმცა ეს უკანასკნელი საშუალებაც, როგორც ცენზურის ქარ–ცეცხლში გატარებული და აღვირ–ასხმული, უნაკლულოდ, სავსებით ყველაფერს ვერ დაანახვებს. და ჩვენს წუნის მდებლებს კი არც ერთი ამ ზემომოყვანილ საბუთთაგანი ხელთ არ უჭირავთ. ასე გასინჯეთ, უკანასკნელიც კი, ესე იგი, ნაწერები, თვალსა და ხელ შუა გამოჰპარვიათ: არ წაუკითხავთ და თუ წაუკითხიათ ან ვერ გაუგიათ და ან განზრახ მოუნდომებიათ გადაფუჩეჩება, რომ სხვებსაც მხარი აუქციონ. ასეა თუ ისე, ყოველ შემთხვევაში ჩვენის მხრით წაყრუება მათთვისვე არ ივარგებს. უნდა აღვიაროთ კი, რომ შეკამათება ჩვენი და მათი თანასწორი არ იქნება, რადგან დღეს ისინი უკეთეს საფარში სხედან და იმათ არა საიგავო საკითხავებს ჩვენ კი იგავებით უნდა ვაგოთ ხოლმე პასუხი: „მიეცით კეისრისა კეისარსაო“ და სხვანი... დასაფიცავი აღარ არის, რომ იარაღი იმათ უფრო გასაბედავი უჭირავსთ ხელში, ვიდრე ჩვენ, მაგრამ ნათქვამია: „მგლის შიშით ფარა ვის გაუწყვეტიაო?“ შიშით ვერც ჩვენ ჩავიგუბებთ პირში წყალს და ვიტყვით, რამდენადაც კი მოსახერხებელია თქმა!.. მაგრამ შორიდან კი დავიწყებთ. – „ციხე შიგნიდან გატყდებაო“, საქართველოც გვართა ბრძოლამ დაამხო. იქ, სადაც ჰაერი კეთილშეზავებულია და ნიადაგი სანაქებო, ყოლიფერი ადვილად აღმოცენდება და ხარობს... როგორც ია–ვარდი, ისე ეკალ–ნარიც. ძველად ქართველებს დიდი ვაჟკაცობის სახელი ჰქონდათ განთქმული და ამ პატარა სამეფომ მართლა ბევრი შესანიშნავი გმირები წარმოშობა. მაგრამ ეს გმირები მტრებს უფრო გამოადგებოდნენ ხოლმე, ვიდრე მოყვარეს. სპარსეთისა და ოსმალეთის გაძლიერებას ხშირად ხელს უწოდებდნენ და სამშობლოს კი, რომ შეეძლოთ, იმდენს ვერას უკეთებდენ. მაგალითად: გიორგი XI, ავღანისტანის დამპყრობელი, გ. სააკაძე სპარსელების ძლევა–მოსილი სარდალი და ოსმალებისთვისაც ბაღდადის ამღები, პატარა კახი, ინდოეთის კალთების მომსვრელი და სხვა. რა უშლიდა ხელს ამ საოცარ გმირებს, რომ შინ იმდენს არ ახერხებ-

დნენ, რამდენსაც გარეთ? გვართა ბრძოლის გამომწვევი შური და სიხარბე. მაგალითად: უცხოეთში სააკაძის მხრის მიმცემი, ან და მეგობარი ზურაბ ერისთავი, შინ დაბრუნების შემდეგ მტრულად უხვდება მასვე და ყოველ საქმეში წინ ეღობება. ახირებულია!.. და ეს ახირებულობა მარტო ზურაბს–კი არა სჭირს, საზოგადო მოვლინებაა ყველასათვის საქართველოში. ერთი რომ წაღმა სთესავს, მეორე უკუღმა ჰფარცხავს, და ერთი რომ ართავს, მეორე სცარავს ჯიბრით გაბოროტებული. თითქოს ერთსა და იმავე დროს რამდენსამე გამოჩენილ პირს ვერ იტევს სამშობლოო! ბევრჯელ გვითქვამს და ახლაც კიდევ უნდა გავიმეოროთ: მეცხვარის ძაღლებს რომ ზოგჯერ ჩხუბი მოუვათ ხოლმე და ხორხოზის დროს ერთმანეთსა ჰგლეჯენ, მაშინ მწყემსები სხვაფრივ რომ ვეღარაფრით აშველებენ, ვერც ქვით, ვერც ჯოხით და ვერც თავზე წყლის დასხმით, უკანასკნელ საშუალებას მიჰმართავენ ხოლმე, დაიყვირებენ: „არიქა მგელი! მგელი მოდისო!“ და ძაღლები, ამის გამგონე, მაშინვე შესწყვეტენ ბრძოლას და ყველა ერთად მწყობრად მიაშურებენ გარეშე მტერს. საკვირველია, რომ საქართველოს დიდებულები–კი ვერ ახერხებდნენ ამას და პირიქით მირბოდენ მტრის მოსაყვანად: გვიშველეთ, პირადად ნუ გვაჭმევთ სირცხვილს და ჩემს სამწყსოს გინდ მუსრი გაავლეთო.

ამ საუბედურო სენით შეპყრობილია მხოლოდ მაღალი წოდება და მათი წარმომადგენელი ერისთავ–დიდებულები, რომელთაც ქვეყნის მეთაურობა ეჭირათ ხელში და არა გაურჩევლად მთელი მაშინდელი თავად–აზნაურობა, როგორც ზოგიერთებსა ჰგონია. უმეტეს ნაწილს მაშინდელ თავად–აზნაურობისას ერთადერთ წოდებასთან, ე. ი. გლეხობასთან ქვეყნის სამსხვერპლოდ ჰქონდათ თავი გადადებული. და თუ ოდესმე მტრის რაზმს, ქართველებზე სამტროდ მოსულს, გვერდში ამოსდგომიან, ეს იძულებითი ყოფილა, და არა სურვილით ჩადენილი. იმ დროს, რომ ყმა ბატონის სურვილს ვერ დაუდგებოდა, რომ მისი ბრძანება არ აესრულებინა, ისე როგორც დღეს სალდათი ვალდებულია დაემორჩილოს ოფიცრობას, განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ დღევანდელი სალდათი ყველგან სალდათია და მაშინდელი ყმა–კი მარტო ბატონის ყმა იყო და ბატო-

ნის ნება–სურვილის გარეშე თავის საკუთარ აზრზე იდგა. ამას სხვათა შორის „მარაბდის ომიც“ გვიმტკიცებს, სადაც, იარაღი რომ არა ჰქონდათ, სულ კეტებით გადიოდა საომრად გლეხობა, ერთად თავად–აზნაურობასთან. ორივ ერთად ძმურად სამსხვერპლოდ თავ–გადადებულნი. და ოჯახიდან თითო კი არა, ყველა, ვისაც კი ხელში იარაღის აღება შეეძლო, არ დაკლებია და სიკვდილს არ გაქცევია, ერთი მეორეზე ეჩეხებოდნენ. მაგალითად ცხრა ძმა ხერხეულიძე, 9 ძმა მაჩაბელი, 7 ძმა ჩოლოყაშვილი და სხვანი, 9 ათასი ქართველი დაეცა ბრძოლის ველზე და მათ რიცხვში გამოჩენილი ვაჟკაც–გმირებიც: თეიმურაზ მუხრან–ბატონიშვილი, დავით ასლანიშვილი, ბაადურ ციციშვილი და სხვანი... შემცდარია ის, ვინც ჩვენს წინაპრებს ყველას ერთგვარად მოიხსენიებს და გაურჩევლად წუნს დასდებს გვართა–ბრძოლაში. დიდი უსამართლობა იქნება, რომ დიდ–მოურავს შადიმან ბარათაშვილი ამოვუყენოთ გვერდში, აღბუღა ათაბაგს – ბექა და და გივი ამილახვარს მისი სახლიკაცები!... ორად განიყოფებოდა ძველად ჩვენი თავად–აზნაურობა: ერთი ქვეყნის მოყვარული და თავდადებული, მეორე –– გარეწარი, ორგული და მოღალატე. პირველი რომ ქვეყნისათვის ფიქრობდა და ზრუნავდა, მეორე მხოლოდ საკუთარი ანგარიშებით ხელმძღვანელობდა. პირველის მცნება იყო გლეხკაცური ანდაზა: „ჩიტი სადაც დაიბადება, მისი ბაღდადიც იქ არისო!“ მეორეს–კი: „სადაცა ვიყო რა მგამაო“ და „თუ მე აღარ ვიქნები, ქვა ქვაზედაც ნუღარ ყოფილაო“. საგულისხმოა: ეს ორი დასი, ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე ქვეყანაში, ერთსა და იმავე ფესვზე აღმონაცენი რათ განსხვავდებოდა ასე?.. აღზრდის ბრალი იყო: ერთს რომ დაბალ წოდებასთან ერთად ქართლის ძუძუ ჰქონდა შენაწოვი, აღზრდის დროს საფუძვლად „ვეფხვის ტყაოსანი“ ჰქონდა და სარქველად წმინდა სახარება, მეორე სხვის კარზე იზრდებოდა, სხვის გემოზე კი ფირდოუსისა და მოგვთა ზღაპრების გავლენით გრძნობა–გონება გახუნებულს მშობლიური აღარა ესისხლხორცებოდა რა. ამგვარად აღზრდილი გინდ მართლა გმირიც იყოს და ბოროტი არ სურდეს მის ქვეყნისათვის, მაინც ბევრ სიკეთეს ვერ მოუტანს. როგორც გარეწარი და შინაური ალღოს ველარ ამღები. ამას გვიმტკიცებს მაჰმადიან როსტომ მეფის

მოღვაწეობა: არც ერთი მისი ზვარაკი სამშობლოსადმი წმინდა მსხვერპლად არ შეიწირა და, წინააღმდეგ შემწირველის სურვილისა, ნაყოფიერი არ გამოდგა. მაშინდელ ორად გაყოფილ ჩვენ თავად–აზნაურობაში, რაღა თქმა უნდა, უთანხმობა და ბრძოლა უნდა ყოფილიყო. ებრძოდენ შინაურები გარეწრებს და ძლევაც ამათვე უნდა დარჩენოდათ, რომ გარეშე ძალას არ შეეშალა მათთვის ხელი. სპარსეთისა და ოსმალოს პოლიტიკა მხარს აძლევდა გარეწრებს და საერო საქმეებს თავში უყენებდა. ვერც აღბუღას სამართლის წიგნი, ვერც გიორგი ბრწყინვალის კანონები და ვერც ვახტანგის სჯულდება ვეღარ იფარავდნენ ქართველებს. გაიძვერული პოლიტიკა გარეშე მტრებს ყველას სცარავდა და ამგვარად ციხე შიგნიდან ტყდებოდა.

დღეს ძველი დრო გადასულია. თავად–აზნაურობამ თავისი პური შესჭამა და მაშინდელი გვართა–ბრძოლაც თან გაჰყვა. – სხვანაირმა ცხოვრებამ, სხვაგვარმა მოთხოვნილებამ და სულ სხვა კაცებმა იჩინეს თავი! თავად–აზნაურობის ადგილი ახალთაობამ დაიჭირა და ერისთავ–დიდებულებათაც მათი წარმომადგენლები არიან. ჩამომავლობითი ერისთავობა გათავდა... დღეს ის უნდა მეთაურობდეს, ვინც მართლა თავიანია. კეთილი და პატიოსანი! იმას რაღა აჯობებდა ჩვენდა საკეთილდღეოდ, რომ ძველებური „გვართაბრძოლის“ მსგავსი სენი აქაც არ გაჩენილიყო!.. დღევანდელი ჩვენი მეთაურებიც, შურითა და მტრობით გამსჭვალული, ერთმანეთს აღარ ზოგვენ. ერთს აღბუღას ათი და ოცი ბექა და ყვარყვარე სდევნის, ერთს სააკაძეს ასი და ორასი შადიმანი ეღობება წინ და ერთს გივის ათასი და ათიათასი ჩიაკაცები აღარ აძლევენ მოსვენებას. საზოგადოდ დღევანდელი ძალაც აღმართსა ჰხნავს, შინაურის ნათესში მზამზარეულ გარეწრები ნამგალს ატრიალებენ, რომ სხვის ბაზრისკენ გაიტანონ. ერთი სიტყვით, დღევანდელი ჩვენი მოღვაწეობაც წარსული დედნის უტყუარი პირია. ახლა გადავიდეთ მესამოცე წლების მოღვაწეებზე. ახალ ცხოვრებისკენ პირველი ბიჯი იმათ წარსდგეს და ერთ–ხან მათი შრომა–მოღვაწეობაც სწორედ მოციქულებრივი იყო, მაგრამ, ბოლოს, როცა ბანკები და არჩევნები უდროვოდ შემოგვეჩხირა, მაშინ ჩამოვარდა მათ შორის განხეთქილება და უთანხმოებამ ორ ბანაკად გაჰყო. ერთი,

რომელიც უფრო წინდახედული იყო და უფრო მეტს ფიქრობდა თავის თავზე, ვიდრე საზოგადოებაზე და საზოგადო საქმეებსაც, რომელიც იმავე დროს მათთვის პირადათაც ხელსაყრელი არ იყო, გვერდს უვლიდა, რასაკვირველია, თავში მოექცა იმ გაფანატიკოსებულ უმცირესობას, რომელსაც საპირადოზე თვითონ ხელი აეღო, – და დაირჩინა ბურთი და მოედანი. დღევანდელი ახალთაობაც იმ ორის მაშინდელ წარმომადგენელის მიმდევარია. უმეტესობა პრაქტიკულ წინდახედულობის და უმცირესობა–კი იდეალისტის... „ხელი ხელსა ბანსო“, რასაკვირველია, პირველს უფრო მეტი აღმსრულებელ–მიმდევრები და მომხრეები ჰყავს, ვიდრე მეორეს, ამას ცხოვრების სიტკბოება მოითხოვს, და ამიტომაც ყოველგვარ დღევანდელ ჩვენ დაწესებულებასა და საზოგადო საქმეებში მეთაურებად არიან და თავისიანს, ეს იგი მათ მომხრეებს, როგორც მრჩეველებს, გზას უკვალავენ, გინდ უღირსიც იყოს და ღირსეულ ურჩებს–კი სდევნიან საქმითაც და სიტყვითაც. ამ ცოდვების განსაწმენდათ მსხვერპლი არის საჭირო და ზვარაკად მომავალი ახალთაობა. მის მოსვლამდი–კი ქვეყანა თვალ–ახვეულია. როგორც ებრაელები მოელოდნენ მესსიას, ისე ზოგიერთი მესამოცე წლების მოღვაწენიც მოელოდნენ ახალდგმას (რომელსაც იფქლისაგან უნდა გაეყო ღვარძლი და გორველა და გაეცალკევებინა თიკანი და ცხვარი). მათ რიცხვში გიორგი წერეთელიც, რომელმაც მეტის სულწასულობით კარლ მარქსის მოძღვრების ფეხის ამყოლები მიიღო „მომავლად“, უწოდა „მესამე დასად“ და სიმონ მოხუცისაებრ სთქვა: აწ განმიტევეო. მაგრამ ვერ გაუვიდა ნამდვილი მიმრქმელობა. რა იქნებოდა ახალი აღთქმა, რომ ძველი აღთქმა სრულიად უარეყო და მის საფუძველზე არ აეგო ქრისტიანობა?. –

მესამე დასელებს ბევრი სიმართლე უჭირავსთ ხელში, როცა პირდაპირ ჰგმობენ ფარისევლობასა და მეზვერეობას და ჩვენი თანაგრძნობაც მათკენ იქნებოდა, რომ იმავე დროს სრულიად უარს არ ჰყოფდნენ წარსულს და ავს და კარგს ერთისა და იმავე გოდრით არ აგორებდნენ უფსკრულისაკენ. რასაკვირველია, ისინი ამას შურით, მტრობითა და სიხარბით არ ჩადიან. დარწმუნებულნი არიან თავის სიმართლეზე და უნდათ, რომ ყველგან თავისი გაიყვანონ და, ვინც წინ ეღობება მათ მო-

ძღვრებას, უნდათ მისი ხალხის თვალში დამცირება; სცდილობენ, როგორმე თავიდან მოიშორონ და ხშირად, ნამეტანი ნდომის გამო, ლოღიკისა და სიმართლის მხრით წაიფორხილებენ ხოლმე და ამით მათს გულ–წრფელობასა და მხნეობა–ბეჯითობას ბევრს უკარგავენ.

ის გზა, რომელსაც დღეს ისინი ადგიან, არა თუ გამოსადეგია ცხოვრებაში, აუცილებლად საჭიროა ჩვენთვის, მაგრამ გზაზე დადგომასაც და წინსვლასაც სიფრთხილე და წინდახედულობა ეჭირვება. თავ–აუღებლად ლაჯუნი ადვილად სადმე წააკვრევინებს ფეხს. მარქსმა სთქვა ერთხელ თავის თავზე: „რაც გინდათ ვარ, მაგრამ მარქსელი კი არა ვარო“. ამით რა იგულისხმება? ის, რომ მეცნიერს ბოლოს დროს ზოგად თავისი ნამოძღვრალი აღარ ჭაშნიკებია და საზოგადოდ მისს მიმდევრებს ყველა ადგილი ისე ვერ გაუგიათ, როგორც თვით მოძღვარს ესმოდა, თუ ეს ითქვა განათლებულ ევროპიელების შესახებ, მაშ, რაღა უნდა ვთქვათ ჩვენებურ მარქსელებზე, როგორც ანარეკლის ანარეკლზე, რომელნიც დედანს სიახლოვესაც არ მიჰკარებიან და რუსული აზრის ლარი გადაუღიათ და ისე გაცნობიან მარქსის თეორიას? – მე როცა ჩვენებურ მარქსელებზე, ანუ მესამე დასელებზე ვამბობ, აქ სახეში ის უმრავლესობა კი არა მყავს, რომელთაც მარქსისა და შექსპირის ერთმანეთში გარჩევაც არ შეუძლიანთ და მხოლოდ ფეხის ხმის აყოლით იძახიან „დასელი ვარო“, მე მხოლოდ ისინი მყვანან მხედველობაში, რომელთაც გაეგებათ რამ. ამათი შეცდომა ის არის, რომ ცხოვრების ყოველგვარ საჭიროებას და მოვლინებას: სარწმუნოებას, ხელოვნებას, მეცნიერებას და სხვათ, მარტო მხოლოდ მატერიალისტურ სარჩულს უდებენ და ავიწყდებათ დიდი მოძღვრის სიტყვა: „არა პურითა მხოლოდ სცხონდეს კაციო“; – „აწმყო ნაშობი წარსულისა, მშობელია მომავალისა.“

ვინც წარსულს ივიწყებს, ის მომავალზედაც ხელს იღებს და, მარტო აწმყოზე შეჩერებულა, უსულდგმულო, საპირუტყვო ფარგალში რჩება. და ჩვენ კი გვინდა მისთანა მომავალი თაობა, რომელიც უარის მყოფელი კი არ არის წარსულის, მკვლევარია და მამა–პაპის ანდერძს დღესაც კიდევ გამოსადეგ საფუძვლად უდებს მომავალს, რომ კავშირ–გაუწყვეტლად განაგრძონ ის-

ტორიული ცხოვრება. მათ მოქმედებაში კაჭკაჭურ–მაიმუნური მიმბაძაობა–კი არ უნდა სჩანდეს, მოფიქრებული, აწონ–გაზომილი თავისთაობითი შრომა უნდა იხატებოდეს. ხშირად, ერთგან ის არის ხოლმე სასარგებლო, რაც მეორეგან მავნებელია. დროსა და ადგილს შერჩევა უნდა. მთაში რომ დარია ხოლმე საჭირო, იმავე დროს ბარში ბევრჯელ ავდარს ნატრობენ. გადმოთესვასა და გადმომყვნას ნიადაგის შესწავლა უნდა: ნაყოფი რომ ერთგან ადრე მწიფდება, მეორეგან გვიან. დათესვისა და მომკის დროც სულ სხვადასხვაა. ვისაც ეს არა აქვს შეგნებული, მისი მუშაობა ნაყოფს ვერ მოიტანს, დაკარგულია, და ხშირად როგორც უგნურების ნაყოფი, მავნებელიც. ავიღოთ ორი დედა: პირველის შვილი კარგად გაზრდილია, მწვადის ჭამაც შეუძლია და მონელებაც. მეორესი კი უსუსურია, ჯერ უკბილოა, რძის მეტი არა შეერგება რა. მეორემაც რომ იმ პირველ დედას მიჰბაძოს და, აქაო და მწვადი უმჯობესია რძეზეო, უკბილო შვილს პირში მწვადის ნათლები ჩასჩაროს, ხომ მოჰკლავს? ხალხიც ასეა. ისიც თანდათან იზრდება და ყოველ ხანში თავ–თავის შესაფერი საზრდო უნდა. განა შეუძლია ბულგარეთს, რომ ოსმალეთს ამოუდგეს გვერდში და მასთან ერთად მისი პროგრამით იხელმძღვანელოს ცხოვრებაში? რატომ არაო, იტყვიან ჭირვეულები, თუ კი ორივე ერთად აღიარებენ მარქსის მოძღვრებას და ეკონომიურ მატერიალიზმს ხელს ჩაჰკიდებენო!.. და ამიტომაც უნდა ამ თავითვე ვეცადოთ, რომ აქაც და იქაც მარქსელები გავამრავლოთ და მანამდე სხვაზე ნუღარაზე ვიფიქრებთო.

კეთილი და პატიოსანი! მაგრამ მანამდი ხომ ჩაიყლაპა ბულგარეთი? და ვინ არის, რომ თავს იკლავს უდროვოდ, რაღაც მხოლოდ სხვის სასარგებლო თეორიისათვის, თუ არ შემცდარი?..

„ვისაც ესხდნენ ყურნი სმენად, ისმინონ!“

1903

სომხები და ჩვენ

როგორც ტარბი კალიას, ისე მისდევს და მიჰყვება თან ქართველობასაც სომხობა.

თუმცა სიძველე ისტორიულად ჯერ სავსებით გამოკვლეული არ არის, მაგრამ ის კი იგულისხმება, რომ მცირე-აზია თავდაპირველად ქართველთა ტომით ყოფილა დასახლებული; მერე გადმოსულა და დაუჭერია არარატის მიდამოები, ის, სადაც შემდეგში დიდი ჰაიასტანი გაშენდა. იქედან გამოძევებულმა ქართველებმა გადმოლახეს კავკასიონი და დაიჭირეს საქართველო. აქაც შემოჰყვენ სომხები, მიაწვენ დასავლეთისაკენ და ლამის შავ-ზღვაში ამოაყოფიონ თავი! და მერე რაგვარ? ამისათვის იმათ არაოდეს არ უხმარიათ ცეცხლი და მახვილი!. მხოლოდ მკბენარობით შეიმოსეს ძლევა.

მერვე საუკუნიდან, რომ მაჰმადიანები გაძლიერდენ ქვეყნის პირად, დიდ-სასომხეთსაც ცუდი დრო დაუდგა მათ ხელში და მომხრე დასჭირდა. ამ მომხრეებად ქართველები გამოვიდენ. სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, გავიხსენებთ მხოლოდ ორ მაგალითს: დავით აღმაშენებელმა მეათე საუკუნეში მიაშველა მათ ქართველი ჯარი, რომელმაც მათთან ერთად თავ-დადებულად იბრძოლა. გიორგი III-მ 35 ათასი ქართველი დაასაფლავა ვანში, სომხების მტერთან მებრძოლი და ასე ყოფილა ყოველთვის...

მერე, როცა სასომხეთი დაეცა, მეფობა მოესპოთ და სომხებიც ისრაელებსავით გაიფანტენ ქვეყნის პირად, ერთი მცირე ნაწილი მათი საქართველოსაც მოადგა. ქართველები ძმურად მიეგებენ, მიიღეს როგორც თავისიანი, მიანიჭეს მათ იგივე უფლებანი, რაც თვითონ ეჭირათ ხელში! წარჩინებულებს მისცეს თავად-აზნაურობა, დაურიგეს ადგილ-მამულები; წვრილ-ფეხობას დაუთმეს სავაჭრო სარბიელი და ზოგად ტაძრებიც გადასცეს მზა-მზარეულად. ღმერთთან სწორი სჯობს, მოსულებიც აღტაცებით იყვენ და მალე დამყარდა: „ძმობა“ „ერთობა“ და „სიყვარული“. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში გადაგვარებამ ფეხი მოიკიდა და ის, სომხთა ნაშიერი, რომელსაც სასომხეთი თვალითაც არ ენახა და წინაპრების ენა არ გაეგონა სრულად გაქართველდა, გარდა რჯულისა. და ეს ასეც უნდა მომხდარი-

ყო: რამდენიმე წვეთს შემთხვევით ზღვაში ჩავარდნილს, განა შეუძლია, რომ თავისი საკუთარი ელ-ფერი დაიჭიროს და გადა-ასხვაფეროს ზღვა?

განა შეიძლება, რომ სომხებიც, შუა ქართველებში აქა-იქ ჩასახლებული, არ გაქართველებულიყვენ? მით უფრო, რომ მათი სარწმუნოება, ცოტა რამ გამოკლებით, ისეთივე ქრისტი-ანული როგორც ჩვენი, ხელ-შეუხებელი იყო და იგი [.....] ვიდა. ზოგად გრიგორიანულ [.....] ქართველები არა ოდეს არ ყო-ფილან [.....] რჯულის მდევნელი. დროც არა ჰქონდათ ამაზე ეფიქრათ. [...] ებრაელებს თავისი სინაგოგები ჰქონდათ ყველ-გან და თათრებს-მეჩითები. მაშასადამე, ქრისტიანები: სომხები, ფრანგები და სხვანი, უფრო ხელ-შეუშლელად არ იცხოვრებდენ? და მართლაც, იმ დროში არავინ იტყოდა, რომ საქართველოში მე ქართველი არა ვარო! ყველა ქართველად ჰხდიდა თავს და რჯულზე არ გადაჰქონდა ეროვნობა. ასე იყო ამ უკანასკნელ ხანამდე. მართლა ხოჯა-ხანის შემოსევამ ტფილისში ცოტა რა-ღაც სხვა გრძნობა გაუღვიძა გულში ზოგიერთ სომხებს, მიიყუჩა იმ გრძნობამ, მიიძინა ისევ, როცა დაინახეს, რომ საქართველო ისევ გადარჩა. ასე რომ ნახევარმა საუკუნემ გაიარა და არა ვი-თარი იერიში სომხობას არ მიუტანია ქართველობაზე. მესამოცე წლებში კი დაარსეს ახლად მოსულებმა საქართველოში წრე სა-კუთრად სომხების მოძრაობისა და დღეს კიდევაც მიწეულია შოვინისტურ უმწვერვალესობამდე. საგულისხმოა „ხაჯი- [...] სასაფლაო: აქ მესამოცე წლამდე ეპიტაფია ლოდებზე სულ მარ-ტო ქართულად არის დაწერილი. სამოციდან სამოცდაათამდე სომხურიც ერევა აქა-იქად და სამოცდაათიდან სულ სომხურად არი დაწერილი. //

სომხები კი ამაღლდენ, რადგანაც ფული აქვსთ ხელში ჩა-ვარდნილი. ამ მცირე რამეს დიდი გავლენა აქვს გამოზდაზე-დაც: ქართველი ასში სამი თუ შედის სასწავლებელში და ისიც კიდევ ცუდ პირობებით აღჭურვილი: ხშირად მშიერი, მწყურვა-ლი, შიშველი, ტიტველი და შინ მოუმზადებელი. ძიებას პირვე-ლად იწყებს სასწავლებელში და მერე როგორში? სადაც მისი ეროვნული ყოლიფერი მოსპობილია. სომხის შვილი კი, როგორც, ფულიან ოჯახიდან გამოსული, ყოვლად უზრუნველია. შკოლაში

მიტომ შედის, რომ რაც აკლია, ცოტა რამ ის შეივსოს, თორემ სხვა ყოლიფერი შინვე აქვს შეძენილი... იმათ აქვსთ თავისი საკუთარი რჯულთან ერთად სკოლები, სემინარია დედა-ენაზე და სხვანი. ამას გარდაც უმეტესობას შეძლება ნებას აძლევს, რომ აღმზრდელები იყოლიოს შინვე და სხვანი. ესენი ყველა მოკლებული აქვს ქართველს და ისიც გასაკვირალია, რომ ზოგიერთი მათგანი, მხოლოდ ნიჭის წყალობით, სასწავლებელს ათავებს! გათავების შემდეგაც გაჭირვებაში არიან: თუ სამსახური არ იშო-ვეს სადმე, ულუკმა-პუროდ დარჩებიან და როცა შევლენ, სულ იმას ჰფიქრობენ: სამსახურიდან არ გამოგვაგდონ და ცოლშვილი არ ამოგვიწყდეს შიმშილითო. იგუბებენ პირში წყალს და გასამტყუნარიც არ არიან! სომხებს კი ეს გასაჭირი არ ადგიათ რომ კიდეც გამოაგდონ სამსახურიდან, იმას მაშინვე სხვაგან უშოვნიან არა ნაკლე კერძო ადგილს ბანკებში, საბჭოში თუ სხვა და სხვა დაწესებულებაში. სხვა რომ არა იყოს რა ერთი მანთაშოვიც ეყოფათ იმათ მფარველად და გული საგულესა აქვსთ! აი რითი აიხსნება სომხების ერთპირად მოქმედება და ქართველების უმოქმედობა. თორემ აქ ბუნებითი ნიჭი რა შუაშია? ტყვილა ნუ ჰგონიათ სომხებს, რომ ვითომ ჩვენ არა გაგვეგებოდეს რა და მათი ჩვენდამი განწყობილება აწონ-გაზომილი არა გვქონდეს? ტყვილად კი არ არის ნათქვამი: „სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ პირი წყლითა მაქვს სავსეო“. დღესაც რომ ბევრს ჩვენგანსა აქვს თვალი ახვეული, რაღა უნდა ყოფილიყოს ამ ნახევარ საუკუნის წინედ, მესამოცე წლებში, როცა ყველას გვეგონა, რომ სომხების საქციელში ჩვენიც იყო ჩაქსოვილი? .. თვითონ მე, სხვების აყოლით, დავსწერე ,მაშინ მეთაური წერილი და დავბეჭდე „ დროებაში“ სათაურად ჰქონდა: „ლუკმა გავარდეს ჯამში ჩავარდეს“ ის აზრი მქონდა გატარებული, რომ თუ ჩვენ, ქართველებს, გვიწერია გაქრობა და ჩვენი სამშობლოს მიწა-წყლის დაკარგვა, მაშინ უმჯობესი იქნება, ჩვენ მოძმეებს, სომხებს ჩაუვარდეთ ხელში, ვიდრე სხვებს მეთქი და ამ გვარად.- სომხურმა გაზეთებმა მაშინ ქება-დიდებით მომიხსენიეს. ქუთაისშიაც იმ დროს ტერ-ტერად [ტერ-დავითი არალიანცი] იყო, დიდი პატრიოტი და იმას ჰქონდა მინდობილი დასავლეთი საქართველო: ის უნდა ცდილიყო, რომ სომხები გაემრავლებია იქ და სადაც

სომხები ესახლენ, მაგალითად: ქუთაისში, ჩხარში, საჩხერეში და სხვაგანაც იქ ახალ-გეგმით სომხური შკოლები გაემართა და ქართული კი მოესპო შიგ. ამ დეკანოზმა დიდი მადლი გადამიხადა სტატიისათვის და ის, რასაკვირველია, ის არ მითხრა, რაც გულში ედვა.- იმ ხანებში ფოთში ჩავედი. იქ პოლკოვნიკი გაიკაზოვი დამხვდა და სხვათაშორის გულ-ახდილად მითხრა: „არ მეგონა, თუ ჩვენსკენ იყავ და მაგისთანა რამეს დასწერდიო?! შენი აზრი მართალია და ჩვენ მომავალს თქვენც ხელი უნდა შეუწყოთო!!! ამაებმა ყველამ გამომახელიეს თვალი. უფრო მუშტრის თვალით დავუწყე ყურება სომხების მოძრაობას და მასუკან აქამომდე, იმისთანას ვერას ვხედავ, ჩემდა სამწუხაროდ, რომ აზრი შემაცვლევიოს მათ საქციელზე!!

იმ ხანებში ქალაქის გამგეობამ დაადგინა „მანეთის გადასახადი“ (რუბლიოვი სბორს ეძახდენ; დაბალ ხალხთაგანს არავის არ შეეძლო ქალაქში ფეხის შემოდგმა, თუ წინდაწინ ერთ მანეთს არ გადაიხდიდა და ბილეთს არ აიღებდა. არა თუ იმერეთიდან ჩამოსული მოსმსახურეები, მზარეულები, მუშები და სხვანი, ახლო-მახლო სოფლებიდანაც ვერავინ შემოვიდოდა, რომ ორი გროშის რამ გაეყიდა: ან ყვავილები, ან ხილი, ან წვანილი, ან კვერცხი, ან ყველი და მაწონი და ამგვარები, თუ ბილეთი არ ექნებოდა!... ეს გამიკვირდა და დავწერე: „მართალია ვსთქვი „ლუკმა გავარდეს ჯამში ჩავარდეს“ მეთქი, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს რომ ძალით ლუკმა პირში გამოგვაცალოთ და სხვანი... ამ სტატიამ, სადაც არც საწყენი და არც საუკადრისო არა თქმულა რა, საოცარი ვაი-უშველებელი გამოიწვია საზოგადოდ სომხებში. და სომხურმა გაზეთებმაც მომინდომეს დედა-მიწასთან გასწორება! ატყდა ჩვენ შორის პოლემიკა, რომელიც გათავდა მითი, რომ „საცენზურო კომიტეტმა“ ამიკრძალა მე სომხებზე წერა, თუმცა ისინი კიდევ სწერდენ რაც უნდოდათ. -სწორედ იმ დროს დამივარდა მე ხმა ვითომც სომხების მტერი ვიყო და მათი ყლაპია!.. აბა, შეამოწმონ ჩემი ან ნათქვამი სადმე და ან ნაწერი, რომ სომხების სამტრო აზრი გულში შემპარვოდეს როდესმე?!... - პირ-იქით, მე ყოველთვის მომწონდა და მომწონს მათი თავდადებული შრომა და თანავუგრძნობ მათ ეროვნულ პროგრამასაც, გარდა იმ მუხლისა, რომელიც ჩვენ, ქართველებს,

შეგვეხება. და მართლაც!... მათ სტუმრობას, ძმურ-განწყობილებას, ერთობასა და სიყვარულს, როგორც ქართველი სულითა და გულით მივეგებები, მაგრამ როდესაც ისინი მეტყვიან: ამაებს ყოველიფერს თავი დავანებოთ! ეგეები არაფრად გვეპრიანება! ჩვენ გვსურს მხოლოდ თქვენი ადგილი დავიჭიროთ და რაც ადრე ამოვარდებით, ის ემჯობინება ჩვენთვისო, ამაზე რომ დავთანხმდე, როგორც ქართველი, სწორეთ გიჟი ვიქნები!... და ისინი კი სწორეთ ამ დაუთანხმობას ეძახიან მტრობასა და სომხისყლაპიაობას. გაგონილა ამისთანა უსამართლობა? ჩვენ ვიმოქმედებთ თქვენ წინააღმდეგ და თქვენ ხმას ნუ ამოიღებთ, თორემ სომხისჭამიას დაგიძახებთო!... [მახლას!] რაღა გვეთქმის?

სხვებთან ერთად განსვენებულ ილია ჭავჭავაძესაც ჰსურდა სომხებთან შეერთება და რომ მათი გული მოეგო, ბევრჯერ გადაუდგა თავისს აზრს მათ შესახებ. კონსტანტინე ბებუთოვს რომ გამოსათხოვარი სადილი გავუკეთეთ ვერაზე, ჭავჭავაძემ იმას სიტყვით მიჰმართა, სადაც ამტკიცებდა, რომ ჩვენი ძველებური შვება-დიდება სომხეთის წყალობა იყოო: ჩვენი საერთო მტერი ყოველთვის ჯერ სომხეთს, როგორც ციტადელს მოატყდებოდა ხოლმე და მერე დაღალულ-დაქანცული, ჩვენზე მოდიოდა და გვიადვილდებოდა საქმეო.

ამგვარივე განძრახვით ერთხელ, დიდ-ორშაბათს სომხებთან ერთად ილხინა ორთა-ჭალის ბაღებში და დაიხურა მათთან ერთად ქაღალდის გვირგვინი.-ჩვენ ბანკში, ქართულ-დაწესებულობაში, სომხები საზოგადოდ არ დადიან და როცა მაჩაბლის გამოგდება უნდოდათ, მაშინ კი მოიყარეს თავი, ვითომდა ჭავჭავაძის მომხრედ და გულში კი თურმე სხვა ედვათ!... ერთმა მათგანმა, გვარად აკოფოვმა შესჩივლა გაცეცხლებულ ჭავჭავაძის მომხრეებს, რომ მაჩაბლის მომხრეები არ გვიპირებენ ბანკში შემოშვებას სომხებს და ჩხუბს გვექადებიანო. ამ ცილმა ისეთი ვაი-უშველებელი გამოიწვია ორივე გამწვავებულ მხრით, რომ კინაღამ სისხლი დაიღვარა.-როცა ეს ზემო ჩამოთვლილი ამბები ჰხდებოდა, არა თუ მარტო სომხურმა, სომხურ-რუსულმა გაზეთებმაც კი ყურები გამოგვიჭექეს ილიას ქება-დიდებით!... ცაში აჰყავდათ და ყოველ მის ფეხის გადადგმას მირონსა სცხებდენ. მაგრამ როცა იმანვე, ილიამ „ქვათა ღაღადი“ დასწერა, სა-

დაც, გარდა სიმართლის მხილებისა, არავისი შეურაცხსაყოფელი არა ყოფილა რა სომხების, ღმერთო ჩემო, როგორ აშფოთდენ და რა არ ჩაიდინეს, რომ დედა-მიწასთან გაესწორებიათ [....]?! წარსულიც კი უნდოდათ მისი შეელახათ და ის კი დაავიწყდათ, წინეთ რას ამბობდენ იმავ ილიაზე?...

მაგრამ დავანებოთ თავი ამ გადასულ ამბებს და სულ ახალზე დავიწყოთ საუბარი:

ამას წინეთ ივანე ხეჩატუროვმა, ერთ სომხების კრებაში, სადაც როგორღაც ქართველიც ერია, სიტყვა წარმოსთქვა, რომლითაც ქართველებს უმიზეზოდ დიდი შეურაცხყოფა მიაყენა: ძაღლის ენა დაუძახა მათ დედა-ენას და ის ურჩია მათ ქართველების შესახებ, რაცა მათი პატრიარხი აბრაამი ურჩევდა სომხებს მეხუთე საუკუნეში. ეს ამბავი ქართველებს ძალიან ეუცხოვათ და რა დაინახეს აქ საუცხოებელის „ტფილისის ფურცლის“ რედაქტორმა და წარმომადგენელმა მხოლოდ ის აღიარა თამამად და პირდაპირ, რასაც სხვები გულში მალავდენ და რასაც ჰფიქრობდენ მესამოცე წლებში, ის სომხის მეთაურ ინტელიგენტები, ჩვენთან ერთად რომ მუშაობდენ!...

საწყენი ის კი არ არის, რადა სთქვაო? სამწუხარო და საფიქრებელი ის არის რად უნდა იყოს ჩვენსა და ჩვენ მოძმე სომხებთა შორის ეს განხეთქილება? სცდება პროგრამა!...

ქართველების ამოვარდნით და გაფუჭებით სომხებს არა შეემატებათ რა!...

ჩვენ, ქართველები, თუ რასმე დავჰკარგავთ, იმას სხვა წაიღებს და [აღქმითი]-ქვეყანა კი სიზმრად გადაიქცევა! ეჰ, რაც ყოფილა ყოფილა!. ახლა კი საჭიროა, რომ ძველ განწყობილებას ბოლო მოეღოს და ჩვენსა და სომხებს შუა ამიერიდან მაინც დამყარდეს საქმით: „ძმობა“ „ერთობა“ და „სიყვარული“! თორემ შეიძლება ჩვენც ის დაგვემართოს, რაც იმ ორ შევარდენს მოუვიდა, ერთ მტრედზე რომ ჩხუბობდენ: სანამ ისინი ჩხუბს გაათავებდენ, მტრედი არწივმა მოიტაცა.

[1907]

წერილები საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ეკონომიკის საკითხებზე

შავი ქვის თავგადასავალი

მე ჯერ კიდევ გიმნაზიაში ვიყავი. ვიქნებოდი ასე ათი-თორმეტი წლისა, ერთხელ წირქვალიდან ბეგარა პური მოგვიტანეს და მამაჩემმა უთხრა მოურავს: ეგ პური სხვაგან ჩაჰყარეთ, ცალკე ქათმებისთვის, რომ სხვა ხოდაბუნის პურებში არ გაერიოს, თვარამ დავიღუპებითო. მე გაოცებულმა მიზეზი გამოვიკითხე და მითხრეს: წირქვალისა და რგანის პური არ ვარგაო! ქვა-გუნდა ურევია, კალოს რომ აიღებენ, ის პატარ-პატარა ქვა გუნდები აჰყვებიან ხოლმე და პურს ისე აშავებენ, რომ საჭმელად აღარ ვარგაო, ერთი კოდი წირქვალელი ან რგანის პური თუ გაურიე, ასს და ათას კოდს პურს შავად შეღებავს და გააფუჭებსო.

როგორც ახალგაზრდას, ეს ჩამრჩა გულში და დიდმა ხანმა რომ გაიარა და სტუდენტად შევედი პეტერბურგში, ერთხელ ძველ „სამეფო ჟურნალს“ რომ ვათვალიერებდი, იქ შემხვდა გეოლოგი აკადემიკოსის აბიხის სტატია. სხვათა შორის, ამბობდა აკადემიკოსი, რომ შორაპნის მაზრაში და საზოგადოდ რგანში დიდძალი მარგანეცია, მდიდარი და ადვილი სამუშაო, მაშინ, როდესაც სხვაგან არსად არისო და მოთხოვნილება კი დიდიაო, როგორც სუროგატი სხვადასხვაგვარი მადნეულობისო და განსაკუთრებით უმისოდ ფოლადი არ კეთდებაო. დღეს მხოლოდ რეინის პირას არის და იქ მუშაობენო. მაგრამ ცოტაც არის და ძნელი სამუშაოცო. ასე რომ, წირქვალის მარგანეცი კონკურენციის გარეთ დარჩება და ვინც იმას ფეხზე დააყენებს დიდი სასარგებლო იქნება და ქვეყანასაც, ე.ი. მხარეს, სადაც ის არის, საუკუნოდ გაამდიდრებსო. ეს რომ წავიკითხე, მაშინ მომაგონდა მამაჩემის ქვა-გუნდა. ვამოწმებ აბიხის ნათქვამს მარგანეცის

შესახებ და ყოლიფერი მართალი გამოდგა; მარგანეცი არსად იყო გარდა რეინის ნაპირებისა. ჩილლი მაშინ ხსენებაშიც არ იყო და მოთხოვნილება კი დიდი იყო მარგანეცის. მე, როგორც არა-გეოლოგმა, არ ვიცოდი, თუ ქვა-გუნდა მართლა მარგანეცი იყო და საჭირო იყო მხოლოდ ამის შემოწმება, ადგილობრივად. ჩავე-დი თბილისში. აქ ცნობილ გეოლოგს, სვიმონოვიჩს მოველაპარ-აკე ქვა-გუნდის შესახებ. მანაც, რადგან სამსახურში იყო, აიღო ერთი თვის ნებართვა, დაეთხოვა და კერძოთ წამომყვა მე საჩხ-ერეს, ერთ თვეს დარჩა ჩემთან სახლში და იქედან დრო და დრო დავდიოდით წირქვალსა და ჭიათურის მიდამოებში, მადნის ყოველგვარმა სიმდიდრემ გააკვირვა მკვლევარი და როდესაც გაათავა გამოკვლევა, მოხსენება წარუდგინა სამთო გამგეობას. სამთო გამგეობამ სვიმონოვიჩს დაუნიშნა თანაშემწედ ინჟინ-რები: საროკინი და ბაცევიჩი და სამივე გამოგზავნა ხელახალ გამოსაკვლევად სახელმწიფო ხარჯით. იმათ ერთად გამოიკვ-ლიეს და კიდევაც დაბეჭდეს, მაგრამ ეს იყო მხოლოდ გეოლოგი-ური გამოკვლევა, საპრაქტიკოდ გამოუსადეგარი. არ იყო ნაჩვე-ნები, თუ რა იყო საჭირო და გამოსადეგარი მრეწველობაში. რასაკვირველია, ეს მათი გამოკვლევა, ისე როგორც აბიხისა, დღესაც არავის ექნებოდა გაგებული და ყურადღებასაც არავინ მიაქცევდა ამ დიდ საქმეს. მე კი აბიხის სტატიის წყალობით გავითვალისწინე, თუ რა სარგებლობას მოუტანდა ქვეყანას ამის წარმოება-მრეწველობა და კიდევაც შევუდექი საქმეს. მა-გრამ რომ არ მეგონა, იმისთანა დაბრკოლებანი დამხვდნენ, არა თუ არავინ დამეხმარა და თანაგრძნობა გამომიცხადა, არამედ კიჟინა დასცეს: გადარეულია და რაღაცეებს ბოდავსო, თორემ მარმარილოდან რომ დიდი სახეირო არა გამოდის რა, რაღაც ეშ-მაკ შავი ქვიდან რა უნდა გამოვიდესო? საჭირო იყო კაპიტალი საქმის დაწყებისათვის და მეც ის მაკლდა. ვისაც ვთხოვე დახ-მარება, ჩვენში ყველამ გაოცებით დამიწყო ყურება და როდესაც გავუთვალისწინე ის მომავალი მარგანეცის, რასაც დღეს ვხე-დავთ, მაშინ სულ კიჟინი დამსცეს. იმ დროს გამოდიოდა ერთად-ერთი ქართული გაზეთი „დროება“ და იქ მოვათავსე ჩემი სტა-ტია მარგანეცის შესახებ. სხვათა შორის ისიც მოვიხსენიე, რომ მარგანეცის მრეწველობა საკუთარ რკინიგზას მოიყვანს ჭია-

თურის ხრიოკებში-მეთქი. ეს ისე ეუცხოვათ მაშინდელ ბატონებს, რომ ერთპირად ყიჟინა დასცეს და ზოგი კარგი ნაცნობები და ნათესავები სამძიმარს ეუბნებოდნენ მამაჩემს: „ვაი რა შვილი გადაგერია და რაღაც ეშმაკის გაჩენილ შავ-ქვას დასდევსო“. რადგანაც ქართველებში არა მოხერხდებოდა რა, მივმართე სომეხ ვაჭრებს, იმათში იმ დროს ერთი მილიონერი ერია – სოლომონ შაბუროვ, ჩემი ნაცნობი და იმას გაუმჟღავნე ჩემი გულში ნადები. ოღონდ შენ გამოიღე ათასი თუმანი და მაგ ფასად სულ შეგაყიდვინებ, რაც მარგანეცია. შენ მხოლოდ ფულს ჩამოდი და შრომა და წარმოება ჩემ კისერზე იყოს. მხოლოდ იმ პირობით, როცა შენ, შენ დანახარჯ ფულებს აიღებ, მერე წმინდა შემოსავლიდან ნახევარი შენი იყოს, 10 პროცენტი ჩემი და დანარჩენი საქველმოქმედოთ გადაიდვას-მეთქი. შაბუროვმა მიპასუხა: კარგად ლაპარაკობ, მაგრამ შემცდარი კი უნდა იყოო! მაგისთანა საქმე ჯერ ჩვენში არავის უწარმოებია და მეც ფულებს ვერ გადავყრი, არა იმიტომ, რომ ფული მენანებოდეს, არა! მიტომ რომ სასაცილოდ არ ამიგდონ. ამის შემდეგ მე დავრწმუნდი, რომ ჩვენ ქვეყანაში არა თუ კაპიტალს ვერ მოვაგროვებდი საჭიროს, პირიქით, ხელის შემშლელიც ბევრი მეყოლებოდა. ჩვენში არა თუ მაშინ, დღესაც კიდევ, ქართველ-იმერლებმა წუნი არ დასდვან და კიჟინა არ დასცენ, რა არის? მიტომ, რომ კუდ-აბზიკა ხალხი არიან და რომ იტყვიან, იმაზე მეტს ფიქრობენ და ვითომდა კრიტიკოსებად გამოდიან! თუ მართლა წახდა საქმე, მაშინ იტყვიან: აკი მოგახსენეთ ჩვენ, რომ არა, არ გამოვიდოდა რაო! და თუ გაკეთდებოდა საქმე, მაშინაც კი მის ნაცვლად, რომ გამტყუნდნენ, პირიქით, ყოყოჩობას დაიწყებენ: ჩვენ გახლავართ კაციო! და თუ ჩვენ არა, ეს საქმე არ გაკეთდებოდაო და სხვანი... ეს საზოგადო სენია იმერლის. მართლა რომ ისეთი დიდი აზრისაა თავისთავზე, რომ ყოველი მისი ფეხის გადადგმა, სიტყვა და გულისთქმა დიდ რამედ მიაჩნია და სხვისი კი ყოლიფერი ბოდვად! ეს რომ ვიცოდი მე, გადავწყვიტე მათგან ჩამოშორება და შევუდექი საქმის საწარმოებლად კაპიტალის ძებნას საზღვარგარეთ და იქიდან ვაჭრის მოწვევას. თუმცა ძნელი იყო, რადგან იმ დროს საზღვარგარეთელებს სხვანაირად ჰქონდათ წარმოდგენილი ეს ჩვენი ქვეყანა, მაგრამ მე მაინც არ ვანებებდი თავს და

აბიხის და სვიმონიჩის გამოკვლევასთან ერთად ვაგზავნიდი აღწერილობას, თუ რა გზით და როგორ შეიძლება და რა ჯდება ეს წარმოება. ამასთანავე ევროპაში ვაგზავნიდი თვით მარგანეცს. მაშინ ჭიათურა ისეთი ხრიოკები იყო, რომ საცალფეხო გზაც არსად იყო და თუმცა მადნები სამი ვერსით იყო დაშორებული, მაგრამ მაინც ჭიათურის გზამდე მის ჩამოტანას არავინ კისრულობდა. მაშინ გამოჩნდა ერთი ვაშაძე და მითხრა: ადგილიდან თითო ფუთ ქვას მე ჩამოვიტან ხოლმე გზამდეო, მაგრამ იმ პირობით, რომ ღამღამობით ჩამოვიტან მხოლოდ და არა დღისით, რადგან მაძიებელი აზნაური ვარ და ტვირთის ზიდვა სირცხვილიაო. ჭიათურაში გზის პირას დუქანი ჰქონდა საჩინო ვაშაძეს და იქამდე ჩაჰქონდა ხოლმე ჩემ ვაშაძეს თითო ფუთი ქვა სამ-სამ მანეთად. აქედან შემდეგ ქუთაისში ჩაჰქონდა ცხენით და ქუთაისიდან საზღვარგარეთ ვაგზავნიდი ფოსტით. ეს ჩხირკედელაობა დიდხანს გაგრძელდა და ბოლოს, როგორც იქნა, დაინტერესდნენ ვაჭრები და დააპირეს წამოსვლა, რომ ადგილობრივად ენახათ მადნები; მოდიოდნენ და მოჰყავდათ ინჟინრები, რასაკვირველია, ჩემი ხარჯით. თორმეტი წლის განმავლობაში 8 კამპანია მოვიყვანე, მაგრამ არავინ ხელი არ მიჰყო მის მრეწველობას. ჩვენები შლიდნენ საქმეს, აშინებდნენ: „აქ ისეთი ციება იცის, რომ ქათმებსაც კი ხოცავს და უცხოელს უეჭველად გააქრობსო. აქ ადამიანს ისე სჭრიან თავს, როგორც ხახვსო“ და სხვანი. ერთი მათგანი მართლაც მოჰკლეს ფოთში. მაშინ ისე დაფრთხნენ, რომ საზღვარგარეთიდან კავკასიაში მოსვლა სამრეწველო განზრახვით აღარავის უნდოდა. დავრჩი ყოველმხრივ უიმედოდ და უნუგეშოდ. გამოვეთხოვე ჩემს თორმეტი წლის შრომასა, ფულებს ამ ხნის განმავლობაში საქმისთვის ჩაყრილს და მტრებისაგან თითქმის ყველასგან ნიშანმოგებული გავემგზავრე რუსეთისკენ. პეტერბურგში ერთ ჩემ ნაცნობთაგანს, გრაფინია მალის შევხვდი და ლაპარაკის დროს მან სხვათაშორის მკითხა: „რად ხარ ეგრე მოწყენილიო?“ მე შავი ქვის შესახებ ამბავი, რაც ვიცოდი, გადავეცი. გულდასმით მომისმინა და მითხრა: მე მრეწველობის არა გამეგება რა, მაგრამ თქვენი ნალაპარაკევი ჭკუაში მიჯდება და ვეცდები დაგეხმაროო. მე ძალიან გამიკვირდა, გრაფინიას ნალაპარაკევი უბრა-

ლო საუბრად ჩავთვალე, მაგრამ ოთხი დღის განმავლობაში მომივიდა გრაფინიას წერილი: ხვალ საღამოს მოდი ჩემთან მარგანეცის შესახებ მოსალაპარაკებლადო. დანიშნულ დროზე მივედი და გრაფინიასთან ერთი ვიღაც სხვაც დამხვდა. გამოდგა, რომ ეს იყო შინაგან საქმეთა მინისტრი მაკოვი. მან პირდაპირ მარგანეცის შესახებ ჩამოაგდო ლაპარაკი და მითხრა: მე გრაფინიამ გადმომცა საკვირველი ამბავი: არსად მთელს იმპერიაში არ არის მარგანეცი გამოჩენილი. საზღვარგარეთაც უმნიშვნელოა, ცოტაა და ჩვენც საზღვარგარეთიდან მოგვაქვსო, ვყიდულობთო, მარგანეცი გვინდა ფოლადის საკეთებლად და ექვს მანეთ-ნახევარს ვაძლევთ ფუთშიო. მაგის გამოჩენა ჩვენს იმპერიაში სახუმარო საქმე არ არის! მთავრობა ვალდებულია დაგეხმაროს მაგ დიდ საქმეში. შემოიტანე სამინისტროში განცხადება. წარმოადგინე თანვე ინჟინრების გამოკვლევა და შენი მოსაზრებაც და მერე მე ვიციო. შენ მხოლოდ ის შეასრულე ხოლმე, რაც გრაფინიამ გითხრა. კერძო კამპანიის ძებნა საჭირო აღარ არისო. მეტი აღარა უთქვამს რა, ის რომ წავიდა, გრაფინიამ მომილოცა: გათავდა საქმე. დიდი საქმე გათავდა და შენ კი მხოლოდ, როცა გათავდება საქმე, ხარჯს ნუ მოერიდებიო. მეც უნდა შემიამხანაგო, წილში შემიყვანო და მერე მე ვიციო. მე დამშვიდებულმა და აღტაცებულმა მეორე დღესვე შევეკარი გრაფინიას პირობით და უნდა მეძლია მისთვის წმინდა მოგებიდან მეხუთედი, მაგრამ ტყვილა კი არის ნათქვამი: „უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწიაო!“ სანამ საქმე დაიწყებოდა, იმ თვეში მინისტრმა თავი მოიკლა და ჩაიშალა დაიმედებული საქმე. და გრაფინია მაინც კიდევ შეუდგა საქმეს. შეეცადა, რომ კერძოდ მოეგვარებინა რამე და ხელიდან არ გაეშვა ეს საქმე, გამონახა ვიღაც შეძლებული ოსტრიაკოვი და იმას მოელაპარაკა. ოსტრიაკოვი დათანხმდა მხოლოდ იმ პირობით, რომ ადგილობრივ დაეთვალიერებია ის მადნის ადგილები, მით უფრო, რომ ცოლშვილი საზაფხულოდ კისლოვოდსკში ჰყავდა გაგზავნილი, კისლოვოდსკიდან შორაპნის მაზრაში წასვლა ვეღარ გაბედა შიშით, არ მომკლანო და იქ დაიქირავა იასაული ორმოცი ყაზახი რუსით და ჩამოვიდა ჩვენში. მოულოდნელად მოადგა ჩემს სახლს და დიდათ შემიშინა სახლეულობა! სანამ არ გაირ-

კვა მათი მოსვლის მიზეზი, დედაჩემი დაამშვიდა და უთხრა: შენი შვილის საქმეზე ვარ მოსული, მარგანეცზეო და ესენი ჩემი მხლებლები არიანო. მეორე დღეს გაატანეს კაცები და დაათვალიერებინეს მადნის ადგილები. რასაკვირველია, ოსტრიაკოვი კმაყოფილი დარჩენილა ნანახით და როცა დაბრუნდა და ჩამოვიდა პეტერბურგში, საჩქაროდ შეგვიკრა პირობა: ჩვენ უნდა ჩაგვებარებია მისთვის ფოთში პარახოდზე ნახევარი მილიონი ფუთი მარგანეცი ოთხი თვის განმავლობაში და მიგვეღო ფული მთლად, ფუთში სამ-სამი აბაზი. და ვინც პირობას გატეხდა, უნდა გადაეხადა შტრაფი ასი ათასი ფრანკი. სამუშაო ხარჯი და ფოთში ჩასატანი გზის ფული ჩვენი უნდა ყოფილიყო და ფული კი არსად იყო. მაშინ გრაფინიამ გადმომცა ათასი თუმანი და მითხრა: ახლა ამის მეტი არა მაქვს ხელად, მაგრამ სახლს დავაგირავებ და სხვასაც მოგაწოდებო. წადი და ახლავე შეუდექი საქმეს, რომ დრო არ დავკარგოთ და ჩაუტანოთ... ჩავაბაროთ ფოთში. ახლა კი სულ სხვა გუნებაზე დავდექი: ვფიქრობდი, რაღა შემიშლის ხელს? მარგანეცის არავის არაფერი გაეგება! მიძახონ გიჟი, სანამ არ მოეწყინოთ. ახლა ხომ მარგანეციც ჩემს ხელშია და სამუშაო ფულიც-მეთქი! აი, სწორედ ამ დროს გამითამაშა პოეტურმა ოცნებამ და წარმომადგენია ის, რაც თურმე მოსახერხებელი არ იყო! ცამეტი წლის ტანჯვის შემდეგ, ახლა დავრწმუნდი, რომ საქმე ჩემს ხელში იყო, ხელს ვეღარავინ შემიშლიდა და მაგ საქმეს ისე შევხედე, როგორც საზოგადოს. მე მარტო ჩემ გამდიდრებაზე კი არ ვფიქრობდი, ასე მეგონა, თუ ეს მრეწველობა მარტო ჩემ ხელში იქნებოდა და ისე მოვიხმარდი, როგორც სასარგებლო იქნებოდა ქვეყნისათვის და ეროვნულ მოთხოვნილებებს დავაკმაყოფილებდი. მიწები ხომ ქართველების იქნება, ვამბობდი გუნებაში, – მუშებსაც ქართველებს ავიყვან და ის დიდი მოგება, რომელიც მოსალოდნელია, ჩვენებს შეძლებას მისცემს, რომ სხვადასხვა საქველმოქმედო საზოგადოებაც დააწესონ! მაშინ სრული დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ მრეწველობას ყველა ჩემი თვალით შეხედავდა და ხელს შემიწყობდა. ის კი არ ვიცოდი, თუ ხალხის შეხედულება სხვანაირი იყო და საზოგადო საქმე წარმოადგენდა მისთვის საპირადოს... ეს რომ მცოდნოდა, მაშინ სულ სხვანაირად უნდა მოვქცეული-

ყავ: იმ ათასი თუმნით, რომელიც გრაფინიამ მომცა, უნდა ჩემს სახელზედ შემეყიდა, რაც მარგანეცი იყო მთელ რაიონში (ეს ადვილი მოსახერხებელი იყო მაშინ, რადგან მარგანეცს არაფერი ფასი არ ჰქონდა) და მერე დამეწყო მრეწველობა და საზოგადო საქმეც ჩემ ნებაზე წამეყვანა. მაგრამ მე ეს არ ვქენი! მართალია, ამდენი ხანი მე ხელს მიშლიდენ ადგილის პატრონები, მაგრამ ეს უმეცრებით და შეუგნებლობით მოუდიოდათ. და ახლა კი, როცა მარგანეცი ცნობილი და გამოკვლეული და საზღვარგარეთაც სახელ მოპოვებული და გატანის მეტი აღარა უნდა რა, მარგანეცის მეპატრონეები წინდაწინვე თვალნათლივ ხედავენ თავისთვის გამდიდრებას, რაღა მიზეზი აქვსთ, რომ აღარ დამიჯერონ და ჩემი თაოსნობით და ჩემთან შეერთებით არ წაუძღვენ საქმეს-მეთქი? და შეუდექ საქმეს: სალომე წერეთლის ქალის, ანდრონიკაშვილის ქვრივისაგან ავიღე იჯარით სამარგანეცო ადგილი „ჯითხნარი“, რადგანაც ახლოს იყო გზიდან. აქ ერთი რამ უნდა მოვიხსენიო, რომელიც ახასიათებს ჩვენი ხალხის სინდისს ახლანდელ დროში: ოღონდ კი ჩაიგდოს ხელში სხვისი საკუთრება, შეიძინოს ის, რაზედაც არავითარი უფლება არა აქვს და თავი მართალი ჰგონია, არც ღმერთს დაეძებს და არც სინდისს. იძახიან, კანონმა მომცაო და მართლაც დღევანდელ დღეს კანონს ფორმალურად ასრულებენ და მართალიც რომ იყო, თუ გასცდი კანონებს, შენს სიმართლეს დაჰკარგავ: „ეს ვადა გაგიშვია“, „ეს ფორმა დაგირღვევიაო“ და სხვანი. იმ ათასი თუმნიდან, რომელიც რუსეთიდან ჩამოვიტანე, ხუთასი თუმანი წლის არენდი სალომეს მივეცი და შევუდექი საქმეს. დანარჩენი ხუთასი თუმნით დავიწყე შავი ქვის მუშაობა. ანდრონიკოვის ქვრივთან რომ მივედი კონტრაქტის შესაკრავად, მითხრა: შვილო, ხუთას მანეთად მოგცემ საკუთრებად შავ-ქვას, სულ, რაც მოიპოვება ჩემს მამულშიო. მე მოვახსენე: არა, ბატონო, თქვენთვითონ არ გესმით, თუ რა სიმდიდრეა ეგ შავი ქვა! მე არ მინდა ვისარგებლო თქვენის უმეცრებით და მიტომაც მე ყოველ წლობით დღეიდან გაძლევთ ხუთას თუმანს არენდას. სალომეს მადლობას და სხვადასხვა დაპირებას საზღვარი არ ჰქონდა. ეს კონტრაქტი რადგანაც მოგიცია, შევინახავ. მეგობრულად გავშორდით ერთმანეთს. წამოვიყვანე თბილისიდან ერთი ჩემი მე-

გობარი და ის დაუყენე მეთაურად მუშებს. მუშების შოვნა მეტად გაჭირდა. ამაოდ მორწმუნეობით შეკრული ხალხი ერიდებოდა შავი-ქვის ხელის მოკიდებას, მაგრამ უზომო ქირამ (მაშინ დღეში მანეთი დიდი ქირა იყო) სძლია მათ. შემდეგში ეს მორწმუნე მუშები თანდათან შეეჩვივნენ და აღარ გაურბოდნენ მუშაობას. დიდ ლოდებად ზედაპირზე ყრიდნენ ყორებად და ხელით სატარებელი ურმებით ეზიდებოდნენ... სამი თვის მუშაობის შემდეგ დამზადებული გვქონდა შავი-ქვა, რაც კი საჭირო იყო. ჭიათურიდან ურმით ჩაჰქონდათ შავი ქვა შორაპნამდე და მერე კი რკინისგზით ფოთამდე ჩაჰქონდათ... აქ მოხდა მაშინ ისეთი უცნაური ამბავი, რომლის მოფიქრება და წარმოდგენა მე არ შემეძლო. სოფლელებმა მადლობის მაგიერ, რომ საურმე გზას ჩემი ხარჯით ვაკეთებდი, წინ გადამეღობენ და ნება არ მომცეს. ოცდაოთხი საჩივარი შეიტანეს ჩემზე სამსჯავროში, რომ გზა ჩვენია და იმას მუშაობის ნებას ვერ მივცემთო. მე, გაოცებული, მივიჭერ უკვე განსვენებულ გ.ღოღობერიძესთან, ნაფიც ვექილთან, შევსჩივლე და რჩევა ვკითხე.

– საცალფეხო გზა სოფლისაა? – მკითხა ვექილმა.

– საქვეყნო!

– და ხელს ვინ გიშლის.

– რა ვიცი, ვიღაც ვიღაცეები, ცალფეხა აზნაურიშვილები, რომელთაც არავითარი სიმართლე არა აქვთ.

– ეგ იმათაც იციან.

– მაშ რაღათ მიჩივიან? ხომ იციან სამსჯავროში წააგებენ მაგ საქმეს?

– კი, მაგრამ, როდის? სანამდე სუდით ეგ საქმე გათავდებოდეს, შენ ქვას არ გაგატანინებენ და მანამდე დრო დაგეკარგება. იმათ უნდათ, ცუდ მდგომარეობაში ჩაგაყენონ და წაგგლიჯონ რამე ძალით. რაც ეს ახალი სუდები შემოვიდა ჩვენში, ხალხი ძალიან გაცუღლუტდა და აღარაფერს ერიდება, ოღონდ კი იშოვოს რამე. შენც ახლა ჩაუჭერიხართ და იციან, რომ მეტი გზა აღარ გრჩება რა და უნდა მოურიგდე, რამე მისცეო. მაგრამ მორიგებაზე რომ მიდგა საქმე, იმდენი მოითხოვეს, რომ სიზმრადაც არ მინახავს იმდენი ფული, ეს გარემოება შევატყობინე პეტერბურგში გრაფინიას. მან გამოგზავნა იქიდან ნაფიცი ვე-

ქილი გოლოვინი, მაგრამ მისმა ჩარევამაც საქმეში ვერა გაარიგა რა. გრაფინიამ ჯარიმა გადაიხადა, როგორც თავისი ნახევარი, ისე ჩემი და გაეშურა საზღვარგარეთისაკენ და მეც წიგნი მომწერა. სხვათა შორის მწერდა: „ეგ საქმე დიდი საქმეა და მაგის ხელიდან გაშვება არ ივარგებსო, აქ ჩვენში, აღარ მოხერხდება რა და შევეცდები, რომ უცხოეთში შევადგინო კომპანია, რადგანაც მეტად დიდი საქმეა“. გრაფინია იქ მთელი წელიწადი დარჩა კომპანიის ძებნაში და მე აქ უფულოდ, ჩემის პროექტებით. გაიარა ხანმა, დადგა მეორე წლის არენდის დრო. უნდა მიმეცა სალომესთვის საიჯარო ქირა. მე დაიმედებული ვიყავ, რომ კნეინა სალომე მოიცდიდა, მაგრამ ნუ მოგეცეს ჭირი! ფულის მიცემა რომ ვეღარ შევსძელი, ნამუშევარი ქვები წამართვა, დაარღვია კონტრაქტი და ახალი კონტრაქტით ის კვეცხნარი, რომელიც მე ხუთას თუმნად მქონდა აღებული ივან მუხრან ბატონს გადასცა. წელიწადში სამი ათას ხუთას თუმნად! ივანე მუხრანსკიმ იფიქრა, მე გზა არ მინდაო. ჩამოუყვანია სპარსეთიდან აქლემები და აქლემებს აზიდვინებდა ტვირთს საცალფეხო გზით. ადგილობრივმა მოჩხიკინეებმა აქაც გამოიგონეს ხერხი: გზაში აფრთხობდნენ აქლემებს და ისინი კლდეზე ცვივდებოდენ. რადგან აქლემები ბაწრებით იყვნენ ერთმანეთზე გადაბმული, ერთი რომ გადავარდებოდა, სხვებიც თან მიჰყვებოდენ. ამგვარად აქლემებით მუშაობა ჩვენში შეუძლებელი შეიქმნა, მუხრან ბატონის ხერხს ადგილობრივმა საუკეთესო ხერხმა აჯობა და ივანე მუხრანსკიმ იზარალა ასი ათას მანეთზე მეტი. ივანე მუხრანსკის შემდეგ გაჩნდა ვიღაც ბარონ მერცენფელდი, დიდი კომპანიის წარმომადგენელი, მაგრამ ჩვენი ქვეყნის უცოდნელი და უმეცარი. ტყუილა კი არ არის ნათქვამი: „ადგილის კურდღელს ადგილის მწევარი დაიჭერსო“. ამ ბატონმა ნემეცმა მილიონამდე ჩაყარა შავ ქვაში და მერე მიატოვა, გაუდგა გზას. ამის შემდეგ გაჩნდა ფურმანი, რომელიც წინათ ჩამოყვა ოსტრიაკოვს ყაზახებით. სხვისი ფულებით ამანაც ბევრი იფართხალა, მაგრამ მაინც ვერა გააწყო რა. ამას მიჰყვნენ სხვა ექსპორტიორებიც (გვარები აღარ მაგონდება ამ უცხოელების), მაგრამ ისინიც ყველა ჩაიღუპენ, როგორც მდინარე, სანამ ფონი გამოჩნდებოდეს, ბევრს ახრჩობს. ისე ამ შავ ქვამაც ბევრი დაღუპა, მაგრამ სახე-

ლი კი გაითქვა და ბარაქაც მოიპოვა. ახლა მხოლოდ საკმაო იყო მხოლოდ გატანა ქვის. მართალია, მეც დავიღუპე, მაგრამ ეს დაღუპვა არაფრად მიმაჩნდა, რადგან სხვებმა გაიარეს იმ ჩემ გატკეპნილ გზაზე და შავი ქვის მრეწველობას მე კიდევ მაინც ისე ვუყურებდი, როგორც საერო საქმეს და მისგან ველოდი ჩვენი ქვეყნის გამობრუნებას.

[1873-1897]

წერილი ეფროსინა კლდიაშვილისადმი

რასაკვირველია, თქვენ შეტყობილი გექნებათ, რომ თბილისში „სკაპენის ცუღლუტობა“ წარმოადგინეს.

მაშ, ისიც უნდა გიკვირდესთ, რომ მოთამაშე ქალების გვარში სულ უცხო ქვეყნელების გვარსა ჰხედავთ?... ეგება ეს ფსევდონმებათ, ე.ი. გამოგონებულ გვარებათ მიიღეთ? არა, გარწმუნებთ, რომ სწორეთ ნამდვილი გვარებია.

ამ პიესისთვის საჭირო იყო სამი მოთამაშე ქალი და როგორც აფიშაშია გამოცხადებული, სწორეთ იმ გვარის ქალებმა ითამაშეს: ზაიცევისამ, ანტანოვსკისამ და დაკიშევიჩისამ...

განა გიკვირსთ? უნდა გამოგიტყდეთ, რომ აქ არ ვიყო და კარგათ არ ვიცნობდე აქაურ საზოგადოებას, მეც ძალიან გამიკვირდებოდა; მაგრამ ახლა კი ვიცი მიზეზი:

აქაური ახალგაზრდობა, როგორც მამრობითი, ისე მდედრობითი სქესისა (რასაკვირველია, აქ უმრავლესობაზედ ვამბობ) არა ვითარს საქმეში არ გაერევა ისე, თუ მისი საპირადო, კერძო და თავის გამომჩენი არ იქნა. საზოგადო ინტერესი ამათთვის ჩალაა და ბზე!.

მაგალითად ავიღოთ, თუ გინდ თეატრი: რა შემთხვევაში მიიღებს წარმოდგენაში მონაწილეობას აქაური ქალი? მაშინ, როდესაც რომელიმე კერძო უფროსი პირის სიამოვნება უნდა და კერძოთ თავის გამოჩენა, თორემ უამისოთ გინდ ქვა ქვაზედაც ნუღარ ყოფილა! საზოგადო კეთილი საქმე რა მისი ხელობაა?

აი, ამ შემთხვევაშიაც რა პასუხები მივიღეთ აქაურ ქალებისაგან: ერთმა შემოგვითვალა, რომ მე დიდი ოჯახისა ვარ და არ მეკადრება ამ გვარს წვრილმან საქმეებში გარევა, ჩემი საქმე დიდი და გამოსაჩენი საქმეებიაო ე. ი. ბალები, ტანცაობა და ფაიტონებით აქეთ–იქით სირბილიო.

მეორემ გვითხრა, რომ მე დიდი სურვილი მაქვს საზოგადოთ კეთილ–საქმეებში მონაწილეობის მიღებისაო, მაგრამ ნათესავები მიშლიანო.

მესამემ გვიპასუხა, რომ თუ მისთანა როლი არ მექნება, სადაც ჩემი მაღალი ნიჭი გამობრწყინდება, არ ვითამაშებო.

მეოთხემ პირობა გვთხოვა, რომ ჯერ ათასი მეტანია მიყავით, მერე ცამდი ქება შემასხით და მხოლოდ მაშინ ვითამაშებო და სხვ.

სხვებმა კი უფრო მოკლე მიზეზები გვითხრეს: მოგცლიათ! რა დროს საზოგადო და საქველ–მოქმედო საქმეებია, გაზაფხულია, ბაღებში ქეიფი გვინდაო!

მაგრამ დავანებოთ თავი ამ ქალებს და ზოგი ვაჟებზედაცა ვსთქვათ:

კანონით, ჩვენ უნდა იმასა ვნატრობდეთ, რომ ნიჭიერი და გაზდილი სპეციალისტები ბევრი გვეყოლოს; მაგრამ მე კი დღეს ამ სურვილის წინააღმდეგი ვარ, რადგანც ვინც კი გვყავს ნიჭიერები და რამეს მცოდნები ისინი სულ აღარას გვარგიან საზოგადო საქმეებში. მხოლოდ თავის პირადობაზედ არიან გადაყოლილები და იბერებიან.

ამას წინათ კონცერტი იყო და მე წამომცდა, მოდი ერთი ჩვენი შესანიშნავი მუსიკოსები უუ. მ. და ს. მოვიწვიო-თქო და სიცილი დამაყარეს: განა არ იცი, რომ ისინი არ იკადრებენ მაგ გვარს საქმეებსო? და თურმე მართალიც მითხრეს.

ერთმა ახალგაზრდა კაცმა ამას წინათ სახალხოთ აღიარა, რომ მე მხოლოდ მისთანა საქმეში მივიღებ მონაწილეობას, სადაც ჩემი მშვენიერი ნიჭის და კეთილ–ხმოვანების გამოჩენა შემეძლებაო და დააფასებენო, თორემ საზოგადო საქმე რა არისო?

აქედამ ის გამოდის, რომ აქაური ახალგაზდობა არ იღებს მონაწილეობას არაფერს საქმეში და თუ იღებს, მხოლოდ მაშინ, როდესაც თავს გამოიჩენს, ე. ი. პრანჭიობს; მაგრამ იმდენი

გამბედაობა კიდევა აქვსთ, რომ მისის ენაჭარტალობით სცდილობს სხვებსაც, რომელნიც შეძლებისა და გვარად სცდილობენ საზოგადო კეთილს, ხელი შეუშალონ როგორმე.

ამ შემთხვევაში რაღა დარჩება ჩვენს პატიოსან ახალგაზდობას მის მეტი, რომ ამ ბატონ–კაცებს ზურგი უჩვენოს ყოველს შემთხვევაში.

დიახ, გულს გვიკლავს აქაური ახალგაზდობა; მაგრამ მადლობა ღმერთს, იმედი არ გვექნება სრულიად დაკარგული, მაშინ როდესაც თუ ამ–ერებში ვერა, იმ–ერებში მაინც ვხედავთ საზოგადო საქმისათვის თავგამოდებულებს როგორც ვაჟებს, ისე ქალებსაც და მათ რიცხვში პირველად თქვენ.

ეს ათი წელიწადია, რაც თქვენი თავგანწირული და ყოველის მხრით უანგარო შრომა საზოგადო საქმეებში სამაგალითოა და ჯერ მიუბაძავი. ამისათვის ვისურვებთ ერთად თქვენს კეთილ–დღეობასთან იმასაც, რომ თქვენის მიხედვით სხვებიც გამოსულიყვნენ საზოგადო ასპარეზზედ.

1875

სიტყვა, თქმული აკაკისაგან ხელთუბნის სკოლის კურთხევის დროს ოქტომბრის 1–ლს 1884 წ.

ამ წმინდა მამის დამოძღვრებისა და ბ. მასწავლებლის საგულისხმო სიტყვის შემდეგ, თუმცა ბევრი ლაპარაკი საჭირო აღარ არის, მაგრამ მაინც, ჩემო ძმებო, თუ ყურს დამიგდებთ, მინდა ცოტა ხანს მეც გესაუბროთ.

აქედან შორს, ბევრ ცხრა–მთას იქით, ზღვისპირად, ესპანიის ქვეყანაში არის ერთი პატარა მაზრა, რომლის უმშვენიერესი თითქმის არსად მოიპოვება: ყოველ გვარად შემკულია, მაგრამ ერთი უბედურება სჭირს. საოცარი ციებ–ცხელება იცის.

ამ მშვენიერ მხარეზედ არის ამბად ნათქვამი: ვითომც ერთხელ მამა ღმერთს ებრძანებიოს წმინდა გიორგისთვის: ვიცი, რომ გაჭირვებულ ხალხს ეწევი და მფარველობო; ამისთვის მადლიერი ვარ მე შენიო!... მთხოვე, რაც გინდა და აგისრულებო!“

ისიც შეჰვედრებია ღმერთს: „მე მეტი არა მინდა–რა, მხოლოდ იმ ქვეყანაში ციებ–ცხელება მოსპეო!“ – ეგ კი არ შეიძლებაო, – უბრძანებია ღმერთს, – ეგ განგებით არისო: იქ რომ სნეულება მოვსპო, მაშინ ის კუთხე ამ სასუფეველს ემჯობინება და აქ ვინ-ღა ისურვებს დადგომასაო“.

ამ მხარისა არ იყოს, ეს ჩვენი პატარა ქვეყანაც, ყოვლის-ფრით სრულია, რომ ამასაც ერთი ჭირი არ ადგეს ხოლმე: მას არც ერთხელ მოსვენება არა ჰქონია; მიტომ, რომ მშვენიერი არის, ყველას მაგისი ხელში ჩაგდება ჰსურდა...

მაგრამ, ნათელი მათ საფლავს, რომ ჩვენ მამა–პაპებს თავი გამოუდვიათ და არავისთვის დაუნებებიათ!... მართლაც, ცალ ხელში რომ სამუშავო იარაღი ეჭირათ, მეორეში მტრის მოსა-გერებელი, გული არ გასტეხიათ, თავი არ დაუზოგავთ. დღეს იმისთანა ადგილს ვერსად გამოვსძებნით ჩვენს ქვეყანაში, რომ მათი ძვლები არ ეყაროს! თვით აი ეს ადგილიც, რომელზედაც ახლა ჩვენ ვდგევართ, შეიძლება მათის წმინდა სისხლით იყოს მორწყული!... დიაღ, ტანჯვით შესწირეს თავი ჩვენს ქვეყანას, მაგრამ დაიცვეს თავისი ეროვნება...

დღეს სულ სხვა დრო გვიდგას: გარეშე მტერი აღარა გვყავს, მაგრამ...

იმ ძველ მტრებზე ეს ახალი მტერი უფრო საშიში და სა-ფრთხილოა. ცხად მტერს, პირდაპირ მომავალს, შეუპოვრად მიეგებები – მაგრამ რა უნდა უყოს უჩინარ მტერს, რომელზე-დაც თვალი ახვეული აქვს. ეს უჩინარი მტერი არის უმეცრება და უსწავლელობა. – სანამ ამას არ მოვიშორებთ, თვალი არ აგვეხილება. თვალის ასახელად კი სულ სხვა გვარი იარაღე-ბია საჭირო და ის იარაღები აი ამისთანა სახლებიდან უნდა გამოიტანონ თქვენმა შვილებმა, რომ თქვენი ხვედრი აიცი-ლონ, თორემ ხომ ხედავთ, რა გემართებათ დღეს: გიყვარსთ თქვენი მიწა–წყალი და ვერ უვლით! – შრომობთ და ბარაქა არ არის! – გინდათ, რომ თქვენს თავს მოუაროთ, პატივი სცეთ და არ შეგიძლიათ! – უსამართლოდ რომ ვინმე გადაგეკიდოსთ და მოინდომოს თქვენი დაჩაგვრა, თქვენ ხომ თქვენდა თავად პასუხს ვერ აგებთ? უნდა წახვიდეთ და გამოსძებნოთ მისთანა კაცი, რომელიც თვალ–ტანად, ძალ–ღონით და ჭკუა–გონებით თქვენზე ნაკლებია, მაგრამ, ცოდნა რომ მეტი აქვს თქვენზედ, ის

დიდ–გულად, ბატონივით, გეპყრობათ და თქვენ კი მის წინ ქუდ–მოხდილები დგეხართ. ისიც, ორ სიტყვას რომ იტყვის თქვენს მაგივრად, ტყავს გაძრობსთ და თუ ორი კალამიც მოუსვა, სულსა გხდისთ! თუ გინდათ, რომ თქვენს შვილებსაც თქვენისთანა დღე არ ადგეს, ამ სასწავლებელს მოსჭიდეთ ხელი, ეს არის ერთად ერთი თქვენი გამომხსნელი, აქ გამოზარდეთ შვილები და ისინიც სიყვარულით მოგიხსენებენ.

კიდევ ერთი სიტყვა!.. არაკით დავიწყეთ თქვენთან საუბარი და უნდა ნამდვილ ამბით კი დავაბოლოვო: სამი ძმა კაცი იყო ძველად ჩვენში, კარგი ოჯახის შვილები და კარგადაც სცხოვრობდენ. ბოლოს, რაღაც შემთხვევამ ისე მოიტანა, რომ...

შეჩვენებულებმა ისე გადაამტერეს, ისე გადაჰკიდეს ეს ძმები ერთმანეთს, რომ კინაღამ სამივეს ოჯახი დაუქციეს. მაშინ მიიხმო ის ძმები დედა მათმა და უთხრა: შვილებო! თქვენ ხომ სამივე ამ ერთის მუცლით მიტარებიხართო?.. დიაღ! უპასუხეს. ხომ ამ ერთი ძუძუთი გამიზდიხართო? მართალიაო! მიუგეს. ღმერთიც ხომ ერთი გყავსთო. რასაკვირველიაო! სთქვეს. ჰო და მაშ ერთმანეთს რაღას გადაჰკიდებიხართ ერთ–სისხლი და ერთ–ხორცი ძმებიო!.. პირჯვარი, როგორც გინდათ ისე დაიწერეთო!.. ჩახვდნენ მაშინ მოჩხუბრები გონებაში, შერიგდნენ და ისევ გაძლიერდენ...

ეს მაგალითი მიტომ მოვიყვანე, რომ დღესაც არიან ჩვენში მისთანები, რომ სხვა–და–სხვა რჯულზედა დგანან და ერთმანეთის ძმები აღარა ჰგონიათ თავი. საჭირო არის, იმათაც გამოუჩნდეს დამრიგებელი დედა და უთხრას: თქვენ ხომ ერთი ქვეყნის შვილები ხართ? ერთის მიწა–წყლით ნაკვები!.. ერთი ენა გაქვსთ, ერთი ზნე და ერთი ჩვეულება. თქვენს მამებსაც ჭირი და ლხინი ერთად უნახავსთ და თქვენც ერთნი უნდა იყოთო... ამ გვარად თქვენი დამრიგებელი და შემაგნებელი უნდა იქნენ ამნაირი სასწავლებლები. და თქვენც, ჩემო ძმებო, ვალდებული ხართ, რომ ყური დაუგდოთ და გულ–წრფელად მოუსმინოთ!.. გაუმარჯოს ამ ახალნაკურთხს — თქვენ სასწავლებელს, გაუმარჯოს იმ მოსწავლეთ, მათზე მზრუნველებს და თქვენც ერთობით ყველას გაგიმარჯოსთ!

1884

სამძიმარი

(*ვბეჭდავთ ამ სტატიას ჩვენს გამოცემაში, რომ ვაცნობოთ ჩვენს მკითხველებს გელათის გაძარცვის გამო გამოთქმული აზრები ჩვენი მწერლის აკაკისა, რომლის აზრი ასე აშკარად განსხვავდება სხვა უმწიფარ და საქმის უვიც მწერალთა აზრებისაგან. შემდეგში როგორც ამ სტატიისა, აგრეთვე სხვა სტატიების შესახებ ჩვენს აზრს გამოვსთქვამთ. რედაქტორი*).

თუმცა შემთხვევას ვაძლევ „ცნობის ფურცლის“ მოღვაწეებს, რომ ერთხელ კიდევ გამოიყვანონ კარიკატურაში ჩემი ჩამორჩენილობა და მიკიჟინონ ჩემი სამშობლოს სიძველეთა მიმდევრობა, მაგრამ მე მაინც ჩემსას არ დავიშლი და ძველებური „ნუ დააგდებ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა“ მირჩევნია შემოვსძახო, ვიდრე აწმყოს მათებური მაყრული ვუმღერო!

არ დავფიცავ, ბევრი რამ მამა–პაპათა ნაანდერძევი, დღეს დაკარგულ–მივიწყებული, მიგლოვია, მაგრამ არც ერთი ისე არ დამსობია გულზე, როგორც ეს უკანასკნელი უკუღმართობა: იმ ქვეყანაში, სადაც სარწმუნოებისა და მასთან მჭიდროდ შეერთებულ ეროვნობის გულისათვის მოწამეთა სისხლით „აღდგომის კვერცხივით“ შეღებილია საქართველოს მთა და ველი, ახალმა დრომ გამოიწვია ისკარიოტელთა გუნდი, „შიგნიდან ციხის გამტეხი“, რომელიც შეურაცხყოფს მამა–პაპათა თვით საფლავსაც კი!

ბევრი აღარა დაგვრჩენია რა ძველთაგან ეროვნული „წმინდა წმინდათაგანი“!.. ერთი–ღა გელათი იყო მის საარხეოლოგო ნაშთებით და იმასაც დასცემიან თავს ავაზაკები და შეუბღალავთ!.. შეიარაღებული რაზმი შესევია ლოცვის დროს წმინდა ტაძარს. გარეთ მეთვალყურეები დამდგარან, შიგნით მცარცველები შეჭრილან, გაუძარცვავთ ეკკლესია, თან გაუყოლებიათ არხეოლოგიური ნაშთები: დავით აღმაშენებლის ბეჭედი, ოქროს და ვერცხლის ბარძიმ–ფეშხუმი და მღვდელ–მთავრებთა ოქრო–ჭედილი შესამოსლები (დაკარგულ ნივთების სია იხ.: „ივერია“ № 176). აქ მარტო ფულის შოვნისა და შეძენის ანგარიშით არ უნდა

იყოს. ის ნივთები, ის ბეჭედ–ქოშები, შესამოსლები ხომ სულ უნდა ტყვილა–უბრალოდ გადააგდონ და რა სარგებლობა, რა აზრია? მხოლოდ ცარიელი გულის მოფხანვა იმათი, რომელთაც საქართველო წარსულშიაც კი ეზიზღებოდათ!.. არა მჯერა, რომ ეს განზრახული და მოფიქრებული ბოროტება მისთანებს ჩაედინოსთ, რომელთა ძარღვებში, ერთი წვეთი არის, კიდევ დარჩენილა ქართული სისხლი. და თუ ვსცდები და მართლაც ჩვენი მიწის შვილების ჩანადენია ეს საოცარი საქმე, მაშინ კი მშვიდობით მომავალო! რა არის ის თავზე ხელ–აღებული ერი, რომელსაც რჯული აღარა აქვს, გინდ კერპთ მსახურიც იყოს, თუ არ მხოლოდ კუჭის მიმდევარ–მაძიებელი კორლტი ღორთა?.. მოდი და ნუ შეძრწუნდებიან წინაპართა ძვლები სამარეში!

თურმე ბევრი დრო არ ნდომებია ხალხის გადარჯულებას, გაუკულმართებას და გაპირუტყვებას!.. თორემ ვინ ეს ამბავი და ვინ საქართველოს მიწის შვილები? ჩვენი ძველები და მათის წამხედურობით სხვა რჯულის ტომებიც, საქართველოს მიწა–წყალზე დასახლებულნი, ვერ გაბედავდნენ, რომ საყდრიდან, გინდ მარტო ძველი ნანგრევიცღა ყოფილიყო, გალავნიდანაც კი გამოეტანათ და წაეღოთ, გინდ თვალი და მარგალიტიც ყოფილიყო. ისე დიდი იყო მათი სასოება და პატივის ცემა... შახ–აბაზმა რომ რაჭაში, ბრავალძლის მონასტრეს (მრავალ–ძალი) ძვირფას თვლებით შეჭედილი ხმალი შემოსწირა, ის საუნჯე, ორას–სამასი წლის განმავლობაში, აქვე გარეთ ერთ ნანგრევში ეყუდა და ვერავინ ხელს ვერ ახლებდა ხატის საკუთრებას. იმ შემოსაწირავმა ჩვენ დრომდი მოატანა და მე ჩემ პატარაობაში კიდეც მინახავს ის ძვირფასი ნივთი... დღეს კი ბარძიმ–ფეშხუმებსაც აღარ აყენებენ საკურთხეველში. სტეხენ საყდრებს და ხატს და ჯვარს ატყავებენ და ზარებიც ქურდების დასაფრთხობად ირეკება ჩვენ ეკლესიებზე და არა სასოების გამოსაწვევად. ვისი ბრალია? – ვიცით, მაგრამ, თევზისა არ იყოს, „პირი წყლითა გვაქვს სავსე“. პირველად რომ გელათიდან სახარება გაიტანეს და ძველი ოქრო–ჭედილ შესამოსლები ვერცხლად გადაადნეს, დასავლეთი საქართველო ფეხზე დადგა, სამგლოვიარო ჩაიცვა და ფეხშიშველა მიეშურებოდა გელათისკენ... მაგრამ დროს თავისი მოაქვს და ადამიანიც ყველაფერს ეჩვევა!..

ახალმა ვითომ და სიბრძნემ, ვითომ და ძველ უგუნურებას უკიჟინა და ჩვენი ეკკლესიებიდან მამა–პაპათა შენაწირი ნივთები გამოიტანა იმ განზრახვით, რომ ფულად ექცია და იმ ფულითაც ძველი ტაძრები, ზედ ძველებურ წარწერებით, მათებურად გადაეხალისებია. ჩვენთვის დღეს აღარც ეროვნებაა ქრისტიანულის ელფერით. მივჰყვებით ვითომ მოციქულების კვალს, მაგრამ რომლისას – იუდა გამცემლისას თუ დანაშთენებისას – იმას კი ველარ ვარჩევთ. მივისწრაფით, მაგრამ სავანეში დასავანებლად, თუ უფსკრულში ჩასავარდნელად, – არ დავეძებთ და გამფრთხილებელიც არვინა გვყავს. თანამედროვე ქართველის გული კუჭმა ჩაყლაპა. და არ გვმართებს მოთქმა–ტირილი?

მაგრამ, მკვდრებს თუ მიუტირებთ და მიუსამძიმრებთ, თვარა ცოცხლებს აღარა ეყურება რა!..

ვის მიუტირო აწ ძველებურად,
რომ ჩემი ცეცხლი გაუზიარო?
და ერთად მასთან უბე–კალთაში
სამგლოვიარო ცრემლები ვღვარო?
–
თუ არ შენს აჩრდილს და შენსა სახეს,
კალამ–ძლიერო და მადლიანო;
ქართველად ზრდილო, მირონ–ცხებულო,
სულ–მნათო, ვახტანგ ორბელიანო?!
–
ძველი დიდების საჩინო ნაშთნი,
შენი გელათი, დიდი ტაძარი,
სადაცა ბრწყინავს სული დავითის
და თამარისა, ვითა ლამპარი,
–
ვის სიწმინდესაც, ბარბაროსთა დროს
მტერი ურწმუნოც ვერ შეჰხებია, —
ის საეროვნო „წმიდა–წმიდათა“
დღეს თვით ქართველსვე დაჰვიწყებია.
–

და შეუხია, როგორც იუდას
ამბორის ყოფით, გამცემი ხელი:
გაუტაცია საისტორიო
საშვილი–შვილო ნაშთები ძველი!
–
ის წმიდა ქოში, რომელსაც თამარ
ლოცვა–ვედრების დროს გაიხდიდა
და ფეხ შიშველა, სამშობლოს მსხვერპლად,
წმიდა ტაძარში წმიდა ცრემლს ჰღვრიდა.
–
და ის საცერე დიდი ბეჭედი,
აღმაშენებელს რომ თითზე ეცვა
და კურთხეულმა მისმა მარჯვენამ
საქრისტიანო რითაც დაიცვა.
–
სხვა სიმდიდრესთან, ბოროტ–განმძრახველს
გაუტაცია ისინიც ერთად.
აღარ უცვნია გადარჯულებულს
ტაძარი ტაძრად და ღმერთი ღმერთად!..
–
ველარა ვხედავ იმას, მგოსანო,
რაც რომ გელათზე შენ დაგვიწერე!..
და ნეტავი შენ, რომ შენც ჩემსავით
ამ წამხდარ დროის აღარ ხარ დამსწრე!!

1904

ნუ მიწამლავთ მოხუცს გრძნობას!

ბევრი ქვეყნები დამივლია, გავცნობივარ სხვადასხვა ერებს, შემიდარებია ქართველობისათვის, მაგრამ ბუნებრივ გრძნობა–გონების სისპეტაკეში უპირატესობა ჩვენზე არა მინახავს რა! და სწორეთ ამით უნდა აიხსნას, უმეტესად, ის ისტორიული საკვირველება, რომელიც ჩვენ წინაპრებს გადმოუციათ ჩვენთვის. მაჰმადიანობამ მუსრი გაავლო ქრისტიანობას: დიდებული

ვიზანტია სრულიად დაამხო, სლოვიანთა ქვეყნები დაიპყრო და ევროპის კალთებს ზარი დასცა, მაგრამ ამ პატარა სამეფომ, ამ ერთმა მუჭა-ხალხმა კი გაუჭირვა საქმე, ყოველ კუთხით მომდგარმა თათრობამ დიდ გასაჭირში ჩააგდო საქართველო, მაგრამ იმან მაინც გაბედა გამკლავება. სთქვა: „ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა ვით ქვითკირსა“-ო და „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანიო“ ამით იმაგრებდა გულს. შეუკავშირა რჯული ეროვნებას. პირველი შეადგენდა მის გონებას, მეორე გრძნობას, და ამ შეკავშირების მეოხებით მეცხრამეტე საუკუნის კარებამდე მოიტანდა ორივეს შეუბღალავად და მაშინ კი შეუერთა ამალად დიდ – რუსეთს იმ უბედურმა...

ნუ თუ ამგვარი ხალხი, ამდენ ტანჯვას გამოვლილი და ამდენის ამტანი, იმდენად დასცა ასმა წელიწადმა, რომ თავის მოღვაწეს, ახალ–მოძრაობის წინამორბედს, მესვეურს, რომელიც ყოველ საქმეს წინ უდგა, თავის ხელით გაიმეტებდა. არა! – ამას ვერ დავიჯერებ და ნუ მიწამლავთ მოხუცს გრძნობას!.. მოღალატეები ძველ დროშიაც ჰყოლია საქართველოს. მამელუკები და იანიჩრები უმეტესად გადარჯულებული ქართველები ყოფილან. ძირეულ თათრებზე ისინი უფრო ემტერებოდნენ საქართველოს, სდევნიდნენ რჯულსა და ეროვნებას, მაგრამ მითი საქართველო არ შებღალულა და ქართველობას სახელი არ გასტეხია!

დღევანდელ სკოლებშიაც, რომელსაც ასე ებრძოდა განსვენებული ილია და ისე ალმაცერად შეჰყურებდა შეგნებული ქართველობა, სადაც ახალგაზრდობისათვის გმირები საბერძნეთიდან და რომიდან მოჰყავდათ სამოქმედოთ, აზეპირებინებდნენ ტაციტს და იმავე დროს ავიწყებიებდნენ ჩვენს ისტორიას, ჩვენს წარსულს, ქართველ გმირებს, ამისთანა სასწავლებლებში, რომ ერთი ორი ჩვენი დროის შესაფერი მამელუკ–იანიჩარი გამოვიდეს, ქვეყნის მტერი და მოსისხარი – რა გასაკვირველია. და სწორედ იმათაც ჩაიდინეს ეს დღევანდელი საზიზღარი საქმე!.. და არა გლეხობამ, ან რომელიმე დასმა, რომელზედაც სულ სხვა წარმოდგენა მაქვს და ტყვილა ნუ მიწამლავთ მოხუცებულს გრძნობას დღევანდელ მითქმა–მოთქმით.

1907

აკაკის სიტყვა პარიზში

I

ბატონებო! ქართველმა სტუდენტობამ რომ ფეხი აიდგა, თავი პირველად პეტერბურგში ამოჰყო. იმ გუნდში მეც ვერიე, ახალგაზრდა, ჯან–ღონით სავსე და იმედებით აღფრთოვანებული. მას აქეთ ნახევარი საუკუნეა, მაგრამ, ჰოი საკვირველებავ, როგორც მაშინ, ახალგაზრდობის დროს, დღესაც კიდევ, ამ მოხუცებულობის დროს, ისევ ისე მიცემს გული, თქვენ შემომხედვარეს... და ჩემი სიხარული მით უფრო ორკეცია, რომ აქ თქვენთან ერთად ვხედავ მაშინდელ ჩემ ერთ ამხანაგთაგანს ბატ. ღოღობერიძეს. პირველი ბიჯი ყოველთვის სუსტია და ჩვენც, როგორც ვფიქრობდით და რაც გვინდოდა, ვერ მოვახერხეთ: სხვადასხვა მოულოდნელი გარემოება წინ გვეღობებოდა. მას აქეთ დიდი ხანია!.. სწავლა–განათლებამ, მეცნიერებამ წინ წადგა ბიჯი და თქვენც უკეთეს პირობებში ხართ: თქვენ იზრდებით აქ, ამ თავისუფლების ქვეყანაში, სადაც სხვა რომ არა იყოს რა, ხელს მაინც ვერაფერი შეუშლის თქვენს გრძნობა–გონების გადიდებას! აი, ამიტომაც, თქვენგან მეტს თხოულობს სამშობლო და ჩვენი ნაკლი თქვენ უნდა შეავსოთ! ნურავინ იტყვის იმას, რომ არის კაცობრიობა და არა ნაციაო, ეროვნებაო, და მეც მინდა, რომ პირდაპირ კაცობრიობას ვემსახუროო!.. ფერადოვანი კაცობრიობა, სხვადასხვა ნაციის, ეროვნებისაგან არის შემდგარი და თვითეულმა მათგანმა თავისი საკუთარი ელ–ფერი და საკუთარი „რამეობა“ უნდა შეიტანოს, რომ აივსოს საკაცობრიო ზღვა!.. თვითეულ კაცს, თავის ნაციასთან თანშეზრდილს, უფრო ნაყოფიერად შეუძლიან იმუშაოს სამშობლოში, ვიდრე გარეთ. და მართლაც, ვისაც თავისი საკუთარი მშობელი არ უყვარს, იმას შეუძლია მშობლად სხვა შეიყვაროს? ვინც სამშობლოს არ ემსა-ხურება, იმას შეუძლია, რომ უკეთ სადმე გარეთ იმსახუროს? ყველა ამას მხოლოდ გულ–გატეხილობა აფიქრებინებს ადამიანს და თქვენ კი არ შეგშვენით გულ–გატეხილობა... თქვენ ეკუთვნით იმ ხალხს, რომელმაც რუსთველის პირით გიანდერძათ: „ჭირსა შინა გამაგრება, ისე უნდა ვით ქვითკირსაო“ და იწვრთნებით იმ დიდებულ ქვეყანაში, სადაც გენიოსმა რიშელიემ წარმოსთქვა: „ახალგაზრდის ლექსიკონში სიტყვა: „არ

შეიძლება“, „არ შემიძლიან“ არ უნდა ეწეროსო“. თქვენც ყოველ-გვარი გასაჭირი და განსაცდელი უნდა აიტანოთ, უეჭველად მი-აღწიოთ მიზანს და მომზადებული დაუბრუნდეთ სამშობლოს. თქვენც რომ ამ აზრისა ხართ, ამას მიმტკიცებს დღევანდელი აქ თავის მოყრა და მეტი აღარა დამრჩენია რა სათქმელად.

მხოლოდ ვისურვებ, რომ ამ თავისუფალ ქვეყანაში გაგემ-დიდრებინათ თქვენი გრძნობა–გონება და მით გაგეხორცი-ელებინათ ქართული მცნება: „მამა–შვილმა უნდა შეითვისოს!“

II

როცა შეტყობა უნდათ წინდაწინ ამინდის, ბარომეტრში ჩა-იხედავენ ხოლმე. რომელიმე ხალხის გაცნობა თუ გინდა, ჯერ ქალები უნდა გავიცნოთ, როგორც ეროვნების ბარომეტრი. როცა საქართველო სადაროს იდგა, მაშინ ქართველი ქალ-იც, როგორც დედა, როგორც ცოლი და როგორც მოქალაქე, განთქმული იყო. იმ საუკუნეში რომ საქართველო დასცეს, ეს დაკნინება ქალებს უფრო დაეტყოთ: დღეს ბევრ ქალს ნახავთ ჩვენში, რომ დავიწყებული ჰქონდეს მისი „წმიდათა წმიდა“ და ქართულად ვეღარ ლაპარაკობდეს!.. თუ არ სოფლელი ქალი, სხვები მიწერ–მოწერას ერთმანეთში ვეღარ ახერხებენ თუ არ უცხო ენაზე. სასწავლებელს ათავებენ და თავს მათი მართლუ-ლობენ, რომ არ გვასწავლიანო!.. მაგრამ ეს ტყუილი თავის მართლებაა. იქ, სადაც შობილან და სადაც გაზრდილან, ად-ვილია ენის შესწავლა, რომ გულიდან ამოფხვრილი არ ჰქონ-დეთ სრულიად ქართველობა!.. ქართველი ქალები რომ ერთად მოიყრიან ხოლმე თავს, უცხო ენაზე ლაპარაკობენ და ერთ მათ-განს რომ შეეშალოს, ვერ გამოსთქვას კარგად იმ უცხო ენაზე, სხვები საცინლად აიგდებენ, და ქართული რომ სულ არ იციან, ის არაფერი! ამის შემხედავი, იმედმიხდილი ვიყავ ამ სიბერის დროს, მაგრამ ახალმა მოძრაობამ სხვა დამანახვა: ახალგაზრდა ქალები მზათ იყვნენ, რომ სამსხვერპლოდ თავი დაედვათ საქმი-სათვის. სწორი გზით მიდიოდენ თუ არა, ამაზე ახლა არაფერს ვიტყვი, აღვნიშნავ მხოლოდ, რომ დღევანდელმა ქალებმაც სუ-ლი ძველებური დედების გამოიჩინეს, საკეთილდღეო მასალა შერჩენიათ და იმედია, რომ დროის შესაფერისად კიდევ აღ-ადგენენ ძველ სახლს. ეს პირველი ბიჯი თქვენ შეგხვდათ და

საჭიროა, რომ წაღმართად გადასდგათ! ვისურვებ ამ უცხოეთში, თავისუფალ ქვეყანაში, თქვენს წარმატებას, რომ კეთილად დაუბრუნდეთ სამშობლოს.

1909

ლექციიდგან ძველი ნაშთები

ეს მშვენიერი ედემ–ქვეყანა მოწამეთა სისხლით არის გაჟღენთილი და თავდადებულთა ძვლებით გაპოხიერებული, ბიჯი არ შეგვიძლია ისე გადავდგათ, რომ წინაპართა ძვლებზე და სისხლზე არ დავაბიჯოთ, ჩვენს მიწა-წყალზე მოსული პურის იმ ლუკმაშიაც კი, რომელსაც პირში ვიდებთ ურევია მამა-პაპათა ნაშთი სიწმინდე და მართალია ჩვენი გლეხკაცობა, რომელიც პურს, რო გასტეხს, პირჯვარს დაიწერს და ემთხვევა პურს! ძველად ჩვენს წინაპრებს ყელზე ავგაროზად ებათ ჩვენი ქვეყნის პეშვი-მიწა, ანუ ვინიცობაა, ტყვეთ წაყვანილს, ან სხვებრ როგორმე თავის სამშობლოს გარეშე მოუწევდა სიკვდილი, იმ მიწით ეზიარებოდა ხოლმე. დღევანდელის შეხედულებით ეგ ყველაფერი სასაცინო ოცნებაა, მაგრამ ამ სასაცინოში ტრაგიკული სიმართლე გამოსჭვივის. აი, კურთხეულიმც იყოს მათი სახსენებელი!

სულ სისხლი და სისხლი და ცეცხლი და მახვილი, აქ მართალია თავი უჩენიათ ჩვენ წინაპრებს, მაგრამ კულტურული რამ რა ჰქონიათ და რა დაუტოვებიათ? იკითხავს ბევრი ჩვენგანი და საკვირველიც ის არის, რომ უსუსტრად ცეცხლში მყოფი ხალხი, რომელიც იძულებული იყო ბრძოლის ველზე ეთენ-ეღამებია, მომგერებლად სულიერ მოძრაობითაც არ ჩამორჩენილან სხვა ბედნიერ ერებსა კულტურის მხრით, გვერდში ამოსდგომია და ზოგიერთებისათვის კიდეც გადაუჭარბებია, ამას გვიმტკიცებს ის ნაშთები, რომელნიც იმ საშინელ განსაცდელში თითო-ოროლად კიდეც გადარჩენილან და მოუწევიათ ჩვენამდე. სად არიან ეს ნაშთები და რატომ ჩვენც ვერა ვხედავთ? შეგიძლიანთ მითხრათ? და აი, ჩემი მოხსენებაც. დღევანდელი დღე შავ-

უკუღმართად გვაწევს კისერზე და არა თუ ვერარასა ვხედავთ, წასულის შეხედვაც გვეჯავრება და თვალს ვარიდებთ. ის ციხე-დარბაზები და ტაძრები დღეს მხოლოდ ნანგრევებად ქცეულები, იქა-აქა გაბნეულები საქართველოს სხვადსხვა კუთხეებში, რისი მოწმეები არიან თუ არა ძველი ქართული ხუროთ-მოძღვრების და ხუროთ-მოძღვრებაც კულტურის ერთი დარგთაგანია, მართალია ისინი შორს არიან ჩვენგან და დღეს აქ შეძლო და ნახო ძნელია, მაგრამ ახლოც რომ იყონ, არ მივაქცევდით ყურადღებას, ისე როგორც არ ვაქცევთ ყურადღებას და არაფრად ვაგდებთ ბაგრატის ტაძარს ქუთაისში. XI საუკუნეში ბაგრატ IV-სგან აშენებული ტაძარი წმინდა სოფიოს სახელზე დღეს აია სოფიად გადაქცეული, აია-სოფიის მსგავსი ჩუქურთმებითა და მოზაიკებით დამშვენებული, რომელსაც მაჰმადიანებიც კი არ შეეხნენ სანამ მათ ხელში იყო და ეკატერინე დიდის დროს ქართველების მომხრედ გამოგზავნილმა ტოტლებენმა დაანგრია შეუბრალებლად. მაგრამ დღესაც კიდევ ის ნანგრევები ბევრს გვეუბნებიან ჩვენი ქვეყნის კულტურაზე. ის ძველი დიდება არა თუ სხვა ქართველებს, თვით ქუთაისში მცხოვრებ ბევრ ქართველთაგანს ისე თუ დაუნახავთ ძალა-უნებურად და გვერდი აუვლია, თორემ მუშტრის თვალით არ გაუსინჯავს. აქ არ შემიძლია არ გავიხსენო ერთი შემთხვევა: ერთი საზღვარგარეთიდან დაბრუნებული აღტაცებით მეუბნეოდა, რო ჟენევაში მყოფობის დროს წავედი, ფული გადავიხადე და შილიონის ციხე დავათვალიერე და დიდათაც ვისიამოვნე იმ ნაგებობითო და იმავე დროს კი აღიარა, რომ ქუთაისის ტაძრის დათვალიერება არაოდეს ფიქრადაც არ მომსვლიაო. რას მიანიშნებს ეს თუ არა გულგრილობას დღევანდელი ქართველობისა? გაივლის კიდევ დრო და ეს დღევანდელი ნანგრევებიც გაქრებიან უპატრონობით. მაგრამ მადლობა უფალს ჩვენ კიდევ გვრჩება მისთანა საქმე, რასაც ვერაფერი ვერ გააქარწყლებს, სანამ ქართველი არსებობს და ქართული ენა არ მოსპობილა. მე ვამბობ იმ ლიტერატურულ ნაშთებზე, რომელნიც, რაღაც უცნაურობით, გადარჩენიან ისტორიულ ქარ-ცეცხლს და მოუწევიათ ჩვენამდე. როცა ქართულ მწიგნობრობაზე ჩამოვარდება ხოლმე ლაპარაკი, უნდა „ვეფხისტყაოსანს წავეტანოთ ხოლმე და წავეპოტინოთ მხოლოდ და მხოლოდ გაგებით. თამამად შემიძლი ვსთქვა, ასს ინტელიგენტში ათს თუ

ექნება წაკითხული და და იმათში ორ-სამს გათვალისწინებუ-
ლი. ერთი დიდი ოჯახისშვილი, ქართლში დაბადებული და აქვე
გაზრდილი აღტაცებით კითხულობდა ანდრეევის თხზულებას
და მე მკითხა: რას იტყვით ანდრეევზეო. მე ხუმრობით მივუგე:
ჯერ თქვენ მითხარით რამე რუსთაველზე მეთქი და მკითხა, „ა
კტო ტაკოი რუსთაველიო?“ წინათ კი ოჯახიშვილებმა ზეპირად
იცოდნენ „ვეფხისტყაოსანი“ და დაბალ ხალხშიც ზეპირგადმო-
ცემად იყო გავრცელებული. დღეს თუ თხზულება, რომელიც
არის დაბეჭდილი არ იციან, რაღა უნდა ვთქვათ დაუბეჭდავე-
ბზე, რომელნიც სხვადსხვა საუკუნოებს ეკუთვნიან და მოძულე-
ბულად ჰყრიან თახჩებში? თუმცა კი უტყუარი მოწმეები არიან
წარსულის. ერთ იმათთაგანზე მსურს, რომ მოგელაპარაკოთ.

ის, რაზეც მითითებაა საჭირო და ისე არ დაინახება, თუ
არ გონების თვალით, ძნელი დასამტკიცებელია საზოგადოდ.
აზიელმა მტარვალებმა ჩინგიზ-ყაენებმა, ლანგ-თემურებმა,
ბაიაზეთებმა და სხვებმა, არა ერთგზის ააოხრეს საქართველო
ცეცხლითა და მახვილით. სპობდნენ ყოლიფერს, რასაც კი ხელ-
ში ჩაიგდებდნენ, მაშინ ჩვენი ძველი დიდება გაოხრდა და მხო-
ლოდ მცირე ნაწილი, ძალიან მცირე ნაწილი, რისაც დამალვა
მოასწრეს მიუალ ადგილებში, გადაურჩა დაღუპვას. ის ადგილე-
ბი იყვენ უტეხ ტყეებში მიმალული ტაძრები და საყდრები. იქ
იმ ნივთებს ხელს ვერავინ ახლებდა და როგორც სიწმინდეს,
მხოლოდ თაყვანს სცემდნენ ამ უკანასკნელ დრომდე. ამ ბოლო
დროს კი რაც მაჰმადიანებმა დააკლეს, ის ქრისტიანებმა შეუს-
რულეს: შაჰ-აბაზმა მეთექვსმეტე საუკუნეში, როდესაც კახეთის
მეფე თეიმურაზ პირველი და ქართლის ლუარსაბი გამოექცნენ
და იმერეთს შეაფარეს თავი, იმერეთის მეფე გიორგის წერილი
გამოუგზავნა და სხვათა შორის სწერდა: დედა-ჩემი ქართველი
ქალი იყო და მეც იმიტომ შემომიწირავს ნიკოლოზ წმინდის
ტაძრისთვის სხვათა შორის ეს ჩემი ხმალიცაო. ამ საჩუქრებმა
ჩვენამდი მოაწია, ნიკორწმინდას ინახებოდა და ჩემის თვალით
მინახავს, როგორც ის წერილი, ისე ძვირფასი თვლებით შეჭედი-
ლი ხმალი ერთად და მაგრამ ახლა, რასაკვირველია, ორივე
გამქრალია, მაგრამ უფრო არხეოლოგიურ-ისტორიული (რამ)
და არა ქართული კულტურის მოწამე და აღარ გავაგრძელებ
საუბარს ამაზე. ყველაზე უფრო მდიდარი „სავანე სიძველეთა“

იყო სვანეთში, კვირიკეს ეკლესიაში ძნელად მისასვლელ ადგილას აგებული და იმერეთში გელათის ტაძარში. კვირიკეს ეკლესიაში სხვათა შორის ორი რამ ფრიად შესანიშნავი იყო, ოქროს თევზი ადამიანის თავით და თამარ მეფის მოზაიკური ქამარი. ის ოქროს თევზი ბერძნულის წარწერით რომის იმპერატორების, ნერონის და დიოკლეტიანეს დროს ეკუთვნოდა. თევზს ბერძნულად ჰქვიან „იხტიოზი“ და იმავე დროს ქარაგმითაც „იისუს ხრისტოს“ იესო ქრისტე. ეს წმინდა ნაშთი ქრისტიანობის რანაირად მოხვდა სვანეთში, არ ვიცი, მაგრამ ყოფნით კი იყო. ამ ოცდაათი წლის წინეთ ის ეკლესია გაძარცვეს და გაიტანეს ყოლიფერი, **ავაზაკობა ყარაჩაელებს დაბრალდა,** რადგან ვითომც კვალი იქ ჩავიდა, მაგრამ არ გასულა ერთი წელიწადი და ადგილობრივმა პრისტავმა იმ ტაძარში შენახული და გაძარცვის დროს დაკარგული ქამარი ერთ ვინმეს მიართვა და სანაცვლოს საჩუქრად მიიღო ძვირფასი ალმასის ბეჭედი. ეხლა გადავიდეთ გელათზე, სულ ოცდახუთი წელი თუ იქნება მეტი არა, რაც ფასდაუდებელი მინანქრიანი სახარება გაიტაცეს და ძვირფასი ოქროქსოვილი დასწვეს-დაადვნეს, რომ კვალი აღარ დარჩენილიყო ჩვენი წარსულის. ქოშები თამარ მეფის და ბეჭედი დავით აღმაშენებლის ამ მოძრაობის დროს იქიდანვე გაიტაცეს და გააქვრეს, განა დიდი ხანია მას შემდეგ, რაც კავკასიაში ქრისტიანობის გამავრცელებელმასაზოგადოებამ” გამოსცა ბრძანება, რომ ქართველ ეკლესიებში რაც შეწირული ქონება იყოს, გამოიტანეთ, გაჰყიდეთ, ფულად აქციეთ და ის ფულიც „საზოგადოებას“ მოჰხმარდესო. აუქციონი მოახდინეს კანტორაში. დიდხანს გასტანა, თავმჯდომარეთაც დანიშნული იყო არქიმანდრიტი კესარიონი, ვაჭრობას მეც დავესწარი და მაშინ შევიძინე ის მინიატურული სახარება ხელნაწერი, რომელიც ყოვლად სამღვდელო კირიონმა შეიტანა საეკლესიო მუზეუმში. მაშ, თუ ჩვენს მახსოვრობაში ამდენი რამ დაიღუპა, რამდენი უნდა დაღუპულიყო მეცამეტე საუკუნიდან დაწყებული ჩვენ დრომდე უპატრონობით.

ამგვარად, მაშინ, როცა ყოველივე ნიშანს წინანდელი კულტურისას აქრობენ და მისათითებელი აღარა გვრჩება რა, რა გვაქვს დასამტკიცებელი – „ქვათა ღაღადი!“

უთარიღო

სიტყვა დიმიტრი ყიფიანის დასაფლავებაზედ

შენის სიცოცხლის დროს სიამოვნებითა და მოწიწებით შენ წინ თავმოხრილი, დღეს მწუხარებით მოვიდრეკ მუხლს, რომ უკანასკნელად თაყვანი ვსცე შენს გაცივებულს გვამს, ავაზაკებისგან სიცოცხლე დამწარებულს.

მნათობი სხივ-მომფინარედ ამობრწყინებული სხივ გაფანტვითვე ჩაესვენება იმავ დიდებით და ძლიერებით, რომლითაც ამოელვარებულა და ნათელი სრბოლა მისი ყველასთვის სათვალ-და-თვალოა, თვინიერ ბრმებისა. და შენც, არსება ნათელო, როგორც სიცოცხლე, ისე სიკვდილი შენი შეიქნა ყველასათვის სათვალ-და-თვალო და მაშ, შენდა საქებად, სადიდებლად რაღა ვსთქვა ისეთი, რომ საქართველოს ერთის კუთხიდამ მეორემდე არ ენახოსთ, არ გაეგონოსთ და არ ეგრძნოსთ. უმეტესმა ნაწილმა იმერეთისამ, შენზედ მგლოვიარემ, არ იცის, რაგვარი გვირგვინი უნდა გადმოგხუროს, დაფნისა, თუ ყვავილებისა... არა, არც ერთი... და ეგ ხომ ჩვეულებრივ მოვლინებათ გადაიქცა ჩვენში და შენ კი, რომლის სიცოცხლეცა და სიკვდილიც არა ჩვეულებრივი იყო; შენ, რომელმაც შენს სიცოცხლეში მხოლოდ ეკლის გვირგვინი ატარე, ჩვეულებრივი აღარა გაგებედებოდა რა და ვერც შემოგკადრეთ.

და აჰა, ხელცალიერი, უგვირგვინო ვდგევართ შენ წინ და მხოლოდ ცრემლებს ვაფრქვევთ გულწრფელად შენს ბედშავს, მაგრამ დიდებულს კუბოს. დეე, უღვთო-ურჯულოდ დათხეულს შენს სისხლს შეეთანაზიაროს ცრემლი სიმართლისა და გულწრფელობისა, რომ ორთავე ერთად შეერთებულად წინდათ დაიდვას იმა მომავლისათვის, რომელსაც შენ მთელ შენს სიცო-

ცხლეს სწირავდი და ღირსიც გახდი, რომ იწოდო ნამდვილ დიმიტრი თავდადებულად.

მშვიდობით, ხორციელად ჩვენგან დაკარგულო, მაგრამ სულიერად კი საშვილიშვილო მოკავშირევ, ჩვენო დიდო მოძღვარო!

1887

„რა უთქვამს? რა მოუჩმახავს? რა წიგნი დაუწერია?“ [ილია ჭავჭავაძესთან დამოკიდებულების შესახებ]

ახალგაზრდა მგოსანი, დღევანდელი ჩვენი ცხოვრების სულიერ საზრდოთი გაკაჭკაჭებული და ვერ გაწინასწარმეტყველებული, იმასვე იმეორებს, სამწუხაროდ, რაც ბრბოს, თავისის შეუგნებლობით წარმოუდგენია და ნამდვილი კი ჰგონია!... სვანის თქმისა არ იყოს, „ვისაც წვერები ასხია, ყველა რომ მღვდელი იყოს, მაშინ ჩემი ვაციც ხომ დეკანოზი იქნებოდაო“. ვის როგორ ესმის სიტყვა: „ინტელიგენცია“, „ახალთაობის კაცი“, „საზოგადო მოღვაწე“, „მეთაურობა“ და ან სხვანი, მაგრამ მე კი გარჩევით მყავს ყველა გათვალისწინებული და მათი შესახები სასწორ-საზომიც სხვაგვარი მიჭირავს ხელში: დღევანდელი ჩვენი საზოგადო მოღვაწეებს შორის უთანხმოება და ხალხისაგან ანაზდად გაბურთავებული „მეც წავხდი შენც წაგახდინეობა“ თუმცა ასე ახლოს არიან ერთმანეთთან, როგორც სიკვდილი და სიცოცხლე, მაგრამ იმავე დროს განსხვავებაც ასეთია მათ შორის, როგორც სიკვდილისა და სიცოცხლის შუა.

საჯაროდ თავისთავზე საუბარი არც სასურველია კაცისათვის და არც მოსაწონი, მაგრამ ხშირად მოხდება ხოლმე, რომ გარემოება ჩაითრევს და გამოიწვევს საპასუხოდ. სწორედ ამისთანა მდგომარეობაში ვართ ჩვენც ახლა და ბრბოს აზრს, მე და ილიას შესახებ, მგოსნისგან ბეჭედ დასმულს, უპასუხოდ ვერ გავუშვებთ, მით უფრო რომ მარტო ჩვენ არ გვეხება და შიგვე უეჭველად უნდა მოყვენ სხვებიც საზოგადოდ.

ორმოც წელიწადზე მეტია, რაც მე და ილია ერთმანეთს ვიცნობთ და არაოდეს ერთმანეთთან პირადი უსიამოვნება და უკმაყოფილება არ გვქონია. პირიქით, გარდა სიამ-ტკბილი შეყრა-შეხვედრისა და ზრდილობიან, დარბაისლურ სიტყვა-პასუხისა ერთი-მეორისაგან არა გვინახავს რა, და ან კი რა გვქონდა გასაყოფი, რომ ერთმანეთში უთანხმოება მოგვსვლოდა? რა მაქვს მისთანა, რომ იმას შეეხარბოს? ან და რას ვეძებ მისთანას, რომ ილიას აქვს და მეც მომენატროს? მართალია, ერთსა და იმავე განყენებულ მიზანს საზოგადოს და არა საპირადოს მივყავართ თავისკენ. მაგრამ გზა სხვა და სხვაა და არ მოხერხდება, რომ ერთმანეთს გადავეღობოთ და მსვლელობა შეუფერხოთ ერთმა მეორეს! „რომში ყოველი გზით შეიძლება შესვლაო“, – ნათქვამია და თუ ჩვენც, ერთი მიზნის მიმდევარი, ორი სხვა და სხვა გზით მივდივართ ცალ-ცალკე – ის აღმოსავლეთის და მე დასავლეთის გზით, ეს არ ნიშნავს უთანხმოებას და მტრობას. და ან კი რა საჭიროა, რომ როცა ილია თავისი საკუთარი გზით მიისწრაფის, მეც მაშინ თან ვახლდე, მისი საგზალი მიმქონდეს და აბჟანდს დავუწევდე ხოლმე? ან როცა მე ჩემი გზით მივდივარ, რათ უნდა უეჭველათ ჩემ გვერდში იდგეს ილია ჭავჭავაძე?

ეს ვერ გაუგიათ, შემცდარ-აზრის შემდგენლებს! მაგრამ მათთვის, როგორც ჩანს, მეორე გარემოება უფრო გაურკვეველია: ილიას, როგორც გამოჩენილ მწერალს, გაურჩევლად „ვა-შა-ვაშას“ შეღაღადებენ. როგორც საზოგადო მოღვაწეს – ეთაყვანებიან გამოურკვევლად. მათი სწორ-მხედველობის ისარი გახიბლულია და „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების“. რასაც ისინი გრძნობენ და როგორც ისინი მოქმედობენ, იმასვე მოითხოვენ ყველასაგან და თუ ვინმე გაუდგათ, სხვა გვარად ჰხსნიან.

აკაკი ილიას ყოველგვარ ნაწერს ქების ტაშს არ უკრავს და ყოველგვარ მის საზოგადო მოღვაწეობას არ ეთანხმება! სჩანს, რომ ემტერება და სძულსო. იგივე ჩემ შესახებაც ილიაზედაც ამას ჰფიქრობენ. იმათ ჰგონიათ, რომ სიყვარულის და მეგობრობისათვის, ერთის მხრით ყიზილბაშური სათვალთმაქცო თეთრი კბილების ჩენა, „ბაშუსტაობა“ და [...]* მედიდურად ბრძანება საჯაროთ და მერე კი ვიზანტიური საცბიერო თავის

* ტექსტი არ იკითხება.

მოკატუნება და „კი, ბატონო, შენი ჭირიმეს“ წამდაუწუმ გამეორებაა. თუ მტერზედაც კარგი ითქმის და მოყვარეზეც ძვირი, ვერ წარმოუდგენიათ!

იმას, ვინც ვერ მიმხვდარა, სად არის ტყუილი და სად მართალი, ავი და კარგი ვერ გაურჩევია და საზოგადო და კერძო ერთი და იგივე ჰგონია, ან რა მოეთხოვება და ან რა დაეჯერება? იმაზე ლაპარაკიც არ ღირს, მაგრამ ნათქვამია: „რაც შეენდობა ერსო, არ მიეტევოს ბერსო“. რაც სოფლის მითქმა-მოთქმას ეპატივება, ის არ დაეთმობა მწერლობას და ჩვენი მწიგნობრებიც რომ ცოტაოდენ სიფრთხილეს დაიჭერდნენ, არ იქნებოდა ურიგო!...ვისაც წვერები გამოუშვია, ყველა მღვდელი არ არის! ვისაც კალამი აუღია, ყველა მწერალი და ვინც რამეს ამბობს, ყველა მართალი!...

ეს არის მხოლოდ უეჭველი ჭეშმარიტება და როდესაც ჩვენი ქვეყანაც ამ ჭეშმარიტებას შეიგნებს, მაშინ თავისთავად გადავარდებიან გულსაკლავი ანდაზებიც და მანამდე კი, მეტი გზა აღარ არის, უნდა გავიგონოთ ხოლმე:

„შენც წახდი, მეც წამახდინე, ქრისტე აღსდგა, გიხაროდესო“.

აკაკი
[1894]

განცხადება

რადგანაც ნამეტანი დრო გვეკარგება, დღეიდან ეპიტაფიებს უსასყიდლოთ აღარავის ვუწერთ. ვისაც ჰსურს, რომ დაგვაწერიოს ლექსათ თუ პროზათ, უნდა წარმოადგინოს მხვედრი ფული: 5 მ. მკვდრებისთვის და 10 მ. – ცოცხლებისთვის, 25 მ. – ცოცხალმკვდრებისთვის. ზოგიერთ ქუთაისელ ინტელიგენტებს უფულოთაც დავუწერთ სიამოვნებით. შემოსავალი საქველმოქმედოა და გადაეცემა ქერიმაქალებს.

[1896]

მე და ჩემი პენცია

„ბატონის წყალობა ტალახიანი ჯოხიც კარგიაო“, – ნათქვამია ანდაზად, მაგრამ ხანდახან კი ზოგიერთი ბატონის წყალობა ღვთის რისხვაზედაც უარესი ყოფილა. – ამას შემდეგი ზღაპარი გვიმტკიცებს: „იყო და იყო, ღვთის უკეთესი არა იყო–რა!.. ერთი ჩანჩურ–ბატონი იყო ნამეტანი გულკეთილი და საზოგადოდ კეთილის მოსურნე, მაგრამ ცბიერ მოურავებს ისე ყავდათ ის ბატონი დაბრიყვებული, რომ მის ბრძანებას არაფრად არ აგდებდენ. ერთხელ ამ ბატონმა მოინდომა ნამსახური კაცის დასაჩუქრება და უბრძანა მოურავებს: „დღეიდან სიკვდილამდე, ამა და ამ კაცისათვის სარჩო გამიმწესებია და თქვენც გიბრძანებთ, რომ ამიერიდგან ის ჩემი ნაბოძები წყალობა მაგას, თავთავის დროზე, მალამოდ დაადვათ ხოლმე და მაგის საჭიროებას თაფლად სცხოთო!“ მოისმინეს მოურავებმა, მაგრამ რადგანაც ისე არას აკეთებდენ, თუ სამოურავოს არ ირგებდენ, ახალ დაჯილდოვებულსაც გაუტარეს სიტყვა, მაგრამ იმან შორს დაიჭირა. „თქვენ რომ წილი დაგიდვათ, მე რაღა დამრჩესო?“ „მაშ კარგიო, – სთქვეს მოურავებმა და ჩაიხვიეს გულში – ეხლა კი ჩვენ ვიცითო!.. კაცნი არა ვყოფილვართ და ქუდი არა გვხურვია, თუ ვერ შეგანანებთო!..“ ჯილდოს მიღების დრო რომ მოვიდა, მოიხმეს მოურავებმა ის კაცი, გაატიტვლეს, მიაკრეს ბოძზე, თვალებზე მალამო დააკრეს, რომ ვეღარა დაენახა რა და ტანზედაც თაფლი წასცხეს. დაეხვიენ საბრალოს ბუზები და კინაღამ სული ამოხადეს. მერე წავიდენ მოურავები და ბატონს მოახსენეს: „თქვენი ბრძანება, თქვენი სურვილისამებრ ავასრულეთო: თაფლიცა ვსცხეთ და მალამოც დავადევითო!..“ დაჯილდოვებულმა რომ დაინახა ცუდათ არის ჩემი საქმეო და თუ მეორეთაც ასე მიყვეს, მე ვეღარ გადავრჩებიო, მიანება თავი ყოველიფერს და გადავარდა: არ მინდა ამისთანა წყალობაო! და მისი ხვედრი მოურავებმა გაინაწილეს. ეს, რასაკვირველია, ზღაპარია, მაგრამ ახლა კი მისთანა ნამდვილს გეტყვით, რომელიც ამ ზღაპარზე უფრო საარაკოა: ამ ათის წლის წინეთ, ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის არჩევნების დროს, ბანკის დირექ-

ტორობა მთხოვა ერთხმად კრებამ. მე ვერ ვიკისრე და მიზეზიც ავუხსენი კრებას შემდეგის სიტყვებით:

ბატონებო! უგულითადეს მადლობას გწირავთ იმ პატივისათვის, რომელიც გსურთ მე მომანიჭოთ! საზოგადოების ამგვარი ყურადღება ყოველგვარ ჯილდოზე უტკბესად და უსასურველესად მიმაჩნია, რადგან მესმის საზოგადოების ფასი და შეგნებული მაქვს თითოეულის მისის წევრის მოვალეობა.

როდესაც საზოგადოება აკისრებს მისს თითოეულს წევრთაგან რამე მოვალეობას, რაგინდ უმცირესიც იყოს ეს მოვალეობა, წევრს მაინც ნება არა აქვს, რომ სიმდაბლითა და მორჩილებით არ მიიღოს მინდობილება, თუ კი ჰგრძნობს, რომ აღსრულება შეუძლია. სწორეთ ამ გვარ მდგომარეობაში გახლავართ მე დღეს; რომ მოგახსენოთ, ბანკის დირექტორობა ჩემს ღონეს აღემატება–თქო, ეს ჩემის მხრივ თავის მოკატუნება იქნება და არც არავინ თქვენთაგანი დაიჯერებს, მაგრამ ვწუხვარ, რომ დღეს მაინც უნდა ვეურჩო თქვენს ბრძანებასა და სურვილს შემდეგის მიზეზების გამო, რომელთაც გულახსნით მოგახსენებთ: როდესაც ამ სათავადაზნაურო ბანკს აფუძნებდენ, მაშინ ზოგიერთი ჩემი ამხანაგი და მეც, მათ რიცხვში ერთი უმცირესთაგანი, წინააღმდეგი ვიყავით იმ პირობებით ბანკის დაარსებისა, რა პირობებითაც დაარსდა. ამან გამოიწვია დიდი უკმაყოფილება, რის გამოც ბევრი უსამართლო ცისლიწამება ავიტანეთ და მრავალი უსიამოვნება ვიტვირთეთ. მაგრამ ყველაზედ უფრო გულსატკენი ჩვენთვის ის იყო, რომ ზოგიერთებმა პირადობაც შეგვწამეს: ვითომ ჩვენ თვითონ გვდომებოდეს იმ ბანკში შესვლა, ანუ როგორც ისინი ეძახდენ, ბანკის ხელში ჩაგდება. ჩვენც ჩვენის მხრით შეუპოვარის გულწრფელობით ბევრი რამ წარმოვსთქვით და სხვათაშორის ესეც: „ბატონებო, გაივლის რამდენიმე წელიწადი და ჩვენი სიტყვა წინ დაგიხვდებათ. ამგვარი ბანკი მძიმე უღლად დაგაწვებათ კისერზე, შეგაწუხებთ, შეგანანებთ და მაშინ–კი უეჭველად ბრძანებთ: არ გვეგონა, თუ ასე დაგვემართებოდაო! მაგრამ დაგვიანებული „არ გვეგონა“, სწორე მოგახსენოთ, უსარგებლო მალამოა წყლულისა“. თუმცა დიდმა ხანმა გაიარა მის შემდეგ, რაც ეს წარმოითქვა, მაგრამ მაინც გვახსოვს. კერძო რამ ადვილი დასავიწყებე-

ლია, შეიძლება გუშინდელი ნათქვამი დღეს აღარ გვახსოვდეს, დღევანდელი ხვალ დაგვავიწყდეს, როგორ საპირადო და კერძო რამ, მაგრამ საზოგადო მოვლინება–კი, გინდ მცირედიც იყოს, ღრმად იბეჭდება გულის ფიცარზედ, და აი, თუ რათ გვახსოვს მაშინდელი ნათქვამი. დიახ, თვალწინ გვიდგია ის სიტყვები, არ შეგვიძლია მისი გატეხა და ბოდიშს ვიხდი ურჩობისათვის. თქვენ შეგიძლიანთ ჩვენივე სიტყვები მოგვიბრუნოთ და გვიბრძანოთ: „როდესაც კაცი საზოგადო სარბიელზედ გამოდის, ის მონა არის საზოგადოებისა, კერძოობა–პირადობაზედ ხელაღებულიაო“. კეთილი! მაშინ ჩვენც აღარა გვეთქმის–რა, მაგრამ მე ამ შემთხვევისათვისაც მეორე ფარი მაქვს მზად: კაცი ან უნდა არ ჰკიდებდეს ხელს საზოგადო საქმეს და თუ მოჰკიდებს, უთუოდ კიდეც უნდა მოანდომოს და შესწიროს მას მთელი თავისი გრძნობა–გონება და ჯან–ღონე. ტყუილი თქმაა, ვითომც შეეძლოს ვისმე ერთსა და იმავე დროს ბევრის საქმის გაკეთება ისე, რომ არცერთს არა დააკლოს–რა. ამ გვარივეა ბანკის დირექტორობაც. სცდებიან, ვისაც ჰგონიათ, რომ არა უნდა რა ამ ხელობას, გარდა სამგვარის ხელის მოწერისაო; „დააფასეთ სხვისი მამული“, „გაჰყიდეთ სხვისი მამული“ და „მიბოძეთ ჩემი ჯამაგირიო“. მე რომ დირექტორობა ვიკისრო, საკუთრად მაგ მოხელეობას უნდა დაუდვა გული და ეგ იქნება ჩემთვის ბორკილი... თუმცა ოქროს ბორკილი ჩემთვის პირადად სარგებელია, მაგრამ მაინც ბორკილია და იმ საქმეში ხელის შემშლელი, რომელსაც მე ამდენი ხანია ვემსახურები. ეგება ბრძანოს ვინმემ, რა საქმეა მაგისთანა? ჩვენ მხოლოდ აქეთ–იქით მოუსვენრად მოარულსა გხედავთ და შენი ფეხალაგობრივი არა შეგვინიშნავ–რაო! და მაშინ მე იძულებული ვიქნები მოვახსენო მაგალითი. მაგრამ ჯერ–კი წინდაწინვე ვითხოვ, თავხედობით ნუ ჩამომართმევთ იმ შედარებას, რომელიც აქ უნდა გამოვხატო სამაგალითოდ: შეიძლება კაცმა უმცირესი რამე უდიდესს საგანს შეადაროს და მეც ამ უმცირესობაზე ვაყენებ ჩემს თავს: ფუტკარი ყოველთვის დაბზუის, დაჰფრინავს იქით–აქეთ, ფეხალაგობრივ მის მუშაობას ვერავინ ხედავს, მხოლოდ იმის ნამუშევრით სარგებლობენ. ის რომ ვინმემ დაიჭიროს, დაამწყვდიოს, დააბას და ის ისარიც ამოჰგლიჯოს, რომელსაც ფუტკარი ფარად ხმარობს ხელის

შემშლელებზე მუშაობის დროს, ის შეიქმნება მაშინ მშვიდობიან, მოსვენებულ და უწყინარ არსებათ, მაგრამ ჩვენ–კი იმავ დროს მოკლებული ვიქნებით იმ თაფლს, რომლითაც ხანდახან პირს ჩავიგემრიელებთ ხოლმე და იმ სანთელსაც, რომელიც ბნელს გვინათებს. ბოდიშს ვიხდი კიდევ ამგვარ შედარებაზე და კიდევ გავიმეორებ, რომ ეს თავხედობით არ მომდის; თუმცა იმდენათ არა, მაგრამ შედარებით ცოტაოდნად–კი ჩემი თავი მეც პატარა, ძალიან პატარა ფუტკრად მიმაჩნია... ეგება შემცდარიც გახლდეთ, მაგრამ რა ვქნა, რომ მაინც დარწმუნებული ვარ და ნება არა მაქვს, რომ ამ ჩემს რწმუნებას ვუღალატო. სწორეთ დღეიდგანაც იმ უსასყიდლო გზით უნდა ვიარო, რა გზითაც აქამდე მივლია, რომ უფრო მეტი სამსახური გავუწიო საზოგადოებას და აი კიდევ მიზეზი, თუ რათ ვეწინააღმდეგები თქვენს სურვილს. ცოტანი არ არიან ჩვენში რიგიანად მომზადებული ყმაწვილი კაცები, გთხოვთ, რომ იმათაც შეხედოთ მაგ თვალითვე, გადაიტანოთ მათზედ თქვენი გულწრფელობა და მით გამოიწვიოთ თქვენდა სასამსახუროდ და მე კი მაპატიოთ თქვენი ამ შემთხვევაში წინააღმდეგობა („ივერია“, 1889 წ.).

მოისმინა თუ არა კრებამ ეს სიტყვები, ერთხმადვე მოისურვა, რომ ჩემთვის, სანამ ცოცხალი ვიქნები, დირექტორის ჯამაგირი ყოველწლიურად პენციად დაენიშნა. სამჯერ განვაცხადე უარი მადლობის გადახდით, მაგრამ, ბოლოს როცა იმავე კრებამ საყვედურსავით მითხრა: „ეს დაწუნებას ნიშნავსო! მართალია, შენი ნაშრომის სასყიდელი არ არის ეგ, მაგრამ მაინც ისე შეიწირე ჩვენგან, როგორც წვლილი მადლობის ნიშნადო“. მეც რაღა გზა მქონდა! დიდის სიხარულით მივიღე ჯილდო და მითი გათავდა საქმე. ეს ამბავი ყველამ დიდის ტაშის კვრითა და აღტაცებით მიიღო და, არა თუ ბანკში, ბანკს გარედაც დიდი და პატარა ყველა კმაყოფილი და თანამგრძნობი იყო! ეს კეთილი საქმე გაზეთებშიაც ჩავარდა და არა თუ ადგილობრივმა და სატახტო გაზეთებმა, უცხო ქვეყნის გაზეთებმაც კი მოიწონეს ეს ბანკის კრების განაჩენი და იმერლობა ქებით მოიხსენიეს!.. მე, რასაკვირველია, კმაყოფილი ვიყავ როგორც პირადად, ისე კიდევ უფრო საზოგადოთაც, რომ ჩემ გამოისობით ისე შეამკვეს საზოგადოება და იმერეთი. როგორ შემეძლო მაშინ წარმომედგინა,

რომ ბანკში მოსამსახურე პირების წყალობით ეს ყოველიფერი სიყალბე გამოდგებოდა, მეც გავიკიცხებოდი და ჩემთან ერთად საზოგადოებაც უპიროდ დარჩებოდა მისდა უნებურად? ნახეთ, მართლა რამდენი შეუძლიან სიყალბესა და ცბიერობას: როდესაც დრო მოვიდა და მეც ბანკში მივედი ხვედრის მისაღებად, მმართველებმა შორს დაიჭირეს: ჯერ უნდა შევიტყოთ, კანონიერია თუ არა კრების გადაწყვეტილებაო? და ჰქონდა უფლება თუ არა პენციის დანიშვნისაო?!. ამის შეტყობას, რასაკვირველია, დიდი ხანი მოუნდენ, და ბოლოს როცა გადაჭრილი პასუხი მიიღეს: „გადაწყვეტილება და დადგინება კრებისა კანონიერია, სანამ მეორე კრებაზე არ გააუქმებენო“, დააპირეს ვითომ მოცემა, მაგრამ მათს „ჯერ არ მცალიას“ დასასრული აღარ ჰქონდა. ერთი თვე მატარეს ყოველ დღე: აი ხვალ მიიღებ, აი ზეგო და ბოლოს მახარეს: „უკაცრავად, შენმა მოვალემ მოიყვანა ბოქაული და შენი ხვედრი ფულები დააკავაო!“ გამიკვირდა, რადგანაც ის მოვალე ნამდვილი მოვალე არ იყო ჩემი და მეც ხელში ბათილობის წერილი მეჭირა. სამსჯაროზე მისდგა საქმე და მე მოვიგე. მეორეთ რომ მივედი მისაღებად, მაშინ კიდევ სხვა კრედიტზე მიმითითეს: „დავრწმუნდით, რომ ის ნამდვილი იყო და ფულებიც გადავეცითო!“ საკვირველია, იურისტები იყვნენ დირექტორები, ადვოკატები და ის კი არ იცოდენ, რომ ამგვარ ფულს მოვალე ხელს ვერ მოჰკიდებდა კანონის ძალით და, ჯამაგირიც რომ ყოფილიყო, მაშინაც ორი მეხუთედის მეტს ვერ წაიღებდა?! კიდევ სამართალზე მისდგა საქმე და მომრიგებელ–მოსამართლემაც დაუმტკიცა დირექტორებს, რომ შემცდარი იყვენ!!.. მტრის ენა რას არ იტყვის? ეს ამბავი რომ გაიგეს, ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ ბანკში არიან მისთანა ავან–ჩავანები, რომელთაც ამგვარ შემთხვევაში თვითონ მოჰყავთ კრედიტორები, როგორც კარგ მეძებრებსო. მაგრამ აბა ეს რა საფირებელია და ან მე როგორ დავიჯერებდი?.. მით უფრო, რომ რაღაი კი დარწმუნდენ, კრედიტორები ვერ წაიღებენო, არა თუ მათ, მეც აღარ მომცეს. – პირდაპირ მითხრეს: „საზოგადო კრება აღარ არის და უმათოდ, თუ არ მოვახსენეთ, როგორ მოგცეთო!“ „თქვე დალოცვილებო! თუ კი თქვენ იღებთ და სხვებსაც ყველას აძლევთ, არა თუ იმათ, ვისაც საზოგადოება უნიშნავს, იმათაც კი

ვისთვისაც საზოგაოებას არა დაუნიშნავს რა, მე მარტო ერთმა რაღა დავაშავე, რომ არ მაძლევთ–მეთქი“, ვეკითხებოდი? და ისინიც, რომ თავი გაემართლებიათ, ერთიმეორეს აბრალებდენ. – რამდენჯერმა დამიბარეს, მოგცემთო. ჩამიყვანდენ ხოლმე ქუთაისში, მაცდევინებდენ, მაყურყუტებდენ, უბრალო ხარჯში შევყავდით. ბოლოს მოახდენდენ კრებას და უარს მეუბნებოდენ და თვითონ კი იჯიბავდენ ხოლმე სხდომის ქირას. განსაცდელში ჩამაგდეს. ის დამახარჯვიეს, რაც ბანკს არ მოუცია და, სწორეთ რომ, ბუზებიც კი დამახვიეს თავზე. – ბოლოს ვიფიქრე: ეს პენცია ჩემთვის საფრთხეა და მახე, რომ კიდევ უფრო უარესს გაჭირვებაში ჩამაგდონ–მეთქი და მივანებე თავი. – ხალხი კი დარწმუნებული იყო და ეგონა, რომ მე პენცია უკლისად მეძლეოდა. და ან კი როგორ არ დაეჯერებია, რომ ბანკში მოსამსახურეები ამას გაიძახოდენ და ერთხელ–ორჯელ ბეჭდვითაც გამოითქვა, რომ „ეძლევაო“. – მე ამის გამოაშკარავება არ მინდოდა. მრცხვენოდა უფრო ის, რომ იმერეთში ამგვარი საქმეები შესაძლებელი იყო. ბოლოს შემთხვევით დეკანოზმა ღამბაშიძემ „მწყემსში“ დაბეჭდა სრული წერილი, მაგრამ ყურადღება არავის მიუქცევია და მე ხელი გადავაქნიე... მივანებე თავი და როგორც პოეტმა ვსთქვი: „სხვადასხვა ჭირი ჩემზედა არ ახალია, ძველიათქო“ და გავჩუმდი. წელს, როცა ავად გავხდი და ბატ. ს. ბ. თოფურიას საავადმყოფოში ვიწექი, ერთხელ შემდეგი საუბარი შეგვექმნა მე და პატივცემულ დოქტორ თოფურიას:

– ჭეშმარიტად, დიდი ბედნიერი ხარ – მეუბნებოდა თოფურია – რომ ქვეყანას ასე უყვარხარ!.. ამდენი ხანია მოსვენება აღარა მაქვს: დიდი და პატარა ყველა შენს ამბავს კითხულობს!.. საიდან და საიდან არ მოდის დეპეშები?! ერთი ურემი მაქვს დაგროვებული და რომ მოიკეთებ მაშინ გადმოგცემ!.. წაგაკითხებ. მნახველებს ხომ რიცხვი აღარა აქვს.. მაგრამ ჯერ კიდევ ვერ გიჩვენებ, რომ არ გაწყინოს აღტაცებამაო, – მე ნაღვლიანად გავიცინე და ვუთხარი: – რა გამოვიდა?.. ქვეყანა ისე არის შექმნილი, რომ ათასი მოყვარე ხან და ხან ერთი მტრისაგანაც ვერ გადაარჩენს კაცს. მართალია ქვეყანას ვუყვარვარ, მაგრამ ის კიდევ უფრო მიკლავს გულს, რომ ვერაფრით შემიძლია ვემსახურო და სიყვარული გადავუხადო. ჩემისთანა დასნეულებული კაცი გინდ იყოს და გინდ არა!..

– მაგისი ნუ გეშინია!. ღვთის მადლით კარგად შეიქნები იმ-დენათ, რომ საზღვარგარეთ წასვლა შეიძლო და იქ შეიძლება სულაც გამობრუნდე, გამომრთელდე, თუ შენს თავს მალე შე-უწყვე ხელი.

– მაგას საშუალება უნდა...

– ბანკს მივმართოთ და შეგიწყობს ხელს.

– ბანკს!.. იმ ბანკს, რომელიც მოსისხლეთა მყავს გადაკიდე-ბული და ცხრა წელიწადი არ მაძლევს იმას რისი მიღების უფლე-ბაც მაქვს?

– როგორ? განა პენსიას არ იღებ? ნუ იტყვი?. ეგ კიდევ უკე-თესი – გაკეთებულა ჩვენი საქმე: ახლა ერთად აიღებ და გას-წევ საზღვარგარეთ!.. ახლავე დააწერინე განცხადება. მოაწერე ხელი და გათავდა!

– არ მომცემენ!. გამოცდილი ვარ!!

– როგორ შეუძლიათ? რა ნება აქვსთ წაგართვან? რა უფლებით?

– შუბლის ძარღვის კანონით!.. ერთხელაც ვიყავი ავად და ამისთანავე შემთხვევაში, რა შემომითვალა ერთმა დერექ-ტორთაგანმა იცი? ავათ ჩვენცა ვხდებით, ჩვენცა ვკვდებით, მაგრამ საზოგადოებას კი ანგარიშს არ ვუგზავნით!. არცა ვსთხოვთო! თვითქო მე კი მოწყალება მეთხოვოს და არა ჩემი სა-კუთრება!..

– ეგ როგორ შეიძლება! აქ რაღაც სხვა ამბავია? განა შეიძ-ლება, რომ ამისთანა დროს, გინდ შენი სისხლის მსმელებიც იყონ, ხელს როგორ შეგიშლიან? შევატანიოთ დღესვე განცხა-დება ბანკში და ნახავ თუ ორ დღეში არ გადაგიწყვიტონ!.. ეს ჩემი საქმე იყოს, მე მოვთხოვ!..

– მე კარგათ ვიცი, რომ არა გამოვარა, მაგრამ რომ შენ და-გარწმუნო, ბატონი ბძანები, შევიტანოთ და ვნახავთ...

მართლაც შევიტანეთ თხოვნა, მაგრამ ერთი კვირის გან-მავლობაში ყურადღებაც არავინ მიაქცია. მე რაღა მისი თავი მქონდა და ჩემთვის ჩემი მეგობრები ცდილობდენ, ერთ მათ-განს უთხრეს თურმე, აგრე საქმის გაკეთება არ მოხერხდებაო! აქ, ქუთაისში სულ სხვა წესი და რიგია, ვიდრე საზოგადოდ ყველგანო: აქ უნდა, ის კაცები, რომელთაც უნდა გადაწყვიტონ

საქმე, როგორმე იშოვნოთ ცალ–ცალკე და ამისთვის საჭიროა მიმართოთ მათ–მათ დაახლოვებულ კაცებსო და ისინი მოახერ-ხებენო. ამ ხანებშივე ერთმა ვინმემ, რომელსაც არავითარი დამოკიდებულება სავალდებულო და პირდაპირი არა აქვს რა ბანკთან, რჩევა მოგვცა: თუ ნახევარზე ხელს აიღებს აკაკი, ნახევარს ორ–სამ დღეში მიიღებსო, თვარა ისე არ მოხერხდე-ბაო! ზოგიერთმა კიდეც მირჩია, რომ დავათანხმებულიყავი, რადგანაც მეტი გზა აღარ იყო, მაგრამ ეს მე ვერ დავინახე ჩემ საკადრისად და არ ვქენი. ქრთამის მიმცემი ისეთივე დამნა-შავეა, როგორც მიმღები!..

ამ დღიდან ხომ სულ აღარა მოხერხდა–რა! კვირაში ორჯელ–სამჯელ ნიშნავდა კომიტეტის თავმჯდომარე სხდომას, მაგრამ წევრები არ მოდიოდენ, რომ არ შემდგარიყო კრება. ოთხი თვე გასტანა ამ ოინებმა. მისთანა გავლენიან პირების მეცადინეობამ, როგორიც არიან ბატ. თოფურია, კვირკველია და სხვანი, უნაყოფოდ ჩაიარა!.. რამდენჯერმე ვსთხოვე, რომ არ მინდა, უარი მითხარით, მაგრამ განჩინების პირი კი მაინც მომეცით, რომ სხვები დავაჯერო, რომ არას ვიღებ ბანკიდან და კერძოდ ეგება ვინმემ გამიმართოს ხელი–მეთქი. ამან კიდევ უფრო გააჯიუტათ და არ იქნა, არ შედგა კომიტეტი, სხვებისაგან რომ იშოვნოს, ეს ხომ ჩვენთვის არ ივარგებსო და სხვა. აქ მე მისი ასის თავიც არ მითქვამს რაც იყო... ყველა იმ ხრიკებისა და მელაკუდობის გამოაშკარავება, რაც ამ უბრალო საქმის გამო იყო, არ მინდა რომ გამოვაშკარაო!.. და კალამს ვაგდებ ხელიდან!.. რაცა ვთქვი, ისიც მიტომ ვსთქვი, რომ იცოდეს საზოგადოებამ, თუ რა ამბები ხდება ჩვენში?.. ჩემ შესახებ სულერთია: მოვრჩები, თუ არ მოვრჩები მაინც ბევრს ველარას გამოვადგები ქვეყანას, მაგრამ შეიძლება ამგვარი რამ იმათაც გადახდეთ, ვინც საზოგადოებისათვის ჩემზე უფრო საჭირო და გამოსადეგი იქნებიან... და მათ უსამართლოდ გაწირვის ნებას არ უნდა აძლევდეს ქვეყანა თვითო–ოროლ ვინმეებს!!. და მე–კი მარტო „სადღეგრძელოები“ და „პარაკლისებიც“ მეყოფა და მისთვისაც მადლობის შემწირველი ვარ საზოგადოებისადმი.

1896

თავ. ივანე მაჩაბლის შესახებ

რადგანაც ადგილობრივი გაზეთები მაჩაბლის შესახებ სხვადასხვაგვარს ცნობას იძლევიან, იძულებული ვარ სიმართლის დასადგენად გავიხსენო შემდეგი: იმერეთიდან რომ ჩამოვედი და ვნახე მაჩაბელი, ის კარგს გუნებაზე დამიხვდა და მომახარა: ახლა–კი იმედია, რომ სრულიად გამოვმრთელდეო. ტკივილებს აღარ ვგრძნობ. თავისუფლად დავდივარ და კიდეც ვმუშაობო. შვილები საზაფხულოდ საჩხერეში გავისტუმრე და მე თვითონ ერთი თვით ან თვენახევრით აბასთუმანს ვაპირებ წასვლას და სახლის დასაქირავებლად გუშინ ბე კიდეც გავგზავნეო. ერთი სიტყვით, ახლა შიში აღარაფრისა მაქვსო. ცოლმა კიდეც უსაყვედურა, ერთავად ნუ მიეძალები საქმეს, ბევრს ნუ სწერ და მუშაობო. უკანასკნელად ხუთშაბათს, 25 ივნისს, საღამოს 5–6 საათზე, ძალიან კარგ გუნებაზე დამიხვდა, მთხოვა ნარდის თამაში. რადგანაც სუსტადა ვარ, ხუთი ხელის მეტი არ გვითამაშნია. შევწყვიტეთ თამაში და დავიწყეთ ჩვეულებრივი ლაპარაკი. დიდხანს ილაპარაკა როგორც გორის მაზრის სინდიკატის შესახებ, ისე თავის საკუთარ საქმეებისა და ორივესი კმაყოფილი იყო. მხოლოდ თავის თავს ესაყვედურებოდა, ვაი თუ ისეთის ენერგიით ველარ შევძლო შრომა, როგორათაც ბანკში ვშრომობდიო. საზოგადოთ მომავალზე იმედები ჰქონდა. იმ საღამოსვე მოვიდნენ ვიღაცეები სინდიკატის საქმის შესახებ. მოელაპარაკა იმათაც და ისევ გამოვიდა ჩვენთან.

ჯერ კიდევ ათი საათი არ იყო, შინ წასვლა დავაპირე, მაგრამ შემეხვეწა დარჩიო. მე წავედი სასტუმრო ოთახში დასაძინებლად, თვითონ მაშინვე ვახშმად დამჯდარიყო ცოლთან. 11 საათზე ისიც დაწოლილიყო. კნეინა ხელსაქმეს შეჰყოლოდა, ორ საათზე დაეხედა ქმრისთვის და გულის ძილში ენახა.

ოთხი საათი იყო სწორედ, რომ ძილში რაღაც ხმაურობამ და ცუდმა სიზმრებმა გამომაღვიძა. რომ წამოვდექი, გულის ძგერა მქონდა ავარდნილი. ჯერ დავაპირე მაჩაბელთან შესვლა, მაგრამ რადგანაც მალე გადამიარა, დავრჩი ჩემს ოთახშივე და ექვსის ნახევრამდე აღარ დამძინებია. ამ ხნის განმავლობაში რომ ხმაურობა ყოფილიყო, ან ფეხის ხმა, ან ლაპარაკი არ

გამომეპარებოდა. რვა საათზე რომ გამომეღვიძა, ჩემი ოთახის განის კარი გაღებული დამიხვდა, რომელიც 6 საათამდე მოხურული იყო. ვიფიქრე, მაჩაბელი ამდგარათქო, რადგან მხოლოდ ან იმის ოთახიდამ გამოსულს კაცს შეეძლო გაეღო და ან კიბეზე გარედან შემოსულ კაცს, თუ ქუჩის კარები, რასაკვირველია, ღია იქნებოდა დარჩენილი. შევედი ზალაში, სადაც მაჩაბელი იწვა. ის აღარსად იყო, მაგრამ ქვეშაგები კი მინგრეულ–მონგრეული იყო, ვიფიქრე, ალბათ პირის საბანად გავიდა–თქო და დავჯექი. რამდენიმე წამის შემდეგ კნეინას ხმა მომესმა, ჩაი მზად არის, ვანო, შემოდიო. მერმე თვითონაც მოდგა და მკითხა: ვანო სად არისო! მე არ დამხვედრია, ალბათ მანდ არის, პირს იბანს–თქო. გაბრუნდა, ისევ შემოვიდა აღშფოთებული, დახედა ქვეშაგებს და კიდევ უფრო შეშფოთდა: იმას ჩვეულებად ჰქონდა ადგებოდა თუ არა, ქვეშაგებს თითონ გაასწორებდა და ეხლა–კი ასე მინგრეულ–მონგრეულიაო. მე ვუთხარი, რა ვუყოთ, სადმე წა-ვიდოდა–მეთქი საქმისთვის და მოვა-თქო. იმან მაინც გული ვერ დაიმშვიდა, დაიწყო ძებნა და სტოლზე დატოვებული რომ ნახა საათი, ძეწკვი და პერანგის ოქროს ღილები, მაშინ თითქმის შეიცხადა, იმავე დროს „გოროდოვოის“ დავუძახეთ და იმან სთქვა, რომ ოთხი საათი არ იქნებოდა ჯერ, კნიაზმა გაჩქარებით გვერდი აგვიარა, ჩვენ ქუდი მოვუხადეთ და მე შევეკითხეო: ასე ადრე სად მიბრძანდებით, თქვენო ბრწყინვალებავო, მაგრამ მან მხოლოდ თავი დაგვიკრა, ხმა არ გაგვცა და ჩაგვიარა გვერდით პირდაპირ გოლოვინსკის პროსპექტისაკენ. თუ ეს მართალია, ალბათ, ხელახლად მობრუნებულა ისევ და შესაძლებელია ჩემი ოთახის კარი მას გაეღოს და ხელმეორედ ისევ წასულიყოს. ყოველ შემთხვევაში, წინა დღეს ის სრულ ჭკუაზე იყო. მეტად მხიარული და დამშვიდებული, ისე რომ თავზე ხელაღებული იმ მდგომარეობაში ყოველ ამას ვერას გზით ვერ მოახერხებდა.

[1898]

წერილი

თავ. ი. მაჩაბლის გამო

„რაღა მკვდარი და რაღა შინ მოუსვლელიო“, ამბობს ხალხური ანდაზა და ეს მწარე სიტყვები დღეს ზედგამოჭრილი გახდენ თავ. ი. მაჩაბელზე: ეს ერთი ხანია, რაც დაიკარგა, თვალსა და ხელს შუა მიგვეფარა, ცამ ჩაყლაპა, თუ მიწამ ვეღარა გავიგეთ რა!.. ათასნაირი ხმები დადის, ზოგი ამბობს წყალში გადავარდა, თავი მოიკლაო, ზოგსა ჰგონია, რომ ცოცხალია და სხვაგან წავიდაო, ზოგი რას ამბობს და ზოგიც კიდევ რას. ასეა თუ ისე, ის მაინც დაკარგული შეიქმნა მისიანებისათვის და უფრო მეტათ კიდევ საზოგადოებისათვის.

ერთი რომაული ანდაააა: „მკვდარზე ან სულ ნურას იტყვი და ან კარგი სთქვიო“. მე ეს ანდაზა არ მიჯდება ჭკუაში: მკვდრისთვის სულ ერთია, გინდა ავად მოიხსენიე და გინდა კარგად! მაგრამ დანარჩენ ცოცხლებისათვის–კი საჭიროა, რომ სამაგალითოდ მკვდარზე მიუთითონ და მისი ავიცა და კარგიც დაანახვონ!.. და ჩვენც თავ. ი. მაჩაბლის შესახებაც ამ გზას დავადგებით. რუსეთიდან რომ დავბრუნდი, ახალჩამოსულობაზე, ყველგან და ყველასაგან მესმოდა, რომ თავ. გიორგი მაჩაბელს კარგი შვილები ეზდება და უმცროსი მაინც მეტად საიმედო რამ არისო: „ქართული, როგორც ხუცური, ისე მხედრულიც, ზედ მიწევნით იცის და უცხო ენებსა და საგნებსაც საზოგადოდ ადვილად იმორჩილებსო“. იმ ხანებშივე, ტფილისში, თავ. სოლ. ერისთვის სახლში საშინაო სპეკტაკლი გამართეს. წარმოადგინეს „გაყრა“ და მონავარდისას როლს თამაშობდა ჯერ სულ ახალგაზრდა მკვირცხლი და სიცოცხლით სავსე ი. მაჩაბელი. ის იყო ჩემგან პირველად მისი ნახვა. მაშინდელ მის სახეს საოცრად მაგონებს დღეს მისი ძმისწული, პატარა გიორგი, სააზნაურო სკოლაში რომ იზრდება. შვიდი–რვა წლის შემდეგ მეორედ შემხვდა მისი ნახვა პეტერბურგში სტუდენტათ რომ იყო. იმდროინდელი სტუდენტობა სრულებით არა ჰგავდა დღევანდლისას. ახლანდელმა სტუდენტობამ წინდაწინვე იცის რა უნდა გააკეთოს მომავლში!.. გამოზომილი და გამოანგარიშებული აქვს, რისათვისაც ემზადება! „ჯერ თავო და თავო, მერე კი ცოლო და შვილოო“,

ფიქრობს. ძველები კი იდეალისტები იყვენ, ადვილად გაიმეტებდენ თავს: ერთ უმნიშვნელო რაიმეს გულისთვის კედელს შეეხლებოდენ, სამშობლოსთვის მოციქულ–მოწამებად ამზადებენ თავს! მართალია, დაბრუნების შემდეგ, უმეტეს მათგანს შუა გზამდისაც აღარ მიჰყვებოდათ ხოლმე წინგანძრახული, მაგრამ მაინც იმ პირველ ხანებში მათი ნახვა სასიამოვნო იყო. სწორეთ ამგვარ წრეში იყო ჩამდგარი ი. მაჩაბელიც. ერთი თვალის გადავლებით, როგორც შევატყვე, ის პირველთაგანიც იყო. „ერთი თვალის გადავლებით–მეთქი“ მიტომ ვამბობ, რომ იმ დროში პირადად დაახლოვება არა მქონია ჩვენ ახალგაზდობასთან. თუმცა საზოგადო საქმით–კი მიჯაჭვულზედაც მეტი ვიყავი! არც მე მქონია გული მათთან მინდობილი და არც არაფრად იმათ ვეპიტნავებოდი. ამის მიზეზები ბევრი იყო, რომელთაც ჩემ „თავგადასავალში“ მოვიხსენიებ. მაგრამ ერთი უპირველესი მიზეზი–კი ჩემი წინდაუხედავი ხასიათი იყო: საზოგადო საქმის შესახებ, რაც გულში მქონდა, ის ენაზე მეკრა და მტრისა და მოყვრის გარჩევა არ ვიცოდი. მე მაშინ არ მქონდა წარმოდგენილი, თუ ამითი პირადი განწყობილება ვისთანმე დაირღვეოდა! მაგრამ საქმემ სულ სხვა დამანახვა: დღესაც ბევრს შეხვდებით იმათში, რომ ჭირივით ვეჯავრებოდე, თუმც არაფერი საპირადო იმათთან არა მქონია–რა და შემდეგშიაც, როგორც საზოგადო საქმეში უმნიშვნელოებზე, აღარც კი მიფიქრია იმათზე. ძვირათ ვინმე მინახავს ჩვენში, რომ კერძოს, საპირადოს უფრო მაგრად არა სჭიდებდეს ხელს, ვიდრე საზოგადოს. რაც იმათ მოსწონთ პირადად, საქვეყნოთაც კარგი ისა ჰგონიათ! და თუ ვინმე თანახმა არ გაუხდათ, შეიძულებენ. მაჩაბელს არა ჰქონია ამგვარი ხასიათი!.. რაც მე მის შესახებ საწყენი და არასასიამოვნო რამ მითქვამს, უთვალავია, მაგრამ, წარმოიდგინეთ, რომ იმას არც ერთი გულში არ ჩარჩენია. ასი და ათასი მაგალითიდგან ორიოდეს მოვიტანაქ და ისიც საკმარისია: 1) დაბრუნდა თუ არა უცხო ქვეყნებიდან, ის მაშინათვე სათავადაზნაურო შკოლის უფროსად გაამწესეს. მისი მეტოქე იყო ბატ. ალექსი ჭიჭინაძე, რომელთანაც მე განწყობილება არა მქონდა, მაგრამ მაინც სიმართლემ ამაღელვა და დავიწყე ამრჩევლების ძვირი და ყვედრება საჯაროდ: საზოგადო საქმეში განა ამისთანა „ჩემიან“ – „შენიანობა“ იქნება?!

– სად ჭიჭინაძე და სად მაჩაბელი ამ საქმეში? მაჩაბელი შეიძლება გენიოსიც იყოს, მაგრამ საქმეს გამოცდილებაც ეჭირვება, ეგ ახლა მოშორდა სასწავლებლის კრებას, პედაგოგი არ არის, სულ სხვა ფაკულტეტზე იყო და მაგისთანა რთულ და სპეციალურ საქმეს როგორ გაართმევს თავს – მეთქი, მაშინ როდესაც ალ. ჭიჭინაძე გამოცდილია მაგ საგანში და თავის საკუთარი შკოლაცა ჰქონდა–მეთქი? – ერთი ვინმე გავლენიან პირზე მიმითითეს: „იმან მოინდომაო!..“ „როგორ თუ იმან მოინდომა?!. განა აქ საზოგადო საქმეში ბატონყმობა გვიარსდება?.. არ–კი ძველებურ ბატონყმობას გმობთ და კიჟინასა სცემთ და აქვე კი ინტელიგენტობაში იგივე დესპოტური, გარემოების შეუფერებელი, ბატონყმობა შემოაქვთ–მეთქი“? „მოქნეული და მოზომილი ვის გაუგონიაო?“ ნათქვამია და მეც ამ ცხარე საყვედურების დროს, თვითო. ი. მაჩაბელზედაც ბევრი რამ საწყენი შემომეხარჯა! გადაჭარბებულ რამეებს ვამბობდი, მაგრამ იმას კრინტიც არ დაუძრავს, მხოლოდ შორს კი იჭერდა ჩემგან თავს და მეც არა ვნაღვლობდი, რადგანაც ის იმ წრეში ჩადგა, რომელსაც მე არ თანავუგრძნობდი. – ცოტა ხნის შემდეგ მაჩაბელმა თავისთავად დაანება თავი ინსპექტორობას: 2) ერთხელ სადილათ ვიყავით იმასთან და სუფრაზე ჩამოვარდა ლაპარაკი შექსპირის შესახებ. ვანომ სთქვა: „მეფე ლირი“ პირდაპირ ინგლისურიდან არის ნათარგმნი და კარგი ენითაც არის ქართულზე გადაღებულიო! – პირდაპირ ინგლისურიდან, რომ არის ნათარგმნი ეტყობა, მაგრამ ქართული ენა კი ძალიან კოჭლობს–მეთქი, ვუპასუხე მე. – გაცხარდა. წამოვარდა ზეზე, შეიჭრა მეორე ოთახში, გამოიტანა წიგნი და დამიგდო წინ... აბა, გვიჩვენე შეცდომებიო! პირველ გვერდზევე მივუთითე. გადააბრუნა მეორე, აქაც ამოჩდა... ჩაჰყვა ამგვარად და რომ გამტყუნდა, უკმაყოფილოდ მითხრა: „რა ვუყოთ მერე, განა შენ ნაწერებში კი არ არის შეცდომები თუო?“ მე სიცილი დავიწყე და ვუთხარი: „აქ სიტყვა ჩამოვარდა „მეფე ლირზე“ და მეც მიტომ ვამბობ! და როცა ჩემ ნაწერებზე გადახვალთ, რა იცით რომ აქაც არ დაგეთანხმებით? — მერე კიდევ, განა ერთის უვარგისობა, ამართლებს მეორისას? მე რომ ქართული კარგათ არ ვიცოდე, ნუთუ სხვებმაც აღარ უნდა ისწავლონ – ამგვარი ბაასი ინტელიგენტური ბაასი კი არ არის,

მოახლური გაქიშპებაა–მეთქი“. გაჩუმდა, ხმა აღარ ამოუღია. 3) ჟურნალ „ივერიის“ რედაქტორის მაგიერათ რომ იყო, მაშინ მე საქმის გამო მივედი მაჩაბელთან. ის შეწუხებული დამხვდა და მითხრა: ახლა მაგის თავი აღარა მაქვს. ისეთ გუნებაზე ვარ, რომ თავ–ტანის აღარა გამეგებარაო? ვიცოდი რა მიზეზიც იყო. მეწყინა და ვუსაყვედურე: „მერე და არც კი გრცხვენია, რომ მაგას ამბობ? თუ საზოგადო ასპარეზზე გამოსულხარ, წვრილ-მან რამეებს რათ გადაჰყოლიხარ?! გულის გადაყოლა ნაცარქე-ქიობა და ლაჩრობაა! და სხვას მაინც რათ ეღობები საზოგადო გზაზე–მეთქი?“.. მოგვივიდა ლაპარაკი. არ მივხედე, რომ ცუდ გუნებაზე იყო და მწარედ ველაპარაკე. საოცრად შეიმაგრა თავი და ეს კი მითხრა მხოლოდ: „რა გინდა, რომ ჩემ სახლში მოსულ-ხარ და მოსვენებას აღარ მაძლევო?“ – „რედაქცია შენი სახლი ნუ გგონია–მეთქი“, მივაძახე და გამოვბრუნდი. მეორე დღეს თვი-თონ მოვიდა ჩემთან და მითხრა: გუშინ არეულ გუნებაზე ვიყავი და საწყენი ხომ არაფერი მითქვამს შენთვისო? გამიკვირდა, მით უფრო, რომ დამნაშავე მე თვითონ ვიყავი, რადგანაც უდროვო დროს, იმას რომ თავის საკუთარი დარდები აწუხებდა, მე კიდევ ნუგუზალს ვუჩხიკინებდი!.. ამგვარი შემთხვევა, არავისთან იმ-დენი არა მქონია, რაც მაჩაბელთან, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ არა თუ გადამმტერებია სხვებსავით, პირიქით, დიდი პატივის-მცემელი იყო ჩემი!.. ეგება იკითხოს ვინმემ: ან მაჩაბელი რათ ივიწყებდა ამ ხშირ უსიამოვნებას და ან აკაკი რათ აცივდებოდა ისე მაჩაბელსო?.. მაჩაბლის რა მოგახსენოთ და მე კი ჩემს პასუხს გეტყვით: კერძო, საპირადო მეგობრობა სხვა არის და საზოგა-დო კიდევ სულ სხვა!.. ბევრი ვინმე გვყავს მისთანა ნათესავი თუ ნაცნობი, რომელიც სულსა და გულს გვირჩევნია. ვენდობით, გვიყვარს და უმათოთ ცხოვრება გვეძნელება!.. მაგრამ იმავე დროს ესენი, საზოგადო საქმეების შესახებ, სულ სხვა აზრისა და მიმართულების არიან, თითქო სულ სხვა რჯულისანი იყონ, ჩვენი თანაგრძნობა საზოგადო საქმეში არ ეხერხებათ! აგრევე გვყვანან მისთანა საყვარელი კაცები, რომელნიც ეგება თვა-ლით არც–კი გვენახოს, მაგრამ, როგორც ჩვენ თანამოაზრეებს, გულიდან ვერ ვიშორებდეთ. პირველები არიან კერძო მეგობრე-ბი და მეორე საზოგადო!..

მე, სწორე მოგახსენოთ, კერძო მეგობრებზე უფრო საზოგადოს ვეძებდი და მაჩაბელშიაც მინდოდა მეპოვნა საზოგადო მეგობარი!.. და მაშასადამე საზოგადო საქმეში მორიდება და პირფერობა, აქა და კერძოთ არა ვაწყენიო–რაო, დიდი შეცდომა იქნებოდა. – მაჩაბელსაც ასე ესმოდა ეს თუ არა, არ ვიცი, მაგრამ ერთხელ კი უბრალო შემთხვევამ ყოლიფერი გამოააშკარავა!.. საზოგადოდ სიმღერასა და ქართულ ლექსებს ერთი და იგივე მომხიბლავი ძალა აქვსო!.. ძვირათ ნახავ მისთანა კაცს, რომ, იცის თუ არა მღერა, ხანდახან მაინც თავისთვის არ წაიღიღინოს ხოლმე! ძვირათ იპოვება მისთანა ქართველი, რომელსაც „ანბანი“ კი უსწავლია, რომ ლექსებიც არ დაეწეროს!! – სხვათა შორის, ერთი პოლკოვნიკი კვინიტაძე იყო, შესანიშნავი მეომარი და ვაჟკაცი. მისი დღე და სოფელი სულ ბრძოლის ველზე ჰქონდა გატარებული. ჩემი ნაცნობი იყო და ძალიან სურვილი მქონდა, რომ მისგან ბევრი რამ გამეგონა და მაშინვე ლექსებზე ჩამომიგდებდა საუბარს! მე რომ, მაგალითად, არღუთაშვილზე, ან ანდრონიკაშვილზე დავუწყებდი გამოკითხვას, ის მაშინათვე მომაძახებდა: „როგორ არა!.. როგორ არა!.. ძალიან ვაჟკაცი იყო და მიტომაც მე ეს ლექსი დავუწერეო!“ და მოჰყვებოდა ხოლმე აღტაცებით მისი ლექსის კითხვას!.. ერთხელ რედაქციაში შემოვიდა, შემოიტანა მისი ლექსები. მაშინ „დროება“ მაჩაბლის ხელში იყო გადასული. ჩვეულებრივად აღტაცებით დაიწყო კითხვა. მაჩაბელი აჩქარდა. შევატყვე, უნდოდა რომ გაეწყვეტინებია კითხვა და ეთქვა: „არ ვარგაო!“ მაგრამ მე დავასწარი და მოვუწონე ავტორს. მაჩაბელმა გაოცებით შემომხედა და აღარა სთქვა–რა. ჩემმა მოწონებამ ისე გაუკეთა გული მოხუცებულ მოლექსეს, რომ მის აღტაცებას საზღვარი აღარ ჰქონდა. რომ გაათავა კითხვა: „ვიცოდი რომ მოგეწონებოდათო და ღმერთმა მოგახმაროსთ „ფეშკეშ!“ მომირთმევია თქვენთვის და დაბეჭდეთო!“. რედაქტორს სახეზე სასოწარკვეთილება დაეტყო, მაგრამ ისევ მე მიუბრუნდი და დიდის ბოდიშით მოვახსენე: „შვენიერი, საუცხოვო ლექსებია, მაგრამ ის შეჩვენებული ცენზურა არ გაუშვებს–მეთქი!“ ერთი–ორი ვოენურად დაუკურთხა ცენზორებს და ლექსები კი მაინც ჩვენ დაგვიტოვა სახსოვრად!..

იმ საღამოსვე სანდრო ყაზბეგმა წაგვიკითხა ლექსები და დავცინე, საცინლად ავიგდე... რადგანაც სანდროსაგან ბევრ-

ჯელ გაგვიგონია, რომ ცხვრებს უდექიო, ბევრჯელ სოველ მიწაზე ვგდებულვარ და ერთხელ კბილი ლურსმანით ამოვიგდეო და სხვაც ბევრი რამ ამგვარი. მეც მის ლექსებს ბოლოში, იქვე ხელათ მოვაწერე მისებური პაროდია:

ცხორში გაზდილო ვაჟაუ:
სოველ მიწაზე გდებულო!
ფოთოლ ტაშ დააკვრევინე,
ლურსმან კბილ ამოგდებულო!..

ეს ისე ეწყინა სანდროს, რომ მეტი აღარ შეიძლება. წაიღო ლექსები და მათი დაწუნებაც ჩემ სიხარბესა და შურიანობას მიაწერა. მარტო რომ დავრჩით, მაჩაბელმა მითხრა: „საკვირველი კაცი ხარ ჭეშმარიტად, ხან ასე ხარ და ხან ისე!.. შენსას კაცი ვერას გაიგებს! – დღეს ის მოხუცებული კაცი მოატყუე... უქე, მისთანა რამ, რომელიც საქები არ იყო და ახლა კი, ყაზბეგს უწუნებ ლექსებს მაშინ, როდესაც მაინცა და მაინც დასაწუნი არ არის!“..

– კვინიტაძეს, – ვუპასუხე მე, – თავისი პური მოუჭამია. დღეიდან აღარც ავათ არგია საზოგადოებას და აღარც კარგად, რომ მაგის ლექსებს რამე დამოკიდებულება ექნეს საზოგადოებასთან. ახალგაზდა კაცი რომ ყოფილიყოს, დიახ ვეტყოდი: არ ვარგია შენი ლექსები! ტყუილა ნუ ჰკარგავ დროს და სხვითი რამეთი, რაც უფრო გეხერხება, მითი ემსახურე ქვეყანას-თქო. მაგრამ დღეს მაგ მოხუცებულს საზოგადოებისათვის რაღა სამსახური მოეთხოვება კიდევ?.. და მერე ისიც კიდევ მწერლობის მხრივ? კერძოთ კი, თავისთვის, ლექსებსა სწერს, გულს აყოლებს და სიამოვნებს, მოსწონს თავისი შრომა, ისე როგორც ყოველ დედას მოსწონს თავისი შვილი, გინდ მახინჯი იყოს, და მე რათ მოუწამლო ტკბილი ოცნება!.. ის რომ სიტყვით ვასიამოვნო, ამითი ვის რა დააკლდება? და ან საზოგადოდ რა გაფუჭდება?

– კი მაგრამ მოტყუება, იგივე საცინად აგდება არ არის დარბაისელი კაცის?

– ნეტავ, თუ კი მაგითი არა გაფუჭდება–რა და ქვეყანასაც არა დააკლდება–რა, ყველას მოტყუება ისე შემეძლოს, როგორც კვინიტაძე მოსტყუვდა!.. სიცოცხლე ისეც გამწარებულია და

მეტი ნაღველი რაღათ ვისმეს გადავუსხა ზედ, როცა ამას ქვეყნის სარგებლობა არ მოითხოვს? ერთი რუსული ანდაზაა: „ოღონდ კი ნუ იტირებს ბავშვი და რითაც უნდა თავი შეიქციოსო“, თუ საზოგადოდ არავის საგინებელი იქნება კერძოთ, დეე, ყველამ ისიამოვნოს... რომელი მკურნალია, რომ ავადმყოფს არ ანუგეშებს, გინდ მამაკვდავიც იყოს, და ეუბნება: გაწირული ხარო?!

– მაშ ყაზბეგს რაღას ერჩოდი?

– ის სულ სხვაა, ის ახალგაზდაა, ქვეყნისათვის სასარგებლოა. კარგ პროზებს რომ აღარ სჯერდება. ახლა ლექსებს გამოსდგომია და მთელი დღე ჩხირკედელაობს!.. მე მინდა, რომ იმან, რაც არ ეხერხება, იმაზე ხელი აიღოს და ისევ თავის საკუთარ გზას მიუბრუნდეს.

ეს რომ გავათავე, ვანო ჩაფიქრდა და მითხრა: ახირებული აზრისა ხარ და მიკვირს, რომ ამდენხანს ცხოვრებას ვერ გამოუცვლიხარ, ვერ გადაუკეთებიხარო! არ ვიცი, მაგ შენ ხასიათში კეთილობა მეტი იხატება თუ ბოროტებაო? — სიცილით მითხრა და კიდევ ჩაფიქრდა. არ ვიცი რასა გრძნობდა და რას ჰფიქრობდა მაშინ ჩემზე, მაგრამ შემდეგ კი ის მოჰყვა ამ მაშინდელ ჩვენ საუბარს, რომ იმ დღემდე მე და ის კერძოთ გარეშე ვიყავით ერთმანეთისათვის, გული არცერთს არ გვეხსნებოდა საერთმანეთოდ და იმ დღიდან კი უფრო თანდათან ვუახლოვდებოდით ერთმანეთს და კიდევაც გავიცანი ის, როგორც საზოგადოდ, ასე კიდევ უფრო კერძოთაც. სწორეთ საუცხოვოდ იყო გაზდილი: თავმდაბალი, ზდილობიანი, ტკბილად მიმღები და ბუნებათანაზიარი!.. ამხანაგებისათვის თავდადებული, მოსისხარ მტერსაც კი ხელს მიაწვდენდა საჭიროების დრო! სხვის დამნაშაობას გულში არ ჩაირჩენდა და თავის შეცდომას კი, გინდ მცირედიც ყოფილიყო, აღიარებდა და სინანულში ვარდებოდა. ადამიანის წყენას ერიდებოდა კერძოდ, და საზოგადო საქმეში კი ულმობელი იყო. საზოგადო ცხოვრებისათვის კიდევ უკეთაც იყო მომზადებული: ქართულს გარდა უცხო ენებიც კარგათ იცოდა, ისე რომ თამამად შეეძლო იქიდან თარგმნა. შრომისმოყვარე იყო, მოუსვენარი, უსაქმურად ვერ დადგებოდა და ბევრის ატანაც შეეძლო, რა საზოგადო საქმესაც კი იკისრებდა,

სულითა და გულით ეძლევოდა. მისგანა არა თუ ღალატი, ოდნათ გულის აცრუებაც არ შეიძლებოდა. მისი დიდი წუნი ის იყო, რომ, როგორც ბუნებათანაზიარი კაცი, ზოგჯერ მეგობრების რჩევას გადაჰყვებოდა ხოლმე. ეს არ მომწონდა მე და ალბათ ამის მიზეზი იყო, რომ მე ვერიდებოდი და თუ თვითონ არასა მკითხავდა, რჩევა რაიმესი მეზარებოდა. მით უმეტეს, რომ საზოგადო საქმეების შესახებ მაინცა და მაინც რჩევა არ ეჭირვებოდა. ყოველიფერს საზოგადოს თვალყურს ადევნებდა. არ შეიძლებოდა მისთანა საზოგადო რამ მოვლინება, გინდ მცირეც ყოფილიყო, რომ იმას გულგრილად გვერდი აექციოს და თავის მხრით, ავზე ავი არ ეთქვა, გინდ მისი მოყვრების შესახებაც ყოფილიყოს, და კარგზე კარგი, გინდ მისი მტრების სასახელოდაც.

ამგვარი კაცები საჭირო არიან ოპოზიციაში და კიდევაც თვითონვე მიაგნო ამ გზას და ჩადგა შიგ. – მესამოცე წლებმა ჩვენში იქა–აქ ვარდები დამყნა, მაგრამ, სამაგიეროდ იმავე დროს, ეკალიც ბევრი დაგვითესა. ნამუშევარზე ბალახ–შაბმა გადაიარა და გამმარგლავი კი არსად იყო. ორმოცი წლის განმავლობაში, ერთი დგმა რასაც კი ამბად და არაკად გადასცემდა მეორეს, ისიც იმაზე დგებოდა და ყველა ერთად ისევ იმ ძველებურ ლათაიებს გაიძახოდენ, ზოგს „ვაშა–ვაშას“ შეღრიალებდენ და ზოგს: „ჰკა მაგას!“

საჭირო იყო გამორკვევა, თვალების ახელა და დაკვირვებით სწორ გზაზე გავლა. და ეს კიდეც იკისრა მაჩაბელმა: გააჩინა ოპოზიცია. საზოგადოდ ყველგან, სადაც უნდა იყოს, ოპოზიციის პირველი ხანები საეკლო გზაა. არ შეიძლება, რომ ქვეყნის უმეტესობას, უჩვეულო მოძრაობა და მოთხოვნილება ოპოზიციისა თვალში არ ეჩხიროს და ეკლად არ ეჩხვლიტოს, ამიტომაც ყოველგვარი ოპოზიცია, საზოგადოდ უმეტესობის მხრით, უკმაყოფილებას იწვევს ხოლმე და ცხოვრების კანონის ძალით უმისობაც არ შეიძლება: ავიღოთ, სამაგალითოდ, რომელიმე ტბა, აუზი – სადაც დიდი ხნიდან ჩამდგარ–ჩაგუბებულია წყალი. თვითონ ტბა დამშვიდებულია მოკამკამე სარკესავით. ტბის კიდეები ამწვანებულია და სხვადასხვა ყვავილებით აფერადებული. ერთი შეხედვით მის ნახვას არა სჯობს რა და მნახველებიც კმაყოფილი არიან. მაგრამ, პოეტის თქმისა არ იყოს: „სულ ბნელია,

რაცა ელავსო!“ ის ტბა იტყუება: ზედაპირი რომ სასიამოვნოა, დაბლა ტბის ძირში გველ–ბაყაყები ბუდობენ და ათასგვარი ქვეწარმავლები ფუსფუსობენ. იქვე დალექილი სიდამპლე და სიმყრალეა, რომელიც უხილავად სწამლავს ჰაერს და სხვადასხვაგვარ სატკივარს აჩენს. უმეტესობა, რასაკვირველია, ამას ვერა გრძნობს, მაგრამ ვსთქვათ მაგალითად, რომ რამდენიმე შორს გამჭვრეტელმა კაცმა დაინახა და მოინდომა შველა. აიღო თოხი, ბარი, ნიჩაბი და ყოველგვარი საჭირო იარაღი, მიადგა პირდაპირ კიდეს და მოინდომა მისი გაჭრა, არხის გაყვანა, რომ დიდი ხნის დაგუბებული წყალი გამოუშვას, გასწმინდოს, გაასუფთაოს და შიგ ახალი კარგი წყალი ხელახლად ჩააყენოს. პირველ ხანებში, როცა ტბა დაიძვრის, რასაკვირველია, წყალიც აიმღვრევა და სიმყრალეც სუნს გამოსცემს. და ეს ქვეყნის უმეტესობას ააღელვებს და ააშფოთებს და გულწრფელადაც იტყვიან: ეს რა გვიყვეს ამ შეჩვენებულებმა? მოვიდენ, აგვიმღვრიეს წყალი, აამყრალეს აქაურობა და ჩვენ თანაგრძნობასაც თხოულობენო? გიჟები არიან და ოხრებიო!! ეს დღე ადგება თავდაპირველად ოპოზიციასაც ყოველთვის, რადგან ხშირად ცხოვრებაში ზოგი რამ დაძველებული დაწესებულება, ზემოხსენებული, მატყუარა ტბა და აუზია! ეს რასაკვირველია, უნდა სცოდნოდა მაჩაბელს, მაგრამ მაინც უშიშრად გამოვიდა საოპოზიციო გზაზე. შემოიხვია გარს ახალგაზდები და კვირაში ერთხელ თავს იყრიდნენ ერთად, რომ საქვეყნო ავ–კარგზე ჰქონოდათ საუბარი და მსჯელობა. ეს იყო მეორე ბიჯი ჩვენ „ჩია“ ცხოვრებაში, ამ ორმოცი წლის განმავლობაში. მართალია, ზოგიერთებმა დაარსებისთანავე კიჟინა დასცეს და „შავი კაბინეტი“ უწოდეს ამ ახალგაზდა ოპოზიციას, მაგრამ იმან მაინც თავისი გაიტანა, როცა იერიში მიიტანა სამოქალაქო საბჭოზე: თითქმის, ყველასაგან მოულოდნელად, გვირაბი გაიყვანა იმ პატარა გორაკში, რომელსაც სამოქალაქო საბჭო ერქვა და ბევრს სამართლიან რამეს კი წინ ეღობებოდა.

ამ გამარჯვებით წათამამებულმა ოპოზიციამ, ბოლოს, ერთხმად, მეტი მოინდომა და სიძნელეშიაც ჩაიგდო თავი, როცა ჩვეულებრივის იარაღებითა და ხერხით, რომელიც პატარა გორაკზე იხმარეს, დიდ იალბუზსაც მიადგენ გასაჭრელად... პირადად დამარცხდნენ და დამარცხების მიზეზიც ეს იყო: ოპოზი-

ციამ თავდაპირველადვე წესად შემოიღო, რომ რასაც ხმის უმეტესობა დაადგენდა, ის უეჭველად თვითეულ წევრსაც უნდა ეკისრა და ამან ზოგჯერ იძულებული გახადა მაჩაბელიც, რომ თავის სურვილის წინააღმდეგ ემოქმედნა ბრძოლის დროს. აქ იგულისხმება საპირადო საქმეები და არა საზოგადო, როგორც, მაგალითად, ის რომ დერექტორად ამორჩევის შემდეგ, უმეტესობის სურვილს ვეღარ წაუვიდა და ბანკშივე დარჩა, თუმცა კი წინააღმდეგი იყო აქ დარჩენის და სხვანი... საზოგადო თვალით თუ შევხედავთ და არა საპირადოთი, აქაც ამ დიდ ბრძოლაში, ბანკის არჩევნების დროს, გამარჯვება მაინც ოპოზიციას დარჩა!.. სამი მხრით ძლიერი მოწინააღმდეგები ეხვეოდენ ოპოზიციას!.. თვითოეულ მათგანში სხვადასხვა სფერის გოლიათები იღებდენ მონაწილეობას და მაინც კიდევ, მათის სურვილის წინააღმდეგ, მაჩაბელი იქმნა არჩეული!.. ამაზე მეტი საზოგადო გამარჯვება წარმოსადგენათაც ძნელია. და რაც შეეხება კერძო დამარცხებას, ის სულ სხვა არის!.. „ძალა აღმართსაც ხნავსო“, ნათქვამია. ასეა თუ ისე, ეს ოპოზიცია კი აღარსადა სჩანსო, იტყვიან ზოგიერთები. ეს შემცდარი აზრია: დროებით უჩინარობა სრულიად გაქრობასა და მოსპობას არ ნიშნავს; როცა ხნულში ნათეს ხორბალს ზეიდან შავი მიწა აყრია, ერთხანად არც ისა სჩანს, მაგრამ დროზე კი ჯეჯილად აბიბინდება ხოლმე. საზოგადოებისათვის არც ესრეთწოდებული „მაჩაბლის ოპოზიცია“ გამქრალა. და კერძოდ კი... საპირადოდ ვერ დაიყენა კარგი დღე ვერც ერთმა წევრთაგანმა და ყველაზე მეტად კი თვით მაჩაბელმა. ძნელი ასატანია ცხოვრების მარცხი საზოგადოდ, მაგრამ მაინც არა უჭირს–რა იმას, ვინც ოჯახში ცოლშვილით, მოყვრებითა და მეგობრებით ბედნიერია და მაჩაბელსაც ეს ანუგეშებდა, ამხნევებდა, სანამ სნეულებამ არ დაიგდო და არ დაჩაგრა. წელიწადი იტანჯა, მაგრამ მაინც კიდევ გაუძლო... აიტანა და თითქმის სიკეთეში რომ შევიდა, მაშინ გამოუტყვრა გაწირულსავით უცნაური ბედი და თვალსა და ხელშუა დაგვეკარგა! ვფიქრობთ და ვერ წარმოგვიდგენია მიზეზი და ერთმანეთს ვეკითხებით: „რამ აიძულა ის კაცი?“ კითხვა უპასუხოდ რჩება და ეს კი ვიცით მხოლოდ, რომ, რასაც უნდა აეძულებია, თავდაპირველი მიზეზი იძულებისა და ფესვი უბედურების, მისი საზოგადო მოღვაწეობა იყო!! იმას ემსხვერპლა, თვარა მისი ნიჭისა და ცოდნა–შრომის

პატრონს, საკუთრად რომ თავის თავზე, ცოლ–შვილზე და საპირადო საქმეებზე ეფიქრა, დღეს დიდ კეთილდღეობაში იქნებოდა ჩამდგარი უმრავლესობის მოსაწონად და თუ თითო-ოროლა ახირებულები წუნს დასდებენ, მითი მის ტკბილ ცხოვრებას არა დააკლდებოდა რა ქვეყნის თვალში!.. მაგრამ სჩანს, რომ ასე არ ესმოდა მაჩაბელს ადამიანის ქვეყნად მოვალეობა!.. საზოგადო, საქვეყნო საქმე, შეგნებული კაცისათვის, იგივე რჯული და სარწმუნოებაა, – როგორც ნამდვილმოწმუნე სარწმუნოებას ვერ უღალატებს, ისე საზოგადო მოღვაწეც საერო საქმეს ვერ უმტყუნებს... გინდ სამსხვერპლოთაც გაუხდეს საქმე... რა რჯულიც უნდა ეჭიროს ქართველს, მაჰმადიანის, კათოლიკის, თუ მართლმადიდებლის, მაინც მტკიცედ სდგას ზედ. ამის მაგალითი გვიჩვენეს წინაპრებმა, რომელთაც ურჯულოებთან ცხოვრებას თავის დადება არჩიეს. მაჩაბელიც ქართველი იყო და დროთა შესაფერ მსხვერპლად იქმნა შეწირული. აქ რომ ზოგიერთებმა ამ ჩემ ნაწერს კუდი არა გამოაბან რა, ვარწმუნებ მკითხველს, რომ ამას არავის საწყენადა და საპირადოდ არა ვსწერ. ჩემი სურვილია მხოლოდ შვილებს გავაცნო ის დაღუპული მოღვაწე, რომ მისმა შვილებმაც არ დააგდონ მამის გაკვალული გზა! თამამად იარონ ზედ, რომ მამა შვილით ითავსებოდეს და საერთო საქმე წინ მიდიოდეს.

[1898]

აკაკის სიტყვა
წარმოთქმული საღამოს დღესასწაულის დასრულებისას

„ბატონებო! 50 წელიწადი ვებრძოდი უსამართლობას, განსაკუთრებით შინაურ უკუღმართობას – იარაღად ვხმარობდი სიტყვას და კალამს, სადაც მცირეოდენ, ძალიან მცირეოდენ თაფლთან ბევრი ნაღველი იყო ჩემვე ცრემლებში ჩალესილი. ამნაირი სამზადისი ბევრს, რასაკვირველია, მწარეთ მოეჩვენებოდა. თუ ვინმე მუშტრის თვალით გადაათვალიერებს იმ ნაწერებს და გაიხსენებს გადაუსხვაფერებლათ ჩემ სიტყვებს, იქ

საპირადოს ვერას ნახავს ვერც ერთში, მაგრამ თავმოყვარეობა იქ ხედავს იმას, სადაც არ არის და ადამიანი კი საზოგადოთ თავმოყვარეა. ასე თუ ისე, ამ ჩემმა ხელობამ ბევრი სიმწარე გამომაცდევია და ვინ იცის, რამდენჯერ გამისქდებოდა გული, რომ აქა–იქ თანამგრძნობლები არა მყოლოდა, უმეტესათ ქალებში მათის გულკეთილობით და ახალგაზდებში მათის გულუბრყვილობით, რისთვისაც საჯაროთ ვსწირავ მათ მადლობას.

მე ჩემი თავი ყოველთვის მიმაჩნდა და მიმაჩნია პატარა დღიურ მუშათ, ძალიან მცირედ, ასე რომ, თუ ჩემ შრომას ვინმე ყურადღებას მიაქცევდა, არ მეგონა, მაგრამ ახლა ვხედავ, რომ შემცდარი ვყოფილვარ და დღეს ჩემი შრომა ერთი–ათასად ფასდება. და რას უნდა მივაწეროთ ეს? იმას, რომ ხალხში აღძრულა ეროვნული გრძნობა, რომ მას ყავდეს ნამდვილი მოღვაწე და გმირი, რისაც მე მხოლოდ მოჩვენებულათა ვარ. მათ ამ დიად გრძნობას შევუერთებ ჩემ ნატვრასაც, რომ მოვლინებოდეთ ის სანატრელი გმირი და მე კი

ის არ ვარ, თქვენ რომ გგონივართ,
ძნელი ყოფილა ჭაღარა
თამამად ვეღარ გაჰკივის
ჩემი დაფი და ნაღარა.

გული არ იშლის გულობას,
მაგრამ ვერ მოსდევს ძალ–ღონე,
ვარ ბევრი „ვაის“ მნახველი
და მეტი „ვუის“ გამგონე.

აივსო გული წვეთ–წვეთად
ნაღველითა და შხამითა,
ისე, ვით საუკუნენი
სხვადასხვა მრავალ წამითა,

და რაღათ მინდა სიცოცხლე
მე აწმყო გამწარებულსა,
თუ ვისაც ვეტრფი, ვინც მიყვარს,
ვხედავ მას აოხრებულსა.

მაგრამ იმედი, ცის ნიჭი,
რომ გამიელვებს გლახ გულსა,
თავი ტარიელ მგონია
ოცნებით გარემოცულსა.

ვუხმობ ფრიდონს და ავთანდილს,
მხარი მხარს მისცენ, ხელი–ხელს;
ნესტან დარეჯან ქაჯებს ჰყავს,
მოელის ტურფა გამომხსნელს.

რა ვუყოთ, თეთრი თმა მქონდეს,
სისხლით შევღებავ ჭაღარას
და საგმირო ხმას ვაძახებ
ჩემსა დაფსა და ნაღარას.

მაგრამ ვაიმე, რომ იჭვი
მოუგზავნია ჯოჯოხეთს,
მაცდურ სარკეში მახედებს,
ოცნებას მიწყლავს, გულს მიხეთქს,

ამბობს: ფრიდონ და ავთანდილ
ჯერ ვერ გადიხდის ომსაო,
და შენც ტარიელს მიჰგავხარ
ისე, ვით კატა ლომსაო.

მართალი არის, მაგრამ რა!
რათ გავიტეხო იმედი,
გმირს წინაუძღვის ყოველთვის
უძლური წინამორბედი.

არა, არ ვკარგავ იმედსა,
ვერ შემაშინებს ჭაღარა,
გმირებს მოელის თქვენგანვე
ჩემი დაფი და ნაღარა“.

1908

განცხადება

ქართული მწერლობა საზოგადოდ ვერა სდგას კარგ ნიადაგზე, მაგრამ ყველაზედ უფრო მეტი უბედურობა კი ჩემს ნაწერებს ეწვია: ამ ნახევარ საუკუნის განმავლობაში ორი პატარა ტომის მეტი არ გამოსულა, მაშინ როდესაც რამდენიმე ათეული მაინც უნდა გამოცემულიყო. ამის მიზეზი ხელმოკლეობა და დაუდევრობა იყო.

რადგანაც ეს ორივე მიზეზი დღეს თავიდან აცილებულია, მე თვითონ განვიძრახე სრული ჩემი ნაწერების გამოცემა ამგვარად: გამოვა კრებული ყოველ თვიურად, წელიწადში თორმეტი წიგნი, ორას ფურცლიანი.

პირველ ას ფურცელზე იქნება დაბეჭდილი ჩემი ახალი ნაწერები ჯერ სრულიად არსად დაბეჭდილი და მეორე ასზე კი ძველი, უკვე სხვადასხვა ჟურნალ–გაზეთებში დაბეჭდილი აქა–იქ, მაგრამ გასწორებული და შენიშვნებით, თუ რა დრომ და ვითარებამ გამოიწვია ეს ანუ ის თხზულება (მასალები მთელი წლის, ე. ი. 12 წიგნისა მზადაა).

წლიური ფასი ერთი თუმანი, რომელიც განაწილდება ოთხად. თითო წიგნი კი ეღირება თითო მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება ჯერ–ჯერობით: თბილისში, წერა–კითხვის საზოგადოების კანცელარიაში, ქუთაისში მთავრიშვილისა და ისიდორე კვიცარიძის წიგნის მაღაზიებში, დაწვრილებით შემდეგში.

1910

ილია – მზე

ერთ გლეხკაცს ეგონა, მზე თავის სოფლის გორაკიდან ამოდიოდა და წავიდა მის დასაჭერად. მაგრამ დაინახა, რომ მზე მეორე გორიდან ამოდიოდა. გადავიდა, მაგრამ მზემ მესამე გორაკიდან ამოჰყო თავი. იქაც აბობღდა და კიდევ შესცდა. ბოლოს ერთ განდეგილს შეხვდა, რომელსაც შესჩივლა. განდეგილმა

უპასუხა: მზეს ვერავინ დაიჭერს, იგი ყველგან და ყველაფერს ანათებსო. ასე დიდებულია ილიას სახელიც. მისი სამშობლოს – ყვარელის გარდა, ყველგანაა და ყველასთვის ანათებს.

1911.

აკაკის ანდერძი

დაწერილი 1912 წლის 7 ნოემბერს ქუთაისის ნოტარიუს აბდუშელიშვილთან.

„მე, თავადი აკაკი როსტომის ძე წერეთელი, რომელიც ვარ სრულ ჭკუასა და მტკიცე მეხსიერებაზე, საჭიროდ ვთვლი სიკვდილის შემდეგ დავტოვო შემდეგი ანდერძი: მთელს ჩემს კეთილშენაძენ უძრავ მამულს, რომელიც დარჩება ჩემს შემდეგ და რომელიც სადაც უნდა იმყოფებოდეს და რასაც უნდა შეიცავდეს, ვუტოვებ ჩემს მეუღლე კნეინა ნატალია პეტრე ბაზილევსკის ასულს წერეთლისას და ჩემს შვილს თავადს ალექსი წერეთელს, რომ უფლობდნენ მას და სარგებლობდნენ მთელის სიცოცხლის განმავლობაში, ამ მამულიდან სამოსახლო ადგილს შენობებით და კარის ეკლესიით სოფელ სხვიტორში, შორაპნის მაზრაში, საკუთრებად უტოვებ ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომ იქ გაიხსნას დედათა სკოლა ჩემის სახელობისა; ვენახსა და დანარჩენს ჩემს მამულს ვუტოვებ საკუთრებად საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოებას ზეპირ თქმულებათა შესაკრებად და გამოსაცემად. უფლება ჩემის ნაწერების გამოცემისა უნდა მიეცეს ზემოხსენებულ საეთნოგრაფიო საზოგადოებას აღნიშნულ მიზნისათვის. დანარჩენ ჩემს მოძრავ ქონებას ვუტოვებ ჩემს მეუღლესა და შვილს. რადგან ზემოხსენებულ სამოსახლო ადგილთან დაკავშირებულია ჩემთვის ფრიად ძვირფასი მოგონებანი, ამიტომ ვთხოულობთ, როდესაც უფალი თავისთან გამიწვევს, დამასაფლაოთ კარის ეკლესიის გვერდით სოფელ სხვიტორში. გთხოვთ დამასაფლაოთ უბრალოდ და უგვირგვი-

ნოდ. გვირგვინის მსურველს ვსთხოვ, გვირგვინის ფასი გადასცეს ზემოხსენებულ საეთნოგრაფიო საზოგადოებას.

ზემო აღნიშნულ მიზნისათვის ამ ანდერძში გამოთქმულ ჩემის ნების აღმსრულებლად ვნიშნავ: თავადს გრიგოლ ნიკოლოზის ძე დიასამიძეს, სერგო ლუკას ძე ბახტაძეს, კონსტანტინე იოსების ძე აბდუშელიშვილს და ექიმს ივანე სპირიდონის ძე ელიაშვილს“.

1912

ოთხი შემთხვევა

ჩემს ხანგრძლივ სიცოცხლეში ბევრი სიმწარე გამომიცდია; ერთი ორად მეტი სიტკბოზე, მაგრამ გამომიცდია ნეტარი წამებიც და ოთხი მათგანი მომაქვს აქ, რომ მკითხველებს გავუზიარო:

1

ამ რამდენიმე წლის წინათ ავად გავხდი ტფილისში. სასიკვდილოთ ვიყავ გადადებული. დიდ–ძალი მნახველი მოდიოდა. მომიკითხავდენ, დამათვალიერებდენ, მოიხდიდენ მოვალეობას და წავიდოდენ ხოლმე. მეც, რასაკვირველია, მადლიერი ვრჩებოდი. მათ რიცხვში შემოვიდა სანახავად ერთი ჩოხიანი სოფლელიც; სპირიდონ ნორაკიძე, ზდილობიანათ მომიკითხა, ტკბილად მემუსაიფა და ბოლოს, წასვლა რომ დააპირა, ბალიშს ქვეშ შეჰყო ხელი სიფრთხილით და წავიდა! მეც ცნობის მოყვარეობამ ამიტანა: რას ეძებდა ის ამ ჩემ ბალიშს ქვეშ მეთქი? ავწიე ბალიშის პირი და ვნახე, რომ ხუთ მანეთიანი ოქრო დაეტოვებია. მე განვცვიფრდი!.. ამდენი მნახველები იყვნენ ჩემთან მდიდრები, ოჯახის შვილები, ტოლ–ამხანაგები, რომელთაც იციან ჩემი ხელმოკლეობა, მით უფრო ავადმყოფობაში, და არც ერთს მათგანს ფიქრადაც არ მოსვლია, რომ შემწეოდა და ეს უბრალო

სოფლელი კი თავისის ღარიბ ჯიბიდან შემწეობას მაძლევს და იმასაც სიფრთხილით, რომ არ მივიმადლო!..

ამ ფიქრებში რომ ვიყავ, შემოვიდა ჩემი მეგობარი დოქტორი, მინახა მაჯა, გამისინჯა გული და სიამოვნებით მითხრა: არკი გეუბნებოდი, რომ ნერვებისაგან ხარ ატანილი? დღეს დილას, რომ წამალი მოგეცი, აი როგორ დაუმშვიდებიხარო. მეც დავეთანხმე და აღარ გავუმხილე, თუ რა იყო ჩემი სიამოვნების და დამშვიდების მიზეზი.

2

ერთხელ ლაპარაკი ჩამოვარდა ქართულ პურზე და მე წამცდა, რომ ყოველგვარ ქართულ პურს თორნის ლავაში მირჩევნიამეთქი. მსმენელთა რიცხვში ერია იობა ისაკაძეც, სულ უბრალო კაცი, ტფილისში ხაბაზად მყოფი. მეორე დღეს მოვიდა ჩემთან ის იობა ისაკაძე და რაღაცა გამოხვეული ქაღალდში მოიტანა და მომაჩეჩა ხელში ღიმილით, ეს ჩემი ნაწარმოებია და მიტომ გიბედავო!.. რადგანაც ამ გვარი შემთხვევა ბევრია ხოლმე, რომ თავისი ნაწარმოები მოაქვსთ ჩემთან, მე ისიც ნაწერები მეგონა; ჩამოვართვი და გავისტუმრე. მოცლის დროს, როცა გავხსენი ქაღალდი, რომ ნაწერები ამომელაგებია, ვნახე რომ შიგ ათიოდე თორნის ლავაში იყო ჩაწყობილი!.. ბევრი საჩუქრები მიმიღია საზოგადოებისაგან... ბევრჯელ მათ რიცხვში ძვირფასიც. ჩემი თავი იმათ ღირსადაც არ მიმიჩნევია, მაგრამ არც ერთი ისე ძვირფასი არ ყოფილა, როგორც იობის პურები.

3

ფრეილინის ქუჩაზე მივდიოდი. ტროტუარზე წინ შემხვდა ვიღაც გამდელი; ხელ–ჩაკიდებული მოჰყავდა ამაყად ფეხადგმული ბავშვი. პატარა ძლივს მოაბაჯბაჯებდა, დამინახა თუ არა იმ ბავშვმა, შემომცინა, გააბზიკა თითი და ძლივს წაილუღლუღა „ეი, აკაკი!“ მე გავშტერდი. გამდელმა ბოდიში მოიხადა: ამა და ამ კაცის შვილიაო. თქვენ პირადად არ გიცნობენ, მაგრამ თქვენი სურათი უკიდიათ ოთახში და ამ ბავშვმაც მითი გიცნოთო!..

ჩემ დღეში არ გამომეცადა და მაშინ გამოვსცადე სიამოვნების ოფლი. საზოგადოების თანაგრძნობის უჩვეულო არა ვარ, ვინ მოსთვლის რამდენი ტაში მომისმენია, რამდენი „ვაშა“ გამიგონია? რამდენი სასიამოვნო მინახავს? მაგრამ არც ერთხელ ის არ მიგრძვნია, რაც იმ პატარა ბავშვის თითმა და ნატიტინებმა მაგრძნობია.

4

მოღრუბლულში გოლოვინის პროსპეკტზე გამოვედით, უეცრად წვიმამ დაუშვა. მე, რადგანაც უპალტოოდ ვიყავი, გავეჩქარე შინისკენ. უკანიდან ხმა მომესმა: „ბატონო აკაკი, მოიცადეთ!“ შევჩერდი, მივიხედე და ჩემთან მოიჭრა ქორგით ხელში ვიღაც თორმეტ–ცამეტი წლის გოგონა და შემომთავაზა ქორგა: აი, მიირთვით, და მერე მიბოძეთ!

– მერე თქვენ?

– მე არა მიჭირს რა, რომ დავსველდე და თქვენ ვაი თუ გაწყინოსთ. რომ აღარ მომეშვა, გადავსწყვიტეთ, რომ ორივე იმ ერთ ქორგას შევფარებოდით და ისე მივსულიყავით ჩემ სადგურამდი. სასტუმროს კარებს რომ მივადექი, სადაც შევდექი, გამომეთხოვა და თავის ქორგიანათ გაუდგა გზას. დღესაც არ ვიცი მისი სახელი და გვარი, მაგრამ იმისი უმანკო, ბავშვური სახე კი ყოველთვის თვალწინ მიდგას!..

ხანდახან რომ დავფიქრდები ხოლმე წარსულზე და წარმოვიდგენ ჩემს უთვალავ ტანჯვებს, ყველა იმათ შევუწონი ხოლმე ამ ოთხ შემთხვევას და სასწორი ამ ოთხისკენ იხრება.

1915

შინაარსი

რედაქტორისგან.....5

ლექსები

საიდუმლო ბარათი.....9
შამილის სიზმარი.....10
ძველ სამეფოს.....12
ციცინათელა.....13
„ვარდის“ ხმაზედ.....15
* * *ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!.....17
მუხამბაზი.....18
* * * აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა.....21
იმერული ლექსი.....21
მუხამბაზი.....22
კინტოს სიმღერა.....23
ავადმყოფი.....24
* * *თვალს მიხვევენ, ენას მგლეჯენ.....25
გაზაფხული.....25
გამოფხიზლება.....26
ყმაწვილ ქალს.....27
სიმართლე.....30
პოეტი.....31
ჭაღარა.....32
* * *იავ ნანა, ვარდო ნანა.....33
ნინოობას.....35
სატრფოს.....36
განთიადი.....37
* * *სანამ ვიყავ ახალგაზრდა.....38
ხატის წინ.....39
ზღვაო, აღელდი, აღელდი!.....41

სულიკო.....41
სიზმარი.....43
* * *რაც არ იწვის, არ ანათებს.....45
<ტასო მაჩაბლისას>.....47
თქვენი ჭირიმე.....47
მოთქმა.....48
„დიდება მაღალთა შინა“.....50
გამოთხოვება.....51
ჩაფიქრება.....51
ანდერძი ჩემს შვილს.....53
გლოვა.....54
ნატვრა.....55
უკანასკნელი ლექსი.....55
ჩემი სიმღერა.....56

პოემები

თორნიკე ერისთავი.....59
ნათელა.....121
გამზრდელი.....161
ასი წლის ამბავი.....177

პროზა

ჩემი თავგადასავალი.....205

პუბლიცისტური წერილები

წერილები ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ

რაოდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ.....321
ჩვენი გულის – პასუხი.....334

რამოდენიმე სიტყვა ქართული გალობის
აღდგინების გამო.....338
წერილები ჩვენს მწერლობაზე.....341
ზეპირსიტყვაობის გამო.....351
მცირე რამ პროფესორ მარრის
უკანასკნელის თხზულების გამო.....357
ნადუღი.....364

***წერილები ისტორიის, რელიგიისა
და კულტურის საკითხებზე***

აკაკი წერეთლის სიტყვა, წარმოთქმული
21 ენკენისთვეს არხეოლოგებისათვის
გამართულს ქართულ წარმოდგენაზე.....370
ისტორიული განხილვა სახელწოდების:
არმენის, ჰაისტანის და სომხეთის.....372
პროფესორ მარრის საპასუხოთ.....387
სიმართლე.....398
საანბანო ჭეშმარიტება.....413
სომხები და ჩვენ.....422

***წერილები საზოგადოებრივი
ცხოვრებისა და ეკონომიკის საკითხებზე***

შავი ქვის თავგადასავალი.....428
წერილი ეფროსინა კლდიაშვილისადმი.....437
სიტყვა, თქმული აკაკისაგან ხელთუბნის
სკოლის კურთხევის დროს
ოქტომბრის 1–ლს 1884 წ. 439
სამძიმარი.....442
ნუ მიწამლავთ მოხუცს გრძნობას!.....445
აკაკის სიტყვა პარიზში.....447
ლექციიდგან ძველი ნაშთები 449

სხვადასხვა

სიტყვა დიმიტრი ყიფიანის დასაფლავებაზედ.....449
„რა უთქვამს? რა მოუჩმახავს? რა წიგნი დაუწერია?“
[ილია ჭავჭავაძესთან დამოკიდებულების შესახებ].....453
განცხადება.....454
მე და ჩემი პენცია.....456
თავ. ივანე მაჩაბლის შესახებ.....457
წერილი.....467
აკაკის სიტყვა წარმოთქმული საღამოს
დღესასწაულის დასრულებისას.....477
განცხადება.....480
ილია – მზე.....480
აკაკის ანდერძი.....481
ოთხი შემთხვევა.....482